ბ ე ს ი კ ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი

# სპეცსამსახურები და შპიონაჟი

## 3

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 0 9

თქვენს წინაშეა მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, უშიშროების პოლკოვნიკ ბესიკ ალადაშვილის მესამე წიგნი ციკლიდან "სპეცსამსახურები და შპიონაჟი".

ამ თემატიკაზე წინა წლებში დაწერილმა წიგნებმა ("სპეცსამსახურები და შპიონაჟი", გამოიცა 2005 წ. და "შპიონაჟის საიდუმლო", გამოიცა 2007 წ.) დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველ მკითხველში.

ახალი წიგნიც მხოლოდ დოკუმენტურ ფაქტებზეა აგებული, სადაც გამოყენებულია საბჭოთა კავშირის, საქართველოს, რუსეთის და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების საარქივო მასალები.

ვიმედოვნებთ, რომ წიგნი საინტერესო და სასარგებლო იქნება, როგორც პროფესიონალებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის.

**ISBN -978-9941-0-2080-3**

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა"

# I. საქართველოს მძიმე დღეები

## საქართველოს პოლიტიკური სისტემის ორი საიდუმლო

საქართველოს პოლიტიკური სისტემა სერიოზულადაა ავად. ამაზე, თუნდაც ორ ასეულზე მეტი რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიის და ორ ათეულამდე პრეზიდენტობის ამბიციის მქონე პოლიტიკური ლიდერის არსებობა მეტყველებს. ერთი ბეწო ქვეყნისთვის ეს ნამდვილი კატასტროფაა!

თუნდაც იმიტომ, რომ რაც უფრო დიდი სიჭრელეა პოლიტიკურ სპექტრში, სპეცსამსახურისთვის (ჩვენი და უცხო ქვეყნისაც) უფრო იოლია იქ შეღწევა და აგენტურული ქსელის შექმნა.

საქართველოს სპეცსამსახურების ნახელავმა, ხოლო შემდეგ ტელეკომპანიების მიერ ნაჩვენებმა ფარულმა ჩანაწერებმა და "ტელე-შოუებმა", საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში მრავალადაა აგენტურა. საუბედუროდ არც პოლიტელიტა და აღმასრულებელი ხელისუფლებაა "უცხო თვალისგან" თავისუფალი.

ვისი აგენტურა მოქმედებს დღეს ყველაზე აქტიურად საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში? – სწორედ ესაა პირველი დიდი საიდუმლო, რომლის გარკვევის გარეშე ქვეყნის რეალურ დამოუკიდებლობაზე საუბარი მხოლოდ თავის მოტყუება იქნება.

პოლიტიკური პარტიების სიმრავლეს და სიჭრელეს კიდევ ჲიტანდა კაცი, რომ არა ერთი დასაფიქრებელი გარემოება – ვიცით კი ვინ აფინანსებს და რეალურად ვინ დგას რომელიმე პოლიტიკური პარტიის უკან? ხშირად თვით პოლიტელიტამაც არ იცის თუ საკუთარი მოქმედება-უმოქმედობით, ვის წისქვილზე ასხამს წყალს.

საქართველოს პოლიტიკური სისტემის მეორე დიდი საიდუმლო, რომელიც ცხრაკლიტულშია ჩაკეტილი და "ცხრათავიანი დევი" სდარაჯობს, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხია. სამწუხაროდ დღემდე ჩვენს საზოგადოებას წართმეული ჰქონდა უფლება სცოდნოდა, თუ სინამდვილეში ვისი ფულით და რა მოცულობის თანხებით ფინანსდებიან პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები. უნდა ვაღიაროთ, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, პოლიტიკური მოღვაწეობის და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ხელოვნურად "დაბინდული" და სპეციალურად გაუმჭვირვალე პროცესია დამახასიათებელია, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიებისთვის.

ფულს სუნი არა აქვს, განსაკუთრებით პოლიტიკაში, მით უფრო არჩევნებისწინა პერიოდში. საკვირველია საყოველთაოდ ცნობილი

გამონათქვამის ამგვარი პერიფრაზირება მოვახდინოთ - "მითხარი ვინ გაფინანსებს და გეტყვი ვის ინტერესებს ემსახურები".

## "აგერ ფული, ბაბა! ბევრი ფული ბაბა

ქართული კლასიკიდან მოხმობილი ეს ცნობილი ფრაზა, როგორც ვიცით კიკუს ეკუთვნის. დღეს საქართველოში "პოლიტიკური კიკუები" მომრავლდნენ – ვინაც არ დაგიდევთ ფული საიდან მოდის, მთავარია, რომ იყოს.

პოლიტიკური პარტიების და მიტინგების თუ სხვა საპროტესტო აქციების დაფინანსების საკითხები უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ზოგი საფრანგეთისკენ იყურება, ზოგი ამერიკისკენ, ზოგიც ფარულად რუსეთისკენ იმზირება. ეს თემა ყოველთვის დაფარული იყო და ამიტომაც დიდ ინტერესს იწვევდა. ვინ ვის აფინანსებს? რომელი ქვეყნის სპეცსმასახურები დგანან რომელიმე კონკრეტული პარტიის უკან?

ერთი კია, არავინ თავი არ მოიტყუოს - ამ დროს ნებისმიერი ქვეყანა საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე წუხს. რუსული ანდაზა "ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავსო", ყველაზე კარგად გვიჩვენებს რეალურ სურათს. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, როგორც წესი ამ პროცესს სპეცსამსახურები კურირებენ.

საქართველოში ესკიმოსების ეროვნული ინტერესები და მათი სპეცსამსახურების ფარული მოქმედებები ჯერ არ შეგვიმჩნევია. ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში ორი ძირითადი მოთამაშეა – აშშ და რუსეთი. მათი ინტერესებიც კარგადაა ცნობილი. ისინი ცდილობენ იმ პოლიტიკურ ძალებს დაუჭირონ მხარი, რომლებიც მათი ინტერესების რეალიზაციას შეუწყობენ ხელს. რუსეთის უგუნურ-უსუსური პოლიტიკის შედეგია, რომ ის საქართველოში ყველასთვის "ბუაა", რომლითაც ბავშვებს აშინებენ. ამ ქვეყანას შორსმჭვრეტელი ხელისუფლება რომ ჰყავდეს, საქართველოს საგარეო ალტერნატივებში ევროპასა და აშშ-სთან ერთად, რუსეთი დღესაც დარჩებოდა. ანუ პროამერიკულ და პროევროპულ პოლიტიკურ კურსთან ერთად სავსებით ლოგიკური იქნებოდა პრორუსული კურსის არსებობაც. მაგრამ რუსეთის "დემოკრატ" ბორის ელცინის ხელისუფლებამ პირველი დიდი გეოპოლიტიკური შეცდომა 1992 წლის სექტემბერში დაუშვა, როდესაც რუსი გენერლების ზეგავლენით საქართველოში სეპარატისტული რეჟიმების შექმნა და გაძლიერება გააგრძელა. სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებას არ უცდია ღიად დაეფიქსირებინა საკუთარი ეროვნული ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში და ჩვენთვისაც მოესმინა. ის დღესაც ცდილობს საწადელს ფარული გზებით და "ბიზანტიური" პოლიტიკით მიაღწიოს. ამიტომაც, უკვე ისეთი სიტუაციაა, რომ პოლიტიკური პარტია ან პოლიტიკოსი "პოლიტიკური კამიკაძე" უნდა იყოს, რომ

"პრორუსული" კურსის მხარდაჭერა ღიად განაცხადოს. ამიტომაც არ ჰყავს ამ ქვეყანას საქართველოში და ყოფილ "სოციალისტურ ბანაკში" ლეგალური პოლიტიკური დასაყრდენი და კვლავ აგენტურული გზებით მოქმედებს.

## შევარდნაძის "მსუბუქი ფლირტი" რუსეთთან

1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პერიპეტიები კვლავ დიდი ინტერესის საგანია. მაშინდელი საყოველთაო გაყალბების შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. თუმცა "მოქკავშირის" წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხები მაშინაც და ესლაც იდუმალებით იყო მოცული. მაშინდელი ოპოზიცია ღიად სდებდა ბრალს მმართველ პარტიას რუსეთიდან დაფინანსების მიღებაში.

2001 წლის დასაწყისში პარლამენტის დეპუტატმა ირაკლი ბათიაშვილმა "მოქკავშირის" ლიდერები რუსეთის ხელისუფლებიდან ფინანსების მიღებაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ "მოქკავშირის" წინასაარჩევნო კამპანია (იმიჯმეიკერების მომსახურება და რეკლამა) დააფინანსა რუსეთის ვიცე-პრემიერმა ნიკოლაი აქსიონენკომ, რისთვისაც მან ერთ მილიონ დოლარზე მეტი გაიღო ამისთვის. საქართველოს სპეცსამსახურის ყოფილი შეფის აზრით ამავე წყაროებიდან დაფინანსდა 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სარეკლამო კამპანიაც.

ამის შემდეგ ათმა საპარლამენტო ფრაქციამ (მაშინ ყველაზე მეტად "სოციალისტური პარტიის" ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი აქტიურობდა) მოითხოვა სპეციალური დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნა, რომელიც ამ ბრალდების ობიექტურობას გაარკვევდა. მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია კატეგორიულად უარყოფდნენ ოპოზიციის ბრალდებებს. „მოქკავშირის" ლიდერის, ზურაბ ჟვანიას განცხადებით მათ წინასაარჩევნო სარეკლამო კამპანიაში ამერიკელ და ბრიტანელ "იმიჯმეიკერებთან" ერთად, სამად-სამი რუსი სპეციალისტი მონაწილეობდა, რაც არანაირი კანონდარღვევა არ არისო. ამავე დროს ზურაბ ჟვანია ეთანხმებოდა ოპოზიციური ფრაქციების მოთხოვნას საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც ამ კონკრეტულ საკითხს შეისწავლიდა. თუმცა ჩვეული მუქარაშეპარული ტონით აცხადებდა, რომ ამ კომისიამ, არა მარტო "მოქკავშირის", არამედ ყველა პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხები უნდა გაარკვიოსო. ამ განცხადების შემდეგ ოპოზიცია ჩაცხრა, რადგანაც ოპოზიციური პარტიების ნაწილის (უპირველესად ასლან აბაშიძის "აღორძინების") ფარული კავშირი რუსეთის პოლიტიკურ და ფინანსურ ელიტასთან, სპეცსამსახურებთან და გენერალიტეტთან საყოველთაოდ იყო ცნობილი.

# პოლიტიკური ტანდემი

შევარდნაძე-ჟვანიას ტანდემი რეალურად ხუთი წელი (1995-2001 წწ.) მართავდა საქართველოს. ჟვანიას არ დასცალდა, თორემ შესაძლოა გადაეჭარბებინა კიდეც "დიდი ბაბუსთვის". თუმცა "ბაბუმ" ხეზე ასვლა არ ასწავლა თავის მოწაფეებს.

"ძალოვანი მინისტრები" და საგარეო პოლიტიკა "ბაბუს" მიჰყავდა, წამყვანი რეგიონების გუბერნატორებსაც თავად ნიშნავდა, "ეკონომიკური გუნდი" კი ჟვანიას კადრებს - "ახალგაზრდა რეფორმატორებს" მიანდო.

პარლამენტში "პოლიტიკური თამაშის" ახალ წესებს ზურაბ ჟვანია აყალიბებდა, უფუნქციო სახელმწიფო მინისტრი კი, კარგ სუფრაზე ყველასგან მივიწყებული ჯონჯოლივით იყო. პარლამენტი თუ ჯერ მხოლოდ შევარდნაძის "დუბინკა" იყო (ის იქიდან "უწევდა ყურებს" ურჩ ან მოსახსნელად გამზდებულ მინისტრებს), შემდეგ უკვე ჟვანიამ დაიწყო საკუთარი თამაში და პარლამენტი საკმაოდ ძლიერ, უკვე ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად აქცია. ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური გამჭრიახობისა და მოქნილობის აღნიშვნასთან ერთად, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მაშინდელი "ძლიერი პარლამენტი" საკმაოდ სუსტი იყო კორუფციასთან და ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლაში, თუ საქმე პარლამენტის რეკომენდაციით დანიშნულ ახალგაზრდა (როგორც წესი გამოუცდელ და არაპროფესიონალ) კადრებს ეხებოდა.

ცუდია, თუ კარგი, დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური სისტემის და "პოლიტკულტურის" ერთ-ერთი შემომქმედი ზურაბ ჟვანიაც იყო. მგონი საკამათო არ უნდა იყოს, რომ "პოლიტიკური თამაშის" დღევანდელი წესები ძირითადად მისი შექნილია, სადაც "სტალინური პრინციპი" – "პოლიტიკაში მთავარია არა ხმების რაოდენობა, არამედ ის, თუ ვინ დათვლის ხმებს" – უმთავრესია.

ალბათ ყველას ახსოვს, რომ მაშინდელი მმართველი პარტია "მოქკაშირი" 1999-2000 წლების არჩევნებში სრულად იყენებდა "ადმინისტრაციულ რესურს". უპირველესად შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ძალებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ასლან აბაშიძის მომხრეები არ შემოეშვათ თბილისში. ბევრს შეიძლება დღესაც თვალწინ უდგას - დამტვრეული "მოლაპარაკე ავტობუსები", სოფელ ჩუმათელეთთან გადაკეტილი ცენტრალური ავტომაგისტრალი, ორი დაპირისპირებული ძალა "პრორუსული" (მაშინვე ჩანდა, რომ პროპუტინური) ასლან აბაშიძის და "პრორუსულ-პროდასავლური" შევარდნაძის გუნდი. ალბათ ისიც გვახსოვს, რომ შემდეგ "ახალგაზრდა რეფორმატორები" გულითად მადლობას სწირავდნენ პირად შსს-ს მინისტრს.

რატომ ვიხსენებთ ათი წლის წინანდელ მოვლენებს? უპირველესად იმიტომ, რომ მსგავსი კანონდარღვევების შემთხვევა შესაძლებელია მომავალშიც

განმეორდეს. დღევანდელი გადასახედიდან ჩანს (და ამას მკითხველიც კარგად დაინახავს), რომ მაშინ საპარლამენტო და საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხის მხოლოდ შესწავლა კი არა, გამოძიება ყოფილა აუცილებელი.

## რუსული "ინვესტიციები" ქართულ პოლიტიკაში

საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს და პოლიტელიტას სხვა ქვეყნები და ოლიგარქები, რომ აფინანსებდნენ ეს ცნობილი იყო, თუმცა ამას თავად პოლიტიკოსები (მით უფრო ყოფილი პრეზიდენტი) როცა აღიარებენ, მით უფრო საყურადღებოა. "კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში შევარდნაძემ თავად, ჟურნალისტის "დახმარების" გარეშე, ამოატივტივა ერთი მივიწყებული, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი. მან განაცხადა: "ზურა ოპოზიციაში იმიტომ წავიდა, რომ კახა თარგამაძეზე იეჭვიანა. ღირს ამის დაწერა?

ჟვანიამ რუსეთის ერთ-ერთ ვიცე-პრემიერს არჩევნების წინ (საუბარია 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ბ.ა.) დიდი ფული გამოართვა. ამით რუსეთის სპეცსამსახურებმა ისარგებლეს. ბალე ჯაშუშების 12 კაციანი ჯგუფი გამოაგზავნეს საქართველოში, - ზოგი უნივერსიტეტში, ზოგი აკადემიაში, ზოგიც სამხედრო ნაწილებში. ისეთ მასალებს აგროვებდნენ რომლებიც არ უნდა მოეგროვებინათ. ეს ხალხი, რომ მზვერავები იყვნენ, შეიტყვე, და ჩემს დაცვას (ამ დროს უშიშროების სამინისტრო და დაზვერვის დეპარტამენტი რას აკეთებდნენ. თუ მათ შევარდნაძე არ ენდობოდა? - ბ.ა) დავაყალე, რადაც უნდა დაგიჯდეთ, შეალწიეთ ჯაშუშების ბინაში და გაარკვიეთ რა დოკუმენტაციაზეა ლაპარაკი-მეთქი. იმ ჯაშუშებს ლეჩკომბინატის წინ ბინა ჰქონდათ აღებული. იქიდან ჩვენმა ბიჭებმა დოკუმენტების დიდი შეკვრა გამოიტანეს, დოკუმენტების შესწავლა აშშ-ის დაზვერვის უფროსს (ალბათ ჯორჯ ტენეტს - ბ.ა) ვთხოვე, ორი თვე დასჭირდა მის უწყებას ამ დოკუმენტების შესასწავლად და გვაცნობეს, - ეს ხალხი ჯაშუშები არიან და სრულიად საიდუმლო ინფორმაცია ჩაუგდიათ ხელშიო, ეს ამბავი გახმაურდა და ზურაბ ჟვანიამ მაშინ ეს ყველაფერი კახა თარგამაძეს დააბრალა. არადა, თარგამაძე არაფერ შუაში იყო, ჩემი მითითებით გაკეთდა ყველაფერი." შევარდნაძე შემდეგ აგრძელებს - "ზურას მივანიშნე, ქვეყანაში ასეთი ხალხი არ უნდა შემოდიოდეს-მეთქი, ისიც ეუთხარი, რომ ამ საქმის შესწავლა ჩემი ბრძანებით მოხდა, მაგრამ ვერ დავაჯერე. ." ("კვირის პალიტრა", 31 დეკემბერი 2007 –6 იანვარი 2008).

ტექსტს თუ ყურადღებით ჩავაკითხავთ დავინახავთ, რომ ამ ინტერვიუში შევარდნაძე მინიშნებებით სდებს ბრალს ჟვანიას რუსეთთან კავშირში. თავად

კი ამ ფაქტიდან დისტანცირებას ახდენს. ვითომ საოცრად ფრთხილი და წინდახედული ზურაბ ჟვანია დამოუკიდებლად იმოქმედებდა და "მოქკავშირისთვის" ფულს პრეზიდენტის ნებართვის გარეშე ჩამოიტანდა რუსეთიდან? ეს ხომ აბსურდია! ალბათ შევარდნაძე მიხვდა, რომ "ცოტა გადაამლაშა" და იგივე ფაქტი ოციოდე დღის შემდეგ გაზეთ "ყველა სიახლესთვის" მიცემულ ინტერვიუში, საკმაოდ განსხვავებულად გაიხსენა და ძალზე მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა: (ობიექტური შეფასებისთვის ინტერვიუს შესაბამის ნაწილს უცვლელად გთავაზობთ)

" . . კახა თარგამაძესთან ურთიერთობაში არ იყო მართალი, იცით რა მოხდა? ჟვანია ჩავიდა მოსკოვში, ჩემი თანხმობით. არჩევნების წინაპერიოდი იყო და გვიჭირდა. იქ ერთ ვიცე-პრემიერს შეხვდა (გვარს ვერ დავასახელებთ) და ფული სთხოვა. მისცა იმ კაცმა მილიონზე მეტი და დააბარა ამ ფულს შევარდნაძეს ვუგზავნი, შენ კი არ გაძლევო. როგორც თქვენ არ აგიღიათ იმ ფულიდან კაპიკი, ისე მე არ მიხლია იმ ფულისთვის ხელი. არჩევნებს მოხმარდა.. . ასეთი ურთიერთობა გვქონდა. დაახლოებით სამი თვის შემდეგ მივიღე ინფორმაცია, რომ მოსკოვიდან ჩამოვიდა უცნაური ჯგუფი, 10-15 კაცი იყო, დადიოდნენ ხან აკადემიაში, ხან უნივერსიტეტში, გასამხედროებულ ინსტიტუტებში, საავიაციო ქარხანაში, სურათებს იღებდნენ, რალაცეებს წერდნენ.

ძალიან საეჭვო ვითარება იყო. ერთ-ერთ დაცვის ბიჭს დავავალე, როგორმე ეს დოკუმენტები ხელში ჩაეგდო. შემდეგ ეს მასალები გავაგზავნე ამერიკაში. დაზვერვის სამსახურის უფროსი ჩემთან მეგობრობდა და მას ვთხოვე მასალების შეწავლა. სამ თვეს მოუნდნენ იმ დოკუმენტების შესწავლას, მერე დამირეკეს და მითხრეს, ეს ადამიანები ნამდვილი ჯაშუშები არიანო, მათ უნივერსიტეტი კი არა, საიდუმლო დაწესებულებები აინტერესებთო. ეს ხალხი ფაქტობრივად ზურას სტუმრები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში მათი ჩამოსვლა ჟვანიასთან იყო შეთანხმებული. ზურამ მერე აიჩემა დოკუმენტები თარგამაძემ მოიპარაო. მე ავუხსენი, რომ თარგამაძეს ცილს სწამებდა და ისიც ვუთხარი, თუ გინდა, იმ კაცსაც დაგისახელებ, რომელმაც ეს დოკუმენტები გამოიტანა მეთქი. კახა მართლა არაფერ შუაში იყო, არც იცოდა ამის შესახებ არაფერი ".

განა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა არ იყო სხვა ქვეყნიდან ფულის ჩამოტანა წინასაარჩევნო კამპანიისთვის? ან რა დიდი მტკიცება სჭირდება, რომ თუ მმართველი პარტია (ამ შემთხვევაში "მოქკავშირი") სხვა ქვეყნიდან ფინანსდება, იმ ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინება ყველა შემთხვევაში მოუწევდა? — ამაზე კი შევარდნაძე დუმილს ამჯობინებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ "დაბალანსების პოლიტიკის" თეორიის თანახმად შევარდნაძე-ჟვანიას არჩევანი ყველაზე მისაღებ გათვლად ჩანდა, რადგანაც ის ვიცე-პრემიერი ბორის ბერეზოვსკის "პროექტი" და რუსეთის შესაძლო მომავალი პრეზიდენტი იყო.

ვისგან მოჰქონდა ფული შევარდნაძეს 1999 წელს? მკითხველს ვთხოვ განსაკუთრებული ყურადღება იმ ფაქტს მიაქციოს, რომ შევარდნაძე რუსეთის ვიცე-პრემიერის გვარს არ ასახელებს, თუმცა ეს უკვე ყველასთვის დიდი ხანია კარგად ცნობილია. "მოქკავშირის" რუსეთიდან დაფინანსების და ვაკეში, "აეროპორტში" მცხოვრები პიროვნებების (რომლებსაც შევარდნაძე რუს ჯაშუშებად მოიხსენებს) საკითხი ახალი არაა. 2000-2001 წლებში ამ თემაზე პარლამენტში ხშირად იყო ოპოზიციური პარტიების გამოსვლები. ეს თემა იმდენად საინტერესო და მრავალმხრივია, რომ დაწვრილებით ანალიზს საჭიროებს.

## ედუარდ შევარდნაძე თუ ასლან აბაშიძე? "მოქკავშირი" თუ "აღორძინება"?

კარზე 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო მომდგარი, ერთი წლის შემდეგ კი, უკვე საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გამართულიყო. დიდი ალბათობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ მაშინ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა, ერთი წლის შემდეგ პრეზიდენტსაც თავისი რიგებიდან გაიყვანდა.

ამიტომაც გახდა საჭირო შავი და თეთრი პიარის რუსი "დიდოსტატის" ალექსეი სიტნიკოვის და მისი "იმიჯ-კონტაქტის" საქართველოში ჩამოყვანა ედუარდ შევარდნაძისა და პოლიტიკური გაერთიანება "მოქალაქეთა კავშირის" წინასაარჩევნო კამპანიის დასაგეგმად. ამ პიროვნებაზე 1990-იანი წლების დასაწყისში ლეგენდები შეიქმნა, ჯერ რუსეთში, მერე კი მისი პოლიტტექნოლოგიების ყოვლისშემძლეობამ საქართველომდეც მოაღწია.

ალექსეი სიტნიკოვზე, როგორც მას უწოდებენ პიპოზისა და ზომბირების მეთოდების უბადლო მცოდნეზე, ოდნავ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ედუარდ შევარდნაძე თუ ასლან აბაშიძე? ეს 1999-2000 წლების პოლიტიკური ბრძოლის ორად-ორი არჩევანი იყო. ორივეს საკმაოდ სოლიდური ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსები ჰქონდა იმისთვის, რომ წინასაარჩევნო კამპანია უცხო ქვეყნების გარეშე დაეფინანსებინა. ამიტომ დღეს, ცოტა არ იყოს ღიმილის მომგვრელია ექს-პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადება, რომ რუსეთის პირველი ვიცე-პრემიერის ნიკოლაი აქსიონენკოს მიერ მისთვის მიცემული თანხა (მილიონ დოლარზე მეტი, როგორც ბატონი ედუარდი აცხადებს) ძალზე მნიშვნელოვანი იყო "მოქკავშირის" წინასაარჩევნო კამპანიისთვის. არ დაგვავიწყდეს მაშინ ხომ "საქართველოს რკინიგზა", საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები და კიდევ უამრავი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურა, ღია თუ ფარული გზებით აფინანსებდა ყველა დონის არჩევნებზე "მოქკავშირის" გამარჯვებას. ასე, რომ აქ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება უფრო მეორეხარისხოვანი საკითხი იყო. მთავარი და გადამწყვეტი კი, სულ სხვა რამ გახლდათ.

ეს ის გამონაკლისი შემთხვევა იყო, როცა ჩვენი ხელისუფლება რუსეთიდან ფულზე მეტად პოლიტიკური და პიროვნული კეთილგანწყობის დასტურს ელოდა. შევარდნაძე-ჟვანიას "პოლიტიკურმა ტანდემმა" ფსონი აქსიონენკოზე, როგორც რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის ყველაზე რეალურ მემკვიდრეზე დადო. ეს არჩევანი მათ მეორე, "ოლიგარქების ტანდემის", ბერეზოვსკ-პატარკაციშვილის რეკომენდაციით გააკეთეს.

## საბედისწერო შეცდომა?

ბორის ბერეზოვსკის "პოლიტიკურ საჯინიბოში" 1996-2000 წლებში ბევრი "დოღის ცხენი" ჰყავდა, მათ შორის რუსეთის პირველ ვიცე-პრემიერ ნიკოლაი აქსიონენკოს 1999 წელს საკმაოდ მყარი პოზიციები ეკავა და "პრეზიდენტის ოჯახის" (ელცინის მეუღლე ნაინა, ქალიშვილი ტატიანა და მისი მომავალი მეუღლე ვალენტინ იუმაშევი) კეთილგანწყობით სარგებლობდა და ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის მიერ აქტიურად განიხილებოდა, როგორც რუსეთის მომავალი პრეზიდენტი. 1999 წლის მაისში ბორის ელცინმა აქსიონენკო პირველ ვიცე-პრემიერად დანიშნა, საიდანაც ერთი ნაბიჯღა რჩებოდა პრემიერ-მინისტრობამდე და შემდეგ რუსეთის პრეზიდენტობამდე.

ამიტომ, როდესაც შევარდნაძე ფულს იღებდა აქსიონენკოსაგან, ის ფიქრობდა, რომ ეს, რუსეთის მომავალი პრეზიდენტის "საჩუქარი" იყო! ეს გადაწყვეტილება ერთი შეხედვით სავსებით ლოგიკურად თავსდება შევარდნაძე-ჟვანიას, როგორც პრაგმატიკოსი პოლიტიკოსების პიროვნულ კრედოში. თუმცა ერთი წუთით თავი, რომ დავანებოთ ამ გადაწყვეტილების კანონიერებას და ზნეობრიობას, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტისთვის ამ პოლიტიკური გარიგების საიმედობა უნდა ყოფილიყო უპირველესად დამაფიქრებელი.

შევარდნაძეს მაშინ ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გამორჩა, რამაც შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის დღევანდელ უმძიმეს მდგომარეობაზეც იქონია პირდაპირი გავლენა.

საქართველოს ექს-პრეზიდენტის პირველი შეცდომა ის იყო, რომ არ შეიძლებოდა ბერეზოვსკის, ამ მილიარდერ-ავანტიურისტის ნდობა 1998 წლის გალის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როდესაც რუსი ოლიგარქების მიერ დაპირებული გალის რაიონის "დაბრუნების" ნაცვლად, სრულიად საპირისპირო შედეგები მივიღეთ (თუმცა ეს იმდენად სერიოზული საკითხია, რომ ცალკე ანალიზს საჭირობს).

მეორე და გაცილებით მძიმე შეცდომა შეიძლება საბედისწეროც კი აღმოჩნდა. აქსიონენკოზე ფსონის დადებით და მისგან ფულის მიღებით შევარდნაძემ საქართველოს სერიოზული მოსისხლე მტერი გაუჩინა. რუსეთში მიმდინარე ქაოტურ პოლიტიკურ პროცესებში გაურკვევლობის გამო, საქართველოს ხელისუფლებამ სათანადო ყურადღება არ მიაქცია რუსეთის

პრეზიდენტობის. მეორე კანდიდატს, ეფ-ეს-ბეს ახლადდანიშნულ, მომცრო ტანის, წითურა დირექტორ ვლადიმერ პუტინს. ეს უკანასკნელიც ბერეზოვსკ-პატარკაციშვილის "პოლიტიკური საჯინიბოდან" იყო, თუმცა 1999 წლის დასაწყისში, ერთი შეხედვით, პუტინის შანსები რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე ისეთი მაღალი არ ჩანდა, როგორც მისი კონკურენტის. აქსიონენკოს ოლიგარქები და უზარმაზარ ფინანსური რესურსები უმაგრებდნენ ზურგს, პუტინს კი – მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების იმედი ჰქონდა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეფ-ეს-ბეს დირექტორის პოსტზე პუტინი, ბერეზოვსკის დიდი მონდომების შედეგად დაინიშნა და იმ ეტაპზე მისი კარიერის მწვერვალი რუსეთის პრემიერ-მინისტრობა უნდა ყოფილიყო.

1998 წლის ბოლოდან მოყოლებული "რუსეთის ძლიერების" (ფაქტიურად კი იმპერიის) აღდგენის იდეის დასმარებით პუტინმა ადვილად მოახერხა რუსეთის სპეცსამსახურების და გენერალიტეტის გადაბირება. ისინი ერთად დაუპირისპირდნენ აქსიონენკოს, როგორც მათთვის საძულველი "ბაბის" (ბორის ბერეზოვსკის მეტსახელი) "კაცს". ბევრმა ვერ გათვალა, თუ რა შორსმიმავალი მიზნები ჰქონდა პატივმოყვარე ვლადიმერ პუტინს.

რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე 1999 წლის შემოდგომისთვის ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის ერთადერთი კანდიდატი უკვე პუტინი იყო. წარმოიდგინეთ ქამელეონის გარდასახვის რა ნიჭი უნდა ჰქონდეს პუტინს, რომ ადამიანების ფსიქოლოგიის უბადლო მცოდნე ბორის ბერეზოვსკიც გააცურა?

ორი წლის შემდეგ ბერეზოვსკიმ თავს იმით უშველა, რომ ლონდონში გაიქცა და დიდი წვალების და მაქინაციების შემდეგ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა ნიკოლაი აქსიონენკოს ბედი. პრეზიდენტმა პუტინმა ის თანამდებობიდან მოხსნა, ხოლო რუსეთის პროკურატურამ 2001 წლის სექტემბერში სისხლის სამართლის საქმე აღძრა. დაპატიმრებას და მისჯილ ხოდორკოვსკის ბედს, აქსიონენკო მხოლოდ მძიმე ავადმყოფობის გამო გადაურჩა. თუმცა მალევე ლეიკოზით გარდაიცვალა გერმანიაში.

ასე რომ, პუტინ-აქსიონენკოს დაპირისპირებას ღრმა პოლიტიკური და პიროვნული მიზეზები ჰქონდა. საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა სწორედ იქ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, სადაც თავი ყველაზე ძლიერი ეგონა. "დიდი ბაბუ" პოლიტიკურ გათვლებში შეცდა. იმის დათვლა, თუ აფხაზეთის ომის დაწყების შემდეგ ეს უკვე მერამდენე შეცდომა იყო, მკითხველისთვის მომინდვია.

ისევ რუსეთიდან გამოგზავნილ "მილიონზე მეტს" დავუბრუნდეთ. საინტერესოა, რომ ინფორმირებული წყაროები ამტკიცებენ, რომ ეს ფული თითქმის სრულად მოხმარდა ისევ აქსიონენკოსა და ბერეზოვსკისთან დაახლოებულ პოლიტკონსალტინგურ ფირმა "იმიჯ-კონტაქტის" მიერ წინასაარჩევნო კამპანიისთვის ჩატარებული ანალიტიკური სამუშაობის ანაზღაურებასო.

ასე, რომ 1999 წელს სიტნიკოვი და მისი ხალხი საქართველოში ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის რეკომენდაციით და ნიკოლაი აქსიონენკოს (უფრო სწორედ რუსეთის ბიუჯეტიდან მოპარული) ფულით მოხვდნენ.

## ვინ შეადგინა საქართველოს ელექტორატის ზომბირების გეგმა?

ალბათ ყველას გვახსოვს იმ წლების დაუნდობელი პოლიტიკურ-პიროვნული ბრძოლა გუშინდელ თანამებრძოლებსა და რაც უფრო გასაოცარია, ნათელ-მირონით დაკავშირებულ პიროვნებებს შორის. მართლაც საოცრად "მძიმე" საქმეა ეს პოლიტიკა. მით უფრო საქართველოში.

"ვიცი, ვინ შეადგინა და ვინ ახორციელებს საქართველოს ფსიქო-პოლიტიკური მართვის გეგმას" განაცხადა 2003 წლის 23 თებერვალს პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ლევან მამალაძემ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკასთან" ინტერვიუში. მას მხედველობაში ალექსეი სიტნიკოვი და "იმიჯ-კონტაქტი" ჰქონდა.

მცირე დოსიე: სიტნიკოვი ალექსეი პეტრეს ძე, დაიბადა – 1962 წელს ნოვოსიბირსკში. 1984 წელს დაამთავრა ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიოლოგიის სპეციალობით.

1988-1990 წლებში ნოვოსიბირსკის ერთ-ერთ ინსტიტუტის სოციოლოგიურ ლაბორატორიაში მუშაობდა. ამ პერიოდში ცნობილი ამერიკელი პროფესორის ჯონ გრინდერის ხელმძღვანელობით შეისწავლა ნეიროლინგვისტური პროგრამირების (ნლპ) მეთოდები. ნლპ-ს მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ეს თეორია განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენება პოლიტიკურ პროცესებში ჩართული ხალხის – ელექტორატის მანიპულირებისთვის და სავსებით შესაძლებელია, როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე მოსახლეობის დიდი ჯგუფების მენტალიტეტის შეცვლა, მანიპულირება და ა.შ.

სიტნიკოვმა 1989 წელს დაარსა კონსალტინგური ფირმა "იმიჯ-კონტაქტი" – საარჩევნო კამპანიების და ტრეინინგის, ლობისტური კამპანიების და პიარის საკონსულტაციო ფირმა. დღემდე ამ ფირმას ჩატარებული აქვს 400-მდე საარჩევნო კამპანია რუსეთში და მის ფარგლებს გარეთ. სიტნიკოვის სიტყვებით ის 51 ქვეყანაში მუშაობდა. მის ფირმაში დაახლოებით 500-დე თანამშრომელია, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი (დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე) 300-დან 60 000 დოლარს შორის მერყეობს.

პარალელურად კითხულობს ლექციებს ფსიქოლოგიის და აკმეოლოგიაში. აღიარებულია, როგორც პოლიტტექნოლოგიისა და ჰიპნოზის ოსტატი. ხოლო არაკეთილისმოსურნენი ზომბირების ფსიქომანიპულირების

"დიდოსტატსაც".კი უწოდებენ. არის ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

"იმიჯ-კონტაქტი" უკვე თხუთმეტ წელზე მეტია რუსეთში პოლიტიკური პიარის ერთ-ერთი ლიდერია, "ნიკოლო-მ"-თან ერთად.

ჩვენმა საზოგადოებამ შეიძლება არ იცოლეს, რომ ამ ფირმას ყოველთვის მჭიდრო კავშირები ჰქონდა ბორის ბერეზოვსკისა და ბიდრი პატარაკაციშვილთან. სიტნიკოვს ხშირად ბერეზოვსკის პირად იმიჯმეიკერსაც კი ეძახდნენ. რუსეთში "იმიჯ-კონტაქტის" საქმიანობის დადებით მხარედ მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ეს კომპანია არასდროს მუშაობდა კომუნისტური პარტიის და ჟირინოვსკის მომხრეების სასარგებლოდ.

სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზის ჩატარების პირველი შეკვეთები "იმიჯ-კონტაქტმა" 1990 წელს მიიღო. მას შემდეგ ამ კომპანიის ხელმძღვანელების განცხადებით, ისინი მონაწილეობდნენ მთელ რიგ პოლიტიკურ მოვლენებში. კერძოდ მათი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა:

-1995 წელს რუსეთის სათათბიროს არჩევნები;

-1996 წელს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები ბორის ელცინის "გუნდში". იმ დროს ელცინის პოპულარობა რუსეთის მოსახლეობაში 3-5 % არ აღემატებოდა. მათ შექმნეს ცნობილი სლოგანი "ხმა მიეცი, თორემ დამარცხდება", კომუნისტების ხელისუფლებაში მოსვლას მაშინ რუსეთის მოსახლეობამ ლოთი პრეზიდენტის არჩევა ამჯობინა. ელცინის გამარჯვებაში, ადმინისტრაციულ რესურსებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სიტნიკოვის ჯგუფის მიერ კომუნისტების ხმების წასართმევი პროექტი "ალექსანდრე ლებედის" შექმნამ;

- გუბერნატორების არჩევნები რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში;

მათ შეძლეს 1999 წლის რუსეთის სათათბიროს არჩევნებისთვის სენსაციურად მოკლე დროში შექმნილი პარტიის "ერთობა" წინასაარჩევნო კამპანიის შედგენა და რუსეთის ახალ ლიდერად ბერეზოვსკ-პატარაკაციშვილის "კაცის"- ვლადიმერ პუტინის იმიჯის შექმნა. იმ არჩევნებში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ რუს კომუნისტებს და ლუჟკოვ-პრიმაკოვის პარტია "სამშობლოს".

- 1999 წელს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში "მოქალაქეთა" კონსულტაცია და ანალიტიკა;

- 1999 წელს საპეზიდენტო არჩევნები უკრაინაში, – ლეონიდ კუჩმას შტაბის კონსულტაცია;

1999 წელს რუსეთის სათათბიროში ბორის ბერეზოვსკის არჩევა ყარაჩაევო-ჩერქეზეთის მხარიდან. სიტნიკოვის განცხადებით იმ არჩევნებზე მათ ერთ კვირაში შეძლეს ბერეზოვსკის კანდიდატურის ბოლო ადგილიდან ლიდერად ქცევა და გამარჯვება;

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში და ა.შ.

1996 წელს ბორის ელცინის პრეზიდენტად არჩევის ღონისძიებებში მონაწილეობის დროს სიტნიკოვი დაუახლოვდა რუსეთის რკინიგზის შეფს ნიკოლაი აქსიონენკოს. ამ პერიოდიდან მოყოლებული აღნიშნული ფირმის ერთ-ერთი მთავარი შემკვეთი რუსეთის საგზაო მიმოსვლის სამინისტრო იყო. სიტნიკოვი დღესაც აცხადებს, რომ აქსიონენკო რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მენეჯერი იყო.

## ვისია, ვისია ეს "უცნაური ჯგუფი"?

### ანუ როცა პრეზიდენტის სავარძლის დაკარგვის შიშს დიდი თვალები აქვს!

ვინ იყვნენ სიტნიკოვის ჯგუფში – "პოლიტტექნოლოგები" თუ რუსეთის ჯაშუშები? ეს კითხვა დღესაც აქტუალურია.

ექს-პრეზიდენტი შევარდნაძე ამტკიცებს, რომ სიტნიკოვის "ანალიტიკური გუნდის" ეგიდით 1999 წელს საქართველოში ჩამოვიდა 10-15 კაციანი "უცნაური ჯგუფი", რომლებიც თურმე: "დადიოდნენ ხან აკადემიაში (ალბათ მეცნიერებათა, თორემ სამხედრო აკადემიაში რატომ უნდა შეეშვათ? – ბ.ა.), ხან უნივერსიტეტში (საინტერესოა რა საიდუმლო ინფორმაციას ინახავდა უნივერსიტეტი, რომ რუსებმა ღიად მოსკოვიდან სპეცჯგუფი გამოაგზავნეს იქ "შესაღწევად"? – ბ.ა.), გასამხედროებულ ინსტიტუტებში, საავიაციო ქარხანაში, სურათებს იღებდნენ, რაღაცეებს წერდნენ . ძალიან საეჭვო ვითარება იყო".

მკითხველი თუ ყურადღებას მიაქცევს ეს "შევარდნაძის სია" წინასაარჩევნო პერიოდში ელექტორატის სოციოლოგიურ გამოკითხვას უფრო ჰგავს, ვიდრე სპეცსამსახურის "ფარულ მუშაობას".

ვაკეში, "ავრორაში" მცხოვრებ "იმიჯ-კონტაქტის" ჯგუფის წევრებს, რომლებსაც შევარდნაძე ზურაბ ჟვანიას სტუმრებს და რუს ჯაშუშებს უწოდებს, გარეგნულად მართლაც ეტყობოდათ სპეცსამსახურებთან კავშირი. მკაცრი და სერიოზული სახეები, ათლეტური აღნაგობა, მაქსიმალური კონსპირაცია და თქვენ წარმოიდგინეთ ქართულ მამა-პაპურ მოლხენაზეც უარის თქმა, ალბათ ბევრ, საქმის არსში ნაკლებად ჩახედულ ადამიანს, საიდუმლო სამსახურის თანამშრომლების ასოციაციას აღუძრავდა. თუმცა ისინი სპეცრაზმის წევრებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე დაზვერვის სამსახურის ანალიტიკოსებს.

რუსეთის სპეცსამსახურებს საეჭვოა, ღიად და ოფიციალურად, თუნდაც ანალიტიკოსების საფარქვეშ, მზვერავები (მით უფრო სპეცრაზმის წევრები) გამოეგზავნათ მაშინ, როცა იმ წლებში (ისე როგორც დღესაც) რუსეთის სამივე სპეცსამასახურის (ეფ-ეს-ბე, საგარეო და სამხედრო დაზვერვები), როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ რეზიდენტურებს საქართველოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში ჩანერგილი აგენტურის საშუალებით

სრული და ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდათ ჩვენთან მიმდინარე პროცესების შესახებ.

ასე, რომ ვერ დავეთანხმებით ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს, როდესაც ის ამტკიცებს, რომ ეს "ჯაშუშური ჯგუფი" სახელმწიფო საიდუმლოების ხელში ჩასაგდებად ჩამოვიდა ათასობით კილომეტრიდან, მაშინ, როცა აქვე თბილისში თბილ კაბინეტებში რუსეთის უამრავი ჯაშუში იყო მოკალათებული. ეს ბ-ნმა შევარდნაძემაც ხომ კარგად იცის. მაშ რატომ აღელდა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ისე, რომ ყოველგვარი სუბორდინაციის დარღვევით სახელწიფო დაცვის სპეცსამსახურის ხელმძღვანელს კი არა, არამედ ვინმე "დაცვის ბიჭს" დაავალა "დოკუმენტების ხელში ჩაგდება? რა იყო ამის ნამდვილი მიზეზი?

ისტორიამ მრავალჯერ დაგვანახა, რომ პოლიტიკოსისთვის, ისევე, როგორც ვეტერანი სპორტსმენისთვის, ყველაზე მთავარი და დასაფასებელი დროულად წასვლაა. ამავე დროს ყველაზე რთულიც ამ გადაწყვეტილების მიღება ყოფილა.

## ედუარდ შევარდნაძის პროექტი "მემკვიდრე"

1999 წლის შემოდგომაზე საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 72 წელს იყო უკვე მიღწეული, თუმცა დასვენებას და პენსიაზე წასვლას ნამდვილად არ ჩქარობდა. მომდევნო წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვება და კიდევ ხუთი წლით ქვეყნის მართვა სწყუროდა.

2005 წლისთვის კი "პოლიტიკური მემკვიდრის" დასახელებას გვპირდებოდა. თან ჩვეული "ბიზანტიური პოლიტიკით" ხელს უწყობდა ქვეყნის პრეზიდენტობის მსურველ პოლიტიკოსთა და ჩინოვნიკთა ამბიციების გაღვივებას. პარალელურად მათ ერთმანეთზე წაკიდებასაც დიდი ოსტატობით ახერხებდა.

სიტნიკოვი დღესაც ღიად აცხადებს, რომ 1999-2000 წლებში წარმატებით მუშაობდა პირადად შევარდნაძესთან, ჯერ საპარლამენტო, ხოლო შემდეგ კი საპრეზიდენტო არჩევნების სტრატეგიისა და ტაქტიკის პროგრამის შედგენისას. რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი პოლიტტექნოლოგის ეს აღიარება ბევრ კითხვას ბადებს.

1999 წელს, როდესაც სიტნიკოვის პიარჯგუფი ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის რეკომენდაციით და ნიკოლაი აქსიონენკოს ფულით თბილისში წინასაარჩევნო კამპანიას გეგმავდა, ეჭვი არავის გასჩენია და საინტერესოა როდის გახდა "იმიჯ-კონტაქტი" რუსეთის "ჯაშუშების ჯგუფი"?

ან რატომ დასჭირდა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს "პარტიზანული" მეთოდებით ამ კონსალტინგური ჯგუფის დოკუმენტაციის ხელში ჩაგდება?

არსებობს ვერსია, რომ შევარდნაძე იმიტომ გაცეცხლდა სიტნიკოვის ჯგუფზე, რომ მათ ფარულად შევარდნაძის შესაძლო მემკვიდრის გამოსავლენად დაიწყეს ინფორმაციის შეგროვება, მოსახლეობის გამოკითხვა და მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურების მონაცემების ანალიზი.

ბუნებრივია სიტნიკოვი პირადი ინიციატივით ამას ვერ გააკეთებდა, აბა მაშ ვის შეეძლო მისთვის ამგვარი საიდუმლო დავალების მიცემა?

ბუნებრივია იმას, ვისი რეკომენდაციითაც ჩამოვიდა საქართველოში. ბერეზოვსკი და პატარკაციშვილი ალბათ ფიქრობდნენ, რომ 1999 წლის გაზაფხულისთვის რუსეთში უკვე "დაალაგეს საქმე" და "პოლიტიკური თავლიდან" პუტინ-აქსიონენკოს შორის რუსეთის მომავალი პრეზიდენტის მათთვის ყველაზე მისაღები კანდიდატურის შერჩევაღა რჩებოდათ. ამიტომაც ჩვენთვისაც მოიცალეს და პოსტშევარდნაძისეულ საქართველოს მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატურაზე დაიწყეს ფიქრი.

იმ პერიოდში პოლიტიკურ კულუარებში პრეზიდენტობის ორ გამოკვეთილ კანდიდატზე – ზურაბ ჟვანიასა და კახა თარგამაძეზე – საუბრობდნენ. ალბათ ამიტომაც, უშუალოდ ბერეზოვსკის დავალებით, "იმიჯ-კონტაქტმა" მათი რეიტინგების გასათვლელად სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარება დაიწყო. ეს ფაქტი შევარდნაძის ყურამდეც მივიდა, თუმცა მისი რეაქცია არ იყო ისეთი მკვეთრი, როგორიც ამჟამადაა და არავინ ეძახდა მაშინ სიტნიკოვის ხალხს "რუს ჯაშუშებს", წინაარმდეგ შემთხვევაში 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის "იმიჯ-კონტაქტის" რეკომენდაციებით რატომ უნდა ესარგებლათ?

შევარდნაძემ კარგად გამოიყენა ეს სკანდალი ჟვანია-თარგამაძეს შორის დიდი დაპირისპირების გასაღვივებლად.

## კვლავ აგენტომანია?

კურიოზულია, მაგრამ საქართველოში "რუსეთის ჯაშუშებად" წოდებულ სიტნიკოვს და "იმიჯ-კონტაქტს", რუსეთში დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურებს უკავშირებენ. სიტნიკოვი თავად კი პირდაპირ აცხადებს: " ჩვენ არ ვართ დაკავშირებული არც ერთ ოლიგარქულ ჯგუფთან, არც კრიმინალებთან, არც დასავლეთის სპეცსამსახურებთან და არც ბორის ბერეზოვსკისთან".

ჩვენთან სიტნიკოვის კონსალტინგური ჯგუფის ჯაშუშებად საქვეყნოდ მონათლა მოგვიანებით, 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ,

მოხდა. ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი უნდა გავიხსენოთ. 2003 წლის შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნების წინ, უფრო ზუსტად კი 24 ოქტომბერს, "სვობოდნაია გრუზიაში" გამოქვეყნდა ძალზე საინტერესო პუბლიკაცია სიტნიკოვზე. ეს სტატია "შავი პიარის" კარგი მაგალითია.

პუბლიკაციის სქემა ასეთია: სიტნიკოვი წოდებულია ჰიპნოზისა და ზომბირების სპეციალისტად, რომელიც ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოდან, ნოვოსიბირსკის აკადემქალაქში მოღვაწეობის პერიოდიდან, დაკავშირებული იყო კა-გე-ბესთან. გორბაჩოვის დროს ის კა-გე-ბეს კონსულტაციებს უწევდა პარაფსიქოლოგიის საკითხებში, შემდეგ უკვე რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა.

პუბლიკაციაში პირდაპირი პარალელი იყო გატარებული სიტნიკოვის, როგორც რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლის კავშირებზე "ბურჯანაძე დემოკრატებთან" და "ნაციონალურ მოძრაობასთან".

ეჭვს არ იწვევს, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე სახელისუფლებო გაზეთში გამოქვეყნებული ეს სტატია, შევარდნაძის პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტირებას ისაბაძდა მიზნად.

## რა კავშირი აქვს ალექსეი სიტნიკოვს სპეცსამსახურებთან?

რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას ალექსეი სიტნიკოვი არასდროს მალავდა. რის შესახებაც 1998 წელს "კომსომოლსკაია პრავდასთან" ინტერვიუში განაცხადა კიდეც. კერძოდ 1996 წელს, როდესაც "იმიჯ-კონტაქტი" ბორის ელცინის საარჩევნო შტაბში მიიწვიეს, სიტნიკოვი შტაბის უფროსის მოადგილეს, გენერალ გიორგი რაგოზინს შეხვდა. ეს პიროვნება იმდენად არაორდინარულია, რომ ღირს მის შესახებ უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ.

ტელეპათიით, ოკულტიზმითა და პარაფსიქოლოგიური კვლევებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის დაცვის უფროსის ალექსანდრე კორჟაკოვის მოადგილე, გენერალ-მაიორი გიორგი როგოზინი.

მცირე დოსიე: გიორგი როგოზინი დაიბადა 1942 წელს, გენერალ-მაიორი. წლების მანძილზე მუშაობდა კა-გე-ბეს მე-3 სამმართველოს (სამხედრო კონტრდაზვერვა) ოპერატიულ-ანალიტიკურ სამსახურში. შემდეგ კა-გე-ბეს მე-2 მთავარი სამმართველოს (კონტრდაზვერვა) სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ "პროგნოზში", სადაც ამუშავებდა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ფსიქოლოგიური დაცვის ხერხებსა და მეთოდებს.

ბოლოს ის "ელბიმ-ბანკის" სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის დირექტორი და პარალელურად ეკონომიკური უსაფრთხოების და რისკების მართვის რუსეთის სააგენტოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში როგოზინს კრემლის მთავარ ასტროლოგს და "მუდამ ფხიზელი ბორისის" პირად "შამანს" ეძახდნენ. გავრცელებული ინფორმაციით მას განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა ელცინის ოჯახზე, პირველ რიგში კი ნაინა ელცინაზე ჰქონდა, რომელიც მისი რჩევების გარეშე თურმე სახლიდანაც არ გადიოდა.

ალექსეი სიტნიკოვი იმ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ის ასწავლიდა ნაინა ელცინას, როგორ არ დამსგავსებოდა რაისა გარბაჩოვას.

ასე, რომ ჯერ კიდევ 1998 წელს თავად სიტნიკოვი არ მალავდა კონტაქტებს რუსეთის სპეცსამსახურებთან და დავიჯეროთ ეს ფაქტი (თუნდაც ეს ინტერვიუ) უცნობი იყო საქართველოს ხელისუფლებისთვის და მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ – 2003 წლის ოქტომბერში გახდა ცნობილი?

## რა საერთო აქვს სიტნიკოვს "ვარდების რევოლუციასთან"?

საინტერესოა, რომ სიტნიკოვის ჯგუფი აქტიურად მუშაობდა იმ ქვეყნებში სადაც შემდგომ "ფერადი რევოლუციები" მოხდა. რუსული ელექტრონული მედია დღესაც ამტკიცებს, რომ საქართველოს "ვარდების რევოლუციის" სათავეებთან სიტნიკოვი იდგა.

ფაქტია, რომ საარჩევნო საქმის მეტრად წოდებული ალექსეი სიტნიკოვი "რაღაც მანქანებით" საქართველოს შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლო წლებშიც აქტიურად მონაწილეობს. ცნობილი წინასაარჩევნო სლოგანი "მილიონი სამუშაო ადგილი" – "მოქკაშირის" მთავარი დაპირება 1999 წლის არჩევნებისთვის, სწორედ "იმიჯ-კონტაქტს" ეკუთვნის.

რუსული მედია უკვე კარგა ხანია სიტნიკოვის სახელს უკავშირებს საქართველოში 2001-2002 წლების მანძილზე მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, უპირველესად კი ზურაბ ჟვანიას გუნდის წასვლას ედუარდ შევარდნაძის ოპოზიციაში. მათი მტკიცებით 1999 წელს "იმიჯ-კონტაქტის" პოლიტტექნოლოგთა ჯგუფი, რომელსაც აქ ნიკოლაი სიდოროვი ხელმძღვანელობდა, აქტიურად მონაწილეობდა "მოქალაქეთა კავშირის" "ახალგაზრდული გუნდის" (როგორც რუსი ჟურნალისტები ამტკიცებენ მათ შორის საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის) იმიჯის შექმნაში.

თავად სიტნიკოვი 2005 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა, რომ 2001-2002 წლებში მისი ჯგუფი ძალზე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კვლევაში. რუსი პოლიტტექნოლოგი ხაზგასმით აცხადებს, რომ ისინი პირადად მუშაობდნენ

საქართველოში ედუარდ შევარდნაძესთან, ხოლო უკრაინაში – ლეონიდ კუჩმასთან.

სიტნიკოვი ამაყად აცხადებს, რომ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალი პოლიტიკური ელიტის ფორმირებაში საქართველოსა და უკრაინაში. ძველმა ხელმძღვანელობამ თავისი დრო მოჭამა და უნდა წასულიყო, რადგანაც მათი მენტალიტეტი ჩამორჩა ცხოვრების ახალ მოთხოვნებსო – ასეთია რუსი პოლიტტექნოლოგის აზრი.

სიტნიკოვი საკუთარ დამსახურებად მიიწერს 2001-2002 წლებში "ჟვანიას გუნდის" პიარტექნოლოგიების შემუშავებას, 2003 წელს "ვარდების რევოლუციასა" და 2004-2005 წლებში – უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებში უკვე ვიქტორ იუშჩენკოს – გამარჯვებას.

ამ წარმატებების საწინდარი, სიტნიკოვის შეხედულებით, ნეიროლინგვისტური პროგრამირების (ნლპ) გამოყენებაა.

## რა არის "ნ ლ პ" ?

ნეიროლინგვისტური პროგრამირების აკტორებად მიჩნეული არიან ამერიკელი მეცნიერები: ჯონ გრინდერი და რიჩარდ ბენდლერი, რომლებმაც 1970-იანი წლების დასაწყისში შექმნეს ეს ე.წ. "ეფექტიანი ურთიერთობის თეორია", რომლის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ შესაბამისი ფსიქოტექნიკური მეთოდებით სავსებით შესაძლებელია ხალხთა მასების მანიპულირება, როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე მოსახლეობის დიდი ჯგუფების მენტალიტეტის შეცვლა და ა.შ. ამტკიცებენ, რომ ეს თეორია განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენება პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართული ხალხის – ელექტორატის მანიპულირებისთვის.

ძნელია იმის მტკიცება სიტნიკოვის სიტყვებში სადაა ტრაბახი და სად სიმართლე. პიარტექნოლოგიების ბიზნესში საკმაოდ დიდი კონკურენციაა და ამიტომაც "იმიჯ-კონტაქტის" და პირადად სიტნიკოვის კონკურენტები ყოველნაირად ცდილობენ მისი წარმატებები მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას მიაწერონ.

ადამიანის ცნობიერების დასამორჩილებლად რუსეთის სპეცსამსახურების მუშაობა კვლავ გრძელდება, თანაც მაქსიმალურად გასაიდუმლოებულ რეჟიმში, რადგანაც ზოგადად ადამიანის, კონკრეტულად კი პარაფსიქოლოგიის და ტელეპათიის შესაძლებლობები მართლაც რომ ამოუწურავი და ბოლომდე შეუსწავლელია.

ზოგიერთი ინფორმაციით ამჟამად რუსეთში ამ კვლევებს ხელმძღვანელობს რუსეთის პრემიერ-მინისტრ პუტინის დიდი ხნის მეგობარი და რუსეთის ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინი. ცნობისათვის, ისიც ყოფილი კა-გე-ბეს ოფიცერი და პუტინის "მარჯვენა ხელია".

2008 წლის მაისში ყოფილმა რუსმა მილიარდერმა, ამჟამად კი პატიმარმა, მიხეილ ხოდორკოვსკიმ ბრიტანულ გაზეთ "სანდი თაიმსთან" ინტერვიუში პირდაპირ დასდო ბრალი იგორ სეჩინს მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში. საინტერესოა, რომ სეჩინი 2008 წლის დეკემბრიდან ხელმძღვანელობს "ინტერ რაო ეეს"-ს დირექტორთა საბჭოს, ანუ ფაქტიურად რუსეთის ელექტროენერგეტიკის განვითარებას და ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტს. "ენგურჰესთან" დაკავშირებული სკანდალური კონტრაქტის გაფორმების საკითხებსაც სწორედ იგორ სეჩინი ხელმძღვანელობდა.

## მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალება — შემთხვევითობა თუ პოლიტიკური მკვლელობა?

ოცი წლის წინ, 1989 წლის 13 ოქტომბერს, პარასკევ დღეს, სოფელ ბორითთან ძალზე საეჭვო საავტომობილი კატასტროფაში დაიღუპა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, როგორც ზვიად გამსახურდიამ მისი დაკრძალვის დღეს მთაწმინდის პანთეონში წარმოთქმულ გამოსათხოვარ სიტყვაში მოიხსენია - "ყველა ქართველის საფიცარი" მერაბ კოსტავა. "მრავალჯერ გაგაფრთხილე, მრავალჯერ გთხოვე, შენი სიცოცხლე შეგვინარჩუნე-მეთქი, მაგრამ შენ მუდამ მაღლა იდექი ყოველგვარ შიშზე. მუდამ მაღლა იდექი ყოველგვარ სულმოკლეობაზე!" – განაცხადა მაშინ საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა.

ბევრის აზრით ეს კატასტროფა სპეცსამსახურების მოწყობილი იყო და მათი ამოცანა-მაქსიმუმი იყო ის, რომ ავტოავარიის შედეგად "ნივის" სამივე მგზავრი, ეროვნული მოძრაობის ყველაზე ზომიერი და პატრიოტული ფრთის წარმომადგენლები მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე და თამარ ჩხეიძე ადგილზე დალუპულიყვნენ. შემთხვევითობის გამო ადგილზე მხოლოდ კოსტავა დაიღუპა. ხოლო ზურაბ ჭავჭავაძე ამ ავარიიდან ორი თვის შემდეგ საავადმყოფოში "ბ" ჰეპატიტის ვირუსის შედეგად გარდაიცვალა. საკამათო არაა, რომ ეს ორი პიროვნება აბალანსებდა და აწონასწორებდა ეროვნული მოძრაობის, ყველაზე რადიკალურ და რბილად, რომ ვთქვათ "ემოციურ ფრთას" – უპირველესად ზვიად გამსახურდიას და გია ჭანტურიას.

## დაჰყავი და იბატონე

საბჭოთა კა-გე-ბე ძალზე მიზანმიმართულად მუშაობდა ქართული ეროვნულ მოძრაობის გასახლეჩად. 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან მოსკოვი წარმატებით ნერგავდა თავის აგენტურას საქართველოში მოქმედ

არალეგალურ პოლიტიკურ პარტიებსა და ახალგაზრდულ პატრიოტულ ჯგუფებში. მართალია ყველა ძირითად "შავ" ოპერატიულ სამუშაოს უშიშროების ადგილობრივი კადრები აკეთებდნენ, მაგრამ მათ მოსკოვი ბოლომდე მაინც არ ენდობოდა და ისინი საკავშირო კა-გე-ბეს მკაცრი კონტროლის ქვეშ მოქმედებდნენ.

დადასტურებული ფაქტია, რომ ზ. გამსახურდიას "დამუშავების" და 1977 წელს ცნობილი "მონანიების პროცესისათვის" მომზადების პირადად გენერალ-პოლკოვნიკი (შემდეგ კი არმიის გენერალი) ფილიპ ბობკოვი, საკავშირო კა-გე-ბეს მე-5 მთავარი სამმართველოს ("იდეოლოგიური") შეფი ხელმძღვანელობდა.

კა-გე-ბეს შეფებს – ანდროპოვს, ჩებრიკოვსა და შემდეგ კრიუჩკოვს, დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდათ საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში გაერთიანებული პარტიების, მათი ცალკეული წევრების და თვით ლიდერების შესახებაც.

1980-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის მომძლავრების და ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ მოსკოვის აგენტურამ, ეს მგონი უკვე ყველასთვის ნათელია, მნიშვნელოვანი სახელისუფლებო და პარტიული პოსტები ჩაიგდო ხელში და თავისი ხალხი გაიყვანა. პარალელურად საბჭოთა კავშირის (შემდგომ რუსეთის) სპეცსამსახურებმა შეძლს ეროვნული მოძრაობის ლიდერებს შორის დაპირისპირების შეტანა და ქვეყნისთვის დამღუპველი სამოქალაქო ომის ინსპირირება.

ეროვნული მოძრაობის გასახლეჩად კა-გე-ბე სხვადასხვა მეთოდებს იყენებდა. ერთ-ერთი ასეთი, მრავალგზის შემოწმებული ხერხი, "რუსეთის აგენტობაში" ბრალის წაყენება იყო. ეროვნული მოძრაობის ლიდერების კამათი თუ უბრალო შელაპარაკება, მყის ხდებოდა საზოგადოების განსჯის საგანი. ამას კი ლიდერებს და მათ მომხრეებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება მოჰყვებოდა. კა-გე-ბეს ადგილობრივი კადრები ძალას არ იშურებდნენ, რომ ათასგვარი დეზინფორმაცია გავრცელებულიყო ყველაზე პატრიოტ და ზომიერ ლიდერებზე. შედეგად მივიღეთ მრავალ წვრილ-წვრილ პარტიად დაქსასული და ურთიერთდაპირისპირებული საქართველოს ეროვნული მოძრაობა.

დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ სწორედ მაშინ, 1989 წლის 13 ოქტომბერს, დაიწყეს საბჭოთა სპეცსამსახურებმა "მართვადი ქაოსის" სპეცოპერაციის რეალური განხორციელება საქართველოში. დროც გამიზნულად იყო შერჩეული.

გავიხსენოთ, რომ 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში "ერი და ბერი" არნახულმა ერთიანობამ მოიცვა. მთავარი იყო, თუ რა გზას აირჩევდა საზოგადოება, რომელიც ხშირ შემთხვევაში "ბრმად" მიჰყვებოდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს – ზომიერს, გონიერულს, თუ ყველაზე რადიკალურს. ვითომ შემთხვევითობა იყო, რომ "უხილავმა ძალამ" სწორედ

ურაპატრიოტული ლოზუნგების და მოქმედებების მომხრე პოლიტიკურ ლიდერებს გაუკაფა გზა ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად? 1989 წლის 13 ოქტომბერს და 21 დეკემბერს ეროვნულ მოძრაობას გამოაკლდა ორი ბურჯი. მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძეს ფაქტიურად არ დასცალდათ ბოლომდე დახარჯულიყვნენ საკუთარი ქვეყნისთვის, მათ ბევრი მოასწრეს მაგრამ უფრო ბევრი გასაკეთებელი დარჩათ. სწორედ მათში ხედავდა ბევრი საქართველოს ეროვნული მოძრაობის ყველაზე პატრიოტ, გონიერ და წინდახედულ ლიდერებს. მათი გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ნიშა აღუვსებელი დარჩა და იმძლავრა ფანატიზმა, რადიკალიზმა და გაუაზრებელი გადაწყვეტილებების მიღებამ. გარეშე ძალების ჩარევის შედეგად საქართველოს ეროვნული მოძრაობა კიდევ უფრო გაიხლიჩა, რასაც სამოქალაქო ომი, სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაკარგვა (იმედია დროებითი) მოჰყვა.

## ორი განსხვავებული მოსაზრება ამ ტრაგედიის შესახებ

1989 წლის 13 ოქტომბერს მომხდარი ტრაგედია მაშინვე გასცდა მხოლოდ მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის ოჯახების ტკივილს და სრულიად საქართველოს მოუშუშებელ იარად იქცა.

მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალების ფაქტი ჩვენმა საზოგადოებამ თავიდანვე დიდი ეჭვით მიიღო. ამგვარი "შემთხვევითი ავტოავარიის" საზოგადოების უმრავლესობას არც მაშინ სჯეროდა და არც ეხლა, ოცი წლის შემდეგ, უნდა დაიჯეროს. გამოითქვა უამრავი ვერსია და ტყუილ-მართალი ერთმანეთში აირია. გამომძიების ოფიციალური ვერსია თავიდანვე, რაღაც ბუნდოვანი იყო, თითქოს მაშინდელ კომუნისტურ ხელისუფლებას სიმართლის დაფარვა უნდოდა.

მაშინდელი ოფიციოზის პრესის "ფლაგმანი", გაზეთი "კომუნისტი" 1989 წლის 15 ოქტომბერს მესამე გვერდზე "ჰადვალში" (როგორც მეგაზეთეები ეძახიან –ბ.ა.) მოთავსებულ მცირე ინფორმაციაში იტყობინებოდა: " ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითთან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაიღუპა მერაბ კოსტავა. ზურაბ ჭავჭავაძემ ავტოკატასტროფის შედეგად მიიღო ქალა-ტვინის დაზიანება. მისი მდგომარეობა ძალზე სერიოზულია. იგი უკვე ორჯერ იმყოფებოდა კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში. .".

ეჭვი გააძლიერა იმ ფაქტმაც, რომ ბატონი ზურაბ ჭავჭავაძე მაშინ გარდაიცვალა, როდესაც ყველას გვეგონა, რომ კრიტიკული წერტილი დაძლეული იყო.

ძალზე ბევრი კითხვა დღესაც პასუხგაუცემელია. ყველა ადამიანი წარმავალია და ჩემი აზრით, არამართებული იქნება, თუ ჩვენ თანამედროვეებს და მომავალ თაობას, ამ და სხვა ტრაგიკულ ფაქტებთან დაკავშირებით სრულ სიმართლეს არ დავუტოვებთ. ამიტომაც მსურს მკითხველს ამ ავტოკატასტროფის და მის შემდეგ განვითარებული მოვლენების ორი განსხვავებული ვერსია შევთავაზო. ეს ის შემთხვევაა, როცა უპრიანია თქვენი მონა-მორჩილის პირადი მოსაზრებების ნაცვლად, ვცდ ამ ტრაგიკული მოვლენების უშუალო მონაწილეების მოსაზრებებს გავეცნოთ.

ამიტომაც გავბედე და პირველად ზურაბ ჭავჭავაძის მეუღლე ქალბატონი ნანა ჭავჭავაძე შევაწუხე და იმ მძიმე დღეების გაბსენება ვთხოვე. ამ საუბარს უცვლელად გთავაზობთ. დარწმუნებული ვარ საზოგადოება ბევრ საინტერესო ფაქტს პირველად შეიტყობს. შეიძლება ზოგს განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს. ჩვენ მზად ვართ ყველას მოვუსმინოთ და მათი მოსაზრებები საზოგადოებას გავაცნოთ.

ბ.ა. ქალბატონო ნანა, თქვენი დახმარებით, იქნებ ოდნავ მაინც მოვფინოთ ნათელი ამ ტრაგედიას.

— ჩემი დახმარებით რა გითხრათ, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა დაკითხვა ეფიქრობ ნაწილობრივ მაინც მოფენდა ნათელს ამ ტრაგედიას.

ბ.ა ცნობილია, რომ მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე და თამარ ჩხეიძე ქუთაისში იმყოფებოდნენ და ტრაგედიაც თბილისში დაბრუნებისას მოხდა. ბატონ ზურაბს ხომ არ უთქვამს გამგზავრების კონკრეტული მიზანი. მათი გამგზავრება-დაბრუნების შესახებ ბევრისთვის იყო ცნობილი? ხომ არ იცით ვისთან ჰქონდათ შეხვედრები ქუთაისში?

—1989 წლის 12 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრები ქუთაისის მოსახლეობასთან შესახვედრად იყვნენ ჩასულნი.

ბ.ა. - ავტოავარიის ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალურ ვერსიასთან ერთად მაშინვე გაჩნდა სხვა ვერსიებიც:

ა. გზაზე ცხოველის (ძროხა ან ძაღლი) გადარბენის და

ბ. მოულოდნელად ფერდობიდან გზაზე საბურავის ჩამოგორების გამო თ. ჩხეიძემ საჭე მარცხნივ მიატრიალა და მუხრუჭს დააწვა, რის გამოც "ნივა" ამოტრიალდა. თქვენთვის რა არის ცნობილი ავარიის ოფიციალური ვერსიის და მიზეზების შესახებ?

— ამ კატასტროფას თავიდან უბედურ შემთხვევად მივიჩნეევდი და ავტოავარიის მიზეზად, პირველ რიგში ავტომობილის არასწორი და ცუდი მართვა მიმაჩნდა. რაშიც დღეს უკვე ეჭვი მეპარება, რადგან მიმაჩნია, რომ ზურას სიკვდილი ბევრისთვის ხელსაყრელი იყო. ვერსიები ცხოველის გადარბენისა და საბურავის დაგორების თაობაზე მეც მიამბო თამარ ჩხეიძემ.

ძალიან ბევრი ადამიანი წავიდა ამ ქვეყნიდან გაურკვეველი და ბნელით მოცული მიზეზებით. ზურას გარდაცვალებიდან ათიოდე წლის შემდეგ ჩემთვის

ცნობილი გახდა, რომ კატასტროფის ადგილზე ავტომანქანის შემოწმებისას მუხრუჭის მილები გადაჭრილი იყო.

გამოძიება ზერელედ მიმდინარეობდა. როგორც ვიცი, მანქანა გამქრალია, რაც გამორიცხავს ხელახალი ექსპერტიზის ჩატარებას.

ბ.ა. როდის და ვისგან შეიტყვეთ მომხდარი ტრაგედიის შესახებ?

–ცამეტ ოქტომბერს უცნაურად ბევრი ადამიანი რეკავდა სახლის ტელეფონზე. დღემდე ვერ ვიხსენებ ვინ შემატყობინა ეს ამბავი.

ბ.ა. - არსებობს ვერსია, რომ მათ "ნივას" ქუთაისიდან მოჰყვებოდა "სასწრაფო დახმარების" მანქანა და ავარიის შემდეგ ისინი პირველები მივიდნენ დაზარალებულებთან და რაღაც ინექცია გაუკეთეს. თქვენ ხომ არ გსმენიათ ამის შესახებ?

– რა თქმა უნდა მსმენია თამარ ჩხეიძისგან. სასწრაფო დახმარების მანქანა ავარიის ადგილას რამდენიმე წუთში გაჩნდა. ფაქტია, სასწრაფო დახმარების გამოძახებას ვერავინ შეძლებდა. "ექიმებს" ზურა გარდაცვლილი ეგონათ, ამიტომაც გადაურჩა ინექციას, რომელიც მანქანიდან თავისი ფეხით გადმოსულ მერაბ კოსტავას გაუკეთეს (არსებობს ვერსია, რომ მერაბ კოსტავა ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია იმ პირებისთვის ბ.ა.) მიუხედავად ურთულესი ვითარებისა, სასწრაფო მანქანამ მიატოვა დაზარალებულები. მათი გაუჩინარებიდან ორიოდე წუთში მერაბ კოსტავა გარდაიცვალა.

ბ.ა. -რა ტრამვები აღენიშნებოდა ბატონ ზურაბს?

– თავის ტრამვა.

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური დიაგნოზიც ქალა-ტვინის დაზიანება იყო – ბ.ა).

ბ.ა. ცნობილია, რომ ავარიის შემდეგ ბატონი ზურაბი სოფელ ბორითის ამბულატორიაში გადაიყვანეს. თქვენი აზრით იმ ეტაპზე ჩატარებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ეფექტიანი იყო?

– ავარიის შემდეგ ზურა ბორითის ამბულატორიაში გადაიყვანეს. სურამიდან სასწრაფოდ ჩამოიყვანეს ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ზურას დასახმარებლად.

ბ.ა. ცნობილია, რომ მოსკოვიდან ჩამოფრინდა ექიმი, ხომ ვერ გაიხსენებით მის გვარს?

– მოსკოვის ბურდენკოს სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის პროფესორი სეროვსკი ორჯერ იყო ჩამოსული. სამჯერ ჩამოვიდა ცნობილი ნეირორეანიმატოლოგი პოტაპოვი. იყვნენ ფრანგი ექიმებიც.

ბ.ა. - ცნობილია, რომ ბატონი ზურაბი სამკურნალოდ ნეიროქირურგიის ინსტიტუტში მოათავსეს. თქვენი აზრით მკურნალობის კურსი ეფექტიანი იყო?

– უკეთესობა ნამდვილად აღენიშნებოდა, განსაკუთრებით მკურნალობიდან ორმოცდაათი დღის შემდეგ.

ბ.ა. - ბატონი ზურაბი ავარიიდან ორი თვეზე მეტი ხნის შემდეგ, 1989 წლის 21 დეკემბერს, გარდაიცვალა. რა დასახელდა ოფიციალურ მიზეზად?

— ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ქალას ფუძის მოტეხილობა.

ბ.ა. - ხომ არ იყო მკურნალობის პროცესში რაიმე ფაქტი, მოვლენა ან პიროვნებების ქცევა, რამაც დაგაეჭვათ?

— ნევროლოგიის ინსტიტუტის რეანიმაციის განყოფილებას ხელმძღვანელობდა გამოცდილი რეანიმატოლოგი. ის დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა ზურას მკურნალობას. მის მიმართ ყველა ნდობით განვიმსჭვალეთ. ორი კვირის განმავლობაში მას ერთი წუთითაც არ დაუტოვებია რეანიმაციის განყოფილება. საკუთარი ხელით კვებავდა ზურას. ყოველთვის მობილიზებული იყო. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც მკურნალობიდან ორმოცდაათი დღის შემდეგ ექიმი საავადმყოფოში აღარ მოვიდა. მისი გაუჩინარებიდან ერთი კვირის შემდეგ ექიმს შემთხვევით შევეჩეხე რეანიმაციის განყოფილების დერეფანში და შემეშინდა, რადგან სასტიკად დასახიჩრებული ჰქონდა სახე. ჩემს კითხვაზე, თუ რა დაემართა, მომიგო, რომ სახლში რემონტი ჰქონდა და ბეტონის ფილა შემთხვევით დაეცა სახეზე.

დარწმუნებული ვარ, ექიმის დაშინებით შეძლეს ზურასთვის სიცოცხლე მოესწრაფათ. მართალია ექიმი ამას უარყოფს, მაგრამ მე მისი არ მჯერა.

ჩვენ დავადგინეთ იმ ექიმ-რეანიმატოლოგიის ვინაობა, რომელიც ზურაბ ჭავჭავაძეს მკურნალობდა და რომლის გაუჩინარება 1989 წლის დეკემბრის დასაწყისში, დღესაც ამდენი ეჭვის მიზეზია. ამჟამად თავს ვიკავებთ ამ პიროვნების გვარის დასახელებისგან, ხოლო მასთან საუბარს უცვლელად გთავაზობთ.

ბ.ა. – გამარჯობათ ბატონო "ს". მალე შესრულდება ოცი წელი მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან. ჩემი ინფორმაციით თქვენ ბატონ ზურაბს მკურნალობდით, ხომ ვერ გაიხსენებთ იმ მოვლენებს?

"ს" – ჩვენთან ზურაბ ჭავჭავაძის მკურნალობა მაქსიმალურად ეფექტიანად მიმდინარეობდა. მდგომარეობა გაუმჯობესდა კიდეც. მისი გარდაცვალების მიზეზი კი ღვიძლის უკმარისობა გახდა. სავარაუდოდ დონორის სისხლი, რომელიც ავადმყოფს გადაუსხეს, "ბ" ჰეპატიტით იყო ინფიცირებული.

ბ.ა. - რას იტყვით მკურნალობის პროცესში თქვენს "გაუჩინარებაზე"?

"ს" – ზუსტად იმ პერიოდში სახლში რემონტი მქონდა და ბეტონის ფილის ნატეხი დამეცა. ამიტომაც რამდენიმე დღე სამსახურში არ გამოვჩენილვარ. საერთოდ კი ამ ავტოავარიის შესახებ უამრავი უაზრო ვერსიებია შეთხზული, სინამდვილეში კი, ეს იყო უბედური შემთხვევა.

"ს"-სთან საუბრის შემდეგ კვლავ გაურკვეველობამ იმძლავრა.

კვლავ დილემმა – სუკ-ის მიერ მოწყობილი ავტოკატასტროფა თუ უბედური შემთხვევა? ამდენი შპიონომანიით და "შეთქმულების თეორიით" სულ ხომ არ დაგვებინდა გონება?

რა გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ეს იყო სუკ-ის მიერ წინასწარ დაგეგმილი და მოწყობილი ავტოკატასტროფა?

დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ XX საუკუნეში საქართველოსთვის გამორჩეულად საბედისწერო 1907 და 1921 წლებს, 1989 წელიც უნდა მივათვალოთ. ამ წელს მომხდარმა მოვლენებმა ქვეყნის ისტორიული განვითარების სტრატეგიული მიმართულებებიდან ყველაზე რადიკალურ და უკომპრომისო გზას მისცა დასაბამი.

9 აპრილის ტრაგედია, 13 ოქტომბერს – მერაბ კოსტავას, ხოლო 21 დეკემბერს – ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალება ის თარიღებია, რომლებმაც საქართველოს უახლესი ისტორიის მძიმე მომავალი ბევრად განსაზღვრა. თითქმის ორი ათეული წელი გავიდა ბორითთან მომდარი ტრაგედიიდან, მაგრამ ბევრი პიროვნების ცნობიერებაში იმ დღეების ტკივილი კვლავ წარუშლელია.

## ვაგრძელებთ ქალბატონ ნანა ჭავჭავაძესთან საუბარს:

ბ.ა. - მკურნალობის პროცესში მოვიდა თუ არა ბატონი ზურაბი გონს და საერთოდ, აღინიშნა თუ არა მდგომარეობის გაუმჯობესება და მკურნალობის რომელ ეტაპზე?

– ზურას მდგომარეობა პერიოდულად მძიმდებოდა, იყო კრიზისული დღეებიც. გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე, ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ გონს მოვიდა და მიცნო.

თექვსმეტ დეკემბერს საავადმყოფოში მობრძანდნენ უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II და მეუფე დანიელი. როდესაც ზურამ უწმინდესი დაინახა წამოიწია. მისი უწმინდესობა დაიხარა, შუბლზე ეამბორა და ხელზე ხელი მოუჭირა. ზურამ მაშინვე უწმინდესის ხელი ბაგესთან მიიტანა და ემთხვია, თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა. უწმინდესმა ზურას უთხრა, რომ მის სანახავად უკვე ორჯერ იყო მოსული. ზურას სახეზე გაკვირვება და სიხარული გამოეხატა, უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, რათა ენიშნებინა, რომ ეს ამბავი არ იცოდა. როდესაც სტუმრების გასაცილებლად მოვემზადე, ზურამ ხელი ჩამავლო და არ გამიშვა, მანიშნა, რომ მასთან დავრჩენილიყავი. აშკარაა, ზურა სრულად აცნობიერებდა გარემოს.

ბ.ა. - ბატონი ზურაბის გარდაცვალების შემდეგ გავრცელდა ვერსია, რომ მკურნალობის პროცესში იგი "ბ" ჰეპატიტის ვირუსით დაავადდა, რამაც განაპირობა ლეტალური შედეგი. რა კომენტარს გააკეთებთ ამის შესახებ?

– ჩემთვის ძალიან რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. სამწუხაროდ ფაქტია, რომ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსული ზურა ჰეპატიტით დააავადდა და გარდაიცვალა.

ბ.ა. - თუ უთქვამს ბატონ ზურაბს კა-გე-ბეს თვალთვალის შესახებ?

— ბორითის ავარიამდე ხუთი დღით ადრე, ზურა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, ჩავიდა ცხინვალ'ში, სადაც შეხვდა "ადამონ ნიხასის" წარმომადგენლებს. შეხვედრა დაახლოებით სამი საათი გაგრძელდა. აშკარად იგრძნობოდა "ადამონ ნიხასის" ანტიქართული განწყობა. მაგრამ, ზურასთან დიალოგის შემდეგ მათი განწყობა შეიცვალა. ზურამ უთხრა: " ეს მიწა, სადაც თქვენ ცხოვრობთ, ძირძველი ქართული მიწაა. აქ არ არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს ოსური სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური ერთეული. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას საქართველოს ჩამოაჭრას თუნდაც ერთი მტკაველი მიწა. ჩვენ, როგორც ადრე, ისე მომავალშიც, ყოველნაირად შევუწყობთ ხელს ოსური კულტურის განვითარებას, ქართველი და ოსი ხალხების ტრადიციულ კეთილმეზობლურ, მეგობრულ, ნათესაურ დამოკიდებულებას. ეს არის ჩვენი,ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პრინციპული პოზიცია და ვინც ამას ვერ ეგუება, შეუძლია დაადგეს თავისი საბრძნებლოსაკენ მიმავალ გზას".

მოგახსენებთ, რომ ეს მოლაპარაკება მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ხელშეკრულებით დასრულდა. ზურა ყველაფერს აკეთებდა, რათა თავიდან აეცილებინა ოს და აფხაზ ხალხთან ქართველების შეჯახება.

ზურას თვალს არ აშორებდნენ, სახლთან მუდმივად და უტიფრად იდგნენ კა-გე-ბეს აგენტები. ამიტომ გამორიცხულია, არ ცოდნოდათ ქუთაისში მათი გამგზავრების დრო და მიზანი.

ბ.ა.- მისი გარდაცვალების შემდეგ, ხომ არ დაიკარგა თქვენი ოჯახიდან რაიმე დოკუმენტი ან ფოტოსურათი, ხომ არ იყო თქვენს ოჯახზე თვალთვალი ან რაიმე ფორმით ზეწოლა?

— ვერ გეტყვით, დაკარგვა არ შემინიშნავს. ზეწოლა არა, თვალთვალზე რა მოგახსენოთ.

ბ.ა. ქალბატონო ნანა ბოლოს რა იტყვით?

— ზურას გარდაცვალებიდან მალე ოცი წელი შესრულდება. არც ერთ მთავრობას არ გაჩენია სურვილი დასრულებულიყო გამოძიება ზურაბ ჭავჭავაძის და მერაბ კოსტავას დაღუპვის თაობაზე. იქნებ ოდესმე მოეფინოს ნათელი ამ ტრაგედიას.

ამ ოცი წლის განმავლობაში ხდებოდა ზურას, როგორც პიროვნების, სრული იგნორირება და მისი მოღვაწეობის ხელოვნურად მივიწყება. ცდილობენ მისი ღვაწლის და იდეების მიჩქმალვას. ეს ფაქტი კი ხელს უშლის ჩვენი უახლესი ისტორიის გაანალიზებას და სწორი დასკვნების გამოტანას. ამის დასტურია ის, რომ უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოებში მის სახელს არ ახსენებენ. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ზურას დევნა დღემდე გრძელდება. იმედი მაქვს, დადგება დრო და ისტორია აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს და საქართველო დააფასებს ზურაბ ჭავჭავაძის ღვაწლს.

ბ.ა. დიდი მადლობა ქალბატონო ნანა, ინტერვიუზე რომ დაგვთანხმდით. თანაც ბოდიშს გიხდით გულის ტკენისთვის, რაც იმ მძიმე დღეების გახსენებამ მოგაყენათ.

ზურაბ ჭავჭავაძის ოჯახის დამოკიდებულება ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით სავსებით გასაგებია. საუბრის დროს გაკეთებული აქცენტები ამ ავტოკატასტროფის შემთხვევითობას გამორიცხავს და ერთმნიშვნელოვნად კა-გე-ბეს (აქ არ ვასახელებთ მეორე საბჭოთა სპეცსამსახურს – საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარ სამმართველოს – ე.წ. გე-ერ-უს, რადგანაც ეს სტრუქტურა იმ წლებში შიდა პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებად ერეოდა – ბ.ა.) მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ სპეცოპერაციაზე მიგვანიშნებს.

ბორითთან მომხდარი ტრაგედიის ნამდვილი მიზეზების დადგენისთვის საჭიროდ ჩავთვალეთ გავსაუბრებოდით "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის წევრს და ზურაბ ჭავჭავაძის ბავშვობის მეგობარს ბატონ იოსებ ბანძელაძეს.

ბ.ა. ბატონო სოსო, როგორ დაიგეგმა ქუთაისში გამგზავრება და ამის შესახებ ინფორმაცია ბევრისთვის იყო ცნობილი?

- 1988-89 წლებში მე ვიყავი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი და ზურაბ ჭავჭავაძესთან და თამრიკო ჩხეიძესთან ერთად გამუდმებით ვმოგზაურობდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გასვლები იგეგმებოდა ან სპონტანურად ხდებოდა.

11 ოქტომბერს, საღამო ხანს ზურაბმა დამირეკა და მითხრა რომ ავად იყო და მთხოვა მის ნაცვლად გავმგზავრებულიყავი ქუთაისში ადგილობრივ საზოგადოებასთან შეხვედრის მიზნით. მეორე დღეს ჩემს მიერ მოწვეული იყო ძეგლთა დაცვის კომისია მცხეთის ჯვრის რესტავრაციის ხარვეზებთან დაკავშირებით და ამის გამო ქუთაისში ვერ წავიდოდი. ამიტომ, ზურაბთან შეთანხმებით, "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" დარბაზის ერთ-ერთ წევრს ვთხოვე დახმარება, მაგრამ ოჯახური მიზეზების გამო ვერც ის ახერხებდა გამგზავრებას. ამიტომ ზურაბს შეშფოთებულმა გავაცანი ვითარება. მან კი დამამშვიდა, რომ სიცხე აღარ ჰქონდა და უკვე მიელო წასვლის გადაწყვეტილება.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი.

ბ.ა. როდის და ვისგან შეიტყვეთ მომხდარი ტრაგედიის შესახებ?

13 ოქტომბერს კინოს სახლთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. აქ შევიტყვე საბედისწერო ავარიის შესახებ, სასწრაფოდ გავემგზავრე შემთხვევის ადგილისკენ. შებინდებისას ბორითში ვიყავი. მძიმედ დაშავებული ზურაბ ჭავჭავაძე გადაეყვანათ ადგილობრივი ამბულატორიის დანგრეულ შენობაში. აქ დამხვდნენ ახლობლები და თანამებრძოლები. მათ შორის საზოგადოების დარბაზის წევრები.

ბ.ა ინფორმაცია ავარიის შესახებ და სხვადასხვა საეჭვო ვერსიები ძალზე სწრაფად გავრცელდა

- ბორითში გავიგე ავტოკატასტროფის დეტალები, ვერსიები ძაღლის, ხბოსა და დაგორებული საბურავის შესახებ. თითქოს მერაბი გონს იყო და სასწრაფოს ექიმებმა რაღაც ინექციით გათიშეს. თითქოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე შეეულმფრენით სასწრაფოდ გადმოფრინდა. ინფორმაციის სწრაფად გავრცელებამ არ გამაკვირვა რამოდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით:

1. ავტოკატასტროფაში მოყვნენ ეროვნული მოძრაობის ცნობილი ლიდერები;

2.ბორითის მახლობლად ავტოინსპექციის საგუშაგოა, საიდანაც დაკავშირება შესაძლებელია თბილისთან და სურამის სავაადმყოფოსთან;

3.სუკ-ის "კუდი" მათ სულ თან დაჰყვებოდა. ავარიის დროსაც სავარაუდოდ იქ იქნებოდნენ თავიანთი რადიოგადამცემით.

ბ.ა. ავტოავარიის ადგილზე რაიმე საეჭვო ხომ არ შეგინიშნავთ?

- მეორე დილას დავათვალიერე შემთხვევის ადგილი. კარგად ჩანდა ირიბად მოცურებული "ნივის" საბურავების კვალი. მეორე მანქანის დამუხრუჭების მოკლე კვალი მსუბუქად აჩნდა ასფალტს. მომეჩვენა, რომ ეს მანქანა შეტაკებას უფრო შეეჩერებინა ვიდრე მუხრუჭს, რაშიც დამარწმუნა ხარაგაულის მილიციის სადგომზე დამტვრეული ნივის დათვალიერებამ. დარტყმა იყო სახურავზე მძღოლის გვერდით. იქ სადაც მერაბ კოსტავა იჯდა. ასევე "დაპრესილი" იყო ავტომობილის სახურავის უკანა ნაწილი. ვფიქრობ, რომ შემხვედრი მანქანა რომ არა, ავტოავარია ფატალური შედეგით არ დამრთავდებოდა.

თამარ ჩხეიძის კუთვნილი "ნივა" ახალი მანქანა იყო, ტექნიკურად გამართული. მე საგულდაგულოდ დავათვალიერე საჭე და სამუხრუჭე სისტემა. განზრახ დაზიანება ვერ აღმოვაჩინე.

ვიცი, რომ საზოგადოების ერთ ჯგუფს (თუ არ ცცდები "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის წევრებს) სურამის საავადმყოფოში გამოუკითხავს მეორე მანქანის, ძველი ჟიგულის მსუბუქად დაშავებული ადგილობრივი მძღოლი და მისი თანამგზავრი. თუმცა ეჭვი ვერ შეიტანეს დაკითხულთა გულწრფელობაში.

ბ.ა. როგორ შეაფასებთ სოფელ ბორითის ამბულატორიაში გაწეულ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას? ცნობილია, რომ, რაღაც დამთხვევით, იმ დღეებში ბორითში ხშირად წყდებოდა ელექტრო ენერგიის მიწოდება.

- რამდენიმე დღე-ღამე მოგვიხდა ბორითში დარჩენა. ექიმებმა გააკეთეს ის, რაც იმ პირობებში შეეძლოთ. ოფიციალურ ხელისუფლების წარმომადგენლებს კი, ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. ჩვენი საზრუნავი იყო ელექტრო გენერატორი, საწვავი, ჟანგბადის ბალონები. რამდენჯერმე ზურაბის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

ბ.ა ცნობილია, რომ რამდენიმე დღეში ზურაბ ჭავჭავაძე თბილისში ნეიროქირურგიის ინსტიტუტში გადმოიყვანეს.

- ზურაბის ოჯახმა მოსკოვიდან ჩამოიყვანა ცნობილი ნეიროქირურგი. ამ უკანასკნელმა მოითხოვა ზურას სასწრაფოდ გადაყვანა თბილისში, ნეიროქირურგიის ინსტიტუტის რეანიმაციის განყოფილებაში. აქ უკეთდებოდა სისხლის გადასხმები. რიგები იდგა სისხლის გადასხმის ცენტრებში. ამ პერიოდში ზურაბის მდგომარეობა იმდენად უიმედო იყო, რომ ბნელ ძალებს ჩარევა არ დასჭირვებიათ. ზურაბს ძლიერი ორგანიზმი ჰქონდა. ავტოავარიიდან 2 თვეში მოულოდნელად მოიკეთა. იცნო პატრიარქი. მოსკოველმა ნეიროქირურგმა, რომელიც ოჯახმა მესამედ ჩამოიყვანა, გაოცება ვერ დამალა და მოგვილოცა ზურას ამქვეყნად მობრუნება. ორ დღეში, ავტოავარიიდან 69-ე დღეს, 1989 წლის 21 დეკემბერს ზურაბ ჭავჭავაძე გარდაიცვალა. დიაგნოზი: სისხლში შეყვანილი ჰეპატიტის ვირუსი.

ბ.ა მკურნალობის პროცესში რაიმე ფაქტმა ხომ არ გამოიწვია თქვენი დაეჭვება?

- ჩვენმა მეგობრებმა სახლში ინახულეს რეანიმაციის გაუჩინაურებული ექიმი, რომელსაც თვალის მიდამო ჰქონდა გაკაწრული თუ ჩალურჯებული. როგორც უთქვამს ავტოფარეხში თაროდან რაღაც ნივთი ჩამოუვარდა და თვალში მოხვდა. ჩვენ ეჭვი ვერ შევიტანეთ მის სიტყვებში.

ბ.ა. თუ უთქვამს ბატონ ზურაბს კა-გე-ეს თვალთვალის და მოსმენების შესახებ?

რაც შეეხება სუკის თვალთვალს და სატელეფონო მოსმენებს, ეს 1988-1989 წლებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამას მეც ხშირად მოვსწრებივარ და ბევრი კურიოზი და გაქცევა-მიმალვა მახსოვს. საერთოდ ასეთი საქმეები დროულად უნდა გაიხსნას, ვიდრე მოწმეები ცოცხლები არიან ან წლების შემდეგ როდესაც სახელმწიფოს ნება იქნება ლუსტრაციის კანონის მიღებისა და უშუშროების საქმიანობის გაშიფვრის შესახებ. ილიას მკვლელობის საქმის "გამოძიება" და სასამართლო 30-35 წლის დაგვიანებით ინება მაშინდელმა ხელისუფლებამ.

უნდა ითქვას, რომ ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში ღრმად გაიდგა ფესვები "აგენტომანიამ" და "შეთქმულების თეორიამ". ხშირად კა-გე-ბეს კვალს იქ ვეძებდით (და ვეძებთ), სადაც არ იყო. ბორითთან მომხდარი ტრაგედიის ნამდვილი მიზეზების დადგენისას აჩქარება და ნაადრევი დასკვნების გაკეთება, მით უფრო კონკრეტული პიროვნებების დადანაშაულება, არასწორი იქნებოდა. ამიტომ, გადავწყვიტეთ ამ ტრაგედიის შესახებ ინფორმაციის უფრო ღრმად მოძიება, შესწავლა და საზოგადოებისთვის გაცნობა.

ამ ტრაგედიის შემდეგ საზოგადოებაში აზრი ორად გაიყო. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო მძღოლის დაუდევრობისა და გადაღლის გამო მომხდარი უბედური შემთხვევა, ხოლო მეორე ნაწილს სჯეროდა, რომ სუკ-ის "უჩინარი ხელის" მიერ იყო ყველაფერი მოწყობილი. ორივე მხარეს საკმაოდ მყარი არგუმენტები გააჩნდათ.

საინტერესოა, რომ "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის ზოგიერთი წევრი (მაგ. ანზორ აბჟანდაძე) კატეგორიულად აცხადებდა, რომ ბორითთან მომხდარი ავტოკატასტროფა მოწყობილი არ იყო. მისი აზრით იმ პირობებში იმდენად უმნიშვნელო იყო ავარიის "წარმატებით" დამთავრების ალბათობა, რომ მძღოლის (ამ შემთხვევაში თამარ ჩხეიძის – ბ.ა) გადაღლა და გაუფრთხილებლობა, რომ არა, ავტოავარია არ მოხდებოდა. ის მიიჩნევს, რომ მთელი ღამის უძინარ თ. ჩხეიძეს ავტომობილი მაღალი სიჩქარით მიჰყავდა და იმ საბედისწერო ადგილთან ალბათ ჩაეძინა. ა. აბჟანდაძე სუკ-ის ხელს ამ ავტოავარიაში გამორიცხავს და მისი აზრით, სუკ-მა ავარიის შემდგომი მოვლენები გამოიყენა თავის სასარგებლოდ და ეროვნულ მოძრაობაში ისედაც არსებული განხეთქილება და დაპირისპირება კიდევ უფრო გააღრმავა.

ამ ავტოკატასტროფაში სუკ-ის "უჩინარი ხელის" ვისაც უპირობოდ სჯეროდა, ეს საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო. მას კონკრეტული "ბრალდებულებიც" კი ჰყავდა. ამ შემთხვევაშიც იმ პიროვნებას მოვუსმინოთ, ვინც მოვლენების ეპიცენტრში იყო. ანზორ აბჟანდაძე იხსენებს:

"ზვიად გამსახურდია, მისთვის ჩვეული მეთოდით, ავარიის მოწყობას აბრალებდა რევაზ ჩხეიძეს, ჩხეიძეების ოჯახს (მამა-შვილს), რომლებმაც მისი თქმით "სუკ-ის დავალებით" მოაწყვეს ეს ავარია. ეს ბრალდებები, ცხადია ყოველად აბსურდული და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული იყო". რას ემყარებოდა ზ. გამსახურდიას ბრალდება, რომელსაც მისი ქვრივი, მანანა არჩვაძე-გამსახურდია, დღესაც იმეორებს?

მთავარი იყო ის, რომ მერაბ კოსტავას იმ დღეს წასვლა არ უნდოდა და თ. ჩხეიძემ ძალით (?!) დაითანხმაო.

საქართველოს ექს-პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია ავტოკატასტროფის დღეებშიც და შემდეგაც ცალსახად ამტკიცებდნენ, რომ მერაბ კოსტავას წასვლა არ სურდა და გამგზავრებაზე მხოლოდ თამარ ჩხეიძის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ დათანხმდა. მანანა არჩვაძე-გამსახურდია 1998 წლის ოქტომბერში გაზეთ "საქართველოს სამრეკლოსთვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა: "მოწინააღმდეგეებისაგან შემოთავაზებული გამგზავრება უდიდეს საფრთხესთან და რისკთან იქნებოდა დაკავშირებული, რადგანაც იქ, ზვიადთან დაპირისპირებული თამარ ჩხეიძის მანქანით უნდა გამგზავრებულიყვნენ. ისიც შეახსენა (ზვიდმა მერაბ კოსტავას – ბ.ა.) რომ მანამდე იმ ქალს თერთმეტი (!) ჰქონდა დამტვრეული, რადგან არ იცოდა ავტომობილის მართვა. მოკლედ კატეგორიულად მოსთხოვა სამტრედიაში (ინტერვიუში რატომღაც საუბარია არა ქუთაისში, არამედ სამტრედიაში გამგზავრებაზე – ბ.ა.) წასვლისგან თავის შეკავება. რადგან ალბათ, სწორედ იქ ჰქონდათ ჩაფიქრებული ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის ფიზიკური განადგურება". ქალბატონი მანანა შემდეგ აგრძელებს: "ბორითთან განხორციელებულ ავტოკატასტროფასთან

დაკავშირებით გამორჩეულად მინდა მივანიშნო იმაზე, რომ მანქანა, რომელშიც მერაბი იჯდა, იმდენად იყო დაზიანებული, ისე იყო დაჭეჭყილ-დამსხვრეული, რომ ვერცერთი მძღოლი ვერ შეძლებდა იქიდან ცოცხლად გამოსვლას თამარ ჩხეიძე ტრაგედიის ადგილზე სრულიად მოულოდნელად, მოგვიანებით გამოჩენილა. ყოველივე ამის გამო საფიქრებელია და მჯერა, რომ იგი საერთოდ არ იჯდა იმ ავტომანქანაში".

თავად ზვიად გამსახურდია ხშირად აცხადებდა, რომ მიგზავნილმა ხალხმა მერაბ კოსტავას განზრახ შვიდჯერ მოუწყეს ავარია, მერვე უკვე საბედისწერო გამოდგაო.

რამდენად ობიექტურია ეს ბრალდებები?

ზ. გამსახურდიასა და "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ლიდერებს, უპირველესად ზ. ჭავჭავაძესა და თ. ჩხეიძეს, შორის პოლიტიკური და პიროვნული დაპირისპირება ადრევე დაიწყო და განსაკუთრებით 1987 წლიდან გამწვავდა. უკვე ავტოკატასტროფის შემდეგ, 1990 წლის 25 მარტს, მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ზ.გამსახურდია "ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას" "ცკ-ას და "კრემლის აგენტების" მიერ შექმნილ ცრუპატრიოტულ ორგანიზაციად მოიხსენიებდა რომლებმაც: ". .გამოგლიჯეს იქ ინიციატივა ჩვენს მეგობრებს, ირაკლი წერეთელს, მერაბ კოსტავას და შექმნეს კოლაბორაციონისტული დაჯგუფება".

თავის მხრივ "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ლიდერები ზვიად გამსახურდიას 1977 წლის ცნობილ "სატელევიზიო აღიარება-მონანიებას" არ პატიობდნენ და მის დემოკრატობაშიც შეპქონდათ ეჭვი. ხოლო რაც შეეხება ბორითთან მომხდარ ავტოკატასტროფას, ა. აბჟანდაძის სიტყვებით: "თამარ ჩხეიძეც სუკ-ს აბრალებდა ავარიის მოწყობას, ოღონდ ზვიად გამსახურდიას უშუალო ჩარევით თუ მის სასარგებლოდ". დაპირისპირება იმ დონემდე იყო მისული, რომ ზურაბ ჭავჭავაძის ზოგიერთ თანამებრძოლს მიაჩნდა, რომ საავადმყოფოში მისი სიკვდილის მიზეზი, შესაძლოა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიერ გაბრიყვებული რომელიმე მედიცინეს მუშაკი იყო, რომელმაც რეანიმაციულ განყოფილებაში მყოფ ზ. ჭავჭავაძესთან ჰეპატიტით ინფიცირებული სისხლი შეგნებულად გადაუსხა ავადმყოფს.

ფაქტია, რომ ამ დაპირისპირებამ უდიდესი ზიანი მიაყენა ეროვნული მოძრაობის ერთიანობას და ქვეყნის ევოლუციური გზით განვითარებას.

ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს ძველ ან ახალ პოლიტიკურ დისკუსიებში ჩაბმა და მტყუან-მართალის გარკვევა, ამიტომ მხოლოდ "ბორითის ტრაგედიასთან" დაკავშირებული მოვლენების ანალიზს შემოგთავაზებთ.

# 1989 წლის 12-13 ოქტომბრის მცირე ქრონიკა

ნებისმიერი სპეცოპერაციის დაგეგმვა და კონკრეტული ოპერატიული ღონისძიებების ჩატარება სხვადასხვა დონეზე შეთანხმებას და დამტკიცებას (საკავშირო კა-გე-ბეს და რესპუბლიკის სუკ-ის ხელმძღვანელობის გარდა, აუცილებელი იქნებოდა მაშინდელი საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივან გივი გუმბარიძესთან შეთანხმება თუ არა, მისი ინფორმირება მაინც), საჭიროებს და საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. მით უფრო ეროვნული მოძრაობის ლიდერებისთვის ავტოკატასტროფის მოწყობა.

თავად მერაბ კოსტავას 12 ოქტომბერს ქუთაისში გამგზავრების ფაქტზე სხვადასხვა აზრი არსებობს. წინასწარ დაგეგმილი ჰქონდა გამგზავრება, თუ უეცრად, სპონტანურად გადაწყვიტა, ამ ფაქტს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც იმ ხალხს მოვუსმინოთ ვისაც იმ დღეების მცირე დეტალებიც ქრონოლოგიური სიზუსტით დაამახსოვრდათ.

12 ოქტომბერს მერაბ კოსტავას ქუთაისში გამგზავრების მიზანი, როგორც იმ შეხვედრების მონაწილენი იხსენებენ "ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასა" და "წმინდა ილია მართლის საზოგადოებას" შორის შექმნილი დაპირისპირების დასრულება და მოქიშპე მხარეების შერიგება და ქუთაისში მიმდინარე საბჭოთა ჯარში გასაწვევ წვევამდელთა საპროტესტო მიტინგზე სიტყვით გამოსვლა იყო.

"ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის წევრი გიზო თავაძე იხსენებს: "თორმეტ ოქტომბერს ქუთაისში დანიშნული იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების საერთო კრება. მე სამი დღით ადრე ჩამოვედი თბილისში, რათა საზოგადოების რემდენიმე წევრი ჩამომეყვანა. გადაწყდა, რომ ქუთაისში წამოვიდოდნენ ზურაბ ჭავჭავაძე, თამარ ჩხეიძე და ანზორ აბჟანდაძე. დილით, როცა უკვე წამოსასვლელად ვემზადებოდით, ვნახეთ ბატონი მერაბი, მან როცა გაიგო ჩვენი მარშრუტი, მაშინვე გამოთქვა წამოსვლის სურვილი, უარს როგორ ვეტყოდი, ძალიან გამეხარდა, იმ ხანებში ქუთაისში მიმდინარეობდა წვევამდელთა გაფიცვა, როგორც კი ჩამოვედით ქუთაისში, ბატონი მერაბი იქ მივიყვანეთ". ლოგიკურად გაიოდის, რომ მერაბ კოსტავას იმ დილით გადაუწყვეტია გამგზავრება?

ფაქტია, რომ 12 ოქტომბერს "ნივით" გაემგზავრნენ: თამარ ჩხეიძე (საჭესთან), მერაბ კოსტავა (მძღოლის გვერდით), ზურაბ ჭავჭავაძე, გიზო თავაძე და ანზორ აბჟანდაძე კი უკანა სავარძელზე მოთავსდნენ. ქუთაისში ჩასვლის და იქ გამართული შეხვედრების დეტალებს დღესაც დაწვრილებით იხსენებენ უშუალო მონაწილენი. ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ქუთათურთათვის ჩვეული გულთბილი შეხვედრები მიტინგზე და კრებაზე დაიწყო და 13 ოქტომბრის დილამდე გაგრძელდა, თუმცა ქუთაისელ მასპინძლებს სტუმრების გაშვება მაინც არ სურდათ.

1989 წლის 13 ოქტომბერს დაახლოებით დილის ცხრა საათზე ქუთაისიდან გამოემგზავრნენ: თამარ ჩხეიძე საჭესთან იყო, მერაბ კოსტავა მძღოლის გვერდით, ხოლო ზურაბ ჭავჭავაძე უკანა სავარძელზე ისხდნენ. მოქუფრული დილა იყო. ცრიდა. თითქოს არაფერი მოასწავებდა ტრაგედიას.

ფოტოსურათებზე კარგად ჩანს, რომ ავტოავარიის მარცხენა მხარეს პატარა ფერდობია, მარჯვნივ კი ქვიანი ხევი. წინ კი, ასე 30-40 მეტრში, მკვეთრი მარცხენა მოსახვევი იწყება. ქუთაისიდან 9 საათზე გამოსული "ნივის" მგზავრები ტრაგედიის ადგილთან დაახლოებით 10 საათზე უნდა ყოფილიყვნენ (თუ გზაში არ შეჩერდნენ). კარგადაა ცნობილი, რომ სუკ-ის მე-7 განყოფილების ("გარე თვალთვალი") ოპერატიული თანამშრომლები მუდმივად დაჰყვებოდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს. ამიტომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თამარ ჩხეიძის თეთრ "ნივას" უშიშროების "ნარუჟკა" (იგივე "კუდი") აუცილებლად მიჰყვებოდა. ტრასაზე მათ შორის მანძილი კარგი ხილვადობის (ვიზუალური კონტაქტის), ანუ 100-150 მეტრის, ფარგლებში უნდა ყოფილიყო.

მოულოდნელად თ. ჩხეიძემ საჭე მარცხნივ მიატრიალა და მუხრუჭს დააწვა, რის გამოც "ნივა" ამოტრიალდა. ზოგადად ამ მარკის ავტომობილისთვის დამახასიათებელია ამგვარი ავტოავარიები, რადგანაც მოკლე კორპუსი და სიმძიმის ცენტრის (ძრავის) წინ განლაგება, სწრაფი და ძლიერი დამუხრუჭების შემთხვევაში ყოველთვის ქმნის ამოტრიალების საფრთხეს. მთავარია იმის გარკვევა, თუ რამ გამოიწვია სწრაფი დამუხრუჭება.

ამის შესახებ ჩვენ უკვე გავეცანით რამდენიმე ვერსიას:

ა. გზაზე ცხოველის (ძროხა ან ძაღლი) გადარბენა;

ბ. ფერდობიდან საბურავის ჩამოგორება გზაზე;

გ. მძღოლის გადაღლილობა და ჩაძინება.

პირველი ორი შესაძლებელია შემთხვევითაც მოხდეს და ვინმეს წინასწარ განზრახვითაც. ფაქტია, რომ უძინარ და გადაღლილ მძღოლს ამ დროს ყოველთვის აფექტური და არაადეკვატური რეაქცია ექნება. თუ ეს ტრაგედია უბედური შემთხვევა იყო, მაშინ რატომ არ შეჩერდა უშიშროების "კუდის" ავტომობილი და დახმარება არ აღმოუჩინა დაზარალებულებს? ეს ხომ საესებით ბუნებრივი, უფრო მეტიც, ზნეობრივი საქციელი იქნებოდა? რატომ და სად გაჰქრნენ?

იბადება ლოგიკური კითხვა - ეს ხომ არ იყო სწორედ ის "სასწრაფო დახმარების" მანქანა, რომელიც (თამარ ჩხეიძის ინფორმაციით) ავარიის შემდეგ პირველი მივიდა დაზარალებულებთან და რაღაც ინექცია გაუკეთეს მერაბ კოსტავას?

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა საპეცსამსახურებს პოლიტიკური მკვლელობების, მათ შორის ავტოკატასტროფების მოწყობის უდიდესი გამოცდილება ჰქონდათ. საკავშირო კა-გე-ბეში დაგეგმილი და საქართველოს სუკ-ის მიერ მოწყობილი ავტოავარია თუ იყო, მაშინ, ჩვენი აზრით, ამოცანა-

მაქსიმუმი "ნივის" სამივე მგზავრის აღგილზე დაღუპვა იქნებოდა. ყველა შემთხვევაში თ. ჩხეიძეს საჭე მარჯვნივ, რომ მიეტრიალებინა (რაც ლოგიკური იქნებოდა), "ნივა" ქვიან ხევში გადავარდებოდა და ყველა აღგილზე დაიღუპებოდნენ. მართლაც, გამოცდილი მძღოლი მოულოდნელი საფრთხის შემთხვევაში საჭეს ყოველთვის საწინააღმდეგო მხარეს ატრიალებს. ამ შემთხვევაში კი პირიქით მოხდა.

შესაძლებელია "ბორითის ტრაგედიას" ამდენი ეჭვი და კითხვა არ გაეჩინა, რომ არა შემდგომ განვითარებული მოვლენები. ორი თვე უგონოდ მყოფი ზურაბ ჭავჭავაძე, რომლის მდგომარეობა 16 დეკემბერს საგრძნობლად გაუმჯობესდა და უკვე ოჯახის წევრებს ცნობდა, 1989 წლის 21 დეკემბერს ყველასთვის მოულოდნელად, ღვიძლის უკმარისობით გარდაიცვალა. მიზეზი - სისხლში შეყვანილი ჰეპატიტის ვირუსი. როგორ გადაუსხეს ავადმყოფს შეუმოწმებელი სისხლი? კვლავ შემთხვევითობა? და კვლავ პასუხგაუცემელი კითხვები.

ჩვენი ინფორმაციით საქმე უკვე დიდი ხანია დაბურულია და გამოძიებაც შეწყვეტილია. სიმართლე იმ დღეებში, თვეებში, ერთი წლის შემდეგ მაინც უნდა დადგენილიყო. ამის რეალური საშუალება 1990 წლის ბოლოს გაჩნდა, როდესაც ხელისუფლების სათავეში ზვიად გამსახურდია მოვიდა.

1990 წლის 28 მაისს ზვიად გამსახურდიამ მოსახლეობასთან ერთ-ერთ შეხვედრაზე, ბორითთან მომხდარი ავარიის შესახებ დასმულ შეკითხვაზე განაცხადა: ". არავითარი გამოძიება არ მიმდინარეობს. მიაფუჩეჩეს ეს საქმე, გააყალბეს. სიჩქარე 120 კმ, დააყენეს 75 კმ-ზე . . და ეს მოწყობილი ხომ არ იყოო? ჩვენ ვნახეთ ეს ადგილი, მოწყობილი იყო ნამდვილად, მეცობრებო, ნამდვილად მოწყობილი და ეს იყო შეთქმულება ეს იყო მერაბ კოსტავას წინააღმდეგ შეთქმულება. . . ყოველად დაუსჯელად და ყოველგვარად მიაფუჩეჩეს, მიჩქმალეს ეს ყველაფერი . არავითარი ძიება, არავითარი ". ბორითთან მომხდარი ავტოკატასტროფის ყველა დეტალის დადგენა და რაც მთავარია, იმის გარკვევა, ეს ფაქტი შემთხვევითი იყო, თუ სუკ-ის მიერ მოწყობილი, სავსებით შესაძლებელი იყო 1990-1991 წლებში. მაშინ ხომ ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო სუკ-ის არქივები, შემკვეთ-შემსრულებლებიც ცოცხლები იქნებოდნენ. თანაც სუკ-ის ხელმძღვანელობა უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს ემორჩილებოდა, რა გარემოებამ შეუშალა ხელი ზ. გამსახურდიას ერთხელ და სამუდამოდ მოესადა იდუმალების საბურველი ამ საიდუმლოებისთვის? სამწუხაროდ ეს კვლავ უცნობია.

მიმდინარე წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას 70 წელი შეუსრულდებოდა. მას ბევრი დარჩა უთქმელი, მისი ნაადრევი გარდაცვალების ფაქტიც კი დღემდე კვლავ საიდუმლოებითაა მოცული.

# სამწუხარო რეალობა

მიუხედავად იმისა, რომ მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის ტრაგიკული გარდაცვალებიდან ოცი წელი გავიდა, ამ ფაქტთან დაკავშირებით არსებული კითხვები, კვლავ აღელვებს საქართველოს საზოგადოებას. რა იყო ეს - უბედური შემთხვევა, თუ კა-გე-ბეს მიერ მოწყობილი ავტოავარია? სიმართლის გარკვევა ადრევე უნდა მომხდარიყო და ამჟამად ეს კითხვა კვლავ ღიად რჩება. არსებობს მრავალი დეტალი (საბურავი, მძღოლზე დისტანციური ზემოქმედების შესაძლებლობა, "ნივის" მუხრუჭების მდგომარეობა და სხვ.), რომელთა შესახებ მკითხველს სხვა პუბლიკაციებში მოვუთხრობთ.

მერაბ კოსტავა 1989 წლის 21 ოქტომბერს დაკრძალეს. მისი ხსოვნისადმი მიღვნილი კრებული "შავლეგო", 1990 წელს გამოიცა. ეროვნული მოძრაობის გათიშვის კიდევ ერთი მაუწყებელი ფაქტი ის გახლდათ, რომ ამ კრებულში მოთავსებულ ასამდე ფოტოსურათს შორის ადგილი ვერ მოიძებნა ზურაბ ჭავჭავაძის თუნდაც ერთი ფოტოსთვის.

მიმდინარე წლის 26 მაისს მერაბ კოსტავას 70 წელი, ხოლო ზურაბ ჭავჭავაძეს 5 თებერვალს – 56 წელი შეუსრულდებოდათ. როგორ გვაკლია ორივე მამულიშვილი დღეს! საქართველოში ხომ კვლავ გათიშულობა და შიდადაპირისპირებაა.

მერაბ კოსტავა 1989 წლის 6 ოქტომბერს, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე "ლიტერატურულ გაზეთში" წერდა: "ეროვნული მოძრაობის აქილევსის ქუსლად უნდა ჩაითვალოს ვიწრო პარტიული და ორგანიზაციული პატრიოტიზმის გამოვლინებანი, წარსულში არსებული ვიწრო-კუთხური პარტიკულარიზმის ტოლფასი", შემდეგ კი : ". ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში იმდენად დაიკავებს მართებულ პოზიციას, რამდენადაც ერთიანობის იდეას ყველა სხვა იდეაზე მაღლა დააყენებს, როცა ყველა ჩვენთაგანს თავად ეს მოძრაობა ეყვარება და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში".

მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე საქართველოს მომავალს შეეწირენ, მაგრამ გვახსოვს კი მათი თავგანწირვა სათანადოდ? რამდენი "ეროვნული" ხელისუფლება უნდა მოვიდეს ქვეყნის სათავეში, რომ ეს, და მსგავსი იდუმალებით მოცული შემთხვევების სრულყოფილი გამოძიება ჩატარდეს და თავსატეხი მომავალ თაობებს არ დავუტოვოთ?

## ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება - უბედური შემთხვევა თუ სპეცსამსახურების ხელწერა?

2005 წლის 3 თებერვალს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ქვემო ქართლის რწმუნებულის მოადგილე რაულ იუსუპოვი კონსპირაციულ ბინაში, ოფიციალური ვერსიით, ნახშირჟანგით გაიგუდნენ. თითქმის ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მრავალი კითხვა კვლავ პასუხგაუცემელია. საქართველოს გენერალურ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე არ დაუხურავს, რის გამოც საზოგადოებას საშუალება არ აქვს გაეცნოს გამოძიების მასალებს. ამიტომაც არის, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის და უკანასკნელი ათწლეულის საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფიგურის, ფრთხილი და წინდახედული პიროვნების, ზურაბ ჟვანიას, ამგვარი გარდაცვალება დაეჭვების საბაბს ნამდვილად იძლევა.

ბევრი პოლიტიკოსი, ექსპერტი, ჟურნალისტი თუ უბრალო მოქალაქე, რომ არაფერი ვთქვათ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე და ახლობლებზე, თვლის, რომ თბილისში მომხდარი ტრაგიკული ფაქტი "უბედური შემთხვევა და შემთხვევითი მოწამვლა"კი არ არის, არამედ სპეცსამსახურის დაგეგმილი და განხორციელებული ოპერაციაა. ოფიციოზის პოზიცია კვლავ უბედური შემთხვევისკენ იხრება. ჩვენი აზრით, ისინიც კარგად ხედავენ ბევრ შეუსაბამობას გამოძიების პროცესში, ექსპერტიზის დასკვნებში და რეალურად მომხდარში, მაგრამ სანამ თანამდებობაზე რჩებიან დუმან, აი ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ კი "უნათდებათ" გონება.

ზურაბ ჟვანიას ყოფილი მეგობრებიდან თუ მტრებიდან, არც ერთს ეყო გამბედაობა სიმართლის თქმა მოეთხოვა ხელისუფლებისგან ან თავად ეთქვა სიმართლე. ისინი ეჭვებს რატომღაც თანამდებობიდან წასვლის შემდეგ გამოთქვამენ და "სენსაციურ" განცხადებებს აკეთებენ. ზურაბ ნოღაიდელს სულ ახლახან "გაუნათდა" გონება. მისი სიტყვებით: " ვფიქრობდი, რომ ქართულ სპეცსამსახურებს ამდაგვარი მკვლელობის გაკეთების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც ვნახე ბადრი პატარკაციშვილთან საუბრის ჩანაწერები და ჩემს ძველ სპეცსამსახურელ მეგობრებს ვესაუბრე, შემდეგ უკვე გამიჩნდა ეჭვი, რომ ტექნიკურად ამის გაკეთება საქართველოს სპეცსამსახურებსაც შეუძლიათ ."

უფრო ადრე კი, 2007 წლის სექტემბრის ბოლოს, ყოფილმა თავდაცვა-ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, ინგა გრიგოლიასთან სკანდალურ ტელეინტერვიუში, განაცხადა: "ზურაბ ჟვანია იმ ბინაში არ გარდაცვლილა, მისი ცხედარი შემდეგ მიიტანეს".

საინტერესოა, რომ 2005 წლის დასაწყისში ნოღაიდელი ფინანსთა მინისტრი იყო, ხოლო ოქრუაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრობიდან ერთი

თვის გადაყვანილი იყო თავდაცვის მინისტრად და ძველი კავშირები ისევე ჰქონდა. ასე, რომ პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შესახებ მათ (ისევე, როგორც ხელისუფლების სხვა წევრებს) გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვთ და უფრო მეტი იციან.

ამ სისხლის სამართლის საქმეში ძალზე ბევრი "თეთრი ლაქაა". ეს ეხება ზურაბ ჟვანიას პირადი დაცვის საეჭვოდ არაპროფესიონალურ მოქმედებებს, მობილური ტელეფონების მოულოდნელ "გაფუჭებას", შემთხვევის ადგილზე საგამოძიებო მოქმედებების ლაფსუსებს, კონსპირაციულ ბინაში არსებულ ნივთებზე გარდაცვლილების თითის ანაბეჭდების არ არსებობას, ჟვანიას დაცვის წევრების ჩვენებებში არსებულ შეუსაბამობებს და ა.შ.

მაქსიმალური ობიექტურობის მიზნით ამ "თეთრი ლაქებიდან" ჩვენ მხოლოდ ორ საკითხს შევეხებით. ჯერ ერთი, შევეცდებით გავარკვიოთ რამდენად შეესაბამება სიმართლეს სიკვდილის გამომწვევი მიზეზების ოფიციალური ვერსია და "ტექნიკურად" რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებს შეუძლიათ ამგვარი პოლიტიკური მკვლელობის მომზადება და შესრულება.

## პოლიტიკოსების კომპრომეტირების რა სცენარები იწერებოდა შევარდნაძის დროს?

არასასურველი ობიექტის მშვიდობიან პერიოდში სწრაფი ლიკვიდაციისათვის სპეცსამსახურები, თითქმის ყოველთვის ქმნიან უბედური შემთხვევის იმიტაციას, რადგანაც ჯანმრთელი ადამიანის მოულოდნელი გარდაცვალების "საუკეთესო" ახსნა, საყოფაცხოვრებო პირობებში მისი ტრაგიკული დაღუპვა ან სხვა უბედური შემთხვევაა (ავტოავარია, დენის დარტყმა, აბაზანაში "დახრჩობა", იარაღის "გავარდნა", საკვები პროდუქტით მოწვავლა, გაზით გაგუდვა და ა.შ.). იმ შემთხვევაში თუ პიროვნება დაცვისა და მაღალკვალიფიციური ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, "ლიკვიდატორების" ამოცანა გაცილებით რთულდება.

ზურაბ ჟვანიას და რაულ იუსუპოვის გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიაში დაეჭვების საფუძველს იწვევს ის, რომ ამ სისხლის სამართლის საქმეში ძალზე ბევრი შეუსაბამობაა. ამასთან ერთად, ამ ფაქტის "შეფუთვა" აშკარად წააგავს სპეცსამსახურების ხელწერას. რჩება შთაბეჭდილება, რომ ოფიციალური ვერსიის არაორაზროვანი მინიშნებების მიზანი იყო საზოგადოებრივი აზრის ისეთი მიმართულებით წარმართვა, რომ, რაც შეიძლება ცოტას გასჩენოდა ამ ტრაგიკულ შემთხვევაში ღრმად ჩახედვის სურვილი.

სხვადასხვა ინფორმაციის ანალიზის შედეგად ჩნდება დასაბუთებული ეჭვი, რომ ამ ტრაგედიის სცენარი ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს იწერებოდა.

# სპეცსამსახურების ბინძური ოპერაციები შორს მიმავალი მიზნებით

მკითხველისთვის ძნელი გასახსენებელი არ უნდა იყოს, რომ წლების მანძილზე "ჟვანიას გუნდის" კომპრომეტირებისთვის ბევრი იღწვოდა.

პოლიტიკოსებზე, უპირველესად კი პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიაზე და მის გუნდზე, კომპორმატების და ჭორების გავრცელება 1990-იანი წლების მეორე ნახევარიდან, ანუ იმ დროიდან იწყება, როცა ზოგიერთმა ძალოვანმა მინისტრმა (რომელთა უკან, არაა გამორიცხული სხვა, გაცილებით ძლიერი ძალები იდგნენ), აქტიურად დაიწყო პოლიტიკურ მომავალზე ფიქრი. ამ დაპირისპირებას, პირადი ძალაუფლების კიდევ უფრო გაძლიერების და "მეფის ტახტის" რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნების მიზნით, ყოველმხრივ ხელს უწყობდა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, "ძალთა დაბალანსების" და შიდა ინტრიგების დიდოსტატი ედუარდ შევარდნაძე.

უმაღლეს დონეზე დაგეგმილი პოსტშევარდნაძისეული ხელისუფლების სათავეში გარკვეული ძალების მოსვლის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი ოპერაცია ითვალისწინებდა ზ. ჟვანიას გუნდის დისკრედიტაციას, რაც შემდეგი სცენარით ვითარდებოდა.

ჩვენი სამართალდამცავები კა-გე-ბეს ცნობილი, ბინძური ჭორების გავრცელების, მეთოდით მოქმედებდნენ და ცდილობდნენ საზოგადოებაში კონკრეტული პიროვნებების მიმართ თანდათანობით ეჭვის ჭია ჩაენერგათ. ფსიქოლოგებისთვის კარგადაა ცნობილი ხალხი ტყუილს და ცუდს, რატომღაც უფრო ადვილად იჯერებს, ვიდრე კარგსა და დადებითს. დადგენილია, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოს უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროების თანამშრომლებს ოპერატიულ დამუშავებაში აჰყავდათ "ცისფერები" და შემდგომ მათ "დავერბოვკებებას" ცდილობდნენ. რაც მთავარია ამ "სახიფათო და საგმირო" ოპერაციის ამოცანა კრიმინალურ და ტერორისტულ დაჯგუფებებზე გასვლა კი არა, არამედ მიზანი უფრო "დიადი და ნათელი" იყო. მეგობრული საუბრის შემდეგ, პირველი შინაურული "თხოვნა-ამოცანა", რასაც ოპერატიული თანამშრომლები ამ უბედურებს უსახავდნენ, ხელისუფლების, უპირველესად კი პარლამენტის, წევრებთან, ნებისმიერი საბაბით დაკონტაქტება იყო.

ბუნებრივია სპეცსამსახურების ვერც ერთი თანამშრომელი სამინისტროს პირველი პირების ბრძანების გარეშე ვერ გაბედავდა ამ ბინძური დავალების შესრულებას. პირველ პირებს კი, სანქცია უშუალოდ მაშინდელი პრეზიდენტ შევარდნაძისგან უნდა აეღოთ, სხვაგვარად ერთ დღესაც ვერ დარჩებოდნენ თბილ და სარფიან კაბინეტებში.

"მოქკავშირის" ახალგაზრდა ლიდერებისათვის მეტსახელების შერქმევაც ამ დისკრედიტაციის სპეცოპერაციის შემადგენელი ნაწილი იყო. ერთ-ერთ

მათგანს, რომლისაც სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს ყველაზე მეტად ეშინოდათ და ამიტომაც ყველაზე მეტად ებრძოდნენ (ეს კი ზ. ჟვანია იყო), 1970-იანი წლების ცნობილი სომეხი ფეხბურთელის გვარი შეურჩიეს ოპერატიულ მეტსახელად.

როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა ამ ოპერაციის საბოლოო მიზანი ახალგაზრდა პოლიტიკოსების კომპრომეტირება და პოლიტიკური არენიდან სამუდამო ჩამოცილება იყო.

## "ბათუმი ქათქათა" – ასლანის ხაფანგი

2004 წლის 12 მაისს საინფორმაციო საშუალებები საქართველოს უშიშროების მინისტრის მაშინდელი მოადგილის გიგი უგულავას სიტყვებს ციტირებდნენ: "ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენობაში, ასლან აბაშიძის ყოფილ კაბინეტში აღმოჩენილია მასალები და ინფორმაცია პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძის_შესახებ". მაშინ უგულავამ ისიც განაცხადა, რომ ასლანი ფარულად ჟურნალისტებსაც უსმენდა და დიდი აგენტურული ქსელი ჰქონდა მთელ საქართველოშიო.

ეს გასაკვირი ნამდვილად არ იყო, რადგანაც წლების მანძილზე ზურაბ ჟვანიას და მისი გუნდის კომპრომეტირებას, "ცენტრთან" ერთად, აჭარის ლიდერიც ცდილობდა. ასლან აბაშიძის მმართველობის წლებში ბათუმი და მთელი აჭარა ერთგვარ ხაფანგად იყო ქცეული. დამამცირებელი შემოწმების პროცედურა და ბრიყვული შეკითხვები "ჭო რისთვის მოიხარ?", ჩოლოქის ხიდთან არ მთაერდებოდა. ინფორმაცია ყველა შემსვლელზე, რომელიც ოდნავ მაინც თუ აინტერესებდა ასლანს, ჩოლოქის პოსტიდან აჭარის უშიშროების სამინისტროს გადაეცემოდა. ამის შემდეგ თვალთავალი და ფარული მიყურადება, მზის ამოსვლასავით ყოველდღიურ და ჩვეულებრივ ამბად იქცეოდა. აჭარის ყველა პრესტიჟული სასტუმროს (უპირველესად კი "ინტურისტში") საუკეთესო ნომრებში ("საპრეზიდენტო აპარტამენტებში") ყველგან, ტუალეტებშიც კი, მოსასმენი და ვიდეოსათვალთვალო ტექნიკა იყო დამონტაჟებული. ამგვარად აგროვებდა ასლანი კომპრომატებს ყველაზე – "ცენტრიდან" ჩამოსულ პოლიტიკოსებზე, მაღალჩინოსან ჩინოვნიკებზე, ბიზნესმენებზე, ჟურნალისტებზე და ა.შ.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ 1990-იანი წლების ბოლოს ზურაბ ჟვანია ზაფხულში დასასვენებლად ურეკს და, როგორც წესი, სასტუმრო "კოლხეთს" ამჯობინებდა.

ფაქტია, რომ ზ. ჟვანიას პრემიერ-მინისტრობის დროსაც უსმენდნენ და მის ახლო გარემოცვაში სხვადასხვა ძალების აგენტურაც მოქმედებდა. ოჯახის წევრები ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებენ, რომ 2004 წლის ოქტომბერში

საზღვარგარეთ მივლინებისას ზურაბ ჟვანიამ საკუთარ ნომერზე კი არ ჩართო როუმინგი (რაც ნებისმიერი რიგითი მოქალაქისთვისაც კი უმნიშვნელო პროცედურაა), არამედ მაშინდელ ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს გამოართვა როუმინგიანი ნომრის "სიმბარათი". ამ ფაქტის ერთადერთი ახსნა აქვს - ჟვანიას არ სურდა საქართველოში სცოდნოდათ, რა ნომრით სარგებლობდა უცხოეთში.

ზემაღნიშნული ფაქტების მორალურ და ეთიკურ მხარესთან ერთად, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებია წინა პლანზე წამოსაწევი. ამის აუცილებლობა იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ამგვარი ბინძური ჭორები წინ უძღოდა სამი ძალზე ცნობილი პიროვნების (გიორგი სანაიას, ნუგზარ საჯაიას და ზურაბ ჟვანიას) დროის მოკლე პერიოდში საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებას.

ფაქტია, რომ ისინი ისეთ გარემოებაში გარდაიცვალნენ, რაც უბრალო კრიმინალს ან უბედურ შემთხვევას თითქმის გამორიცხავს. იმიტომ, რომ მათი თავიდან მოცილების იდეოლოგიურ-დეზინფორმაციული სცენარი წლების მანძილზე იწერებოდა და სპეცსამსახურებმა ამ ტრაგიკულ შემთხვევებს ერთნაირი "შეფუთვა" მოუმზადეს. ეს ფაქტი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ საქართველოს სხვადასხვა, როგორც წესი, მოქმედ ძალოვანი სამინისტროების ასეთი გეგმაზომიერი მოქმედება ერთ ცენტრში დაიგეგმა, საიდანაც ხდებოდა კონკრეტული სამიზნეების და მეთოდების შერჩევა, კოორდინირება და კორექტივების შეტანა. ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურები დამოუკიდებლად ამდენს ნამდვილად ვერ "გაჭრავდნენ", ისინი ალბათ მხოლოდ დაბალი დონის შემსრულებლების სტატუსით მონაწილეობდნენ ამ სპეცოპერაციაში.

ძალზე მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია პრეზიდენტ შევარდნაძის დავალებით ბათუმში ჩავიდა და ასლან აბაშიძეს შეხვდა. შევარდნაძე გაზეთ "ყველა სიახლესთან" 2006 წლის აგვისტოს მიცემულ ინტერვიუში იხსენებდა: "ნუგზარი ბათუმში იყო წასული, იქიდან, რომ ჩამოვიდა, მითხრა: თქვენთვის ხომ არაფერი მითხოვია და ძალიან გთხოვთ, აჭარაში აღარ გამგზავნოთო. ვკითხე –რატომ-მეთქი?! მიპასუხა:მეტს არაფერს გეტყვით, მოვა დრო და ყველაფერს გაიგებთო". მემუარებში კი შევარდნაძე ამატებს: " დარწმუნებული ვარ იგი შეგნებულად მიიყვანეს აქამდე და ამაში საკმაოდ სერიოზული ძალები იყვნენ ჩართული, არ გამოვრიცხავ გარეშე ძალასაც".

სამივე ტრაგიკულ შემთხვევაში სპეცსამსახურების "ყურება" შორიდან ჩანს. თუმცა კონკრეტული ქვეყნის კონკრეტულ სპეცსამსახურს ხელს ვერავინ დაადებს. ობიექტური ექსპერტიზის და საერთოდ, მიუკერძოებელი გამოძიების გარეშე იმის მტკიცება, თუ "ტექნიკურად" რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებს

შეუძლიათ ამგვარი პოლიტიკური მკვლელობის მომზადება და "უბედური შემთხვევების" შესრულება მკითხაობას დაემსგავსება.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ვერსიების ნაკლებობა ნამდვილად არ არის – ერთნი ამტკიცებენ ეს ამერიკელებმა გააკეთეს პრემიერ-მინისტრის "პრორუსული" პოლიტიკის გამოო, მეორენი პირიქით ამბობენ – ეს რუსების გაკეთებულია, ჟვანიას აშკარა "პროდასავლური" კუსიიდან გამომდინარეო. სხვები რამდენიმე ოლიგარქის "ბიზნეს-ინტერესების" გადაკვეთაში ხედავენ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზს. არიან ისეთებიც, ვინც ჟვანია-ოქრუაშვილის 2005 წლის 3 იანვრიდან დაწყებულ მკვეთრ დაპირისპირებაში ეძებს ამ ტრაგედიის მიზეზებს.

## კიდევ ერთხელ გავაბრაზოთ ისტორიკოსები!

ყველა შედარება თუ პარალელი გარკვეულწილად პირობითია და პირდაპირი ანალოგიების გატარება, როგორც წესი ხშირად არაკორექტულია. ისტორიკოსებთან ხშირად მაქვს მეგობრული კამათი. ისინი ყოველთვის ბრაზობენ, როცა ამა თუ იმ მომხდარი მოვლენის და ფაქტის "უკან დატრიალებას" ვიწყებ და ამგვარ კითხვებს ვსვამ: რა იქნებოდა თუ ეს ფაქტი არ მომდარიყო? როგორ განვითარდებოდა მოვლები, რომ ? (მერაბ კოსტავა ავტოკატასტროფაში არ დაღუპულიყო, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია რიგგარეშე არჩევნებზე დათანხმებოდა ოპოზიციას, შევარდნაძე სოხუმში ჯარების შეყვანამდე პირადად დალაპარაკებოდა არძინბას, ჟვანია არ გარდაცვლილიყო და ა.შ.). ვის აძლევდა ხელს მდგომარეობის ამგვარი განვითარება?

ისტორიკოსების პოზიცია სავსებით გასაგებია. თუმცა რაიმე მოვლენის ანალიზისას აუცილებელია ანალიტიკოსებმა ეს შესაძლო ვარიანტები და სცენარები შეისწავლონ და ღრმად გაანალიზონ. ამისთვის კი "ისტორიის ბორბალი" ვირტუალურად უკან უნდა დაატრიალონ.

საშინაო და საგარეო" ოპონენტების ლიკვიდაციის სხვადასხვა ხერხებს "წარმატებით" იყენებენ სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები. რაც უფრო მაღალი კლასისაა სპეცსამსახური, მით უფრო ძნელია (ხანდახან კი საერთოდ შეუძლებელიც!) მათი კვალის მიგნება. დღეისათვის საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნების მრავალი სპეცსამსახურიდან მხოლოდ ორს (გამოცნობა მკითველისთვის მიმინდია) ძალუძდა ზ. ჟვანიას დონის პოლიტიკოსის ლიკვიდაციის დაგეგმვა-ორგანიზება, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია მათ ასე დილეტანტურად ემოქმედათ და შესრულებისას ამდენი სამხილი დაეტოვებინათ. ისინი, როგორც წესი "კუდებს" ღრმად მალავენ. თუმცა არსებობს ორი შემთხვევა, როცა უძლიერესი სპეცსამსახურებიც უშვებენ მარტივ შეცდომებს. ერთი იმ დროს, როცა ოპერაცია სასწრაფოდ იგეგმება და ყველა ნიუანსის

გათვლას ვერ ასწრებენ. მეორე კი ის შემთხვევაა, როდესაც შესრულებას ადგილობრივ არაპროფესიონალებს ავალებენ. თუმცა არსებობს იმის მაგალითებიც, როცა გამოცდილი სპეცსამსახური სამხილებს შეგნებულად ტოვებს, რათა ეჭვი არაფროფესიონალებზე აიღონ. ამ დროს მხოლოდ "გამორიცხვის მეთოდით" ანუ "ვის აძლევდა ხელს?" ვარაუდით შეიძლება სიმართლესთან მიახლოება.

## სამი თარიღი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა საქართველოს უახლესი ისტორია

საქართველოში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მომხდარი მრავალი "უბედური შემთხვევის", მკვლელობის თუ "თვითმკვლელობის" ტრაგიკული ფაქტებიდან, ეს სამი განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, ეტაპობრივი მნიშვნელობის იყო.

1. 1989 წლის 13 ოქტომბერი – მერაბ კოსტავას ფაქტიურად გამოუძიებელი და ძალზე საეჭვო სიკვდილი;

2. 2002 წლის 25 თებერვალი – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, გენერალ-ლეიტენენტ ნუგზარ საჯაიას_ყველასთვის დაუჯერებელი თვითმკვლელობა;

3. 2005 წლის 3 თებერვალი – პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ბურუსით მოცული დაღუპვა.

შეიძლება ვინმეს ეს შედარება თავიდან ცოტა არაკორექტულად მოეჩვენოს, მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდება, ბევრ საერთოს აღმოაჩენს. უპირველესად კი ამ ტრაგიკული შეთხვევების შემდეგ საქართველოს თავზე დამტყდარ უბედურებებს – სამოქალაქო ომს, ტერიტორიების დაკარგვას, არასტაბილურობას და ა.შ. ვითომ ეს შემთხვევითი იყო? რომელი ქვეყნის ინტერესებში იყო და არის საქართველოში არასტაბილურობა?

მერაბ კოსტავას, ნუგზარ საჯაიას და ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული გარდაცვალების ფაქტები, სწორედ იმ კატეგორიას განეკუთვნება, როცა "შემთხვევითობა" გამორიცხულია და ჩვენმა მტრებმა კარგად იციან თუ რომელი ბურჯი და საყრდენი უნდა წააქციონ, რათა სახელმწიფოებრიობა თავზე დაგვემხოს. ამ დროს სამივე შემთხვევაში დაირღვა ბალანსი და ტანდემი – საჯარო-პოლიტიკოსი და არაფორმალური (რეალური) ლიდერი. კოსტავას არ დასცალდა, ჟვანია და საჯაია კი რეალური სახელისუფლებო ძალის მქონე პიროვნებები იყვნენ, რომლებიც პრაგმატული პოლიტიკის გატარების მომხრეებად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენმა მტერმა კარგად იცოდა, რომ კოსტავას ჩამოცილებით, საქართველოს დანგრევა გაუადვილდებოდა. რა შედეგები მივიღეთ საქართველოს ეროვნული მოძრაობის შემაკავშირებელი ხიდის მერაბ კოსტავას გარდაცვალების შემდეგ?

ორად გახლეჩილი ეროვნული მოძრაობა, ქარიზმული და ემოციური ზვიად გამსახურდიას გაუწონასწორებელი გამონათქვამებისა და მოქმედებების შედეგად, კი: სამოქალაქო ომი, აფხაზი და ოსი სეპარატისტების მოძლიერება და საბოლოოდ ქვეყნის ათწლეულებით უკუსვლა.

კოსტავას, როგორც ეროვნული მოძრაობის ყველაზე ზომიერი და გონიერი ლიდერის მოცილება სპონტანურად არ დაგეგმილა. ის 1970-იანი წლებიდან კა-გე-ბეს მუდმივი ფარული მეთვალყურების ქვეშ იყო. საჯაია და ჟვანია კი ოპერატიული დამუშავების ობიექტები წლების მანძილზე იყვნენ. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში აქტიურობდნენ, როგორც საქართველოს სპეცსამსახურები (შსს და უშიშროების სამინისტრო), ასევე უცხო ქვეყნების საიდუმლო სამსახურები.

## ედუარდ შევარდნაძემ ბევრი იცის, მაგრამ იტყვის?

ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ალბათ ერთადერთი პოლიტიკოსია, რომელმაც საქართველოს უახლესი ისტორიის ყველა საიდუმლო იცის. ნახევარი საუკუნის (1953-2003 წწ.) მანძილზე ის მოვლენათა შუაგულშიც იყო და კულისებს მიღმაც მოქმედებდა. ამიტომ დღეს შევარდნაძე მართლაც რომ უნიკალური საიდუმლო ინფორმაციის (როგორც დოკუმენტური, ასევე მეხსიერებითი) მფლობელია.

აფხაზეთის და სამაჩაბლოს მოვლენების რეალური სურათი, მერაბ კოსტავას, ზურაბ ჭავჭავაძის და ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული და ჯერ კიდევ ბუნდოვანი სიკვდილი, გია ჭანტურიას და გიორგი სანაიას მკვლელობა, დემურ დვალიშვილის და ნუგზარ საჯაიას ძალზე საეჭვო თვითმკვლელობა, რეალური თუ გამაფრთხილებელი ტერაქტები, ზურაბ ჟვანიას ოპოზიციაში წასვლის ნამდვილი მიზეზები – ეს მხოლოდ ისტორია არაა. საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ამ, კარგად დაგეგმილ, მოვლენებს მილმა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ხელწერა იკვეთება.

თუ ამ ფაქტებს არ აეხადა ფარდა და არ გამოაშკარავდა სხვა ქვეყნების ძველი და ახალი აგენტურა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, დემოკრატიული და ძლიერი სახელმწიფოს აშენების დაპირებები კვლავ აუხდენელ ოცნებად დარჩება.

უდავოა, რომ ამ ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, მაგრამ შევარდნაძე რატომღაც არ ჩქარობს ისტორიული მოვლენების შესახებ ობიექტური მოგონებების მომავალი თაობებისთვის დატოვებას.

შევარდნაძე რაიკომის მდივანი იყო, საზოგადებრივი წესრიგის დაცვის (შემდეგ შინაგან საქმეთა) მინისტრი, ცკ-ას პირველი მდივანი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი თუ საქართველოს პრეზიდენტი, ის ყოველთვის ცდილობდა მოეპოვებინა კომპრომატები ხელქვეითებზე და საჭირო მომენტში მათ წინააღმდეგ გამოეყენებინა. ამგვარი "ბიზანტიური პოლიტიკის" წყალობით ინარჩუნებდა შევარდნაძე პოსტს. ამას არც თვითონ მალავს, როცა 2005 წლის აგვისტოში პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში სინდისის ქეჯნის გარეშე თავმომწონედ აცხადებს "მე ყველას ცოდვა ვიცოდიო", იმას კი ალარ ამატებს, თუ რა მიზნებით იყენებდა ამ "ცოდვების ცოდნას".

ედუარდ შევარდნაძე გადადგომის შემდეგ ძალზე აქტიურობს და ინტერვიუს არ ამადლის მასმედიას. ცდილობს დაწვრილებით გაიხსენოს მოვლენები და შეფასება მისცეს პიროვნებებს, თანაც შიგადაშიგ ისეთ "მარგალიტებს" გამოურევს, რომ გაოცდები – ხან სახელმწიფო საიდუმლოებას გაამხელს მშვიდად, ხან კი ზოგიერთ პოლიტიკოსს ისეთ "კომპლიმენტს" უძღვნის, რომ კომპრომატს უფრო ჰგავს. ალბათ ასაკი თავისას შვება. ისე კი, შევარდნაძის ინტერვიუები უფრო ცოცხალი და საინტერესოა, ვიდრე მისი მემუარები.

2006 წელს გამოცემულ 500 გვერდიან მემუარებში შევარდნაძემ "მოახერხა" და თითქმის არაფერი თქვა ყველასთვის საინტერესო ფაქტებზე. უფრო მეტიც, საქართველოს უახლესი ისტორიისთვის ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნებები, როგორიც ნუგზარ საყვია და ზურაბ ჟვანიაა, სულ თითო გვერდზე ჰყავს ნახსენები.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტს შევარდნაძე ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად აფასებს – "ეს იყო მკვლელობა", "სხვაგან გაგუდეს ალბათ და იქ მიყვანეს და დაასვენეს". თანაც თითქოსდა ბუნდოვან მინიშნებებსაც აკეთებს.

ზურაბ ჟვანიას, როგორც პოლიტიკოსის შეფასებაში შევარდნაძე, ერთი შეხედვით, კომპლიმენტებს არ იშურებს. საქვეყნოდ აქებს და აცხადებს, რომ ჟვანიას გარდაცვალება მისთვისაც დიდი ტრაგედია იყო. მაგრამ თან ისიც კარგად ჩანს, რომ "ვარდების რევოლუციის" გამო წყენა, კვლავ გულში აქვს ჩაბუდებული.

## ვინ იქნება შემდეგი?

ზურაბ ჟვანიამ თავადაც კარგად უწყოდა, რომ სპეცსამსახურების სამიზნე იყო. პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს ის "მოქკავშირის" ერთგული ახალგაზრდა კადრების საშუალებით ცდილობდა გაერკვია, თუ კონკრეტულად რა ძალები ცდილობდნენ მის კომპრომეტირებას. ამ პერიოდში

ის ამ თემაზე საჯარო განცხადებების გაკეთებისაგან თავს იკავებდა. ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ კი, როდესაც უკვე ღიად ადანაშაულებდნენ რუსული ინტერესების გატარებაში, საპასუხოდ ის აცხადებდა: "ძალიან ბევრი გავაკეთე იმისთვის, რომ საქართველოს დასავლეთის სამყაროში შესვლის შანსი ჰქონოდა. ამის გამო ჩემზე რუსეთის სპეცსამსახურებიდან ათასი ზეწოლა იყო და მრავალი სიბინძურე ვრცელდებოდა. მოსახლეობისთვის ნათელია, ვინ სად დგას" (ჟურნალი "სარკე", 11-17 ივნისი, 2003 წ.)

რუსეთის სურვილია საქართველოში სერიოზულ, ჭკუადამჯდარ პოლიტიკოსებს გასაქანი არ მიეცეს. რუსეთს ყოველთვის ის აინტერესებს, რომ საქართველოს ხელისუფლებში, ყველა დონეზე, ახალგაზრდა, მაქსიმალურად გამოუცდელი და ეგზალტირებული ხალხი მოღვაწეობდეს. სპეცსამსახურები ყოველთვის ფარულად თამაშობენ თავის "სისხლიან თამაშებს". ამიტომაც, თუ ეს საქმე სახელმწიფო საიდუმლოებას ეხება და ამის საჯარო გამხელა ზიანს მიაყენებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს (ისე აგვისტოს ომის შემდეგ რაღა დაგვრჩა დასაკარგი – თბილისი?), ან თუ აშკარა სამხილების უქონლობის გამო ხელს ვერ ადებენ იმ ქვეყანას, რომელსაც შეეძლო ამგვარი ოპერაციის ჩატარება (ეს კი საერთოდ დაუჯერებელია, რუსეთის ტყუილ-მართალი ლანძღვა ჩვენ ხელისუფლებას არ ესწავლება) – მაშინ, როგორც ამას ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები აცხადებენ, ხომ შეიძლებოდა ხელისუფლებას მათთვის საშუალება მიეცა კონფიდენციალურად მაინც დარწმუნებულიყვნენ ოფიციალური ვერსიის სიმართლეში?

ამ რამდენიმე წლის წინ, როცა ზ. ჟვანიას გარდაცვალების ფაქტზე პირველად ვწერდი, გულწრფელად მჯეროდა, რომ აშკარა სამხილების უქონლობის გამო საქართველოს ხელისუფლება "ზოგჯერ თქმითაც დაშავების" პრინციპით მოქმედებდა, ხელს ვერ ადებდა იმ ქვეყანას, რომელმაც ეს ჩაიდინა და ამ ერთ ბრძოლაში დამარცხებული ქართული სპეცსამსახურები მომავალ ბრძოლებში გამარჯვებისთვის ემზადებოდნენ. მჯეროდა, რომ სულ მალე ხელისუფლება ამ საქმის შესახებ სიმართლეს გაარკვევდა. ოთხი წლის გასვლის შემდეგ კი, ჩემი შეხედულება კარდინალურად შეიცვალა – რატომღაც არ სურთ, მინიშნებითაც კი, სიმართლე თქვან. ძნელია არ დაეთანხმო ქალბატონ ნინო ქადაგიძე-ჟვანიას, როცა ის აცხადებს:

"გასაგებია, რომ როდესაც საქმე პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, არის დეტალები, რომლებიც შეიძლება დახურული იყოს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მოეცათ ჩვენთვის შესაძლებლობა, დავრწმუნებულიყავით ოფიციალური ვერსიის სიმართლეში?".

1990-იანი წლების შუა პერიოდში ზურაბ ჟვანიას და მისი გუნდის წინააღმდეგ მიმართული კომპომეტირების სპეცოპერაცია 2005 წლის 3 თებერვალს მისი სიკვდილით დასრულდა. თუმცა დასრულდა კი? იქნებ ეს პირველი ეტაპი იყო? ვინ იქნება შემდეგი?

## ეჰ ჯულიეტა, ჯულიეტა, ისევ ძველ ხელობას მიუბრუნდი ხომ?

გეიგებს რუსეთი საინფორმაციო ომს და ეს უკვე აშკარაა. დღე არ გავა, რომ საქართველოს საწინააღმდეგო სტატია თუ ინტერვიუ არ დაიბეჭდოს მსოფლიოს სხვადასხვა გაზეთებში. ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით მძაფრი კრიტიკა მხოლოდ ამჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული და საქართველოს არ ეხება. ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმებით, განა იმიტომ, რომ ხელისუფლების საბედისწერო შეცდომების დამალვა გვწადია, არამედ იმის გამო, რომ ეს, რუსეთის სპეცსამსახურების კაბინეტებში „მოზელილი ტალახი" სრულიად საქართველოს ხვდება.

წლების მანძილზე ვიმეორებთ - სანამ როკის გვირაბი ფუნქციონირებს, ცხინვალის რეგიონის დაბრუნება სამხედრო ძალით, უპერსპექტივოა. რუსეთის მიერ დაგებულ „ცხინვალის ხაფანგში", რა თქმა უნდა, არ უნდა გავებმულიყავით. ეს საკითხი ბოლომდეა გასარკვევი და ის თანამღებობის პირები, ვინც ჯარს ცხინვალში შესვლა უბრძანეს, უმკაცრესად არიან დასასჯელნი.

ამავე დროს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილ და გავრცელებულ დეზინფორმაციას, რომ არ ვუპასუხოთ, ესეც არ მიმაჩნია მართებულად.

ფაქტია, რომ პუტინ-მედვედევის ხელისუფლებამ ღია და ფარული მეთოდების გამოყენებით ევროპის პოლიტიკური ლიდერების ურთიერთდაპირისპირება შეძლო. ერთ ფლანგზე „ბებერი ევროპის" ის ქვეყნები (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი) იმყოფებიან, რომლებიც თავის დროზე ჰიტლერთან და სტალინთანაც ნახულობდნენ საერთო ენას, მეორე მხარეს კი, ის ქვეყნები ვინც თავად იწვნიეს საბჭოთა კავშირის იმპერიის მთელი სისასტიკე.

რუსეთის დიდი მონდომებით, ევროპასა და ამერიკაში გაცხარებული დისკუსია მიმდინარეობს იმის დასადგენად, თუ ვინ გაისროლა პირველმა და ვინ დაიწყო „აგვისტოს ომი". ხოლო ის კი, თუ რატომ არ სრულდება სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ყველა პუნქტი, რატომ განახორციელა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ანექსია ან რა უნდა ათასობით რუს ჯარისკაცს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, „ბებერი ევროპის" ქვეყნების ლიდერებს აღარ აინტერესებთ.

რუსეთის ხელისუფლებას დეზინფორმაციის მნიშვნელობა არ ესწავლება. მით უფრო ვლადიმერ პუტინს, რომელიც საბჭოთა კა-გე-ბეს პირმშოა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეტყობა ძალზე გაუჭირდათ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შესახებ მსოფლიოს მოსატყუებლად ახალი მეთოდების და ხერხების მოფიქრება-გამოყენება და კვლავ კა-გე-ბეს „წვერებიანი ანეგდოტივით" მოძველებულ მეთოდებს იყენებენ. მაშინ ინდოეთის (თურქეთის, ალჟირის და ა.შ. – აქ ქვეყანას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს) პატარა გაზეთში

(რომელსაც საბჭოთა დაზვერვა აფინანსებდა) დაიბეჭდებოდა ანტიამერიკული სტატია, რომელსაც უმალ გადაბეჭდავდნენ საბჭოთა ცენტრალური გაზეთები „პრავდა“ და „იზვესტია“, შემდეგ კი უკვე საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და იტალიის კომუნისტური გაზეთები აიტაცებდნენ კა-გე-ბეს კაბინეტებში შექმნილ სიცრუეს და „უმაღლესი დონის სენსაციაც“ სახეზე იყო. დღესაც ასევე მოქმედებენ და ხშირად ძველ, ნაცად „გავლენის აგენტებს“ იყენებენ.

„ნაფტალინიდან“ ამოღებული, კა-გე-ბეს მიერ დაფენილ ათას ნაბადზე გადამხტარი, უკვე ხანში შესული უცხოელი მწერალი, ჟურნალისტი თუ პოლიტიკოსი რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით უსახლკაროსავით დაძრწის ქვეყნიდან-ქვეყანაში, ინტერვიუს გულუხვად არიგებს და ტაკიმასხარასავით იმანჭება, რომ მსოფლიოს დაუმტკიცოს რა ცუდები არიან ქართველები და როგორ მუხანათურად გაწყვიტეს საცოდავი აფხაზები და ოსები.

ამასაც, რომ არ სჯერდებიან! სითბოსა და მყუდროებას მოყვარულ ევროპელებსა და ამერიკელებს (რომელთაც ხშირად კავკასიის ისტორია კი არა, საკუთარი ქვეყნის პირველი პრეზიდენტის გვარიც არ ახსოვთ) ქედმაღლურად ჭკუას ასწავლიან – თქვენ, ხომ არ იცით, რომ ათეული საუკუნეებია ქართველები როგორ ველურად ეჭცევიან ეროვნულ უმცირესობებსო.

ცივი ზამთრის მოლოდინმა, თუ მოსკოვში მათზე არსებული კომპრომატების გამოქვეყნების შიშმა, ევროპის ბევრი ქვეყნის ლიდერის ლუსტრაცია მოახდინა. თეთრის და შავის დადგენას ორთაჭალის აბანო აღარ ჭირდება. საფრანგეთის და მისი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. ამჟამად კი ევროპაში რუსეთის „ყურმოჭრილ მეგობარზე“, იტალიასა და მის ლიდერზე მოგითხრობთ.

იტალიის სამოცდაათ წელს გადაცილებული პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი,_რომელიც ყოველდღიური „შეღებვითი სამუშაობისა“ და კოსმეტიკური ოპერაციების შედეგად „წიწკვივით“ გამოიყურება, ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში „სუსტი ნებისყოფის“ დიაცივით კულუარებში ჭორაობს – „ვერ გავიგე, რაში გამოიყენა რუსეთმა არაპროპორციული სამხედრო ძალა, აბა სხვანაირად, როგორ უნდა მოქცეულიყოო“. ძნელია რამის თქმა, თუმცა ადამიანს, რომელსაც ერთიანად გადაბუგული ქართული სოფლები, დაბომბილი გორი, ფოთი თუ თბილისი არ უნახავს და სარკესთან უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე იტალიელი პორნო ვარსკვლავი ჩიჩოლინა, რა უნდა მოსთხოვო?

ჩვენი საუბრის თემა იტალიელი ევროპარლამენტარის ჯულიეტო (ისე მისი „ცელქი ხასიათიდან“ გამომდინარე ჯულიეტა, რომ დავუძახოთ, უფრო უპრიანი იქნება) კიეზას გასაოცარი ანტიქართული აქტივობაა. 2008 წლის 11 აგვისტოდან (ყურადღება მიაქციეთ ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდიდან) დღე არ გავა, რომ ჯულიეტამ სტატია არ

გამოქვეყნოს ან ინტერვიუ არ მისცეს, სადაც საქართველო და ქართველები მოძალადეებად და ბარბაროსებად ვართ გამოყვანილი.

ჯულიეტას ისე, სხვათაშორის მაინც რომ ეთქვა - თურმე ქართული სოფლებიც სერიოზულად დაზიანებულა, ათი ათასობით გამოძევებულია და მშვიდობიანი მოსახლეობაც დახოცილაო, კაცს შეიძლება კიდევ ეფიქრა ობიქტურობას ცდილობს ეს, ათას ნაბადზე გადამხტარი ნაკომუნისტარევროპარლამენტარიო. მისი სტატიები და ინტერვიუები „შემთხვევით" ზუსტად იმეორებს იმ ბრალდებებს, რასაც საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლება უკვე 8 აგვისტოდან „ამღერებს".

დიდხანს ვეძებდი ამგვარი დამოკიდებულების მიზეზს, მაგრამ ისეთს ვერაფერს მივაგენი, რაც ჩვენს მიმართ ჯულიეტას ამგვარ სიძულვილს ახსნიდა. დაილოცოს ინტერნეტი! ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ კიეზას ბიოგრაფიის ცნობილი ფაქტების, თუ მივიწყებული ვერილმანების გაცნობის შემდეგ მოეფინა ბევრ რამეს ნათელი.

მცირე დოსიე: ჯულიეტო კიეზა დაიბადა 1940 წლის 4 სექტემბერს იტალიის პატარა პროვინციულ ქალაქში. ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა მარქსისტულმა იდეოლოგიამ, სტუდენტთა ბევრ საპროტესტო დემონსტრაციას გაუწია ორგანიზება და სავარაუდოდ მაშინ მოხვდა „კომპეტენტური საბჭოთა ორგანოების" თვალთვალდვის არეში. 1960-იან წლებში იტალიის ახალგაზრდა კომუნისტთა ფედერაციის ხელმძღვანელი იყო, ხოლო 1970-1979 წლებში უკვე „დიდ" კომუნისტებს ხელმძღვანელობდა გენუაში.

1980-1990 წლებში იტალიის კომუნისტთა მთავარი გაზეთის „უნიტას" კორესპონდენტია რუსეთში. 1990-2000 წლებში კი ასევე იტალიური გაზეთის „ლა სტამპას" მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელია. საერთო ჯამში მან ოცი წელი გაატარა მოსკოვში. ჩანს, რომ ძალზე შედეგიანად.

2004 წელს გახდა ევროპარლამენტის წევრი იტალიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან. 2006 წელს კი ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გადაბარგდა.

საბჭოთა და რუსეთის ხელისუფლებისადმი აღტაცებას ჯულიეტა ვერასდროს მალავდა და ამ „სასიყვარული" თემაზე ათამდე წიგნი და ასეულობით სტატია გამოაქვეყნა. განსაკუთრებით აღფრთოვანებულია ის პუტინის ხელისუფლებით და ამას არც მალავს – მას პუტინი რუსეთის გადამრჩენად და აშშ-ის დამსამარებლად ესახება. ჯულიეტა პუტინის აზრებს ახმოვანებს, ისევე, როგორც ადრე ბრეჟნევის, ანდროპოვის და გორბაჩოვის „წითელი ბულბული" იყო. მას პათოლოგიურად სძულს აშშ და მისი ყველა სტრატეგიული მოკავშირე. იქმდეც კი მივიდა, რომ განაცხადა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი თავად ამერიკელებმა მოაწყესო.

## "წითელი ბულბული" კვლავ რუსეთს უმღერის

უკანასკნელი ექვსი-შვიდი წელია, რაც ჯულიეტა ძალზე გააქტიურდა. მისი "სენსაციური" სტატიების მთავარი სამიზნე აშშ-ი, ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი იყო. "აგვისტოს ომი" ჯერ კიდევ არ იყო შეყვეტილი, რომ კიეზამ უკვე "ყველაფერი იცოდა". მთელს ევროპაში რუსეთის ხელისფლების გარდა ჯულიეტა ერთადერთი იყო ვინც უკვე 11 აგვისტოს აგრესორად საქართველოს ასახელებდა. ფაქტიურად ის პირველი უცხოელი იყო ვინც დაიწყო რუსეთის "პროპაგანდისტული მანქანის" მიერ შემუშავებული დეზინფორმაციის გავრცელება. იტალია უპირველესად პიცის, მაკარონის, ვენეციის და პიზის კოშკის ასოციაციას იწვევს. თუმცა ნუ ვიჩქარებთ, ბევრი ისტორიკოსი და ექსპერტი იტალიას უყოყმანოდ საბჭოთა კა-გე-ბეს უკავშირებს.

## რა ხდება იტალიელთა თავს?

თავმომწონე აპენინელთა უდიდესმა ნაწილმა შეიძლება არც იცოდეს, რომ მათი ლამაზი ქვეყნის პოლიტიკური მომავალი ათწლეულების მანძილზე მოსკოვში იგეგმებოდა. 1920-იანი წლებიდან მოყოლებული საბჭოთა სპეცსამსახურები იტალიაში იმდენად თავისუფლად გრძნობდნენ თავს, რომ ეს ქვეყანა სპეცოპერაციების დაგეგმვის და განხორციელების ერთგვარ შტაბ-ბინად იყო ქცეული. რომიდან, ტურინიდან და მილანიდან იმართებოდა სპეცოპერაციები დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, აშშ-ის და "ნატო"-ს სხვა წევრი ქვეყნების წინააღმდეგ. თვითონ იტალიაში საბჭოთა სპეცსამსახურებს დიდი არჩევანი ჰქონდათ აგენტ-ინფორმატორების, გავლენის აგენტების თუ "უბრალოდ" სანდო პირების მრავალრიცხოვან "არმიას" შორის. მათგან მოსკოვს უმთავრესად "გავლენის აგენტები" აინტერესებდა, რადგანაც სწორედ მათ ხელში იყო ან მოკლე პერიოდში აღმოჩნდებოდა, იტალიის პოლიტიკური სისტემის მართვის სადავეები.

საბჭოთა სპეცსამსახურების დეზინფორმაციული მუშაობის შედეგად 1960-იანი წლების ბოლოდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა სენსაციური ინფორმაცია – თითქოს იტალიის კომუნისტურმა პარტიამ დაგმო საბჭოთა პოლიტიკა და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა კრემლთან. ამ ფაქტს იტალიის კომპარტიის ლიდერების განცხადებებიც ადასტურებდა. იმ პერიოდში პარტიის ლიდერმა ენრიკო ბერლინგუერმა ერთ-ერთ ინტერვიუში საჯაროდ "აღიარა", რომ მიესალმება იტალიის "ნატო"-ს წევრობას და მკაცრად გააკრიტიკა მოსკოვის იმპერიალისტური და მილიტარისტული პოლიტიკა. მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ეს ინტერვიუ მოსკოვში, "ლუბიანკაზე" იყო შედგენილი.

იტალიის სოციალისტური პარტიაც, კომუნისტურ პარტიასთან ერთად, ათწლეულების მანძილზე კრემლის ფარული მიზნების ყველაზე აქტიური შემსრულებელი იყო. ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო არენაზე სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ფრანჩესკო დე მარტინო პროსაბჭოთა პოზიციის აქტიურ გამტარებლად გვევლინებოდა. ეს გასაკვირი არ იქნება, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ 1972 წელს ბატონი ფრანჩესკო სოცპარტიის ლიდერი კა-გე-ბეს დიდი ძალისხმევის შედეგად გახდა. შემდგომ პერიოდში ის იყო იტალიის მთავრობის ვიცე-პრემიერი და პრეზიდენტობის კანდიდატიც (!) და მოსკოვიდან კარნახით ცდილობდა სოციალისტური და კომუნისტური პარტიების საპარლამენტო გაერთიანების შექმნას, რის შემდეგაც პრემიერ-მინისტრიც თავად უნდა გახდარიყო. მას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ იტალიელი სოციალისტების გაზეთი "ავანტი" და სოციალისტი-მინისტრები ფაქტიურად კა-გე-ბეს მიერ კონტროლდებოდნენ. ფრანჩესკო დე მარტინოს მაშინ ცოტა დააკლდა, რათა ქვეყნის უმაღლესი პოსტი დაეკავებინა და იტალია "გაწითლებას" ბეწვზე გადაურჩა.

საბჭოთა სპეცსამსახურები აფინანსებდნენ, წერთნიდნენ და წარმართავდნენ ტერორისტული ორგანიზაცია "წითელი ბრიგადების" მთელ საქმიანობას. არის სერიოზული ინფორმაცია, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრის ალდო მოროს მოტაცება და ლიკვიდაცია სწორედ კრემლში დაიგეგმა.

საბჭოთა სპეცსამსახურების საქმიანობა იტალიაში გასცდა მხოლოდ შპიონაჟის საზღვრებს და სხვა, სუვერენული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. ცხოვრების აქტიურ მანიპულირებად იქცა.

ეს და მრავალი სხვა შემაშფოთებელი ინფორმაცია ცნობილი მას შემდეგ გახდა რაც იტალიაში მუშაობას შეუდგა საპარლამენტო კომისია სენატორ პაოლო გუცანტის ხელმძღვანელობით. ამ კომისიას ევალებოდა გამოეძიებინა საბჭოთა სპეცსამსახურების ფარული საქმიანობა იტალიაში.

"გუცანტის კომისიამ" სხვადასხვა საარქივო მასალების ანალიზის შედეგად ძალზე მძიმე სურათი მიიღო. აღმოჩნდა რომ ათწლეულების მანძილზე საბჭოთა სპეცსამსახურებზე მუშაობდა იტალიის პოლიტიკური ელიტის, მასმედიის, სამართალდამცავების და ა.შ. ათეულობით წარმომადგენელი. ეს "გავლენის აგენტები" ძალზე ფაქიზად და ფრთხილად აძკვიდრებდნენ აზრს იტალია-რუსეთის (საბჭოთა კავშირის) "საუკუნოვან ძმობაზე", საერთაშორისო მშვიდობის მნიშვნელობაზე და ორიენ ქვეყნისთვის საერთო მტრის (ბუნებრივია აშშ-ის) არსებობაზე. რეალურად კი ცდილობდნენ კრემლის მიერ ნაკარნახევი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებას.

"გუცანტის კომისია" ძალზე დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა. ქვეყნის შიგნით მის კრიტიკას და კომპრომატების ქექვას კიდევ შეეგუებოდა კაცი, აი 2005 წლის ბოლოს კი პაოლო გუცანტიზე თავდასხმის მცდელობა უკვე სერიოზული გაფრთხილება იყო. ამ კომისიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი

მოწინააღმდეგე და კრიტიკოსი ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი, "ცელქი" ევროპარლამენტარი ჯულიეტო კიეზაა.

## „კანმფეტი“ გიყვარს ჯულიეტა?

მისი ენერგია და აქტივობა მართლაც, რომ შესაშურია. სამოცდაათ წელს მიტანებული ევროპარლამენტარი ერთი დღე ლატვიაშია, მეორე დღეს მოსკოვში იძლევა ინტერვიუებს, მესამე დღეს კი უკვე ცხინვალშია და კოკოითს ეხუტება, შემდეგ იტალიაში გარბის და მორიგ პროვოკაციულ "ფოტო-გამოფენას" ხსნის რომში, აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის ტრაგიკულ დღეებთან დაკავშირებით. ჯანმრთელობის გარდა ამ ვოიაჟებს გვარიანი ფულიც რომ სჭირდება, ესეც ხომ საკითხავია. ვითომ საკუთარ ევროპარლამენტარის ხელფასს იმეტებს კომუნისტი კიეზა ამ "გულისამაჩუყებელი" ვიზიტების დასაფინანსებლად, თუ ძველბურად კვლავ მოსკოვის კმაყოფაზეა?

2008 წლის 25 ნოემბერს ჯულიეტა ლატვიის დედაქალაქ რიგაში იქაური რუსი ეროვნების პოლიტიკოსებს შეხვდა. ამერიკა და ნატო რომ მოსთხარა, მერე საქართველოს მიუბრუნდა და განაცხადა:

"რაზე უნდა დაელაპარაკოს საქართველოს ხელისუფლება ოსებს, ისინი ხომ 15 წლის მანძილზე კლავდნენ და ანადგურებდნენ ოსებსო". შემდეგ კი კიეზა საბოლოოდ გაიშიფრა, როდესაც განაცხადა:

"მე საქართველოში არა ერთხელ ვარ ნამყოფი. ადრე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან_ჩავწერე ინტერვიუ. მაშინ დავრწმუნდი, რომ ეს ადამიანი გიჟი იყო. მან პირდაპირ მითხრა – ოსები აქ იცხოვრებენ თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც ეს საქართველოს მიწებიაო".

საინტერესოა რა დაინახა ჯულიეტამ ამ სიტყვებში არასწორი? თუმცა ეს კითხვაც მხოლო რიტორიკა და ფუჭი წყლის ნაყვაა, რადგანაც კიეზა მაშინაც დეზინფორმაციული დავალების შესასრულებლად იყო მოსკოვიდან გამოგზავნილი და ამჟამადაც იმავე პატრონების ნებას ასრულებს.

პაოლო გუცანტი, რომელიც ბევრი იტალიელისაგან განსხვავებით ამ ომში უყოყმანოდ ჩვენს მხარეს დადგა და არც ეხლა მალავს სიმპათიას საქართველოს მიმართ, სერიოზული საფრთხის წინაშეა.

საინტერესოა ვისთვის წარმოადგენს საფრთხეს სიმართლის დადგენა და იტალიაში მოქმედი საბჭოთა და რუსეთის სპეცსამსახურების აგენტურის გამოვლენა?

პაოლო გუცანტი ბოლო პერიოდამდე ქვეყნის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის მხარდამჭერად მოიაზრებოდა და მისი პარტია "წინ იტალიას" აქტიური წევრი იყო. ალბათ ამიტომაც დანიშნეს 2002 წელს გუცანტი იმ საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც XX საუკუნის დასასრულის ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოსთვის – საბჭოთა აგენტურისთვის უნდა აეხადა ფარდა. თუმცა "გუცანტის კომისიას" იმდენი პრობლემა შეუქმნა იტალიის ხელისუფლებამ, რომ დღეს პაოლო გუცანტი ბერლუსკონის ერთ-ერთ მოწინააღმდეგედ იქცა.

## ვის დაუფრთხო ძილი "მიტროხინის არქივმა"?

ჭეშმარიტებაა, რომ სპეცსამსახურში სახელმწიფო საიდუმლოებაზე ხელი დამლაგებელსაც კი მიუწვდება. მაშინ რაღა უნდა ვთქვათ კა-გე-ბეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სააარქივო ქვეგანყოფილების უფროსზე, თუნდაც უკვე პენსიონერზე?

მცირე დოსიე: ვასილი მიტროხინი დაიბადა 1922 წელს რიაზანის ოლქში. დაამთავრა ალმა-ატის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1948 წლიდან საბჭოთა უშიშროების სისტემაში მუშაობდა, ჯერ კურიერად, შემდეგ კი საბჭოთა დაზვერვის არქივში. ის არეგისტრირებდა უცხოეთში მოქმედი საბჭოთა აგენტურის საარქივო მასალებს. ალბათ ვეღარასოდეს გაიგებთ თუ, რამ უბიძგა მიტროხინს ფაქტიურად თავი გაეწირა - სასიკვდილო ნაბიჯი გადაედგა და არქივიდან, ყველასგან ფარულად ხელით ამოეწერა სრულიად საიდუმლო ინფორმაცია მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ათასობით არალეგარულად მოქმედი საბჭოთა აგენტისა და საიდუმლო ოპერაციის შესახებ. ეს ფაქტი, რომ გამჟავნებულიყო მიტროხინს უკეთეს შემთხვევაში ციმბირის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში მოუწევდა დარჩენილი სიცოცხლის გატარება. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მიტროხინი 1972 წლიდან შეუდგა არქივებიდან ამონაწერების გაკეთებას.

1972 წელს კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველო (იგივე საგარეო დაზვერვა) „ლუბიანკიდან" მოსკოვთან ახლოს მდებარე იასენოვოში ახალ, თანამედროვე კომპლექსში გადადიოდა. სხვა საიდუმლო დოკუმენტებთან ერთად დაზვერვის არქივიც (დაახლოებით 300 000-მდე საქაღალდე) უნდა გადაეტანათ. ამისთვის კი აუცილებელი იყო არქივის აღწერა, ინდექსაცია და სპეციალურ ყუთებში მოთავსება, რომლებიც შემდგომ უნდა დალუქილიყო. იასენოვოში საქაღალდეები სპეციალურ სტელაჟებზე თავსდებოდა. უზარმაზარი არქივის გადატანის რთული პროცესი რამდენიმე წელს გაგრძელდა.

სწორედ ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა საგარეო დაზვერვის არქივის ერთ-ერთი თანამშრომელი ვასილ მიტროხინი.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებში საიდუმლო დოკუმენტებთან მუშაობა განსაკუთრებით გამკაცრებული იყო. გამონაკლისი არც არქივი გახლდათ, სადაც დაშვების უფლების მიღება ურთულესი გახლდათ.

მიტროხინი თავდაპირველად პოლიტბიუროს საიდუმლო სხდომების, საბჭოთა კომუნისტური პარტიის და მთავრობის სრულიად საიდუმლო გადაწყვეტილებების და კა-გე-ბეს თავმჯდომარე იური ანდროპოვის ბრძანებების ტექსტს იმახსოვრებდა და მხოლოდ სახლში დაბრუნებულს გადაჰქონდა ქაღალდზე ფაქტები. შემდეგ კი, დარწმუნდა რა „ლუბიანკის“ ცენტრალური კორპუსის საკონტროლო-გამშვებ პოსტზე მყოფი ჯარისკაცების გულარხეინობაში, საარქივო მასალებს კაბინეტშივე იწერდა და სახლში წინდებში დამალული მიჰქონდა. იქ კი საწოლი მატრასის ქვეშ მალავდა. შაბათ-კვირას მიტროხინი აგარაკზე მიემგზავრებოდა და არქივიდან ამონაწერებს ჯერ რძის ბიდონში ათავსებდა, შემდეგ კი მიწაში ფლავდა. ასე გრძელდებოდა მთელი 12 წელი. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მიტროხინი 1984 წელს ჩუმად და წყნარად გავიდა პენსიაზე და ძირითადად მოსკოვის მახობლად მდებარე პატარა საბაღე ნაკვეთზე თავისთვის ფუსფუსებდა, პარალელურად საარქივო დოკუმენტებიდან ამონაწერებს ახარისხებდა და შემდეგ კვლავ მიწაში ფლავდა.

არავინ ელოდა, რომ მიტროხინი კარტოფილის და პომიდორის მოსავალთან ერთად რამოდენიმე წელიწადში სხვა, გაცილებით ძვირფას “მოსავალსც”აიღებდა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისების გამომწვევი მიზეზი გახდებოდა.

გორბაჩოვის “პერესტროიკამ” და 1991 წელს საბჭოთა კავშირში განვითარებულმა კრიზისულმა მოვლენებმა მიტროხინს მშვენიერი “ამინდი შეუქმნა” ყველაზე ძვირფასი “მოსავლის” ასაღებად და მან კა-გე-ბეს აგენტურის კართოტეკის მყიდველთა ძებნა დაიწყო. წინდახედული არქივარიუსი ლატვიის დედაქალაქში ჩავიდა და იქ აშშ-ის საელჩოში ცსს-ს რეზიდენტთან შეხვედრა მოითხოვა. ამერიკელმა მზვერავებმა ჩვეულებისამებრ ქედმაღლურად მიიღეს “ვილაც პენსიონერი”, ხოლო მიწაში ჩაფლული არქივების ამბავი სასაცილოდაც არ ეყოთ.

ამერიკელებისაგან გაწბილებული მიტროხინი შორს აღარ წასულა და იქვე, რიგაში, ბრიტანელებს მიადგა. „ჯეიმს ბონდის“ თანამემამულეებმა ყურადღებით მოუსმინეს მოხუცს. შოტლანდიური ვისკიც დაალევინეს და 1992 წელს ოჯახთან ერთად ინგლისში პოლიტიკური თავშესაფარიც გაუხერხეს. მაგრამ კა-გე-ბეს არქივების დიდი ნაწილი კვლავ მოსკოვთან

ახლოს, მიწაში ღრმად ჩაფლული რჩებოდა. მი-6-მა ოპერაციაში მოსკოვის რეზიდენტურა ჩართო და მალევე არქივები უკვე ლონდონში იყო.

დიდი ბრიტანეთის დაზვერვა შვიდი წლის მანძილზე გულდასმით სწავლობდა "მიტროხინის არქივს", პარალელურად კი ზოგიერთ მასალას იმ ქვეყნებს უწილადებდა, სადაც საბჭოთა აგენტურა მოქმედებდა. ასე მიიღეს აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიის და სხვ. ქვეყნების სპეცსამსახურებმა შესაბამისი საარქივო ამონაწერები.

1995 წელს დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით "მიტროხინის არქივის" გამოსაცემად მოსამზადებლად შეირჩა კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, სპეცსამსახურების ისტორიის ცნობილი ექსპერტი კრისტოფერ ენდრიუ. 1980-იანი წლების ბოლოს მსოფლიო სენსაცია სწორედ კრისტოფერ ენდრიუსა და საბჭოთა კავშირიდან გაქცეული საგარეო დაზვერვის პოლკოვნიკ ოლეგ გორდიევსკის ერთობლივად დაწერილმა წიგნმა მოახდინა.

1999 წლის სექტემბერში გამოიცა ენდრიუსა და მიტროხინის ერთობლივი წიგნი "მიტროხინის არქივის" სახელწოდებით, რომელმაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მრავალი ქვეყნის ისტორია და აწმყო შეცვალა.

ვასილი მიტროხინი კი 2004 წლის იანვარში, 81 წლის ასაკში წყნარად გარდაიცვალა ლონდონში. ერთმა რიგითმა არქივარიუსმა მთელი მსოფლიო ააწრიალა. ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს იმის გაგება, თუ რამდენადაა დაცული საქართველოს სპეცსამსახურების არქივები.

## სადმე "ქართველი მიტროხინი" ხომ არ გვყავს?

საქართველოს სუკის არქივების ბედი ისეთივე ტრაგიკულია, როგორც ჩვენი სპეცსამსახურების უახლესი წარსული და დღევანდელობა.

ოფიციალური ვერსიით, 1991-1992 მოვლენების დროს, როცა სუკ-ის და შსს-ს შენობები დაიწვა (თუმცა არსებობს მრავალი სარწმუნო ცნობა იმისა, რომ არქივები სპეციალურად დაწვეს) არქივების დიდი ნაწილი – 210 000 ანუ 80% საარქივო ერთეული განადგურდა. არაოფიციალური ვერსიით კი ცეცხლი, სახანძრო მანქანები და უამრავი ხალხი – ეს იყო რუსეთის სპეცსამსახურების დაგეგმილი და წარმატებით გამხორციელებული ოპერაციის დეტალები (სადაც არქივების გატანაში ყველაზე მეტად დაინტერესებული სუკ-ის ფარული თანამშრომლები და აგენტურა მონაწილეობდა). ასევე

ცნობილია, რომ არქივები პურის გადასაზიდი სატვირთო მანქანებით ფარულად გაიტანეს.

ცეცხლში დაწვას, თუ საქართველოდან გატანას გადარჩენილი, თუმცა დასველებული და დაზიანებული 20 000 საარქივო ერთეული 1992 წლის იანვარში ..განთავსდა" საქართველოს სახელმწიფო არქივის სარდაფში, იატაკზე. ყოველგვარი ტემპერატურული რეჟიმის და შენახვის ნორმების დაცვის გარეშე. ვის ეცალა მაშინ ამისთვის?

თუმცა არა, სულ მალე გამოჩნდა ძალზე დაინტერესებული პირი, რომლის ბრძანებითაც არქივების ნარჩენები 1995 წლის გაზაფხულზე უშიშროების სამინისტროს კვლევითი ინსტიტუტის "მოდულის" შენობაში გადაიტანეს და კარგადაც გადაარჩიეს (თუმცა სტელაჟების უქონლობის გამო კვლავ ძირს დაყარეს). არ გაინტერესებთ ვინ იყო მაშინ საქართველოს უშიშროების მინისტრი, ვისი ბრძანებითაც მოხდა არქივების "მოდულში" გადატანა? გამოიცანით, დიახ სწორედ ტერორისტულ აქტებში ეჭვმიტანილი იგორ გიორგაძე._რომელიც არქივების გადატანიდან სულ რაღაც სამ თვეში საქართველოდან გაიქცა და ვინ იცის, რა საიდუმლო დოკუმენტები არ გააყოლა ხელს. გიორგაძე 1993-1995 წლებში ეთპიროვნულად მართავდა საქართველოს უშიშროების სამინისტროს და მას არ გაუჭირდებოდა არქივების განადგურება, ასლების გადაღება ან გაყალბებული საარქივო დოკუმენტების "შეცურება".

ბატონო პოლიტიკოსებო, გიფიქრიათ ამ პრობლემაზე?

არქივების შენახვის ამჟამინდელი მდგომარეობა (საჭირო რაოდენობის სტელაჟების უქონლობის გამო დოკუმენტების უმრავლესობა კვლავ ძირსაა ..მოთავსებული": ტემპერატურული რეჟიმი და სანიტარული ნორმები არ შეეფერება სტანდარტებს; თანამშრომელთა საშტატო რაოდენობა არაა საკმარისი და ა.შ.) საარქივო მასალების ფიზიკურ განადგურებას იწვევს. ხოლო იმის დადგენა სადმე არქივების კუთხეში "ქართველი მიტროხინი" ხომ არ "ფუსფუსებს", უკვე კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასადგენია. მაგრამ მოინდომებენ კი?

# რატომ მალავენ იტალიაში "მიტროხინის არქივს"?

იტალიაში მხოლოდ დიდი პოლიტიკური დებატების შემდეგ 1999 წლის ოქტომბერში (ყურადღება მიაქციეთ - იმ დროს როცა კრისტოფერ ენდრიუს და ვასილ მიტროხინის წიგნი ევროპაში უკვე თავისუფლად იყიდებოდა), გადაწყვიტეს "მიტროხინის არქივის" ნაწილის გამომზეურება.

იტალიაში "მიტროხინის არქივების" ნაწილის გახსნასაც უდიდესი სკანდალი მოჰყვა. იქ სულ 260 იტალიელის გვარი იყო. აღმოჩნდა რომ საბჭოთა სპეცსამსახურებზე მუშაობდა იტალიის პოლიტიკური ელიტის, დიპლომატიური კორპუსის (მ.შ. იტალიის ყოფილი ელჩი მოსკოვში), პრეზიდენტის კანცელარიის, მასმედიის, სამართალდამცავი სტრუქტურების, ბიზნესის და ა.შ. ათეულობით წარმომადგენელი. დასახელდა კონკრეტული გვარებიც.

დასაეჭვებელია ის ფაქტი, რომ იტალიის სპეცსამსახურებს, რომლებსაც რამდენიმე წელია ხელთ ჰქონდათ "მიტროხინის არქივის" იტალიური ნაწილი, არაფერი გაუკეთებიათ კა-გე-ბეს აგენტურის გამოსაელენად. ეს პერიოდი სილვიო ბერლუსკონის პრემიერ-შინისტრობას ემთვევა. დასამალი არაა, რომ ბევრი ექსპერტი და ანალიტიკოსი პუტინ-ბერლუსკონის დიდ "ძმობა-მეგობრობის" მიღმა სხვა, ათეული წლების წინ დაწყებულ უფრო "მარტივ" და პროზაულ კვალზე ეჭვობს. ამ მეგობრობის იმედით ორიოდ წლის წინ ბერლუსკონიმ რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტს ერთი "პატარა" დახმარება სთხოვა – იქნებ კა-გე-ბეს ის არქივები გამიხსნა და ჩამახედო, ჩემს ლამაზ ქვეყანაზე რაიმე "კარგი" ხომ არ არისო. ვითომ ასეთი "მიამიტია" ახალგაზრდა გოგონების "რისხვა, მარადჭაბუკი სილვიო"? თუ ამ თხოვნით ერთგვარ ალიბს იქმნის? ამ არქივში ხომ არ უნდა ვეძებოთ ბერლუსკონის რუსეთისადმი სიყვარულის ნამდვილი მიზეზი?

"მიტროხინის არქივის" "იტალიურ მონაკვეთში" კონკრეტულ გვარებზე გაცილებით მეტი ოპერატიული ფსევდონიმებია დასახელებული და იტალიელი აგენტები, უპირველესად კი პოლიტიკოსები მოიხსენიებიან, როგორც "კონფიდენციალური კონტაქტები". ეს კი ართულებს მათი ვინაობის დადგენას.

რუსეთის ცნობილი "ტრუბადურის" ჯულიეტო კიეზას "საქმენი საგმირონის" ახსნაც შესაძლებელია "მიტროხინის არქივში" იყოს მოსაძებნი. შესაძლებელია ზოგიერთმა იფიქროს, რა გახდა ესეთი, ერთი სამოცდაათწელს

მიტანებული მოხუცი, რომ ამხელა დროსა და ყურადღებას უთმობთო. მაგრამ არც ესეა საქმე.

გვინდა თუ არ გვინდა, ჯულიეტო და "ძმანი მისნი" რუსეთის საინფორმაციო ომის "ჯარისკაცები" არიან და ტრიბუნას თუ გაზეთის ფურცლებს არ უშვებენ ხელიდან, რომ "კრემლის" დეზინფორმაციები არ გაავრცელონ. ბოლო დრომდე კიეზას ევროპარლამენტში რამდენიმე საკმაოდ სერიოზული პოსტი ეკავა (ის იყო საერთაშორისო ვაჭრობის კომისიის ვიცე-პრეზიდენტი, თავდაცვისა და უსაფრთხოების კომისიის წევრი, ევროკავშირი-რუსეთის საპარლამენტო კომისიის წევრი და ა.შ.). ამიტომაც კიეზას ჰქონდა და აქვს საშუალება რუსეთის საამებელი დეზინფორმაცია მსოფლიოს მოსდოს.

## როგორ "ავერბოვკებდნენ" საბჭოთა სპეცსამსახურები იტალიელ ჟურნალისტებს

იტალიელ (ისევე, როგორც ამერიკელ, ფრანგ, გერმანელ და ა.შ.) ჟურნალისტებზე რუსეთის სპეცსამსახურების "ნადირობას" ჯერ კიდევ საბჭოთა კა-გე-ბემ ჩაუყარა საფუძველი. ჩვენი საუბარი უსაფუძვლოდ, რომ არ ჩაგვითვალოს მავანმა, უშუალოდ პირველ წყაროს მოვუსმინოთ. იტალიელი ჟურნალისტი, ჯანკარლო ლენერი 1990-იანი წლების დასაწყისში გაზეთ "ავანტის" კორესპონდენტი იყო მოსკოვში. 2004 წლის 10 ოქტომბერს გაზეთ "ლიბეროში" მან ძალზე საინტერესო სტატია გამოაქვეყნა სათაურით: "როგორ ცდილობდა კა-გე-ბე ჩემს გადაბირებას "

იტალიელი ჟურნალისტი მოუწოდებს გუცანტის და კომისიის სხვა წევრებს, რომ უფრო თამამად გამოავლინონ კა-გე-ბეს აგენტურა იტალიაში. ჯანკარლო აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში იტალიელი, პირველ რიგში კი კომუნისტური გაზეთ "უნიტას" ჟურნალისტები, საბჭოთა სპეცსამსახურების "ყველაზე გემრიელი ლუკმა" იყვნენ.

დამატებითი ფულადი ანაზღაურება, უფასო დასვენება და მოგზაურობა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, რუსული ენის გრძელფეხება, ქერათმიანი მომხიბლავი მასწავლებლები და ა.შ. – ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ "მატერიალური წახალისებისა", რასაც კრემლის "ერთგული" იტალიელი ჟურნალისტები იღებდნდნ.

ლენერის მტკიცებით უმკაცრესი საბჭოთა სასაზღვრო რეჟიმის მიუხედავად "დამჯერ" იტალიელ ჟურნალისტებს სამშობლოში დაბრუნებისას უპრობლემოდ გაჰქონდათ უძველესი ხატები, ოქროს ნაკეთობები, სურათები და სხვა ძვირფასი ანტიკვარული ნივთები – მათთვის საბაჟო შემოწმება, როგორც წესი, მხოლოდ ფორმალური პროცედურა იყო.

რა მოეთხოვებოდათ სანაცვლოდ ამ, ერთ-ერთი უძველესი პროფესიის წარმომადგენლებს? ღიდი არაფერი – საბჭოთა კავშირის შესახებ უნდა ეწერათ მხოლოდ დადებითი, მკაცრად გაეკრიტიკებინათ აშშ და მისი მოკავშირე ქვეყნები და საერთოდ, საბჭოთა რეალობა უნდა შეეფასებინათ მხოლოდ გაზეთ "პრავდაში" დაბეჭდილი სტატიების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული უსიამოვნება (კა-გე-ბეს მიერ მოწყობილი ქუჩაში "ხულიგნების" დახვედრა და კაი მაგარი ცემა, ავტომობილის საბურავების სისტემატური დაჭრა, საცხოვრებელ ბინაში ფარული შეღწევა და გაძარცვა და ა.შ.) არ ასცდებოდა.

## ჟურნალისტი, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ისტორია არ იცის

2008 წლის 27 ნოემბერს, ესტონეთში ვიზიტისას, სადაც კიეზამ ახალი "შედევრი", სახელად "ზერო" (ამ წიგნში, როგორც უკვე ვთქვით 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების ორგანიზებას ის აშშ-ის ადმინისტრაციას აბრალებს) წარუდგინა ესტონეთის მოსახლეობის რუსულენოვან ნაწილს. ისინიც აღფრთოვანებული შეხვდნენ ევროდეპუტატის მორიგ ოპუსს ამერიკის წინააღმდეგ. სხვადასხვა გამოსვლებსა და პრესკონფერენციებზე ჯულიეტომ კბილი ესტონელებსაც გაჰკრა და აღშფოთება გამოთქვა ესტონეთში "ფაშისტური იდეების" აღორძინების გამო.

საინტერესოა, თუ ასე შესტკივა გული ესტონეთის დღევანდელობაზე "დემოკრატ" ჯულიეტოს, ის მაინც თუ იცის, ვინ ათავისუფლებდა მის სამშობლოს ფაშისტებისაგან?

პათოლოგიური სიძულვილი საქართველოსა და ქართველებისადმი მას უკვე ათეული წლები ახრჩობს, მაგრამ იმ ისტორიული ფაქტით თუ მაინც დაინტერესებულა, რა წვლილი შეიტანეს ქართველმა პარტიზანებმა

მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიის ტერიტორიაზე ფაშისტების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებში?

იცის კი ჯულიეტო კიეზამ, თუ რამდენმა ქართველმა შესწირა სიცოცხლე მისი ქვეყნის – იტალიის განთავისუფლებას?

იცის კი იტალიის პრემიერ-მინისტრმა, მუდამ მომღიმარე მილიარდერმა სილვიო ბერლუსკონიმ, რომ რუსეთის აგრესიაზე თვალის დახუჭვით და საქართველოს ოკუპირების ფარული წაქეზებით, იმ ქართველი პარტიზანების ნათელ სულს შეურაწყოფს, რომლებმაც თავი გაწირეს მისი სამშობლოს, იტალიის თავისუფლებისთვის?

## "ბელა ჩაო" – იტალიელი და ქართველი პარტიზანების სიმღერა

ჯულიეტო კიეზა დედის კალთას შეყუჟული სამი-ოთხი წლის ბავშვი იყო, როცა იტალიაში განლაგებული გერმანიის ჯარების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებში 400-მდე ქართველი მეომარი მონაწილეობდა.

მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გიორგი ვარაზაშვილის, ვლადიმერ გაბისონიას და ფორე მოსულიშვილის_რაზმები. სხვებთან ერთად სწორედ ქართველების დამსახურებაცაა, რომ იტალიაში ფაშიზმი დამარცხდა.

ერთ-ერთი, ფორე მოსულიშვილი კი იტალიის ეროვნულ გმირადაცაა აღიარებული. 1970 წელს მაშინდელმა იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯუზეპე სარაგატიმ ფორე მოსულიშვილს სიკვდილის შემდეგ იტალიის უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი "მხედრული მამაცობისათვის" მიანიჭა, რაც იტალიის ეროვნული გმირის წოდების ტოლფასია. ეს პატივი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ ორს – რუს ფიოდორ პოლეტაევს და ქართველ ფორე მოსულიშვილს ხვდათ წილად.

ვხედავთ, რომ აუცილებელია ჯულიეტო კიეზას და მის "პატრონებს" მოსკოვსა და რომში გავახსენოთ უშიშარი ქიზიყელი ვაჟკაცის, ფორე მოსულიშვილის თავგანწირვის ისტორია.

ფორე მოსულიშვილი 1916 წელს დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. წითელ არმიაში 1939 წელს გაიწვიეს, სადაც მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. 1941 წელს, ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, დაჭრილი ფორე გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს და ჯერ პოლონეთის, შემდეგ კი საფრანგეთის ტყვეთა ბანაკებში ჰყავდათ. 1944 წელს ფორემ და სხვა

ქართველმა ტყვეებმა გაქცევა მოახერხეს და ჩრდილოეთ იტალიაში მოქმედ ერთ-ერთ ინტერნაციონალურ პარტიზანულ რაზმს შეუერთდნენ. რამდნიმე თვის მანძილზე ფორეს რაზმი იტალიის სხვადასხვა ქალაქებში აწიოკებდა გერმანელ ფაშისტებს. შემდგომ თავად მისი იტალიელი თანამებრძოლები იხსენებდნენ, რომ ფორეს ვაჟკაცობით განსაკუთრებით გამოუჩენია თავი.

## "გაუმარჯოს იტალიას! გაუმარჯოს თავისუფლებას"!

1944 წლის დეკემბრის დასაწყისში ოცამდე პარტიზანი, საიდანაც შვიდი ქართველი მებრძოლი ყოფილა, გერმანელებს რომელიღაც შენობაში ალყაში მოუქცევიათ. გააფრთებულ ბრძოლებში ბევრი მათგანი, მათ შორის ფორეც, დაჭრილა. გერმანელებმა ამგვარი მოთხოვნა წაუყენეს პარტიზანებს – თუ რაზმის იტალიელი მეთაური ედო დელგატო ტყვედ ჩაგვბარდება, დანარჩენებს სიცოცხლეს შევუნარჩუნებთო. ყველამ იცოდა, რომ მეთაურს სიკვდილი არ ასცდებოდა და ადგილიდან არაერთ იძროდა. მხოლოდ ფორე წამოჭრილა და გერმანელებთან გავარდნილა. მისი სიტყვები და ქცევა ვაჟკაცობის ნამდვილი მაგალითია: "მეთაური მე ვარ, თქვენთან ტყვეობას სიკვდილი მირჩევნია. გაუმარჯოს იტალიას! გაუმარჯოს თავისუფლებას!". ეს იყო ფორეს უკანასკნელი სიტყვები, რის შემდეგაც მან ტყვია დაიხალა და ადგილზე ჩაიკეცა.

მისმა გმირობამ იმდენად გააოგნა გერმანელები, რომ დანარჩენ ტყვეებმა, მათ შორის რაზმის მეთაურ ედო დელგატოსაც, სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

იტალიის ფაშისტებისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლებში მონაწილე ქართველ პარტიზანთა უმრავლესობა გმირულად დაიღუპა

აი სწორედ ესაა რეალობა და არა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ წლობით ნაზარდი გავლენის აგენტების მიერ "ნიანგის ცრემლების" ღერა ქართველების მიერ სხვა ერების "განადგურებაზე".

რუსეთის ხელისუფლების დაკვეთით დეზინფორმაციის და გესლის გავრცელებას, იქნებ სჯობს ჯულიეტო კიეზამ, დარჩენილი ძალა და ენერგია ორი ქვეყნის, საქართველოს და იტალიის, მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის ობიექტურ გაშუქებას მოახმაროს?

# II. რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო ოპერაციები

## პუტინის ბიოგრაფიის ყველაზე საიდუმლო პერიოდი

პუტინის მცირე ბიოგრაფიული და ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნაც კი მეტად რთული და უმადური საქმეა. მისი ბიოგრაფიის რეალური ფურცლები ან უკვე ამოხეული და განადგურებულია, ანდა საგულდაგულოდაა გადამალული. განსაკუთრებით კი ბავშვობის პერიოდის ამსახველი დოკუმენტებია გასაიდუმლოებული.

საათი მარჯვენა ხელზე, "მეზღვაურული" სიარული და სხვებისგან რამენაირად გამორჩეულობისკენ სწრაფვა – ეს პუტინის შეძენილი პიროვნული თვისებებია და ბავშვობიდან იღებს სათავეს. სამბო-ძიუდოთი გატაცებაც ერთგვარი თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვა იყო. ბავშვობაში ალბათ ბევრს აბრაზებდნენ პატარა ტანისა და თმის ფერის გამო.

ვინც მისი ბიოგრაფიის და ცხოვრების ისტორიის დაწერას მოინდომებს, გაურკვევლობის ჭაობი უცბადვე ჩაითრევს. სად დაიბადა, ვინ ზრდიდა, სად იზრდებოდა, ვინ არიან ნამდვილი მშობლები – ამ კითხვებზე ცალსახა პასუხი დღესაც არ არის. ამიტომ, ამჯერად მისი ახალგაზრდობის პერიოდიდან მივადევნოთ თვალი ამ, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი კაცის ბიოგრაფიას.

პუტინმა 1975 წელს დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და დიპლომის აღებისთანავე მიიღეს სუკ-ის ლენინგრადის სამმართველოში, მე-5 განყოფილების, ანუ იდეოლოგიური კონტრდაზვერვის ხაზით.

იმ პერიოდში უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სუკ-ში მუშაობის დამწყებ კანდიდატს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ორი წლის მუშაობის სტაჟი ან წლების მანძილზე უნდა ყოფილიყო სუკ-ის "ახალგაზრდა მებრძოლი". ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ პუტინი სტუდენტობის პერიოდიდანვე, როგორც ინფორმატორი და აგენტი, თანამშრომლობდა კა-გე-ბესთან, რაც იმ პერიოდში საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო.

განსაკუთრებით საიდუმლოდ ინახავენ პუტინის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კერძოდ დრეზდენში მუშაობის პერიოდს. საბჭოთა დაზვერვაში მიჩნეული იყო, რომ ერთ-ერთი ყველაზე არაპრესტიჟული აღმოსავლეთ გერმანიაში სამსახური იყო. დრეზდენში ის მუშაობდა "ს" ხაზით და ახალგაზრდებში არალეგალური მზვერავების კანდიდატურების შერჩევა ევალებოდა.

1996 წელს, მას შემდეგ, რაც ანატოლი სობჩაკი ლენინგრადის გუბერნატორის არჩევნებში ყველასთვის მოულოდნელად დამარცხდა, პუტინმა

კიდევ ერთი ლენინგრადელის ანატოლი ჩუბაისის დახმარებით მოსკოვში იშოვა სამსახური.

თუმცა ცნობილმა ოლიგარქმა, აწ გარდაცვლილმა ბადრი პატარკაციშვილმა პუტინის დასაქმების და მოსკოვში გადმოყვანის ფაქტი, მისი და ბორის ბერეზოვსკის დამსახურებად აღიარა.

პუტინის პიროვნებაში საკმაოდ თანაბრადაა განაწილებული რაციონალურობა და ემოციურობა. ხშირად ჩანს, რომ ის თავს იკავებს და ემოციებს ბოლომდე არ ავლენს. ეს კი პოლიტიკოსისთვის აუცილებელი თვისებაა. ის არ ყოფილა გამორჩეული იურისტი, არც რაღაც განსაკუთრებული პიროვნული ნიჭიერება ახასიათებს. მაგრამ საჭირო თანაფარდობით, კომპლექსურად ფლობს მინიმალურად აუცილებელ ცოდნას. რაც მთავარია - იცის რუს "მუჟიკებზე" და "დერჟავნიკებზე" ზემოქმედების ტექნოლოგია. მისი პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი სახელმწიფო-ბიუროკრატიული კაპიტალიზმისკენაა მიმართული. მაქსიმალური სახელწიფო კონტროლი ეკონომიკაზე (სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოპოვების, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის პროცესზე; ჩაკეტილი საბანკო სივრცე და ეკონომიკური ბერკეტების პოლიტიკური ზეწოლის იარაღად გამოყენება, "ჯიბის სათათბირო", მასმედიაზე ოლიგარქების კონტროლი სრული სახელმწიფო (ფაქტიურად კი პირადად პუტინის) კონტროლით შეიცვალა, არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვა, მაქსიმალური კონტროლი მსხვილ ბიზნესზე და ა.შ.) –ეს ყველაფერი პუტინის პრეზიდენტობის შედეგია.

თუ მის გუნდში ხარ "აბრამოვიჩი", მილიარდერი და გუბერნატორი ხარ, ხოლო თუ რამეში ეწინააღმდეგები ან შენში კონკურენტს დაინახავს, მაშინ "ხოდორკოვსკი" ხდები და თუ მოგწვდა, ციმბირი ხელში გიჭირავს ან კილერის ტყვია გეძებს ლონდონში.

პუტინის პიროვნების ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული კვალი კა-გე-ბეში გატარებულმა წლებმა დატოვა, სადაც ის 1975-1995 წლებში მსახურობდა. 1998 წლის ზაფხულში ის "თეთრ ცხენზე" ამხედრებული დაბრუნდა რუსეთის კონტრდაზვერვის ორგანოებში, როცა პრეზიდენტმა ელცინმა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორად დანიშნა, რის შემდეგაც ამ სპეცსამსახურის მოქმედებები განსაკუთრებით დაუნდობელი გახდა.

2008 წლის აგვისტოს შემდეგ პუტინის საქართველოსა და ქართველებისადმი დაუფარავი ცინიზმი და გულღრძოობა უკვე ყველასთვის აშკარა გახდა. სიანტერესოა ხომ არ იყო ამის რაიმე პიროვნული მიზეზი?

დსთ-ს ერთ-ერთ სამიტის მუშაობის პერიოდში, რომელიც 2002 წელს კიშინიოვში გაიმართა, რუსეთის პრეზიდენტს 50 წელი შეუსრულდა. ბუნებრივია შეხვედრის მონაწილენი ამ თარიღისთვის მომზადებულნი აღმოჩნდნენ. იყო მრავალი საჩუქარი და მილოცვა. მაგრამ ამ სიჭრელეში მაინც გამოირჩეოდა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის საჩუქარი. შევარდნაძემ იუბილარს სურათი აჩუქა – "დედის ოცნება", რომელიც განსაკუთრებული მხატვრული

ღირებულებით და ზომებით (სულ 80X60 სმ იყო) იმდენად არ გამოირჩეოდა, რამდენადაც გურული ეშმაკური მინიშნებით.

სურათზე დახატული იყო მდინარის პირას მდგარი ქალი, პატარა ბიჭუნასთან ერთად. ახალგაზრდა ქალს ოცნებებში ჩაძირულ სახეზე შვილის დიდი მომავლის იმედი ესახებოდა. ჩვენი აზრით მეტად საინტერესო და საკმაოდ თამამი მინიშნება იმალებოდა ამ ერთი შეხედვით უბრალო საჩუქარის მიღმა. საქმე კი შემდეგში იყო.

ყველას გვახსოვს პუტინის რუსეთის პრემიერ-მინისტრად დანიშვნისთანავე ჩვენთან ატეხილი აჟიოტაჟი– ვითომ ის საქართველოში, კერძოდ კი კასპის რაიონის სოფელ მეტეხში იყო დაბადებული და, რომ მისი დედა, საკუთარი შვილისგან მიუწყებული, დღესაც იქ ცხოვრობს. ქართულ პრესაში დაიბეჭდა კიდეც სიმპათიური მოხუცი ქალის ფოტოსურათი–ჭაღარა ქალბატონის თვალებში წლების მანძილზე უნახავი შვილის დიდი სევდა თითქოს მართლაც იხატებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსულმა მასმედიამ ირონიულად მიიღო ქართველების მორიგი "პროვინციული ახირება" და ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით საკმაოდ მკვახედ უარყო ეს ვერსია. საინტერესოა, ამ ფაქტის შემდეგ განვითარებული მოვლენები, კერძოდ კი, რუსეთის მიერ განხორციელებული საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მრავალი, ღია და ფარული ღონისძიება, სეპარატისტული რეგიონების ოფიციალურად აღიარება და ა.შ., ხომ არ იყო რუსეთის პრეზიდენტის ერგვარი პასუხი "აბეზარი" ქართველების ამ ღია მინიშნებაზე და ბავშვობიდან მართლაც დაგროვილ წყენაზე?

## როგორ გახდა მედვედევი რუსეთის პრეზიდენტი?

2008 წლის 2 მარტის რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების წინასწარ გამოცნობა რთული არ იყო. არავისთვის იყო საეჭვო, რომ ყოფილი პრეზიდენტ პუტინის მიერ მოწონებული კანდიდატის, 42 წლის დიმიტრი მედვედევის გაპრეზიდენტებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

რუსეთის "მართული დემოკრატიის" პირობებში ამგვარი დანიშვნები და ფორმალური არჩევნები ჩვეული საქმეა– ასევე გახდა პრეზიდენტი თავად პუტინიც.

## ვინ არის დიმიტრი მედვედევი?

დიმიტრი მედვედევი დაიბადა 1965 წელს ლენინგრადში. მისი მშობლები ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ლექტორები იყვნენ. სწავლობდა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდეგ ასპირანტურაში. მისი ერთ-ერთი ლექტორი პროფესორი ანატოლი სობჩაკი იყო.

1990 წელს დაიცვა დისერტაცია კერძო სამართლის განხრით. იმავე წლის ბოლოს მედვედევი უკვე ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარის ანატოლი სობჩაკის მრჩევლად დაინიშნა იურიდიულ საკითხებში. ამავე დროს მედვედევი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ექსპერტის ფუნქციებსაც ასრულებდა. ამ კომიტეტს კი კა-გე-ბეს ვითომ ყოფილი ოფიცერი, სინამდვილეში კი კვლავ საბჭოთა სპეცსამსახურის შტატში მყოფი "მოქმედი რეზერვის ოფიცერი" (ე.წ. "ოდეერი"), გარეგნულად შეუმჩნეველი პიროვნება ვინმე ვლადიმერ პუტინი ხელმძღვანელობდა.

ამგვარად აღმოჩნდა ახალგაზრდა, პერსპექტიული იურისტი, 25 წლის დიმა მედვედევი რუსეთის მეორე პრეზიდენტის თვალთახედვის არეში. პუტინს, რომელიც მედვედევზე ასაკითაც უფროსი იყო და გამოცდილებაც გაცილებით მეტი ჰქონდა, არ გასჭირვებია ქვეშევრდომის "გამოზრდა" და საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა. სწორედ მაშინ შეარქვეს მედვედევს ზედმეტსახელად "პუტინის ვეზირი".

## უსაფუძვლო ბრალდებები თუ დამალული დანაშაული?

1990-1996 წლებში პუტინს და მის "პეტერბურგულ კლანს", სადაც ყოფილი თუ მოქმედი "კა-გე-ბეშნიკები" სჭარბობდნენ, მრავალი ბრალდება წაუყენეს, რომლებიც დღესაც პასუხგაუცემელია. 1990 წლის ბოლოს ლენინგრადის საბჭოს ორმა დეპუტატმა მარინა სალიემ და იური გლადკოვმა სპეციალური გამოძიების ჩატარების შემდეგ პუტინს და მის სამსახურს, სადაც სხვათაშორის იურიდიულ საკითხებს მედვედევი წყვეტდა, ძალზე სერიოზული ბრალდებები წაუყენეს. ეს იყო საზღვარგარეთ ფერადი ლითონის ექსპორტის ლიცენზიების უკანონო გაცემა, კორუფცია და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

სადეპუტატო გამოძიების ერთ-ერთი ეპიზოდი პეტერბურგში პრივატიზაციის პროცესის, რომელსაც უშუალოდ პუტინი კურირებდა, უკანონოდ ჩატარებას ეხებოდა. რუსული მასმედიის მტკიცებით ამ დროს გამოიკვეთა პუტინისა და ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის მიხეილ მირილაშვილის ("მიშკა კუტაისკი") ფარული კავშირები. დეპუტატებმა ქალაქის მერ ანატოლი სობჩაკს პუტინის თანამდებობიდან გათავისუფლება მოსთხოვეს, პარალელურად

მათ რუსეთის პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ მიმართეს. პუტინის, რბილად რომ ვთქვათ საეჭვო ფინანსური ოპერაციების უშუალო კოორდინატორად სწორედ დიმა მედვედევი სახელდება. თუმცა დეპუტატების მოთხოვნა ფარატინა ქაღალდად დარჩა. ამ საქმის ირგვლივ მოკლევა ლენინგრადის "ეფ-ეს-ბეს" ერთ-ერთი სამსახურის უფროსს დაევალა, რომელმაც ამ ბრალდებებში დანაშაულის ნიშნები ვერ დაინახა. არ გაინტერესებთ ვინ იყო ის პიროვნება, ვინც პუტინის ეს და სხვა ბევრი საიდუმლო იცის? ალბათ ვერ გამოიცანით.

ეს გახლდათ პოლკოვნიკი ნიკოლაი პატრუშევი, ამჟამად არმიის გენერალი და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი, მანამდე კი ეფ-ეს-ბეს – რუსეთის ყველაზე დიდი სპეცსამსახურის ხელმძღვანელი. ასე რომ: "ხელი –ხელს ბანს, ორივე კი პირსო". პატრუშევს ამაგი დაუფასდა. 1996 წელს, მას შემდეგ, რაც ანატოლი სობჩაკი ლენინგრადის გუბერნატორის არჩევნებში ყველასთვის მოულოდნელად დამარცხდა, პუტინმა კიდევ ერთი ლენინგრადელის, ანატოლი ჩუბაისის დახმარებით მოსკოვში იშოვა სამსახური, ხოლო დიმა მედვედევმა კი რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე კრიმინალურ, ხე-ტყის ბიზნესს მიჰყო ხელი. 1999 წლიდან, მას შემდეგ რაც პუტინი პრემიერ-მინისტრი გახდა, იწყება მედვედევის თავბრუდამხვევი კარიერა. ის ჯერ მთავრობის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილედ ინიშნება, 2000 წლის ივნისში კი რუსეთის გაზისა და "შავი ფულის" იმპერიის - "გაზპრომის" დირექტირთა საბჭოს თავმჯდომარედ.

2003 წელს უკვე რუსეთის პრეზიდენტის პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელია. 2005 წელს ინიშნება მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო 2007 წლის 10 დეკემბერს პუტინის მხარდაჭერით მედვედევს რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატად ასახელებენ.

ამ პოსტზე პუტინის მეორე პროტეჟე, ასევე პირველი ვიცე-პრემიერი სერგეი ივანოვიც აცხადებდა პრეტენზიას, თუმცა როგორც ჩანს პუტინი მისმა ამბიციებმა შეაშინა და თავის მემკვიდრედ უფრო რბილი და დამყოლი მედვედევი შეარჩია, რომელსაც "კა-გე-ბეშნიკური" წარსული თითქოს არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ვინ იცის?

## დემოკრატიის და დემოკრატების განადგურების ქრონიკა რუსეთში

საუკუნეები გავიდა მაგრამ რუსეთში არაფერი შეცვლილა. იქ კვლავ იმპერიული ფანტაზიები აწუხებთ. პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში განხორციელდა რუსეთის ნეოკოლონიალური პოლიტიკის რეანიმირება, რასაც სამწუხაროდ დასავლეთმა სათანადო ყურადღება არ დაუთმო.

რუსული დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლებიც კი "ველიკოდერჟაულ" აზროვნებას ვერ გასცდნენ. ან კი არსებობს ორი რუსეთი? ვითომ ერთი დემოკრატიული და მეორე იმპერიული?

დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ მითი ორი რუსეთის შესახებ უბრალოდ ისეთივე თავის მოტყუებაა, როგორც მარწყვი ზამთარში. განა "დემოკრატი" ბორის ელცინის პრეზიდენტობის დროს არ განხორციელდა რუსეთის მიერ საქართველოს განუყოფელი კუთხეების – აფხაზეთის და სამაჩაბლოს რეალური ანექსია, რაც დღესაც გრძელდება?

სამწუხაროა, მაგრამ დღეისათვის რუსეთში ნამდვილი დემოკრატები თითქმის არ არსებობენ, ან თუ არიან ძალზე უმნიშვნელო გავლენას ახდენენ მოვლენებზე. თუ რუსი "პატრიოტები" საბჭოთა (იგივე რუსეთის) იმპერიის აღდგენაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ, ე.წ. "დემოკრატები" იმავე აზრს გულში ინახავენ და ხელისუფლებაში მოსულნი საქმით ცდილობენ მის აღსრულებას.

თუ ჟირინოვსკი და მისნაირი მარგინალი პოლიტიკოსები კრემლის ყველაზე იმპერიალისტურ მისწრაფებებს ახმოვანებენ და სამხედრო ძალით ემუქრებიან საქართველოს, ჩუბაისი და "ძმანნი მისნი" უფრო ფარულად მოქმედებენ და ცდილობენ ეკონომიკური ექსპანსიის მეთოდებით (უპირველესად კი, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდებით და გაკონტროლებით) მიაღწიონ იგივე მიზანს. რუსეთის ინტელეგენციის ის ნაწილი, რომელიც ვითომდა კეთილგანწყობილია ქართველების მიმართ, მხოლოდ სასმელის გარკვეული დოზის მიღების შემდეგ ამჟღავნებს თავის დაფარულ აზრებს და უკვე გულგახსნილნი, ხმისჩახლეჩვამდე უმტკიცებენ "ძმადნაფიც" მიამიტ ქართველ "რუსეთუმე" პოლიტიკოსებს – "ჩვენ, რომ არა, თქვენი ქვეყანა არ იარსებებდა!".

ასე, რომ რეალურად არავითარი "ორი რუსეთი" – კეთილი და ბოროტი, არ არსებობს!

რუსეთში დარჩენილი თითო-ოროლა ლიბერალური შეხედულების პოლიტიკოსი და ჟურნალისტი კი პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში ძალზე საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. გენოციდის მცირე ქრონიკა ასეთია:

2002 წლის 21 აგვისტოს დილის ცხრა საათზე, საკუთარი სახლის წინ მაყუჩიანი "ტტ"-თი მოკლეს რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი, პარტია "ლიბერალური რუსეთის" თანათავმჯდომარე ვლადიმერ გოლოვლიოვი. 2003 წლის 17 აპრილს, საღამოს შვიდ საათზე, საკუთარი სახლის სადარბაზოს წინ მაყუჩიანი "მაკაროვით" მოკლეს რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი, პარტია "ლიბერალური რუსეთის" დამაარსებელი, საბჭოთა არმიის ყოფილი პოლკოვნიკი სერგეი იუშჩენკოვი. სამი თვის შემდეგ კი უკვე კა-გე-ბეს სტილში მოკლეს კიდევ ერთი საღად მოაზროვნე რუსი პოლიტიკოსი.

## ვის უშლიდა ხელს რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი იური შჩეკოჩიხინი?

2003 წლის 3 ივლისს მოსკოვში საეჭვო ვითარებაში დაიღუპა ცნობილი ჟურნალისტი, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი "იაბლოკოს" პარტიიდან იური შჩეკოჩიხინი. გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიად ინსულტი დასახელდა. თუმცა ამ პარტიის ლიდერმა გრიგორი იავლინსკიმ მაშინვე განაცხადა, რომ პოლიტიკოსი მოწამლეს. იური შჩეკოჩიხინი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს წერდა საკმაოდ თამამ და მართალ სტატიებს, რომლებსაც საბჭოთა ინტელიგენციის უკანასკნელ "ნავთსაყუდელი" "ლიტერატურნაია გაზეტა" ზოგჯერ ბეჭდავდა კიდეც.

შემდეგ წლებშიც ის იყო რუსეთის იმპერიული საგარეო და საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი და უშიშარი კრიტიკოსი, რომელიც პუტინის პრეზიდენტობის პერიოდშიც აგრძელებდა სადეპუტატო და ჟურნალისტურ გამოძიებებს რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში არსებული კორუფციის შესახებ. საყურადღებოა, რომ 19 ივლისს ის ნიუ-იორკში უნდა გამგზავრებულიყო აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებთან შესახვედრად, რომელთაც მისთვის საიდუმლო დოკუმენტები უნდა გადაეცათ.

რუსი ლიბერალი პოლიტიკოსის გარდაცვალების ერთ-ერთ ვერსიად რადიოაქტიური ნივთიერება დიოქსინით ან მძიმე ლითონებით, უპირველესად თალიუმით მოწამვლა დასახელდა. ამ ფაქტამდე ერთი თვით ადრე მას ჩვეულებრივი გრიპი აღენიშნებოდა და მაღალი სიცხე ჰქონდა. თან რატომღაც მთელ სხეულზე კანი სძვრებოდა. 2003 წლის 23 ივნისს ის მოსკოვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, სწორედ იმ პალატაში მოათავსეს, სადაც რვა წლით ადრე ივანე კიველიდი იწვა. შჩეკოჩიხინს თანდათან გაუჩერდა ფილტვები, გაეთიშა თირკმელები და ათ დღეში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების სიმპტომები ძალზე წააგავდა ბანკირ კიველიდის და უკრაინის პრეზიდენტ იუშჩენკოს მოწამვლის სიმპტომებს. როდესაც ლიტვინენკოსავით მასაც თმის ცვენა დაეწყო, ეს უკვე აღსასრულის მომასწავლებელი იყო.

საინტერესოა, რომ მისი ავადმყოფობის ისტორია კვლავ გასაიდუმლოებულია, თვით მისი ნათესავებისთვისაც კი. მიუხედავად მათი არა ერთი მოთხოვნისა თავიდან მისი გარდაცვალების ფაქტზე რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა.

## რუსეთის დეზინფორმაციული ომი გრძელდება

რუსული დეზინფორმაციის მთავარი გამავრცელებლები პირველ რიგში გაზეთები, რადიო და ტელეარხები არიან. ამ მხრივ განსაკუთრებით რუსეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტელევიზიები გამოირჩევიან. (თუმცა რუსეთში დამოუკიდებელი გაზეთი და ტელეარხი სადღა დარჩა?) ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც 2002 წელს რუსეთის სახელმწიფო ტელერადიო-კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილებით, დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ზდანოვიჩი, რომელიც მანამდე წლების მანძილზე ეფ-ეს-ბეს პრეს-სამსახურს ხელმძღვანელობა. ახალ სამსახურში ზდანოვიჩი უკვე ე.წ. "მოქმედი რეზერვის ოფიცრად" ("ოდეერად") გვევლინება და ოფიციალურად მისი მთავარი მოვალეობა უსაფრთხოების დაცვა და სპეციალური პროექტების განხორციელებაა. ეს კი სწორედ ის დეზინფორმაციული პროექტებია, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება მსოფლიო საზოგადოების მოსატყუებლად თხზავს.

ვფიქრობთ ორად-ორი მაგალითიც კი საკმარისი იქნება რუსეთის სპეცსამსახურების "დეზინფორმაციულ ფანტაზიებში" გასარკვევად.

2008 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს "სენსაციური" ცნობა იმის შესახებ, თითქოს ცხინვალის ბრძოლებში საქართველოს სამხედრო ნაწილებში ფარულად იმყოფებოდა ისრაელის მოქალაქე, 1000 ებრაელი ინსტრუქტორი, რომლებიც ქართულ სამხედრო ფორმებში გადაცმული იბრძოდნენ.

ხოლო 30 სექტემბერს მორიგი დეზინფორმაცია დადეს ინტერნეტში – თითქოსდა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებს საქართველოში დაღუპული ამერიკელი ინსტრუქტორების ცხედრები გადაჰქონდათ.

## რუსეთის სპეცსამსახურებმა საინფორმაციო ომი საფრანგეთის ტერიტორიაზე გადაიტანეს

რუსეთის ხელისუფლებამ საკუთარი საინფორმაციო საშუალებები საკმარისად რომ აღარ ჩათვალა, ევროპელების შეცდომაში შეყვანა გადაწყვიტა და დეზინფორმაციის ჩვეულ მეთოდებს მიმართა.

2008 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში პარიზში მემარცხენე-ლიბერალური შეხედულებებით გამორჩეულ გაზეთ "ლიბერასიონის" რედაქციაში ელეგანტურად ჩაცმული მამაკაცი მივიდა და ოდნავი რუსული აქცენტით სარეკლამო განცხადების გამოქვეყნება ითხოვა. მეოთხედი გვერდის მოცულობის განცხადება აუცილებლად 16 სექტემბერს უნდა დაბეჭდილიყო. მომსვლელი თანახმა იყო საკმაოდ დიდი თანხა – 9 ათასი ევრო გადაეხადა.

"ლიბერასიონი" შედარებით ახალგაზრდა გაზეთია, ის 1973 წელს დააფუძნეს გამომცემელმა სერჟ ჟულიმ და ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟან-პოლ სარტრმა. მისი ტირაჟი 200 000 აღწევს. ამჟამად მისი მფლობელი ედუარდ დე როტშილდია. ბოლო წლებში გაზეთი სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდიდა და შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო სარეკლამო განცხადებების განთავსება იყო.

## როგორ გაშიფრა „ლიბერასიონმა“ რუსეთის დაზვერვა

რუსეთის საგარეო დაზვერვის ამ ოპერაციაში ყველაზე საინტერესო სარეკლამო განცხადების ტექსტი გახლდათ. პარიზში რუსეთის საელჩოს რეზიდენტურაში მომზადებულ განცხადებაში რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპულთა სამძიმრის სიტყვებს "თბილისის რეჟიმის თავდასხმის" დაგმობა და კრიტიკა მოჰყვებოდა. ტექსტს თან ცხინვალის დანგრეული შენობების ფოტოებიც ახლდა, რასაც ხაზი უნდა გაესვა ქართველების სისასტიკისთვის.

ყველაფერ ამას კი, პოლიტიკური შეფასებები აგვირგვინებდა, სადაც რუსეთი მხსნელად და მშვიდობისმოსურნე "მტრედად" იყო გამოყვანილი, ხოლო საქართველო კი, პირსისხლიან აგრესორად.

რუსეთის საელჩოს თანამშრომლის მიტანილი განცხადება აშკარად სცილდებოდა სარეკლამო ტექსტის ფორმატს და აშკარა დეზინფორმაციული ხასიათი ჰქონდა. საელჩოს რეზიდენტურაში მომზადებული ეს "დეზა" ფრანგული გაზეთის მთავარმა რედაქტორმა, დიდიე პურკერმა, სამართლიანად მიიჩნია რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკურ აქციად და განცხადების გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა.

"100 000 ევროც რომ შემოეთავაზებინათ, ჩვენ ამ პოლიტიკურ განცხადებას მაინც არ დავბეჭდავდით" – განაცხადა სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა ფრანსუა სერჟანმა. "ჩვენ ფინანსურად გვიჭირს მაგრამ ყველაფერი ხომ ფულზე არ იყიდება!" – დაამატა დარტანიანის შთამომავალმა.

ფრანგული გაზეთის პოზიციას ერთადერთმა რუსულმა ინტერნეტსაიტმა დაუჭირა მხარი. დანარჩენებმა სრულიად დაამახინჯეს რედკოლეგიის პოზიცია. რუსეთის სპეცსამსახურების "რუპორებმა" საინფორმაციო სააგენტო "ნოვოსტის" მეთაურობით, "ლიბერასიონი" ათასგვარ მკრეხელობაში დაადანაშაულეს.

ჩანს, რომ მეორე ფრანგული გაზეთის, "ფიგაროს", კურტიზანული ჩვევები "ლიბერასიონს" საბედნიეროდ ჯერ არ გადასდებია.

## „ფიგარო“ სახელწოდებას ამართლებს

"ფიგარო", რომ საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ყოველდღიური გაზეთია, ამას ზედმეტი მტკიცება არ სჭირდება. ის 1826 წლის 15 იანვარს დაარსდა და ამჟამად თითქმის 400 000 ტირაჟით გამოდის. მთავარი რედაქტორი ეტიენ მუჟეა, ხოლო მისი მფლობელია ფრანგი მილიარდერი სერჟ დასო, რომელიც საკმაოდ კონსერვატორული პოლიტიკური შეხედულებებით გამოირჩევა.

აღმოჩნდა, რომ თუმცა ამ გაზეთს ფინანსურად არ უჭირს, მაინც "ოცდაათ ვერცხლად" შეიძლება მისი ყიდვა. უფრო სწორედ 21 000 ევრად. ზუსტად ამდენი გადაიხადა რუსეთის დაზვერვამ ერთ პატარა "სარეკლამო განცხადებაში", სინამდვილეში კი დეზინფორმაციულ ტექსტში, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს წინააღმდეგ იყო მიმართული.

2008 წლის სექტემბრის დასაწყისში "ფიგაროში" სარეკლამო ტექსტის ფორმატით გამოქვეყნდა ოცამდე უკრაინელი მეცნიერის, პოლიტიკოსის და საზოგადო მოღვაწის ღია მიმართვა ვიქტორ_იუშჩენკოსდამი. ისინი მთელი ევროპის გასაგონად ათას მოგონილ ცოდვაში სდებდნენ ბრალს უკრაინის პრეზიდენტს. ამ განცხადების აშკარა პოლიტიკურ-დეზინფორმაციული ხასიათის მიუხედავად გაზეთმა ტექსტი მაინც დაბეჭდა, რამაც უდიდესი სიხარული გამოიწვია . . . რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურში, სადაც სავარაუდოდ დაიწერა კიდეც ეს ტექსტი. როგორც შემდგომ გაირკვა თვით მიმართვის ხელმომწერთა უმრავლესობამ ტექსტის შინაარსი ბოლომდე არც კი იცოდა.

მასალა, რომელიც პარიზში რუსეთის საელჩოს თანხით დაიბეჭდა, გამოსაქვეყნებლად მოამზადა რუსეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებულმა პოლიტოლოგმა, ამჟამად კი სათათბიროს დეპუტატმა, საქართველოს და უკრაინის "დიდმა მეგობარმა" სერგეი მარკოვმა.

თუ ზემომოყვანილ ფაქტებს ერთმანეთს შევუდარებთ, დავრწმუნდებით, რომ საბედნიეროდ ჯერ კიდევ ყველაფერი ფულზე არ იყიდება. მით უმეტეს რუსეთის სპეცსამსახურების დეზინფორმაცია.

## რუსეთის სპეცსამსახურების მოსალოდნელი ოპერაციები საქართველოში

"ცხინვალის ხაფანგის" შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურების მიზანი იქნება საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სიტუაციის მაქსიმალური დაძაბვა, მსოფლიოს ყურადღების გადატანა სეპარატისტული რეგიონებიდან მთლიანად "არასტაბილური" საქართველოსკენ.

ამისთვის ისინი არ მოერიდებიან ფარული სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების ჩატარებას და სტრატეგიული თუ სამოქალაქო ობიექტების მწყობრიდან გამოყვანას. ობიქტური და სუბიქტური მიზეზებით მოსახლეობაში უკმაყოფილებას პოლიტიკური პარტიების მოთხოვნების რადიკალიზაცია დაემატება და საქართველოში არასტაბილურობა დაისადგურებს.

## 1. ეკონომიკური საბოტაჟი და დივერსიული ოპერაციები

მტერ-მოყვარემ კარგად იცის, რომ დღევანდელ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, სამწუხაროდ მთლიანად უცხოურ ინვესტიციებზეა დამოკიდებული. უცხოელ ბიზნესმენებს კი მხოლოდ პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილურ ქვეყანაში სურთ კაპიტალის ჩადება.

ამიტომაც საქართველოში ეკონომიკური, სოციალური და შემდეგ პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით რუსეთის სპეცსამსახურების მთავარი ამოცანა გახდება მსოფლიო საზოგადოების თვალში საქართველოს, როგორც ეკონომიკურად და პოლიტიკურად არასაიმედო და არასტაბილური ქვეყნის იმიჯის შექმნა და განმტკიცება. გათვლა მარტივია – ეკონომიკურ კრიზისს უმუშევრობა და მოსახლეობის სოციალური პირობების კიდევ უფრო გაუარესება მოჰყვება, რასაც მსოფლიო ფინანსური და ენერგეტიკული კრიზისის შედეგად გაზრდილი ფასებიც დაემატება. ხალხი ქუჩაში გავა ჯერ სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნებით, შემდეგ პოლიტიკური ლოზუნგები იმძლავრებს და სიტუაცია გარეგნულად უმართავი, სინამდვილეში კი რუსეთის ეფ-ეს-ბესა და გე-ერ-უსგან მართვადი გახდება.

ამგვარი სპეცოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება კი რუსეთის სპეცსამსახურებმა მემკვიდრეობით მიიღეს საბჭოთა კა-გე-ბე-ს და გე-ერ-უსგან.

## 2. შიდა პოლიტიკური სიტუაციის არევა

ეკონომიკური საბოტაჟისა და დივერსიული ოპერაციების პარალელურად რუსეთის სპეცსამსახურები შეეცდებიან საქართველოში შიდა პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვას, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთდაპირისპირების იმ დონემდე გამწვავებას, რომ შესაძლებელი გახდეს ხალხის ქუჩაში გამოყვანა და 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბრისა და 2009 წლის აპრილის აქციების განმეორება.

ამ პირობებში ნატო-ს ნებისმიერი სამიტი ჩვენთვის კვლავ უშედეგოდ დასრულდება. ამისთვის უკვე ევროპაში მოქმედი რუსეთის აგენტურა "იზრუნებს".

ეს კი, მკითხველი დარწმუნებული იყოს, რუსეთს ნამდვილად არ გაუჭირდება, იმიტომ, რომ მრავალი ათეული წელია ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსეთის სპეცსამსახურებს "დავერბოვკებული" ჰყავდათ და ჰყავთ ევროპის, ამერიკისა და აზიის ქვეყნების მრავალი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი და მეცნიერი.

რუსეთის სპეცსამსახურებმა საბჭოთა საგარეო დაზვერვის აგენტურა მემკვიდრეობით მიიღეს, შემდგომ წლებში თავადაც ბევრი დაამატეს და დღეისთვის, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ევროკავშირის ქვეყნების ბევრ პოლიტიკურ პარტიას, მასმედიის საშუალებას და ჟურნალისტს აკონტროლებენ.

საზო-გადოებრივი დაპირისპირების "კოცონი" ყოველთვის პოლიტიკური დაპირისპირების "ნაპერწკლიდან" ინთება და შემდეგ უმართავ და ბობოქარ "ხანძარში" გადაიზრდება. ამიტომ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უნდა გაითვალისწინონ ეს გარემოება და პირად ინტერესები, ქვეყნის მომავალზე წინ არ უნდა დააყენონ.

## 3. შეტევა ნ ა ტ ო -დან

საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი სპეცოპერაციებიდან ერთ-ერთი უცილობლად იქნება ჩრდილოატლანტიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის განხეთქილების შეტანა საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ ბუქარესტის სამიტზე გამოჩნდა, რომ საქართველოს და უკრაინის მიღებას ამ ორგანიზაციაში, ღიად თუ ფარულად, მრავალი ქვეყანა ეწინააღმდეგება.

გვჯერა, რომ ზოგიერთი ქვეყნის ლიდერი მაშინ მართლაც ობიექტური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა და გულწრფელი იყო. თუმცა უფრო საშიში იმ ქვეყნების პოლიტიკოსები არიან, რომლებიც ფარული ძაფებით რუსეთის სპეცსამსახურებიდან იმართებიან. სამწუხაროდ ეს ისტორიული რეალობაა.

## <u>ნატო კვლავ რუსეთის სპეცსამსახურების სამიზნეა</u>

საქართველოში ალბათ ერთადერთი საკითხი, რომელზეც ხელისუფლება და ოპოზიცია, "ერი და ბერი", ერთსულოვანია - ნატოს სრულფასოვანი წევრობაა. ბუქარესტში მიღებული, ცოტა არ იყოს აბსტრაქტული დაპირება – საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები გახდებიანო – რეალურ ალსრულებას მოითხოვს. ამის ერთ-ერთი წინაპირობა კი 2008 წლის დეკემბერში ჩვენთვის

"მაპ"-ის მიღება უნდა ყოფილიყო, თუმცა "აგვისტოს ომის" შემდეგ ნატო ძალზე შორეული პერსპექტივა გახდა. არსებობს ნატოს ერთი მოთხოვნა, რომელსაც შეღავათები ნამდვილად არ შეეხება – ესაა ალიანსის საიდუმლო სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ. ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილება.

ეს ერთი შეხედვით ადვილად გადასაწყვეტი პრობლემა უკავშირდება. საქართველოსთვის ურთულეს საკითხს – რუსეთის სპეცსამსახურების გალაღებულ ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს ყველანაირი მეთოდებით გზა გადაუკეტოს საქართველოსა და უკრაინას ნატოსკენ.

რა კონტრდაზვერვით ღონისძიებებს დაუპირისპირებენ ჩვენი სპეცსამსახურები იმ მოწინააღმდეგეს, რომელსაც ნატოს საიდუმლეობებზე ნადირობის (ხშირად ძალზე წარმატებული) სამოცწლიანი გამოცდილება აქვს?

ამჟამად ნატოს ორ წევრ ქვეყანაში – ჩეხეთსა და ესტონეთში რუსეთის დაზვერვის აგენტურის შესახებ ვისაუბრებთ.

სამწუხაროდ ნატო სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურების ყველა დონეზე საბჭოთა სპეცსამსახურებს ყოველთვის ჰყავდათ აგენტები, რომელთა მეშვეობითაც მოსკოვი მისთვის სასურველ პოლიტიკას ატარებდა. დღეს ამ "ესტაფეტას" რუსეთის სპეცსამსახურები აგრძელებენ.

ნატოს სტანდარტებით საიდუმლო ინფორმაცია ოთხ კატეგორიად იყოფა:

სამსახურებრივი; საიდუმლო; მკაცრად საიდუმლო (ე.წ."კოსმიკი") და სრულიად საიდუმლო. ნატო თავს იზღვევს და პირველ ეტაპზე ალინისს ახალ წევრებს მხოლოდ სამსახურებრივი და საიდუმლო კატეგორიის ინფორმაცია გადაეცემათ. თუმცა ეს ინფორმაციაც ძალზე აინტერესებს რუსეთის ხელისუფლებას.

2008 წელს ესტონეთში მომხდარი სკანდალის შემდეგ ნატოს ხელმძღვანელობა ნამდვილად დაეჭვდება – ხომ არ გახდება საქართველო - ნატოს თანამშრომლობის გაღრმავება ალიანსის სამხედრო-პოლიტიკური საიდუმლეობების გადინების ახალი არხი?

## რუსეთის აგენტურა ჩეხეთსა და ესტონეთში

რუსეთთან ომის დროს საქართველოს გვერდით მისი მეზობელი და "მოძმე" ქვეყნებზე მეტად აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები დადგნენ. დღეს სწორედ ისინი არიან რუსეთის სპეცსამსახურების შეტევის მთავარი ობიექტი.

ჩეხეთის პრემიერ-მინისტრი მირეკ ტოპოლეკი განცვიფრებას ვერ მალავდა, როცა ჩეხეთის სპეცსამსახურების ყოველწლიურ მოხსენებას გაეცნო. ირკვევა, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვა და გე-ერ-უ (სამხედრო დაზვერვა). აქტიურად მოქმედებენ ამ ქვეყანაში. ისინი ცდილობენ მოსახლეობა ანტიამერიკულად განაწყონ. ჩეხეთის კონტრდაზვერვის ინფორმაციით 2007 წელს მათ გამოავლინეს მასმედიაში, აგრეთვე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში აგენტურული შეღწევის მრავალი მცდელობა.

ჩეხეთი 1990-იანი წლების დასაწისიდანაა რუსეთის სპეცსამსახურების სამიზნე. როგორც ირკვევა, რუსეთის სპეცსამსახურების ხელშია 1990 წელს საბჭოთა კა-გე-ბეს მიერ იმდროინდელი ჩეხოსლოვაკიიდან გატანილი უშიშროების სამინისტროს ოპერატიულ მონაცემთა ბაზის დიდი ნაწილი, მათ შორის საიდუმლო ინფორმაცია ამ ქვეყნის 30 ათას მოქალაქეზე. ასე რომ "მიდექი და იცურავე".

ჩეხეთის კონტრდაზვერვის ოფიციალურმა ინფორმაციამ ძალაუნებურად დიდი ქართველი კლასიკოსის სიტყვები: "ერთს ბედს ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ" გაგვახსენა. მათი ცნობით ჩეხეთში რუსეთის საელჩოს თანამშრომლების ნახევარი ანუ 30 ადამიანი, რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები ყოფილან. მათი მთავარი ამოცანა ნატოს საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება, ჩეხეთი-აშშ ურთიერთობების გაფუჭება და რუსეთის ეკონომიკური ინტერესების ლობირებაა. ამისთვის ისინი ცდილობენ ჩეხეთის პოლიტიკურ ელიტაში, მასმედიაში, ასევე სტრატეგიული დარგების და საწარმოების ხელმძღვანელობაში საკუთარი აგენტურის გაყვანას.

რუსეთის სპეცსამსახურების მნიშვნელოვანი ამოცანაა ჩეხეთის ნატოს საწინააღმდეგო პლაცდარმად გამოყენება. რუსეთმა ჩეხეთში შექმნა ერთგვარი სადაზვერვო ბაზა ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ სამუშაოდ. ამ შპიონურ ქსელში გაერთიანებული არიან, როგორც დიპლომატის საფარქვეშ მოქმედი საგარეო დაზვერვის სამსახურის და გე-ერ-უს მზვერავები, ასევე საელჩოს ტექნიკური პერსონალი და არალეგალური აგენტები. რუსი შპიონები მჭიდრო კოორდინაციაში მოქმედებენ ჩეხეთში კარგად ფეხმოკიდებულ რუსულ მაფიასთან. განვლილ პერიოდში ჩეხეთის ხელისუფლება, რატომღაც საოცარი სიმშვიდით უყურებდა რუსი მზვერავების აქტიურ მოღვაწეობას. მართლაც, თუ 1991-1999 წლებში გერმანიიდან 150, საფრანგეთიდან –82, დიდი ბრიტანეთიდან – 37, პოლონეთიდან კი - 11 რუსი შპიონი გააძევეს, ჩეხეთიდან მხოლოდ ერთს მოუხდა უკან დაბრუნება.

რუსი მზვერავების ერთ-ერთი ამოცანა ჩეხეთში რუსეთის დადებითი იმიჯის შექმნაა, ამიტომაც ისინი ფულს არ იშურებენ ათასგვარი კულტურული და სპორტული ღონისძიებების მოსაწყობად. ძნელი სათქმელია, თუ რას მიაღწევენ რუსი "მზვერავ-პიარშიკები". თუმცა, თუ ახლო კომუნისტურ წარსულს გავიხსენებთ, მათთვის ძნელი იქნება ჩეხებს თავი შეაყვარონ,

რადგანაც ყველას კარგად ახსოვს 1968 წლის "პრაღის გაზაფხული" და საბჭოთა (იგივე რუსული) ტანკებით სისხლში ჩახშობილი დემოკრატია. არც საბჭოთა კავშირი-ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა გუნდების დაპირისპირება (რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უფრო იყო, ვიდრე სპორტი) დავიწყნიათ ჩეხებს.

ეს საოცრად გავს საქართველოს გუშინდელ და დღევანდელ რეალობას. ჩეხებმა მოასწრეს და ნატო- ქოლგას შეაფარეს თავი, ჩვენ როდის შევძლებთ ამას?

## ესტონეთი – რუსეთი: სპეცსამსახურების ომი გრძელდება

ამ ქვეყნების საიდუმლო სამსახურებს შორის ფარული ბრძოლა 1990-იანი წლებიდან დაიწყო. ზოგადად კი ბალტიის ქვეყნების და რუსეთის "დიპლომატიური ომები" 15 წელზე მეტია, რაც მიმდინარეობს. ხან ერთი მხარე აძევებს "დიპლომატის ფრაკს" შეფარებულ სპეცსამსახურების თანამშრომლებს, ხან - მეორე.

ესტონეთის ნატოში შესვლის შემდეგ ამ ქვეყნის შიგნით რუსეთის დაზვერვა ძალზე გააქტიურდა და ტალინში რუსეთის საელჩოში რუსი მზვერავების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა.

2004 წლის 17 მარტს ესტონეთის ხელისუფლებამ ორი რუსი დიპლომატის 48 საათში ქვეყნის ტერიტორიის დატოვება მოითხოვა. ესტონეთის სპეცსამსახურების ცნობით ეს "დიპლომატები" აქტიურად აწარმოებდნენ ნატოს და ევროკავშირის გაფართოების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. ამის საპასუხოდ 23 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ორი ესტონელი დიპლომატი გამოაცხადა პერსონა ნონ-გრატად. მიზეზი ტრადიციული იყო: რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო და დიპლომატისთვის შეუფერებელი საქმიანობა. მათ რუსეთი ორი კვირის ვადაში უნდა დაეტოვებინათ.

## ლუსტრაცია ესტონეთში უშედეგოდ დასრულდა?

ესტონეთში დამოუკიდებლობის მიღებიდან სულ მალე ამოქმედდა კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა პირს, რომელიც კა-გე-ბე-სთან რაიმე ფორმით თანამშრომლობდა, ათი წლის ვადაში უნდა განეცხადებინა ამის შესახებ ესტონეთის უშიშროების პოლიციაში. სახელმწიფო, თავის მხრივ, ამ ფაქტის საიდუმლოდ შენახვის გარანტიას იძლეოდა. გარდა ამისა, 1994 წლიდან მოქმედებს კანონი, რომელიც საბჭოთა სპეცსამსახურების ყველა იმ

თანამშრომელს, რომლებიც დაბადებიდან არ არის ესტონეთის მოქალაქე, უკრძალავს საჯარო სამსახურს, თუმცა მათ არჩევით საკანონმდებლო ორგანოებში მონაწილეობის უფლება აქვთ. ესტონეთის ყოფილი კა-გე-ბეს არქივებიდან ამჯამად მხოლოდ ნაწილის ასლებიღაა დარჩენილი, რადგანაც არქივი (ბუნებრივია უპირველესად ოპერატიული აღრიცხვის საქმეები, აგენტურისა და ფარული თანამშრომლების კართოტეკები) წინასწარ გაიტანეს რუსეთის ტერიტორიაზე.

სწორედ ამ გარემოების გამო ესტონეთის სპეცსამსახურებმა 2008 წელს მძიმე მარცხი იწვნიეს.

## რუსეთის აგენტი ესტონეთის სპეცსამსახურებში

ნატოს ახალ, პერიფერიულ წევრ ქვეყნებში აგენტურის გადაბირების დიდმა მცდელობამ რუსეთისთვის შედეგი ნამდვილად გამოიღო. 2008 წლის 21 სექტემბერს ესტონეთის კონტრდაზვერვის ("კაპო"- უშიშროების პოლიცია) თანამშრომლებმა რუსეთის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებით დააკავეს ამ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი, 61 წლის ჰერმან სიმმი და მისი მეუღლე, ესტონეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი ჰეტე სიმმი. თუმცა ქალბატონი სიმმი სამი თვის შემდეგ უდანაშაულოდ სცნეს და გაანთავისუფლეს.

ეს იყო პირველი შემთხვევა 1991 წლიდან, როდესაც ესტონეთის მოქალაქეს სახელმწიფო ღალატში დასდეს ბრალი.

ამ პიროვნების წინააღმდეგ სამხილების დადგენაში აქტიურად მონაწილებდნენ ნატოსა და ევროკავშირის უშიშროების სტრუქტურები, ასევე აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები.

ჯერ კიდევ კომუნისტურ პერიოდში ჰერმან სიმმი წლების მანძილზე მუშაობდა ესტონეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში, 1978 წელს დაამთავრა სსრკ შსს აკადემია, მიღებული ჰქონდა მილიციის პოლკოვნიკის ჩინი. წლების მანძილზე იყო ესტონეთის პოლიციის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი. თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა 1995 წლიდან – ჯერ თავდაცვითი ინფორმაციის ანალიზის ბიუროს, ხოლო 2000 წლიდან ამ სამინისტროს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის განყოფილების უფროსად. საინტერესოა, რომ ჰერმან სიმმს ევალებოდა ქვეყნის მასშტაბით სამხედრო საიდუმლოების დაცვის კოორდინაცია, მათ შორის სპეცსამსახურებშიც. არსებობს ინფორმაცია, რომ ჰერმან სიმმი სამსახურებრივი მივლინებით რამდენჯერმე იმყოფებოდა საქართველოშიც და შეხვედრები ჰქონდა ქართველ კოლეგებთან.

ის ხელმძღვანელობდა ესტონეთის დელეგაციას სხვადასხვა კონფერენციებზე, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

საიდუმლოების დაცვის საკითხებს ეხებოდა. თვეში 2-3 ჯერ სამსახურებრივი მივლინებით მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, სადაც, ესტონეთის კონტრდაზვერვის ვარაუდით ხვდებოდა რუსეთის დაზვერვის წარმომადგენლებს.

სიმმი 2006 წლიდან იყო ზემოაღნიშნული განყოფილების მრჩეველი, თუმცა საერთაშორისო დონის საიდუმლო დოკუმენტებთან დაშვება და დიპლომატიური პასპორტი მაინც ჰქონდა. ვარაუდობენ, რომ რუსეთის დაზვერვაზე სიმმი 1995-2008 წლებში მუშაობდა. ესტონეთის კონტრდაზვერვამ ოპერატიულ დამუშავებაში იგი 2008 წლის გაზაფხულზე, ნატოსა და ევროკავშირის უშიშროების სტრუქტურების რეკომენდაციით აიყვანა. ჰერმან სიმმს შეხება ჰქონდა ესტონეთის და ნატოს ყველაზე საიდუმლო დოკუმენტებთან. ის ხელმძღვანელობდა "საიდუმლო ინფორმაციის დაცვისა და გაცვლის" ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებას აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან.

როგორც ირკვევა ჰერმან სიმმა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურს არა მარტო ესტონეთის არმიის და სპეცსამსახურების შესახებ მაიწოდა საიდუმლო ინფორმაცია, არამედ ნატო-ც "არ დაინდო". ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიერ განხორციელებული იარალის შესყიდვები, სამხედრო ობიექტების მშენებლობა, დაშიფვრის სისტემები და კიდევ მრავალი სხვა სრულიად საიდუმლო მონაცემები "კრემლისთვის" უკვე ცნობილია.

გერმანიის სპეცსამსახურებში ეჭვობენ, რომ შესაძლებელია სიმმა რუსეთს გადასცა გერმანელი სპეციალისტების მიერ დამუშავებული დაშიფვრის უახლესი სისტემა, რომლის დახმარებითაც იშიფრება სატელეფონო საუბრები და ფაქსით გზავნილები ნატოს შტაბ-ბინაში.

რუსეთის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს სიმმთან კავშირს. ესტონეთის კონტრდაზვერვის ინფორმაციით სიმმი საბჭოთა კა-გე-ბემ ჯერ კიდევ 1970-იან წლებში, მოსკოვში სსრკ შსს აკადემიაში სწავლის დროს გადაიბირა. თუმცა მალევე "დააკონსერვა". 1995 წელს კი, მის შემდეგ, რაც ჰერმან სიმმა პოლიციაში მაღალი პოსტი დაიკავა, ის კვლავ გააქტიურეს. სიმმი ცამეტი წელი მუშაობდა რუსეთის სასარგებლოდ. ამ პერიოდში მან რუსეთის დაზვერვის თანამშრომლებს ვალერი ზენცოვს და სერგეი იაკოვლევს (რომელიც ესპანეთში, როგორც პორტუგალიის მოქალაქე და ბიზნესმენი ანტონიო დე ხესუს ამორეტ გრაფი, "ჰესუსი", მოქმედებდა) სამი ათასზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი გადასცა. ირკვევა, რომ "ჰესუსზე" აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები დიდი ხნის მანძილზე "ნადირობდნენ". ხოლო 2007 წლიდან უკვე მჭიდრო ოპერატიულ დამუშავებაში აიყვანეს – ფიქსირდებოდა მისი ყველა შეხვედრა და სატელეფონო საუბრები. იმ წელს სამხრეთ ევროპის ერთ-ერთ ქალაქში "ჰესუსის" და ცოლ-ქმარ სიმების შეხვედრა დაფიქსირდა. ამის შემდეგ უკვე ესტონეთის კონტრდაზვერვამ დაიწყო გამოძიება.

სიმმს ბრალი დაუმტკიცეს, რუსეთის აგენტობა თავადაც აღიარა და ამიტომ შედარებით მცირე ვადა - 12,5 წელი მიუსაჯეს და 20 მილიონი კრონის გადახდა დააკისრეს.

## ნატო – რუსეთი: დაპირისპირების ახალი ტალღა

2009 წლის 22 აპრილს ბრიუსელიდან, ნატოს შტაბ-ბინაში რუსეთის წარმომადგენლობის ორი რუსი "დიპლომატის",რეალურად კი ჯაშუშების – ვიქტორ კოჩუკოვის და ვასილ ჩიჟოვის - გამოძევება უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ნატო-რუსეთს შორის ყველაზე დიდი ღია დაპირისპირებაა. რუსეთის წარმომადგენელმა ნატო-ში დიმიტრი როგოზინმა ჩრდილოატლანტიკური ალიანისის ეს გადაწყვეტილება ბრმა და დაბნეული მარტორქის ბორიალს შეადარა. ვერაფერს იტყვი,ძალზე "დიპლომატიური" შეფასებაა.

საპასუხოდ, 2009 წლის მაისის დასაწყისში, რუსეთის ხელისუფლებამ ორ კანადელ დიპლომატს შეუჩერა აკრედიტაცია, რაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაასაბუთა, როგორც სიმეტრიული და ადექვატური პასუხი ნატოს მოქმედებებზე. კანადელი დიპლომატები ნატოს საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელი რუსეთში კანადის საელჩოს ატაშე იზაბელ ფრანსუა და ასევე ატაშე მარკ ოპგენორტი არიან.

"ცივი ომის" პერიოდში ნატო წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების მთავარ სამიზნეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კა-გე-ბესა და გე-ერ-ეუს პარიზის და ბრიუსელის რეზიდენტურები, სადაც ნატოს შტაბ-ბინა იყო და ამჟამად არის.

ამავე დროს, აღმოსავლეთ გერმანიის, ბულგარეთის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის სატელიტი სპეცსამსახურები, რომლებიც კა-გე-ბეს და გე-რე-უს მიერ იყვნენ "გამოზრდილნი", აქტიურად მონაწილეობდნენ ნატოს დანაყოფებში აგენტურული და ფიზიკური (ანუ ფარულად. ტექნიკური საშუალებების გამოყენებით) შეღწევის მოსკოვის მიერ დაგეგმილ ოპერატიულ ღონისძიებებში და მოპოვებულ მონაცემებს "უფროს კოლეგებს" გადასცემდნენ.

"კრემლის" ქმედებებში მგლური ინსტიქტი ყოველთვის მძლავრობდა, თუმცა მოჩვენებითი "დემოკრატიულობით" იყო დამალული. 2004 წლიდან კი რუსეთის ხელისუფლება აღარც მალავს ევროკავშირისა და ნატოს (აშშ-ზე, რომ არაფერი ვთქვათ) მიმართ კრიტიკულ და ზიზღნარევ დამოკიდებულებას. დღეს რუსეთი უკვე აღარ თამაშობს ცხვრის ქურქში გახვეული მგლის როლს. ეს უკვე აღარ სჭირდება.

ნატო ილუზიებით წლების მანძილზე იტყუებდა თავს – ამჟამად რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოდ რეფორმირების შესაძლებლობა, ისეთიე

თავის მოტყუებაა, როგორც მარწყვი ზამთარში. სწორედ მოფერების და წაყრეუების პოლიტიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება, დღეს ვიღაც როგოზინების დასაცინი გახდა.

იმედია 2008 წლის „აგვისტოს ომი“, ამ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის გამოფხიზლების და რუსეთის მოქმედებების რეალურად შეფასების დასაწყისად იქცევა.

## რამდენად ეფექტიანად მუშაობს ნატო-ს სპეცსამსახური?

რუსეთის ოფიციალურმა, თუმცა ფორმალურმა, პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ერთხელ განაცხადა: "რუსეთს არ აწყობს ნატო-ს გაფართოებაზე აგებული ევროპის უსაფრთხოების კონსტრუქცია"-ო. რუსეთის ხელისუფლება არ იღლება იმის მტკიცებით, რომ ჩრდილო ატლანტიკური ბლოკის დრო უკვე წავიდა და მას აღმოსავლეთით გაფართოება ვეღარ უშველის.

უბედურება ისაა, რომ ამგვარი პოლიტიკური განცხადებებით რუსეთი არ კმაყოფილდება და ყველანაირი ხერხებით ცდილობს ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წინააღმდეგ მოქმედებას. ერთ-ერთი ამგვარი, ათწლეულების მანძილზე აპრობირებული მეთოდი ნატო-ს სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურებში აგენტურის "ჩანერგვა" და საიდუმლო მოლაპარაკებების ფარული მიყურადებაა.

## ნატო-ში რუსეთის აგენტურის სიმრავლე უკვე საგანგაშო ხდება

ალბათ გახსოვთ ცნობილი ჰოლივუდური კომედია "ყველას უყვარს მერი", სადაც მსახიობ კამერონ დიასზეა ყველა შეყვარებული და მისი კეთილგანწყობის მოპოვებას სხვადასხვა გზებით ცდილობს. დაახლოებით ასეთი "მზეთუნახავია" ნატოც, მისი საიდუმლოების გაგება ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურს სურს. მათ შორის ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: რუსეთი, ჩინეთი და ირანი.

ნატო-ში არ მალავენ, რომ ამ ბლოკის წევრ ქვეყნებში მდებარე რუსეთის საელჩოების პერსონალის დიდი უმრავლესობა, რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან,რომლებიც დიპლომატის საფარქვეშ მოქმედებენ.

ამავე დროს, რუსეთის მთავარი სამიზნე ნატო-ს ბრიუსელის შტაბ-ბინაა, სადაც განთავსებულია ნაციონალური დელეგაციების სამხედრო და პოლიტიკური წარმომადგენლობები.

სამწუხაროდ ნატო-ს გაფართოების პარალელურად აშკარად შესუსტდა ამ ბლოკის შიგნით კონტრდაზვერვითი მუშაობა და თვე არ გავა, რომ რომელიმე ქვეყანაში რუსეთის აგენტურის ჯაშუშური მოქმედება არ გამჟღავნდეს, ხოლო რაც ჯერ კიდევ არ გამჟღავნებულა?

ალიანსში გაწევრიანების ყველა მსურველს ნატო-მ წაუყენა სპეცსამსახურების სტრუქტურული და ფუნქციონალური რეორგანიზაციის, აგრეთვე, სახელმწიფო საიდუმლოებების დაცვის გამკაცრების მოთხოვნა.

ჩეხეთის ხელისუფლებამ ნატო-ში გაწევრიანების შემდეგ ძალზე აქტიურად დაიწყო არსებული თუ პოტენციური აგენტურისაგან თავდაცვის სამინისტროს, საგარეო უწყების და სპეცსამსახურების წმენდა. რუმინეთში გამოქვეყნდა "ნატოს საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ნორმები", ანუ ის სტანდარტები რომელთა საფუძველზეც გაიცემა ე.წ. "უსაფრთხოების სერთიფიკატი". ამ დოკუმენტის მისაღებად აცილებელია მთელ რიგ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელთა სისწორესაც შემდგომ რუმინეთის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ღია და ფარული მეთოდებით შეამოწმებს.

თუმცა, მიუხედავად ამგვარი სიფრთხილისა, რუსეთის დაზვერვამ მაინც მოახერხა რუმინეთის შეიარაღებულ ძალებში შეღწევა, რისთვისაც ცნობილი მეთოდი –" სხვა ქვეყნის დროშით" მოქმედება გამოიყენა. კერძოდ რუმინელი ოფიცერი საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა ბულგარეთის მოქალაქეს, ის კი თავის მხრივ რუსეთის საგარეო დაზვერვას.

სწორედ ამაზეა ნათქვამი - "თაფლი" (საიდუმლო ინფორმაცია) იყოს და ბუზი მოსკოვიდანაც მოფრინდებაო

## ვინ არის ნატო-ს მთავარი "ბუა"?

ბრიუსელში მდებარე ნატო-ს შტაბ-ბინა ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ცენტრალური "მართვის პულტია", სადაც თავს იყრის ყველა საიდუმლო ინფორმაცია. ამავე დროს იქ განთავსებულნი არიან მუდმივი წარმომადგენლები და ნაციონალური დელეგაციები (პოლიტიკური და სამხედრო),დიპლომატიური მისიები.

ნატო-ს შტაბ-ბინაში ამჟამად 4000–მდე შტატიანი თანამშრომელია, საიდანაც დაახლოებით 1500 ნატო-ში ეროვნული პოლიტიკური დელეგეციების და ეროვნული სამხედრო მისიების წარმომადგენლები არიან.

ცნობილია, რომ რუსეთის აგენტის, ესტონელი პოლკოვნიკის ჰერმან სიმმის გამოაშკარავებაში აქტიურად მოქმედებდა ნატოს მთავარი სპეცსამსახური, ანუ "ნატოს უშიშროების ბიურო" –"NATO office of Securiti" (NOS).

ნატო-ს უშიშროების ბიურო კოორდიანაციას უწევს და აკონტროლებს ამ ბლოკის პოლიტიკას უშიშროების საკითხებში. ამ ბიუროს უფროსი არის ნატო-ს გენერალური მდივნის მთავარი მრჩეველი უშიშროების საკითხებში. იმავდროულად ის უშიშროების საკითხების კომიტეტის თავმჯდომარეა (სწორედ ამ კომიტეტის წევრი იყო რუსეთის ჯაშუში ჰერმან სიმმი). პარალელურად ხელმძღვანელობს ნატო-ს შტაბ-ბინის უშიშროების სამსახურს და ახორციელებს ნატოს მთელი სისტემის უშიშროების უზრუნველყოფის კოორდინაციას.

უშიშროების ბიუროს ძირითადი მოვალეობაა კონტრდაზვერვითი ოპერაციების ჩატარება ნატო-ს შტაბ-ბინაში, ნაციონალური დელეგაციების დახმარება უცხო ქვეყნების აგენტურის გამოსავლენად, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა და ნატო-ს ეგიდით ჩატარებული ოფიციალური შეხვედრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ნატო-ს "უშიშროების სამინისტროს" ხელმძღვანელობას ხშირად უხდება საკმაოდ დელიკატური პრობლემების გადაჭრა.

თომას მაქ-კევერი, ნატო-ს უშიშროების ბიუროს დირექტორი, 2006 წლის თებერვლის ბოლოს პრაღას ორი დღით ესტუმრა. ამ ვიზიტის მიზანი ჩეხეთის დედაქალაქის ღირშესანიშნავი ადგილების მონახულება არ ყოფილა. ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის "უშიშროების მინისტრი" ჩეხეთში შექმნილი კრიზისული სიტუაციის მოგვარებას ცდილობდა.

მდგომარეობა მას შემდეგ გართულდა, რაც ნატო-ს წევრი ქვეყნის ჩეხეთის ეროვნული უშიშროების სამმართველოს ხელმძღვანელი იან მარეში თებერვლის დასაწყისში თანამდებობიდან გადადგა კრიმინალურ სამყაროსთან შესაძლო კავშირების გამო.

## ვინ არის მაიკლ ივანოფფი?

ორი რუსი მზვერავ-დიპლომატის ნატო-ს შტაბ-ბინიდან და ბელგიიდან გაძევების ფაქტი იმდენად მძიმე დარტყმა აღმოჩნდა რუსეთის ხელისუფლებისთვის, რომ მათ სამაგიეროს გადახდა უკვე პიროვნულ ჭრილში გადაიტანეს და "მთავარი დამნაშავის" ძებნა ნატო-ს მაღალჩინოსნებში დაიწყეს. მთავარი "მსხვერპლი" სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის უშიშროების ბიუროს დირექტორი მაიკლ ივანოფფი აღმოჩნდა, რომელსაც არაპროფესიონალიზმი და რუსოფობიაც კი დასწამეს. რამდენად ობიექტურია რუსეთის ხელისუფლება?

მცირე დოსიე: მაიკლ ივანოფი დაიბადა 1961 წლის 5 დეკემბერს აშშ-ში. დაასრულა კენტუკის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის კურსი.

თითქმის ოცი წელია, რაც მსახურობს დიპლომატიური მისიის უშიშროების უზრუნველყოფის კუთხით. პირველი სამსახურებრივი მივლინება 1990 წელს ფილიპინებზე, აშშ-ის საელჩოში ჰქონდა.

მას შემდეგ დიპლომატიური მისიების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ის მივლინებული იყო აშშ-ის საელჩოებში – მაროკოში, ხორვატიაში, ბოსნია-ჰერცოგოვინაში, ისლანდიაში, დანიაში.

1999-2001 წლებში მაიკლ ივანოფფი მსახურობდა ნატო-ს მისიაში გერმანიაში. 2001-2003 წლებში მივლინებული იყოს პაკისტანსა და ავღანეთში. შემდეგ გადაიყვანეს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის დაცვის უფროს სპეციალურ აგენტად. შემდეგ კი ხელმძღვანელობდა "შავ პანტერად" წოდებულ ქალბატონი კონდოლიზას დაცვის სამსახურს.

2007 წლის დეკემბერს სწორედ "კონდის" რეკომენდაციით დაინიშნა ნატო-ს უშიშროების ბიუროს დირექტორად. ამ ამპლუაში ის აქტიურად ჩაერთო ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეტად რთული პრობლემების გადაწყვეტაში.

2008 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მოწვევით, საქართველოს ნატო-ს უშიშროების ბიუროს დელეგაცია, ბიუროს დირექტორის მაიკლ ივანოფფის ხელმძღვანელობით ორდღიანი ვიზიტით ეწვია. მას შეხვედრები ჰქონდა საქართველოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელებთან. ძნელი სათქმელია შემთხვევითი იყო, თუ არა, მაგრამ ამ ვიზიტს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენები მოჰყვა.

## 2009 წლის გაზაფხულის დამაფიქრებელი ქრონიკა

2009 წლის 25 თებერვალს რუსეთის დაზვერვის აგენტს, ესტონელ პოლკოვნიკ ჰერმან სიმმს 12,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. დაკითხვის პროცესში მან გამოძიებას განუცხადა, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვის ოფიცრები მას აშანტაჟებდნენ კა-გე-ბეს-თან მისი ძველი კავშირების გამხელით;

29 აპრილი - ჯაშუშობის ბრალდებით ნატო-ს შტაბ-ბინიდან გააძევეს ორი რუსი დიპლომატი;

5 მაისი – გიორგი ღვალაძის "ტელე-ჩვენება";

5 მაისი "მუხროვანის ამბოხის" მორიგი სერიალი;

5 მაისი - საქართველოში ნატო-ს წვრთნები დაიწყო;

6 მაისი – რუსეთი აძევებს მოსკოვში ნატო-ს ორ წარმომადგენელ კანადელ დიპლომატებს;

6 მაისი – ჯაშუშობაში ბრალდებით დაპატიმრებულია საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი ნატო-ში ვახტანგ მაისაია;

7 მაისი – სახელმწიფო სიდუმლოების გამხელის ბრალდებით დაკავებულია ირაკლი ბატკუაშვილი;

ქრონიკის ამ მშრალი ფაქტების მიღმა მრავალი კითხვა ჩნდება: რატომ დაემთხვა "მუხროვანის ამბოხი" და მაისაია-ბატკუაშვილის დაკავება, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი ოფიცრების დაპატიმრება ნატო-ს სწავლებებს? ზემოალნიშნულ მოვლენებში რა ფორმით მონაწილეობდნენ ნატო-ს უშიშროების ბიუროს თანამშრომლები?

ეს შემთხვევითობა იყო თუ ნატო-ს ხელმძღვანელობის წინაშე თავის მოწონების მცდელობა - ნახეთ რა მაგრები ვართ, ჩვენც ვავლენთ რუსეთის აგენტურას და ყველაფერს ვაკონტროლებთო?

## "აკადემიკოსები" თუ შპიონები?

მართლაც საოცარია გლობალური საინფორმაციო ქსელის ეპოქაში ცხოვრება, ალბათ მალე სპეცსამსახურებს "ცოცხალი შპიონები" აღარც დაჭირდებათ. საჭირო ინფორმაციის 90% უკვე ღია წყაროებში შეიძლება მოიძიო.

თუ არ დაიზარებ და ისიც იცი, როგორ და სად ეძებო, ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურების საიდუმლო გეგმები და სპეცოპერაციები შეიძლება დიდი დანახარჯების გარეშე გაიშიფროს.

2008 წელს გერმანულ ჟურნალ "ფოკუსში" პატარა ინფორმაცია დაიბეჭდა, ავტორი უცნობი რუსული სამეცნიერო აკადემიის მიერ გერმანელი ჩინოვნიკებისთვის რუსეთის იმპერატორის "პეტრე დიდის" სახელობის ორდენების გულუხვად დარიგების ფაქტზე წერდა. ცნობილია თუ როგორ "უყვარს" პუტინს გერმანია – ხუთი წელი (1985-1990წწ.) მოუწია იქ შპიონობა, ძველი "მეგობრებიც" ბევრი შემორჩა, ალბათ ამიტომაცაა, რომ უკვე ასზე მეტი გერმანელი პოლიტიკოსი, მეცნიერი, სამხედრო ოფიცერი და პოლიციის მაღალჩინოსანია დაჯილდოვებული "პეტრე დიდის ორდენით". სულ ახლახან კი ამგვარი მოულოდნელი "სიხარული" თურმე ბავარიის და ბრანდებურგის მიწების პრემიერ-მინისტრებმა გიუნტერ ბეკშტაინმა და მათიას პლაცეკმაც განიცადეს.

მხოლოდ ამის შემდეგ დაინტერესდა გერმანიის კონტრდაზვერვა (კონსტიტუციის დაცვის უწყება) ამ საეჭვო აკადემიის ისტორიით და წევრებით, რომლებიც ასე გულუხვად არიგებენ ორდენებს.

ჩვენც გადავწყვიტეთ დამატებით ინფორმაციის მოძიება ამ, პრესტიჟული სახელწოდების, მაგრამ საიდუმლო მისიის მქონე "უშიშროების, თავდაცვისა

და მართლწესრიგის პრობლემების აკადემიის" შესახებ და მართლაც საგანგაშო დასკვნამდე მივედით. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით - დღევანდელი რუსეთი ეს ერთი უზარმაზარი "კორპორაციაა", რომელსაც კა-გე-ბეს ოფიცრები მართავენ და სპეცსამსახურები ღიად თუ ფარულად მონაწილეობენ ყველა(!) პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში.

ამიტომ არის, რომ რუსეთში, რომლის ხელისუფლებას ყველგან მტერი ელანდება, სამეცნიერო ორგანიზაციები და სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა კონტაქტები, ისევე როგორც საბჭოთა იმპერიის დროს, როგორც წესი, დღესაც სპეცსამსახურების საიდუმლო გეგმებს ემსახურება.

## როგორ დაარსა ეფ-ეს-ბეს დირექტორმა პუტინმა "აკადემია"

1999 წლის ზაფხულში რუსეთის ეფ-ეს-ბეს დირექტორს და იმავდროულად უშიშროების საბჭოს მდივანს, ბერეზოვსკის და პატარკაციშვილის პროტეჟე ვლადიმერ პუტინს უშიშროებისა და თავდაცვის საკითხებზე მომუშავე "სამეცნიერო" სტრუქტურის შექმნის იდეა გაუჩნდა. ის კარგად ხვდებოდა ოპერატიულ-სადაზვერვო მიზნების შესანიღბად ამგვარი, სოლიდური სახელს ამოფარებული ორგანიზაციის არსებობის აუცილებლობას. ახალგაზრდა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კა-გე-ბეს არსებობის დროს, ყველა საზოგადოებრივი თუ სამეცნიერო დაწესებულება, რომელთაც კონტაქტი ჰქონდათ უცხოელებთან, საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ კონტროლდებოდნენ. პუტინმაც მოინდომა ძველი ტრადიციის აღდგენა.

თუმცა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 2000 წლის 10 ივლისს ჩატარდა დამფუძნებელი კონფერენცია და იურიდიულად გაფორმდა სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი სამეცნიერო ორგანიზაცია "უშიშროების, თავდაცვისა და მართლწესრიგის პრობლემების აკადემია".

თავიდანვე ძირითად საკვლევ ამოცანებად ისეთი "საშიში" საკითხების "ბუკეტი" განუსაზღვრეს, რომ ნათელია – უბრალო საზოგადოებრივ ორგანიზაციას ამ სახის ინფორმაციის მოპოვებამდე ვინ მიუშვებს? თავად გააკეთეთ დასკვნა –"აკადემიამ" უნდა მოამზადოს საექსპერტო და საკანონმდებლო დოკუმენტაცია სახელმწიფო უშიშროების (დაზვერვის და კონტრდაზვერვის ორგანიზაცია), ეკონომიკური უსაფრთხოების (მათ შორის: რუსეთის შიდა ბაზრების დაცვა, საგარეო ენერგეტიკული ბაზრების დაპყრობა, საფინანსო სისტემის უსაფრთხოება და ა.შ.), თავდაცვის, პოლიტიკური პროცესების მართვის ტექნოლოგიების, რეგიონული კონფლიქტების, ტერორიზმთან

ბრძოლის, კოსმოსური ტექნოლოგიების, თანამედროვე შეიარაღების, და ა.შ. შესახებ.

ამ პრობლემების "სამეცნიერო" კვლევას "სამხრეებიანი მეცნიერების" გარდა ვინ შეძლებს? ეს "საზოგადოებრივი" ორგანიზაცია ოფიციალურად ატარებს რუსეთის უშიშროების საბჭოს საექსპერტო-საკონსულტაციო სტრუქტურის სტატუსს. ამით კი, უკვე ყველაფერია ნათქვამი.

ამჟამად ვლადიმერ პუტინი თავისი "პირმშო" აკადემიის საპატიო წევრია და პეტრე დიდის №1 ორდენითაც იწონებს თავს.

## რას მოღვაწეობენ "აკადემიკოსები მუნდირში" ?

ვლადიმერ პუტინი, უკვე რუსეთის პრეზიდენტი იყო, საქმე უამრავი ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ბოლომდე აკონტროლებდა "აკადემიის" კადრებით დაკომპლექტებას. მისი გადაწყვეტილებით აკადემიის ხელმძღვანელად (პრეზიდენტად) "აირჩიეს" ოფიციალური სამეცნიერო რეგალიებით დახუნძლული, სამოც წელს გადაცილებული კა-გე-ბეს გენერალ-ლეიტენანტი ვიქტორ შევჩენკო.

<u>მცირე დოსიე</u>: ვიქტორ შევჩენკო დაიბადა 1944 წლის 28 მარტს. დაამთავრა სარატოვის უმაღლესი სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელი, შემდეგ კა-გე-ბეს უმაღლესი სკოლა. საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია. საბჭოთა კავშირის უშიშროების ორგანოებში ჩაირიცხა 1969 წელს.

1982 წლამდე იყო ოპერატიულ სამსახურში სამხედრო კონტრდაზვერვის ხაზით. ეკავა საბჭოთა იმპერიის ყველაზე საიდუმლო სამხედრო შენაერთის – სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსის პოსტი.

1982-2000 წლებში მსახურობდა კა-გე-ბე – ეფ-ეს-ბეს ცენტრალურ აპარატში. 1998-1999 წლებში კი პუტინის ხელმძღვანელობით გეგმავდა საიდუმლო სპეცოპერაციებს.

ვიქტორ შევჩენკოს, ალბათ სპეცსამსახურებთან მის კავშირის გასანეიტრალებლად და შესანიღბად, მინიჭებული აქვს რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრის, პროფესორის, ლაურეატის და ა.შ. ჩინ-მედლები.

"აკადემიის" ხელმძღვანელობაში ძალზე ბევრი გენერალი და ადმირალია – როგორც რუსეთის უშიშროების, ასევე სამხედრო უწყებებიდან. "პენსიონერები" ჩანან, ხოლო სპეცსამსახურების მოქმედი ოფიცრები უფრო შენიღბულად ასრულებენ დავალებებს. "აკადემიის" წევრები არიან რუსეთის საგარეო

დაზვერვის ყოფილი და ამჟამინდელი უფროსები: ევგენი პრიმაკოვი და მიხეილ ფრადკოვი, საქართველოს "დიდი მეგობრები" მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი და რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარე ბორის გრიზლოვი. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ

"აკადემიის" ხელმძღვანელები არც მალავენ, რომ მათი მთავარი მიზანია სხვა ქვეყნების პოლიტიკური, სანედლეულო და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად. არც მეტი და არც ნაკლები. ამიტომაც პუტინის ბრძანებით ამ "აკადემიას" მინიჭებული აქვს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სამეცნიერ-კვლევითი და ექსპერტული საქმიანობის კორდინაციის უფლება. მისი პრეზიდენტი ვიქტორ შევჩენკო ტრაბახობს, რომ 2007 წელს მათ რუსეთის უშიშროების საბჭოს დავალებით 20-ზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი და ანალიტიკური მასალა მოამზადეს.

მიამიტი "ინტელექტუალების" გასაცურებლად "აკადემიას" ოთხი ფულადი პრემია აქვს დაწესებული – პეტრე დიდის, მიხეილ ლომონოსოვის, გიორგი ჟუკოვის და იური ანდროპოვის სახელობის. ამასთან ერთად აჯილდოვებენ პეტრე დიდის სამი ხარისხის ორდენითაც.

"აკადემიის" წესდებით ჯილდო ეძლევათ იმ პიროვნებებს, რომლებმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებაში.

პეტრე დიდის სხვადასხვა ხარისხის ორდენების კავალრები არიან: ელადიმერ ჟირინოვსკი, "დემოკრატიის მამები" - ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო, ჩრდილოეთ კორეის ბელადი კიმ ჩენ ირი. "სოციალისტური ბანაკის" სპეცსამსახურების ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება მარკუს ვოლფი.

2004 წლის 13 დეკემბერს პეტრე დიდის პირველი ხარისხის ორდენი გადასცეს თურქმენეთის მაშინდელ "ბელადს" საფარმურატ ნიაზოვს. ამ "აკადემიის" საპატიო წევრები არიან რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული მსოფლიოს ყოფილი, თუ მოქმედი პოლიტიკოსები ჟაკ შირაკი, სილვიო ბერლუსკონი, გერჰარდ შრედერი და სხვ. ისინი არც ხელოვანებს ივიწყებენ, მაგალითად ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე, ამ "აკადემიის" რომელიღაც ორდენის კავალერია.

## ფრთხილად, შპიონები "აკადემიკოსის" მანტიაში გამოეწყვნენ!

დღეისათვის "აკადემია" 18 000-ზე მეტ წევრს აერთიანებს, რუსეთის ტერიტორიაზე 50 განყოფილება აქვს შექმნილი, ხოლო ექვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში (უკრაინა, ბელორუსია, სომხეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და მოლდოვა)

ფილიალებიც კი გახსნეს. საინტერესოა, რომ სომხეთის ფილიალს ხელმძღვანელობს კა-გე-ბეს ძველი კადრი, გენერალ-მაიორი კარენ აკოფიანი.

სინტერესოა რა ფულით სულდგმულობს ეს, ფორმალურად საზოგადოებრივი ორგანიზაცია? ამ კითხვაზე პასუხს "აკადემიის" ხელმძღვანელობა მუდამ თავს არიდებს. ჩვენი ინფორმაციით მათი დაფინანსების უდიდესი ნაწილი რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტზე (სწორედ იმ ნავთობისა და გაზის გაყიდვით მიღებულ დოლარებზე, რომლითაც რუსეთი დასავლეთ ევროპას თავის ჭკუაზე ათამაშებს), ხოლო მცირედი სახელმწიფო კორპორაციებიდან და კერძო ფირმებიდან "ახეულ" ფულზე მოდის.

რაც მთავარია რუსეთის ხელისუფლება ფულს არ იშურებს ამ "აკადემიის" დასაფინანსებლად. ნიშანდობლივია, რომ "შპიონაჟის აკადემიკოსები" ცდილობენ სხვა ქვეყნების პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან დაამყარონ "მეგობრული" კავშირები. ჯერ ორდენს გადასცემენ და საპატიო წევრად აირჩევენ, შემდეგ საკუთარი ხარჯით რომელიმე საზეიმო ღონისძიებაზე მიიწვევენ, ბოლოს კი უკვე "დავერბოვკების" დიდოსტატებიც გამოჩნდებიან და შპიონაჟის კლასიკური სქემა ამოქმედდება. ყველაფერი შენიღბულად და თანმიმდევრულად კეთდება. "აკადემიის" შირმას ამოფარებული აგენტურა ყველა სფეროში მოქმედებს.

განათლებისა და სამეცნიერო სისტემაში, უმთავრესად უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ცენტრებში ოპერატიული მუშაობა საბჭოთა სპეცსამსახურების შექმნის დღიდანვე მათი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო. საბჭოთა დაზვერვა უცხოეთის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ეძებდა მომავალ აგენტებს, რომლებიც შემდგომში "გავლენის აგენტებად" ან აგენტ-ინფორმატორებად იზრდებოდნენ.

ამგვარი მუშაობის პრაქტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც შენარჩუნდა და რუსეთის სპეცსამსახურები კვლავ ძველი მეთოდებით, მხოლოდ უკეთესი შენიღბვით აწარმოებენ ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობას სამეცნიერო და საგანათლებლო წრეებში.

ამის თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც კა-გე-ბეს ის აგენტურა, რომელიც "დავერბოვკებული" იყო უცხოელი მოქალაქეების საბჭოთა კავშირში სწავლის პერიოდში. 1960-იანი წლების დასწყისიდან საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში 600 000-მდე უცხოელი (სტუდენტი, სტაჟიორი და ასპირანტი) სწავლობდა. ისინი ძირითადად განვითარებადი ქვეყნებიდან იყვნენ. მათგან 70%-ზე მეტი რუსეთის ფედერაციაში, 20%-მდე უკრაინაში, ხოლო ძალზე უმნიშვნელო ნაწილი სხვა რესპუბლიკებში სწავლობდა – მხოლოდ რუსული ენის შესწავლა და მხოლოდ რუსული კულტურის გაცნობა საბჭოთა "ნაციონალური" პოლიტიკის ნაწილი იყო, რომლის მთავარი მიზანი უცხოელთათვის საბჭოთა კავშირის და რუსეთის ცნებების სინონიმებად ჩანერგვა იყო.

საბჭოთა განათლებამიღებულთაგან შემდეგ წლებში მრავალი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და "უბრალო" მინისტრი გახდა. არ შეიძლება დანამდვილებით

იმის მტკიცება, რომ ისინი უკლებლივ ყველა საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტები იყვნენ, მაგრამ საბჭოთა (შემდეგ რუსეთის) სპეცსამსახურებს, რომ მათი დიდი უმრავლესობა ოპერატიულ კავშირზე ჰყავდა და ამჟამადაც ჰყავს, ეს დამტკიცებული ფაქტია.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ "ნაციონალური კადრები" რუსეთის სპეცსამსახურებმა გადმოიბირეს და დღესაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან. ამის დასტურია თუნდაც ყოველწლიურად მოსკოვში გამართული "რუსეთის (საბჭოთა კავშირის) უმაღლესი სასწავლებლების უცხოელ კურსდამთავრებულთა მსოფლიო ფორუმები". ამ პომპეზურ და თეატრალურად დადგმულ შეხვედრებზე ასზე მეტი ქვეყნის 1000-მდე სტუმარი ჩადის. წინა წლებში ამ ღონისძიებებს პირადად რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი ელადიმერ პუტინი "კურატორობდა". გასულ 5-6 წელში რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტში ორჯერ გაიზარდა უცხოელი სტუდენტების სწავლებაზე და სამეცნიერო კონტაქტებზე გაწეული ხარჯები. ეს ბუნებრივია, რადგანაც ამ "უანგარო დახმარებას" სულ სხვა მიზანი აქვს.

ამიტომაც რა გასაკვირია რომ, რომელიმე ჯიბეგახვრეტილ ქართველ მეცნიერს, ამბიციურ პოლიტიკოსს ან თუნდაც სახელმწიფო მოხელეს ამ "აკადემიის" მსგავსი "სამეცნიერო" ცენტრები ხშირად უკვეთავენ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და ა.შ. მდგომარეობის შესახებ ანალიტიკური მასალის დაწერას.

ერთი შეხედვით ამ მოქმედებებში (თუკი ქვეყნის სახელმწიფო საიდუმლოებას არ ეხება) კრიმინალური არაფერია, თუმცა რუსეთის სპეცსამსახურებმა შეიძლება თავად შეკვეთის შემსრულებელს შეუქმნან სერიოზული პრობლემები და დაშანტაჟების გზით უფრო შორსაც კი შეიტყუონ. ეს მათ კარგად ეხერხებათ.

ისე საინტერესოა, რომელ ქართველ პოლიტიკოსს თუ მეცნიერს აქვს საიდუმლოდ მინიჭებული "იური ანდროპოვის სახელობის პრემია" "რუსეთის სახელმწიფოებრივი გაძლიერების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის"?

## რუსეთში ისევ 1937 წელი დგას

საბჭოთა იმპერიის მთავარი ნიშანი ყოველთვის იყო მტრების ძიება. ქვეყნის საზღვრებს გარეთ ესენი იყვნენ "საზიზღარი იმპერიალისტები", ამერიკა და რაღა თქმა უნდა ნატო. შინაურ მტრებში, რომლებიც ბუნებრივია უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ იყვნენ "მოსყიდულნი", პირველ ადგილს საბჭოთა მეცნიერები, მწერლები და საერთოდ ინტელიგენცია იკავებდა.

ათწლეულების შემდეგ რუსეთში არაფერი შეცვლილა. პრეზიდენტმა პუტინმა რვა წელიწადში შეძლო თავისი წინამორბედის, ელცინის დროს

ოდნავ მიჩუმათებული იმპერიული ამბიციების იმ დონეზე გაღვივება, რომ გასული საუკუნის საბჭოთა რეპრესიები შეიძლება რუსეთში რეალობად აუხდეთ.

ყოფილმა კა-გე-ბეშნიკმა პუტინმა სახელისუფლებო ვერტიკალი საბჭოთა სპეცსამსახურების ასევე ყოფილი თანამშრომლების დახმარებით იმგვარად ააგო, რომ საზოგადოებაში "37 წლების" საყოველთაო შპიონომანია კვლავ გამოცოცხლდა. "უცხო ქვეყნების ჯაშუშების" გამოვლენა რუსეთში ისეთივე ყოველდღიური მოვლენა გახდა, როგორც რუსი "შუჟიკის" მიერ ცოლისთვის ხელფასის დამალვა.

"ხალხის მტრებსა" და "მავნებლებს" რუსეთის სპეცსამსახურები უპირველესად იმ მეცნიერებსა და ჟურნალისტებში პოულობენ რომლებიც ოდნავ კრიტიკულად მაინც არიან განწყობილი პუტინის ხელისუფლების მიმართ.

1990-იანი წლების ბოლოდან დაწყებული ეს პროცესი დღესაც წარმატებით გრძელდება. "პირველი მერცხალი" სამხედრო ჟურნალისტ გრიგორი პასკოს საქმე იყო. ის დაუფარავად ამხელდა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში გამეფებულ კორუფციას, რისთვისაც სამაგალითოდ დასაჯეს და როგორც "იაპონიის შპიონს" მრავალწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

პუტინის ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო ის, რომ მაქსიმალურად შეეზღუდათ რუსი მეცნიერების უცხოელ კოლეგებთან არასანქცირებული, ანუ ეფ-ეს-ბეს კონტროლს გარეშე კონტაქტები.

1999 წელს სამხრეთ კორეის დაზვერვის აგენტობის ბრალდებით დააკავეს ყოფილი რუსი დიპლომატი ვალენტინ მოისეევი,რომელსაც მოსკოვის სასამართლომ 12 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. სხვადასხვა წლებში ხუთი სასამართლო პროცესი გაიმართა და მტკიცებულებების არ ქონის გამო მოისეევს სასჯელი ოთხ წლამდე შეუმცირეს.

ამავე გეგმის ხორცშესხმას ემსახურებოდა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული ორი "შპიონური სკანდალი". კრასნოიარსკის მკვიდრი პროფესორი დანილოვი იაპონიის ჯაშუში "აღმოჩნდა", ხოლო პროფესორ იგორ სუტიაგინს ბრალი წაუყენეს, როგორც დიდი ბრიტანეთის დაზვერვის აგენტს, რომელიც რუსული წყალქვეშა გემების შესახებ სრულიად საიდუმლო ინფორმაციას მი-6 აწვდიდა.

2005 წელს ეფ-ეს-ბემ დააკავა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ზეპლასტიური ლითონების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ოსკარ კაიბიშევი. 65 წლის მეცნიერს უცხო ქვეყნის აგენტობა ვერ "აკადრეს" და ბრალად სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება წაუყენეს. 2006 წლის აგვისტოში სრულიად უდანაშაულო ღვაწლმოსილ მეცნიერს ექვსი წლით პირობითი პატიმრობის განაჩენი გამოუტანეს.

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ "შეკერილი საქმეების" კიდევ ერთი მაგალითია კოსმოსური ტექნოლოგიების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი

ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს იგორ რეშეტინის და მისი ორი თანამშრომლის დაპატიმრება ჩინეთისთვის ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გადაცემის ბრალდებით.

2007 წლის დეკემბერში მოსკოვის სასამართლომ სამივე მეცნიერს ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯა. იმ პერიოდშივე გაირკვა ის რეალური მიზეზი, რის გამოც მეცნიერები გაწირეს. აღმოჩნდა, რომ აკადემიკოსი რეშეტინი თვალისდასანახავად ვერ იტანდა სპეცსამსახურებს და თავისი ინსტიტუტის ეფ-ეს-ბეს ეკონომიკური კონტრდაზვერვის სამსახურის და რუსეთის საგარეო დაზვერვის "საფარად" გამოყენებაზე ჯიუტად არ თანხმდებოდა.

## დაიცავით ახალგაზრდა პოლიტიკოსები და მეცნიერები რუსეთის დაზვერვისგან!

დაახლოებით ამგვარად გამოხატეს შეშფოთება გერმანიის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელებმა. მათი მოწოდება გერმანიის პოლიტელიტის, სამეცნიერო და ბიზნეს წრეებისადმია მიმართული. ბუნდესტაგის წევრები და მათი თანაშემწეები, ახალგაზრდა პერსპექტიული პოლიტიკოსები და მეცნიერები, დამწყები ბიზნესმენები – ესაა არასრული ჩამონათვალი გერმანიის საზოგადოების იმ ფენებისა, სადაც რუსეთის დაზვერვა განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს. გერმანია ყოველთვის იყო რუსეთის სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული დაინტერესების მთავარი ობიექტი. რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აღმოსავლეთ გერმანიაში ასრულებდა საბჭოთა დაზვერვის დავალებებს და მაშინ მთავარი მოწინააღმდეგე სწორედ დასავლეთ გერმანია იყო. ამჟამადაც რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედებები ძალზე მრავალფეროვანია და მოიცავს სპეცოპერაციების ჩატარებას, როგორც რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე თავად გერმანიაში.

გერმანული მასმედიის და ექსპერტების მტკიცებით ნებისმიერი გერმანელი, რომელიც პირადი, საქმიანი თუ ტურისტული მიზნით რუსეთის ტერიტორიაზე მოხვდება, ფე-ეს-ბეს ოპერატიული კონტროლის ქვეშ აღმოჩნდება და იწყება მათი გადაბირების კარგად გათვლილი გეგმის განხორციელება. დღეისათვის "დავერბოვკების" ძირითად მეთოდებად კვლავ კა-გე-ბეს ძველი არსენალი - შანტაჟი და ფული გამოიყენება.

არანაკლებ აქტიურობენ რუსეთის სპეცსამსახურები თავად გერმანიის ტერიტორიაზე. გერმანიის კონტრდაზვერვის მონაცემებით ამ ქვეყანაში აკრედიტებული რუსი დიპლომატების და ჟურნალისტების დიდი ნაწილი

რეალურად რუსეთის საგარეო და სამხედრო დაზვერვების თანამშრომლები არიან. ისინი თანხებს არ იშურებენ, რათა გადაიბირონ ახალგაზრდა, პერსპექტიული პოლიტიკოსები, მეცნიერები და ბიზნესმენები. რუსეთის სპეცსამსახურების ოპერატიული დაინტერესების მთავარი ობიექტი ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური (უპირველესად ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების) პროგრამები და საიდუმლო დოკუმენტებია.

ამას წინათ რუსეთის ოფიციოზი ამაყად აცხადებდა – პუტინის მმართველობის პერიოდში ნავთობის ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა ერთ ტრილიონ(!) დოლარს მიაღწია. აი სად მიდის რუსეთის მილიარდობით ნავთობდოლარები, აი რისთვის სჭირდებათ ნავთობისა და გაზის მსოფლიო ფასების კატასტროფული ზრდა.

ასე, რომ მხოლოდ ჩვენ არ ვტეხთ განგაშს და ვაკრიტიკებთ რუსეთის სპეცსამსახურების ძალზე აგრესიულ მოქმედებებს, ევროპაც ჩვენს დღეში ყოფილა. თუმც ამით ჩვენ რა ხეირი გვაქვს?

# III. აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პირველი შეცდომები

## შეძლებს კი ბარაკ ობამა აშშ-ის სპეცსამსახურების "გაცოცხლებას"?

ძვირფასო მკითხველო, სიტყვა "გაცოცხლება" ავტორის შეცდომა არ გეგონოს, იმიტომ, რომ ამერიკის სპეცსამსახურები (უპირველესად კი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, გამოძიების ფედერალური ბიურო, ნაციონალური უშიშროების სააგენტო და სამხედრო დაზვერვა) "გამოცოცხლებას" უკვე აღარ ექვემდებარებიან. 2000 წლიდან მოყოლებული აშშ-ის სპეცსამსახურებმა ერთბაშად იმდენი შეცდომა დაუშვეს, რაც მათი შექმნის დღიდან არ მოსვლიათ. ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, სადაც გადამწყვეტი მაინც ჯორჯ ბუში-უმცროსის ადმინისტრაციის საოცარი არაკომპეტენტურობა იყო, აშშ-ის სპეცსამსახურები ძირეულ რეფორმებს და ახალი სიცოცხლის შთაბერვას საჭიროებენ. შეძლებს კი ამერიკის ახალი პრეზიდენტი, რომელსაც საგარეო-პოლიტიკური და შიდა ადმინისტრაციულ-მმართველობითი გამოცდილება არ გააჩნია, ახალი გლობალური საფრთხეების ფონზე ამ ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის უწინდელი დიდების დაბრუნებას?

## ვინ ხართ თქვენ ბატონო ობამა?

აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა "დიდ ავიაციაში" (ანუ დიდ პოლიტიკაში) ფაქტიურად სულ რაღაც ოთხი წლის წინ, 2004 წელს გამოჩნდა, მანამდე ის ფედერალური დონის პოლიტიკოსიც კი არ იყო.

მცირე დოსიე: ბარაკ ჰუსეინ ობამა 1961 წლის 4 აგვისტოს დაიბადა ჰონოლულუზე (ჰავაის კუნძულები). მამა კენიელი ჰყავდა, დედა ამერიკელი. ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები მოგზაურობასა და ხეტიალში გაატარა. 1967 წელს დედამისი კვლავ გათხოვდა – ამჟამად ინდონეზიელზე და პატარა ხუჭუჭა ბარაკასთან ერთად ჯაკარტაში წავიდა საცხოვრებლად. 1971 წელს მომავალი პრეზიდენტი ჰავაიზე დაბრუნეს, სადაც დედის მშობლები ზრდიდნენ. სკოლა იქვე დაამთავრა 1979 წელს. საინტერესო დეტალია – აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა ამერიკის მიწაზე ფეხი პირველად მხოლოდ 18 წლის ასაკში დადგა.

ისლამური რელიგიის აღზრდილი, საკუთარი სიტყვებით ამჟამად ათეისტია. შემდგომში მისი ცხოვრება სწავლასა და ადამიანთა უფლებების დაცვის ღონისძიებებითაა შევსებული. პოლიტიკაში ობამა მხოლოდ 1996

წელს გამოჩნდა, როდესაც ილინოისის შტატის სენატორად აირჩიეს, სადაც 2004 წლამდე რჩებოდა. ამ წელს ობამა ამავე შტატიდან აირჩიეს აშშ-ის სენატორად. 11 წელი (მათგან მხოლოდ ოთხი წელი ფედერალურ დონეზე), ეს არის და ეს სულ ბარაკ ობამას პოლიტიკური "ბაგაჟი".

## რა მემკვიდრეობა დახვდა ამერიკის ახალ პრეზიდენტს?

2008 წლის ნოემბრის ბოლოს ერთ-ერთ ინტერვიუში ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა-უმცროსმა მთავარ შეცდომად ერაყში ამერიკის დაზვერვის "ჩაფლაეება" დაასახელა. თუმცა სამწუხაროდ აშშ-ის გეოპოლიტიკური მარცხი გაცილებით შთამბეჭდავია.

ეს ეხება აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ XXI საუკუნის დასაწყისში დაშვებულ ოთხ საბედისწერო შეცდომას, რომელმაც შეიძლება ზოგადად "დასავლური დემოკრატიის" დასამარება გამოიწვიოს. ესენია:

1. შეცდომა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შესაძლებლობის ანალიზისას;

2. შეცდომა ერაყში სომარი ოპერაციების დაწყების აუცილებლობისა და შემდგომი ესკალაციის პროგნოზირებისას;

3. შეცდომა რუსეთის ხელისუფლებაში ნეოიმპერიალისტური სულისკვეთების გაძლიერების და "ცივი ომის" ახალი ტალღის დაწყების რეალობის შეფასებისას.

4. აშშ-ის დაზვერვამ (უმთავრესად კი ცსს და ეროვნული უშიშროების სააგენტომ) "ლათინური სოციალიზმის" ნელი მოქმედების "ნალმების" ფორმირების პროცესი ვერ გათვალა და ვერც რამენაირად შეუშალა ხელი. რის შედეგადაც ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში მიმდინარე სახიფათო პროცესებს აშშ-ის ადმინისტრაცია უკვე ვეღარ აკონტროლებს. აშშ-ის არმია და სპეცსამსახურები ისე ღრმად ჩაეფლნენ ერაყისა და ავღანეთის ომებში, რომ იქვე ახლოს ლათინური ამერიკის "გაწითლება" გამოეპარათ.

## "სოციალისტური რევოლუციები" ლათინურ ამერიკაში

სადაზვერვო საქმიანობის მთავარი აქცენტების სამშობლოდან შორს, მსოფლიოს დასალიერში (ერაყი, ირანი და ავღანეთი გვაქვს მხედველობაში) გადატანამ იმდენად გამოფიტა ერთ დროს უძლიერესი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ფინანსური და აგენტურული რესურსები, რომ ყურის ძირში (ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში) მიმდინარე სახიფათო პროცესებს

უკვე ველარ აკონტროლებს. ამის პირველი დადასტურება ვენესუელაში საპრეზიდენტო არჩევნებში ექსცენტრიული უგო ჩავესის ორგზის დამაჯერებელი გამარჯვება იყო.

ცსს-ს ყოფილი დირექტორი ბილ კეისი, რომელმაც ჯანმრთელობა ნიკარაგუელი დანიელ ორტეგას წინააღმდეგ ბრძოლას შეალია, სიბრაზისგან ალბათ მეორედ მოკვდებოდა ორტეგას გაპრეზიდენტება რომ გაეგო.

ეს უპირველესად სილის გაწვნა იყო აშშ-ისთვის. რუსეთიც მშვენივრად სარგებლობს აშშ-ის პოზიციის სერიოზული დასუსტებით. რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა 2008 წლის ნოემბერში "ტრიუმფალური ტურნე" მოაწყო სამხრეთ ამერიკაში და აშშ-ის ადმინისტრაციის ჯინაზე ვენესუელასთან გააფორმა მეგობრობის და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ხშირი საკადრო ცვლილებები კიდევ ერთხელ დადასტურებენ, რომ ამერიკის დაზვერვა ძალზე ღრმა კრიზისშია. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ეტყობა ეიფორიამ იმძლავრა და ამერიკელი "ჯეიმს ბონდები" მოდუნდნენ. სამწუხარო შედეგიც უკვე სახეზეა – რუსეთის ნეოიმპერიალისტური მოქმედებების წინააღმდეგ "ბებერი ევროპა" უძლურია რაიმე მოიმოქმედოს, აშშ-ს ახალი და გამოუცდელი პრეზიდენტი კი ურთულესი გეოპოლიტიკური არჩევნის წინაშეა – თვალი დახუჭოს რუსეთის მიერ საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევებზე და "იმეგობროს" რუსეთთან, თუ მტკიცე პოლიტიკის გატარებით აღიდგინოს დაკარგული სახე.

## საიდუმლო ცნობები ფინჯან ყავასთან ერთად

აშშ-ის სპეცსამსახურებმა ახლად არჩეული პრეზიდენტ ბარაკ ობამასათვის ყოველდღიური საიდუმლო ცნობის მომზადება უკვე გასული წლის დეკემბერში დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ ობამა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას 2009 წლის 20 იანვრიდან შეუდგა, ამ ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად ძველმა ადმინისტრაციამ მთავრობის ახალი შემადგენლობა საქმის კურსში ადრევე უნდა ჩააყენოს. ამ მოთხოვნების ერთ-ერთი ნაწილია ახალი ადმინისტრაციისთვის ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაციის გაცნობა და ახლად არჩეული პრეზიდენტისთვის ყოველდღიური სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდება.

ეს ინფორმაცია, ცნობის სახით, აშშ-ს პრეზიდენტს ყოველდღიურად წარედგინება და ძირითადად ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და მსოფლიოს მთავარი "რადიო-ელექტრონული ჯაშუშის" – ეროვნული უშიშროების სააგენტოს ინფორმაციის საფუძველზე მზადდება.

თავის დროზე აშშ-ს ყოფილი პეზიდენტი ბილ კლინტონი სპეცსამსახურებს საყვედურობდა, რომ საიდუმლო დოკუმენტების შინაარსს ხშირად სხვა წყაროებიდან იღებდა.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა-უმცროსმა სწორედ ასეთი ყოველდღიური ცნობებიდან შეიტყო პირველად, რომ ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი ატომური იარაღს ამზადებდა. ამერიკელი ჟურნალისტები ხშირად სევდანარევი

ირონიით აღნიშნავენ, რომ ამ ყოველდღიური სადაზვერვო დოკუმენტებიდან ბუშმა ალბად სწორედ ის ცნობა გამოტოვა, სადაც ეწერა, რომ "ალ-ქაიდაც" წარმოადგენს ამერიკისათვის საშიშროებასო. შედეგად კი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი იყო, რასაც აშშ-ის, როგორც მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს "მზის ჩასვენების" პროცესის დაწყება მოჰყვა.

## ამერიკის ახალი პრეზიდენტის პირველი შეცდომა — აშშ-ის სპეცსამსახურებში "თეთრი ხელთათმანიანი" დილეტანტები მოდიან

საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორის — ამერიკის ახალი პრეზიდენტის მიერ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის დანიშვნა სახუმარო საქმე არაივის ეგონს.

"კარგი სადაზვერვო ინფორმაცია, ეს ფუფუნება კი არა, არამედ აუცილებლობაა", განაცხადა 2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში ამერიკის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.

ამერიკის პრეზიდენტმა მოუწოდა ქვეყნის სპეცსამსახურების ახალ უფროსებს იხელმძღვანელონ საერთაშორისო კონვენციებით და მათთვის უმთავრესი დემოკრატიული ფასეულობები და იდეალები იყოს.

ამგვარად წარმოუდგენია ობამას სპეცსამსახურების მოქმედებების მთავარი ვექტორი. დიდებულია. მაგრამ იმოქმედებენ კი, იმავე "დემოკრატიული იდეალებით" რუსეთი, ირანი ან "ალ-ქაიდა"?

პრეზიდენტმა ობამამ სპეცამსახურების ხელმძღვანელებად პროფესიონალები კი არა, არამედ სამხედრო საქმეებში და პოლიტიკურ ინტრიგებში გამოწრთობილი პიროვნებების კანდიდატურები შეარჩია. მან ეროვნული დაზვერვის დირექტორად, რომელმაც ფორმალურად აშშ-ის 16 სპეცსამსახურს უნდა უხელმძღვანელოს, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების თადარიგის ადმირალი დენის ბლერის კანდიდატურა წარადგინა.

მთავარი სადაზვერვო უწყების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელად კი, ყველასთვის მოულოდნელად, ლეონ პანეტას კანდიდატურას მიანიჭა უპირატესობა. პანეტას ბილ ქლინტონის ადმინისტრაციაში მნიშვნელოვანი - "თეთრი სახლის" თანამშრომელთა აპარატის უფროსის – პოსტი ეკავა.

მცირე დოსიე: ლეონ პანეტა დაიბადა 1938 წელს. დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრია, 1977-1993 წლებში იყო კონგრესმენი კალიფორნიის შტატიდან. 1994-1997 წლებში კი "თეთრი სახლის" თანამშრომელთა აპარატის უფროსი. სპეცსამსახურებში მუშაობის (მით უმეტეს ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის) არანაირი გამოცდილება არ გააჩნია. პანეტას გამოცდილება საგარეო პოლიტიკაშიც მოიკოჭლებს. უკანასკნელი ათი წელი ის კალიფორნიაში მდებარე საკუთარ ფერმაში ცხოვრობდა და საგარეო პოლიტიკის და სადაზვერვო საქმიანობის "სამზარეულოდან" ძალზე შორსაა.

მის მომხრეებს მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ ამტკიცონ - პანეტა კარგი მენეჯერიაო. მათი აზრით, პანეტამ მსოფლიოს თვალში ცსს-ს შელახული პრესტიჟი უნდა აღადგინოს. თუმცა ჯერ საპირისპირო შედეგი გვაქვს. 2009 წლის დასაწყისში ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაზე პანეტამ გლობალური ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ მოსალოდნელ "მსხვერპლად" არგენტინა დაასახელა. ცსს დირექტორს ტყუილსაც კი უჯერებენ და წარმოიდგინეთ რა პანიკა შეიქმნა არგენტინის და მთლიანად ლათინური ამერიკის საფონდო და სასაქონლო ბირჟებზე. არგენტინის ხელისუფლებამ უმალ პროტესტი განუცხადა აშშ-ის ადმინისტრაციას ამგვარი არადიპლომატიური და დაუფიქრებელი განცხადების გამო. პანეტა იძულებული გახდა მეორე დღესვე ბოდიში მოეხადა და ყველაფერი მასმედიისთვის დაებრალებინა. ცსს ახალი დირექტორის არაპროფესიონალიზმის ეს ფაქტი არ დაიმალა, მაგრამ რამდენ ისეთ შეცდომას დაუშვებს ამერიკის "მთავარი მზვერავი", რაც მხოლოდ ათწლეულების შემდეგ გამჟღავნდება?

პანეტას დანიშვნის გამო უკმაყოფილება არ დამალა აშშ-ის ახალმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმაც. მას მაიჩნია, რომ ობამას "შტაბმა" სერიოზული შეცდომა დაუშვა. დემოკრატიული პარტიის ბევრი ლიდერი მიიჩნევდა, რომ ამ პოსტზე ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა ამერიკის დაზვერვის ყოფილი რეზიდენტი მოსკოვში, ამჟამად კი ცსს-ს დირექტორის პირველი მოადგილე, 57 წლის პროფესიონალი მზვერავი სტივენ კაპსი იყო.

ამ გადაწყვეტილებით ობამამ საგარეო საფრთხეების საზიანოდ, შიდა პოლიტიკურ ძალებს გაუწია ანგარიში. ფაქტია, რომ აშშ-ის სპეცსამსახურების ვეტარანების უმრავლესობა ძალზე ნეგატიურად შეხვდა ყოფილი "ვაშინგტონელი ჩინოვნიკის", ამჟამად კი "კალიფორნიელი ფერმერის" ლეონ პანეტას დანიშვნას.

სენატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარე, დემოკრატი სენატორი ჯეი როკფელერი არ მალავს, რომ ძალზე შეფიქრიანებულია ობამას ამ არჩევანით. მან განაცხადა, რომ ცსს-ს დირექტორი უნდა იყოს დაზვერვის პროფესიონალი, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნება დაზვერვასთან და მაქსიმალურად შორს პოლიტიკისგან.

ამერიკის სპეცსამსახურები რომ სერიოზულ გარდაქმნას საჭიროებენ ეს საკამათო არაა, თუმცა მსოფლიოში ახალი "ცივი ომის" რეალური დაწყების პირობებში, რუსეთის ნეოიმპერიალისტური ამბიციების რეალიზაციის ეტაპზე, "თეთრხელთათმანიანი დილეტანტების" ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო პოსტზე დანიშვნა გამართლებული ნამდვილად არაა.

# IV. საფრანგეთი – იმედები და იმედგაცრუება

## ნიკოლა სარკოზი სპეცსამსახურების მთავარი სამიზნე ხდება?

2008 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში, როდესაც მთელი ევროპა, და შეიძლება ითქვას მთელი მსოფლიოც, რუსეთის მიერ "სარკოზი-მედვედევის" შეთანხმების შესრულებას ელოდა, საფრანგეთის პრესაში პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მაკომპრომეტირებელი სტატია დაიბეჭდა. ეს მასალა უმალ აიტაცა რუსეთის "თაყვანისუფალმა" მასმედიამ და დამნაშავეც სწრაფადვე იპოვა.

ჯერ კარგად ისიც არ არის გარკვეული სარკოზის შესახებ არსებული კომპრომატები სიმართლეა თუ არა, და საერთოდ როგორ მოხვდა კონფიდენციალური ინფორმაცია პრესაში, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვასთან დაახლოებულმა "მოსკოუ პოსტმა" სარკოზის კომპრომეტაციაში აშშ-ის ადმინისტრაცია და სპეცსამსახურები, კერძოდ კი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო დაადანაშაულა. პუტინ-მედვედევის ხელისუფლების გათვლა რთული არ არის, უპირველესად მათ უნდათ რუსეთ-საქართველოს ომის პრობლემების მიჩუმათება და სარკოზის წინააღმდეგ სენსაციური მასალების გამოქვეყნებით საფრანგეთის პრეზიდენტის შეშინება და "განეიტრალება". იმავდროულად სურთ საფრანგეთ-აშშ ურთიერთობების გაფუჭება.

## ვინ ეძებს კომპრომატს "სარკო"-ზე?

ფრანგულ ჟურნალ "ლე პიონ"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც (როგორც ირწმუნებიან) საფრანგეთის კონტრდაზვერვის ყოფილი შეფის ივ ბერტრანის პირად ჩანაწერებს ეყრდნობა, სარკოზის სამი "ფრონტიდან" უტევენ:

1. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას სარკოზის სეიფში 150 000 ევრო ნაღდ ფულს ინახავდაო. ეს ბრალდება შეიძლება ქართველი მაღალჩინოსნებისთვის სასაცილოც კი იყოს, ევროპაში კი ამ რაოდენობის ნაღდი ფული, როგორც წესი კორუფციასთან ასოცირდება;

2.მეორე კომპრომატი სარკოზის მექალთანეობას უკავშირდება. ამ ბრალდების თანახმად "ენერგიულ ნიკოლას" ინტიმური კავშირი ჰქონია საფრანგეთის პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატის ლამაზ მეუღლესთან.

საინტერესოა, რომ უკვე დიდი ხანია ყველაზე დიდ პრობლემებს სარკოზის, მისი "კაზანოვობა" უქმნის. დიდი მექალთანე, ყოველთვის მაღალ და ეფექტურ ქალბატონებს ირჩევს. ამჟამინდელი მეუღლე – კარლა ბრუნი მისი მესამე ოფიციალური ცოლია.

3. ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში დაწვრილებით იყო მოთხრობილი სარკოზის პირად ცხოვრებაზე – მის ურთიერთობაზე პირველ და მეორე ცოლთან, მათთან გაყრის მძიმე პროცესზე და ა.შ.

"ნახევრად ებრაელი, ნახევრად ემიგრანტი" – ზურგსუკან ასე ახასიათებენ სარკოზის მისი არაკეთილმოსურნენი. "პატივმოყვარე, ენერგიული და მკაცრი" – ასე აფასებენ მომხრენი.

მაინც ვინ არის საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი?

საფრანგეთის ტანმორჩილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი თავიდან მართლაც, რომ გამორჩეული და კოლორიტული პოლიტიკურ ფიგურად ჩანდა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ "პირველი ფრანგის" ძარღვებში მხოლოდ მეოთხედია ფრანგული სისხლი. თუმცა ეს რა გასაკვირია, როდესაც "პირველი ამერიკელის" – აშშ-ის ახალი პრეზიდენტის - ბარაკ ობამას ძარღვებში ნახევარი აფრიკული სისხლი სჩქეფს?

სხვადასხვა გარემოებათა გამო ნიკოლა სარკოზი ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე ისტორიულ ეტაპზე, ძალზე მნიშვნელოვან ამპლუაში მოგვევლინა. კარგად გვახსოვს "აგვისტოს ომის" დღეებში მისი ძალზე ემოციური დიპლომატიური ვოიაჟები მოსკოვსა და თბილისში,შედეგად კი ხელმოწერილი სამშრიანი შეთანხმებები. რაც საფუძვლად უნდა დადებოდა ამ საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას.

ფაქტია, რომ ნიკოლა სარკოზის პოლიტიკური მომავალი დიდად იქნება დამოკიდებული ამ ხელშეკრულების რეალურ შესრულებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკისათვის საკმაოდ ახალგაზრდა (სარკოზი 54 წლისაა, რაც პოლიტიკური კარიერისთვის "გაფურჩქნის" ხანაა) ასაკში "სარკოს" საშინაო და საერთაშორისო ავტორიტეტი ძალზე შეილახება.

ქართველი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საფრანგეთის დღევანდელი პრეზიდენტის ბიოგრაფიის ღია, თუ ფარული დეტალების გაცნობა.

ზოგადად, ნებისმიერი ქვეყნის ლიდერის პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისი პიროვნული თვისებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, ფარული მიდრეკილებები და სხვ. ყველა სპეცსამსახურის შესწავლის ობიექტია. თუნდაც რუსეთის სპეცსამსახურები ავიღოთ - მათ აქვთ სპეციალური პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ანალიზის დანაყოფები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების (მ.შ. საქართველოს) პოლიტიკური მოღვაწეების ზუსტ ფსიქოლოგიურ პორტრეტებს ქმნიან.

საინტერესოა, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო 1980-იან წლებში პრეზიდენტ რონალდ რეიგანისთვის (რომელსაც კითხვა სასტიკად სძულდა) სპეციალურ ვიდეოპორტრეტებს ქმნიდა საზღვარგარეთის პოლიტიკურ ლიდერებზე. თვითმხილველთა გადმოცემით ამ ვიდეოფილმ-პორტრეტებს (განსაკუთრებით კი ლიბიის ლიდერ მოამი კადაფის შესახებ) დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ამერიკის პრეზიდენტზე.

ჩვენი ინფორმაციით საქართველოს სპეცსამსახურებში სხვა ქვეყნების ლიდერების ფსიქო-პოლიტიკური პორტრეტების შედგენაზე სამწუხაროდ არ მუშაობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გადაწყვეტილება პროგნოზირებადი იქნებოდა.

ახლა კი კვლავ ნიკოლა სარკოზის დაუბრუნდეთ.

<u>მცირე დოსიე:</u> ნიკოლა პოლ სტეფან სარკოზი დე ნად-ბოსკა, იგივე ნიკოლა სარკოზი 1955 წლის 28 იანვარს დაიბადა საფრანგეთის დედაქალაქში.

მისი მამა – პალ ნად-ბოჩა შარკიეჟი ბუდაპეშტში, უნგრელი თავადის ოჯახში დაიბადა. 1944 წელს უნგრეთში საბჭოთა ჯარის შესვლის შემდეგ მისმა ოჯახმა სამშობლოდან გაქცევა არჩია და საფრანგეთში დასახლდა. 1948 წელს მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა და ამიტომაც მისმა გვარმა უფრო ფრანგული ჟღერადობა – სარკოზი – შეიძინა. 1949 წელს პალ სარკოზიმ ცოლად შეირთო ცნობილი პარიზელი ექიმის, ეროვნებით ებრაელი ბენედიქტ მალაბის და ფრანგი ადელ ბუვიეს ქალიშვილი, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ანდრე.

მათ სამი ვაჟი: გიომი (დაიბადა 1952 წ.), ნიკოლა (დაიბადა 1955 წ.) და ფრანსუა (დაიბადა 1957 წ.) შეეძინათ. 1959 წელს ნიკოლა სარკოზის მშობლები გაიყარნენ და ბავშვები აღსაზრდელად დედასთან დარჩნენ. ბავშვობაში თანაკლასელები ხშირად ჩაგრავდნენ პატარა ტანის და ფიზიკურად სუსტ ნიკოლას, ამას მისი ემიგრანტ-ებრაელობასაც უმატებდნენ მორასისტო პატარა ხულიგნები და სარკოზის ფსიქოლოგიური პორტრეტიც ასეთ მძიმე გარემოში ყალიბდებოდა.

საკმაოდ მძიმე ბავშვობამ, უმამობამ და არაფრანგულმა წარმოშობამ მომავალ პრეზიდენტში არასრულფასოვნების კომპლექსი წარმოშვა ("გოლიათური აღნაგობის" გარდა, ამ მიზეზის გამოც, ის ძალზე წააგავს რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს), რასაც თვით სარკოზიც არ მალავს.

ნიკოლამ 1978 წელს დაასრულა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი და ადვოკატის პრაქტიკა დაიწყო. სტუდენტობის წლებში ყვავილების მაღაზიაში მუშაობდა კურიერად და ასე შოულობდა სწავლის ფულს.

უნდა ითქვას, რომ სუპერ ენერგიულმა სარკოზიმ ძალზე სწრაფად მიაღწია წარმატებებს პოლიტიკურ არენაზე. 1976 წელს ჟაკ შირაკის მიერ დაარსებული "ახალგაზრდა გოლისტთა" პარტიის წევრი გახდა.

1982 წელს, 28 წლის ასაკში ის პარიზის გარეუბნის, ნეი-სიურ-სენის მერი ხდება. ამ პოსტზე მან 19 წელი (!) დაჰყო. ნიკოლა ახლაგაზრდობიდანვე საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტის ჟაკ შირაკის გუნდის წევრი გახდა და მომავალში "ეშმაკი ჟაკის" დახმარება და პროტექცია არ მოჰკლებია. თუმცა მომავალში მათი ურთიერთობა მთლად უღრუბლო არ

იყო და თანდათან ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა. თუმცა ფაქტია, რომ 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჟაკ შირაკმა ოფიციალურად დაუჭირა მხარი სარკოზის კანდიდატურას.

ნიკოლა სარკოზის წინააღმდეგ კომპრომატების ძიება ჯერ კიდევ ჟაკ შირაკის პრეზიდენტობის დროს დაიწყო. სარკოზი ახალგაზრდობიდანვე გამოირჩეოდა პოლიტიკოსისთვის აუცილებელი თვისებებით და ალბათ ამიტომაც თავიდანვე ყველასთვის საშიში კონკურენტი იყო. როგორც ირკვევა საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა სრულიად საიდუმლო დავალება პირადად მისცა გენერალური დაზვერვის დირექტორს ივ ბერტრანს. სარკოზის ყველა შეხვედრა (მოუხედავად იმისა, პოლიტიკური და სამსახურებრივი იქნებოდა, თუ პირადი) უმალვე ხდებოდა ცნობილი შირაკისთვის. საფრანგეთის დღევანდელ პრეზიდენტს არა მარტო უთვალთვალებდნენ და ფარულად უსმენდნენ, არამედ მის კაბინეტსა და სეიფს მალულად ჩხრეკდნენ.

ჟაკ შირაკს სურდა მის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დომინიკ დე ვილპენი ეხილა და ამიტომაც სარკოზის ჩამოცილება მისი კომპრომეტირების საშუალებით უნდა მომხდარიყო. საინტერესოა, რომ საფრანგეთის ეს სპეცსამსახური კომპრომატებს აგროვებდა საფრანგეთის სხვა პოლიტიკოსებზე და მათი ოჯახის წევრებზე (მათ შორის მთავრობის ერთ-ერთ წევრ, შემდგომ პრემიერ-მინისტრ – ლიონელ ჟოსპენზე). თავად ივ ბერტრანი 1992-2004 წლებში ხელმძღვანელობდა გენერალურ დაზვერვას. ამ სპეცსამსახურის მთავარი ფუნქცია ქვეყნის შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო, თუმცა როგორც ჩანს "საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის" ფუნქციებსაც მშვენივრად ითავსებდა.

## რუსეთის სპეცსამსახურების სანუკვარი ოცნება

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირისა და კა-გე-ბეს არსებობის პერიოდში საბჭოთა სპეცსამსახურების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის იყო, რომ დასავლეთის ქვეყნები ერთმანეთზე წაეკიდებიანა და მათ შორის განხეთქილება ჩამოეგდო.

დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის დაპირისპირების მიღწევა კვლავ დარჩა რუსეთის ხელისუფლების და სპეცსამსახურების პრიორიტეტულ ამოცანად. ისტორიულად ეს ყველაზე კარგად საფრანგეთში გამოსდიოდათ, სადაც შეიძლება ითქვას, რომ ათწლეულების მანძილზე უამრავი აგენტი ჰყავდათ საზოგადოების ყველა ფენაში.

სწორედ მათი დახმარებით შეძლო საბჭოთა დაზვერვამ 1960-იანი წლების მეორე ნახევარში პრეზიდენტ შარლ დე გოლსა და აშშ-ის პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონს შორის განხეთქილების ჩამოგდება, რასაც შედეგად საფრანგეთის ნატოს სამხედრო პროგრამებიდან გასვლა მოჰყვა.

უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის სპეცსამსახურების ავტორიტეტი ბოლო წლებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, საგრძნობლად დაეცა. იყო დრო, როდესაც საფრანგეთის დაზვერვის სპეცოპერაციები დიდი ეფექტიანობით გამოირჩეოდა და ამ ქვეყნის სპეცსამსახურების (უპირველესად კი საგარეო დაზვერვის) ხელმძღვანელები სხვა ქვეყნის ლიდერებსაც კი აძლევდნენ რეკომენდაციებს. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საფრანგეთის დაზვერვის ლეგენდარული უფროსი გრაფი ალექსანდრე დე მარანში იყო.

მცირე დოსიე: ალექსანდრე დე მარანში, გრაფი. დაიბადა 1924 წელს. 18 წლის ასაკში იბრძოდა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ, იყო წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი და ასრულებდა სადაზვერვო-დივერსიულ დავალებებს. 1944 წელს იტალიის განთავისუფლების ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა. იმავე პერიოდში გაიცნო "თავისუფალი საფრანგეთის" ლიდერი გენერალი შარლ დე გოლი და გარკვეული პერიოდის მანძილზე პირადი თარჯიმნის ფუნქციებსაც კი ასრულებდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდებით გავიდა თადარიგში და საკმაოდ წარმატებული კერძო ბიზნესი დაიწყო. თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე ალექსანდრე დე მარანშმა საკმაოდ დიდი ქონება დააგროვა. მაგრამ ჩანს, რომ გული მაინც სახელმწიფო სამსახურისკენ უწევდა. რამდენიმე წლის მანძილზე ის სამოქალაქო ექსპერტის რანგში რეკომენდაციებს აძლევდა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს და სპეცსამსახურებს.

1969 წელს საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა ჟორჟ პომპიდუმ მარანშს ქვეყნის მთავარი სპეცსამსახურის - "საგარეო დოკუმენტაციის და კონტრდაზვერვის სამსახურის"(სდკს) გენერალური დირექტორის პოსტი შესთავაზა. ეს სპეცსამსახური, რომლის შტაბ-ბინა პარიზში საცურაო აუზის გვერდით იყო და ამიტომაც ხალხში "აუზს" ეძახდნენ, იმ პერიოდში სრული დეგრადაციის გზაზე იდგა. ფორმალურად ის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შედიოდა, სინამდვილეში კი მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტს ემორჩილებოდა. ქვეყნის პირველი პირის მფარველობამ, საბოლოო ჯამში ნეგატიურად იმოქმედა ამ სპეცსამსახურზე.

დაბალი საშემსრულებლო დისციპლინა, "არეული" კადრები, უცხო ქვეყნების (უპირველესად კი საბჭოთა კავშირის) სპეცსამსახურების აგენტურული შეღწევა, რაც დოკუმენტურად მტკიცდებოდა, საფრანგეთის ამ "სიამაყეს" ძალზე არაკონკურენტუნარიანს ხდიდა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირის და ისრაელის სპეცსამსახურებთან შედარებით.

დე მარანშმა პირველივე დღეებში "სდკს"-ს მთელი ხელმძღვანელობა გაათავისუფლა და ძირეული რეორგანიზაცია განახორციელა. ახალმა დირექტორმა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ამერიკისადმი სიმპატიით, მალევე აღადგინა მჭიდრო კონტაქტი აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან. მისი მთავარი დამსახურება

ის იყო, რომ დიდ ყურადღებას აქცევდა, როგორც პოლიტიკურ დაზვერვას, ასევე ეკონომიკურ შპიონაჟსაც.

ალექსანდრე დე მარანშის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა ვალერი ჟისკარ დე სტენმა 1974 წელს ის კვლავ "აუზის" დირექტორად დატოვა. თუმცა სოციალისტმა ფრანსუა მიტერანმა, რომელსაც საკამოდ დაძაბული პირადი ურთიერთობა ჰქონდა მარანშთან (რომელიც მასზე ფარულად კომპრომატებს აგროვებდა), ის 1981 წელს თანამდებობიდან გაათავისუფლა.

1992 წელს დე მარანშმა, ამერიკელ ჟურნალისტ დევიდ ანდელმანთან ერთად გამოსცა ძალზე საინტერესო წიგნი – "მეოთხე მსოფლიო ომი: დიპლომატია და შპიონაჟი ტერორიზმის ეპოქაში", სადაც მრავალ საინტერესო და საიდუმლო ფაქტს ახადა ფარდა. ქვემოთ ალექსანდრე დე მარანშის ხელმძღვანელობით საფრანგეთის დაზვერვის მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ ოპერაციაზე მოგითხრობთ.

## ჰოროსკოპი შეკვეთით

1970-იანი წლების შუა პერიოდში ერთ-ერთ აფრიკულ ქვეყანაში მდებარე საფრანგეთის დაზვერვის რეზიდენტურამ დირექტორს, ალექსანდრე დე მარანშს, აცნობა, რომ იმ ქვეყნის პრეზიდენტი ჰოროსკოპების დიდი მოყვარული ყოფილა და ყოველკვირა იღებდა საფრანგეთის დედაქალაქიდან ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალს, რომელიც ასტროლოგიასა და ჰოროსკოპებზე სპეციალდებოდა. დე მარანშს ბევრი არ უფიქრია და ამ ჟურნალის ყიდვის ბრძანება გასცა.

სულ მალე ახალმა მფლობელებმა, რომლებიც ბუნებრივია ოფიციალურად "შორს იდგნენ" დაზვერვისგან, ჟურნალში იმ შინაარსის ჰოროსკოპების ბეჭდვა დაიწყეს, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამებოდა საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს.

## ნიკოლა სარკოზი რთული არჩევნის წინაშეა

2009 წლის 16 მაისს ნიკოლა სარკოზის პრეზიდენტობის ორი წელი შეუსრულდა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მისი საგარეო-პოლიტიკური ორიენტირებია. ტრადიციულად "გოლისტები" (რომელთაც მიაკუთვნებს საკუთარ თავს სარკოზი) მსოფლიოში მთავარ მოკავშირედ გერმანიას და რუსეთს ხედავენ, ხოლო აშშ-სთან საკმაოდ ცივი და "დისტანციური" პოლიტიკის მიმდევრები არიან. საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა თავიდან

თითქოსდა "ულალატა" ამ სტერეოტიპებს და უფრო მოქნილი საგარეო-პოლიტიკური კურსი აირჩია, სადაც აშშ, დიდი ბრიტანეთი და ნატო მთავარი პარტნიორები უნდა გამხდარიყვნენ. ეს კი დიდად არ ეხატებოდა გულზე რუსეთს. განსაკუთრებით გაიზარდა სარკოზის პოპულარობა 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში, როდესაც ის საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთის მოქმედებებს და მოითხოვდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებების შესრულებას. ეს საჯაროდ, მაგრამ რამდენად თანმიმდევრულია სარკოზის საგარეო პოლიტიკური კურსი სინამდვილეში?

ბოლო ხანს საფრანგეთის პრეზიდენტი განსაკუთრებით ლოიალური და დამთმობი გახდა რუსეთის მიმართ. 1950-1990 –იან წლებში ამგვარ რადიკალურ ცვლილებას საფრანგეთში წარმატებით მოქმედ კა-გე-ბეს აგენტურას დაუკავშირებდნენ და მართალიც იქნებოდნენ, რადგანაც იმ პერიოდში საბჭოთა სპეცსამსახურებს საფრანგეთის საზოგადოების ყველა ფენაში ჰყავდა დასაყრდენი.

საფრანგეთის მთავარი სისუსტე ყოველთვის კონტრდაზვერვა იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფარდა აეხადა მრავალ სკანდალურ ფაქტს და დოკუმენტურად დადასტურდა, რომ საფრანგეთის მრავალი პოლიტიკოსი, სამხედრო უწყების და სპეცსამსახურების მაღალჩინოსან საბჭოთა კა-გე-ბეს მიერ იმართებოდა.

1990-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპის პრესაში გამოქვეყნდა დოკუმენტური მასალები საფრანგეთის თავდაცვის მინისტრზე 1981-1985 წლებში, პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის პოლიტიკურ მოკავშირე და მეგობარ ჩარლზ ერნუს შესახებ. ირკვევა, რომ ერნუ დიდი ხნის მანძილზე იყო კა-გე-ბეს აგენტი და საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა მოსკოვს.

## რა საერთო აქვთ ნიკოლა სარკოზის და ვლადიმერ პუტინს?

ოდითგან ასე ყოფილა – ვინც რეალურად აკონტროლებს სპეცსამსახურებს და ძალოვან უწყებებს, ის მართავს სახელმწიფოს. ეს თეზისი, უპირველესად ავტოკრატიულ ქვეყნებშია აქტუალური.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ რუსეთის რეალური მმართველი ვლადიმერ პუტინი კა-გე-ბედან მოვიდა ხელისუფლებაში და დღესაც სპეცსამსახურების საშუალებით აკონტროლებს რუსეთს. 2000 წელს პრეზიდენტად ფორმალურად არჩევის შემდეგ პუტინმა სპეცსამსახურების და თავდაცვის სამინისტროს ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე ის ერთგული ხალხი დანიშნა, ვისთანაც ერთად მუშაობდა კა-გე-ბეში და შემდგომ ლენინგრადში.

გასაგებია, რომ მისი პოლიტიკური კარიერა კარგად აქვთ შესწავლილი სხვა ქვეყნების ახლანდელ თუ მომავალ ლიდერებს და ცდილობენ მიბაძონ კიდეც. როგორც ჩანს პუტინის "მკაცრი ხელის" პოლიტიკის ფარული თაყვანისმცემელი საფრანგეთის დღევანდელი პრეზიდენტიცაა.

ორ წელზე მეტია რაც ნიკოლა სარკოზი საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა და უკვე ნათელია, რომ მას სურს მაქსიმალურად გაიხანგრძლივოს პოლიტიკური კარიერა. ჩანს, რომ ორი საპრეზიდენტო ვადა მისი პროგრამა მინიმუმია. "სუპერენერგიულმა ნიკოლამ" კარგად იცის, რომ ქვეყნის სპეცსამსახურების სრული გაკონტროლების გარეშე პოლიტიკური კონკურენტების (უპირველესად კი სოციალისტების ლიდერი-ქალბატონების სეგოლენ რუიალის და მარტინა ობრის) დამარცხება გაუჭირდება.

საინტერესოა, რომ 2007 წლის ზაფხულამდე საფრანგეთის სპეცსამსახურები ფაქტიურად საპარლამენტო კონტროლის მიღმა ფუნქციონირებდნენ. ახლად არჩეული პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის პოლიტიკური მხარდამჭერების მონდომებით 2007 წლის ივლისში საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ. ამ კომისიამ საფრანგეთის სპეცსამსახურებზე პოლიტიკური მონიტორინგი უნდა განახორციელოს.

ამის პარალელურად სარკოზი შეუდგა სპეცსამსახურებში საკუთარი კადრების დანიშვნას. კონტრდაზვერვის უფროსად ბერნარ სკარსინი დანიშნა, რომელიც 1955 წელს დაიბადა მაროკოში, კორსიკელი ემიგრანტის ოჯახში. 23 წლის ასაკიდან მუშაობდა საფრანგეთის პოლიციაში, სადაც განვლო გზა რიგითიდან სამსახურის უფროსამდე.

2004 წელს, როდესაც სარკოზი საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, ის რამდენჯერმე შეეცადა სკარსინის დაწინაურებას, მაგრამ საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი სასტიკი წინააღმდეგი იყო: შირაკს სარკოზის პოლიტიკური გაძლიერება ხელს არ აძლევდა – მას ხომ ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე დომინიკ დე ვილპენის ხილვა სურდა.

ნიკოლა სარკოზის მეორე გადაწყვეტილებაც ასევე მისი პოლიტიკური კარიერის განმტკიცებას ემსახურებოდა, მან ნაციონალური პოლიციის გენერალური დირექციის უფროსად ბავშვობის მეგობარი, 50 წლის ფრედერიკ პეშენარი დანიშნა.

უკვე კარგად ჩანს, რომ სარკოზი საფრანგეთის სპეცსამსახურების გაკონტროლებას ცდილობს და მან ჯერ ერთგული ხალხი დანიშნა, შემდეგ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამი სპეცსამსახურის გაერთიანებას გეგმავს.

ეხლა კი კვლავ ნიკოლა სარკოზის წინააღმდეგ კომპრომატების გამოყენებას დავუბრუნდეთ. საგარეო საფრთხეებთან შედარებით პრიორიტეტულად შიდა პოლიტიკური ბრძოლის აღიარება საფრანგეთის პოლიტიკური ელიტის ტრადიციაა.

1960-იან წლებში გენერალი შარლ დე გოლი საფრანგეთის სპეცსამსახურებს პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნაში აცლიდა სიქას, ამ დროს კი მთელ ქვეყანაში გაალაღებულად მოქმედებდა საბჭოთა კა-გე-ბე და გე-ერ-უ. ათი წლის შემდეგ პრეზიდენტი ჟისკარ დე სტენის დავალებით საფრანგეთის კონტრდაზვერვა სოციალისტების ლიდერ ფრანსუა მიტერანზე აგროვებდა კომპრომატებს, საბჭოთა დაზვერვა კი კვლავ განაგრძობდა წარმატებულ საქმიანობას საფრანგეთის ტერიტორიაზე. მიტერანისა და ჟაკ შირაკის დაპირისპირება ხომ ცალკე საუბრის თემაა. 1995 წელს პეზიდენტად არჩეულმა შირაკმაც უმალ მიუჩინა ჯაშუშები მტერ-მოყვარეს. საკუთარი ქვეყნის სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული დამუშავების ობიექტი ნიკოლა სარკოზიც მალევე გახდა.

მხოლოდ საფრანგეთის ხელისუფლებაში მნიშვნელობით ფაქტიურად მეორე - შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნის შემდეგ აღმოაჩინა სარკოზიმ, რომ მისი ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა (ამურული თავგადასავლები, პოლიტიკური გარიგებები თუ სხვა რამ) გულმოდგინედ ალინუსხებოდა მის უწყებაში. ამიტომაც იყო, რომ მინისტრად დანიშვნისთანავე კონტრდაზვერვის შეფი ივ ბერტრანი სასწრაფოდ დაითხოვა სამსახურიდან. მას კი პირადი ჩანაწერები ჰქონია. ეხლა კაცმა არ იცის ვის ხელთაა ეს ვიდეო და აუდიო ჩანაწერები თუ აგენტურული ცნობების ასლები.

## ხომ არ იმოქმედა კომპრომატებით შეტევამ სარკოზიზე?

კითხვაზე, თუ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურს შეიძლება ჩავარდნოდა ხელში კომპრომატები, საკმაოდ ლოგიკურ, თუმცა არაპირდაპირ პასუხს ფრანგული და ბრიტანული პრესა იძლევა. ჟურნალისტებმა საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ საკმაოდ საინტერესო დასკვნა გააკეთეს 2008 წელს ნიკოლა სარკოზის საკადრო პოლიტიკა და საგარეო-პოლიტიკური ორიენტირები კარდინალურადაა შეცვლილი. ირკვევა, რომ 2007 წელს (განსაკუთრებით კი პრეზიდენტად არჩევამდე) სარკოზის დამოკიდებულება რუსეთისადმი

საკმაოდ მკაცრი იყო (ის რუსეთს აკრიტიკებდა ადამიანის უფლებების დარღვევის, დემოკრატიული პრინციპების შეზღუდვის და სხვ. გამო). ღიად გამოხატავდა მხარდაჭერას რუსეთის მეზობელი ქვეყნებისადმი. საინტერესოა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველი ქვეყნის ხელმძღვანელი ვინც სარკოზიმ მიიღო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.

2008 წლიდან კი სარკოზი თითქოს შეცვალესო, ირწმუნებიან უცხოელი ჟურნალისტები. ის ყოველნაირად ცდილობს პუტინის კეთლგანწყობის მოპოვებას, პირველმა მიულოცა მედვედევს პრეზიდენტად არჩევა (უფრო დროებითი დანიშვნა), ქვეყნის ხელისუფლებაში კი გზა გაუხსნა იმ ხალხს ვინც არასდროს მალავდა რუსეთისადმი დიდ სიმპათიას. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა ბერნარ კუშნერი, რომელიც თურმე, ჯერ კიდევ 1990-იანი წლებში, გაეროში მუშაობის დროიდან მეგობრობს სერგეი ლავროვთან. მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშნა ფრანსუა ფიიონი, ჟან დე ბუასიუ და იგორ მიტროფანოფფი, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში მრავალჯერ იმყოფებოდნენ მოსკოვში.

უცხოელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ რუსეთის ხელისუფლებაში თურმე სარკოზის პოზიციის შეცვლით აღფრთოვანებას ვერ მალავენ და მას "ევროპაში რუსეთის საუკეთესო მეგობარს" უწოდებენ. რუსი დიპლომატები კულუარებში იმასაც აღიარებენ, რომ ევროკავშირის მეთაური ქვეყნის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ფაქტიურად თვალი დახუჭა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ანექსიაზე და რეალობას შეურიგდაო.

ძნელი და მძიმეა ამ ყველაფრის დაჯერება, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ გაზეთთან და ჟურნალისტთან, ვინც სარკოზის პრორუსულ პოლიტიკაზე გადასვლას ამტკიცებს, საფრანგეთის პრეზიდენტი მრავალი წელია, რაც დაპირისპირებულია და სასამართლოსთვისაც კი ბევრჯერ მიუმართავს. ერთი კია, ქართული ნათქვამისა არ იყოს – "საქმეშეან შენმან გამოგაჩინოსო", დაველოდოთ სარკოზის მომდევნო მოქმედებებს რუსული აგრესიის აღსაკვეთად და ქართული მიწების დასაბრუნებლად.

ჰა ბურთი და მოედანი ბატონო ნიკოლა, ჯერი თქვენზეა!

# V. ამერიკელი მზვერავის მკვლელობის საიდუმლო

## ვინ მოკლა ამერიკელი მზვერავი, რომელსაც საქართველო უყვარდა?

2009 წლის 8 აგვისტოს 16 წელი შესრულდა ამერიკელი დიპლომატის და მზვერავის ფრედ ვუდროფის მკვლელობიდან. ეს ფაქტი საიდუმლო და დღემდე ბოლომდე გამოუძიებელი მკვლელობების გრძელი ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლია. შეიძლება ითქვას, რომ რაც დრო გადის უფრო მყარდება აზრი, რომ ვუდროფის მკვლელობა არ იყო რიგითი შემთხვევა, ის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგანაც საქართველოს ტერიტორია მაშინ პირველად გახდა ორი ზესახელმწიფოს ფარული დაპირისპირების არენა.

რატომ არის ეს მკვლელობა კვლავ აქტუალური? იმიტომ, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში დანაშაულის ფაქტების გაყალბებით "დადასტურებული" მკვლელობის და "თვითმკვლელობის" შემთხვევებს ერთი ხელწერა აქვთ, რაც შემდგომ წლებშიც მრავალჯერ განმეორდა და გამორიცხული არაა მომავალშიც განმეორდეს.

ფრედ ვუდროფის მკვლელობის ფაქტზე გამოქვეყნებული უამრავი პუბლიკაციის მიუხედავად ამ პიროვნების შესახებ ძალზე ცოტა რამ თუ იყო ცნობილი. ბუნებრივიცაა, რადგან მზვერავის ბიოგრაფია ყველაზე დიდი საიდუმლოებაა. შევეცდებით კაცზე, რომელსაც საქართველო ძლიერ უყვარდა, მაქსიმალური ინფორმაცია მოგაწოდოთ.

ფრედერიკ რასელ ვუდროფი (14.01. 1947- 8.08. 1993), დაიბადა ამერიკის შეერთებულ შტატებში, არკანზასის შტატის პატარა ქალაქ სერსიში, რომელიც შტატის დედაქალაქ ლითლ-როკიდან სულ რაღაც 50 მილის მანძილზე მდებარეობს. მისი მამა იყო ჰარდინგ უნივერსიტეტის პროფესორი. ფრედმა დაამთავრა ამ უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი. საინტერესოა, რომ ამ პატარა, კერძო უნივერსიტეტმა 1990-იანი წლების ბოლოს ლექციების წასაკითხად მიიწვია საბჭოთა "პერესტროიკის მამა" მიხეილ გორბაჩოვი და საკმაოდ დიდი ჰონორარიც გადაუხადა.

ვუდროფი 1971 წლიდან მსახურობდა აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში. ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, მათ შორის რუსულსაც. ფრედი, ისევე, როგორც ბევრი ამერიკელი მზვერავი, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში კონტრდაზვერვიდან, ანუ გამოძიების ფედერალური ბიუროდან 30 წლის ასაკში მივიდა. ამ დროისთვის ის უკვე გფბ-ის გამოცდილი სპეციალური აგენტი იყო, რომელმაც ნარკომაფიასთან და ტერორიზმთან ბრძოლაში თავი

გამოიჩინა. 1978 წლიდან სახელმწიფო დეპარტამენტის შტატში ირიცხება და სადაზვერვო მისიას ასრულებს დიპლომატის საფარქვეშ. მუშაობდა ანკარაში, ადის-აბებაში, ხართუმში და ლენინგრადში. ცოლშვილიანი. უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა ვაშინგტონის გარეუბან ჰერნდონში. მისი მეუღლე მერედიტი მსხურობდა აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში და 2003 წელს გავიდა თადარიგში. დარჩა ქალიშვილი. ვურდოფი დაკრძალულია ვაშინგტონში, არლინგტონის ეროვნული მემორიალის სასაფლაოზე.

ვუდროფისთვის საქართველოში მივლინება მისთვის დაწინაურება იყო – ის დაინიშნა ოპერატიული დირექტორატის კასპიის დეპარტამენტის საქართველოს სექტორის (''სადგურის'') უფროსად. აშშ-ის საელჩოში კი პოლიტიკური განყოფილების თანამშრომლად ირიცხებოდა. ცსს-ში მოქმედი წესის თანახმად ოპერატიული თანამშრომელი 60 წლის შესრულების შემდეგ აუცილებლად უნდა გავიდეს თადარიგში. ფრედი ჯერ 46 წლის იყო და წარმატებული კარიერა წინ ჰქონდა.

თუმცა მისი მისია საქართველოში, სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ურთულესი იყო. საქართველოში კვლავ ძალზე ძლიერი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის, მაშინ უკვე რუსეთის, სპეცსამსახურების (კა-გე-ბე და გე-ერ-უ) პოზიციები. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, შეიარაღებული ძალები და სპეცსამსახურები მათი აგენტურით ოყო გადავსებული. საქმე იქამდე იყო მისული, რომ ისინი უკვე, მოსკოვის დავალებით, ერთმანეთის საიმედოობას აკონტროლებდნენ. ამავე დროს იყო ძალზე მძაფრი ფარული დაპირისპირება – რუსეთის საგარეო დაზვერვის, სამხედრო დაზვერვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ეფ-ეს-ბეს ქართველ აგენტებს შორის. ყველა ცდილობდა ''კრემლისთვის'' კონკურენტზე მეტად მოეწონებინა თავი და საქართველოში უფრო მაღალი პოსტი ''დაეთრია''.

ასე, რომ ვუდროფი საქართველოში იმ დროს ჩამოვიდა, როცა ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა – რუსი იმპერიალისტებისა და აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ ომს, ადგილობრივი ფინანსური წურბელების მიერ ორგანიზებული და ჭიაკოკონასავით გაჩაღებული ინფლაცია, კუპონის კატასტროფული გაუფასურება და უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი დაემატა. ქვეყანაში შეიარაღებული ბანდები დაძრწოდნენ. საქართველო კრიმინალურ ქაოსს მოეცვა.

ამიტომ ვუდროფის მისია არ ჰგავდა გასეირნებას უცნობ, ეგზოტიკურ ქვეყანაში. სამწუხაროდ, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ფრედმა სრულად ვერ გაითვალისწინა არსებული საფრთხე და ვერც ქართველმა კოლეგებმა შეძლეს მისი გადარჩენა.

# საქართველოს უახლესი ისტორიის შავბნელი ფურცლები

საქართველოს უახლესი ისტორია, განსაკუთრებით კი 1988 წლიდან მოყოლებული, საეჭვო და გაუხსნელი მკვლელობებით და იდუმალი თვითმკვლელობებითაა დამძიმებული. გასაოცარია მაგრამ ფაქტია, რომ 1991 წლიდან ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დაწყებული, არც ერთი პრეზიდენტი და ხელისუფლება არ დაინტერესებულა ამ იდუმალი ფაქტების ბოლომდე გამოძიებით.

მმართველობის პირველ ეტაპზე, გააჩნდა რა ქართველი ხალხის უზარმაზარი ნდობა, ზვიად გამსახურდიას უპრობლემოდ შეეძლო მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის საეჭვო ავტოავარიის და ტრაგიკული გარდაცვალების ფაქტების შესწავლა და სიმართლის დადგენა. ასევე შეეძლო საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტურის ლუსტრაციის ძალზე მტკივნეული პროცესის დაწყებაც. მთელი ცხოვრება კა-გე-ბესთან მებრძოლი ყოფილი დისიდენტი ამით უზარმაზარ სამსახურს გაუწევდა საქართველოს, თუმცა რამ შეუშალა ხელი, არ ისურვა, თუ არ დასცალდა, დღემდე უცნობია.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდი (1992-2003 წლები) კი საერთოდ "აპსურდის თეატრია". შეუსაბამო და არალოგიკური გადაწყვეტილებები, რუსეთის აგენტურის აღზევება და პოზიციების უპრეცენდენტო გამყარება, როდესაც მათ შეაღწიეს ხელისუფლების ყველა რგოლში და მყარად დამკვიდრდნენ.

განსაკუთრებით, ბევრი საეჭვო მკვლელობები და თვითმკვლელობები ამ პერიოდზე მოდის. ლოგიკას მოკლებულია, როცა სახელმწიფოს მეთაური მისი ხელისუფლების დასახმარებლად ათასობით კილომეტრის დაშორებიდან ჩამოსული კაცის მკვლელობის საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს და აშკარა შეუსაბამო და გაყალბებულ "მტკიცებულებებს" დაიჯერებს.

ერთ-ერთი ცსს-ს ყოფილი თანამშრომელი წერს "შევარდნაძე იმ პერიოდში ვულკანზე იჯდა". თუმცა შეიძლება დავუმატოთ, რომ ის ორ, რუსულ და ამერიკულ "ვულკანზე იჯდა". თუმცა იმდენი შესძლო, რომ 12 წლის მანძილზე ამ ორ სახელწიფოს შორის არსებული დაპირისპირება თავისი კარიერის და სკამის შესანარჩუნებლად გამოიყენა.

კიდევ უფრო გასაოცარია, როცა ხალხის უზარმაზარი ნდობით ახლადარჩეული პრეზიდენტი მისგან საკაშვილი 2004 წლის გაზაფხულიდან დღემდე ვუდროფის მკვლელობის საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვანს. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამერიკელმა ადვოკატმა მაიკლ ფულარამ და ანზორ შარმაიძის ადვოკატმა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ახალ გარემოებათა გამო საქმის ხელახალი გამოძიების შუამდგომლობა შეიტანეს. მაგრამ გენერალური პროკურატურა სასტიკი წინააღმდეგი წავიდა.

ალბათ ყველას გვახსოვს იმ პერიოდში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გამართული პრესკონფერენცია, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს "ვუდროფის საქმის" ხელახალი გამოძიების დაწყება მაიკლ ფულარამ საჯაროდ სთხოვა, რასაც სააკაშვილის ძალზე ემოციური პასუხი მოჰყვა -- ჩვენ თვითონ ვიცით, რა გამოვიძიოთ და რა არაო. საინტერესოა, ხომ არ იყო ეს პასუხი, მაშინდელი საქართველოს გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის უარყოფითი პოზიციის გაჟღერება?

საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ 2005 წლის 22 იანვარს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ამ საქმის გამოძიების განახლება სთხოვა საქართველოს ახალ გენერალურ პროკურორს.

2006 წლის აპრილის ბოლოს, ცნობილი გახდა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ გენერალურ პროკურატურაში ანზორ შარმაიძის ბრალდების მთავარი მოწმეები დაკითხეს. თუმცა შედეგები დღემდე უცნობია.

გასულ პერიოდში მაიკლ ფულარა რამდენჯერმე იყო საქართველოში ჩამოსული. საინტერესოა, რომ ის "ვუდროფის საქმის" ახალ გამოძიებასთან დაკავშირებულ ხარჯებს საკუთარი ჯიბიდან ფარავს. მისი განცხადებით უკვე დაეხარჯა 100 000 დოლარზე მეტი და იმედი აქვს, რომ ამ საიდუმლო მკვლელობის შესახებ დაწერილი წიგნით აინაზღაურებს დანახარჯებს. თუმცა ჯერ-ჯერობით წიგნის გამომცემელი არ ჰყავს.

## ვუდროფი "გლადიატორთა ბრძოლების" მონაწილე აღმოჩნდა

რუსეთი იმ უმადური დათვივით იქცევა, რომელიც პატრონის ხელით იკვებება და თან ჩუმად მის შესანსლაზე ოცნებობს. მრავალმილიარდიანი ამერიკული ფინანსური დახმარება რომ არა, ელცინის ხელისუფლება 1999 წლამდე ვერც მიაღწევდა. რით გადაუხადა რუსეთმა აშშ-ს სამაგიერო? რუსეთმა იმპერიული ამბიციები ჯერ კიდევ ელცინის პრეზიდენტობის დროს გამოაჩინა. ჯერ ფარულად ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკას და ნატო-ს გაფართოებას. რუსეთის არმიის და სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს საშინლად აღიზიანებდათ ამერიკის თავდაცვის უწყებისა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მცდელობა დაემყარებინათ პირდაპირი ოფიციალური და მეგობრული კონტაქტები საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან.

რუსეთის ფედერაცია 1990-იანი წლების დასაწყისში თავად დაშლის პირას იყო და თან სხვა, უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიებს ეპოტინებოდა. საკუთარი ეროვნული ინტერესების ზონად რუსეთის ხელისუფლებას კვლავ ნახევარი მსოფლიო მიაჩნდა და ყველა ხერხით

ცდილობდა "იანკებისთვის" ხელის შეშლას, რისთვისაც ყველანაირ, ფარულ და ღია, პროვოკაციაზე მიდიოდა. რუსეთის სპეცსამსახურები მაშინაც და ეხლაც საბჭოთა კა-გე-ბეს მეთოდებით მოქმედებენ, პოლიტიკურ მკვლელობებსა და ტერორისტულ ოპერაციებზეც არ ამბობენ უარს და პრინციპი - "მიზანი ამართლებს საშუალებას" – კვლავ მათი მოქმედების მთავარი კრედოა.

აშშ-ის ცენტრალური დაზვერვის შეფად ჯეიმს ვულსი აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა, არკანზასის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა ბილ ქლინთონმა 1993 წლის თებერვალში დანიშნა. აგვისტოში კი ვულსი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა მოსკოვში, სადაც რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი "პლეხანოველი" ევგენი პრიმაკოვი მასპინძლობდა.

ვუდროფის მკვლელობის მოტივების დადგენისთვის აქ ძირითადი თემიდან მცირე გადახვევა დაგვჭირდება. 1993 წლის მაისის მეორე ნახევარში მოსკოვში ცსს-დან რამდენიმე ოპერატიული თანამშრომელი ჩავიდა, რომლებსაც რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ნარკოვაჭრობის შესახებ ინფორმაციის გაცვლის ღონისძიებები უნდა დაეგეგმათ. მათ შორის იყო ამერიკის დაზვერვის შ-15 დონის მაღალჩინოსანი, დღეისთვის ყველასთვის კარგად ცნობილი ოლდრიჩ ეიმსი. 26 მაისს ეიმსს 52 წელი შეუსრულდა და რუსმა კოლეგებმა სამახსოვროდ "სამოვარი" აჩუქეს. იმ დღეს ამერიკელი ისე გამოთვრა, რომ რუსებს სულ ძმობას ეფიცებოდა და "დიდი რუსეთის" სადღეგრძელოს ბოლომდე ცლიდა.

ამ ვიზიტის დროს რუსებმა და ამერიკელებმა ერთობლივად განიხილეს ორი ქვეყნის სპეცსამსახურების ხელძღვანელების მომავალი შეხვედრის დეტალები, რომელიც 1993 ივნისში ვაშინგტონში შედგა. სადაც ჯეიმს ვულსიმ და ევგენი პრიმაკოვმა ნარკოტიკების ტრანზიტის აღკვეთისა და ანტიტერორისტული ოპერაციების ერთობლივად დაგეგმვისა და განხორციელების ღონისძიებების შესახებ ისაუბრეს. ამისთვის ჯეიმს ვულსიმ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სპეცსამსახურების ერთობლივი ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. სადაც, ბუნებრივია "პირველი ვიოლინო" ამერიკის დაზვერვა უნდა ყოფილიყო. პრიმაკოვი და მთლიანად რუსეთის ხელისუფლება ამ იდეის სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ, მაგრამ იმ წლებში პროტესტის ხმამაღლა თქმას ვერ ბედავდნენ და ამერიკელების ხელისშესაშლელად ფარულ "აქტიურ მოქმედებების" ჩატარებას ამჯობინებდნენ. ამიტომაც "მეგობრული" ოფიციალური შეხვედრების დასრულების შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურები უმალ ანტიამერიკული ოპერაციების დაგეგვასა და განხორციელებას იწყებდნენ.

ცსს-ს ამ გეგმის კონტექსტში განიხილებოდა ცსს-ს ერთ-ერთი გამოცდილი ოპერატიული თანამშრომლის, რუსული ენის კარგი მცოდნის ფრედერიკ რასელ ვუფროფის მივლინება საქართველოში, რომელიც 1993 წლის ივნისში დაიწყო.

დავუბრუნდეთ ჯეიმს ვულსის მოსკოვურ ვოიაჟს. დაგეგმილი იყო, რომ მოსკოვიდან ვულსი რამდენიმე ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკას, მათ შორის საქართველოსაც უნდა სწვეოდა. თუმცა 8 აგვისტოს მომხდარი მკვლელობის შემდეგ ვულსის ვიზიტი შეწყდა და დაგეგმილი შეხვედრები აღარ შედგა.

ვუდროფის მკვლელობა ერთი კვირის მანძილზე მსოფლიოს მთავარი სენსაცია იყო - ამერიკის და ევროპის მასმედიაში დაწვრილებით შუქდებოდა მკვლელობის დეტალები. მთავარი სკანდალური გარემოება, რომელიც მეორე დღესვე ცნობილი გახდა,იყო ის,რომ ამერიკელი დიპლომატი ინამძვილეში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს გამოცდილი თანამშრომელი აღმოჩნდა, ხოლო მკვლელობა საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სამთავრობო დაცვის სამმართველოს უფროსის ელდარ გოგოლაძის მანქანაში მოხდა. სწორედ ამ ორი გარემოების გამო, ვერსია რომლის მიხედვითაც, ამერიკელი მზვერავი მთვრალი ჯარისკაცის მიერ შემთხვევით ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა, სერიოზულ ეჭვს იწვევდა.

ტრადიციულად დამკვიდრებულია შეხედულება, რომ სპეცსამსახურების მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, მით უფრო ამერიკელი და რუსი მზვერავები (ან მათი აგენტები), უბედური შემთხვევის შედეგად არ იღუპებიან. მათ ყოველთვის ვიღაც "ეხმარება".

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ერთადერთი პრესტიჟული სასტუმრო, რომელსაც "ვარსკვლავები" დაეთვლებოდა, "შეტენი" იყო. ამიტომაც ყველა მნიშვნელოვანი უცხოელი სტუმარი იქ ბინავდებოდა. ვუდროფიც, თბილისში ჩამოსვლის დროს "მეტეხის" ლუქს-ნომერში ცხოვრობდა. საინტერესოა, რომ იმ დროს სასტუმროს საორგანიზაციო-საფინანსო საქმიანობას მთლიანად "მხედრიონი" აკონტროლებდა. ამასთან ერთად მისი ლიდერები პირადად არჩევდნენ სასტუმროს დაცვის სამსახურის თანამშრომლებს და მომსახურე პერსონალს. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში "მხედრიონის" ლიდერი ჯაბა იოსელიანი ძალზე აქტიურობდა – "მხედრიონის" ნაწილი შსს-ში გაუშვა, ნაწილი გვარდიაში, სხვები კი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში. ხშირად თბილისის რაიონებში პოლიციის სამმართველოს უფროსებსაც თავად ნიშნავდა.

მაღალი, წვერებიანი და მხიარული ამერიკელი დიპლომატი თავიდანვე იქცევდა მტერ-მოყვარეს ყურადღებას. ამიტომაც მისი კონტაქტები და წასვლა-მოსვლის დრო სხვადასხვა სტრუქტურების აგენტურის მიერ გულმოდგინედ ფიქსირდებოდა. ვინ ვისზე მუშაობდა, ძნელი სათქმელია, რადგანაც "მხედრიონის" შემადგენლობა მაშინ ძალზე ჭრელი იყო, მათ შორის რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტებიც აღმოჩნდენ. ამ ფაქტს თავად ჯაბაც არ მალავდა.

ეს რა გასაკვირია, როცა იმ პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს უშიშროების სტრუქტურები რუსული სპეცსამსახურების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. პარალელურად აშშ-ის სპეცსამსახურებიც ცდილობდნენ

პოზიციების გამყარებას. ეს თანდათან ფარულ საკადრო დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ყოფილი სუკ-ის მაგივრად შექმნილი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსად, ყველასთვის მოულოდნელად ედუარდ შევარდნაძემ ახალგაზრდა, პროდასავლური შეხედულებების პოლიტიკოსი ირაკლი ბათიაშვილი დანიშნა. ამით ამერიკელების გული მოიგო. თუმცა არც რუსეთი გააწბილა და ჯაბას რეკომენდაციით ბათიაშვილის მოადგილეებად აშკარად პრორუსული ორიენტაციის თემურ ხაჩიშვილი და შოთა კვირაია დანიშნა. ჯაბას მოლოდინის მიუხედავად სულ რამდენიმე თვეში დაიწყო დაპირისპირება ბათიაშვილსა და ხაჩიშვილს შორის. კვირაიაც ცალკე იწევდა – მოკლედ "აირია მონასტერი". ამის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ ქვეყნის მთავარი სპეცსამსახურის ხელმძღვანელობაში სხვადასხვა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის ხალხი დანიშნეს, რომლებიც განსხვავებულ დავალებებს ასრულებდნენ.

ვუდროფი მსოფლიოს ორი ქვეყნის (აშშ და რუსეთი გვაქვს მხედველობაში) სპეცსამსახურების დაპირისპირების ცენტრში აღმოჩნდა. თანაც რეალურად სრულიად მარტო. ვუდროფი ამერიკელი დიპლომატის საფარქვეშ მოქმედებდა და საქართველოში პირადი დაცვა არ ჰყავდა, ლოგიკურად არც სჭირდებოდა რადგანაც სამუშაო საათებისა და თავისუფალი დროის უდიდეს ნაწილს ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლებთან ერთად ატარებდა. თუმცა ბევრის აზრით სწორედ ეს გარემოება აღმოჩნდა მისთვის საბედისწერო.

## უპასუხოდ დარჩენილი კითხვები

საქართველოში ძალზე სერიოზული და მრავალმხრივი მიზნებით ჩამოსული მაღალი რანგის ოპერატიული თანამშრომლის ვუდროფის ბრმა ტყვიით შემთხვევითი მკვლელობა, თავიდანვე დაუჯერებელი ჩანდა. ბევრი ექსპერტი და ჟურნალისტი მკვლელობაში ბრალდებულ და 15 წლის მანძილზე ციხეში მყოფ ანზორ შარმაიძეს ამჟამადაც უდანაშაულოდ მიიჩნევს. მათი აზრით გამოძიების პროცესში ბევრ საყურადღებო ფაქტი და დეტალი გაყალბდა ან უბრალოდ საქართველოს გენერალური პროკურატურის გამომძიებლებმა მხედველობაში არ მიიღეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ მართლაც ბევრ ლოგიკურ კითხვაზე დღემდე არაა დამაჯერებელი პასუხი გაცემული. თუნდაც: რომელ საათზე მოხდა მკვლელობა? რატომ განვითარდა გვამის სწრაფი გაშეშება? რატომ ვერ იპოვა თავიდანვე ამერიკელმა ექსპერტმა ტყვიის გულას კვალი "ნივაში"? რატომ არ აღმოჩნდა გულას ფრაგმენტი არც ვუდროფის სხეულში და არც ავტომობილის სალონში? რა ტრაექტორიით და რა მანძილიდან განხორციელდა

სროლა? რატომ არ ამოიღეს მკვლელობის მოწმეების ტანსაცმელი? რატომ განსხვავდება მკვლელობის მოწმეების ჩვენებები აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტების დასკვნისგან? როგორ მოხვდა მიდევნებული ტყვია კეფაში ვუდროფს, თუ ის შემოტრიალებული იყო და იარაღიანი ხალხისკენ იყურებოდა?

თვით ვუდროფის მაღალი რანგი და სტატუსი, ასევე საქართველოში მისი საქმიანობის ძირითადი არეალიც, რატომღაც გახდა გაუგებრობის საგანი.

აქ ერთი გარემოებაა საყურადღებო, ბატონი ელდარ გოგოლაძე 2004 წელს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ამტკიცებს, რომ ვუდროფი არაფერი მაღალი რანგის პირი არ იყოო, რაშიც ვერ დავეთანხმებით. რუსების აგენტი ოლდრიჩ ეიმსი, რომელიც ცსს-ში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურულ დანაყოფს ხელმძღვანელობდა, ჯი-ეს 15 დონის ოპერატიული თანამშრომელი იყო და სააგენტოს 40 ყველაზე მაღალი დონის ხელმძღვანელ პირთა შორის ირიცხებოდა. ფრედ ვუდროფი მხოლოდ ერთი რანგით იდგა ეიმსზე დაბლა. გაუგებარია რა საჭიროა ვუდროფის პიროვნების დაკნინება?

კითხვა კიდევ ბევრია და აუცილებელია, რომ ყველა მათგანზე მიუკერძოებელი და ობიექტური პასუხი გაეცეს. ტყუილუბრალოდ ბრალი არავის დაედოს უდანაშაულობის პრეზუმპცია ხომ დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ნიშანია.

ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ შევეცდებით მკვლელობის დღის მოვლენების დეტალების აღდგენას, რადგანაც "ეშმაკი ყოველთვის დეტალებში იმალება".

## რა მოხდა იმ საბედისწერო 8 აგვისტოს?

1993 წლის 8 აგვისტოს ცხელი დღე მთავრდებოდა. უკვე კარგად დაბნელებულიყო. თბილისის ქუჩებში სიცოცხლე კვდებოდა. მხოლოდ "კალაშნიკოვებით" და "ლიმონკებით" შეიარაღებული ფორმიან-უფორმოები გამოსულიყვნენ ნადავლის საძებნად. სასურსათო "ბუტკების" მეპატრონეებს თადარიგი ადრევე დაეჭირათ და საგულდაგულოდ ჩაეკეტ-დაეგმანათ 1990-იანი წლების თბილისის ეს მცირე არქიტექტურული "შედევრები".

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე თეთრი "ნივა" (სახელმწიფო ნომერი K0930ГГ) დიდი სისწრაფით მიჰქროდა. ცოტამ თუ იცოდა, რომ აუტომობილი (რომელსაც შემდეგ ამერიკელებმა "სიკედილის ავტომობილი" შეარქვეს) საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სამთავრობო დაცვის სამმართველოს უფროს ელდარ გოგოლაძეს ეკუთვნოდა. "ნივაში" ოთხი ადამიანი იმყოფებოდა, ერთ-ერთი უკვე გარდაცვლილი ფრედერიკ რასელ ვუდროფი იყო.

# გვამი №805

"მიხაილოვის" სააკადმყოფოს მორგში ჭრილ გადასაფარებელზე შუა ხნის ბრგე მამაკაცი ესვენა. სიმაღლე 190 სმ მეტი იქნებოდა, ნავარჯიშევ სხეულზე სისხლის კვალი არ ეტყობოდა, სამაგიეროდ ნახევარი თავის ქალა ჰქონდა ახდილი. გარდაცვლილი სარეგისტრაციო ჟურნალში გაატარეს, როგორც გვამი №805. გამავალი ჭრილობის ტრაექტორია და არხი მარჯვენა თვალის ოდნავ ზემო და კეფის ქვემო მხარეს მოიცავდა. ამერიკელი ადვოკატის მაიკლ ფულარას მტკიცებით აშშ-ის საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომელი ამ პროცესებს ესწრებოდა, ყველაფერს აფიქსირებდა, მათ შორის მოწმეების ჩვენებებსაც იწერდა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით გვამი გაშეშების საკმაოდ ხანდაზმულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. "მაგრამ შეუძლებელია, რომ სხეულმა გაშეშების ეს მდგომარეობა ერთ საათზე ნაკლებ დროში მიიღოს, ეს კი უტყუარად ადასტურებს იმას, რომ სიკვდილს უფრო ადრე ჰქონდა ადგილი. . ანუ რამდენიმე საათით ადრე ვიდრე შარმაიძემ საბედისწერო ტყვია თითქოს გაისროლა" – ამგვარია მაიკლ ფულარას არგუმენტები, რომელიც თავის მხრივ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნას იშველიებს.

გარდაცვალების დროს ნებისმიერი მკვლელობის ფაქტის გასახსნელად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც ამ საკითხებზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

<u>ამერიკელი ადვოკატი ფულარა ერთ-ერთ ინტერვიუში ამტკიცებს, რომ ბუნების კანონებით გვამის გაშეშების მიღწევას 6-7 საათი მაინც სჭირდება</u>

საერთოდ გვამის გაშეშება ნიშნავს კუნთების გამკვრივებას, რის გამოც სახსრებში მოძრაობა დაბრკოლებულია. გაშეშება, როგორც წესი, სიკვდილიდან 2 საათის შემდეგ იწყება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა გაშეშება უფრო ადრე – სიკვდილის მომენტიდანაც იწყება. ეს დამოკიდებულია გარდაცვლილის კუნთოვანი სისტემის განვითარებაზე. კარგად განვითარებული კუნთოვანი სისტემის შემთხვევაში გვამის გაშეშება ძლიერად არის გამოხატული.

<u>ადვოკატი ფულარა იმასაც ამტკიცებს, რომ ზამთარში გვამი უფრო სწრაფად შეშდება ვიდრე ზაფხულშიო, რამდენად მართებულია ამგვარი აზრი?</u>

- ვერ დავეთანხმები, რადგანაც ყველაფერი პირიქით ხდება. გვამის გაშეშება ეს გარდაცვლილის ორგანიზმში სიკვდილის შემდეგ მიმდინარე ქიმიური პროცესების შედეგია. ატმოსფეროს მაღალი ტემპერატურა აჩქარებს

ამ პროცესებს, ხოლო დაბალი კი პირიქით - ანელებს. ამიტომ აგვისტოს სიცხეში გვამი უფრო სწრაფად გაშენდებოდა.

ერთსაც დავამატებ. დაღლილი ადამიანის სწრაფი სიკვდილის შემთხვევაში, თუნდაც ცეცხლსასროლი იარაღით გამოწვეული სიკვდილის დროს, გვამი ძალზე სწრაფად შენდება და ზოგჯერ იმ პოზაში, რომელიც მას სიკვდილის მომენტში ჰქონდა.

<u>მაშინ რა გამოდის - ადვოკატმა ფულარამ წინასწარ შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება?</u>

ამის მტკიცებას ვერ დავიწყებ. ალბათ ფულარას ერთმანეთში შეეშალა გვამის გაცივება და გაშენება. გაცივება გარდაცვლილის სითბოს თანდათან გაცემის პროცესია და გრძელდება მანამ, სანამ სხეულის ტემპერატურა გარემოსას არ გაუთანაბრდება. ყინვაში გვამი უფრო მალე ცივდება, ვიდრე სიცხეში. თანაც ამ პროცესზე გავლენას ახდენს გარდაცვლილის წონა. დიდი წონის გვამები უფრო გვიან ცივდება. ზოგადად კი გარდაცვლილიდან 15-20 საათის შემდეგ გვამის ტემპერატურა ატმოსფეროსას გაუთანაბრდება.

<u>ე.ი. გვამის ტემპერატურის მონაცემების გარეშე, მხოლოდ გაშენების პროცესზე ყურადღების გამახვილებით სიმართლის დადგენა გაჭირდება?</u>

- ბუნებრივია, რადგანაც სიკვდილის შემდეგ ორგანიზმის მდგომარების ყველა ამ მაჩვენებლის ზუსტი დაფიქსირებაა საჭირო, მათ გარეშე სიკვდილის ხანდაზმულობის დადგენა შეუძლებელი იქნება.

ქართველი ექსპერტის ეს პასუხები კიდევ უფრო ართულებს ამ საქმეს. გამოდის, რომ არსებობს ალბათობა და შესაძლებელია ვუდროფი მოეკლათ 21.30 სთ-ზე და ერთი საათის შემდეგ მისი გვამი უკვე გაშენებულიყო. ეს "ფულარას თეორიას" ერთ ძალზე მნიშვნელოვან მტკიცებულებას აცლის.

ფულარა მიიჩნევს, რომ მკვლელობა გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე მოწმეები მიუთითებდნენ და ცხედარს 6-8 საათის მანქანით დაატარებდნენ, თუმცა ცალსახად ამის მტკიცება უკვე არ შეიძლება.

## საბედისწერო დამთხვევა თუ ?

საბედისწერო შემთხვევითობის და ფატალიზმის დიდად არ მწამს, თუმცა მჯერა, რომ საქართველოს სასიკეთოდ ჩამოსული ამერიკელი მზვერავის ფრედ ვუდროფის მკვლელობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა აშშ-საქართველოს სამხედრო და სპეცსამსახურების სფეროში თანამშრომლობა. ჩვენს ქვეყანაზე თავს დამტყდარ ბევრ უბედურებას შესაძლებელია სათავე სწორედ ვუდროფის მკვლელობის შემდეგ დაედო.

1993 წლის დასაწყისიდანვე აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ გადაწყვიტა გაეგრძელებინა წინა პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უფროსის საგარეო-პოლიტიკური კურსი და აქტიური მონაწილეობა მიეღო ყოფილ საბჭოთა

რესპუბლიკებში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში. აშშ-მ საქართველო ეროვნული ინტერესების სფეროში ჩართო, რაც მალე ძალზე მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი უნდა გამხდარიყო, განსაკუთრებით კი სეპარატისტული რეჟიმებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების საქმეში.

1993 წლის ზაფხულის დასაწყისში აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამერიკა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკურ კონფლიქტებში დაპირისპირებულ მხარეებს შუამავლობას სთავაზობს.

უკვე რამდენიმე კვირის შემდეგ კი, 1993 წლის 6 აგვისტოს, გაერო-ს უშიშროების საბჭომ, აშშ-ის მოთხოვნით მიიღო რეზოლუცია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დამკვირვებლების გაგზავნის შესახებ. აშშ-ის ადმინისტრაცია იწყებდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების რეალურ, და არა მოჩვენებით პროცესს. პირდაპირ უნდა ვთქვათ – ეს პოლიტიკა, რომ გაგრძელებულიყო დღეს სეპარატისტული რეგიონების პრობლემა საქართველოში აღარ იქნებოდა!

პარალელურად აშშ-ის სპეცსამსახურები ცდილობდნენ თანამშრომლობა დაეწყოთ საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან. შევარდნაძის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ქართველების ორმოცდაათკაციანი სპეცრაზმი ამერიკაში მოამზადეს და იმ დროისათვის ყველაზე თანამედროვე იარაღითა და ეკიპირებით აღჭურვეს. ფრედ ვუდროფიც იმიტომ იყო ჩვენთან მოვლინებული, რომ უფრო კარგად გარკვეულიყო ოპერატიულ მდგომარეობაში და დახმარებოდა ქართველ კოლეგებს. აშშ-ის ადმინისტრაცია საქართველოს განიხილავდა, როგორც სამხრეთ კავკასიის და შუა აზიის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ (უპირველესად კი ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ახალი პროექტების) პროცესებში აქტიური მონაწილების პლაცდარმს.

ყოველივე ამის შედეგად კი "ჩრდილოელი დათვი" დაკარგავდა ამ ქვეყნებზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტს. კრემლი კი ამას ვერ დაუშვებდა. რუსეთის (მანამდე კი საბჭოთა) სპეცსამსახურებს კარგად აქვთ შესწავლილი რიგითი ამერიკელის (თუ ევროპელის) ბუნება და იციან, რომ ისე არაფერი არ აღიზიანებს პატრიოტ ამერიკელს, როგორც მშვიდობიან პერიოდში ცხრა მთას იქით თანამემამულის (მით უფრო დიპლომატის და მზვერავის) მკვლელობა. ყველამ იცის, რომ ამერიკელი ამომრჩეველი ხმას არ მისცემს იმ პოლიტიკურ პარტიას და ადმინისტრაციას, რომელიც საკუთარი მოქალაქის სიცოცხლის დაცვას ვერ შესძლებს.

ამიტომაც საჭირო იყო "საჩვენებელი მკვლელობა", რათა ამერიკელებს ცხვირი აღარ შემოეყოთ რუსეთის ეროვნული ინტერესების ზონაში.

ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ ამ მკვლელობის შემდეგ ბილ ქლინტონის ადმინისტრაციაში ბევრი უკვე სკეპტიკურად უყურებდა და მიუღებლად თვლიდა საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის

რესპუბლიკებში აშშ-ის სტრატეგიული ინტერესების დაცვას. სიმართლე, რომ ვთქვათ მათ საფიქრალი და საზრუნავი ევროპაშიც ბევრი ჰქონდათ – ყოფილი იუგოსლავია ცეცხლის ალში იყო გახვეული და საქართველო, რომლის არსებობა ბევრმა ამერიკელმა საერთოდ არ იცოდა და სადაც ამერიკელ დიპლომატებს მთვრალი ჯარისკაცები ხოცავენ, უკვე ზედმეტი თავის ტკივილი და არასასურველი რისკის ზონა აღმოჩნდა. ასევე ფიქრობდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებიც. ამიტომ, მათ მიზანშეწონილად ჩათვალეს ჩვენი ქვეყნისთვის დახმარება მხოლოდ საფინანსო-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში განეხორციელებინათ.

საერთაშორისო სკანდალის შემდეგ, რაც ამ მკვლელობას მოჰყვა, ბევრი ჩვენი მეგობარი დაფრთხა. მათ ფაქტიურად საქართველო კვლავ რუსეთს დაუტოვეს საჯიჯგნად. მტერსაც სწორედ ეს უნდოდა.

ნატო-ს კარების ჩაკეტვით იგივე ხომ არ მეორდება დღეს?

## 1993 წელი, 8 აგვისტო, კვირა. 8.00 საათი. თბილისი.

იმ დილით სასტუმრო "მეტეხის" ცენტრალურ ვესტიბიულთან თეთრი "ნივა" გაჩერდა, რომელშიც მძღოლის გარდა ორი ქალბატონი იმყოფებოდა. მალევე ვუდროფიც ჩამოვიდა. ფრედს "ჯინსები" და სქელლანჩიანი უხეში სადესანტო "ბათინკები" ეცვა. სიცხე უკვე საკმაოდ იგრძნობოდა, თუმცა ფრედი თავის ეკიპირებას, რომელსაც განსაკუთრებით სუდანში მიეჩვია, დიდ სიცხეშიც არ ღალატობდა.

არსებობს მეორე ვერსიაც – ვუდროფი და ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც "მეტეხის" ბარში მუშაობდა და მას უკვე ძალიან კარგად იცნობდა, ერთად გამოვიდნენ სასტუმროდან.

ვუდროფს მხარზე განუყრელი ფოტოაპარატი ეკიდა - მოგზაურობის მოყვარული იყო და ფოტოაპარატი მუდამ თან დაჰქონდა. საქართველოში და განსაკუთრებით თბილისი-ყაზბეგის გზაზე ბევრი სამსახსოვრო ფოტოსურათი ჰქონდა გადაღებული. იმ საბედისწრო დღესაც გზაზე ხშირად ჩერდებოდნენ და სურათებს იღებდნენ. ფრედის განსაკუთრებით უყვარდა ანანურის ციხესთან სურათის გადაღება, შემდეგ კი ამერიკელი მეგობრებისთვის ჩვენება.

გამოძიების სწორად წარმართვისთვის ამ ფოტო-მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს. გამორიცხული არაა მათზე ფრედის მკვლელობის ორგანიზატორები და შემსრულებლებიც იყვნენ დაფიქსირებული. საინტერესოა ამოიღო თუ არა გამოძიებამ ეს ფოტოები და ნეგატივები? სად ინახება ისინი დღეს?

ერთ-ერთი ინფორმაციით აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა თბილისიდან რამდენიმე ასეული ფოტომასალა წაიღეს. დასადგენია იყო თუ არა მათ შორის ვუდროფის პირადი ფოტოარქივიც.

როგორც შემდგომ გამოძიებამ დაადგინა ოთხეული ყაზბეგისკენ, გოგოლაძის ნაცნობის ოჯახში გაემგზავრნენ, სადაც ბუნებრივია ქართული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლეს. იყო ბევრი ხინკალი და ცივი რუსული არაყი. საკმაოდაც დალიეს. საერთოდ კი, ვუფროფს თავიდანვე მოეწონა ქართული წეს-ჩვეულებები და ხასიათი, განსაკუთრებით კი ბუნებაში პიკნიკი, ბატკნის მწვადები და მეგობარი ქალი გვერდით.

ამერიკელი ადვოკატის მაიკლ ფულარას აზრით სავსებით შესაძლებელია სასამართლოზე დაკითხული ქალები: მ.კ. და ე.დ. (მათი გვარები ცნობილია, მაგრამ კიდეც ერთხელ დასახელებით არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ) მკვლელობის დროს "ნივაში" საერთოდ არ იმყოფებოდნენ და გოგოლაძე-ვუდროფს პიკნიკზე სულაც სხვა მეგობარი-ქალები ჰყავდათ წაყვანილი. მისი აზრით სხვა შემთხვევაში ამ ქალბატონების ტანსაცმელი აუცილებლად გარდაცვლილის სისხლით და ტვინის ნაწილაკებით მოისვრებოდა. ამჟამად არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია, გამოძიების დროს რატომ არ იქნა ამოღებული გოგოლაძის და სხვა მგზავრების ტანსაცმელი, როგორც ნივთმტკიცება. თავად მათ კი სასამართლო პროცესზე უკვე აღარ ახსოვდათ (?!), თუ სად შეინახეს ის ტანსაცმელი.

ოფიციალური ვერსიით მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა. 8 აგვისტოს ყაზბეგიდან თბილისისკენ მომავალ გოგოლაძის "ნივას" ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა მთვრალმა სამხედრო ფორმიანებმა ბენზინის გამორთმევის მიზნით გაჩერება მოსთხოვეს. გოგალაძემ სიჩქარე მოუმატა, ერთ-ერთმა ფორმიანმა კი, რომელსაც, მოწმეთა ჩვენებით, მოკლემკლავიანი მეზღვაურის მაისური სცმია, ავტომატიდან მანქანის მიმართულებით ერთჯერადი გასროლა განახორციელა.

გამოძიების ვერსიით სიკვდილის მომენტში ვუდროფის გვერდით მისი "მეგობარი", სასტუმრო "მეტეხის" ბარის თანამშრომელი ქალი მ.კ. იჯდა. გოგოლაძის გვერდით კი ე.დ. ამ საქმის გამოძიებისთვის ავტომობილში მგზავრთა განლაგებას, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მ.კ.-ს გამოძიებისთვის ასეთი ჩვენება აქვს მიცემული: "მე და ფრედიმ, როცა გზაზე მდგარი შეიარაღებული პირები შევამჩნიეთ, თვალი გავაყოლეთ. მომენტალურად გაისმა სროლის ხმა. ვერც კი გავიაზრეთ თუ რა მოხდა. მინა არ გატეხილა. ფრედი ჩუმად იჯდა, რალაცნაირად კი შეინძრა. გააჩერე, გააჩერე ფრედი მოკლეს-მეთქი ვიყვირე".

"ნივაში" მყოფი ქალბატონების ჩვენებით მცხეთის საავადმყოფოში ვუდროფს პულსი გაუსინჯეს და დაფიქსირეს, რომ ის ჯერ კიდევ ფეთქავდა და ფრედი ცოცხალი იყო. თუმცა დაჭრილი არ მიიღეს, რადგანაც შუქი არ

ჰქონდათ. გოგოლაძემ გეზი თბილისისკენ აიღო, ეს 21.30 სთ-ზე მოხდა. თბილისში "კამოს" ქუჩაზე მდებარე ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის სამედიცინო კლინიკაც ელექტროენერგიის გარეშე ყოფილა, ხოლო "მისალოვის" საავადმყოფოში მიყვანისას ვუდროფი უკვე გარდაცვლილი იყო. ეს კი უკვე 22.30 სთ. მოხდა.

## კვლავ საბჭოთა იურისპუდენციის ტყვეობაში

საბჭოთა კავშირმა თავის დროზე ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი სასამართლო სისტემა შექმნა, სადაც გადამწყვეტი სასამართლო-სამედიცინო ან ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგი კი არა, არამედ მოწმის ჩვენებები და ბრალდებულის მიერ დანაშაული აღიარება იყო. ამიტომაც იყო, რომ 1930-იანი წლების საბჭოთა რეპრესიების დროს სასტიკი წამების შემდეგ ბევრი "აღიარებდა" ლონდონიდან ბომბეიმდე გვირაბის გაყვანას და სხვა მრავალ "დანაშაულსაც" იბრალებდა.

სიტყვიერი აღიარება ნივთმტკიცებების და ფაქტების ნაცვლად დამოუკიდებელი საქართველოს სასამართლო პრაქტიკაშიც იყო და დღესაც არის დამკვიდრებული.

ფრედ ვუდროფის მკვლელობის გამოძიების საქმეშიც საბჭოთა იურისპუდენციის კვალი ჩანს. არსებობს დაზარალებული, „დამნაშავე" ანზორ შარმაიძე რომელმაც აღიარა დანაშაული, დანაშაულის ჩადენის მოწმეები და მკვლელობის თვითმხილველები, რომლებიც დეტალურად იხსენებენ წვრილმანებსაც კი, ხოლო ნივთმტკიცება ფაქტიურად არ არსებობს.

ქართული და ამერიკული სასამართლო-სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგები კი, როგორც ცა და დედამიწა ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ სიტუაციაში მაშინდელი საქართველოს გენპროკურატურა და სასამართლო, როგორც საბჭოთა იურისპუდენციის ნაყოფი, პოლიტიკური ხელისუფლების შეკვეთას უსიტყვოდ დამორჩილდა.

## შევარდნაძის წერილი მერედიტ ვუდროფს

მკვლელობიდან ერთი დღის შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ – სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ფრედ ვუდროფის ოჯახს ოფიციალური სამძიმრის წერილი გაუგზავნა, რომელიშიც ვკითხულობთ:

*"ძვირფასო ქალბატონო ვუდროფ,*

*ამ მწუხარების დროს ძნელია მოძებნო ნუგეშის სიტყვები და შეუმსუბუქო ადამიანს ტანჯვა.*

*მე მაინც გადავწყვიტე, ჩემო ძვირფასო, გამოგიგზავნოთ თქვენ ეს მცირე წერილი და ჩემი ხალხის სახელით გამოვხატო მწუხარება ფრედის გარდაცვალების გამო.*

*დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო ბრმა შემთხვევა. ფრედი საქართველოში ჩაბოვიდა, როგორც ჩემი ქვეყნის მეგობარი და მუდამ ასეთად დარჩება ქართველების ხსოვნაში.*

*ღრმა პატივისცემით და თანაგრძნობით*

*ედუარდ შევარდნაძე.*
*10.08.93 წ.*

გასაოცარია, მკვლელობიდან სულ ერთი დღე იყო გასული, გამოძიება ფაქტიურად არც კი იყო დაწყებული, რომ საქართველოს ხელისუფლების პირველმა პირმა, მიითვისა გამოძიების და სასამართლოს პრეროგატივა და მკვლელობას "ბრმა შემთხვევა" კვალიფიკაცია მისცა. რა სახის და ვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და მტკიცებულებებს ეყრდნობოდა შევარდნაძე, როდესაც მკვლელობის გამოძიების პროცესს თავიდანვე ასეთი მიმართულება მისცა? გააზრებული ჰქონდა თუ არა მაშინ "თეთრ მელას", რომ ამ ორი სიტყვით – "ბრმა შემთხვევა", დამნაშავეებს ხელს აფარებდა და ციცაც, სრულიად უდანაშაულო პიროვნებას ხანგრძლივი პატიმრობისთვის სწირავდა?

შევარდნაძის "ჯიბის" პროკურორებისთვის და მინისტრებისთვის ეს იყო პირდაპირი ბრძანება და მათაც ყველაფერი უნდა ელონათ, რომ შევარდნაძის შეკვეთა-დავალება შეესრულებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ მცირე, უმუშევრად დარჩენა ემუქრებოდათ. ამიტომაც არის, რომ მკვლელობიდან ათი წლის შემდეგ, 2003 წელს, საქართველოს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ვახტანგ გვარამიამ, ვის უშუალო ზედამხედველობაშიც მკვლელობის გამოძიება იყო, ერთ-ერთ ინტერვიუში არ დამალა და პირდაპირ განაცხადა, რომ "ბრმა შემთხვევის" ვერსიის გარდა სხვა ვერსიებზე არც გვიფიქრია, იმდენად ნათელი იყო ყველაფერი.

# ქართველი და ამერიკელი ექსპერტების განსხვავებული დასკვნები

ფრედ ვუდროფის მკვლელობის ოფიციალური ვერსია ამდენი წლის მანძილზე იმიტომ არის დაეჭვების მიზეზი, რომ, როგორც ადრე აღნიშნეთ, მოწმეთა ჩვენებები სათანადოდ არ იყო გამყარებული საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ მოპოვებული და სასამართლოზე წარმოდგენილი ნივთმტკიცებითა და ექსპერტიზის დასკვნებით.

უფრო მეტიც, სწორედ გამოძიების მიერ თვალის დახუჭვა ბევრ, აშკარა შეუსაბამობასა და წინააღმდეგობაზე, გენპროკურატურის ჯიუტი და შეუვალი პოზიცია, რაც უკვე 15 წელია გრძელდება, გვაძლევს იმის უფლებას, რომ ხმამაღლა განვაცხადოთ - გაურკვეველი მიზეზების გამო საქართველოს ხელისუფლებაში დღესაც ბევრს არ სურს სიმართლის დადგენა და საზოგადოების ინფორმირება.

ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ მკვლელობას განსაკუთრებით ბევრი და მხოლოდ ამ სახის დანაშაულისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშნები აქვს. ამ დროს ექსპერტიზა და ნივთმტკიცება შეუვალი არგუმენტია პიროვნების ბრალეულობის დამტკიცების ან უდანაშაულობაში დარწმუნებისთვის. მოწმეების და თვითმხილველების ჩვენებებმა, ნივთმტკიცებებმა და სხვადასხვა სახის ექსპერტიზამ (სასამართლო-სამედიცინო და ბალისტიკურმა) უნდა შეავსოს ურთიერთი და მკვლელობის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები მოგვცეს. სწორედ ეს აკლია "ვუდროფის საქმეს". ამერიკელი ადვოკატი მაიკლ ფულარა საქართველოს გენპროკურატურის გამოძიებლებს განსაკუთრებით ბევრ პრეტენზიას ზუსტად ამ კუთხით უყენებს. უნდა ითქვას, რომ მის ბევრ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი ჯერ კიდევ არ გაუციათ.

## მხოლოდ ფაქტები

ალბათ გახსოვთ, უკვე გარდაცვლილი ამერიკელი მზვერავი "მისხალოვის" საავადმყოფოს მორგში დავტოვეთ. იქ ქართველმა ექსპერტებმა სასწრაფოდ ჩაატარეს ექსპერტიზა და 9 აგვისტოს გვამი აშშ-ის საელჩოს გადასცეს.

იმავე დღეს შორეულ ვაშინგტონში აშშ-ის პრეზიდენტ ბილ ქლინტონთან უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა სადაც გადაწყდა, რომ ვუდროფის ცხედრის გადასასვენებლად თბილისში თავად ცსს-ს დირექტორი ჯეიმს ვულსი უნდა ჩამოსულიყო, რომელიც ამ დროს ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში იმყოფებოდა და შემდეგ რამდენიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, მათ შორის საქართველოსაც უნდა სწვეოდა.

ამერიკის "პირველმა მზვერავმა" ვიზიტი შეწყვიტა და მძიმე მისიით თბილისში გამოფრინდა.

10 აგვისტოს თბილისის აეროპორტში აშშ-ის ცსს-ის ახლად დანიშნული დირექტორის ჯეიმს ვულსის პირადი თვითმფრინავი დაეშვა და შორეულ კუთხეში გაჩერდა.

"ბოინგ 707"-ს ტრაპი სწრაფადვე მიადგეს, თუმცა ქვემოთ არავინ ჩამოსულა. ვულსი თვითმფრინავში დარჩა და "ამერიკის ტერიტორია" არ დატოვა, რათა ეს ერთსაათიანი საუბარი შევარდნაძესთან, ოფიციალურ ვიზიტად არ ჩათვლოდა. რატომ? ალბათ რუსეთი რომ არ გაეღიზიანებინა.

ტრაპთან შაი "გაზ-31" და საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სამთავრობო დაცვის სამმართველოს კუთვნილი რამდენიმე ავტომობილი გაჩერდა. წესისამებრ ჯერ დაცვის ბიჭები გადმოხტნენ და პოზიცია დაიკავეს. ფრთხილობდნენ. არეული დრო იყო. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოვიდა "გაზ-31" ორი კაცი. თეთრთმიანი, ოდნავ ბეჭებში მოხრილი პიროვნების ცნობა შორი მანძილიდანაც იოლი იყო – ის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახლემწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. მეორე კი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ახალგაზრდა თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი იყო. ამ არორდინალურ შეხვედრას ესწრებოდა აშშ-ის ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი. ჯეიმს ვულსს ვუდროფის მკვლელობის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს, რითაც საგონებელში ჩააგდო შევარდნაძე.

ვულსის თვითფრინავით ცხედარი ჯერ ფრანკფურტში გადაასვენეს, იქიდან კი აშშ-ში. "ბოინგ-707" "ენდრიუს" სამხედრო-საზღვაო ბაზის ასაფრენ ზოლზე დაჯდა. ვუდროფის ცხედარს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ორმოცი ყველაზე მაღალჩინოსანი თანამშრომელი დახვდა. მათ შორის იყო ალბათ ამ მკვლელობის დეტალებში ყველაზე კარგად გარკვეული პიროვნება – ოლდრიჩ ეიმსი.

ვუდროფი ვაშინგტონში, არლინგტონის მემორიალური სასაფლაოს შორეულ კუთხეში დაკრძალეს. მისი გვარი კი, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შტაბ-ბინის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ თანამშრომელთა ხსოვნის სპეციალურ კედელზე ამოტვიფრეს.

აშშ-ის მთელი ისტორიის მანძილზე თავდასხმებისა და ტერაქტების შედეგად 300-მდე დიპლომატი მოკლეს, მათგან ნახევარზე მეტი 1965 წლის შემდეგ. აქედან რამდენი იყო "სუფთა" დიპლომატი და რამდენი დიპლომატის საფარქვეშ მოქმედი მზვერავი, კვლავ საიდუმლოა.

## ქართველი ექსპერტების დასკვნა

ერთად გავეცნოთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგებს და მერწმუნეთ, რიგითი მოქლაქისთვისაც კი, ბევრი რამ გახდება ნათელი. ჯერ ოფიციალური გამოძიების ვერსიას მივყვეთ.

ქართველი ექსპერტების დასკვნით ვუდროფს ტყვია შუბლში მარჯვენა თვალს ოდნავ ზემოთ მოხვდა და შემაჟალი ხვრელი მარჯვენა წარბის ზემოთ შუბლის არეში იყო, ხოლო გამომავალი კეფაზე, რა დროსაც დაიმსხვრა თხემ-ხუფის არე. (იხ. სურათი, სადაც ამ ვერსიის თანახმად ტყვიის ტრაექტორია ისრითაა ნაჩვენები). იმის ახსნა, თუ როგორ მოხვდა უკნიდან ნასროლი ტყვია ვუდროფს შუბლში, მოწმის მ.კ.-ს ჩვენებებშია. ეს ქალბატონი ამტკიცებს, რომ მან და ვუდროფმა გზაზე მდგარ შეიარაღებულ პირებს თვალი გააყოლეს და მათკენ შემოტრიალდნენ. გამოძიებამ ეს ვერსია უტყუარად ჩათვალა და სასამართლო პროცესზეც, რომელიც 1994 წლის დასაწყისში გაიმართა, ბრალდების მხარის მთავარი არგუმენტი იყო. ამ ვერსიაზეა აგებული ანზორ შარმაიძის ბრალდების მთელი საქმე.

## ამერიკელი ექსპერტების დასკვნა

ამის პარალელურად 11 აგვისტოს აშშ-ში ბეთესდას საზღვაო ჰოსპიტალში ვუდროფის გვამის პათანატომიური გამოკვლევა ჩატარდა. ამერიკელ ექსპერტებს ხელთ ბონელი სპეცაგენტის დასკვნა ჰქონდათ. სწორედ აქედან იწყება კითხვის ნიშნები ამ საქმეში. ამერიკელებმა უახლესი კრიმინალისტური ტექნიკის გამოყენების შედეგად დაადგინეს უმთავრესი – ვუდროფის თავში მარჯვენა თვალიდან ოდნავ ზემოთ არსებული ჭრილობა გამომავალი იყო და არა შემავალი!

უკვე 12 აგვისტოს ამერიკელმა პათანატომებმა გააკეთეს კატეგორიული დასკვნა - ტყვიამ ვუდროფის თავის ქალის უკანა მხრიდან, ზემოდან ქვემოთ მიმართული ტრაექტორიით იმოძრავა! (იხ. სურათი).

ეს იყო ერთადერთი ნასროლი ტყვია, რომელიც ვუდროფს მოხვდა. მას სხეულის სხვა დაზიანება არ აღენიშნებოდა.

აქედან გამომდინარე ერთადერთი ტყვია ვუდროფს თავის ქალის ზემო ნაწილში მოხვდა და შუბლიდან, წარბის ოდნავ ზემოდან გამოვიდა. ამერიკელების ეს დასკვნა თავდაყირა აყენებს საქართველოს გენპროკურატურის გამომძიებლებისათვის ვუდროფის გვერდით მჯდომი მოწმის მ.კ.-ს მიცემულ ჩვენებას.

ასე, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით არსებობს, ორი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნა. ამ სპეციფიურ დეტალებში გარკვევის მიზნით აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს, რომელმაც დიდი ხანი იმუშავა პროკურატურის ორგანოებში. გასაგები მიზეზების გამო მან საკუთარი ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

<u>- თუ იცნობთ ვუდროფის მკვლელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს?</u>

- ძირითადად იმ მასალებით, რომელიც თქვენ გადმომეცით და რასაც პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში გავეცანი. მე იმ დროს სხვა საქმეებზე ვმუშაობდი, ამიტომ არ ვიყავი ჩართული და ამ საქმის ექსპერტიზაში არ მიმიღია უშუალო მონაწილეობა.

<u>- ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი მკვლელობის დროს რა უფრო მნიშვნელოვანია – მოწმეების ჩვენება და თუნდაც დანაშაულის აღიარება, თუ ობიექტური ექსპერტიზის დასკვნა?</u>

- ზოგადად გამოძიებისთვის ორივე მნიშვნელოვანია. თუმცა მოწმემ, რამდენადაც არ უნდა გაყალბოს ჩვენება, ხოლო ეჭვმიტანილმა ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, "აღიაროს" დანაშაული, თუ არ მოხდა ნივთმტკიცების და ექსპერტიზის დასკვნის გაყალბება, სიმართლე მაინც დადგინდება. ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ დანაშაულს აქვს, რამდენიმე უტყუარი ფაქტობრივი მტკიცებულება, რომლის შეცვლაც მოწმეთა ჩვენებებს არ ძალუძთ. ესაა: ჭრილობის ხასიათი და შემავალ-გამავალი არხის დაფიქსირება; ტყვიის გულის ან მისი ფრაგმენტის მოძიება და მისი დეფორმირების შესატყვისობა გარდაცლილის ჭრილობასთან; გასროლის მომენტში დაზარალებულის და მოწმეთა ადგილმდებარეობა; ტყვიის გულის მიერ დატოვებული კვალი ("ტრასა") ავტომობილში; იარაღის სისტემის და ტიპის დადგენა და ა.შ. ასე,რომ ობიექტურ კრიმინალისტურ ექსპერტიზას ძალუძს გააბათილოს მოწმეთა ცრუ ჩვენებები.

<u>შემავალი და გამომავალი ჭრილობის დადგენას რამდენად განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისთვის?</u>

სროლის მიმართულების, მანძილის და იარაღის ტიპის განსაზღვრისათვის აუცილებელია ჭრილობის შემავალი ხვრელის, ჭრილობის არხის და გამომავალი ხვრელის დადგენა. გამომავალი ნატყვიარი შემავალზე ხშირად უფრო დიდია, იმიტომ, რომ ბრუნვის დროს გულა აფართოებს გამავალ არხს.

ქართველი ექსპერტების მიერ გადაღებულ ფოტოებზე შუბლის არეში მარჯვენა თვალს ზემოთ არსებული ჭრილობა მართლაც უფრო პატარა ზომისაა, ვიდრე გარდაცვლილის კეფაზე არსებული ჭრილობა. შესაძლებელია ამითაც იხელმძღვანელეს ჩვენმა ექსპერტებმა, მაგრამ მხოლოდ ჭრილობის ხვრელის სიდიდით არ შეიძლება შემავალი და გამომავალი ჭრილობების განსაზღვრა.

<u>ჭრილობის თანმდევი ფაქტორები რამდენად ღირებულია გამოძიებისთვის?</u>

-ცეცხლსასროლი იარაღით (მით უმეტეს ავტომატურით) მიყენებული ჭრილობის შედეგად წარმოქმნილი დაზიანებები – სისხლი და ტვინის მიკრონაწილაკები რამდენიმე მეტრის რადიუსში (როგორც მოწმეები აცხადებენ თუ "ნივის" წინა ფანჯრები ჩაწეული იყო, მაშინ გზაზეც) დატოვებდა კვალს.

ვუდროფის სისხლი და ტვინის ნაწილაკები (რომლითაც, როგორც გამოძიება ამტკიცებს მოსერილი იყო მანქანის სალონი) უნდა ყოფილიყო მგზავრების თმაზე, სახეზე, სხეულზე და ტანსაცმელზე. ეს ძალაზე მძიმე სანახავი იქნებოდა. ერთ-ერთი მოწმე მ.კ. გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აცხადებს: "ელდარმა მანქანა გააჩერა. მე გადმოვედი. სისხლის ტბა იდგა.

მე ერთიანად სისხლში ვიყავი მოსერილი. უკან ვეღარ დავუკეცი. წინ დაუკეცი". გამოძიებისთვის უპირველესი მნიშვნელობის ნივთმტკიცება სწორედ მოწმეთა ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო, რომელიც გამოძიებას არ ამოუღია. არადა ამ ნივთმტკიცების ექსპერტიზის შემდეგ დადგინდებოდა არა მარტო ის, იმყოფებოდნენ თუ არა ეს მოწმეები მკვლელობის მომენტში იმ "ნივაში", არამედ ისიც, თუ ავტომობილის სალონში ვინ რა ადგილას იჯდა.

მართლაც გასაოცარია პროკურატურის გამომძიებლების ამგვარ დაუდევრობა.

## ნაჩქარევად დაგეგმილი მკვლელობა?

ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმეში განსაკუთრებით ბევრ კითხვას მოწმეთა არეული ჩვენებები და ბალისტიკურ ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები იწვევს. ისევე, როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროს, ამ შემთხვევაშიც ქართველი და ამერიკელი ექსპერტების დასკვნები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ობიექტურ სასამართლო ბალისტიკურ ექსპერტიზას, რომელიც რეალურ ნივთმტკიცებებს დაემყარებოდა, შეეძლო სინათლე მოეფინა ამ დღემდე საიდუმლო მკვლელობისთვის. თუმცა ყველაფერი პირიქით მოხდა.

როგორც უკვე დავინახეთ გამოძიებას "ზემოდან", პირადად სახელმწიფოს პირველი პირის ედუარდ შევარდნაძისგან ჰქონდა მითითება მიღებული, რომ ამ მკვლელობისთვის "ბრმა შემთხვევის" კვალიფიკაცია მიეცათ და ყოველგვარი პოლიტიკური სარჩული მოეცილებინათ. აქედან გამომდინარე, რჩება შთაბეჭდილება, რომ ყველა ფაქტზე და ნივთმტკიცებაზე, რომელიც ამ ვერსიის საპირისპიროს ამტკიცებდა, არა მარტო თვალი უნდა დაეხუჭათ, არამედ უნდა გაეყალბებინათ კიდეც. მოწმეთა ჩვენებების (გამოძიების ნაკარნახევი თუ თავად მათ მიერვე შეთხზული) მიხედვით ხშირად ხდებოდა სასამართლო-სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგების კორექტირება.

მართლაცდა, როდესაც ამ საქმეს ეცნობი, თანდათან მყარდება ვარაუდი, რომ ამ "მკვლელობის სცენარი" მოწმეების ჩვენებების მიხედვით იწერებოდა, შემდეგ ამის საფუძველზე საქართველოს გენპროკურატურაში ხელოვნურად ქმნიდნენ ნივთმტკიცებებს. ამ აზრს ადასტურებს შემდეგი გარემოებაც.

საქართველოს მთავარი სპეცსამსახურის, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მაშინდელი თავმჯდომარე ბატონი ირაკლი ბათიაშვილი 2004

წელს ერთ-ერთ ინტერვიუში დაუფარავად აცხადებდა, რომ გამოძიების პროცესში ადგილი ჰქონდა ძიების პროცესის არასწორად წარმართვას და ფაქტების შეგნებულ ფაბრიკაციას, კერძოდ, ბათიაშვილის განცხადებით ეჭვმიტანილი ანზორ შარმაიძის აეტომატი სპეციალურად წაიღეს შემთხვევის ადგილზე და იქ მოახდინეს გასროლა, რათა დავარდნილი მასრა შემდგომ "აღმოეჩინათ", როგორც ნივთმტკიცება. მისი სიტყვები სრულ ნდობას იმსახურებს, რადგანაც ბათიაშვილს არასწორი და ნაჩქარევი განცხადებების გაკეთების არანაირი პიროვნული დაინტერესება არ უნდა ჰქონოდა.

ვუდროფის მკველელობის სასამართლო პროცესზე მოწმეების, მათ შორის ბატონი ელდარ გოგოლაძის, ჩვენებები სრულიად იქნა გაზიარებული მოსამართლის მიერ და მათ საფუძველზე გამოუტანეს ანზორ შარმაიძეს გამამტყუნებელი განაჩენი. წლები გაიდა და მოწმეების ვერსია ძირითადად კვლავ გამოძიების ოფიციალური ვერსიის იდენტური დარჩა. რამდენად სარწმუნოა მოწმეთა ჩვენებები?

## შეგნებული ტყუილი თუ უნებლიე შეცდომა?

რამდენიმე წლის წინ მიცემულ ინტერვიუში ერთ-ერთი მთავარი მოწმე გოგოლაძე აცხადებდა, რომ: "მე შემთხვევის ადგილი ვერ მივუთითე. იმდენად იმოქმედა ამ ტრაგედიამ, რომ შემთხვევის ადგილი დაახლოებით მივუთითე და იყო დიდი ცდომილება. შარმაიძემ და იმ ორმა დაკავებულმა თავად მიიყვანეს გამოძიება შემთხვევის ადგილზე". ზოგადად აქ გასაკვირი არაფერია, რადგანაც მკველელობის გამოძიების დროს მოწმე ყველაზე მეტ უზუსტობას უშვებს დროის განსაზღვრის, ადგილ-მდებარეობის მითითების და მოძრაობის სისწრაფის დასახელების დროს. თუმცა ზრდასრული და გამოცდილი ადამიანისთვის ეს უზუსტობები, როგორც წესი ნაკლები უნდა იყოს.

საინტერეოსა "ნივის" სამმა მგზავრმა ზუსტად იცოდა სროლის ადგილი და მასრის პოვნა მალევე რატომ ვერ შეძლეს?

თუმცა აქ შეიძლება იყოს ერთი ობიქტური ხელისშემშლელი ფაქტორიც – თუ მოწმეებს ალკოჰოლური სასმელი მიღებული ჰქონდათ, მაშინ მათ ჩვენებებში ფაქტები, ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო, საკმაოდ არაზუსტი იქნებოდა.

გოგოლაძე გამოძიებისთვის მოცემულ ჩვენებაში აცხადებდა, რომ 8 აგვისტოს მათ ალკოჰოლური სასმელი არ დაულევიათ და სრულიად ფხიზლები იყვნენ. მაშინ ხომ უკეთ უნდა დაემახსოვრებინათ მკველელობის გარემოებები?

ისე კი ძნელად დასაჯერებელია აგვისტოს მშვენიერ კვირა დღეს რომანტიული პიკნიკი მოეწყოთ მომხიბლავ ქალბატონებთან ერთად, და წვეთი სასმელი არ დაელიათ. ბევრჯასო მკითხველო თქვენ როგორ მოიქცოდით?

მეორეგან გოგოლაძე იხსენებს, რომ თბილისისკენ ნელა მოედიოდითო. ალბათ ამიტომაც დაიმახსოვრა "ნივაში" მყოფმა სამივე მოწმემ გზის პირას მდგომი სამი სამხედრო ფორმიანი ასე კარგად, განსაკუთრებით ერთი (მათი შემდგომი ჩვენებით – შარმაიძე), რომელსაც მოკლე სახელოებიანი მეზღვაურის მაისური ("ტელნიაშკა") ეცვა და მათკენ მიმართული "კალაშნიკოვის" ავტომატი ეჭირა.

სწორედ ავტომობილის "ნელა მოძრაობამ" და ანთებულმა ფარებმა ხომ არ შეუწყო ხელი იმას, რომ შემდეგ მოწმეებმა უპრობლემოდ ამოიცნეს შარმაიძე? რამდენად სარწმუნოა, რომ იმ პერიოდში ქვეყანაში უკიდურესად დაძაბული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის დროს, როდესაც დღე არ გავიდოდა, რომ ტერაქტი არ მომხდარიყო და ვინმე არ მოეკლათ, სახელმწიფოს პირველი პირის დაცვაზე მთავარი პასუხისმგებელი ადამიანი მეგობართან და ორ ქალბატონთა ერთად ტრასაზე ნელა მოსერნობდეს?

ამ საკითხში ჩვენი მკითხველის უკეთ გარკვევისათვის სტატიის ავტორი შეხვდა და ესაუბრა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გადამდგარ პოლკოვნიკს, რომელიც თავის დროზე ჯერ შევარდნაძის ესკორტის მოძრაობის კოორდინაციაზე, შემდეგ კი პირადი დაცვის ზოგიერთ საკითხზე იყო პასუხისმგებელი.

"ვინც ძალოვან სტრუქტურებში მსახურობს ან უმსახურია დამეთანხმება, რომ მიუხედავად არანორმირებული სამუშაო დღისა, ყოველი კვირის დასაწყისი, პირველ რიგში ორშაბათი დილა, განსაკუთრებით დაძაბულია და ყველა ცდილობს წინა საღამოსვე ადრევე მივიდეს შინ (თუ "ყაზარმული მდგომარეობა" არ არის გამოცხადებული) და "ფორმაში იყოს".

იმ შემთხვევაში კი, რამდენიმე დამატებითი გარემოების გამო, გოგოლაძეს განსაკუთრებით უნდა ეჩქარა. ჯერ ერთი, ის იყო სახელმწიფო დაცვის სამმართველოს უფროსი და პირადად ევალებოდა სახელმწიფოს პირველი პირის – ედუარდ შევარდნაძის სადღეღამისო დაცვის ორგანიზება და კონტროლი. ამიტომ ის 1993 წლის 8 აგვისტოს ღამესვე, რაც შეეძლო სწრაფად უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მეთაურის გვერდით.

მეორეც, აფხაზეთში ომია, ხოლო დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული დაპირისპირებაა გაჩაღებული გამსახურდიას მომხრეებთან და ამ ვითარებაში "გულაობის" დრო მას სად ჰქონდა?" – კითხვაზე კითხვითვე გვიპასუხა გადამდგარმა პოლკოვნიკმა.

სხვათა შორის მოწმეების ჩვენებების ყურადღებით გაცნობა, კიდევ ბევრ შეუსაბამობასა და არარეალურ სიტუაციაზე მიგვანიშნებს, რასაც თავის დროზე ამერიკელი ადვოკატი მაიკლ ფულარა აღნიშნავდა.

მეორე მოწმე ქალბატონი მ.კ., რომელიც გამოძიების მასალებით ვუდროფის გვერდით იჯდა, მკვლელობის მომენტს შემდეგნაირად იხსენებდა: "გაისმა სროლის ხმა. ეს იყო ერთხელ. ვერც კი გავიაზრეთ თუ რა მოხდა. მინა არ გატეხილა. ყველა ერთმანეთს გამოვეხმაურეთ. ფრედი ჩუმად იჯდა. რალაცნაირად კი შეინძრა. მეგონა გეეხუმრებოდა, თითქოს მოახვედრესო, რადგან ხუმარა კაცი იყო".

მიაქციეთ ყურადღება - მ.კ.-მ სროლის ხმა გარკვევით გაიგო, ისიც რომ ერთხელ ისროლეს. ამის შემდეგ მგზავრები ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. ფრედი კი დუმდა. მხოლოდ მაშინ, დაახლოებით 40-50 წამის შემდეგ დაეჭვდა ეს ქალბატონი და კივილი დაიწყო.

"გააჩერე, გააჩერე ფრედი მოკლეს-მეთქი ვიყვირე. .ელდარმა მანქანა გააჩერა. მე გადმოვედი. სისხლის ტბა იდგა. ფრედი გადმოცურდა და უკანა სავარძელზე წაიქცა. მე ერთიანად სისხლში ვიყავი მოსვრილი" – აგრძელებს მ.კ.

ვუდროფს თავის ქალის მარჯვენა ზედა ნაწილში მასიური ჭრილობა ჰქონდა. მანქანა ერთიანად იყო მოსვრილი ვუდროფის სისხლით, ტვინის ნაწილაკებით და თავის ქალის ნამსხვრევებით. ეს მასა თავში ტყვიის მოხვედრისთანავე გაიფანტებოდა ირგვლივ და ყველა მგზავრს მომენტალურად შეესხურებოდა.

ამიტომ მ.კ-ს, რომელიც თავადაც აცხადებს ერთიანად სისხლში ვიყავი მოსვრილიო და სხვა მგზავრებს, თითქმის ერთი წუთი კი არ დასჭირდებოდათ, არამედ 5-10 წამშივე ეცოდინებოდათ, რომ "ხუმარა ამრიკელი" მძიმედ იყო დაჭრილი.

1993 წლის 9 აგვისტოს გერმანიიდან ჩამოვიდა აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) სპეციალური აგენტი, რომელმაც ძლაზე ინტენსიურად იმუშავა მთელი დღის მანძილზე, ხოლო მეორე დღეს, 10 აგვისტოს უკან გაბრუნდა, რათა 11 აგვისტოს ფრანკფურტის აეროპორტში ვაშინგტონიდან გფბ-ის სპეციალური აგენტთა ჯგუფს შეხვედროდა, რომლებიც თბილისში მოფრინავდნენ და რომლის შემადგენლობაში იყვნენ გამოცდილი ექსპერტები სასამართლო-სამედიცინო და ბალისტიკის დარგში. მათ უნდა ჩაეტარებინათ ბალისტიკური ექსპერტიზა, დაეთვალიერებინათ შემთხვევის ადგილი, აეტომობილი, სადაც მოწმეთა ჩვენებით მკვლელობა მოხდა, აღმოეჩინათ ტყვიის კვალი და ა.შ. ერთი საინტერესო დეტალიც – ამერიკელები იმდენად არ ენდობოდნენ ადგილობრივ გამოძიებას, რომ თარჯიმნებიც (ქართულ და რუსულენოვანი) თვითონ ჩამოიყვანეს.

გფბ-ს ბონის რეგიონული წარმომადგენლობის სპეცაგენტმა საკუთარი მოკვლევის შედეგები გადასცა ვაშინგტონის ჯგუფს. მის მიერ შედგენილ დასკვნაში, რომელიც 1993 წლის 9 აგვისტოთი თარიღდება, რამდენიმე ფაქტი, რომელიც მოწმეთა ჩვენებებიდან განსხვავდება, იპყრობს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. სპეცაგენტი ასკვნის:

1. გოგოლაძე მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც მკვლელობის შემდეგ თბილისში ჩამოვიდაო. გავიხსენოთ - თავად გოგოლაძე დაკითხვისას აცხადებდა, რომ ალკოჰოლური სასმელი არ მიუღია და საკუთარი ფხიზელი ვიყავიო.

2. სპეცაგენტის ბონიდან თბილისში ჩამოსვლისას ვუდროფის სხეული უკვე საკმაოდ გაშეშებულ მდგომარეობაში იყო. აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებს საქართველოს მხარემ აუხსნა, რომ დაახლოებით სამსაათნახევარი საავადმყოფოს ეძებდნენ, სანამ გვამი საელჩოს არ გადაეცათ.

ამ გარემოების გამო სპეცაგენტი ეჭვს გამოთქვამს - გოგოლაძეს, რომელსაც სამსახურებრივად ევალებოდა ამ რეგიონში ყველა საავადმყოფოს ადგილმდებარეობის ცოდნა, ამდენი დრო რატომ დასჭირდაო?

3. სპეცაგენტმა, რომელმაც 9 აგვისტოს ყურადღებით დაათვალიერა და დაწვრილებით აღწერა "ნივა", დასკვნაში ჩაწერა, რომ როგორც მას უთხრეს (ის ალბათ ქართველ ექსპერტებს გულისხმობდა – ბ.ა.) ტყვიამ ვუდროფის თავში მარჯვენა თვალიდან ოდნავ ზემოთ შეაღწია. ამის მიუხედავად არც საფანჯრე მინებზე და არც მანქანის რომელიმე სხვა ნაწილზე ტყვიით დაზიანების კვალი არ აღინიშნებაო. ამის შემდეგ ის ასკვნის – შემთხვევითი გასროლის ვერსია ამ ეტაპზე არარეალურიაო.

ამის შემდეგ აგენტი საკმაოდ თამამ დასკვნას აკეთებს - არსებობს შესაძლებლობა და ვერსია, რომ ვუდროფი მოკლული იქნა მანქანის გარეთ, სადღაც სხვაგან, შემდეგ "ნივაში" მოათავსეს და ეს ისტორიაც მერე შეთხზესო.

როგორც ვხედავთ, ამერიკიდან თბილისში ჩამოსულ სპეცაგენტთა ჯგუფს მათმა კოლეგამ საკმაოდ ბევრი თავსატეხი დაუტოვა. მათ მკვლელობის გარემოებათა კომპლექსური შესწავლა დაიწყეს. პიკნიკის მარშრუტი, დანაშაულის ადგილი, ავტომობილის დათვალიერება და ა.შ.

საბედისწერო "ნივას" მთელი დღე ათვალიერებდნენ და მათ აღმოაჩინეს ის რაც ბონელმა სპეცაგენტმა (რომელმაც უკვე იცოდა, რომ გასროლა უკნიდან განხორციელდა და ნატყვიარი "ნივის" უკანა მინის მიდამოებში უნდა ყოფილიყო და დიდხანს ათვალიერებდა ავტომობილს) რატომღაც ვერ იპოვა!

ეს იყო ნატყვიარის კვალი "ნივის" უკანა საფანჯრე მინის ნიკელის სარტყელსა და მინას შორის მოთავსებულ შავ რეზინაში. ასევე ტყვიის აშკარა კვალი ნიკელის სარტყლის შიდა ნაწილზე.

12 აგვისტოს ამერიკაში ჩატარებულმა პათანატომიურმა ექსპერტიზამ კი დაასკვნა, რომ ტყვია მოხვდა თავის ქალის უკანა მაღალ წერტილში და გამოვიდა შუბლიდან მარჯვენა წარბის ოდნავ ზემოდან. ჭრილობა გამჭოლი იყო, მაშინ სადაა გულა ან მისი ფრაგმენტები, ან რატომ არ დაიჭრა წინ მსხდომებიდან ვინმე?

წლების შემდეგ ამ მკვლელობის მთავარი მოწმე გოგოლაძე აცხადებს: "ტყვიის ნაწილაკები თავიდან და მანქანიდან ამოღებულია გულა ვერ იპოვეს, დანარჩენი ყველაფერი იპოვეს ".

ამ დროს კი საქართველოს გენპროკურატურის გამომძიებლების და ქართველი ექსპერტების მიერ საქმეს ნივთმტკიცებად დართული "ვუდროფის ჭრილობიდან ამოღებული ტყვიის გარსის ფირფიტა" გფბ-ის ბალისტიკურმა ექსპერტებმა ფაულად გამოუსადეგარ ლითონის ფრაგმენტად ჩათვალეს, რომელსაც არანაირი კავშირი არაა აქვს იარალთან. ამ საქმეში მეტი ნივთმტკიცება, გარდა საეჭვო "შარმაიძის ავტომატის მასრისა", რომელსაც შემდეგ დავუბრუნდებით, არ არსებობს.

უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მკვლელობა ნაჩქარევად დაგეგმილს ჰგავს, ნატახტარის ტრასაზე მდგარი შარმაიძე შემთხვევით რომ არ ეპოვნათ, მაშინ სხვისი ძებნა მოუწევდათ, ვისაც ამ საქმეს "აკიდებდნენ". ისიც სავარაუდოა, რომ "ვუდროფის საქმის" გაყალბებაში საკმაოდ ბევრი პიროვნება (გამომძიებიდან და ექსპერტიზიდან) მონაწილეობდა, შესაძლებელია ბევრი მათგანი დღეს ცოცხალიც აღარ არის და სამარეში წაიღეს ეს საიდუმლო.

ვუდროფის მკვლელობის თემის კვლავ წამოწევით გამორიცხული არაა, რომ ამ საქმის მთავარი მოწმეების (პირველ რიგში შარმაიძის) სიცოცხლეს ადრე თუ გვიან საფრთხე დაემუქროს.

## ბალისტიკური ექსპერტიზის მიერ არეული კვალი

ფრად ვუდროფის მკვლელობის საქმის ორი უმნიშვნელოვანესი საკითხის – სასამართლო-სამედიცინო დასკვნის და ბალისტიკური ექსპერტიზის შეჯერების შემდეგ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს შემდეგი ფაქტები:

1. ამერიკელებმა უახლესი კრიმინალისტური ტექნიკის გამოყენების შედეგად დაადგინეს, რომ ტყვიამ ვუდროფის თავის უკანა მხრიდან (კეფიდან) ზემოდან ქვემოთ მიმართული, ფაქტურად პირდაპირი ტრაექტორიით იმოძრავა. ხოლო მარჯვენა თვალის ოდნავ ზემოთ არსებული ჭრილობა გამომავალი იყო და არა შემავალი! აქედან გამომდინარე - ერთადერთი ნასროლი ტყვია ვუდროფს თავის ქალის ზემო ნაწილში მოხვდა და შუბლიდან, წარბის ოდნავ ზემოდან გამოვიდა.

2. ჭრილობა გამჭოლი იყო, მაგრამ ტყვიის გულას ან მისი გარსის ფრაგმენტებს ვერსად მიაგნეს.

3. მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ ნაპოვნი ავტომატის მასრა, რომელიც შარმაიძის წინააღმდეგ ერთადერთი ნივთმტკიცებაა, მაშინაც და ეხლაც სერიოზულ დაეჭვებას იწვევს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს გენპროკურატურის გამომძიებლების და ქართველი ექსპერტების მიერ საქმეს ნივთმტკიცებად დართული "ვუდროფის ჭრილობიდან ამოღებული ტყვიის გარსის ფირფიტა" აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ბალისტიკურმა ექსპერტიზამ ყოვლად გამოუსადეგარ ლითონის ფრაგმენტად ჩათვალეს, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს იარაღთან. აბა ქართველმა ექსპერტებმა საიდან მოიტანეს და რატომ დაურთეს ნივთმტკიცებად ეს ლითონის ფირფიტა? პასუხი თქვენთვის მოგვინდვია.

ბალისტიკური ექსპერტიზის მთავარი ამოცანაა შემთხვევის ადგილზე ნაპოვნ მასრაზე არსებული ნაჭდევის და ტყვიის გულის შესწავლის შედეგად მოახდინოს იარაღის სახეობის, ნიმუშისა და კონკრეტული ეგზემპლარის იდენტიფიცირება და მფლობელის დადგენა. ამ შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქით მოხდა. ჯერ ეჭვმიტანილები დააკავეს, მათ ხელთ არსებული იარაღი მკვლელობის იარაღად გამოაცხადეს და მერე დაიწყეს მასრის ძებნა.

გამოძიებამ, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, რეალური ნივთმტკიცებების გარეშე, შექმნა "ბრმა მკვლელობის", მათი აზრით დამაჯერებელი სცენარი – ტრასაზე მთვრალი ჯარისკაცები დგანან, "ნივის" მგზავრები თვალს აყოლებენ მათ, ისმის გასროლის ხმა და ტყვია ვუდროფს შუბლში მარჯვენა თვალს ზემოთ ხვდება, მისი ტრაექტორიაა ქვემოდან ზემოთ და კეფის მაღალი წერტილიდან გამოდის. იმავე საღამოს აკავებენ ჯარისკაცებს, მათ ერთი აკ-74 აქვთ (თუმცა სხვათა შორის ერთ-ერთი დაკავებული პოლიციის თანაშმრომელი იყო და იმ არეულ დროს იარაღი უნდა ჰქონოდა) მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბალახებში პოულობენ გასროლილ მასრას, "ნივაში" მკაფიოდ ჩანს ნატყვიარი ა.შ.

სასამართლო პროცესის დასკვნით სხდომაზე, რომელიც 1994 წლის 30 იანვარს გაიმართა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ანზორ შარმაიძე დამნაშავედ სცნო ვუდროფის განზრახ მკვლელობაში და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ბრალდების მხარეს სასამართლოზეც ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია ზემოთ მოყვანილი სცენარისთვის. განსასჯელთა დაცვა კი ფორმალური იყო. "განტევების ვაცი" – ანზორ შარმაიძე უკვე შერჩეული იყო მთავარ დამნაშავედ.

## მსროლელის პოზიცია

მოწმეთა ჩვენებით სროლა 12-15 მეტრის დაშორებიდან განხორციელდა. შარმაიძის სიმაღლის კაცს რა კუთხით შეეძლო ესროლა ავტომატი? შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი ვარიანტები:

ა. "მუცლიდან" – ამ დროს სროლის სიმაღლე დაახლოებით 100 სმ-ია;

ბ. "მხარზე მიპჯენით" ამ დროს სროლის სიმაღლე დაახლოებით 120-130 სმ-ია;


გ. "მხარზე მიპჯენით და დამიზნებიო" – ამ დროს სროლის სიმაღლე დაახლოებით 140 სმ-ია.

სამივე შემთხვევაში სროლის ტრაექტორია იქნებოდა ქვემოდან ზემოთ მიმართული, რადგანაც ამ მოდელის "ნივის" სიმაღლე დაახლოებით 165-170 სმ-ია. ხოლო გამოძიების ოფიციალური ვერსიით ავტომობილს ნატყვიარი "ნივის" სახურავის ქვემოთ დაახლოებით 5-10 სმ-ზეა. ამ ვერსიის თანახმად ტყვიამ გახვრიტა ის შავი რეზინი (დაახლოებით 160 სმ სიმაღლეზე), რომელშიც "ნივის" უკანა მინაა ჩასმული (ამ დროს რიკოშეტი გამორიცხულია და ამიტომაც ტყვია მასვილ კუთხეს ინარჩუნებს), ხვდება ვუდროფს შუბლში, გამოდის კეფიდან და შემდეგ აზიანებს "ნივის" ჭერს. თუმცა წლების შემდეგ ამ მკვლელობის ერთ-ერთი მოწმე ე. გოგოლაძე უკვე ამერიკელი პათანატომიის სპეციალისტების დასკვნას იმეორებს: "ფრედის ტყვია მოხვედრილი აქვს კეფაში და გამოსულია შუბლიდან".

მაშინ ამ საქმეში არსებულ მეორე მოწმის მ.კ.-ს ჩვენებებს რა ვუყოთ, სადაც ის ამტკიცებს, რომ ორივე შეეტრიალდით და თვალი გავაყოლეთ შეიარაღებულ ხალხსო? შებრუნებულ ადამიანს ტყვია კეფაში ხომ ვერ მოხვდებოდა?

ჭრილობის ხასიათი და მოწმის ჩვენება რადიკალურად განსხვავდება, მაგრამ გამოძიების ოფიციალური ვერსია, რატომღაც დღესაც ძალაში რჩება.

თუმცა ვინმე, ვისაც ამ საჩოთირო სიტუაციიდან თავის დაძვრენა უნდა, იტყვის - იქნებ გასროლის მომენტში ფრედმა თავის შებრუნება მოასწრო და ამიტომაც მოხვდა კეფაშიო. ორივე ვარიანტის შესაძლებლობის განხილვისთვის აუცილებელია დავადგინოთ მსროლელის პოზიცია და მსხვერპლის ადგილმდებარეობა. სროლის მიმართულება და მანძილი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კონკრეტულად თუ რა კუთხით მოხდა გასროლა და როგორი ტრაექტორია ექნებოდა ტყვიას (იხ. ნახაზი).




A– მსროლელის ადგილი გამოძიების ვერსიით;

B - ადგილი სადაც გამოძიების ვერსიით ტყვიამ "ნივის" უკანა მინის დამჭერი რეზინი გახვრიტა;

F - ტყვია;

C - ჭრილობის შემავალი ადგილი აშშ-ის გფბ-ის დასკვნის მიხედვით;

D - ჭრილობის გამომავალი ადგილი აშშ-ის გფბ-ის დასკვნის მიხედვით;

E - წერტილი, სადაც ჩვენი აზრით ამ ტრაექტორიით ნასროლ ტყვიას "ნივის" ჭერი უნდა დაეზიანებინა;

BD- გამოძიების ვერსიით ამგვარი ტრაექტორია ჰქონდა შარმაიძის ნასროლ ტყვიას;

G - წერტილი, სადაც გამოძიების ვერსიით ტყვიის გულამ "ნივის" ჭერი დააზიანა.

## მსხვერპლის ადგილმდებარეობა

ბალისტიკური ექსპერტიზის მიზანია დაადგინოს სროლის მანძილი, იარაღის კალიბრი, რიკოშეტის ალბათობა და მისი გავლენა ჭრილობაზე; ტყვიის ტრაექტორია, მსხვერპლის ადგილმდებარეობა და ა.შ.

როგორ უნდა მოჯდარიყო ფრედი, რომ "ნივის" სახურავქვეშ გასული ტყვია:

პირველი ვარიანტი - მას შუბლში, მარჯვენა თვალის ოდნავ ზემოთ (გამოძიების ოფიციალური ვერსია) ან მეორე ვარიანტი - კეფაში ზემოდან-ქვემოთ (აშშ-ის გფბ-ის ვერსია) მოხვედროდა?

თვით ავტომობილის მარკას შეუძლია ობიექტურ გამოძიებას ბევრი საინტერესო ცნობა მისცეს. საბჭოთა ავტოწარმოების "შედევრმა" "ნივამ" სახელი გაითქვა, როგორც მოუხერხებელმა, თუმცა ამტანმა "ჯორმა". ამ, ყოველგვარ კომფორტს მოკლებულ მოდელში, თუ უკან ზიხართ რაც არ უნდა ეცადოთ, ვერც მარჯვნივ და ვერც მარცხნივ თავს ბოლომდე ისე ვერ მოაბრუნებთ, რომ უკანა ფანჯრიდან რაიმე დაინახოთ! ეს ფიზიკურად შეუძლებელია!

მკითხველს ვთხოვ, თუ არ დაგეზარებათ და ექსტრემალური განცდების მოყვარული ბრძანდებით ჩაჯექით "ნივის" (ექსპერიმენტის სიზუსტისთვის აუცილებლად ძველი ე.წ. "1600" მოდელი უნდა იყოს, რადგანაც შემდგომ წლებში "ნივის" შიდა კონფიგურაცია ოდნავ შეიცვალა) უკანა სალონში, ამ ექსპერიმენტის დროს ლამაზი მანდილოსნის გვერდით ყოლა მთლად სასურველი არ არის, რადგანაც შესაძლებელია ყურადღება გაგეფანტოთ, და შეეცადეთ "ნივის" უკანა ფანჯრიდან თვალი გააყოლოთ გზის მარჯვენა მხარეს მდგომთ და სურათზე ნაჩვენები ტრაექტორიით ნასროლი ტყვია შუბლში "მიიღოთ". რაც არ უნდა მოინდომოთ ამას ვერ შეძლებთ.

აქ ერთი გარემოებაცაა გასათვალისწინებელი - ეუდროფის სიმაღლე. მისი ტანის კაცი საკმაოდ მოუხერხებლად იჯდებოდა უკანა სავარძელზე, რადგანაც თავი ფაქტიურად ავტომობილის ჭერის "აბიკისთვის" უნდა მიებჯინა! მაშინ, უკან მობრუნებულიც ვერაფერსაც ვერ დაინახავდა. რა

გამოდის - ფრედის თვითონ უნდა ეძებნა მოხერხებული ადგილი, რათა ტყვია "კარგად" მოხვედროდა? ასე, რომ უკან მობრუნების და შუბლში ტყვიის მოხვედრის ვერსია უნდა გამოირიცხოს სულ მცირე ორი მიზეზის გამო:

1. უკან სკამზე მჯდომი მგზავრი ისე ვერ შემოტრიალდება, რომ ვუდროფის ჭრილობის მსგავსი დაზიანება მიიღოს;

2.მაღალი კვალიფიკაციის მიუკერძოებელმა ამერიკელმა პათოლოგანატომებმა დაადგინეს, რომ სასიკვდილო ტყვია ფრედს უკნიდან – კეფაში მოხვდა და არა წინიდან შუბლში.

იმ საბედისწერო დღეს ფრედი და მისი მეგობრები საკმაოდ შეზარხოშებულები იყვნენ, კარგ გუნებაზე გახლდნენ და სულაც არაა გამორიცხული ფრედის თავი მის გვერდით მყოფი ქალბატონის მხარზეც ჩამოდო, ან 3-4 საათის ნამგზავრ და დაღლილს, სავარძელში ღრმად ჩაშვებულს, ჩასძინებოდა კიდეც. ამ შემთხვევაში უკანა მინის სალტის დამჭერ რეზინაში გასული ტყვია, რომლის ტრაექტორია ქვემოდან ზემოთ იყო, ვუდროფს საერთოდ არ მოხვდებოდა.

ამასთან დაკავშირებით მკითხველს საინტერსო ვერსია მინდა შევთავაზო:

გამომდინარე იქიდან, რომ "ნივა" -1600- ში უკანა მინასა და უკანა სავარძელზე მჯდომ მგზავრს შორის დაცილება დაახლოებით 25-30 სმ-ია. ნახაზზე მოცემული კუთხით გასროლილ ტყვიას ამ მანძილის დაფარვის შემდეგ, უნდა გაეხვრიტა ავტომობილის სახურავი და ზემოთ ასულიყო. ამ შემთხვევაში ტყვია ყველას ასცდებოდა და ვუდროფი დღესაც ცოცხალი იქნებოდა.

ტყვია ფრედს იმ შემთხვევაში მოხვდებოდა თუ ის საბარგულში იჯდა. არ მგონია საჰატივცემულო ამერიკელი სტუმარი, რაც არ უნდა შეზარხოშებული ყოფილიყვნენ, "ნივის" საბარგულში ჩაესვათ.

ასე, რომ გამოძიების ოფიციალური ვერსია ერთიანად ინგრევა, როცა სროლის ტრაექტორიას, ჭრილობის ხასიათსა და შემავალ-გამმავალი ნატყვიარს ერთმანეთს შევუდარებთ. აბსურდული სიტუაციაა მაშინაც, თუ მკვლელობის მეორე ვარიანტს განვიხილავთ.

თავად განსაჯეთ, ქვემოდან ზემოთ ტრაექტორიით ნასროლი ტყვია (რიკოშეტის გარეშე!) კუდროფს ხვდება კეფის მაღალ ნაწილში, იცვლის მიმართულებას, ეშვება ქვემოთ, სწორი ტრაექტორიით გამოდის მარჯვენა წარბთან და უკვალოდ იკარგება?

თუმცა გამოძიება ამტკიცებს ტყვიის გულის მიერ დატოვებული კვალი ("ტრასა") ჭერზე გაკრულ "აბიკაში" ძალზე მკაფიოდ ჩანს და სახურავიც ქვემოდან შეხნექილიაო, ე.ი. ტყვიის გულა ისევ მაღლა ავარდა? გაუგებარია ტყვიაა თუ რეზინის ბურთი!

სასიკვდილო ჭრილობა გამჭოლი იყო ანუ გამომავალი ხვრელი ჰქონდა და ტყვიის გულას ან მანქანის სალონი უნდა დაეზიანებინა და იქვე გაჩერებულიყო, ან სხვა მგზავრი დაეჭრა და მის სხეულში დარჩენილიყო.

ამ დროს კი, მკვლელობის მეორე დღესვე ბონიდან ჩამოსული გფბ-ის სპეციალური აგენტი 12 საათის მანძილზე გულმოდგინედ ათვალიერებს "ნივას" და დასკვნაში წერს: "მანქანას ნატყვიარი არ აღენიშნებოდა არც მინებზე და არც რომელიმე სხვა ნაწილზე". გამოცდილ ექსპერტს თვალზე ლიბრი გადაეკრა და ავტომობილის სამი დაზიანებიდან (შაჟი რეზინი, "აბიკა" და თუნუქის სახურავის შიდა მხარე) ვერც ერთი ვერ შეამჩნია?

ტყვიის ამგვარი ტეხილი ტრასა იმდენად დაუჯერებელია, რომ ამერიკელი ადვოკატი მაიკლ ფულარა დარწმუნებულია, რომ ეს ნატყვიარები მკვლელობის შემდეგ სასამართლო პროცესის დაწყებამდე ხელოვნურად შეიქმნა. ხოლო მკვლელობა ამ "ნივაში" არ მომხდარა. ზემოთ მოტანილი ფაქტების შემდეგ მართლაც ძნელია ჩვენც არ გაგეიჩნდეს სერიოზული დაეჭვების საბაბი.

## "დამნაშავის" ძიებაში

ქვემოთ იმის შესახებ მოგითხრობთ, თუ როგორ შეარჩიეს მთავარი "დამნაშავე" შარმაიძე და რა მეთოდებით "ამუშავებდენ" სხვა მოწმეებს.

საქმის გაცნობისას თვალში საცემი ხდება, რომ გაშოძიების მსვლელობისას მოწმეთა ჩვენებები და ნივთმტკიცებები "ერგებოდა" მთავარ ბრალდებულად შერჩეული ანზორ შარმაიძის პიროვნებას.

სამი ეჭვმიტანილიდან რატომ შეარჩია გამოძიებამ მაინც და მაინც შარმაიძე?

გავიხსენოთ – 1993 წლის 11 აგვისტოს თბილისში აშშ-ის გამოძიების ფედარალური ბიუროს (გფბ) ექსპერტთა ჯგუფი ჩამოვიდა. ისინი 13 აგვისტოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო და ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმის ობიექტურ გამოძიებაში ყოველგვარი თანადგომა ალუთქვა. ამ დროს კი საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფს უკვე გამზადებული ჰქონდა მკვლელობის სცენარი (ამ ეტაპზე უცნობია კონკრეტულად რომელი თანმდებობის პირი ხელმძღვანელობდა ამ სცენარის შედგენას). მკვლელობის მთავარი მოტივი ("ბრმა შემთხვევა") უკვე მოფიქრებული იყო, საჭირო იყო უშუალო შემსრულებლის პოვნა, მოწმეებისთვის საჭირო ჩვენებების ჩამორთმევა, ბოლოს კი ნივთმტკიცებებისა და ექსპერტიზის დასკვნების "დალაგება" მოწმეთა ჩვენებების მიხედვით. შემდგომი მოვლენები სწორედ ამ თანმიმდევრობით განვითარდა.

9 აგვისტოს გამომძიებლებმა სამეულს (შარმაიძეს, ბედოიძეს და ბერბიჭაშვილს) ახსნა-განმარტება დააწერინეს. ყურადღება მიაქციეთ – ამ დროს კანონის მოთხოვნა ფორმალურად დაცული იყო და სამივემ ცალ-

ცალკე ოთახში დაწერა ახსნა-განმარტება. გამოძიების იმედგასაცრუებლად ისინი წინა დღეს მომხდარ მკვლელობაში ყოველგვარ მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფდნენ. შეიძლება ვინმემ იკითხოს - დამნაშავე უარყოფდა, აბა რას იზამდაო? მაგრამ მათ მიერ მოთხრობილი რომ დეტალურად ემთხვეოდა?

მაშინ რა გამოდის, ისინი წინასწარ შეთანხმებით მოქმედებდნენ, დაეგმეს ეუდროფის მკვლელობა, ხოლო 8 აგვისტოს მთელი დღის მოქმედებები –სად იყვნენ, სად იქეიფეს, ვის შეხვდნენ, რა გააკეთეს, ავტომატი სად გაისროლეს და ა.შ. წინდაწინ შეათანხმეს? ეს ხომ ყოვლად უაზრობაა.

ამის შემდეგ სამივე საქართველოს შსს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკნებში გადაჰყავთ და გვერდით გამოცდილ "ნასედკებს" უსვამენ. ჩანს, რომ პოლიციელებმა "კარგად" იმუშავეს, რადგანაც რამდენიმე დღეში, კერძოდ კი 14 აგვისტოს, სამი ეჭვმიტანილიდან ორმა (ბედოიძემ და ბერბიჭაშვილმა) პირველი ჩვენება შეცვალა, ხელი შარმაიძეს დააღო და ეუდროფის მკვლელად დაასახელა.

16 აგვისტოს შარმაიძე დაკითხეს, თანაც "საიდუმლოდ" გაუმხილეს – შენმა მეგობრებმა ხელი შენ დაგადეს და ტყუილად ჯიუტობ, მკვლელობა აღიარეო. შარმაიძე მაინც უარზე იყო. მაშინ კი მის გამოსატეხად წამების ცნობილი "ჩეკისტური მეთოდი" – ე.წ. "ლასტოჩკა" გამოიყენეს, რომელსაც ჯერ კიდევ 1930-იან წლებში თბილისის ციხეებში ბერიას ჯალათები ხაზანი, პარამონოვი და სავიცკი იყენებდნენ საქართველოს ინტელიგენციის წამების დროს.

თავად შარმაიძე სასამართლო პროცესზე დაწვრილებით მოჰყვა თუ როგორ მიიღეს მისგან აღიარებითი ჩვენება:

"პირზე აირწინაღი გამიკეთეს, ხელებზე ბორკილები დამადეს, რკინის მილი მკლავებს შორის გამიყარეს და ჩამომკიდეს". ამ დროს ადამიანი აუტანელ ტკივილს განიცდის. თუმცა შარმაიძეს ესეც არ აკმარეს და რეზინის ხელკეტით დაუწყეს ცემა. 21 წლის ჯარისკაცი იძულებული იყო "დანაშაული" ელიარებინა.

მავანმა შეიძლება იკითხოს - ხომ შეიძლება შარმაიძემ დანაშაულის დაფარვის მიზნით ეს ყველაფერი მოიგონა და შეთხზა? საესებით დასაშვებია. თუმცა

ამ მოვლენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ამერიკის მხარემ შეწყვეტილი გამოძიება განაახლა, თბილისში გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეციალური აგენტი დელ სპრი მოავლინეს. ამერიკელი ციხეში შეხვდა და ესაუბრა შარმაიძეს და მალევე დაასკვნა: "შარმაიძესთან შეხვედრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს მისი გაკეთებული არ არის. მისი "აღიარებითი" ჩვენებების ვიდეოფირიც ვნახე, სადაც ის სასტიკად იყო ნაცემი" – განაცხადა

შემდეგ ერთ-ერთი ამერიკული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში დელ სპრიმ.

რაში დასჭირდებოდა ამ ამერიკელს ტყულის თქმა? ის ხომ შარმაიძის არც ნათესავი არის და არც მეგობარი?

შარმაიძის აღიარებითი ჩვენების ოქმში ერთი პატარა დეტალია დაფიქსირებული, რომელიც ჩვენი აზრით გამოძიების მიერ შეგნებულადაა ნაკარნახევი, თუ რა მიზნით ამას ოდნავ ქვემოთ ავხსნით. ჯერ შარმაიძის ჩვენების ერთ, ძალზე საინტერესო მონაკვეთს გავეცნოთ:

*“ მარჯვენა ხელში მეკავა ჩემი ავტომატი “აკს” 5,45 კალიბრის და ერთჯერ გავისროლე ჩავლილი “ნივის” მიმართულებით. “.*

გასაკვირია, ავტომატური იარაღის კალიბრი რამ გაახსენა კაცს, რომელიც ადამიანის მკვლელობას აღიარებდა? განა ვინმესთვისაა სიახლე, რომ აკ-74 (მათ შორის “აკს”-იც, სადაც ასო “ს” ავტომატის დასაკეცი კონდახის აღმნიშვნელია) სწორედ ამ კალიბრის ვაზნებს ისვრის? ან რა აუცილებლობა იყო ჩვენებაში იარაღის კალიბრის აშკარად კონტექსტიდან ამოვარდნილი დაფიქსირება? რა მნიშვნელობა ჰქონდა ვუდროფს 5,45 კალიბრის ვაზნით მოკლავდნენ თუ 7.62?

არ იჩქარო მკითველო, სწორედ ამ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალზეა შემდეგ შეგნებულად აგებული გამოძიების ის ვერსია, რომლის გამოც ტყვიის გულა ნაპოვნი არაა და ეს საქმე დღესაც სერიოზულ ეჭვებს იწვევს.

ჯერ მოკლედ იმ განსხვავებას შევეხოთ, რაც “აკმ-47” და “აკს-74” ახასიათებთ. ეს უპირველესად ვაზნის კალიბრია, პირველი 7,62 მმ ვაზნით (იწონის 16,2 გრამს), ხოლო მეორე – 5,45 მმ ვაზნით (იწონის 10,2 გრამს) კომპლექტდება. 6 გრამით სიმსუბუქის გამო “აკს” ნაკლები უკუდარტყმა აქვს, ხოლო ვაზნა უფრო შორ მანძილზე აღწევს.

გავრცელებულია შეხედულება, რომ 5,45 მმ ვაზნა “მოხეტიალეა” და მსხვერპლის სხეულში მოხვედრისას თუ წინააღმდეგობას (მაგ. ადამიანის ძვალს) წააწყდა, მიმართულებას იცვლის და ადამიანს გაცილებით მძიმე ჭრილობას უტოვებს, ვიდრე 7,62 მმ ვაზნა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ “მოხეტიალე” ვაზნის ეს თავისებურება ყოველთვის არ ფიქსირდება.

გამოძიების ოფიციალური ვერსიით ტყვიის გულა იმიტომ ვერ აღმოაჩინეს, რომ სრულიად დაიშალა. ამის დასამტკიცებლად ის არგუმენტი მოაქვთ, რომ შარმაიძის ავტომატის 5,45 მმ კალიბრის ვაზნა იყო, თანაც თავი ჰქონდა გადაჭრილი და ვუდროფის თავის ქალის ძვლებთან შეხების შემდეგ მოძრაობის ტრაექტორია ასეთი ტეხილი აღმოჩნდა და ფრაგმენტებად დაიშალა.

ამიტომაც ხომ არ ჩნდება საქმეში მოგვიანებით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი “აკს-74”, რომლის ვაზნებიც 5,45 მმ-ია (ზოგჯერ “მოხეტიალე”) კალიბრისაა, განსხვავებით უფრო ძველი მოდელის “აკ-47”

7,62 მმ ვაზნებისგან? ან თუნდაც შარმაიძის უადგილო "მინიშნება" ტყვიის კალიბრზე?

ტყვიის გულამ იმდენი "იხეტიალა", რომ საბოლოოდ გაუჩინარდა? საბოლოო შეფასება თქვენთვის მოგვინდია.

ჩვენ კი ის შეგვიძლია განვმარტოთ, რომ თავის ქალის მკვრივ ძვლებს მოხვედრილი ფრაგმენტებად დაშლილ ტყვიის გარსი, რომელიც ჭრილობის არხში გაივლიდა, ობიექტური მიზეზების გამო, გაცილებით დიდ გამომავალ ნაჭრილობევს (ხვრელს) დატოვებდა ვიდრე ფრედ ვუდროფს შუბლზე აღენიშნებოდა. ესაა ობექტური რეალობა, რომელსაც მოწმეთა ჩვენებებით ვერ შეცვლი.

## სად მიდის ვუდროფის მკვლელობის კვალი?

1993 წლის გვიან შემოდგომაზე თურქეთის ერთ-ერთ კურორტზე, ამერიკის დაზვერვის ეგიდით ჩატარდა ნარკოტიკების ტრანზიტის წინააღმდეგ მიმართული შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ამერიკის დაზვერვის მაღალჩინოსანი ოლდრიჩ ეიმსი იყო. საინტერესოა, რომ ეს კონფერენცია თბილისში უნდა გამართულიყო და ეიმსი ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად 1993 წლის ივლისის ბოლოს საქართველოში იმყოფებოდა. ის შევარდნაძეს და საქართველოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელებსაც შეხვდა.

ოფიციალური შეხვედრების შემდეგ შემდეგ კი ორმა ამერიკელმა - ეიმსმა და ვუდროფმა. მსიარული პიკნიკი მოაწყვეს ბუნებაში, ყაზბეგთან ახლოს. ვუდროფის საყვარელ ადგილას – ანანურის ციხესთან დიდხანს შეჩერდნენ და მრავალი ფოტოსურათიც გადაიღეს. ისინი 1970-იანი წლების ბოლოდან იცნობდნენ ერთმანეთს. გარდა იმისა, რომ ერთ "კანტორაში" (ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში) მუშაობდნენ, საერთო ისიც ჰქონდათ, რომ ორივე ბახუსისა და ამურის ღმერთებს უდრეკდა მუხლს.

განსხვავება კი უფრო კარდინალური ჰქონდათ - ეიმსი ამერიკელი მზვერავის "ქურქში გახვეული" რუსეთის უმნიშვნელოვანესი აგენტი, ვუდროფი კი, ქართველების დასახმარებლად სპეციალურად გამოგზავნილი ამერიკელი მზვერავი იყო.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ იმავე გზაზე ფრედ ვუდროფს მოკლავენ. უბრალო დამთხვევაა? საეჭვოა.

საქართველოში შექმნილი დაძაბულობისა და ქაოსის გამო კონფერენცია თურქეთში ჩატარდა, სადაც რუსეთის ორი აგენტი ეიმსი (ფარული) და იგორ გიორგაძე (ყველასთვის გაცხადებული) ერთმანეთს შეხვდნენ. საბედისწერო სამკუთხედი: ეიმსი-ვუდროფი-გიორგაძე განგებამ, უფრო სწორედ რუსეთის დაზვერვამ, დროის მოკლე პერიოდში ერთმანეთს დააკავშირა.

თურქეთში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, აშშ-ის, ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, რუსეთის, საქართველოს და სომხეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელები. ეს შეკრება ამ რეგიონში ამერიკის "შემოღწევის" მორიგი მცდელობა უფრო იყო, ვიდრე რაიმე რეალური შედეგების მომტანი. თურქეთის კურორტზე კი მონაწილენი კარგად გაერთნენ, დაისვენეს, ხოლო "კრება დარჩა მხიარული". ვუდროფის მკვლელობის შემდეგ აშშ-ის ადმინისტრაცია სამხრეთ კავკასიაში უფრო ინერციით მოქმედებდა, ვიდრე გამიზნულად.

ეიმსთან თბილისში და თურქეთში შეხვედრებისას ბუნებრივია გიორგაძეს არ ეცოდინებოდა ეიმსის რუსეთის აგენტობა, ვუდროფის მისიაზე საქართველოში კი, სრული ინფორმაცია ჰქონდა. რუსეთის სპეცსამსახურებსაც არ მოსდიოდათ თვალში ვუდროფი. მათ, ეიმსის წყალობით, თავიდანვე იცოდნენ რომ, თბილისში აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური განყოფილების ახალი თანამშრომელი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელი იყო, რომლის მთავარ ამოცანას გარდა საქართველოს სპეცსამსახურებისთვის ყოველმხრივი დახმარებისა, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სამხედრო ბაზების და აგენტურის შესახებ ინფორმაციის მოპოვება წარმოადგენდა.

ვუდროფის მკვლელობას, ჩვენთვის გასაგები მიზეზების გამო, ძირითადად ნარკომაფიასთან ბრძოლას უკავშირებენ. ჩვენი აზრით სინამდვილეში კი საქმე შემდეგში იყო.

ვუდროფი თითქმის 30 წელი კონტრდაზვერვასა და დაზვერვაში მუშაობდა და საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. ამიტომაც მან სწრაფადვე გაშიფრა საქართველოს ხელისუფლებაში (უპირველესად კი: უშიშროებაში, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, პროკურატურაში და მინისტრთა საბჭოში) ლაღად მოქმედი რუსეთის აგენტურა, რაც საბოლოოდ მისი მკვლელობის მიზეზი გახდა. ათასობით კილომეტრიდან ჩვენს დასახმარებლად ჩამოსული კაცი მალევე მიხვდა, რომ ყველა საიდუმლო სამხედრო თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება (უპირველესად აფხაზეთთან მიმართებაში) წინასწარ იყო გაყიდული. ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს სხვადასხვა სტრუქტურებში ჩვენდა საბედნიეროდ მუშაობდნენ პატრიოტი და პროფესიონალი ხალხიც, რომლებთანაც ერთად ვუდროფი მალევე გაერკვა რეალურ სიტუაციაში. მისდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ რუსეთის აგენტურა ფაქტიურად ქვეყანას მართავდა. რუსეთის "მეხუთე კოლონა" ყველა სფეროში იყო ფეხმოკიდებული.

საჭარაუდოდ ეს ინფორმაცია (კონკრეტული გვარების მითითებით) ვუდროფმა თბილისში ჩამოსულ ცსს-ს მაღალჩინოსანს და მრავალი წლის ნაცნობ ოლდრიჩ ეიმსს გაანდო. საფიქრებელია, რომ ეს არაფორმალურ ვითარებაში მოხდა, რადგანაც იმ დროს ვუდროფი ეიმსის საკურატორო სფეროში (ნარკოტრანზიტთან ბრძოლა) მხოლოდ ნაწილობრივ შედიოდა.

ასეა თუ ისე, ეიმსი სრულიად საიდუმლო ინფორმაციას გაეცნო. წარმოიდგინეთ რუსეთის აგენტის შეშფოთება – ვუდროფის შემდგომი მუშაობა პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა მისი პატრონის და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ინტერესებს და აგენტურულ ქსელს. სავარაუდოა რომ, ეიმსმა თბილისშივე შეძლო რუსეთის საგარეო დაზვერვისთვის (ვისთანაც იყო ოპერატიულ კავშირზე) ამ ინფორმაციის გადაცემა. ვუდროფის მოცილება მოსკოვში დაიგეგმა, სცენარი იქ დაიწერა. შემსრულებლები კი საქართველოში იყვნენ.

## ვინ დაგეგმა ვუდროფის მკვლელობა?

ჩვენ ზემოთ ავღნიშნეთ, რომ ვუდროფის საქმის გამოძიება "თეთრი ძაფითაა" შეკერილი, ხოლო თავად მკვლელობა ნაჩქარევად დაგეგმილისა და განხორციელებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ფრედის დის, ჯორჯია ვუდროფის სიტყვების თანახმად, ამერიკელი მზვერავი ძირითადად ეაშინგტონში ცხოვრობდა და საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთ-ორი თვით ჩამოდიოდა. ისიცაა ცნობილი, რომ ვუდროფი 1993 წლის შემოდგომაზე საბოლოოდ უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში და დაწინაურება ელოდა. ფაქტია, რომ 1993 წლის ზაფხულში საქართველოში ყოფნისას მან გაცილებით დიდი საიდუმლო შეიტყო (ან ეჭვი გაუჩნდა) ვიდრე ჩვენს ქვეყანაზე გამავალი ნარკოტიკების ტრანზიტული გზებია.

ამიტომაც მისი სიცოცხლე აშკარა საფრთხეს უქმნიდა ვიღაცას. გადაწყდა სასწრაფოდ ვუდროფის ლიკვიდაციის ოპერაციის დაგეგმვა და განხორციელება.

მკითხველს ერთ "ჩამჭრელ" კითხვას დავუსვამ - სად უფრო იოლია აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ბევრი საიდუმლოების მცოდნე თანამშრომლის მკვლელობა, პოლიციელებით და სპეცაგენტებით ყოველთვის "გაძეძგილ" ეაშინგტონში, თუ იმდროინდელ საქართველოში? ბუნებრივია პასუხი გამოიცანით.

ამიტომაც, ჩვენი ვარაუდით, ვუდროფის მკვლელობის გადაწყვეტილება მოსკოვში სწრაფად მიიღეს და ლიკვიდაციის კონკრეტული გეგმის შესამუშავებლად საქართველოში სპეცჯგუფი მოავლინეს. რუსეთის რომელი უწყება იდგა ამ ოპერაციის უკან? სავარაუდოდ ეს იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური (რომელსაც მაშინ საქართველოს "დიდი მეგობარი", "პლეხანოველი" ევგენი პრიმაკოვი ხელმძღვანელობდა) ან რუსეთის არმიის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო (რომელსაც 1992-1997 წლებში გენერალ-პოლკოვნიკი თეოდორე ლადიგინი ხელმძღვანელობდა).

ასევე შესაძლებელია რუსეთის ორივე სპეცსამსახური ერთობლივადაც მოქმედებდნენ. ორივე სპეცსამსახურს საქართველოში დიდი დასაყრდენი ძალა ჰყავდა. განსაკუთრებით კი სპეცსამსახურებსა და ძალოვან უწყებებში.

## ვინ იყვნენ ვუდროფის მკვლელობის უშუალო შემსრულებლები?

იგორ გიორგაძე ვუდროფის მკვლელობაში პირველად და თანაც ოფიციალურად უშიშროების ყოფილმა მინისტრმა შოთა კვირაიამ დაადანაშაულა. ეს საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1996 წლის 19 ივლისს მოხდა. ამ სტრიქონების ავტორს საშუალება ჰქონდა იმ სხდომას დასწრებოდა და კარგად ახსოვს კვირაიას სენსაციური და ღღეს მიეწყებული გამოსვლა. შევარდნაძის პერიოდში არც ერთ ძალოვან მინისტრს პირდაპირ არ დაუდანაშაულებია რუსეთის სპეცსამსახურები და "რეაქციული ძალები" საქართველოს წინააღმდეგ სადაზვერვო-აგენტურულ საქმიანობაში.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1995 წლის 13 ოქტომბერს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ყოფილმა უფროსმა ირაკლი ბათიაშვილმა თბილისში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ფრედ ვუდროფის მკვლელობაში ღიად დაადანაშაულა რუსეთის სპეცსამსახურები და იგორ გიორგაძეზე, როგორც შემსრულებელზე მიანიშნა. ამ განცხადებამ უცხოური, პირველ რიგში ამერიკის მასმედია, ცოტა არ იყოს დააეჭვა – გიორგაძე მოსკოვში, რომ გაიქცა, იმიტომ ხომ არ ხდება ეს პიარ-კამპანიაო?

1996 წლის ივლისის ბოლოს საქართველოს უშიშროების მინისტრის განცხადება კი უკვე სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციად იქნა გაგებული.

კვირაიას განცხადებით ვუდროფის მკვლელობის და შევარდნაძეზე პირველი ტერაქტის ორგანიზატორი "უცხო სპეცსამსახურების აგენტი" იგორ გიორგაძე იყო. უშიშროების მაშინდელმა მინისტრმა საჯაროდ ეს სპეცსამსახური არ გაშიფრა, თუმცა ქვეყანა კი პირდაპირ დაასახელა და მისი პრეზიდენტი "გააფრთხილა" კიდეც.

ციტატა კვირაიას გამოსვლიდან: "ახლა, ალბათ, დადგა ჟამი, რუსეთის სპეცსამსახურები გაერკვნენ, თუ ვინ უმალავს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს იგორ გიორგაძეს, რა ძალები აფინანსებენ მას, ვინ დგას მის უკან. არ არის გამორიცხული, რომ ამ ბნელმა რეაქციულმა ძალებმა თვით რუსეთის პრეზიდენტზე მიიტანონ იერიში". კვირაიას გამოსვლას შუბლშეჭმუხნილი "დიდი ბაბუ"- ედუარდ შევარდნაძე ყურადღებით უსმენდა და შიგადაშიგ მოწონების ნიშნად თავს უკანტურებდა. მინისტრის მოხსენების დიდი ნაწილი საქართველოში მის მიერ გამოვლენილ უცხო ქვეყნის აგენტებს მიეძღვნა. კაცმა არ იცის, ვინ იყო მართლა აგენტი და ვინ, კვირაიას პირადი მტერი. მოხსენების წაკითხვისას კარგა ხანი გაურკვეველი რჩებოდა, თუ რუსეთის რომელი სპეცსამსახურის აგენტი იყო მაშინ უკვე "მოუხელთებელი იგორი".

კვირაიამ ყველაზე დიდი სიურპრიზი, კარგი დრამატურგივით, მოხსენების ბოლოსთვის შემოინახა, ციტატა მისი გამოსვლიდან:

"დიდ იმედებს ვამყარებთ აგრეთვე ჩვენს რუს კოლეგებზე, ჩვენს მეგობრულ დამოკიდებულებაზე რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურისა და საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელებთან, ბატონებთან ნიკოლოზ კოვალიოვთან და ვიაჩესლავ ტრუბნიკოვთან, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან – ბატონ ანატოლი კულიკოვთან".

თუ ყველა კვირაიას მეგობარი იყო, მაშინ მტერი ვინღა იყო და ვის ემსახურებოდა გიორგაძე? რუსეთის "პაჟარნიკების" აგენტი ხომ არ იყო? გასაოცარი იყო კვირაიას ტაქტიკა რუსეთის ყველა სპეცსამსახური ჩამოთვალა ერთის გარდა და, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, რუსეთის სამხედრო დაზვერვა (გე-რე-უ) არ დაასახელა. ვერ მიხვდებოდნენ თუ?

უფრო გაუგებარი იყო მთავრობის სხდომაზე გიორგაძის რუსი "პატრონების" დამალვა, მაშინ როცა, ცოტა ხნით ადრე, ჯერ კვირაიას უწყებრივმა გაზეთმა "სრულიად არასაიდუმლომ", ხოლო შემდეგ ქართული პრესის "ფლაგმანმა" – "საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნეს სტატია: "ორმაგი აგენტის დასასრული", სადაც იგორ გიორგაძე პირდაპირ იყო დასახელებული "რუსეთის სამხედრო დაზვერვის რეზიდენტად ამერიკავკასიაში (ოპერატიული ფსევდონიმი "მეთექვსმეტე")". მაშინდელ უშიშროების სამინისტროში ეს არ იცმარეს და გიორგაძე იმავდროულად 1992 წლიდან დასავლეთ გერმანიის დაზვერვის აგენტად (ოპერატიული ფსევდონიმი "კომანდორი") "გაშიფრეს". მართლაც ტრაგიკომიკური სიტუაცია შეიქმნა – საქართველოს უშიშროების შეფი ერთდროულად ორი მოწინააღმდეგე სპეცსამსახურის აგენტი ყოფილა. უფრო გაუგებარი და გასაოცარი მოვლენები რამდენიმე დღის შემდეგ განვითარდა, როცა საინფორმაციო სააგენტო "კავკაზ-პრესმა" კვირაიას გამოსვლასა და ამ სტატიაზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნა გააკეთა: ვუდროფის მკვლელობის ორგანიზატორი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი გიორგაძეა, რომელიც მოსკოვში იმალება და ეს მკვლელობაც რუსეთის ორგანიზებულიაო.

## ერთი სცენა "აბსურდის თეატრიდან"

კვირაიას გამოსვლას სამთავრობო სხდომაზე ძალზე დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა მთელს მსოფლიოში. 1993 წლის 27 ივლისს სი-ენ-ენის მოსკოვის ბიურომ უმალ გაავრცელა ამერიკელი მზვერავის მკვლელობის სენსაციური ვერსია.

უცხოურმა საინფორმაციო სააგენტოებმა დღის მთავარ "ნიუსად" გაუშვეს ეს ინფორმაცია. ქართველი მინისტრის სენსაციურ ბრალდებას უმალ გამოეხმაურა რუსეთის ხელისუფლება და რაც ყველაზე მეტად

საინტერესოა, ყველაზე მეტი აქტიურობა რატომღაც რუსეთის საგარეო დაზვერვამ გამოიჩინა, იმ სპეცსამსახურმა რომლის შესახებაც კვირაიამ თავის გამოსვლაში ეპითეტები არ დაიშურა. რუსეთის საგარეო დაზვერვის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის ბიუროს ხელმძღვანელმა გენერალ-მაიორმა იური კობალაძემ აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო "ასოშიეითიდ პრესს" განუცხადა, რომ რუსეთი დაუნდობლად ებრძვის ტერორიზმს აშშ-სა და სხვა ქვეყნებთან ერთად, თანაც სერიოზული სპეცსამსახურები ერთმანეთის აგენტებს უკვე დიდი ხანია რაც აღარ ხოცავენო. ბუნებრივია მხოლოდ მიამიტი თუ დაიჯერებდა ქართველი, მაგრამ გარუსებული კა-გე-ბეს გენერლის ამ მტკიცებას. იური კობალაძე, რომელიც შვიდი წლის მანძილზე იმყოფებოდა სადაზვერვო მივლინებით დიდ ბრიტანეთში, საკმაოდ საინტერესო ფიგურაა და მის ბიოგრაფიას უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ.

მცირე დოსიე:

იური გიორგის ძე კობალაძე დაიბადა თბილისში 1949 წლის 22 იანვარს. 1972 წელს დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი "საერთაშორისო ჟურნალისტიკის" სპეციალობით.

1972 წლიდან ჩაირიცხა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) შემადგენლობაში.

1972-1977 წლებში "საერთაშორისო ჟურნალისტის" საფარქვეშ მუშაობდა სსრკ სახტელერადიო კომიტეტში.

1977-1984 წლებში ხანგრძლივი სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა ლონდონში, როგორც საბჭოთა ტელევიზიისა და რადიოს "ჟურნალისტი".

1984-1991 წლებში მუშაობდა სსრკ სუკ-ის პირველი მთავარი სამმართველოს ცენტრალურ აპარატში.

1991-1999 წლებში იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის ბიუროს ხელმძღვანელი.

1999 წელს მცირე ხნით მუშაობდა რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტასს"-ის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ.

1999 წლიდან დღემდე არის რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო კომპანია "რენესანს კაპიტალის" მმართველი დირექტორი. ძირითადი მოვალეობაა – კომპანიის ლობირება და დადებითი იმიჯის ფორმირება.

რუსეთის "წივილ-კივილი" მოსალოდნელი იყო, მაგრამ გასაკვირი იყო მინისტრ კვირაიას პოზიცია, რომელმაც ერთ კვირაში(!) დიამეტრულად შეცვალა "პირველი ჩვენება" და საუწყებო გაზეთის ფურცლებიდან თავზე ნაცარი წაიყარა და სულ ბოდიშები უხადა და ძმობა ეფიცა რუსეთის სპეცსამსახურებს. საინტერესოა რატომ?

სავარაუდოა, რომ საქართველოს უშიშროების მაშინდელი მინისტრი რუსმა მეგობრებმა "შეახურეს". მოსალოდნელიც იყო – რუსეთის იმპერიული

ამბიციების დასაკმაყოფილებლად მისი ყველა სპეცსამსახური ყოველთვის ერთად და საერთო გეგმით მოქმედებდა და მოქმედებს. ასე რომ გე-რე-უს ვის დააჩაგრინებდნენ? მათ შორის არც რუსეთის ფე-ეს-ბეს, საგარეო დაზვერვისა და შსს-ს ერთგულ მეგობარს.

საქართველოს უშიშროების მინისტრი არ მალავდა განსაკუთრებით თბილ და მეგობრულ დამოკიდებულებას რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებთან. ის პრესაში საიმაყოთ აცხადებდა, რომ რუსეთის "ფსბ"-ს დირექტორებთან ისეთი ახლო მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა, რომ კოვალიოვს და მის მემკვიდრეს პატრუშევს სულ ზეპირად სცოდნიათ კვირაიას კაბინეტი და თურმე ისიც კი, თუ რამდენი და რა ფერის თეჯები ჰყოლია საქართველოს უშიშროების "ფხიზელ" შეფს აქვარიუმში. აქ ვრცელი კომენტარი მართლაც ზედმეტია. თუმცა ის კი გასათვალისწინებელია, რომ კვირაია წლების მანძილზე მუშაობდა რუსეთის შსს-ს სისტემაში (!). ჩვენ კი ის ვიკითხოთ, რა კონტრდაზვერვით და დაზვერვით მოქმედებებზე შეიძლება ლაპარაკი ასეთი "მეგობრობის" დროს?

კვირაიას "ვმირობა" და რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტის "იგორ-16" გამოულენა კი, სავარაუდოდ იმ დიდი გეგმის ნაწილი იყო, რასაც სპეცსამსახურების ენაზე ჩაფლავებული და გაშიფრული აგენტის "ძვლებზე" ახალი აგენტურის კარიერული წინსვლისთვის პირობების შექმნა ქვია. ამას ის ფაქტიც ადასტურებს რომ, კვირაიას მხოლოდ 1996 წელს, იგორის გაქცევიდან კარგა ხნის შემდეგ, "გაახსენდა" გიორგაძის რუსეთის და დასავლეთ გერმანიის აგენტობა. თუ ეს ინფორმაცია ჰქონდა რატომ მალავდა? ის ხომ მანამდე, 1992 წლიდან მოყოლებული ჯერ შსს-ს მინისტრის მოადგილე, შემდეგ ბათიაშვილის პირველი მოადგილე, ხოლო 1993 წლიდან შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. კვირაიას თანამდებობრივად ევალებოდა უცხო ქვეყნის აგენტურის გამოვლენა და არა მათი ოთხი წლით დაფარვა. საინტერესოა, რომ გიორგაძის მხრიდანაც სისტემატიურად ისმოდა კვირაიას შეურაცმყოფელი ეპითეტები. ისე ჩანდა, თითქოს ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ ერთმანეთზე წაკიდებული. რუსეთის ინტერესებისადმი ერთგულება გენერალ-ლეიტენანტ იგორ გიორგაძეს არასდროს დაუმალავს. ამის მიუხედვად ედუარდ შევარდნაძე მას ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნიშნავდა.

საერთოდ გიორგაძე-კვირაიას საჯარო "დაპირისპირება" (ისევე როგორც მანამდე გიორგაძე-ასლან აბაშიძის) რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელების ხშირ ცვლას და "მუდამ ფხიზელი" ბორის ელცინის კარზე გავლენის მოპოვების მცდელობას უკავშირდება. გასაგებია — როცა "პატრონები" ჩხუბობენ, მათი ხელქვეით-"სამეგობროც" დროებით (ხშირად სხვის დასანახავად და თვალის ასახვევად) გადაეკიდება ხოლმე ერთმანეთს. თუმცა, ქართული ანდაზა "ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო" — მაღლევე დადასტურდა.

საგამოძიებო მასალების ანალიზმა და დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებებმა დაგვარწმუნა, რომ ფრედ ვუდროფის მკვლელობის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში კანონის უამრავი დარღვევაა. რაც მთავარია – დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ანზორ შარმაიძეს_ბრალეულობა ობიექტური გამოძიების შედეგად არ იქნა დადგენილი. სხვადასხვა მიზეზების გამო შარმაიძე ალმოჩნდა ის "დამნაშავე", რომელიც ყველას აძლევდა ხელს.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება რომ იყო დაინტერესებული ამ რეზონანსული საქმის უსწრაფესად "გახსნით" და ამერიკელების წინაშე "ქულების დაწერით" გასაგებია, მაგრამ ყველაზე გასაკვირი აშშ-ის ადმინისტრაციის ოფიციალური პოზიცია იყო, რომელიც სრულიად ეთანხმებოდა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის დასკვნებს. ეს მაშინ, როდესაც ამერიკელი ბალისტიკის და პათანატომიის ექსპერტები ქართველი გამომძიებლების დასკვნების აბსოლუტურად საპირისპირო შედეგებზე გავიდნენ.

რატომ? ჩვენი აზრით იმიტომ, რომ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეცაგენტების დასკვნები, ამ უწყების რომელიღაც ზედა იერარქიულ რგოლში იბლოკებოდა. თითქოს ვიღაცის უხილავი ხელი ვაშინგტონშივე ამუხრუჭებდა ვუდროფის მკვლელობის საქმის გახსნას.

ვის არ სურდა ამ საქმის გამოძიება გფბ-ში და რატომ? ამ საკითხში გარკვევა საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ამერიკელი მზვერავის მკვლელობის შემკვეთებისა და შემსრულებლების დადგენა.

დღეს პირველად შემოგთავაზებთ ამ გარემოებების, რომლებსაც აქამდე რატომღაც სათანადო ყურადღება არ მიექცა, ჩვენეულ ანალიზს.

## მიამიტი ამერიკელები?!

ფრედ ვუდროფის მკვლელობის პირველი ვერსია – ბრმა შემთხვევა, თავდაპირველად აშშ-ის ადმინისტრაციამ, არ სურდა რა რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა, შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავალად ჩათვალა.

თვით ამერიკელი მზვერავის მკვლელობის ფაქტი, უკვე იყო აშშ-ის სპეცსამსახურების, უპირველესად კი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს, სერიოზული მარცხი. სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების ფარული და დაუნდობელი ბრძოლა, ხშირად მთავრდება რომელიმე სპეცაგენტის ან ინფორმატორის მკვლელობით, მაგრამ ყველა ცდილობს ეს ფაქტი მიაჩუმათოს და ლეტალური შედეგი უბედურ შემთხვევას ან მოულოდნელ ავადმყოფობას მიაწეროს. ამ შემთხვევაშიც ამერიკელები ცდილობდნენ ვუდროფის მკვლელობის ფაქტისთვის არ მიეცათ პოლიტიკური სარჩული და ღიად დაედანაშაულებინათ რუსეთი. ამის მიზეზი იყო საგარეო პოლიტიკურ ნიუანსებში სრულიად გამოუცდელი აშშ-ის პრეზიდენტ ბილ ქლინთონის მიამიტური იმედი იმისა,

რომ რუსეთს დემოკრატიული განვითარების გზაზე დადგომაში შეუწყობდა ხელს. გავიხსენოთ 1993 წლის რეალური, თუ რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის მიერ ხელოვნურად შექმნილი სამოქალაქო დაპირისპირების რეციდივები რუსეთში. ბილის "მეგობარი" ბორისი რუსი კომუნისტებისგან მომავალი "წითელი საფრთხით" ოსტატურად აშანტაჟებდა ევროპისა და ამერიკის ლიდერებს. ისინიც მილიარდობით დოლარს არ იშურებდნენ თოთო "რუსული დემოკრატიის" გადარჩენისთვის. "ცივი ომი" დასრულდა, რუსეთი და აშშ უკვე სტრატეგიული მოკავშირეები არიან – ხშირად იმეორებდნენ მაშინ.

ამ საყოველთაო ეიფორიის დროს, სადღაც საქართველოში კლავენ ამერიკელ დიპლომატს (აშშ-ის ადმინისტრაციას დღესაც ოფიციალურად არ ულიარებია, რომ ვუდროფი დიპლომატის საფარქვეშ მოქმედი მზვერავი იყო). მთვრალი ჯარისკაცის შემთხვევით გასროლილი ტყვია და უბედური შემთხვევა, მიუხედავად გამოძიების პროცესში აღმოჩენილი საპირისპირო მტკიცებულებებისა, ყველასთვის მისაღები ვერსია გახდა. დიპლომატიური თვალსაზრისით ისინი იმ პრინციპით მოქმედებდნენ, რომ: მკვლელობა უკვე მოხდა, ვუდროფი აღარაა ცოცხალი, "მკვლელი" დაკავებულია, აშკარა სამხილები ხელთ არ გვაქვს, რომ რუსეთი პირდაპირ დავადანაშაულოდ და საერთაშორისო სკანდალის ატეხვა რას მოგვცემსო?

მათი პოლიტიკური ლოგიკა სავსებით გასაგებია, მაგრამ მორალურ მხარე კრიტიკას ვერ უძლებს.

მაშინ ქლინთონმა ვერ გაბედა ქვეყნის შიგნით არსებული მრავალრიცხოვანი (გავიხსენოთ, 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მან ხმათა მცირე უპირატესობით დაამარცხა აშკარა ფავორიტი – ჯორჯ ბუში-მამა) პოლიტიკური ოპონენტებისთვის ეთქვა – რა მოხდა, ჩვენ რუსეთს ვეხმარებით, ისინი კი ჩვენ სპეცაგენტებს ხოცავენ, სამაგიეროდ იმედი გვაქვს, რომ რუსეთში დემოკრატია გაიმარჯვებსო. მაშინვე "ასათიანის ქუჩაზე" გაბოუწერდნენ ფსიქო-პოლიტიკურ საგზურს.

მკვლელობის მომდევნო რამდენიმე თვე აშშ-ის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებდა, რომ ვუდროფის მკვლელობის ფაქტი პოლიტიკური მოტივაციის სფეროდან გამოეყვანა.

თბილისში აშშ-ის ელჩი კენტ ბრაუნი ყველა ინტერვიუში თავგამოდებით ამტკიცებდა ეს უბედური შემთხვევა იყო და "შეთქმულების თეორიას" მხოლოდ უსაქმურები ეძებენო. ისიც უნდა ითქვას, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია ერიდებოდა ედუარდ შევარდნაძის ღია კრიტიკას, რადგანაც იმ პერიოდში "თეთრი მელა" ყველაზე პროდასავლურ ლიდერად ითვლებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელს პოლიტიკურ სივრცეში. ამერიკის ადმინისტრაციის და სპეცსამსახურების ხელმძღვანელები უკმაყოფილებას გამოძიების პროცესისადმი აშკარად არ გამოხატავდნენ. ამერიკელების ეს და სხვა წაყრუების პოლიტიკა ათ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და იქამდე გასტანა,

სანამ ჩვენი ქვეყანა უმძიმეს კრიზისში არ აღმოჩნდა. მერე კი შეფუცხუნდნენ ამერიკელები

ამერიკაში კი, ფრედის დის, ჯორჯია ვუდროფის განცხადებით აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა ვუდროფის ოჯახის წევრები 1993 წლის აგვისტოს ბოლოს საგანგებოდ გააფრთხილეს, რათა ამ მკვლელობის შესახებ არავისთან ესაუბრათ. ფაქტია, რომ დიდი პოლიტიკური მიზნების (რუსეთში დემოკრატიის "გამარჯვების") გამო აშშ-ის ადმინისტრაციამ ვუდროფის მკვლელობის საქმეზე მკაცრი ცენზურა დააწესა.

ამის შედეგად რა მივიღეთ ყველა კარგად ხედავს – 15 წელზე მეტი ციხეში იმყოფებოდა ადამიანი, რომლის ბრალეულობაც სერიოზულ ეჭვებს იწვევს, რუსეთში კი "გამარჯვებული დემოკრატია" ზეიმობს.

## რატომ დაეჭვდნენ ამერიკელები?

ამერიკელმა გამომძიებლებმა და ექსპერტებმა თავიდანვე დააფიქსირეს საქართველოს გენპროკურატურის საგამოძიებო მოქმედებებში ბევრი შეუსაბამობა (ფაქტები ერთს აჩვენებდნენ, გამოძიება კი საპირისპიროს ამტკიცებდა) და დამოუკიდებელი გამოძიება დაიწყეს. თუმცა მისი შედეგები, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მკაცრად გასაიდუმლოებული იყო და შემდგომი მსვლელობა მხოლოდ რუსეთის აგენტ ოლდრიჩ ეიმსის დაკავების შემდეგ მიეცა.

ამის შემდეგაც, ოპერატიული მიზნებით ამერიკელები "ვუდროფის საქმეში" შემთხვევითი მკვლელობის ვერსიას ოფიციალურად კვლავ ადასტურებდნენ. მაგალითად 1994 წლის მარტში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ერთ-ერთ ბრიფინგზე განაცხადა, რომ: "ეს თავდასხმა იყო ძალადობის შემთხვევითი გამოვლინება და არანაირი პოლიტიკური მოტივი არ არსებობდა".

სინამდვილეში ამ დროს ამერიკელებს გამოძიება უკვე განახლებული ჰქონდათ და უფრო მეტი მონდომებითაც იკვლევდნენ ერთ ახალ ვერსიას. როგორც უკვე ავღნიშნეთ ახალ გარემოებად 1994 წლის 21 თებერვალს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლის და იმავდროულად რუსეთის აგენტის ოლდრიჩ ემისის დაკავება იქცა. საეჭვოდ ბევრი დამთხვევა გამოდიოდა:

ვუდროფი და ეიმსი დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს, ვუდროფის მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ეიმსი საქართველოში იყო და მათ ზუსტად იმ ადგილებში მოაწყვეს პიკნიკი, სადაც შემდეგ ამერიკელი მზვერავი მოკლეს და ა.შ. მოკლედ ვუდროფის საიდუმლო მკვლელობამდე მისი და ეიმსის გზები ძალზე საეჭვოდ გადაიკვეთა.

1995 წლის გაზაფხულზე, მაშინ როდესაც შარმაიძეს უკვე მისჯილი ჰქონდა 15 წელი, გფბ-ში ფიქრობდნენ, რომ ჯერ კიდევ დასადგენი იყო ის ადამიანი თუ ადამიანები, ვინც ვუდროფის მკვლელობაში მონაწილეობდნენ.

ოფიციალური პოზიციის ფარულად ამერიკელები დამოუკიდებელ გამოძიებას მაინც აწარმოებდნენ. 1993-1997 წლებში მათ მიერ ჩატარებულმა საგამოძიებო მოქმედებებმა რამდენიმე ტომი შეადგინა. ამ საქმეს გფბ მხოლოდ 2003 წელს მოხსნა გრიფი "საიდუმლო", თუმცა ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის დეტალები (კონკრეტული გვარები, ქვეყნები, ქალაქები და ა.შ) ამ ტომებში სპეციალური საღებავით დაფარეს, რათა წაკითხვა შეუძლებელი ყოფილიყო.

1994 და 1995 წლებში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს და გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები რამდენჯერმე ჩამოვიდნენ თბილისში და ანზორ შარმაიძეს შეხვდნენ.

იმ პერიოდში გფბ-ის აგენტებმა საქართველოში სპეციალურად ჩამოიტანეს "სიცრუის დეტექტორი" და ძირითადი მოწმეები მისი გამოყენებით დაჰკითხეს. ანზორ შარმაიძემ უარი განაცხადა, რაც იმით დაასაბუთა, რომ ის აფხაზეთში იბრძოდა და "დეტექტორზე" მისი პასუხები მცდარ დასკვნამდე მიიყვანდა ამერიკელებს. ამის შემდეგ გფბ-ის აგენტებმა ჩათვალეს, რომ "სიცრუის დეტექტორი" საჭირო აღარ იქნებოდა და გამოძიებაც უნდა შეეწყვიტათ. მართლაც 1997 წლის დასაწყისში აშშ-ის გფბ-ის ცენტრალურ ოფისში მიიღეს გადაწყვეტილება საქმის ძიების შეწყვიტის შესახებ.

ამერიკელები მთავარ მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ გამოძიების გაგრძელებით საფრთხეს შეუქმნიდნენ მათ აგენტურასა და ინფორმაციის წყაროებს საქართველოში. გფბ-ს დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მათი მხრიდან ნებისმიერი აქტიურობა და მკვლელობის საქმის დეტალებში ჩაღრმავება გაშიფრავდა ფარულ წყაროებს და ოპერატიულ-აგენტურული მოქმედებების მეთოდებს. უნდა ითქვას, რომ ეს შიში საფუძვლიანი იყო, რადგანაც 1993 წლის შემოდგომიდან მოყოლებული საქართველოს სპეცსამსახურებში და ძალოვან უწყებებში ყოველთვის იყვნენ მაღალჩინოსნები, რომლებიც რუსეთზე მუშაობდნენ. მათი მოჩვენებითი პატრიოტიზმისა და პროფესიონალიზმის უკან რუსეთის ინტერესების გატარება იმალებოდა. ეს ყველაფერი კარგად იყო ამერიკელებისთვის ცნობილი.

თუმცა ჩვენი აზრით, ამ ლოგიკური მიზეზის გარდა შესაძლებელია არსებობდა სხვა, ფარული მიზეზიც, რომელიც გფბ-ის ცენტრალურ ოფისში მოკალათებულ ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსეთის საგარეო დაზვერვის ყველაზე მნიშვნელოვან აგენტს უკავშირდებოდა.

### რა მიზნით ჩამოვიდა ლუის ფრი თბილისში?

2001 წლის 24 მარტს საქართველოში ყველასთვის მოულოდნელად აშშ-ის გფბ-ის დირექტორი ლუის ფრი ჩამოვიდა ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით. მას ორსაათიანი შეხვდა ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ

შევარდნაძესთან, ასევე შეხვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიას, უშიშროების მინისტრ ვახტანგ ქუთათელაძეს და სხვა ოფიციალურ პირებს. ეს ვიზიტი საყოველთაო ყურადღების ქვეშ იყო, უპირველესად რუსეთის მხრიდან, სადაც ლუის ფრი ასეთივე ვიზიტით 2000 წლის 14 სექტემბერს იმყოფებოდა.

ბუნებრივია ლუის ფრის ვიზიტის რეალური მიზნები საიდუმლო იყო, თუმცა ამ დონის შეხვედრების დღის წესრიგი წინასწარ ყოველთვის თანხმდება ხოლმე. ქართულ მასმედიაში ძირითადად საქართველო-აშშ-ის ერთობლივ ანტიტერორისტულ და ანტიკორუფციულ პროგრამებზე აკეთებდნენ აქცენტს. სწორედ მაშინ გავრცელდა ვერსია, რომ ფრიმ შევარდნაძეს ქართველი მაღალჩინოსნების უცხოურ ბანკებში ფარულად გადარიცხული მილიონობით დოლარის საბანკო ანგარიშების ზუსტი სია გადასცაო. ესეც, რომ ყოფილიყო "თეთრი მელა" იმ სიას კარგად შეინახავდა – ხელქვეითების კომპრომატებით დაშინება ხომ მისი ხელმძღვანელობის სტილი იყო.

სამწუხაროდ დღემდე არავის დაუკავშირებია ერთმანეთთან გფბ-ის დირექტორის მოულოდნელი ვიზიტი, ვუდროფის მკვლელობა და რუსეთის დაზვერვის უძვირფასესი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ჯაშუშის გფბ-ის გამოცდილი თანამშრომლის რობერტ ფილიპ ჰანსენის გამოაშკარავება და დაპატიმრება ვაშინგტონში ამ ვიზიტამდე ერთი თვით ადრე - 2001 წლის 18 თებერვალს. ვუდროფის მკვლელობის საქმის გამოძიებასთან კი ჰანსენს უშუალო შეხება ჰქონდა.

რობერტ ფილიპ ჰანსენი 15 წელზე მეტ ხანს,1985 წლის ოქტომბრიდან 2001 წლის თებერვლის ბოლომდე, ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსეთის დაზვერვის აგენტი იყო. ოპერატიული ფსევდონიმები – "რამონი" და "რამონ გარსია", ჯერ კიდევ ყოფილ საბჭოთა კა-გე-ბეს პირველ მთავარ სამმართველოში (საგარეო დაზვერვა) შეურჩიეს. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ "რამონი" გაცილებით მნიშვნელოვანი აგენტი იყო და მან გაცილებით მეტი ზიანი მიაყენა თავის სამშობლოს, ვიდრე კა-გე-ბეს მეორე ამერიკელმა აგენტმა ფსევდონიმით "ზარი" (ოლდრიჩ ეიმსმა).

"რამონი" გფბ-ის, ხოლო "ზარი" ცსს-ს ყველაზე საიდუმლო დოკუმენტებს გადასცემდა მოსკოვს.

## "მესაფლავე", რომელმაც ყველაფერი იცოდა

მცირე დოსიე: რობერტ ჰანსენი დაიბადა 1944 წლის 14 აპრილს ჩიკაგოში, პოლიციელის ოჯახში. თავად ექვსი შვილი ჰყავდა.

1971 წელს მიიღო "ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის" ხარისხი, "ინფორმაციული სისტემების და ბუხჰალტერიის" სპეციალობით.

1972 წელს მუშაობა დაიწყო ჩიკაგოს პოლიციაში. 1976 წლიდან უკვე გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეცაგენტია. ამ პერიოდიდან ის 25 წლის მანძილზე იყო საბჭოთა და რუსეთის დაზვერვის ექსპერტი.

1978-1981 წლებში მუშაობდა გფბ-ის ნიუ-იორკის ოფისში.

1983 წლიდან მუშაობდა გფბ-ს ანალიტიკურ განყოფილებაში, რომელიც საბჭოთა აგენტურის წინააღმდეგ ოპერაციებს გეგმავდა.

1995 წელს დანიშნეს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურში, რომელიც ფაქტიურად ამერიკის მთავარი კონტრდაზვერვითი სტრუქტურის — გფბ-ის დამოუკიდებელი დანაყოფი იყო. ფაქტიურად ის ხელმძღვანელობდა კონტრდაზვერვით სტრუქტურას, რომელიც მოვალე იყო გამოეველინა უცხო ქვეყნის აგენტურა აშშ-ის დიპლომატიურ კორპუსში და ასევე დაეცვა უცხოეთში მიელინებული ამერიკელი დიპლომატები სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების გადაბირებისაგან.

ჰანსენი ყოველთვის მუქი ფერის კლასიკურ კოსტიუმებს იცმევდა, ამიტომაც კოლეგები ზურგსუკან "მესაფლავეს" ეძახდნენ.

წლების მანძილზე ჰანსენს ხელი მიუწვდებოდა აშშ-ის დიპლომატიური მისიების ფაქტიურად ყველა საიდუმლო დოკუმენტაციაზე. ის არაერთხელ სტუმრებია ამერიკის საელჩოებს სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც სწავლობდა რუსეთის სპეცსამსახურების და აგენტურის მოქმედებების სპეციფიკას. როგორც შემდგომ გაირკვა მის მიერ შექმნილი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით ჰანსენს შეეძლო შეუზღუდავად შესულიყო გფბ-ის და ცსს-ის საიდუმლო ფაილებში. ჰანსენი იყო იმ რამდენიმე ამერიკელ კონტრმზვერავს შორის, რომლებისთვისაც გფბ-ში დახურული კარი არ არსებობდა და ყველა საიდუმლოზე მიწვდებოდათ ხელი.

დადგენილია, რომ რუსეთის დაზვერვას მან გადასცა გფბ-ის მიერ გადაბირებული აგენტების ზუსტი მონაცემები, ინფორმაცია უახლესი ოპერატიული ტექნიკისა და გარე თვალთვალის ჯგუფების მუშაობის სპეციფიური მეთოდების შესახებ, საერთო ჯამში მან საბჭოთა და რუსეთის დაზვერვას გადასცა 6 ათასამდე საიდუმლო დოკუმენტი. აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას განსაკუთრებით დიდი ზიანი რუსების აგენტის ორმა ინფორმაციამ მიაყენა. კერძოდ, 1989 წელს ხანგრძლივი თვალთვალის შემდეგ გფბ-ის სპეცაგენტებმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მოკალათებული საბჭოთა აგენტის ფელიქს ბლოხის დაკავება გადაწყვიტეს. თუმცა ჰანსენმა "ურჩია" რამდენიმე კვირით თავი შეეკავებინათ. ამ პერიოდში, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ ბლოხმა შეძლო ყველა სამხილის და ნივთმტკიცების განადგურება, რის შედეგადაც გფბ-მ მის წინააღმდეგ საქმე ვერარ აღძრა და ბლოხი მხოლოდ სამსახურიდან დაითხოვეს. ასე დაკარგეს აშშ-ს სპეცსამსახურებმა საბჭოთა აგენტურის გამოვლენის კარგი შანსი.

ამერიკელებისთვის არანაკლებ მტკივნეული იყო ჰანსენის მეორე "ჩხვლეტა". როგორც შემდეგ გაირკვა აშშ-ის ორი სპეცსამსახური — გფბ და

ეროვნული უშიშროების სააგენტო, წლების მანძილზე ფარულად თხრიდა გვირაბს ვაშინგტონში მდებარე საბჭოთა კავშირის საელჩოს ქვეშ. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ, რაც რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი დაჯდა, ამერიკელებმა უახლესი მისაყურადებელი ტექნიკა დამონტაჟეს საელჩოს შენობის ქვეშ. თუმცა მათ "შპიონური მოსავლის" აღება არ დასცალდათ.

1980-იანი წლების ბოლოს ჰანსენმა საიდუმლო გვირაბის შესახებ ინფორმაცია საბჭოთა კა-გე-ბეს მიაწოდა. მათაც ოპერატიული თამაში დაიწყეს და დიდი ხნის მანძილზე – 1995 წლამდე, ამერიკელებს დეზინფორმაციით ამარაგებდნენ.

ასე გადაიყარა წყალში ამერიკელთა ფული და შეილახა პრესტიჟი.

15 წელიწადში ჰანსენმა ანაზღაურების სახით 1,4 მილიონი დოლარი მიიღო. ზოგიერთი ინფორმაციით აქედან 800 ათასი დოლარი რუსეთის "მოსტ-ბანკში" დეპოზიტზე იდო წლიური 7%-ით. საინტერესოა, რომ ჰანსენი ბოლო წლებში ძალზე ფრთხილობდა, მას ეშინოდა, რომ რუსეთის დაზვერვის მიერ შვეიცარიის ბანკების გავლით თანხების გადარიცხვა, ადრე თუ გვიან საეჭვო გახდებოდა ამიტომაც მისმა "მოსკოველმა პატრონებმა" ანაზღაურების საკმაოდ ეგზოტიკურ ხერხს მიაგნეს. ვაშინგტონთან მდებარე სხვადასხვა სამალავებში ინფორმაციის ჩადებისას ანაზღაურების სახით ჰანსენს ორი ბრილიანტი ხვდებოდა.

2001 წლის 19 მარტს გფბ ოფიციალურად განაცხადა, რომ ვაშინგტონში ჰანსენის კურატორი იყო რუსეთის საელჩოს პრეს-ატაშე ვალერი ფროლოვი, რომელმაც "რამონის" დაკავების ფაქტის გახმაურებისთანავე დატოვა ამერიკა და მოსკოვში გაემგზავრა.

ჰანსენმა დანაშაული აღიარა და დაიწყო თანამშრომლობა აშშ-ის ხელისუფლებასთან, ამიტომაც 2002 წლის 10 მაისს სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით (შეწყალების უფლების გარეშე) შეუცვალეს.

"თქვენი მეგობარი რამონ გარსია" – ასე ამთავრებდა ჰანსენი რუსეთის დაზვერვისთვის განკუთვნილ წერილებს. მისი ჩავარდნა ნამდვილი შოკი იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის. მაშინდელმა პრეზიდენტმა, ყოფილმა კა-გე-ბეშნიკმა ვლადიმერ პუტინმა პირად კონტროლზე აიყვანა ჰანსენის გამოაშკარავების მიზეზების გამოძიების საქმე, თუმცა მრავალი წელი გავიდა და დღესაც უცნობია თუ როგორ გაიშიფრა რუსეთის აგენტი.

ჰანსენის დაკავებისთანავე გფბ-ის დირექტორ ლუის ფრის განკარგულებით ყველა იმ თანამშრომელს, ვინც გფბ-ში 1994 წლამდე ჩაირიცხა აუცილებლად უნდა გაევლო ტესტირება "სიცრუის დეტექტორზე". სულ 500 სპეცაგენტს მოუწია ამ საკმაოდ რთული პროცედურის გავლა. თუმცა უსაფრთხოების ამ ზომებმა გფბ-ის დირექტორ ლუის ფრის კარიერას ვეღარ უშველა.

როგორც ადრე უკვე აღნიშნეთ გფბ-ის ცენტრალური ოფისის საგამოძიებო მოქმედებები ერთი შეხედვით აუხსნელი და არალოგიკური ცვალებადობით ხასიათდებოდა. "ვუდროფის საქმის" ძიებას ხან განაახლებდნენ, ხანაც შეაჩერებდნენ. 1997 წელს კი საქმე საერთოდ დახურეს. ამ ფაქტმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ლენგლიში, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს შტაბ-ბინაში. არსებული ინფორმაციით შარმაიძე 2000 წელს, უკვე თავად ითხოვდა "სიცრუის დეტექტორზე" დაკითხვას. თუმცა გფბ-ში მაშინ ეს რატომღაც უსარგებლოდ მიიჩნიეს.

ხომ არ ახდენდა "რამონ გარსია" (იგივე რობერტ ჰანსენი) ვუდროფის მკვლელობის გამოძიების საქმეზე გავლენას? ხომ არ უწყობდა ის ხელს "რუსული კვალის" წაშლას?

ამის კატეგორიული გამორიცხვა არ შეიძლება, რადგანაც იმ პერიოდში ჰანსენი აღიარებული იყო საბჭოთა კავშირის და რუსეთის სპეცსამსახურების საუკეთესო სპეციალისტად მთელ გფბ-ში. ამიტომაც ამ თემატიკასთან დაკავშირებული ყველა საქმე აუცილებლად მის ხელში გაივლიდა. ჰანსენსაც თავისუფლად შეეძლო, ფელიქს ბლოხის საქმის მსგავსად, მცდარ კვალზე დაეყენებინა გამოძიება. ჩვენ ვერსიას არაპირდაპირად ადასტურებს გფბ-ის დირექტორის ჩამოსვლა საქართველოში.

ლუის ფრის მოულოდნელმა ვიზიტმა საქმეში ჩახედული ხალხი საკმაოდ გააკვირვა. იმიტომ, რომ იმ დროს ვაშინგტონში უკვე დაწყებული იყო "განტევების ვაცის" ძებნა.

ჰანსენის დაკავებიდან მესამე დღეს - 2001 წლის 21 თებერვალს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საჯაროდ განაცხადა, რომ "ჰანსენის საქმის" გამო დაისჯებოდა ყველა ის ჩინოვნიკი, ვინც დაუდევრობა გამოიჩინა. გარდა ამისა აშშ-ის კონგრესი გფბ-ის დირექტორის ლუის ფრის გადადგომას და სამაგალითოდ დასჯას ითხოვდა, იმ დროს, როდესაც ამერიკაში "ჰანსენის საქმის" გამო უდიდესი სკანდალია ატეხილი, ფრი თბილისში მოიჩქარის, თანაც ორდღიანი ვიზიტით. ობიექტურად ამ ვითარებაში ლუის ფრის ყოფნა ვაშინგტონში უფრო აუცილებელი იყო ვიდრე თბილისში. მით უმეტეს, რომ იქ მისი კარიერის ბედი წყდებოდა. რატომ მიიღო ლუის ფრიმ ამგვარი გადაწყვეტილება?

ამ აბსურდულ სიტუაციას ლოგიკური ახსნა მაშინ მოეძებნება თუ ვივარაუდებთ, რომ გფბ-ის დირექტორი საქართველოში სწორედ ჰანსენის საქმის გამო ჩამოვიდა ანუ მის "კვალს" გამოჰყვა. ის თბილისში ხომ არ ეძებდა ჰანსენის ღალატის დამადასტურებელ ინფორმაციას?

ჰანსენს სამსახურებრივად ევალებოდა აშშ-ის საელჩოების ინსპექტირება იქ უსაფრთხოებისა და საიდუმლოების დაცვის შემოწმების კუთხით. გამორიცხული არაა, რომ ის იმყოფებოდა თბილისში აშშ-ის საელჩოში

1992-2000 წლებში. აშშ-ის საელჩო ამ ინფორმაციის მოწოდებისგან თავს იკავებს.

დავუბრუნდეთ გფბ-ის დირექტორის ვიზიტს, რომლის მეორე დღე ლუის ფრიმ ჩვეულებისამებრ 5 კმ-იანი დისტანციის გარბენით დაიწყო. შემდეგ კი საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ პირებს შეხვდა. შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გფბ მზადაა დაეხმაროს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ასევე ითანამშრომლოს საქართველოს სპეცსამსახურებთან საერთაშორისო ტერორიზმისა და ნარკოვაჭრობასთან ბრძოლაში.

ლუის ფრი შეკვარდნაძეს ორი საათი ესაუბრა და აშშ-ის პოლიტიკური მხარდაჭერა აღუთქვა. მაგრამ ამ განცხადებისთვის აუცილებლად თბილისში ჩამოსვლა იყო საჭირო? იყო თუ არა ამ შეხვედრაზე "ჰანსენ-ვუდროფის" თემაზე საუბარი ძნელი სათქმელია. სავარაუდია, რომ ამგვარი სპეციფიური თემატიკა უფრო მაშინდელ უშიშროების მინისტრ ვახტანგ ქუთათქლაძესთან განხილულიყო.

ლუის ფრი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ერთ თვეში – 2001 წლის 1 მაისს გადადგა პოსტიდან. ეს მოსალოდნელიც იყო. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მისი ვიზიტის დროს გაკეთებული განცხადებები ორი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლობის შესახებ, მხოლოდ ჩამოსვლის ნამდვილი მიზნების შესანიღბად იყო მოფიქრებული.

## წინასწარ დაგეგმილი გაქცევა?

ძნელი სათქმელია შედიოდა თუ არა ამერიკის მთავარი კონტრმზვერავის ლუის ფრის გეგმებში ფრედ ვუდროფის მკვლელობაში ბრალდებულ ანზორ შარმაიძესთან შეხვედრა, ერთი კია, გფბ-ის დირექტორის ვიზიტის წინ შარმაიძე ციხიდან გაიქცა (?!).

თითქოს სპეციალურად მოუწყესო ეს დაჩაგრული კაცი 2001 წლის მარტის ბოლო რიცხვებში საპატიმროდან გაქცევაში ჩაითრიეს, ორი კვირის შემდეგ, ლუის ფრის ვიზიტის დასრულებისთანავე, შარმაიძეც უმალ ციხეში დააბრუნეს. უბრალო დამთხვევაა?

ეს "გაქცევის მცდელობა" ორი გარემოების გამო იყო დასაეჭვებელი, ჯერ ერთი ის, რომ ორი გაქცეულიდან ერთი – შარმაიძე ორ კვირაში ისე იოლად დააკავეს, თითქოს "ჟუჩოკი" ჰქონდათ მიმაგრებული და ზეპირად იცოდნენ სადაც იმალებოდა, მეორე გაქცეული კი სულ მალე თავად ჩაბარდა პოლიციას.

მეორე და ძირითადი დასაეჭვებელი, ის გარემოება გახლდათ, რომ, როგორც ავღნიშნეთ, შარმაიძეს "გაქცევა" გფბ-ის დირექტორის ვიზიტს დაემთხვა. ძალზე ბევრი "დამთხვევები" ხომ არ არის?

## წისქვილმა კი ფქვასო?

2003 წლის გაზაფხულზე ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში საქართველოს მაშინდელი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ქ-ნი ელენე თევდორაძე აცხადებდა, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს არავის აძლევდა ხელს შარმაიძის ციხიდან გამოსვლა, რადგანაც ამით სიმართლე გაირკვეოდაო.

ამის შემდეგ 6 წელზე მეტი გავიდა და ახლა ვინ და რატომ აბრკოლებს ჭეშმარიტების დადგენას?

ანზორ შარმაიძე, რომელიც წლების მანძილზე არ აღიარებდა დანაშაულს და საქმის ხელახლა გამოძიებას ითხოვდა, მხოლოდ 2008 წლის ოქტომბრის ბოლოს გაათავისუფლეს. ამ კაცს ფაქტიურად ცხოვრება აერია. რა პერსპექტივები აქვს ეუდროფის მკვლელობის საქმის განმეორებით, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით – ნამდვილად ობიექტურ გამოძიებას? ჩვენს საზოგადოებას აინტერესებს 16 წლის შემდეგ მაინც თუ გაირკვევა სიმართლე.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძნელია იმის თქმა, რა მდგომარეობაშია და საერთოდ არსებობს თუ არა ნივთმტკიცებები, უცნობია სად იმყოფებიან, ან საერთოდ ცოცხლები არიან თუ არა ძირითადი მოწმეები (უპირველესად ის ორი ქალბატონი, რომლებიც გამოძიების მტკიცებით იმ "ნივაში" ისხდნენ, სადაც ვითომდა ეუდროფი მოკლეს), ამიტომ ძალზე ნაკლები შანსი არსებობს სიმართლის დადგენისა.

თავად შარმაიძის აღაპარაკება ბევრს არ აძლევს ხელს, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, რადგანაც ამ კაცმა შეიძლება ბევრი დეტალი და ნიუანსი გაიხსენოს, რაც თავდაყირა დააყენებს ამ "თეთრი ძაფით შეკერილ" საქმეს.

# VI. პრეზიდენტები და სპეცსამსახურები

## ეშმაკი "ბაბუ"

2009 წლის 25 იანვარს ედუარდ შევარდნაძე 81 წლის გახდა. მართლაც შთამბეჭდავი ასაკია, განსაკუთრებით თუ იუბილარის მიერ განვლილ ცხოვრების გზას გადავხედავთ. ყოფილი პრეზიდენტი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ალბათ ერთადერთი პოლიტიკოსია, რომელმაც საქართველოს უახლესი ისტორიის ყველა საიდუმლო იცის. ნახევარი საუკუნის (1953-2003 წწ.) მანძილზე ის მოვლენათა შუაგულშიც იყო და კულისებს მიღმაც მოქმედებდა. ამიტომ დღეს შევარდნაძე მართლაც რომ უნიკალური საიდუმლო ინფორმაციის (როგორც დოკუმენტური, ასევე მეხსიერებითი) მფლობელია.

უდავოა, რომ ამ ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, მაგრამ შევარდნაძე რატომღაც არ ჩქარობს ისტორიული მოვლენების შესახებ თავისი, თუნდაც სუბიექტური შეხედულებების მომავალი თაობებისთვის დატოვებას.

2006 წელს გამოცემულ 500 გვერდიან მემუარებში შევარდნაძემ "ჰოახერხა" და თითქმის არაფერი თქვა ყველასთვის საინტერესო ფაქტებზე. უფრო მეტიც, საქართველოს უახლესი ისტორიისთვის ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნებები, როგორიც ნუგზარ საყვაია და ზურაბ ჟვანიაა, სულ თითო გვერდზე ჰყავს ნახსენები.

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მომხდარი მოვლენების მხოლოდ ჩამოთვლაც კი გვიჩვენებს, რომ შევარდნაძეს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ და "სული ვუბეროთ"

აფხაზეთის და სამაჩაბლოს მოვლენების რეალური სურათი, მერაბ კოსტავას, ზურაბ ჭავჭავაძის და ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული და ჯერ კიდევ ბუნდოვანი სიკვდილი, გია ჭანტურიას და გიორგი სანაიას მკვლელობა, დემურ დვალიშვილის და ნუგზარ საყვაიას ძალზე საეჭვო თვითმკვლელობა, რეალური თუ გამაფრთხილებელი ტერაქტები, ზურაბ ჟვანიას ოპოზიციაში წასვლის ნამდვილი მიზეზები – ეს მხოლოდ ისტორია არაა. საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ამ, კარგად დაგეგმილ მოვლენებს მიღმა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ხელწერა იკვეთება.

თუ ამ ფაქტებს არ აეხადა ფარდა და არ გამოაშკარავდა სხვა ქვეყნების ძველი და ახალი აგენტურა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, დემოკრატიული და ძლიერი სახელმწიფოს აშენების დაპირებები კვლავ აუხდენელ ოცნებად დარჩება.

აუცილებელია იმ საჭირბოროტო პრობლემებს მივხედოთ, რომლებიც ათწლეულებია მოუგვარებელია და "დემოკლეს მახვილივით" გვემუქრება.

თავიდანვე უნდა ვთქვათ - ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში სპეცსამსახურების მდგომარეობის ზოგადი თვალის შევლებაც კი, დიდი გულისტკივილის გარეშე შეუძლებელია.

საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ვინც ჩვენი სპეცსამსახურების დღეს არსებული ნაკლოვანებების შელამაზებას შეეცდება, ის საქართველოს მტრების წისქვილზე დაასხამს წყალს.

1990 წლის ნოემბრის შემდეგ სულ სამად-სამი პრეზიდენტი – გამსახურდია, შევარდნაძე და სააკაშვილი ჰყავდა საქართველოს და ვერც ერთმა ვერ შესძლო მცირერიცხოვანი, მობილური, პროფესიონალებითა და პატრიოტებით დაკომპლექტებული უშიშროების სისტემის შექმნა. უფრო უარესიც კი მოხდა უკანასკნელ წლებში ფარული მოსმენების და თვალთვალის მასობრივმა განხორციელებამ (ხშირად კანონის დარღვევით) საზოგადოების უდიდეს ნაწილში ქვეყნის სპეცსამსახურებისადმი უარყოფითი მუხტი გააღვივა.

## ზვიად გამსახურდია და "კრემლის აგენტები"

ჩვენთან ერთიანი სტრუქტურის –კა-გე-ბეს დაშლის პროცესი ძაღლზე სპონტანურად და გაუაზრებლად მოხდა. 1990 წლის ბოლოს დაწყებულ ამ დამანგრეველ პროცესში, შეგნებულად თუ შეუგნებლად, დიდი უარყოფითი მუხტი შეიტანა მაშინდელმა ხელისუფლებამ და უპირველესად ზვიად გამსახურდიამ.

"სუკის" და "კრემლის აგენტების" ძახილმა, უშიშროების ორგანოების საქმიანობის ხელაღებულმა და მოუზომავმა განქიქებამ, ამ სისტემის ძველი, გამოცდილი ოიანამშრომლებიდან ეროვნული სულისკვეთების მქონე კადრების არ, თუ ვერ შერჩეამ და მხოლოდ პირადი ნაცნობ-მეგობრობის საფუძველზე შერჩეულმა, ძირითადად გამოუცდელ მუშაკებზე დაყრდნობამ, ძირშივე მოსპო ახალი, ქართული სპეცსამსახურის შექმნის შანსი.

ქვეყნის პოლიტიკური ძალების ორად გახლეჩვის შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურებს აღარ გასჭირვებიათ საქმის ბოლომდე მიყვანა, რადგანაც ისინი წაუგებელ თამაშს თამაშობდნენ. გავიხსენოთ თუნდაც კარგად ცნობილი გენერალი ბეპაევი ან გენერალი მარუსინი, გე-ერ-უს წარმომადგენელი საქართველოში, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს დიდი ფულის ფასად იარაღით და მებრძოლებით ორივე მხარეს "ეხმარებოდნენ", ნუთუ ძნელი იყო იმის მიხვედრა, თუ რა საბოლოო მიზანს ისახავდა ჩვენი მტერი?

ეს პროცესი კი ადრევე დაიწყო. კა-გე-ბე ძალზე მიზანმიმართულად მუშაობდა ქართული ეროვნული მოძრაობის გასახლეჩად. 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან მოსკოვი წარმატებით ნერგავდა თავის აგენტურას საქართველოში მოქმედ არალეგალურ პოლიტიკურ პარტიებსა და ახალგაზრდულ პატრიოტულ ჯგუფებში.

მართალია ყველა ძირითად "შავ" ოპერატიულ სამუშაოს უშიშროების ადგილობრივი კადრები აკეთებდნენ, მაგრამ მათ მოსკოვი ბოლომდე მაინც არ ენდობოდა და ისინი საკავშირო კა-გე-ბეს მკაცრი კონტროლის ქვეშ მოქმედებდნენ.

დადასტურებული ფაქტია, რომ ზ. გამსახურდიას "დამუშავებას" და 1977 წელს ცნობილი "მონანიების პროცესისათვის" მომზადებას პირადად გენერალ-პოლკოვნიკი ფილიპ ბობკოვი, საკავშირო კა-გე-ბეს "იდეოლოგიური კონტრდაზვერვის" (მე-5 მთავარი სამმართველოს) შეფი ხელმძღვანელობდა.

კა-გე-ბეს შეფებს – ანდროპოვს, ჩებრიკოვსა და შემდეგ კრიუჩკოვს, დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდათ საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში გაერთიანებული პარტიების, მათი ცალკეული წევრების და თვით ლიდერების შესახებაც.

1980-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის მომძლავრების და ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ მოსკოვის აგენტურამ, ეს მგონი უკვე ყველასთვის ნათელია, მნიშვნელოვანი სახელისუფლებო და პარტიული პოსტები ჩაიგდო ხელში და თავისი ხალხი გაიყვანა. პარალელურად საბჭოთა კავშირის (შემდგომ რუსეთის) სპეცსამსახურებმა შეძლეს ეროვნული მოძრაობის ლიდერების დაპირისპირება და ქვეყნისთვის დამღუპველი სამოქალაქო ომის ინსპირირება.

ხელისუფლება და ოპოზიცია კი ერთმანეთს აბრალებდა "კრემლის აგენტობას" (ხომ ძალზე ნაცნობი სურათია?), ეს კი ქვეყნის გახლეჩას და დაპირისპირებას უყრიდა საფუძველს.

თენგიზ კიტოვანი დღესაც ამტკიცებს, რომ "მხედრიონს" გამსახურდიამ მიუსია შავნაბადაზე რუსეთის სპეცნაზი ("ღამურები"), რაშიც 300 ათასი მანეთი გადაუხადა. ჯაბა იოსელიანს კი სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა გამსახურდიას და რუსეთის სამხედრო დაზვერვის სპეცნაზის ალიანსის, აგრეთვე ისიც, რომ მისი და მხედრიონის ლიდერების ლიკვიდაციისთვის მაშინდელმა პრეზიდენტმა 250 000 მანეთი გადაიხადა. თავად ისინიც იარალს, საბრძოლო ტექნიკას და ტყვია-წამალს რუსეთის სპეცსამსახურებისგან იღებდნენ.

## "მომეცით ჟოზეფ ფუშე და

საქართველოს უშიშროების სისტემა 1991 წლიდან სრულ კოლაფსში იმყოფებოდა. ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ და არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ უარყოფითი დაღი დაასვა სპეცსამსახურების კადრებით, ფინანსებითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფას. რამდენიმე წლის მანძილზე გაგრძელებულმა ძმათამკვლელმა ომმა კიდევ უფრო მეტად დაასუსტა საქართველოს

სპეცსამსახურები. საერთოდ კი, იმ მოვლენებმა რამდენიმე ათწლეულით უკან დასწია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი.

1991 წლის ბოლოს დაწყებულ სამოქალაქო ომში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების და ადგილობრივი სეპარატისტების წინააღმდეგ მოქმედება არავის ახსოვდა – უშიშროების სისტემის მთელი ოპერატიულ-აგენტურული რესურსები პოლიტიკური ოპონენტების, პირველ რიგში "ზვიადისტების", ხოლო შევარდნაძის ერთმმართველობის დროს კი "მხედრიონის" და გვარდიის ხელმძღვანელების განეიტრალებისკენ იყო მიმართული.

იმ პერიოდში, როცა ქვეყანას ტრიუმვირატი (შევარდნაძე-კიტოვანი-იოსელიანი) მართავდა, გადაწყდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძირეული დანგრევა და ახალი სტრუქტურის შექმნა. ამ პროცესებში ყველაზე მეტად ჯაბა იოსელიანი აქტიურობდა. დასამალი არავისთვის იყო, რომ "მხედრიონის" ლიდერისთვის, როგორც საბჭოთა, ასევე დამოუკიდებელი საქართველოს სუკ-ი და პოლიცია იგივე იყო, რაც გავეშებული ანდალუზიური ხარისთვის წითელი ნაჭერი.

ჯაბასვე ინიციატივით შეიქმნა სუკ-ის რეორგანიზაციის კომისია ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს მერაბ ალექსიძის ხელმძღვანელობით. ეს კომისია ჯაბას მითითებებით და "პოსტულატებით" მოქმედებდა: "რად გვინდა ძლიერი უშიშროების სისტემა. ის ხომ რეპრესიული და სახელგატეხილი ორგანიზაციაა. რა ზესახელმწიფო ჩვენა ვართ ან რა ეკონომიკური შესაძლებლობები გვაქვს, რომ ამერიკელი ან რუსი აგენტი დავაინტერესოთ ჩვენთან მუშაობით?

თუ მაინცდამაინც აუცილებელია, საინფორმაციო-სადაზვერვო ფუნქციების შენარჩუნებით შეიქმნას ერთი პატარა კანტორა, მაღალი რანგის სპეციალისტ ინტელექტუალებითო" სამწუხაროა, რომ მაშინაც და ეხლაც ერთნაირი დილეტანტური შეხედულებები ბატონობს. ამგვარი "პატრიოტული" სულისკვეთების საფუძველზე შეიქმნა "ახალი კანტორა" სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახური, რომლის უფროსად, ბევრისთვის მოულოდნელად დაინიშნა ახალგაზრდა პოლიტიკოსი ირაკლი ბათიაშვილი. ეს შევარდნაძის ერთპიროვნული გადაწყვეტილება იყო, რომლის საბოლოო შედეგების შეჯამება ასე შეიძლება: პოლიტიკური ნაბიჯი პროფესიონალიზმის საზიანოდ. ბათიაშვილის მოადგილეებად კი, ჯაბას კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, თემურ ხაჩიშვილი და შოთა კვირაია დაინიშნენ. პირველ მათგანს სპეცსამსახურებთან და სამართალდამცავ სტრუქტურებთან ცოტა "სპეციფიური" დამოკიდებულება ჰქონდა – ისიც ჯაბასავით დასანახავად ვერ იტანდა ფორმიან ხალხს.

ამგვარი მენტალიტეტის მქონე, ქვეყნის ერთადერთი სპეცსამსახურის უფროსის პირველი მოადგილედ დანიშნული ხაჩიშვილი რა სიკეთეს მოუტანდა

საქართველოს? კურიოზულია, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ხაჩიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრადაც დანიშნა შევარდნაძემ.

რაც შეეხება შოთა კვირაიას. მისი დახასიათება ჯაბასვე მივანდოთ, რომელსაც დრამატურგის მახვილი თვალი ჰქონდა და საინტერესო წვრილმანიც არ რჩებოდა უყურადღებოდ: "კვირაია კი ჩემს ოჯახთან დაახლოებული, პროფესიონალი ჩეკისტი, მოსკოვში, ინტერპოლში ნამუშევარი, პირველად გივი ბერაძემ – საბჭოეთის "შავი სამყაროს" ერთ-ერთმა ცნობილმა ავტორიტეტმა მომიყვანა – სენაკელი, კარგი ოჯახის შვილია, ჩუმი, წყნარი, შეთხზული სენსაციების მოყვარული. 1992 წლის იანვარ-თებერვალში შსს-ში რომან გვენცაძის მოადგილედ დანიშნეს. ახლა ვფიქრობ, მან უნდა გააწონასწოროს ორი ახალგაზრდის – ბათიაშვილის და ხაჩიშვილის ურთიერთობა. პირველი ამბიციურია, მეორე – თავნება და ჯიუტი. ბინად ირჩევენ ყოფილ ცეკას ჩიტაძის ქუჩაზე" (ჯაბა იოსელიანი, სამი განზომილება, გვ. 134.). ამგვარი რეკომენდაციებით მოსული პიროვნება წლების მანძილზე იყო შსს-ს მინისტრი, შემდეგ უშიშროების მინისტრი და ბოლოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე. კომენტარი მართლაც რომ ზედმეტია. ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში ჯაბა მართლაც ძალზე აქტიურობდა.

ჯაბას ძოლოდინის მიუხედავად სულ რამდენიმე თვეში დაიწყო დაპირისპირება ბათიაშვილსა და ხაჩიშვილს შორის. კვირაიაც ცალკე იწევდა – მოკლედ "აირია მონასტერი" ანუ ქვეყნის მთავარ სპეცსამსახურში ვისი ინტერესები სად იყო, ვერავინ გაიგებდა.

თუმცა აუცილებელია ითქვას, რომ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის პატრიოტი თანამშრომლები, ირაკლი ბათიაშვილის ხელმძღვანელობით, შეძლებისდაგვარად, ხშირად შიშველი ენთუზიაზმისა და პირადი თავგანწირვის ხარჯზე ცდილობდნენ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციების ჩატარებას (ისინი ვაჟკაცურად იბრძოდნენ აფხაზეთის ომში და ბევრი მათგანი გმირულად დაიღუპა), მაგრამ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან სათანადო მხარდაჭერა არ ჰქონდათ. თანაც მათი მთავარი მოწინააღმდეგე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპეცსამსახურები – რუსეთის სამხედრო და საგარეო დაზვერვები იყო.

რას აკეთებდა ამ დროს შევარდნაძე? რუსეთის აგენტობა არ დამწამონო და შევარდნაძე სულ რუსეთის და დსთ-ს კრიტიკაში იყო. ამით იქმნიდა რუსეთის მოწინააღმდეგე ეროვნული ლიდერის იმიჯს. ამ დროს კი ის დარწმუნებული იყო, რომ მისი ტელეფონები, მათ შორის ე.წ. "ვეჩეც", მუდმივად ისმინებოდა. ვისგან? ბუნებრივია ესკიმოსები არ დაინტერესდებოდნენ "თეთრი მელას" ამბებით. ისევ და ისევ რუსეთი. თან აღიარებდა აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომი იყოო და თან არაფერს

არაფერს აკეთებდა ქვეყნის მართვის ყველა რგოლში მოკალათებული რუსეთის აგენტურის განადგურებლად.

1993 წლის 26 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეებში, კვირაია შევარდნაძეს არ სცილდებოდა და მისი გამოყვანის დეტალებს რუსებთან ძირითადად ის აზუსტებდა, თან სახელმწიფო მეთაურის წინაშე "ქულებს იწერდა".

თვითმფრინავით, ვერტმფრენით თუ გემით? – ბოლოს თვითმფრინავი გადაწყვიტეს. ცოტა ხნის შემდეგ შევარდნაძესა და იოსელიანს შორის ასეთი დიალოგი შედგა:

- " კვირაია ჩვენი კაცია? მაგის გამო სოხუმიდან გამოსვლის დროს კინაღამ ჩამოაგდეს ჩვენი თვითმფრინავი. სამინისტროშიც ჩაშლილი აქვს მუშაობა !"- ბუზღუნებდა შევარდნაძე.

- " შსს-ს კვირაია კი არა, ჟოზეფ ფუშეც ვერ უშველის" – იცავდა პროტეჟეს ჯაბა.

- "მომეცით ჟოზეფ ფუშე და, თუ ვერ უშველის, იმასაც ვნახავთ" – ეშმაკური ღიმილით პასუხობდა შევარდნაძე და 170 წლის წინ გარდაცვლილი ნაპოლეონის პოლიციის მინისტრის ძვლებს საფლავში აწუხებდა. რას ვიზამთ, "პატარა ნაპოლეონებს" ყოველთვის სჭირდებოდათ გაქნილი და ცბიერი ჩინოვნიკები, რომლებიც დავალებასაც შეასრულებდნენ და კვალსაც წაშლიდნენ. ჯაბას, "შევის" ოდნავ მოჭუტული თვალების გამჭოლი მზერა ბურღავდა, "პირველი შენ იქნებოდი ფუშეს კლიენტი" – ალბათ ფიქრობდა "თეთრი მელა".

ამის შემდეგ შსს-ს მინისტრს შევარდნაძემ ბევრი კომპრომატი გამოუქექა და შანტაჟის ქვეშ მოაქცია. კვირაიაც მის განკარგულებებს ერთგულად ასრულებდა. თუმცა, ჯაბას სიტყვებით, ნასვამი კვირაია ხშირად გაჰყვიროდა თურმე " ჩემი მინისტრი ერინიაო ". ერინი კი, იმ დროს რუსეთის შსს მინისტრი იყო და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დატრიალებულ ბევრ "ბნელ საქმეში" აქვს ხელი გასვრილი. შევარდნაძე ყოველთვის ცდილობდა კომპრომატები ჰქონოდა ხელქვეითებზე და საჭირო მომენტში მათ წინააღმდეგ გამოეყენებინა. ეს მისი მმართველობის უცვლელი სტილი იყო. ამგვარი "ბიზანტიური პოლიტიკის" წყალობით ინარჩუნებდა ის პოსტს.

## რუსეთის სპეცსამსახურების მიერ "დანაღმული" საქართველო

შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდი, განსაკუთრებით კი პირველი ექვსი- შვიდი წელი, რუსეთის სპეცსამსახურების განსაკუთრებით აქტიური ოპერატიულ-აგენტურული მოქმედებებით გამოირჩეოდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის გე-ერ-უ (სამხედრო დაზვერვა), ეფ-ეს-ბე

(პოლიტიკური დაზვერვა), ეს-ვე-ერი (საგარეო დაზვერვა) და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველო, მთელ საქართველოს აკონტროლებდნენ. რუსეთის სპეცსამსახურების წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად ზოგიერთი სამართალდამცავი სტრუქტურის მაღალჩინოსანი, რომლებიც თვითონ იყვნენ მათი აგენტი ან ფარული თანამშრომელი, თავად აწვდიდა მოსკოვს საიდუმლო ინფორმაციას, ახდენდა რუსეთისთვის მიღებელი პირების ლიკვიდაციას და ა.შ. რუსეთის მიერ მაშინ ჩადებული "ნელი მოქმედების ნაღმები" (ანუ ფარული აგენტურა) დღესაც წარმატებით მოქმედებს.

## როგორ იქცა უშიშროება – საშიშროებად

აფხაზეთის ომში სამარცხვინო დამარცხების შემდეგ პოსტის შენარჩუნების მიზნით შევარდნაძემ ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა აშკარად პრორუსული გახადა, რასაც, დსთ-ში შესვლის გარდა, მისი მაშინდელი საკადრო პოლიტიკაც ადასტურებს.

თავად განსაჯეთ, შევარდნაძემ ერთ დღეს – 1993 წლის 11 ოქტომბერს, ფაქტობრივად ომში მყოფ ქვეყანაში ორ უმნიშვნელოვანეს პოსტზე – უშიშროების და შსს-ს მინისტრებად, შესაბამისად იგორ გიორგაძე და შოთა კვირაია დანიშნა. ექვსი თვის შემდეგ, 1994 წლის 26 აპრილს, ქვეყნისთვის სასიცოცხლო – თავდაცვის მინისტრის პოსტი, შევარდნაძემ ვარდიკო ნადიბაიძეს ჩააბარა. სამივე გენერლის მჭიდრო კავშირი რუსეთთან, არც მაშინ და არც ახლა, სკოლის მოსწავლეებშიც არ იწვევს ეჭვს. ამიტომაც რუსეთის აგენტურას ვინ აღმოაჩენდა, როცა თავად იყვნენ რუსეთის ხალხი?

იგორ გიორგაძე უშიშროების მინისტრად რუსების მოთხოვნით რომ დანიშნა, შევარდნაძე ამას არც მალავდა – "რუსებმა დამირეკეს გიორგაძის დანიშვნა კარგი იქნებოდა, ურთიერთობა გაგვიადვილდებოდაო". რამდენიმე დღის შემდეგ შევარდნაძის თხოვნით უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს გიორგაძე პირადად ჯაბა იოსელიანმა წარუდგინა. ძველ თანამშრომლებს ემახსოვრებათ ჯაბას სიტყვები. თავად კი ასე იხსენებდა ამ გამოსვლას: "ხაზს ვუსვამ ამ დაწესებულების მიერ რუსებთან ურთიერთობის გაუარესების ტენდენციას, რაც დაუშვებელია ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ვითარებისთვის. გულში იმასაც ვფიქრობ, დარბაზში მსხდომთაგან ბევრი აგენტი და ბევრიც საბჭოთა კავშირის, ესე იგი, რუსეთის კაგებეს მრავალი წლის კადრი და ღირსეული ჩეკისტია". მართლაც სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს.

სწორედ ამ "ღირსეული ჩეკისტების" და მათი მოსკოველ პატრონების დამსახურება იყო, სამოქალაქო ომის დაწყება, აფხაზეთის ომში დამარცხება და მრავალი სხვა უბედურება. გე-ერ-უს რეზიდენტმა გენერალმა მარუსინმა, რომელთანაც ჯაბა ხშირად სტუმრობდა, საქართველოს ორ ნაწილად გაყოფის

გეგმაც კი შეადგინა: აღმოსავლეთ (პრეზიდენტი შევარდნაძე) და დასავლეთ (პრეზიდენტი გამსახურდია) საქართველო. არავისთვის იყო საიდუმლო, რომ რუსეთის სამხედრო დაზვერვის რეზიდენტურის ყოველდღიური სტუმრები იყვნენ იყვნენ გიორგაძე, კვირაია და თემურ ხაჩიშვილი. ჯაბა იოსელიანი არ უარყოფდა, რომ "მხედრიონის" ბევრი მეთაური გე-ერ-უს აგენტი აღმოჩნდა. ზოგიერთ პოლიტიკოსს კი, ეჭვი მთელ "მხედრიონზე" და მის ლიდერზეც ჰქონდა.

შევარდნაძეს კი სულ არ აინტერესებდა თუ ვინ ვისი აგენტი იყო. ის ყველა ღონით ცდილობდა პირადი ძალაუფლების განმტკიცებას. მის ფარულ გეგმებში კომპრომეტირებული, მაგრამ ერთგული შემსრულებლების ადგილი ყოველთვის მოიძებნებოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ის ძალზე ოსტატურად იყენებდა სხვების "ცოდვების ცოდნას". შსს-ს მინისტრს ხაჩიშვილს ქალაქის პოლიციის უფროსი დათო ზეიკიძე დაუპირისპირა. თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანს – გია ყარყარაშვილი, მას კი – ახალგაზრდა პოლკოვნიკები. "მხედრიონისა" და ყარყარაშვილის დაპირისპირებასაც თვითონ უწყობდა ხელს. ამიტომ როდესაც 1993 წლის ბოლოს კვირაიას განთავისუფლება შესთავაზეს, შევარდნაძის კატეგორიული პასუხი იყო "არა, არა! ჯერ არა". ჯაბას თან ეკითხებოდა: "ხაჩიშვილი ჩვენი კაცია?, პოლიტიკაში ერევა, ასლან აბაშიძესთანაც რაღაც ალიანსი აქვს". თან შსს-ს მინისტრს პოსტზე ტოვებდა. ისინი ჯერ კიდევ საჭირონი იყვნენ.

პარალელურად შევარდნაძემ გარს შემოიკრიბა "ძველი გვარდია" – მისი ერთგული პარტიული, კომკავშირული და სამეურნეო კადრები და საკვანძო პოსტებზე დანიშნა. ამ პროცესს ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა. ყოფილი კომპარტიის კადრების "შემოტევას", გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით ჯაბა და კიტოვანი ვერ ეგუებოდნენ და აღშფოთებას საჯაროდ გამოხატავდნენ, რაც შემდეგ დაპატიმრებად და მრავალწლიან "სროკად" დაუჯდათ. მოსალოდნელიც იყო, რადგან ცნობილი ფაქტია, რომ შევარდნაძე წყენას არასდროს ივიწყებდა და არავის პატიობდა.

გია ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ შევარდნაძემ "ძალოვანი" მინისტრები შეკრიბა, სხვადასხვა ვერსიებს იხილავდნენ. თუმცა შევარდნაძემ მხოლოდ ჯაბას გაუმხილა თავისი ეჭვები – ეს აფეთქება იგორის მოწყობილი უნდა იყოსო. შევარდნაძე აშკარად თამაშობდა – "ტრიუმვირატის" ერთ-ერთ წევრს ჯაბა იოსელიანს "საიდუმლოს" უმხელდა – "ამ იგორის ვერაფერი გავიგე, კუდში მოვკიდებ ხელს – თავიდან მიძვრება, თავში – კუდიდან".

ორი "ტრიუმვირატორის" ხანგრძლივი ვადით "დასასვენებლად" გაგზავნის შემდეგ, რაც სწორედ ძველმა პარტიულმა კადრებმა, პროკურატურის ახალგაზრდა, პირტიტველა გამომძიებლების ხელით უზრუნველყვეს, მომავალ ექსპრეზიდენტს ერთპიროვნული ძალაუფლების განმტკიცების საშუალება მიეცა.

შევარდნაძე, ეჭვებისდა მიუხედავად, გიორგაძეს პირში აქებდა და მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა. გიორგაძეს რუსი სამხედროებიც ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების სარდალ თეოდორ რეუტისგან (რომელიც სხვათა შორის ჯაბა იოსელიანს ზურგს უკან "მახნოს" ეძახდა) ახალ შეიარაღებას (მ.შ. მძიმე ტექნიკას) მხოლოდ იგორი იღებდა და მალე უშიშროების სამინისტრო ქვეყანაში ყველაზე ძლიერ და მობილურ "ძალოვან" უწყებად იქცა.

## კონტრაბანდისტი "კომანდორი"

გიორგაძის დროს უშიშროების სამინისტრო ღიად ჩაერთო ბენზინის, სიგარეტის და იარაღის კონტრაბანდაში. თითო-ოროლად შემორჩენილი ძველი თანამშრომელი გაოცებული ადევნებდა თვალს, თუ როგორ იქცა სპეცსამსახური კარგად ორგანიზებულ ბანდიტურ დაჯგუფებად, სადაც საქმის გარჩევები, მოტაცებები და ჩაცხრილვები ჩვეულებრივ და ყოველდღიურ მოვლენად იქცა. ამ "ბანდას" ძალზე მკაცრი მეთაური ("კომანდორი") ჰყავდა, რომელიც ამ გზით მიღებული თანხების ნაწილს მინისტრის ერთგული დანაყოფების გაძლიერებას, ალურიცხავი იარაღისა და ოპერატიული ტექნიკის შეძენას ახმარდა, ხოლო დანარჩენს ერთგულ კადრებს უნაწილებდა. ამ დროს უშიშროების სისტემა პატრიოტმა და პროფესიონალმა კადრებმა დატოვეს. აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ უმაღლეს დონეზე მომზადებული რამდენიმე ათეული ქართველი ინსტრუქტორიდან, გიორგაძის და კვირაიას მინისტრობის პერიოდში, ზოგი დაიჭირეს, ზოგი ფიზიკურად გაანადგურეს, ხოლო ზოგი სამსახურიდან გააგდეს.

ბათიაშვილის დროს თბილისში რუსეთის საელჩოში გარკვეული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, ბევრი საინტერესო ინფორმაცია ქართული მხარისთვის ცნობილი ხდებოდა. დაინიშნა თუ არა უშიშროების მინისტრად იგორ გიორგაძე, ყველა ღონისძიება მომენტალურად აკრძალა და რუსებს გაუმხილა. კონტრაბანდის შემოტანისაგან თავისუფალ დროს უშიშროების სამსახური ოპერატიულ-აგენტურულ და "აქტიურ" ღონისძიებებს ატარებდა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რომელი ქვეყნის სასარგებლოდ. ამ პერიოდში (1993-1995 წწ.) განსაკუთრებით ბევრი, ფაქტიურად ჯერაც გაუხსნელი ისეთი "შეფერილობის" ტერაქტები და მკვლელობები მოხდა, რომლებიც აშკარად საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

რუსეთის რეალური ხელისუფლება – უპირველესად კი გენერალიტეტი, დიპლომატიური კორპუსი და სპეცსამსახურების ხელმძღვანელები შევარდნაძეს არასდროს ეხდობოდნენ. იგორი ჩუმად იცინოდა: "შევარდნაძემ რაც არ უნდა გააკეთოს, მისი მაინც არ სჯერათ რუსებსო".

ამიტომ იყო რომ დსთ-ში შესვლისდა მიუხედავად რუსეთი ყოველმხრივ ხელს უწყობდა სამოქალაქო ომის გაგრძელებას და დაპირისპირებულ მხარეებს სამხედრო ტექნიკასა და ტყვია-წამალს არ აკლებდა.

შევარდნაძის დაშანტაჟებისთვის ეს აღარ იკმარეს და 1995 წლის 29 აგვისტოს და 1998 წლის 9 თებერვალს ორი საჩვენებელ-გამაფრთხილებელი ტერაქტი მოუწყვეს. ეს "თითის დაქნევა" მხოლოდ შევარდნაძის კი არა, დსთ-ს სხვა პრეზიდენტების შესაშინებლადაც კეთდებოდა. ვისაც ევროატლანტიკური ორგანიზაციებისკენ გაექცეოდა თვალი და რეალურ თანამშრომლობას დაიწყებდა, უკვე ნაღდი ტერაქტი არ ასცდებოდა.

"შევი" კი ყოველთვის თავისი პირადი გეგმებით მოქმედება, სადაც ქვეყნის ინტერესები ვის ახსოვდა. "თეთრმა მელამ" კვირაიას და გიორგაძის ხელით მოიცილა ჯერ ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი, შემდეგ კი "მხედრიონი" და "გვარდია". გიორგაძის გაქცევის შემდეგ, 1995 წლის ბოლოს, უშიშროების მინისტრად შევარდნაძემ კვირაია დანიშნა და მისი ხელით გიორგაძის მომხრეები გაანადგურა. საინტერესოა, რომ ახალი მინისტრი, თუ ადრე რუსეთის შსს-ს მინისტრ ვიქტორ ერინს შესციცინებდა თვალებში, შემდეგ არ მალავდა განსაკუთრებით თბილ და მეგობრულ დამოკიდებულებას რუსეთის ეფ-ეს-ბეს ხელმძღვანელებთან.

## ბატკა" აბობოქრდა!

კიტოვანს მეტსახელი "ბატკა" ძალზე მოსწონდა, "ნათლია" კი იგორ გიორგაძე იყო. იგორი ჯერ კიდევ თავდაცვის სამინისტროს სპეცდანაყოფს ხელმძღვანელობდა, როცა თენგიზ კიტოვანის თანხმობით, სამხედრო კონტრდაზვერვის აბრის ქვეშ საბჭოთა ყაიდის კა-გე-ბეს შექმნა დაიწყო. თუმცა 1995 წლის იანვარში აფხაზეთის "გასათავისუფლებად" ავტობუსებით (!) დაძრული კიტოვანი, სწორედ "მისმა ნათლიამ", გიორგაძემ დააპატიმრა.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, თავდაცვის მინისტრი, "დიდი სტრატეგი" თენგიზ კიტოვანი საიდუმლოდ იმასაც ამტკიცებდა ატომური იარაღი მაქვს, რუსებს დარჩათო. როგორც ჯაბა იოსელიანი იხსენებს "შინაურ" საუბრებში კიტოვანი ხშირად "დიქტატორობაში" სდებდა ბრალს შევარდნაძეს და "ლამაზი" სიტყვებით ამკობდა. რუსეთის მხარემ ეს ინფორმაცია უმალ გამოიყენა და დაიწყეს კიტოვანის ცალკე "დამუშავება".

რუსეთის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი განსაკუთრებით "დაუტკბა" მხატვარ-გვარდიელს და მოუხშირა კიტოვანთან კონფიდენციალურ საუბრებს. ის შევარდნაძის წინააღმდეგ განაწყვეს – შენ მოხსნას აპირებს და შემცვლელის კანდიდატურას ეძებსო. შევარდნაძე, ოღონდაც თავდაცის სამინისტროს ჩამოვაცილოო, მართლაც აპირებდა კიტოვანის ვიცე-პრემიერად გადაყვანას. ისიც ჯერ თანახმა იყო, მერე ბრიუსელში გაემგზავრა, სადაც

გრაჩოვმა აზრი და განწყობა შეაცვლევინა. თბილისში დაბრუნებული კიტოვანი "აბობოქრდა" და ახალი სამხედრო გადატრიალების მოწყობით უკვე ღიად ემუქრებოდა შევარდნაძეს.

აფხაზეთის ომის დროს და მერეც, რუსეთთან ყველა მოლაპარაკება ჩვენთვის მარცხით მთავრდებოდა. ეს ძირითადად იმიტომ ხდებოდა, რომ ჩვენი ხელისუფლების გულარხეინობისა და საიდუმლოების დაცვის ელემენტარული წესების უცოდინარობის გამო საქართველოს დელეგაციის საუბრები ყოველთვის ფარულად ისმინებოდა. მაგალითად, 1992 წლის შემოდგომაზე სოჭში გამართულ მოლაპარაკებებზე (საიდუმლო საკითხები ეხებოდა ეშერის ლაბორატორიის გადატანის, ტყვარჩელის ბლოკადას და ცეცხლის შეწყვეტის საკითხებს) საქართველოს დელეგაციას პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა ხელმძღვანელობდა, კიტოვანი და იოსელიანიც იქ იყვნენ. საქართველოს დელეგატების სასტუმრო ოთახებში რუსეთის სპეცსამსახურებმა მოსასმენი აპარატურა დაამონტაჟეს. ამიტომაც იოლად გამოავლინეს ქართული მხარიდან, თუ ვინ რას ფიქრობდა და სად იყო მათი არგუმენტების სუსტი წერტილი.

## "დიდი პატრიოტი" ვარდიკო

1994 წელს თებერვლის დასაწყისში თბილისში პირველად და უკანასკნელად რუსეთის პრეზიდენტი ელცინი ჩამოვიდა. მის ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე თბილისს რუსეთის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი ეწვია. მას ძალზე დაძაბული დამოკიდებულება ჰქონდა ქართველ კოლეგასთან. მაშინ გავრცელებული ვერსიით, თითქოს გრაჩოვს ადრევე შემოუთვლია - ყარყარაშვილს არაფრისდიდებით არ შევხვდებიო და მისი მასპინძლობა შევარდნაძემ ჯაბა იოსელიანს სთხოვა. ჯაბა ამ დაპირისპირებას ასე ხსნიდა: "ამბობენ ვითომც მოსკოვში შეხვედრისას ყარყარაშვილს გრაჩოვისთვის ირონიულად უთქვამს: შენს კაბინეტში რაც ითქმება, მეორე დღესვე ვიციო".

ამ ვიზიტის შემდეგ სულ მალე ყარყარაშვილის ნაცვლად საქართველოს თავდაცვის მინისტრად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე ტრანსპორტის დარგში ვარდიკო ნადიბაიძე დაინიშნა. განა შევარდნაძემ არ იცოდა, რომ რუსეთის სამხედრო სიძლიერის მოტრფიალე კაცი, რომელიც დღედაღამ რუს გენერლებთან ქეიფობდა, შემდეგ კი გრაჩოვის ნათლიობასაც "გამოჰკრა" ხელი, საქართველოს ინტერესებს დაიცავდა?

1994 წლის გაზაფხულზე ნადიბაიძე ღიად უჭერდა მხარს რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში 25 წლით დარჩენაზე ხელშეკრულების სასწრაფო გაფორმებას. საინტერესოა, რომ ცოტა ხნით ადრე რუსეთმა სომხეთი აიძულა და ანალოგიურ ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი. რუსებისგან დაიმედებული საქართველოს თავდაცვის მინისტრი თურმე არც

იმას მალავდა, რომ თუ შევარდნაძე არ დათანხმდებოდა, ის თავად მოაწერდა ხელს ამ ქვეყნის დამღუპველ ხელშეკრულებას. რუსეთი, როგორც ყოველთვის მაშინაც თვალთმაქცობდა – "როგორც კი სამხედრო ბაზების საკითხი მოგვარდება, მაშინვე გალში შესვლაში დაგეხმარებით და ლტოლვილებსაც შევიყვანთო". შევარდნაძეს ერთი კი ნამდვილად არ უნდა დავუკარგოთ – ამ შემთხვევაში მისი პოზიცია მართებული იყო: ჯერ გალის დაბრუნება და შემდეგ სამხედრო ბაზები. თანაც სამართლიანად ფიქრობდა, რომ ბაზებზე შეთანხმების ხელშეკრულების მაქსიმალური ვადა 5-10 წელი უნდა ყოფილიყო.

## ყველაზე "სისხლიანი ბიზნესი" საქართველოში

1990-იანი წლებში დაწყებულმა და რამდენიმე წლის მანძილზე გაგრძელებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ, შეიარაღებულმა კონფლიქტებმა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, ძმათამკვლელმა სამოქალაქო ომმა რამდენიმე ათწლეულით უკან დასწია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი. თუმცა ამ საყოველთაო უბედურებაში იყო ერთი ბიზნესი, რომელიც უდაბნოში აყვავებული ოაზისივით ხარობს ომების დროს.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს იარაღის ბიზნესია – ყველაზე მომგებიანი და ფულიანი. ცნობილია, რომ პატრიოტული რიტორიკით შეიარაღებულ ავაზაკზე საშიში, ძნელად თუ მოიძებნება. ისინი ყოველთვის ნახულობენ უმოკლეს გზას მიზნის მისაღწევად. მოსახლეობას პური არ ჰქონდა და შიმშილობდა, ხელფასები თვეობით არ გაიცემოდა, მაგრამ იარაღის შესაძენად საქართველოს ბიუჯეტში ფინანსები ყოველთვის იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდან დაუნდობელი და უსასტიკესი ფარული ბრძოლა მიმდინარეობდა იარაღის და ტყვია-წამლის შემოტანის არხების გასაკონტროლებლად. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას ეს არხი კიტოვანმა "გაჭრა", რუს გენერლებს მაგრად ჩაეხუტა და მონოპოლისტობა თითქმის 1993 წლის ბოლომდე შეინარჩუნა.

## შეკვეთილი მკვლელობების სერიალი

ბევრი პიროვნება, ვინც იარაღის შესყიდვას რუსეთის გვერდის ავლით ცდილობდა კილერის მსხვერპლი გახდა ან გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა.

1993 წელს, სოხუმის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე, შევარდნაძის დავალებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი გამოიყო სლოვაკიაში, პოლონეთსა და ჩეხეთში იარაღის შესაძენად. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ამ საიდუმლო მისიის შესრულება თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკუშა კეკელიძეს, ე. წ. "შევარდნაძის ფონდის" პრეზიდენტ სოლიკო ხაბეიშვილს და 1993 წლის მაისში დაარსებული

კომერციული ბანკ "თამარიონის" გამგეობის თავმჯდომარე ზურაბ ზუბადალაშვილს დაეკალათ. მათ გარკვეული რაოდენობის ჩეხური აეტომატური იარაღი მართლაც ჩამოიტანეს.

ამის შემდეგ დაიწყო მათი თანმიმდევრული ლიკვიდაცია.

1994 წელს თებერვლის დასაწყისში თბილისში პირველად და უკანასკნელად რუსეთის პრეზიდენტი ჩამოვიდა. რუსეთში მაშინ ელცინს მიჰყავდა "პარადი". "მეფე ბორისის" ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე თბილისს რუსეთის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი ეწვია. იმ დღეებში საკუთარ სახლში ააფეთქეს გია ყარყარაშვილის მეგობარი, თავდაცვის მისნისტრის მოადგილე ნიკუშა კეკელიძე, რომელიც იარაღის შესყიდვის საკითხებს კურირებდა.

სოლიკო ხაბეიშვილი 1995 წლის 20 იენისს დილას სახლიდან გამოსვლისას, ზურაბ ზუბადალაშვილი კი 2003 წლის 15 სექტემბერს ღამის პირველ საათზე საკუთარი საცხოვრებელი კორპუსის წინ კი მოკლეს.

მოსკოვში რუსეთის გენშტაბის აკადემიაში სასწავლებლად მივლენილ ორ ახალგაზრდა ქართველ გენერალზე – გია ყარყარაშვილსა და პაატა დათუაშვილზე 1995 წლის 25 იანვარს თავდასხმა განხორციელდა. დათუაშვილი ადგილზე დაიღუპა, ხოლო ყარყარაშვილი მძიმედ დაიჭრა.

ამ მკვლელობებს საერთო ის აქვთ, რომ აშკარად სპეცსმასახურების ხელწერა იკვეთება და დღემდე გაუხსნელია.

## კიტოვანის ცბიერი "ყონაღი"

გენერალი სუფიან ბეპაევი, რომელიც წარმოშობით ყაბარდო-ბალყარეთიდან იყო, კიტოვანის "დიდი მეგობარი" (ჩრდილოკავკასიურად "ყონაღი") გახდა. დიდძალი ფულის და ძვირფასი საჩუქრების სანაცვლოდ ბეპაევი გულუხვად "გვჩუქნიდა" რუსულ იარაღს. ბუნებრივია მხოლოდ მის დონეზე ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი ვერ გადაწყდებოდა, სხვა შემთხვევაში რუსეთის სამხედრო კონტრდაზვერვას არ გაუჭირდებოდა "ქართველების მეგობარი" ბეპაევის დაპატიმრება. იარაღის გაყიდვა თავად რუსეთის სპეცსამსახურების იმ საიდუმლო გეგმის ნაწილი იყო, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტების პროვოცირებასთან ერთად, წმინდა მერკანტელურ მიზნებსაც ისახავდა. ცნობილია, რომ ქართველებისგან მიღებული ფული, ისევ აქ მყოფი რუსეთის აგენტურის ანაზღაურებაზე და სპეცოპერაციების ჩატარებაზე იხარჯებოდა. გარდა ამისა, რუსეთი საბოლოოდ მკვიდრდებოდა საქართველოს იარაღის ბაზარზე და სხვა ქვეყნიდან იარაღის შეძენის ყველა მცდელობას სასტიკად უსწორდებოდა.

ასე რომ, წლების მანძილზე ჩვენ თვითონ ვაფინანსებდით ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის სპეცოპერაციებს.

ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დაწყებული გამოსვლებიც განსაკუთრებით მას შემდეგ გაფართოვდა და შეიარაღებულ ამბოხში გადაიზარდა, როცა ბეპაევმა და რუსეთის სამხედრო დაზვერვამ ბლომად იარაღი მიჰყიდეს "პუტჩისტებს".

1991 წლის დეკემბრის ბოლოს მეამბოხეებს ძალზე გაუჭირდათ სულ რამდენიმე ათეული კაცის იმედზელა იყვნენ და გამსახურდიას მომხრენი ბუნკერიდან, რომ ამოსულიყვნენ ყველაფერი უცბადვე დამთავრდებოდა (თუმცა ეს არ მომხდარა, რადგანაც ზვიდს ყველა ატყუებდა და შეგნებულად "ინფორმაციულ ვაკუუმში" ამყოფებდნენ). ამიტომ, დაპატიმრების შიშით ჯაბა იოსელიანის სიტყვებით, კიტოვანი და სიგუა ღამეებს რუსეთის სამხედრო შტაბში ათევდნენ.

რუსები თან თამაშობდნენ – რომელიმე სამხედრო ნაწილზე წინასწარ შეთანხმებულ თავდასხმას გაითამაშებდნენ, რის შედეგაც ავტომატური იარაღი ვითომ შემთხვევით ქართველების, ოსების ან აფხაზების ხელში აღმოჩნდებოდა.

1993 წლის იანვარში, როდესაც რუსეთმა ლაგოდეხში განთავსებული სამხედრო "სპეცნაზის" მე-12 ბრიგადის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო, საწყობებში 300-მდე ავტომატი და ტყვიამფრქვევი, ასევე ტყვია-წამალი იყო. რუსმა სამხედროებმა იარაღის საქართველოს მხარისთვის გადაცემაზე უარი განაცხადეს და 1993 წლის იანვრის დასაწყისში ცხრა სატვირთო ავტომანქანით ვაზიანის სამხედრო საწყობებში გადატანა მოინდომეს. რუსეთის მხარის ოფიციალური ვერსიით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებმა იარაღის მუქარით შეძლეს აღნიშნული შეიარაღების და საბრძოლო მასალების ხელში ჩაგდება. თუმცა მაშინვე გავრცელდა მეორე, უფრო სარწმუნო ვერსია იმის შესახებ, რომ რუსმა სამხედროებმა, კერძოდ კი, ბეპაევმა, იარაღი დიდ ფულად მიყიდეს კიტოვანს და შეიარაღებული დაპირისპირება მხოლოდ ორივე მხარის მიერ გათამაშებული სპექტაკლი იყო.

იმ პერიოდში აფხაზებიც შეუფერხებლად ილებდნენ იარაღს რუსეთისაგან, უფრო თანამედროვეს და სრულიად უფასოდ. 1992 წლის აგვისტოში აფხაზები ვითომ გუდაუთის აეროპორტ "ბომბორას" ახლოს მდებარე რუსეთის სამხედრო ნაწილში შიჭრნენ და 2000 ათასი ავტომატი გაიტაცეს. სინამდვილეში ეს ყველაფერი ინსცენირებული იყო. აი ამგვარი მეთოდებით ცდილობდა რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტის გაღვივებას და ფართო მასშტაბიან ომში გადაზრდას, რასაც სამწუხაროდ მიაღწია კიდეც. მათი მიზანი – "დაჰყავი და იბატონე", მიღწეული იყო.

თუმცა ყველაფერი ასე მშვიდობიანად არ მთავრდებოდა და რუსი სამხედროები ხშირად "სისხლიან სიურპრიზებსაც" გვიწყობდნენ. ასე მოხდა გორში, როცა რუსების სამხედრო ნაწილში, წინასწარ შეთანხმებული და

ფულგადახდილი იარაღის წამოსაღებად მისულ ქართველ სამხედროებს ცეცხლი გაუხსნეს და ადგილზე ამოხოცეს.

ცბიერი ბებაევი კი ისე მოხერხებულად "ჩალიჩობდა" და თვითონაც იმდენი იშოვა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შვილებსა და შვილიშვილებს უზრუნველი ცხოვრება გაუნაღდა.

შევარდნაძის მმართველობის დროს იარაღის ბიზნესში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ "გვარდია", "მხედრიონი", "თეთრი არწივი", თავდაცვის და უშიშროების სამინისტროები. ცალკე ასლან აბაშიძე იარაღდებოდა. 1992 წლის გაზაფხულზე ასლანმა ჯაბა იოსელიანს 400 ახალი რუმინული წარმოების ავტომატი და 20 ყუმბარმტყორცნი აჩუქა (!). არსად აღრიცხულა და არავინ იცის იმ წლებში რამდენი ასეული მილიონი დოლარი დაიხარჯა იარაღის რეალურ და ფიქტიურ შეძენაზე. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში ტყვია-წამალი, იარაღი და სამხედრო ტექნიკა კატასტროფულად არ გვყოფნიდა. ამას უკავშირდება ერთი ანეკდოტი, სადაც ძალზე ბევრი სიმართლეა.

შევარდნაძის მიერ უკრაინიდან სპეციალურად მოწვეული ქართველი გენერალ-ლეიტენენტი ანატოლი კამკამიძე აფხაზეთის ომის დროს "მხედრიონელებს" ეკითხება:

- ნუ, როგორ არის ბიჭებო საქმე, ტყვია-წამალი ხომ არ გაკლიათ?
- ძმაო, ტყვია კი ოხრად გვაქვს, მაგრამ აი წამალი კი ნაღდად არ გვყოფნის – ნელა, სვენებ-სვენებით პასუხობს გამხდარი და თვალებმიხუჭული "მხედრიონელი".

## <u>როგორ იცავენ პრეზიდენტებს</u>

ზოგიერთს შეიძლება ეგონოს, რომ პრეზიდენტების სიცოცხლე მხოლოდ იმ კუნთმაგარ, "გაზის ბალონივით" გაბერილი პირადი დაცვის ბიჭებზეა დამოკიდებული, რომლებიც დიდი ინტელექტით არ ბრწყინავენ, თუმცა ასეულობით ადამიანში შავი სათვალით, ყურში გარჭობილი სასმენი აპარატით და "კაცისმკვლელი" სახეებით გამოირჩევიან. ეს ხუმრობით. ისე კი, ეს ბიჭები უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ, რადგანაც მათი სიცოცხლე მუდმივ საფრთხეშია და მათ თავგანწირვაზეა დამოკიდებული დასაცავი ობიექტის (დიახ სწორედ ასე ჰქვია დასაცავ პიროვნებას, პრეზიდენტი იქნება თუ ოლიგარქი) უსაფრთხოება.

პრეზიდენტების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა არც მხოლოდ იმ პიროვნებაზეა დამოკიდებული, რომელიც მას შეყვარებულივით სულ თან დასდევს – ის პირადი დაცვის უფროსია და ობიექტის დაცვის რთული გეგმის ადგილზე შესრულების კოორდინირება ევალება.

ამ გეგმას კი ის ხალხი ადგენს, რომლებიც არასდროს ჩანან და სახითაც მხოლოდ მეგობარი თუ მოწინააღმდეგე სპეცსამსახურების

თანამშრომლები ცნობენ. ეს "უჩინარი" ხალხი კარგა ხნით ადრე გეგმავს "ობიექტი №1" მეზობელ ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტს თუ რეზიდენციის გვერდით ქუჩაზე ხალხთან შეხვედრას. სხვათა შორის მათ ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობაზეა დამოკიდებული იმ პირადი დაცვის ბიჭების სიცოცხლეც, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

თუ პირად დაცვას დასაცავი ობიექტისთვის სიცოცხლის გაწირვა დასჭირდა, ეს ნიშნავს, რომ ცუდად იმუშავეს სახელმწიფო დაცვის სამსახურის სხვა სტრუქტურულმა დანაყოფებმა – ოპერატიულმა, ანალიტიკურმა, სპეციალური კავშირის, ელექტროსიგნალების ჩახშობის და ა.შ. ამიტომ წარმატებული დაცვის სამსახური (სახელმწიფო იქნება თუ კერძო სტრუქტურა) კომპეტენტური, თავდადებული და ერთგული ხალხის ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგია. ამ სამსახურის ცალკეულ დანაყოფს საინტერესო სპეციფიკა ახასიათებს, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ.

ყველა ქვეყანაში და ყველა დროს, პირადი დაცვა გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ცალკეული პიროვნებების სიცოცხლის და ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. რეალურად დაცვა, დასაცავი პირის ოჯახის წევრი და ამიტომაც მათი ყველა საიდუმლოების მცოდნეც ხდება. განსაკუთრებით დაფარული ოჯახური და ფინანსური საქმეები არა მარტო "დაცვის" თვალწინ ხდება, არამედ ხშირად ამასაც სწორედ "დაცვის ბიჭები" აკვარახჭინებენ.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სახელმწიფო მოღვაწეების და ობიექტების დაცვას კა-გე-ბეს სტრუქტურაში არსებული მე-9 მთავარი სამმართველო ახორციელებდა. რესპუბლიკებში კი ამ დანაყოფს განყოფილების სტატუსი ჰქონდა, რომლის ოპერატიულმა თანამშრომლებმა სულ ზეპირად იცოდნენ მაგალითად ედუარდ შევარდნაძის კორტეჟის მოძრაობის მთელ მანძილზე რამდენი "ბომჟი" თუ რეციდივისტი ცხოვრობდა, რამდენი გადამკვეთი ქუჩა და საკანალიზაციო ჭა იყო "ტრასაზე". კორტეჟის გავლის (ე.წ. "პროეზდის") დროს აივანზე გამოსვლაც კი, სასტიკად იკრძალებოდა. წინასწარ და გულმოდგინედ მუშავდებოდა ყველა დეტალი, რათა მოულოდნელობა ნაკლები ყოფილიყო. ეს კი დაცვის ობიექტზეც არის ბევრად დამოკიდებული. პრეზიდენტ შევარდნაძეს, განსხვავებით მისი შემცვლელი პრეზიდენტ სააკაშვილისგან, არ უყვარდა იმპროვიზაციები, რაც დაცვის სამსახურს მუშაობას უადვილებდა.

პრეზიდენტების დაცვის გეგმებში ცოცხალ ადამიანებთან ერთად უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგიებიცაა ჩართული, სადაც განსაკუთრებული ადგილი შეუკავშნილ ავტომობილებს უკავია. ისინი არა მარტო ფიზიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ, არამედ კონფიდენციალური საუბრისთვისაც გამოიყენება.

საავტომობილო გზებზე უკვე მიეჩვიეთ ისეთ მონსტრებთან შეხვედრას, როგორებიცაა "ჰამერი", "ნისან არმადა", "ლინკოლნ ნავიგატორი", "მერსედეს ს 600", "გრანდ ჩეროკი" და სხვა. ეს მასიური, მდიდრული ავტომობილები უკვე აღარ არის იშვიათობა ჩვენს გზებზე და აღარ იწვევეს ისეთ გაოგნებას და აღფრთოვანებას, როგორც ადრე, იაფი საწვავის დროს.

სამაგიეროდ შეჯავშნილი ავტომობილები ჯერ კიდევ ახალი "ხილია" ჩვენში. გამოუცდელი თვალი მხოლოდ მათ ფერს (როგორც წესი მუქ ტონებს), მარკას და "ვიპ" სალონს თუ მიაქცევს ყურადღებას. ზოგჯერ კი შეჯავშნილი ავტომობილის განსხვავება ჩვეულებრივისგან, თვით პროფესიონალთათვისაც კი არ არის იოლი.

შეჯავშნილი ავტომობილები ამ 15-17 წლის წინ მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტებისთვის იყო ხელმისაწვდომი. გავიხსენოთ თუნდაც ის ორი შეჯავშნილი "მერსედესი" თავის დროზე საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რომ დააქროლებდა. მაშინ გავრცელებული ინფორმაციით ორივე ავტომობილი საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტს 1 მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა. შემდეგ წლებში კი ოლიგარქების და დაქირავებული მკვლელების ზრდის კვალობაზე შეჯავშნილი ავტომობილები საციცოცხლო აუცილებლობა გახდა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სპეცსამსახურებმა და კრიმინალებმა მოქმედების ტაქტიკა შეცვალეს და ლიკვიდაციის ფორმები "დახვეწეს". ახლა ავტომობილზე პირდაპირი თავდასხმის ნაცვლად უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა შხამებს ან მსხვერპლის საცხოვრებელ სახლთან ან ოფისთან ჩასაფრებულები მსხვერპლის ავტომობილიდან გადმოსვლას ელოდებიან.

ამჯერად საუბარი გვექნება შეჯავშნილი ავტომობილების იმ სპეციფიურ თავისებურებებზე, რომლებიც განსაზღვრავენ მის საიმედობას, ხარისხსა და ფასს.

შეჯავშნა შეიძლება იყოს საქარხნო და არასაქარხნო წესით შესრულებული. უნდა აღინიშნოს, რომ საქარხნო წესით შეჯავშნას ახორციელებს მხოლოდ ზოგიერთი ავტოგიგანტი - "დაიმლერ-კრაისლერი," "ბე-ემ-ვე", "აუდი", "ვოლვო" და სხვ. დანარჩენი მარკის ავტომობილებს, როგორც წესი, სპეციალიზებული ფირმები ჯავშნიან.

## შეჯავშნის "გარდაუვალი ბოროტება"

ავტომობილის შეჯავშნა რა თქმა უნდა ზრდის ავტომანქანის მასას, რაც მის სიჩქარეს და მანევრირების უნარს აქვეითებს. დამძიმებული

შეჯავშნილი ავტომობილისთვის შასის სპეციალურად, როგორც წესი, სატვირთო ავტომობილების დეტალებისგან ამზადებენ.

ასევე აუცილებელი ხდება ავტომობილის ძრავის გადაკეთება ან შეცვლა დამატებითი სიმძლავრის და ბრუნვის მომენტის უზრუნველყოფისთვის, რომელიც საჭიროა ავტომობილის ადგილიდან დასაძრავად. გარდა ამისა მართვის სისტემამ უნდა შეძლოს შეჯავშნილი ავტომობილის ეფექტიანი მანევრირების უზრუნველყოფა, ხოლო მუხრუჭებმა უნდა შეძლოს ავტომობილის გაჩერება რაც შეიძლება მცირე მანძილზე და აშ. მოკლედ შეჯავშნა ბევრად ამძიმებს და აძვირებს ავტომობილს.

შეჯავშნილი "მონსტრის" ფასი დამოკიდებულია შეჯავშნის დონეზე და გამოყენებული მასალის ხარისხზე.

ევროპული სტანდარტის მიხედვით ცეცხლსასროლი იარაღისგან დაცვის დონეს აღნიშნავს ასო "B". იწყება 3-დან და 7-მდე ადის. "მსუბუქად შეჯავშნილი" ავტომობილი აღინიშნება 3-3, სადაც პირველი კოდი მინების, ხოლო მეორე ავტომობილის კორპუსის შეჯავშნის აღმნიშვნელია. ამ დროს ჯავშანმა უნდა გაუძლოს 5,45 და 9 მმ-ის კალიბრის პისტოლეტის ტყვიას.

B5- 5 აღნიშნავს "საშუალო შეჯავშნას", რომელმაც უნდა უზრუნველყოს "აკ-47 კალაშნიკოვისა" და სნაიპერული შაშხანის ტყვიებისგან დაცვა.

B-7 აღნიშნავს ავტომობილის "მაღალი (მძიმე) შეჯავშნის" დონეს და უზრუნველყოფს აკ-74 და ხელყუმბარის ნამსხვრევებისაგან დაცვას.

"საშუალო" შეჯავშნის მსუბუქი ავტომობილის ფასი 200 –250 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს, ხოლო "მძიმედ" შეჯავშნილი ავტომობილის ფასმა შეიძლება 1 მილიონ დოლარს მიაღწიოს.

პრეზიდენტებისთვის შეჯავშნილი ავტომობილები სპეციალური და სრულიად გასაიდუმლოებული პროგრამით მზადდება. ურთიერთშეთანხმებით კლიენტის ვინაობა სამუდამოდ უცნობი უნდა დარჩეს. ბუნებრივია ასეთი ექსკლუზიური ავტომობილები გაცილებით ძვირი ღირს.

მაგალითად რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი კვლავ სპეციალურად მისთვის შეჯავშნილი **Mercedes-Benz S-Guard Pullman** სარგებლობს, რომლის ფასი 1,5 მილიონ დოლარზე მეტია.

აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ჯავშანმანქანა **Cadillac DeVille (DTS)** "ამერიკულია" და "ჯენერალ მოტორსის" ერთ-ერთ განყოფილებაშია დამზადებული. მისი ღირებულება 2 მილიონ დოლარს უკაკუნებს და 4,5 ტონას იწონის.

თუ ჩვეულებრივმა "მოკვდავმა" მეზობლების ჯინაზე შეჯავშნილი ავტოს შეძენა გადაწყვიტა, პირველი ეტაპზე სოლიდური მწარმოებელი ფირმის არჩევა მოუწევს. მსოფლიოში, სამწუხაროდ მხოლოდ ათამდე კომპეტენტური

და სანდო მწარმოებელია. ამიტომაც კომპეტენტურ სპეციალისტებთან კონსულტაციები ნამდვილად არ გაწყენთ.

## მასალა რითაც იჯავშნება ავტომობილი

ავტომობილის ჯავშნის სიმტკიცის განსხვავებულ დონეს (შემდეგში კი, როგორც ზემოთ დავინახეთ - ღირებულებასაც) განსაზღვრავს ის სპეციფიური მოთხოვნები, რომელსაც თქვენ დამამზადებელს წაუყენებთ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს ავტომობილის დაცვა სხვადასხვა სისტემის, ტიპის და კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღისგან. შეჯავშნის დონეს განსაზღვრავს აგრეთვე სროლის კრიტიკული მანძილი და ა.შ.

ჯავშანი შეიძლება დამზადდეს მინისგან, პოლიკარბონატისგან, კერამიკისგან, პლასტმასისგან, არმირებული მინისგან, ქსოვილისგან, ალუმინისგან და ფოლადისგან.

## მინა

ტყვიაგაუმტარი მინა გამოიყენება, უპირველესად გვერდითა და საქარე მინებისთვის. მცირე კალიბრის მქონე ცეცხლსასროლი იარაღისგან დაცვას, როგორც წესი, უზრუნველყოფს 10 მილიმეტრის სისქის მქონე ერთშრიანი მინა. დიდი კალიბრის მქონე ცეცხლსასროლი იარაღისგან (მაგ. შაშხანა) თავის დასაცავად საჭიროა მინის 2-4 შრე, რომლებიც დამაგრებულნი არიან სპეციალური ნივთიერების საშუალებით. შედეგად შეიძლება მივიღოთ 5-8 სანტიმეტრის სისქის მქონე ძალიან მძიმე მინა. ის არა მარტო ძალზე ძვირია, არამედ სერიოზული ოპტიკური დამახინჯებაც ახასიათებს.

შეჯავშნილი ავტომობილის კარის მინები მზადდება უმსხვრევადი მინისგან. ამ დროს მინის შრეებს ერთმანეთთან ისე აერთებენ, რომ ავტოავარიის დროს პატარა ნამსხვრევებმა არ დააზიანოს მანქანაში მყოფი ადამიანები. სურვილის შესაბამისად დამატებით შეიძლება დაყენდეს მინის ან ტონიზირებული პლასტიკის ფენები. ეს ამაღლებს დაცვით პოტენციალს - არ გახდის მინას სრულიად ტყვიაგაუმტარს, თუმცა დაგეხმარებათ ტყვიების უკუგდებაში და მინის ნამსხვრევების შეჩერებაში.

ტყვიაგაუმტარი მინის დაყენება კარების გადაკეთებას მოითხოვს. უფრო თანამედროვე ვარიანტია კევლარისაგან დამზადებული შტორების დაყენება. ის ძალიან იოლად მაგრდება კარებების და უკანა მინებზე. თუმცა შეჯავშნის ამ ვარიანტის ნაკლი ხილვადობის მკვეთრი შეზღუდვაა.

ავტომობილის მინის სიმტკიცის გაზრდის ყველაზე თანამედროვე მეთოდია მათი დაფარვა სპეციალური დაჯავშნული აპკის დახმარებით რომლის სისქე მერყეობს 5-35 მიკრონის ფარგლებში. ამ აპკებს ძალიან რთული ქიმიური სტრუქტურა აქვთ, სადაც მთავარი გამაძლირებელი ფუნქცია აკისრია წებოს შრეს. მინა, რომელზედაც დაწებებულია რამდენიმე შეჯავშნული აპკის შრე, უძლებს აგურის დარტმას და პისტოლეტის ტყვიას. დაცვითი შრე აგრეთვე აჩერებს იმ ხელყუმბარის ნამსხვრევებს, რომელიც ავტომობილის ახლოს ფეთქდება. ასეთი მინა უძლებს 70 ტონის დაწოლას ერთ კვადრატულ მეტრზე, თანაც აპკის შრეები არ იწვის. ჩამოთვლილი თვისებების გარდა, დაწებებულ აპკის შრეებს გააჩნიათ კიდევ ერთი, პრეზიდენტებისა და ოლიგარქებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი თვისება: მათგან არ შეიძლება ინფორმაციის "მოხსნა" არც ოპტიკური და არც ელექტრომაგნიტური საშუალებებით.

## პოლიკარბონატები

ისინი გამჭირვალეა, როგორც მინა. თუმცა მასზე უფრო მტკიცე და მსუბუქი არიან, სამაგიეროდ მალე იჩხაპნებიან. გარდა ამისა, პოლიკარბონატების კიდევ ერთი უარყოფითი თვისება მათი ადვილად აალებაა.

## ქსოვილი

კევლარი ყველაზე პოპულარულია ტყვიაგაუმტარ ქსოვილებს შორის და ძირითადათ გამოიყენება ტყვიაგაუმტარი ტანსაცმლის წარმოებაში. ეს ბოჭკო პირველად წარმოადგინეს 1972 წელს. როგორც სხვა ტყვიაგაუმტარი მასალები, კევლარი ქმნის დაცვის სხვადასხვა დონეს მისი მრავალი შრის გამოყენების ხარჯზე. ცნობილია, რომ ჩვეულებრივი კევლარის ჟილეტი არ იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ ის ყველა ტყვიას შეაჩერებს. კევლარის საკმაოდ ბევრი შრე არის საჭირო თუნდაც 9მმ ის კალიბრის ტყვიის შესაჩერებლად. კევლარს აგრეთვე იყენებენ ავტომობილის შიგნით დამატებითი თავდაცვის უზრუნველსაყოფად.

## კერამიკა და მინაბოჭკოვანი პლასტმასი

კერამიკა ტყვიაგაუმტარ მასალებს შორის გამოირჩევა სიმტკიცით, სიმსუბუქით და დაცვის მაღალი ხარისხით. ზოგჯერ იყენებენ ავიაციაში, ძირითადათ, შვეულმფრენებში პილოტის სავარძლის დასაცავად.

ამ მასალებით ავტომობილის დაჯავშნა, რაღა თქმა უნდა ძალიან "ძვირი სიამოვნებაა", მაგრამ, თქვენი სიცოცხლე უფრო ძვირი არ ღირს?

## ფოლადი და ალუმინი

ეს ტყვიაგამძლე მასალები ყველაზე ხშირად გვხვდება შეჯავშნულ ავტომობილებში. ფოლადს იყენებენ იმ შემთხვევაში, თუ შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ტყვიისგან გვსურს თავის დაცვა. ეს მოითხოვს 3 მმ სისქის მქონე სპეციალურად ნაწრთობ ფოლადს, ხოლო მსხვილ კალიბრიანი ტყვიამფრქვევისგან თავდაცვა მოითხოვს 10 მმ სისქის მქონე სპეცალურ ფოლადს. მაგრამ ეს სპეციალური ტიპის ფოლადიც კი ვერ შეაჩერებს ჯავშანგმტან ტყვიებს, 50 კალიბრის მქონე ტყვიამფრქვევის ტყვიებს და ასევე ვერ დაგიცავთ დისტანციური მოქმედების ნაღმებისგან.

ალუმინის ჯავშანი, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მასალა ავტომობილის შეჯავშნისთვის. მას იყენებენ იმ შემთხვევაში, თუ 9მმ-ზე უფრო დიდი კალიბრის იარაღით არ არის მოსალოდნელი თავდასხმა. ალუმინის მასალებით შეჯავშნა ესაა კომპრომისული გადაწყვეტილება კომფორტს, დაცვის ხარისხს, ფასსა და პრაქტიკულობას შორის.

## ავტომობილის საბურავები და შასი

უპირველესად ყურადღება უნდა მივაქციოთ შესაჯავშნი ავტომობილის საბურავების მახასიათებლებს. მსოფლიოში სულ რამდენიმე კომპანია აწარმოებს ე.წ. ტყვიაგამძლე საბურავებს თვითდაწებებადი კამერით და ძირითადი საბურავის შიგნით მოთავსებული მეორე საბურავით (თუ გარეთა დაეშვება, შიგნითა არ მისცემს მანქანას "დისკზე" დაჯდომის საშუალებას და ავტომობილი მანევრირებას გააგრძელებს). იმისთვის რომ ავტომობილმა დაშვებული საბურავებითაც კი, არ დაკარგოს მართვის უნარი, წყვილთვალის შიგნით ძალიან ხშირად ათავსებენ მძლავრ, პლასტიკურ დისკს. ეს საშუალებას აძლევს ავტომობილს გაიაროს კიდევ ოცდაათამდე კილომეტრი თავდასხმის ადგილიდან. ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ ოთხი ტყვიაგაუმტარი საბურავის კომპლექტი სულ მცირე 2000 დოლარი დაგიჯდებათ. თუმცა, ფული არ დაინანოთ, რადგანაც სწორედ ტყვიაგამძლე საბურავებმა გადაარჩინა საფრანგეთის პრეზიდენტი გენერალი შარლ დე გოლი სიკვდილს.

## თავდასხმა საფრანგეთის პრეზიდენტზე

მოხუცი გენერლის კარიერას შეიძლება 1962 წლის 22 აგვისტოს საღამოს დასმოდა წერტილი. იმ დღეს განაწყენებული ალჟირში ნაბრძოლი ფრანგი ოფიცრების (ე.წ. "ალჟირელების") მიერ საფრანგეთის პრეზიდენტზე განხორციელებული თავდასხმა წარმატებით, რომ დასრულებულიყო, შესაძლოა მსოფლიოს უახლესი ისტორიაც სხვაგვარად განვითარებულიყო.

1962 წლის 22 აგვისტოს საღამოს პრეზიდენტის სასახლიდან გამოსული ესკორტი ალჟირის ომების ვეტერანის, პოლკოვნიკ ჯორჯ ვატენის ცხრაკაციანმა ჯგუფმა ავტომატებით დაცხრილა. გასაკვირია მაგრამ დე გოლის "სიტროენის" მინები და კორპუსი სათანადოდ დაჯავშნილი არ აღმოჩნდა, ამიტომაც რამდენიმე ტყვიამ მინა და ავტომობილის ძარა გახვრიტა და პრეზიდენტის მოზრდილი ცხვირის წინ ჩაიწუილა. ტერორისტები სპეციალურად საფრანგეთის პრეზიდენტის "სიტროენის" საბურავებს უმიზნებდნენ, რათა ავტომობილი შეეჩერებინათ და შემდეგ დე გოლი შიგ ჩაეცხრილათ. თვითდაწებებადი საბურავები ავტომატის გრიგალისებური ცეცხლის შემდეგ რამდენიმე ადგილას გაიხვრიტა, თუმცა კამერის ატმოსფერული წნევის რეგულირება მაინც შეძლო და ავტომობილმა მანევრირების საშუალება არ დაკარგა. პრეზიდენტის გამოცდილმა მძღოლმა ფრანსუა მარუმ შეძლო თავდასხმელებს ხელიდან დასხლტომოდა და "სიტროენის" მგზავრები პრეზიდენტი, მისი მეუღლე ივონა და მათი სიძე, საფრანგეთის ჯავშანსატანკო ჯარების შტაბის უფროსი ალენ დე ბუასიე, სამშვიდობოს გაეყვანა.

## "შეჯავშნილი საბანი"

"ვიპ" კლიენტების დაცვის დამატებითი ტექნიკური საშუალებებიც არსებობს. ასეთია ე.წ. "შეჯავშნილი საბანი", რომელიც პისტოლეტით თავდასხმის დროს შეიძლება გამოვიყენოთ. ავტომობილზე შეტევის დროს კლიენტი აუცილებლად უნდა დაწვეს იატაკზე მიუხედავად იმისა აქვს მას "შეჯავშნილი საბანი" თუ არა.

ამ "საბანს", რომელსაც ზოგჯერ "დიპლომატ-კეისშიც" ათავსებენ, ხშირად იყენებენ პოლიტიკური ლიდერების საჯარო გამოსვლების დროს სნაიპერის ტყვიისგან დასაცავად.

## დაიცავით ბალანსი!

აუცილებელია დავიცვათ ბალანსი უსაფრთხოებასა და ავტომობილის მანევრირებას შორის. ჯავშნით ზედმეტად გადტვირთული ავტომობილი შეზღუდულია მანევრირების დროს, ასევე შემცირებულია მისი სისწრაფეც. გარდა ამისა, თუ ჩვენ ძალიან დავამძიმებთ ავტომობილის კორპუსის ზედა ნაწილს, ის შეიძლება გახდეს არამდგრადი და მოსახვევში შეიძლება

გადაბრუნდეს კიდეც. მძიმედ შეჯავშნილი ავტომობილი "ტარანზეცაა" გათვლილი, ანუ თუ წინ მოძრაობის შესაფერხებლად სხვა მსუბუქი ავტომობილი ჩაუდგა, მან სვლა არ უნდა შეანელოს და "ტარანზე" წავიდეს. შეჯავშნის გამო იზრდება ავტომობილის სამუხრუჭე მანძილიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო შეჯავშნილი ავტომობილის მართვა საკმაოდ რთული პროცესია, ამიტომაც საჭიროა მძღოლის დამატებითი მომზადება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამწუხაროდ შეუძლებელია (ყოველ შემთხვევაში ამჟამად) ისეთი ჯავშნის შექმნა, რომელიც ყველაფრისაგან დაგიცავთ. ყველაზე მაღალ დონეზე შეჯავშნილი ავტომობილიც კი ვერ გაუძლებს გზის სავალ ნაწილზე დამონტაჟებულ ფუგასურ ნაღმზე აფეთქებას.

## რადიატორის დაჯავშნა

პრეზიდენტების და სხვა "ვიპ" მგზავრების დასაცავად და უსაფრთხოდ გადასაადგილებლად, აუცილებელია არა მარტო ავტომობილის მინების და კარებების შეჯავშნა, არამედ ავტომობილის ძრავის, სიჩქარის გადაცემათა კოლოფის, ელექტრომოწყობილობების, სადენების და ა.შ. დაცვა. ამიტომ უპირველესად საჭიროა ავტომობილის "რადიატორის" და "კაპოტის" დაცვა წინიდან და ზემოდან, რისთვისაც იყენებენ ლითონის ტიხრებს ან კერამიკულ პანელებს. მათ შეუძლიათ აისხლიტონ ტყვიები, რომლებიც "რადიატორს" აზიანებენ. ავტომანქანა მწყობრიდან გამოსული რადიატორით კიდევ რამოდენიმე წუთს იცლის, სანამ ძრავა არ გადაცხელდება და არ გაჩერდება. კევლარის ან კერამიკის პანელები დამონტაჟებულია ძრავის და სხვა კომპონენტების ტყვიებისაგან დასაცავად.

ოფიციალური ვერსიით, სწორედ შეჯავშნილმა "რადიატორმა" გადაარჩინა ედუარდ შევარდნაძის სიცოცხლე ერთ-ერთი ტერაქტის დროს.

## ორი შემთხვევა "ედუარდ აუფეთქებელის" ცხოვრებიდან

1995 წლის 29 აგვისტოს 18.30 საათზე საქართველოს პარლამენტის შიდა ეზოში გასასვლელ ჭიშკართან დილიდან გაჩერებული ავტომობილი "ნივა" აფეთქდა. ყველას კარგად ახსოვს ეს, ჯერ კიდევ ბურუსით მოცული ისტორია.

ოფიციალური ვერსიით სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის უფროსი პეტრე მამრაძე "პიონერთა სასახლეში", საქართველოს კონსტიტუციის

მიღების საზეიმო ცერემონიალზე მიიჩქაროდნენ. სწორედ ისინი იმყოფებოდნენ შავი ფერის "გაზ-29" ავტომობილში, რომელიც "ნივას" ოდნავ გასცილდა თუ არა, აფეთქების ხმაც გაისმა. ყველანი მსუბუქად დაიჭრნენ მინის ნამსხვრევებით.

ამ ისტორიაში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის ფაქტია, რომ ავტომობილი, რომელშიც შევარდნაძე იმყოფებოდა დაჯავშნილი არ იყო. ეს მით უფრო გასაოცარია, თუ გავიხსენებთ, რომ იმ პერიოდში საქართველოში სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებები თავისუფლად დათარეშობდნენ. ამ ვითარებაში რამდენად სარწმუნოა, რომ ქვეყნის პირველ პირს დაჯავშნილი ავტომობილით არ ესარგებლა? მით უფრო "დიდ ბაბუს", რომელიც ზედმიწევნით ფრთხილი პიროვნება გახლავთ. რა იყო ეს – სახელმწიფო დაცვის სამსახურის შეცდომა, თუ წინასწარ დადგმული "ტერაქტი - სპექტაკლი"? ან იქნებ ეს ტერაქტი შევარდნაძის ერთგვარი გაფრთხილება იყო?

ამ ტერაქტს სერიოზული საკადრო გადაადგილებები მოჰყვა საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში. უშიშროების მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი იგორ გიორგაძე, რომელიც ამ ტერაქტის ორგანიზების და მოწყობის ბრალდებით დღესაც იძებნება "ინტერპოლის" წითელი ცირკულარით, 1995 წლის სექტემბრის დასაწყისში გაიქცა. ვაზიანის ტერიტორიაზე მდებარე რუსეთის სამხედრო ბაზიდან აფრენილმა ან-72 ("ჩებურაშკა") გიორგაძე მშვიდობიანად ჩაიყვანა მოსკოვში.

სამი წლის შემდეგ, 1998 წლის 9 თებერვალს ანალოგიური "ტერაქტი-გაფრთხილება" განმეორდა, რომელსაც სამწუხაროდ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის ორი ახალგაზრდა თანამშრომლის სიცოცხლე ემსხვერპლა. "აუფეთქებელი" შევარდნაძე ამჯერად ყოველგვარი ნაკაწრის გარეშე გამოაძვრინეს (?) აფეთქებული შეჯავშნილი mercedes-Benz S-Guard–იდან.

ოფიციალური ვერსიით ყუმბარმტყორცნი "მუხა"- დან ნასროლი ჭურვები ავტომობილის წინა მარჯვენა კარს ქვემოთ და "კაპოტის" ცენტრალურ ნაწილს მოხვდა, რის შედეგადაც ავტომობილი მწყობრიდან გამოვიდა, თუმცა ინერციით რამდენიმე ათეული მეტრი მაინც წინ გასრიალდა. შევარდნაძე შემდეგ ამტკიცებდა, რომ სწორედ ამან გადაარჩინა მისი სიცოცხლე. ავტომატებიდან სროლის შედეგი მძიმედ შეჯავშნილი ლიმუზინისთვის უფრო "კოღოს ნაკბენივით" იყო. სურათზე კარგად ჩანს, რომ საბურავებიც კი არ დაზიანებულა.

ამ ტერაქტმა ძალზე საინტერესო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია.

1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში სტუმრად მყოფმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა რუსული წარმოების ყუმბარმტყორცნების დათვალიერებისას ირონიულად ჰკითხა ერთ-ერთ თანმხლებ ოფიცერს:

- "დაჯავშნილი "მერსედესის" აფეთქებას ხომ შეძლებს"?

- რა თქმა უნდა, უპასუხა ოფიცერმა.

თბილისში, "პლეხანოვზე" გაზრდილმა პრიმაკოვმა კი, კმაყოფილმა ჩაიცინა.

ამით პრიმაკოვმა ალბათ მიანიშნა, რომ შევარდნაძის ლიკვიდაცია სერიოზულად ვინმეს, რომ სდომებოდა არ გაუჭირდებოდაო.

1999 წლის 21 ოქტომბერს აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს ყოფილმა დირექტორმა უილიამ ოდემმა რადიო "თავისუფლებასთან" ინტერვიუში ღ.ად დაადანაშაულა რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ევგენი პრიმაკოვი შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტის ორგანიზებაში. ოდემმა სიტყვა-სიტყვით განაცხადა: "რუსეთის ხელისუფლება, იმ პერიოდში, როდესაც პრიმაკოვი ხელმძღვანელ თანამდებობებზე იყო, სულ მცირე ორჯერ ცდილობდა შევარდნაძის ლიკვიდაციას. საქართველოს მთავრობამ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანას წარუდგინა ამის დამაჯერებელი დასაბუთება. პრიმაკოვი იყენებდა ბელორუსიაში არსებულ რუსეთის სადაზვერვო ქსელს, რათა მოეკლათ შევარდნაძე და მისი მთავრობის ზოგიერთი წევრი". ბევრი ექსპერტი ფიქრობდა, რომ ამ სკანდალური განცხადების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო აშშ-ის კოსმოსური დაზვერვის მიერ საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრის იგორ გიორგაძის სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენა.

ამ ტერაქტმა კარგი რეკლამა გაუკეთა "მერსედესის" ფირმას, გასაკუთრებით კი იმ განყოფილებას, რომელიც შეჯავშნილ ავტომობილებს ამზადებს.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, შემდეგ კი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხელმძღვანელების დაცვის სტილი დიდად არ განსხვავდება "კომუნისტურისგან".

"პროეზდის" დროს ქუჩები იკეტება, საგზაო პოლიცია პატრულირებს ყველა გზაჯვარედინთან და შესახვევთან, ხშირია კამათი ლოდინით დაღლილ მძღოლებსა და სამართალდამცავებს შორის და ა.შ. თუმცა მიუხედავად ბევრი მსგავსებისა, ზოგიერთი ქვეყნის ლიდერის დაცვა განსაკუთრებითაა აღსანიშნავი.

თურქმენეთის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის თურქმენბაშის ესკორტის ნახვა ერთი სიამოვნება იყო. რამდენიმე ათეული შავი, მძიმედ შეჯავშნილი ლიმუზინი და "ჯიპი" ელვისუსწრაფესად მიქრიდა აშხაბადის დაცარიელებულ ქუჩებში. ნიაზოვი ხშირად თავად უჯდა "მერსედეს პულმანის" საჭეს. თუმცა, როგორც ამბობენ გაძლიერებულმა დაცვამაც ვერ უშველა ნიაზოვს – გავრცელებული ვერსიით მისი მოულოდნელი გარდაცვალება მოწამლის შედეგი იყო.

## როგორ იცავენ ამერიკის პრეზიდენტს?

2008 წელს ავსტრალიაში გამართული აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფორუმი ბევრი რამით იყო საინტერესო.

გაშიშვლებული ანტიგლობალისტების საპროტესტო მიტინგების გარდა, უფრო დაკვირვებული თვალი აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დაცვის უპრეცენდენტო ღონისძიებებსაც შეამჩნევდა. ისიც უნდა ითქვას, რომ 2005 წლის 9 მაისს თბილისში ვიზიტისას ბუშს გაცილებით "მსუბუქად" იცავდნენ.

ავსტრალიის ფორუმის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე სიდნეიში ამერიკიდან 15 სპეცჯგუფი ჩავიდა, რომლებიც სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებით ბუშის ვიზიტის ყველა კუთხე-კუნჭული შეისწავლეს. ამერიკის პრეზიდენტის დაცვის სპეცსამსახურის (რომელიც სხვათაშორის აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია) 250 საიდუმლო აგენტი კი, ბუშის ჩამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე დაეშვა სიდნეის აეროპორტში. მათ 16 (!) დაჯავშნილი ავტომობილიც ჩაიტანეს (მათგან რამდენიმე **Cadillac DeVille (DTS)**, რომელთაგან ერთი ბუშისთვის და ამერიკის "შავი პანტერა" – კონდოლიზა რაისისთვის იყო განკუთვნილი. ლორა ბუში შეუძლოდ გახდა და აშშ-ის სახელმწიფო მინისტრს მოუწია "პირველი ლედის" წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულება. ჯორჯი და კონდი ისე "კურკურებდნენ", რომ მათი რომანის შესახებ რუსეთის სპეცსამსახურებმა ახალი დეზინფორმაცია უკვე შექმნეს.

საინტერესოა, რომ ფორუმში მონაწილე სამ ათეულზე მეტი სახელმწიფოს მეთაურის პირადი დაცვის წევრებიდან, მხოლოდ ჯორჯ ბუშის დაცვას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება. საინფორმაციო წყაროების ცნობით ბუშის დაცვის ღონისძიებებზე რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი დაიხარჯა. დაცვის ამგვარი ღონისძიებების მიუხედავად კურიოზი მაინც მოხდა. ავსტრალიელმა მსახიობებმა გადაწყვიტეს ბუშის დაცვის სიფხიზლის შემოწმება და მოტოციკლისტების კორტეჟის თანხლებით სამი ლიმუზინით, რომლებსაც კანადის ეროვნული დროშა ამშვენებდა, დაცვის კორდონების გავლა სცადეს. ორი გაძლიერებული ბლოკ-პოსტი ისე გაიარეს, რომ არავის არანაირი დოკუმენტი არ მოუთხოვია. მხოლოდ იმ სასტუმროს კართან, სადაც პრეზიდენტი ბუში დაბინავდა აღკვეთა დაცვამ ონავარი ჟურნალისტების მასკარადი. ტერორისტებს ეს მეთოდი, რომ გამოეყენებინათ მსხვერპლი გარდაუვალი იქნებოდა.

## როგორ იცავენ ვლადიმერ პუტინს?

ამჟამად რუსეთის სპეცსამსახურების მთავარი თავისებურებაა ის რომ, ამ ქვეყანაში თითქმის აღდგენილია საბჭოთა კა-გე-ბეს ორგანიზაციული სტრუქტურა. რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა და ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ბევრი ილაწა იმისთვის, რომ კა-გე-ბე ფერფლიდან აღედგინა და კვლავ მონსტრად ექცია და მისი მემკვიდრე ეფ-ეს-ბე, ყოვლისშემძლე ფარული პოლიცია გაეხადა. თუმცა პუტინმა დაცვის ფედერალური სამსახური (ყოფილი კა-გე-ბეს მე-9 მთავარი სამმართველო) ცალკე სტრუქტურად დატოვა, რომელსაც თავად აკონტროლებს.

ასევე ცალკე სტრუქტურაა პრეზიდენტის უშიშროების სამსახურიც, რომელსაც გენერალი ვიქტორ ზოლოტოვი, თავის დროზე სანქტ-პეტერბურგის მერის ანატოლი სობჩაკის პირადი მცველი, ხელმძღვანელობს. ის 1999 წელს პირად დაცვაში აიყვანა რუსეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა.

მიუხედავად იმისა, რომ პუტინი რუსეთის პრეზიდენტი აღარ არის, მას მაინც ძველებური "პატივით" იცავენ.

პუტინის დაცვა ჩვეულებრივი ღონისძიებების (მაგ. სამსახურში წასვლა ან სახლში დაბრუნება) დროს რამდენიმე ათეული კაცისგან შედგება. ესკორტი 5-7 სპეციალური (როგორც წესი ყველა შეიარაღებულია) და 3-4 ავტოინსპექციის ავტომობილისგან კომპლექტდება.

"ხალხში გასვლისას" კი დაცვა გაძლიერებულია. მარშრუტის მთელ მონაკვეთზე შეიარაღებული დაცვის თანამშრომლები მორიგეობენ. ადმინისტრაციული და საცხოვრებელი შენობების სახურავებზე სნაიპერები არიან ჩასაფრებული. პირადი დაცვა სამ პერიმეტრულ რგოლადაა განლაგებული. ისინი მსუბუქი და მძიმე ცეცხლსასროლი იარაღით არიან აღჭურვილნი.

პირადი დაცვა (ე.წ. "ლიჩნიკები") შეიარაღებულნი არიან "გიურზას" ტიპის 9-მმ პისტოლეტებით,რომლის წონა (ვაზნების გარეშე) 955 გრამია. მჭიდი 18 ვაზნიანია. სროლის ოპტიმალური მანძილი 100 მეტრს აღწევს. წუთში 40 გასროლა ამ პისტოლეტის მნიშვნელოვანი ღირსებაა. 50 მეტრიდან "გიურზას" ვაზნა ჯაჭვანჟილეტს, ხოლო 100 მეტრიდან კი მსუბუქი ავტომობილის კორპუსს ხვრეტს.

პუტინის პირადი დაცვის მებრძოლები შეჯავშნილი "ჯიპებით" მოძრაობენ. ამ დროს ფანჯრები აუცილებლად ჩაწეული უნდა იყოს, ხოლო იარაღი მომართული.

ისინი,როგორც წესი აკ-74 და აკს-74უ,"დრაგუნოვის" სნაიპერული შაშხანით, კალაშნიკოვის ხელის ტყვიამფრქვევით, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნებით და "ოსა"-ას სისტემის გადასატანი საზენიტო კომპლექსით არიან შეიარაღებული.

დაცვის მებრძოლები კევლარის ჯავშანჟილეტებით არიან აღჭურვილნი, რომელიც ავტომატის ვაზნას უძლებს. პუტინის გვერდით ხშირად შეამჩნევთ შავ სათვალიან "ვერზილებს", რომელთაც ხელში "დიპლომატ-კეისები" უკავიათ. ზოგს შეცდომით ისინი ე.წ. "ატომური ღილაკის" გადასატანი "დიპლომატები" ჰგონია. სინამდვილეში კი ეს ჯავშანდაფებია, რომლებიც სულ რამდენიმე წამში შეიძლება გადააფარონ დასაცავ ობიექტს.

## რაისა მაქსიმოვნა გორბაჩოვას ხუშტურები

სახელმწიფო დაცვის სამსახურში მუშაობა მხოლოდ შორიდან ჩანს რომანტიკული და პრესტიჟული. დაცვის თანამშრომელი, მით უმეტეს, თუ ის სახელმწიფოს სათავეში მყოფ პიროვნებებს და მათ ოჯახის წევრებს იცავს, მუდმივ ნერვულ სტრესში იმყოფება. პროფესიულ დაძაბულობას ხშირად დასაცავი ობიექტის ოჯახის წევრების ხუშტურების ატანაც ემატება. მიდი და გაუძელი!

მიჩნეულია, რომ საბჭოთა ლიდერებიდან ყველაზე რთული დასაცავი ობიექტი საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, უფრო ზუსტად მისი მეუღლე იყო. თავად "პერესტროიკის მამა" უსიტყვოდ ემორჩილებოდა უსაფრთხოების ინსტრუქციებს, აი, აწ გარდაცვლილი რაისა მაქსიმოვნა კი ნამდვილად სისხლს უშრობდა დაცვის თანამშრომლებს. მათ უამრავი დამცირებების ატანა უხდებოდათ საბჭოთა კავშირის "პირველი ლედისგან", რომელსაც გამორჩეულ ინტელექტსა და გემოვნებაზე ჰქონდა პრეტენზია.

•

ქვემოთ მოგითხრობთ განსაკუთრებით კურიოზულ ფაქტებზე, რომლებიც აბსოლუტურად სარწმუნოა, რადგანაც კა-გე-ბეს მე-9 სამმართველოს ყოფილი თანამშრომლების მოგონებებს ეყრდნობა.

1985 წელს, როდესაც მიხეილ გორბაჩოვი სკკპ ცკ გენერალურ მდივნად აირჩიეს, მისი ოჯახი შავი ზღვის ერთ-ერთ სამთავრობო აგარაკ ფოროსზე (რომელიც ისტორიაში უფრო 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ შევიდა) გაემგზავრა. პირველივე დღეს გორბაჩოვის ერთ-ერთ ქალიშვილს, რომელიც ფანჯრის გაღებას ცდილობდა ხის კარნიზი დაეცა ხელზე, შიშით კი შეეშინდა, მაგრამ ტრამვა არ მიუღია. ეს უმნიშვნელო ფაქტი გახდა საბაბი იმისა, რომ რაისა გორბაჩოვას მოთხოვნით მე-9 სამმართველოს უფროსის მოადგილე, რომელიც სამთავრობო მშენებლობას კურირებდა, ბაიკონურის კოსმოდრომის ერთ-ერთი მშენებელი, მეორე დღესვე სამსახურიდან დაეთხოვათ. მას კიდევ 15 თანამშრომელიც მიაყოლეს.

რაც დრო გადიოდა რაისა მაქსიმოვნას კაპრიზები დაცვის თანამშრომლების მიმართ უფრო მატულობდა. აშშ-ში ერთ-ერთი ვიზიტის

დროს რაისა ისე მოიხიბლა ნენსი რეიგანის ორმეტრიანი ზანგი მცველებით, რომ მოსკოვში დაბრუნებულმა სასწრაფოდ პირადი დაცვის თანამშრომლებად რუსი "რემბოები" მოითხოვა. "კვადრატული" "ვანია" რომ მიჰგვარეს ერთხანს ძალზე იხალისა, მაგრამ მალევე დაიწუნა – ინგლისურის გამოთქმა არ უვარგაო და გააგდო. უცხო ენებს უკავშირდება რაისა გორბაჩოვას კიდევ ერთი ხუშტური. ცნობილია, რომ, წელიწადის რა დრო და როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ცოლ-ქმარი გორბაჩოვები ძილის წინ აუცილებლად ფეხით სეირნობდნენ რეზიდენციის ბაღში. ერთხელაც წვიმდა მაგრამ ისინი მაინც გავიდნენ სასეირნოდ. ცოტა ხნის შემდეგ რაისა მაქსიმოვნამ სველ ბუჩქებში ჩამალული, პოსტზე მყოფი დაცვის ოპერატიული თანამშრომელი შეამჩნია და თავისთან მოუხმო:

- რა ენები იცით ახალგაზრდავ?, დაინტერესდა "პირველი ლედი";

- სკოლაში ინგლისურს ვსწავლობდი, უპასუხა სიციივისგან ერთიანად აკანკალებულმა მე-9 სამმართველოს თანამშრომელმა.

რაისამ სეირნობა გააგრძელა. სამაგიეროდ სახლში დაბრუნების შემდეგ ქმარს დაატეხა გრიგალი – როგორ დაიცავენ ისინი ჩვენს სიცოცხლეს, როცა უცხო ენები არ იციანო.

მეორე დღესვე ბუჩქებში ორ უმაღლესდამთავრებული და სამი უცხო ენის მცოდნე ოპერატიული თანამშრომელი იჯდა, რომელიც ანალიტიკური განყოფილებიდან წამოიყვანეს და ახლა ის კანკალებდა სიციივისგან, თუმცა უფრო "ინტელექტუალურად".

უცხოეთში ოფიციალური ვიზიტების დროს რაისა მაქსიმოვნა არად დაგიდევდათ უსაფრთხოების ელემენტარული მოთხოვნების დაცვას: ხან ქუჩაში ხალხთან გასაუბრება მოუნდებოდა უცბად, ხანაც მძღოლს მოულოდნელად რომელიმე მოდური "ბუტიკის" წინ გაჩერებას უბრძანებდა. ფერდაკარგული პირადი დაცვის თანამშრომლები ექსპრომტად ცდილობდნენ "პირველი ლედის" უსაფრთხოების ორგანიზებას, თან გულში "ლამაზ-ლამაზ" ეპითეტებს უძღვნიდნენ ჭირვეულ ქალბატონს.

## საპირველმაისო პროტესტი კომუნისტურ სისტემას

საბჭოთა სისტემა მოსახლეობის დიდ უმრავლესაობას გულზე არ ეხატებოდა, თუმცა ზოგი შიშის, ზოგი კი პრაგმატული მიზეზების გამო იძულებულნი იყო ბედს შერიგებოდა. პროტესტის გამოხატვასაც ყველა თავისებურად ცდილობდა. ერთნი არალეგალურ პარტიებს ქმნიდნენ და დისიდენტური გზით მიდიოდნენ, მეორენი ალეგორიულ ლექსებს წერდნენ (მაგ. ზოოპარკსა და მის ბინადრებზე) და შეფარვით დასცინოდნენ არსებულ სისტემას, ხოლო სხვები ძალზე ორიგინალური ხერხებით ცდილობდნენ "კომუნისტებისთვის" ზეიმი ჩაეშხამებინათ.

1980-იანი წლების ბოლოს, გაგანია "პერესტროიკის" დროს, ერთ-ერთი საპირველმაისო დღესასწაული ჩვეულებრივ იწყებოდა. ინათა თუ არა კა-გე-ბეს მე-9 სამმართველოს თანამშრომლები ჩვეულებისამებრ შეუდგნენ მოვალეობის შესრულებას. პოსტები განაწილდა და განწესდა, "წითელი მოედანი" და მიმდებარე შენობა-ნაგებობები შემოწმდა. "გუმი" და სხვა მაღაზიები კი, უკვე წინა ღღეს დაილუქა. ზუსტად ათ საათზე მიხეილ გორბაჩოვი და პოლიტბიუროს სხვა წევრები ნელი ნაბიჯით ავიდნენ ლენინის მავზოლეუმზე და მისალმების ნიშნად ენერგიულად დაუწყეს მოქალაქეებს ხელის ქნევა – ეს იმ დროისთვის პარტიისა და ხალხის "ერთობის" ერთადერთი გამოხატულება იყო. გორბაჩოვს საზეიმო სიტყვა ახალი დაწყებული ჰქონდა, როცა დაცვის თანამშრომლებმა ზედ ტრიბუნის თავზე უზარმაზარი შავი კვამლის ღრუბელი შეამჩნიეს, რომელიც სწრაფად მოიწევდა "წითელი მოედნისკენ". საბჭოთა "ბელადებმაც" მალევე შენიშნეს შავი ღრუბელი და ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს.

მე-9 სამმართველოს გაოგნებული ხელმძღვანელობა მყისიერად გაშეშდა: ნუთუ სადმე ხანძარია? მაინც და მაინც 1 მაისს? ღღესვე გაგვყრიან სამსახურიდან! – ამგვარი აზრები უტრიალებდათ თავში. როდესაც გამოერკვნენ, სასწრაფოდ ოპერატიული თანამშრომლების ორი ჯგუფი გაგზავნეს ხანძრის კერის აღმოსაჩენად და მიზეზების დასადგენად. მათ სულ რამდენიმე წუთში მიაგნეს "წითელი მოედნის" უკან, პარალელურ ქუჩაზე მდებარე სახლს, რომლის ერთ-ერთი ფანჯრიდან შავი კვამლის უზარმაზარი ბოლქვები გამოდიოდა და "მოზეიმე" ხალხისკენ მიემართებოდა. რამდენიმე სახანძრო მანქანაც იქვე გაჩნდა. სამთავრობო დაცვის თანამშრომლებმა სწრაფად აირბინეს მეხუთე სართულზე, სიფრიფანა ფანერის კარი უცბად შეამტვრიეს და ბინაში შეიჭრნენ. მათდა გასაოცრად თითქოსდა ყველაფერი წესრიგში იყო. ერთოთახიანი ბინის პატრონი ტელევიზორს მისჯდომოდა და სწორედ საპირველმაისო დემონსტრაციას უყურებდა. დასაეჭვებელი მხოლოდ ერთი გარემოება გახლდათ – ოთახში დამწვარი რეზინის სუნი ტრიალებდა, რომელიც სამზარეულოს მჭიდროდ მოსურული კარიდან გამოდიოდა. "ოპერატივნიკები" სწრაფად შეიჭრნენ სამზარეულოში და ადგილზე გაშეშდნენ ელექტროლუმელზე "ჟიგულის" ძველი საბურავი იდო და მწვადივით შიშხინებდა. სწორედ ეს იყო შავი კვამლის წარმოქმნისა და საბჭოთა ლიდერების შეშფოთების მიზეზი.

ახალგაზრდა კაცი, რომელიც შემდგომ მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის დოცენტი აღმოჩნდა ამგვარად ცდილობდა პროტესტის გამოხატვას საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. ამ "ცელქობისთვის" ის წვრილმანი ხულიგნობის მუხლით გაასამართლეს და წელიწადნახევარი მოუხდა რუსეთის ერთ-ერთ სასჯელაღსრულებით კოლონიაში ყოფნა.

ტელევიზორის ეკრანებიდან ხშირად გვინახავს რომ, როდესაც ამომრჩეველთა დასანახად და "თეთრი პიარის" ასაგორებლად რომელიმე ქვეყნის პირველი პირი დარბის, ცურავს თუ ველოსიპედით სეირნობს, გვერდით რამდენიმე დაცვის თანამშრომელიც ცდილობს არ ჩამორჩეს მას. ხომ კარგია – თან ირბინე, ველოსიპედი ატარე ან იცურე, თან ასობით ადამიანში საჭვო პირი გამოავლინე და თან პრეზიდენტი დაიცავი ან დახრჩობას გადაარჩინე!

ამგვარი ტრიუკები განსაკუთრებით ხანში შესულ პრეზიდენტებს უყვართ – ცდილობენ ყველას დაანახონ, თუ რა ახალგაზრდულად გამოიყურებიან და რა კარგ ფიზიკურ ფორმაში არიან. აშშ-ის პრეზიდენტები ჯიმი კარტერი და ბილ ქლინთონი ბუნებრულით სირბილის მოყვარულები იყვნენ, მამა-შვილი ბუშები ველოსიპედით სეირნობას არჩევდნენ. ამ დროს დაცვის თანამშრომლების ფსიქოლოგიური და ფიზიკური დატვირთვა რამდენჯერმე იზრდება. ზოგჯერ კარგად ნავარჯიშებ ათლეტებსაც უჭირთ ამგვარი დატვირთვის ატანა.

1970-იანი წლების შუა პერიოდში საბჭოთა კავშირს ოფიციალური ვიზიტით ფინეთის პრეზიდენტი ურჰო კალევა კეკონენი ეწვია. ეს მხცოვანი პოლიტიკოსი საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი იყო. უფრო მეტიც, ის ჯერ კიდევ იოსებ სტალინის დროიდან იყო საბჭოთა დაზვერვის "გავლენის აგენტი".

პრეზიდენტი კეკონენი თავის გამოსვლებში ხშირად სარგებლობდა საბჭოთა დაზვერვის მიერ მიწოდებული ცკ-ას დირექტივებით და ხოტბა-დიდებას არ აკლებდა საბჭოთა კავშირს და მის ლიდერებს. ფინეთის ხელისუფლება იმდენად ყავდა "ჯიბეში" კგბ-ს, რომ, როცა საბჭოთა დაზვერვის "ფილიალი" - "მშვიდობის მსოფლიო ორგანიზაცის" შტაბ-ბინა 1968 წელს პარიზიდან გამოაძევეს, უმალვე ჰელსინკმა მისცა თავშესაფარი.

საბჭოთა დაზვერვის მთავარი ამოცანა იყო, რაც შეიძლება დიდხანს შეენარჩუნებინა კეკონენი ხელისუფლების სათავეში. მის პოლიტიკურ კონკურენტებზე ხორციელდებოდა ძლიერი ზეწოლა და შანტაჟი. ამის შედეგად კეკონენი 25 წელი (1956-1981 წლებში) იყო პრეზიდენტის პოსტზე.

ალბათ ამიტომაც უფრთხილდებოდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები კეკონენს და გაძლიერებულად იცავდნენ. 1970-იან წლებში ფინეთის პრეზიდენტის კეკონენის ვიზიტებს უკავშირდება ორი კურიოზული ფაქტი.

1970 წელს ფინეთის პრეზიდენტს 70 წელი შეუსრულდა. კარგ ფიზიკურ ფორმაში მყოფმა კეკონენმა გადაწყვიტა ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად კავკასიონის მთები დაელაშქრა. კომპანიონობა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ალექსეი კოსიგინს შესთავაზა, რომელიც ასევე ცდილობდა ასაკის მიუხედავად ფიზიკური ფორმის შენარჩუნებას. გადასვლა ქლუხორის უღელტეხილზე უნდა შემდგარიყო, რაც დაახლოებით

მაღალმთიან ზონაში 30 კმ-ის ფეხით სიარულს (მ.შ. 12 კილომეტრი ალმართი მთის ბილიკებით უნდა გაევლოთ) ნიშნავდა. ეს ახალგაზრდებისთვისაც კი დიდი დატვირთვაა. ამიტომაც შეშფოთებული სამთავრობო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობა იძულებული იყო სასწრაფოდ სამანქანო გზა გაეყვანა მთებში, ორივე – რუსეთისა და საქართველოს მხარეს, ხოლო ფეხით გადასასვლელ მცირე მონაკვეთზე დასასვენებელი კარვები დაედგათ, სადაც სამედიცინო პერსონალი იმორიგეებდა. საინტერესოა, რომ ორივე ხანშიშესულმა სახელმწიფო მოღვაწემ წარმატებით დაძლია უღელტეხილის მთის ბილიკი, მხოლოდ ის იყო გასაკვირი, რომ კეკონენის ფინელი პირადი მცველი გახდა ხელით საორევი.

რამდენიმე წლის შემდეგ კეკონენმა კვლავ საგონებელში ჩააგდო კა-გე-ბეს მე-9 სამმართველოს ხელმძღვანელობა. მოსკოვში ჩამოსვლისას კეკონენს, როგორც წესი "საბჭოთა მეგობრები" (ანუ კა-გე-ბეს თანამშრომლები) იცავდნენ. უკვე საკმაოდ ხანშიშესული ფინეთის პრეზიდენტი ვიზიტის დროს ყოველ დილით დარბოდა 5-7 კილომეტრს. პირადი დაცვის წევრებიც, ბენებრივია მასთან ერთად დარბოდნენ, თუმცა შემდეგ დაღლილებსა და "ლიმონივით გამოწურულებს" კეკონენის ოფიციალურ შეხვედრებზე უკვე ეძინებოდათ ხოლმე. ამიტომაც სამთავრობო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობამ დილის სირბილისთვის სპეციალურად შერჩია სპორტის ოსტატი მძლეოსნობაში, რომელიც მხოლოდ ამ პერიოდში იცავდა ფინეთის პრეზიდენტს, შემდეგ კი მეორე ცვლას გადააბარებდა.

## ჯიუტი ფიდელ კასტრო

ერთ-ერთი ყველაზე რთული დასაცავი ობიექტი კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო იყო. "სოციალისტური პიარის" დიდოსტატი ყოველთვის ცდილობდა ხალხში უშიშარი რევოლიციონერის იმიჯი შეექმნა. ამჟამად უკვე ცნობილია, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელობა სისტემატურად გეგმავდა ფიდელ კასტროზე ფიზიკური ზემოქმედების ოპერაციებს.

ალბათ გახსოვთ - ჰოლივუდის ერთ-ერთ ცნობილ კომედიაში პატარა წრუწუნამ ისე გააწამა მამის მემკვიდრეობით გახარებული ორი ძმა, რომ დიდი წვალებით დაჭერილი თაგუნა ყუთში ჩასვეს, შეფუთეს და ფოსტით კუბის ლიდერს გაუგზავნეს. თან გაიფიქრეს – "შენც ისე დაგაქციოს, როგორც ჩვენ გაგვამწარაო". შეიძლება ეს იყო ამერიკელთა ყველაზე ალალი ხუმრობა, რადგანაც 1959 წლიდან მოყოლებული აშშ-ის სპეცსამსახურებს არაერთი უფრო "მწარე ხუმრობა" დაუგეგმავთ კუბის წეროსანი დიქტატორის ლიკვიდაციის ან მისი კომპრომეტაციის მიზნით. ზოგი მათგანი კუბის ლიდერის დაცვის სამსახურმა აიცილა თავიდან, ზოგი კი თავად ამერიკელებს ჩაუფლავდათ.

თავად ფიდელ კასტრო არ ეპუებოდა ამ საფრთხეებს და დაცვის სამსახურის ხელმძღვანელებს გაბრაზებული ეუბნებოდა: "თქვენ რა გინდათ, რომ ლოგინში მოკვდე? მე როგორც რევოლუციონერი ბრძოლაში უნდა დავილუპო, თქვენი მოვალეობა კი ისაა, რომ ეს რაც შეძლება გვიან მოხდეს".

ფიდელი არავის ენდობოდა. თავად მისმა თანამებრძოლებმაც კი ხშირად არ იცოდნენ, თუ რომელ ავტომობილში იჯდა "წვერა დიქტატორი".

## პირადი დაცვის შეცდომები თუ ბედისწერა?

ქვეყნის პირველი პირების სიცოცხლე ყოველთვის და ყველგან მუდმივ საფრთხეშია. პრეზიდენტზე თუ პრემიერ-მინისტრზე თავდასხმა შეიძლება მოაწყონ პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა და რელიგიურმა ფანატიკოსებმა, ადგილობრივმა ნაციონალ-ორთოდოქსებმა, თუ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმა, კრიმინალურმა სამყარომ და ა.შ. სამწუხაროდ მსოფლიოს უახლეს ისტორიას ზემოჩამოთვლილი ყველა სახის თავდასხმა ახსოვს. უმრავლესობა ლეტალური შედეგით დასრულდა, რა იყო ამის მიზეზი, დაცვის სამსახურის შეცდომა თუ ბედისწერა?

1918 წლის 30 აგვისტოს მოსკოვში საბჭოთა "ბელად" ვლადიმერ ლენინზე ესერებმა მოაწყეს თავდასხმა. ფანი კაპლანმა "ბრაუნინგიდან" რამდენჯერმე ესროლა ლენინს. კურიოზულია მაგრამ ფაქტია, რომ რომელიღაც ქარხანაში მიტინგზე მიბაკუნე "ბელადს" არავინ იცავდა.

უფრო გასაოცარი ფაქტი მოხდა 1919 წლის იანვრის დასაწყისში. ლენინი და მისი და მარია, კრუპსკაიას მოსანახულებლად მიდიოდნენ, რომელიც საავადმყოფოში იწვა. ავტომობილში მძღოლის გარდა ლენინის პირადი მცველი, ვინმე ჩაბანოვიც იჯდა და ხელში "ბელადის" მეუღლისთვის განკუთვნილი რძის ბოთლი ეჭირა. მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩაზე ლენინის ავტოს წინ რამდენიმე შეიარაღებული ადამიანი გადაუდგა და გააჩერა. ლენინმა სასწრაფოდ პირადობის მოწმობა "დაამრო", თუმცა თავდასხმელებმა "ქსივა" ირონიულად მოისროლეს თოვლში და მგზავრების გაძარცვას შეუდგნენ. პირადი მცველი კი ბოთლჩაბღუჯული გაუნძრევლად იჯდა. ბანდიტებმა ფულთან და მგზავრების ნივთებთან ერთად, ლენინის პირადი "ბრაუნინგიც" წაიღეს და მიიმალნენ. "რევოლუციის ბელადი" საოცრად გახარებული იყო და თავისთვის ბუტბუტებდა: "ხომ შეიძლება მოვეკალით, ხომ შეიძლება მოვეკალით".

თუმცა ამგვარი კურიოზები სხვა, გაცილებით განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებშიც ხდებოდა. ასე მაგალითად, როცა აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი, ავრაამ ლინკოლნი 1865 წლის 14 აპრილს თეატრში რევოლვერიდან გასროლით მოკლეს, მის გვერდით მხოლოდ ერთი სამხედრო პიროვნება – მაიორი რატბონი იმყოფებოდა, რომელსაც პირადი მცველის

მოკალეობების არაფერი გაეგებოდა. საინტერესოა, რომ თავდასხმის დღეს პრეზიდენტი ლინკოლნი თავად ესტუმრა სამხედრო სამინისტროს და დაცვის გაძლიერება მოითხოვა, თუმცა . უარი უთხრეს. იმ პერიოდში აშშ-ში არ არსებობდა ცალკე სახელმწიფო დაცვის სტრუქტურა. ლინკოლნის მკვლელობის შემდეგ მალევე, 1865 წლის 5 ივლისს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში ამ მიზნით შეიქმნა "საიდუმლო სამსახური". მიუხედავად ამისა აშშ-ის პრეზიდენტებზე თავდასხმები კვლავ გაგრძელდა. 1881 წლის 2 ივნისს ვაშინგტონის რკინიგზის სადგურზე სასიკვდილოდ დაჭრეს პრეზიდენტი გარფილდი, რომელიც მალევე გარდაიცვალა. 1901 წლის 6 სექტემბერს, პირადი მცველებით გარშემორტყმულ პრეზიდენტ მაკკინლის პოლონელი ანარქისტი ლეონ ჭოლგოში მიუახლოვდა რამდენჯერმე ესროლა. პრეზიდენტის დაცვამ რატომღაც ვერ შესძლო მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

1963 წლის 22 ნოემბერს დალასში ალბათ ყველა დროის ერთ-ერთი საიდუმლო მკვლელობა მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის კონსტიტუცია ყველა პრეზიდენტისგან მკაცრად მოითხოვს დაცვის სამსახურის მოთხოვნების აუცილებელ შესრულებას, იმ დღეს აშშ-ს პრეზიდენტი ჯონ კენედი არ დაემორჩილა მათ და ღია ლიმუზინიდან მოინდომა დალასელებთან მისალმება.

პრეზიდენტის მარშრუტი ქალაქის ქუჩებში გადიოდა და კორტეჟს 20 000-ზე მეტი ფანჯრის წინ უნდა გაევლო. პოტენციური საფრთხე სახეზე იყო. პრეზიდენტის დაცვამ ლიმუზინის ტენტით დაფარვა ითხოვა, მაგრამ კენედიმ ამაზეც უარი განაცხადა. ალბათ ბედისწერაა, თორემ აშშ-ის ყველაზე პოპულარული პრეზიდენტი მაშინ გადარჩებოდა, დაცვის სამსახურს მეტი სიმტკიცე რომ გამოეჩინა.

გაძლიერებულმა დაცვამ ვერ უშველა ეგვიპტის პრეზიდენტის ანვარ სადათსა და ისრაელის პრემიერ-მინისტრ იცჰაკ რაბინს.

1981 წლის 6 ოქტომბერს დილის 11 საათზე ეგვიპტის პრეზიდენტი სამხედრო აღლუმს იბარებდა. სამხედროების საზეიმო სვლა დასასრულს უახლოვდება, როდესაც სამთავრობო ტრიბუნის წინ მოულოდნელად სატვირთო ავტომობილი შეჩერდა, საიდანაც რამდენიმე შეიარაღებული სამხედროფორმიანი გადმოხტა და ტრიბუნისკენ გაიქცა. ერთ-ერთმა მათგანმა "კალაშნიკოვის" ავტომატიდან ტრიბუნას ცეცხლი გაუხსნა, სხვებმა კი ხელყუმბარები ისროლეს. სადათი, რომელსაც ჯავშანჟილეტი არ ეცვა სასიკვდილოდ დაიჭრა და რამდენიმე საათში გარდაიცვალა. პრეზიდენტის დაცვა იმდენად იყო დაბნეული, რომ ვერ შეძლო დასაცავი ობიექტის სიცოცხლის დაცვა.

არანაკლები დანაშაულებრივი დაუდევრობა გამოიჩინეს საქვეყნოდ ცნობილმა ისრაელის სპეცსამსახურებმა, კერძოდ კი "შინბეთმა" (კონტრდაზვერვა) 1995 წლის 4 ნოემბერს. იმ დღეს ისრაელის პრემიერ მინისტრი იცჰაკ რაბინი თელ-ავივში გამართული მიტინგის დამთავრების შემდეგ ავტომობილისკენ წავიდა, დაცვამ კარები გაუღო, რაბინის ირგვლივ 7-8 მცველი იდგა და მაინც

ფანატიკოსმა ორთოდოქსმა ებრაელმა იგალ ამირმა მოახერხა და პრემიერ-მინისტრს ზურგში ორჯერ ესროლა.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი 1984 წლის 31 ოქტომბერს საკუთარი დაცვის წევრებმა ბეანტ სინგჰმა, რომელიც ათი წელი მსახურობდა პრემიერ-მინისტრის დაცვაში და სავნტ სინგჰმა მოკლეს. ინდოეთის ახალი პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი გახდა, რომელმაც უსაფრთხოების მიზნით პირადი დაცვის ყველა წევრი შეცვალა და ერთგული ხალხი სადეანტო-მოიერიშე საჯარისო ნაწილებიდან შეარჩია. თუმცა ვერც ამან უშველა დედის მსგავსად რაჯივ განდიც ტერორიზმის მსხვერპლი გახდა. ის 1991 წლის 21 მაისს მოკლეს, როგორც ამჟამად ირკვევა "თამილელი ვეფხვების" ტერორისტული ორგანიზაციის "ბოევიკებმა". ერთ-ერთი საჯარო შეხვედრის დროს რაჯივ განდის ყვავილებით ხელდამშვენებული ახალგაზრდა სიმპატიური ქალი მიუახლოვდა. პრემიერ-მინისტრის პირადმა დაცვამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და ქალს დასაცავ ობიექტთან ახლოს მისვლის საშუალება მისცა. ამ ქალს კი თურმე "შაჰიდის ქამარი" ეკეთა. ახალგაზრდა "კამიკაძემ" თავიც აიფეთქა და რაჯივ განდიც იმსხვერპლა. გარდაცვლილთა საერთო რიცხვმა 14 მიაღწია.

პაკისტანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, შემდგომ კი ოპოზიციის ლიდერი ბენაზირ ბჰუტოც ტერორისტების მსხვერპლი გახდა. მასზე თავდასხმა გამხორციელდა 2007 წლის 27 დეკემბერს. ტერორისტმა შეძლო ჯერ რამდენჯერმე ესროლა და მძიმედ დაჭრა ბჰუტო, ხოლო შემდეგ კი თავი აიფეთქა. გარდაიცვალა 20 ადამიანი – დაცვისა და პოლიციის თანამშრომლები. მიუხედავად თავდასხმის მუდმივი მოლოდინისა პოლიტიკოსის პირადი დაცვა უძლური აღმოჩნდა.

## ყველაზე დიდი თავის ტკივილი პრეზიდენტის ვიზიტი

სახელმწიფოს მეთაური ალბათ ყველაზე მეტად მოგზაური პერსონაა. პოლიტიკური მოღვაწეობა ხომ მუდმივ შეხვედრებს გულისხმობს – ქვეყნის რეგიონებში თუ საზღვარგარეთ. ამიტომაც მისი უსაფრთხოების დაცვის მოსამზადებელი ღონისძიებები ვიზიტამდე კარგა ხნით ადრე იწყება.

რამდენიმე კვირით ადრე მუშაობის დაძაბულ რეჟიმზე გადადიან სახელმწიფო დაცვის სამსახურის ანალიტიკური დანაყოფის თანამშრომლები. ისინი შეისწავლიან მასპინძელ ქალაქსა თუ რეგიონში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ, რელიგიურ, ეკოლოგიურ, კრიმინალურ და ა.შ. მდგომარეობას. ანალიტიკური ცნობები გადაეცემა კურატორს. ამის შემდეგ საქმეში ერთვებიან ოპერატიული თანამშრომლები, რომლებიც ჩადიან ამ ქალაქში და კოლეგებთან (მასპინძელი მხარის სახელმწიფო დაცვის სტრუქტურებთან) ერთად გეგმავენ გადაადგილების მარშრუტს, უსაფრთხოების ზომებს ხალხმრავალ ადგილებზე,

ზედმიწევნით ყურადღებით ათვალიერებენ იმ სასტუმროს სადაც პრეზიდენტი უნდა დაბინავდეს და ა.შ.

მესამე ეტაპზე დაძაბული მუშაობა ელით ოპერატიულ-ტექნიკური დანაყოფის (ე.წ. "ოტო"-ს) სპეციალისტებს. ისინი სპეციალური სკანერებით ამოწმებენ მოსასმენი აპარატურის, გამოსხივების წყაროების თუ ნაღმების არსებობას სასტუმროს ოთახებში. ამავე დროს ამონტაჟებენ სპეციალურ აპარატურას, რომელმაც უნდა ჩააბშოს უცხო რადიოსიხშირეები.

## როგორ არჩევენ დაცვის სამსახურის თანამშრომლებს?

სახელმწიფო დაცვის სამსახურში ჩარიცხვა ძალზე საპატიო და ამავე დროს საკმაოდ სახიფათო მოვალეობაა. ამ სამსახურისთვის კანდიდატურის შერჩევა ძალზე შრომატევადი პროცესია, რადგანაც ოდნავი შეცდომაც კი საბედისწერო შედეგის მომტანი შესაძლებელია გახდეს. საბჭოთა კავშირის შექმნის პირველ წლებში "კომუნისტური ბელადების" დაცვისთვის ყველზე ერთგულ რევოლუციონერებს არჩევდნენ. არავის აინტერესებდა მათი პროფესიული მომზადება და ანალიტიკური აზროვნება. გადამწყვეტი პარტიული სტაჟი, ფიზიკური მონაცემები და პირადი ერთგულება იყო.

"დიდი დიქტატორის" იოსებ სტალინის მმართველობის პერიოდში დაცვის სტრუქტურებში კადრების შერჩევა ძალზე გამკაცრდა. კომუნისტური პარტიის წევრობასთან ერთად აუცილებელი გახდა პროფესიული უნარ-ჩვევების ქონაც. თვითონ სახელმწიფო დაცვის სტრუქტურები კი "ნკვდ-კგბ"-ში იყვნენ ჩართულნი. ეს სტრუქტურა შემდეგ ცნობილ კა-გე-ბეს მე-9 მთავარ სამმართველოდ გარდაიქმნა.

უკვე ამ პერიოდიდან ჩამოყალიბდა ის კრიტერიუმები და მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინა სახელმწიფო დაცვის სამსახურში მოხვედრის მსურველს. გარდა წმინდა იდეოლოგიური (პარტიულობა, მისი მშობლების და ახლო ნათესავების ლოიალობა საბჭოთა რეჟიმის მიმართ და აშ.) მოთხოვნებისა, ყურადღება ექცეოდა შემდეგ კრიტერიუმებს. ასაკი არ უნდა ყოფილიყო 35 წელზე მეტი, სიმაღლე – 175-190 სმ; წონა – 75-90 კგ.

ფსიქოლოგიურად გაწონასწორებულ პიროვნებას არ უნდა ჰქონოდა გადამეტებული მიდრეკილება "ბახუსისა" და "ამურისაკენ" ხშირად ვრცელდება არასწორი შეხედულება, თითქოსდა პრეზიდენტის დაცვაში აუცილებლად ყოფილი "სპეცრაზმელები" და მედესანტეები უნდა იყვნენ. თუმცა, მაშინაც და ახლაც პირადი დაცვის თანამშრომლის საბრძოლო მომზადება კი არაა მთავარი, არამედ ანალიზის და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი. ასევე აღმოსავლური ორთაბრძოლების სხვადასხვა სახეებიდან სპეციფიური ილეთების ცოდნა. ეს სამსახური იმდენად დიდ ყოველდღიურ

ნერვულ დაძაბულობას მოითხოვს, რომ ხშირად ისინი 35-40 წლის ასაკში პენსიაზეც კი გადიან.

### პირადი დაცვის თანამშრომელი თუ ძიძა?

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს პირადი დაცვა მოხუც და დაჩაჩანაკებულ პარტიულ ლიდერებს გარეშე პირების თავდასხმაზე მეტად, წაბორძიკებისა და წაქცევისგან "იცავდა".

ცნობილია ფაქტი, როდესაც ბერლინში ვიზიტად ჩასული ლეონიდ ბრეჟნევი და ერიხ ჰონეკერი მოსახლეობას ღია ლიმუზინიდან ესალმებოდნენ და საბჭოთა ლიდერი რომ არ წაქცეულიყო, მას ავტომობილის სალონის იატაკზე ჩამალული დაცვის თანამშრომელი იჭერდა ხელით.

ერთხელაც სოჭში დასასვენებლად მყოფი ბრეჟნევი სასურსათო მაღაზიაში შესულა – აინტერესებდა თუ როგორ იკვებებოდნენ "ბედნიერი" საბჭოთა მოქალაქეები. ეს ის დროა, საბჭოთა კავშირში ყველაფერი ტალონებზე რომ იყო. როგორც სდებოდა ხოლმე, მაღაზია დილიდან სპეციალურად გაეძეძგათ ყველაზე დეფიციტური საქონლით და შერჩეული "მყიდველებიც" (ბუნებრივია მე-9 სამმართველოს გოგო-ბიჭები) მოუთმენლად ელოდნენ ბრეჟნევის მოსვლას. ისიც მალევე გამოჩნდა. მისალმების ნიშნად ხელი ძლივს ასწია და გაუგებრად რაღაც ჩაილულღულა, შემდეგ მაღაზიის სექციებს ჩამოუარა, თან კმაყოფილებას ვერ მალავდა – საწყალს უხაროდა, რომ ასე კარგად ცხოვრობდა რიგითი საბჭოთა მოქალაქე. თავადაც "ივაჭრა" – რამდენიმე ძეხვის "ბატონი" აიღო და პირადი დაცვის წევრებს გადასცა. მათ კი სასწრაფოდ გადამალეს "ნავაჭრი" – შეუმოწმებელი სურსათის მოხმარება სასტიკად ეკრძალებათ მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეებს.

რეზიდენციაში დაბრუნებულმა ბრეჟნევმა ძეხვი მოითხოვა, დაცვამ კი ხელი გაასავსავა – არ ვიცით სად არისო. გაბრაზებული გენსეკი ყველას სამსახურიდან გაყრას შეპირდა. მისი მრისხანება მხოლოდ პოლიტბიუროს "მთავარმა ექიმმა", აკადემიკოსმა ევგენი ჩაზოვმა დააცხრო, რომელმაც სიტუაცია განუმარტა ბრეჟნევს.

ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების პირველი პირების და მათი ოჯახის წევრების დაცვა კანონდებლობით მკაცრად განსაზღვრული პროცესია და როგორც წესი ამ საქმეში მოულოდნელობები და სიურპრიზები არასასურველია. თუ დაცვის სამსახურს ექსპრომტად უხდება გადაწყვეტილების მიღება, ეს მისი სისუსტის მაჩვენებელი უფროა, ვიდრე სიძლიერის. ამ სფეროში მოქმედებს მრავალი დაწერილი თუ დაუწერელი კანონი, რომლებსაც

ათწლეულების ტრადიცია აქვთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ განვლილ პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში საკუთარი ხელწერის ერთგვარი "სახელმწიფო მოხელეთა დაცვის სკოლებიც" კი შეიქმნა. ამ დროს კონკრეტული ქვეყნის კულტურა, ტრადიციები, მენტალიტეტი და ა.შ. წარუშლელ კვალს ტოვებს დასაცავი პერსონების ქცევაზე და აქედან გამომდინარე დაცვითი ღონისძიებების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ტოტალიტარული, დიქტატორული და ზოგადად განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელების დაცვა ძალზე განსხვავდება დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფლების პირველი პირების დაცვისგან. პირველ შემთხვევაში მთავარი საფრთხე სამხედრო ამბოხი და სახელმწიფო გადატრიალებაა, ხოლო მეორე შემთხვევაში რელიგიური ფანატიკოსები ან ფსიქიურად შეშლილი პიროვნებებია სახიფათო.

საბჭოთა კავშირში კი დაცვის თანამშრომლებს დაქირავებული მკველელის ტყვიაზე მეტად იმის ეშინოდათ ავადმყოფ და დავრდომილ საბჭოთა ლიდერებს (ბრეჟნევს, ანდროპოვს, კოსიგინს, ჩერნენკოს, შემდგომ წლებში რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს) კიბეზე ფეხი არ დასცდომოდათ და იატაკზე არ გაშხლართულიყვნენ. განსაკუთრებით ბევრი კურიოზი ლეონიდ ბრეჟნევისა და ბორის ელცინის დაცვის ისტორიას უკავშირდება. გამორჩეულად კურიოზული მაინც რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის პიროვნება იყო. მართლაც საკვირველია, ამგვარი "ინტელექტის" და პიროვნული თვისებების კაცი, როგორ იყო ათი წლის მანძილზე რუსეთის პრეზიდენტი.

## "სამაგონის" აპარატი ბორის ელცინის დაცვის უფროსის კაბინეტში

ეს ისტორია პირველწყაროდან რომ არ იყოს ცნობილი, შეიძლება ბევრს მოგონილიც კი ჰგონებოდა. ამ შემთხვევაში ჩვენ თავად ელცინის პირადი დაცვის უფროსის გენერალ ალექსანდრე კორჟაკოვის მემუარებს დავეყრდნობით.

რუსეთში ლოთობით ვის გააკვირვებ? თუმცა აქაც შესაძლებელი ყოფილა "გინესის წიგნში" შესატანი რეკორდების მოძიება, მით უფრო თუ რეკორდსმენი თავად ქვეყნის პრეზიდენტი ბორის ელცინი იყო. მისი სამუშაო დილა ჭიქა არყით და "მომპასის" კამფეტით იწყებოდა. ასე იყო ჯერ კიდევ იმ დროდან, როდესაც ელცინს ცალკე კაბინეტი ეღირსა. ჯერ მარტო სვამდა. მას შემდეგ, რაც პოლიტბიუროს წევრი გახდა და დაცვა დაენიშნა, მისი თანამეინახე ყოველთვის დაცვის უფროსი იყო. ისინი ერთ ბოთლ არაყს 125 გრამიანი ჭიქებით სწრაფად, ყოველგვარი მისაყოლებლის გარეშე სცლიდნენ. ცარიელი ბოთლის დამალვის "სპეცოპერაციას" კი თავად კორჟაკოვი ატარებდა. ელცინს ეშინოდა "მშრალი კანონის" მოქმედების პერიოდში ვინმეს ცარიელი ბოთლები არ ენახა და ეს ამბავი გორბაჩოვის ყურამდე არ მისულიყო.

1991 წლის შემდეგ ელცინის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა. ის უკვე ჩამოყალიბებული ალკოჰოლიკი იყო და ერთ დღესაც ვერ ძლებდა არყის გარეშე. ექიმების მოთხოვნით ელცინის საპრეზიდენტო აპარტამენტებიდან ყოველგვარი ალკოჰოლური სასმელი გაიტანეს. მაშინ ელცინმა მარტივ ეშმაკობას მიმართა. დაუძახებდა პირადი დაცვის თანამშრომელს, მისცემდა ფულს და მოლუშული სახით უბრძანებდა: "ეხლა ჩაირბენ "კრემლის" პირდაპირ, რომ გასტრონომია და "პოლიტრას" ამოარბენინებ! გასაგებია!"

შეშინებული ოფიცერიც კისრისტეხით მირბოდა ელცინის პირადი დაცვის უფროს ალექსანდრე კორჟაკოვთან. აი ამ დროს კი იწყებოდა ნამდვილი ტრაგიკომიკური სცენა, ისეთი, მხოლოდ რუსეთში თუ შეხვდები. კორჟაკოვს "კრემლის" კაბინეტში მოწყობილი ჰქონდა სპირტის ჩამომსახმელი "მინიქარხანა". პრეზიდენტის დაცვის უფროსი წინასწარ მომზადებულ ეტიკეტიან ბოთლებში, სადაც ნახევარზე მეტი ონკანის წყალი ესხა, არყს ამატებდა და შემდეგ ბოთლს მოხერხებული მოძრაობით სპეციალური აპარატით ხუფავდა. კარებში კი დაცვის ოფიცერი იდგა და მოუთმენლად ელოდა "არაყს". მოღუშული ელცინი ჯერ ხურდას დათვლიდა გულმოდგინედ, შემდეგ კი მოსასვენებელ ოთახში მიბრძანდებოდა არყის დასაგემოვნებლად.

კორჟაკოვი იხსენებს, რომ გულზე შუნტირების ოპერაციის გაკეთების მეორე დღესვე ელცინმა სასმელი მოითხოვა, რაც მისმა მეუღლემ უსიტყვოდ შეასრულა და ფარულად ქართული კონიაკი შეუტანა.

კორჟაკოვსი სპირტის არალეგალური საამქროს ამბავი კი იმით დასრულდა, რომ ერთხელაც არყის დაბალი გრადუსით დაეჭვებულმა რუსეთის პრეზიდენტმა ყველა ოთახი შემოიარა და სანამ სახუფავ აპარატს და წყლით ნახევრადსავსე ბოთლებს არ მიაგნო. განრისხებულმა ელცინმა დაცვის ყველა თანამშრომელი, კორჟაკოვის გარდა, გაყარა სამსახურიდან.

აი ამგვარია ეს რეალური ისტორია. ლეონიდ ბრეჟნევის და ბორის ელცინის მსგავსი "ლიდერები" წყვეტდნენ მსოფლიოს ბედს. ამაზე იტყვიან სასაცილოა, სატირელი, რომ არ იყოსო.

# VI. ფული, პოლიტიკა და სპეცსამსახურები

## რას ეძებენ მილიარდერები პოლიტიკაში?

ბადრი პატარკაციშვილის მოულოდნელი გარდაცვალება კარგა ხანს დარჩება დაეჭვების საგანი. ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა თუ მოკლეს? ეს კითხვა ძალზე ბევრ ადამიანს აწუხებს. დიდი ბრიტანეთის პოლიციის და სპეცსამსახურების ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საბაბი ნამდვილად არა გვაქვს. რადიოაქტიური ნივთიერებით მოწამვლა გამოირიცხა, ტოქსიკოლოგიურმა ექსპერტიზამაც ვერაფერი აჩვენა, რაც ფაქტიურად გამორიცხავს ძალდატანებითი სიკვდილის ვერსიას.

ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილს არაფრის დიდებით არ უნდა გულის ინფარქტით გარდაცვალების ოფიციალური ვერსიის დაჯერება და პოლიტიკურ მკვლელობაზე მიანიშნებენ. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ქ-ნი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ "შეთქმულების თეორიის" სასტიკი მოწინააღმდეგე იყო, დღეს ოლიგარქის გარდაცვალებას სპეცსამსახურებს უკავშირებს. ყველაფერი კი გაცილებით ადრე დაიწყო.

## ბრძოლა წესების გარეშე

2007 წლის ბოლოს გელბახიან-კოდუას საუბრის ფარული ვიდეო ჩანაწერების ნახვის შემდეგ ცოტა არ იყოს ძნელი გასარჩევი გახდა ვინ იყო მაღალჩინოსანი ოპერატიული თანამშრომელი და ვინ ერთ-ერთი პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი.

ამ მასალას კვლავ ზედაპირული ანალიზი და ემოციები მოჰყვა, იმის გარკვევა კი არავის უცდია, თუ რა დონის გარანტიები უნდა ჰქონოდა ვალერი გელბახიანს, როცა ქვეყნის ძირითადი სპეცსამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანაყოფის – სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის უფროსის ირაკლი კოდუას გადაბირებას ცდილობდა?

ვითომ არ იცოდა, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკებში მყოფი ფუნქციონერების საიდუმლო შეხვედრები ყოველთვის მტერ-მოყვარის დაინტერესების ობიექტია და მით უმეტეს ეს მოლაპარაკებები

ფარულად ჩაიწერებოდა? საინტერესოა რა ხიდები გაიდო კოდუა-გელბახიანს შორის? ან ვინ არის ის ნამდვილი შუამავალი და ჯერ-ჯერობით უცნობი პიროვნება (ბუნებრივია ის გაცილებით მაღალი სტატუსის უნდა იყოს ვიდრე ყოფილი მოსამართლე მარინა გაბუნიაა), რომლის მეშვეობითაც მოხდა გელბახიანისა და კოდუას შორის ისეთი ნდობის დამყარება, როცა ისინი ღიად და დაუფარავად საუბრობენ საკაშვილის და

მერაბიშვილის წასვლა-მოსვლაზე და სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ყველაზე საჭოთირო საკითხებს ისე დაწყნარებული წყვეტენ, თითქოს პრეფერანსს მორიგ პარტიას თამაშობენო?

ბადრი პატარკაციშვილის მხარდამჭერების მტკიცება, კოდუა თვითონ დაუკავშირდა გელბახიანს და მოლაპარაკებების დაწყება მისი ინიციატივა იყო და ერთ-ერთი შეხვედრა კოდუას სახლში გაიმართაო, განა უფრო დასაეჭვებელი არ უნდა ყოფილიყო მათთვის?

ვალერი გელბახიანს ამგვარი საიდუმლო მოლაპარაკება-გადაბირებების წარმართვის გამოცდილება გაცილებით მეტი აქვს ვიდრე ირაკლი კოდუას. გელბახიანი განათლებით იურისტია, ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში "მხედრიონის" მეთაურის ჯაბა იოსელიანის დავალებით მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული და ფუნქციონალური რეორგანიზაციის საკითხებზე. იმ პერიოდში ჯაბა და "მხედრიონის" შტაბი "იმელის" შენობის მესამე სართულზე იყვნენ განლაგებული. სწორედ იქ იწერებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაციის პოლიტიკური და ეკონომიკური დასაბუთება. უნდა ითქვას, რომ "ჯაბას კონცეფცია" ბევრ საჭირო და პროგრესულ ცვლილებებს ითვალისწინებდა (ქალაქების პოლიციის სამმართველოები უნდა დაქვემდებარებოდნენ მერიებს, შინაგანი ჯარი უნდა გამოსულიყო შსს-ს სისტემიდან, უნდა შექმნილიყო ერთიანი საგამოძიებო დეპარტამენტი, სახანძრო და სპასპორტო განყოფილებები ცალკე სტრუქტურად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ და სხვ.). ამ სამუშაოებს ვალერი გელბახიანი ხელმძღვანელობდა.

შემდეგ, თემურ ხაჩიშვილის მინისტრობის პერიოდში, გელბახიანი შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე. მერე იყო ბათუმი, ასლანი და "ალორძინება". რვა წელი დეპუტატობა, მრავალ პარტიასთან და ლიდერთან ადაპტირება, "ვარდების რევოლუციისგან" უდანაკარგოდ გადარჩენა და ა.შ.

ასე რომ, გელბახიანს კარგიც ბევრი უნახია და ცუდიც. ამიტომაა გასაკვირი მისი ამგვარი გულახდილობა სპეცსამსახურის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან. უფრო მეტიც, გელბახიანმა ვერ იგრძნო, ვერ აულო ალღო კოდუას დამატებით დამაზუსტებელ კითხვებს, რომლებზეც პასუხით გელბახიანი იძულებული გახდა უფრო და უფრო მკაფიოდ გადმოეცა და დაეფიქსირებინა პატარკაციშვილის აზრი. გავიხსენოთ, კოდუა რამდენჯერმე აზუსტებს: მერაბიშვილს რა ვუყოთ? მიშა სად წავა? შეხლა-შემოხლა, რომ მოხდეს მერე? უცხოელი დამკვირვებლები რას იტყვიან? და ა. შ.

ამის შემდეგ გელბახიანმა, როგორც იტყვიან გუდა მოხსნა (შენს ზემოთ მარტო ერთი კაცია და ისაა მოსავალი, მიშა თვითონ გაიქცევა, უცხოელებთან დიდი მუშაობა მიდისო და სხვ.). ამ ჩანაწერის ფრაგმენტებიდანაც კარგად ჩანს, რომ გელბახიანი ისე გაერთო თვითრეკლამითა და ტრაბახით, რომ უფრო მეტი თქვა (თბილისელების "აგდება", ნაბახუსევი

პროვოკატორები, ასანთი და საარჩევნო ყუთების "განეიტრალება", 80 000 კაცი ფარულ სტრუქტურებში, რომელთაც ხელფასს უხდიან, პატარაკაციშვილის ახირებული სურვილი ათას კაციან "სახალხო დაცვაზე" და ა.შ.) ვიდრე ნებისმიერი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსი აიტანს.

კოდუას გადაბირებას, როგორც ითავად განაცხადა, 100 მლნ დოლარად ცდილობდნენ. ჩანს, რომ ეს მაღალჩინოსანი ადრევე მივიდა და განაცხადა გადაბირების მცდელობაზე, ამის შემდეგ დაიგეგმა ეს ოპერატიული კომბინაცია. ბუნებრივია კოდუას პატარკაციშვილთან შეხვედრის ნებართვა უმაღლესი სახელისუფლებო სტრუქტურებიდან ჰქონდა მიღებული. ეს შეხვედრა 2007 წლის 23 დეკემბერს შედგა ლონდონში. იქ გაცილებით კონკრეტული საუბარი გაიმართა, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის მომხრეთა განცხადებით მისი დაცვის წევრებს ჩაუწერიათ.

ოლიგარქის მტკიცება, კოდუა ლონდონში შეხვედრას დაჟინებით მთხოვდა, ვიცოდი პროვოკაციას, რომ მიმზადებდნენ მაგრამ მაინც შევხვდიო, ცოტა არ იყოს არადამაჯერებელია. გელბახიანიც ამას ამტკიცებს — კოდუასთან შესვედრები მისივე ინიციატივით მოხდაო.

გასაოცარია, თქვე კაი ხალხო, თუ ასე დაჟინებით მოდიოდა კოდუა კონტაქტზე თუ პროვოკაციაზე, მით უფრო არ უნდა გაფრთხილებულიყავით? ვინმე გაიძულებდათ ყველა დეტალზე საუბარს? ჩანს, რომ თქვენე გაბმულხართ ამ მახეში.

პატარკაციშვილს და მის მომხრეებს უნდა სცოდნოდათ, რომ კოდუა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, დამოუკიდებელ თამაშს ვერცერთ შემთხვევაში ითამაშებდა, რადგანაც მისი სატელეფონო კონტაქტები და "ფარული" შეხვედრები გელბახიანთან, მით უფრო ლონდონში პატარკაციშვილთან, უმალვე გახდებოდა ცნობილი ხელისუფლებისთვის. მიღებული წესია, რომ სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომელი შაბათ დღეს, აქვე გორში რომ მიდიოდეს ქორწილში, უშუალო ხელმძღვანელი მაინც უნდა გააფრთხილოს. სოდ-ის უფროსი კი ყველასგან ფარულად უჩინმაჩინის ქუდით ჩაფრინდებოდა ლონდონში? ეს მით უმეტეს შეუძლებელია წინასაარჩევნო პერიოდისათვის დამახასიათებელი საყოველთაო ეჭვიანობისა და პარალელური თვალთვალის პირობებში.

საფიქრებელია, რომ ხელისუფლება ამ ოპერატიულ თამაშს კიდევ გააგრძელებდა და ოლიგარქის თანხაზეც არ იტყოდა უარს, მაგრამ სავარაუდოდ 2007 წლის 23 დეკემბერს ბადრიმ კოდუასგან უკვე კონკრეტული მხარდაჭერა მოითხოვა და რაღაც დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ. პატარკაციშვილი ის კაცი არ იყო, ერთი დოლარიც რომ ტყუილად დაეკარგა. აქ კი ამხელა თანხაზე იყო საუბარი. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცნობილი ამ მოლაპარაკებების შესახებ.

საფიქრებელია, რომ ოლიგარქის საარჩევნო შტაბის მიერ დაშვებული ეს შეცდომები გახდა მიზეზი იმისა, რომ მალეე ვალერი გელბახიანი შტაბის ხელმძღვანელის პოსტზე გიორგი ჟვანიამ შეცვალა.

## მილიარდერები და სპეცსამსახურები

ჭეშმარიტებაა, რომ რომ დიდი ფული, განსაკუთრებით კი მედიამაგნატების ხელში, საბოლოოდ მაინც დიდი პოლიტიკისკენ მიილტვის, თუმცა არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში ჩატარებულ თავისუფალ არჩევნებში, ჯერ-ჯერობით ვერც-ერთმა მილიარდერმა ქვეყნის უმაღლეს პოსტზე მოსვლა ვერ შეძლო. ყველას ახსოვს ალბათ ამ რამდენიმე წლის წინ ჯორჯ ბუშ-უმცროსის ერთ-ერთი კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებში ამერიკელი მილიარდერი როს პერო იყო, მაგრამ სასტიკად დამარცხდა და არჩევნებს გამოეთიშა.

XXI საუკუნე ინფორმაციული და ვირტუალური ტექნოლოგიების საუკუნეა და მედიასაშუალებების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება, რადგანაც ისინი საზოგადოების მანიპულირების მძლავრი იარაღია. მედიამაგნატებს და ოლიგარქებს პოლიტიკაში იზიდავთ საჯარო ძალაუფლების მიღწევის და ამით ტკბობის "სურნელი", ხშირად პოლიტიკური მოღვაწეობა მათთვის ერთგვარი ხელშეუხებლობის გარანტია და სიმდიდრის თავშესაფარია, ზოგისთვის სხვადასხვა გზებით ნაშოვნი ფულის "გაპრავების" გზაცაა, ხშირად პოლიტიკაში მოსვლის ძირითადი მიზანი კონკურენტების ჩაძირვა და ახალი მილიარდების შოვნაა.

ოლიგარქების ცხოვრება მხოლოდ შორიდან ჩანს უზრუნველი და ბედნიერი, რეალობაში კი ისინი იძულებულნი არიან მრავალ გარეშე ფაქტორს გაუწიონ ანგარიში.

დიდი ბანკირები და მედიამაგნატები ყოველთვის იყვნენ სპეცსამსახურების მხრიდან დაკვირვების და შესწავლის ობიექტი. უფრო მეტიც, ხშირად მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და ოლიგარქებს რომელიმე ქვეყნის (ზოგჯერ ქვეყნების) სპეცსამსახურები მართავდნენ.

ყველა შედარება პირობითია და პირდაპირი პარალელების ძიება არამართებულია. ამიტომ, მკითხველს ვთხოვთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული ფაქტები პირდაპირ არ დაუკავშიროს რომელიმე ქართველი მილიარდერის ცხოვრებას.

სპეცსამსახურების ისტორიაში ბევრი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდებოდნენ მდიდარი და ცნობილი პიროვნებები "გავლენის აგენტები". ზოგი მხოლოდ ერთი ქვეყნის სასარგებლოდ მოქმედებდა, ზოგი კი მრავალი ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში იყო მიღებული და კულუარულ ინფორმაციას, საკუთარი ბიზნესის მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმზე "ცვლიდა". ბევრ მილიარდერზე არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ისინი საბჭოთა დაზვერვის

"გავლენის აგენტები" იყვნენ და სანაცვლოდ ანაზღაურებას – მილიონობით დოლარს განსაკუთრებით ხელსაყრელი და ეკსკლუზიური კონტრაქტებიდან იღებდნენ. ვიქტორ როტშილდი, არმანდ ჰამერი და რობერტ მაქსველი – ისინი არიან გამორჩეულნი მილიარდერების და მულტიმილიონერების იმ დიდი სიიდან, რომელთა ბიზნესი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ლიდერებთან და სპეცსამსახურებთან კარგი კონტაქტების შედეგად აყვავდა. სანაცვლოდ ისინიც თავს არ ზოგავდნენ კომუნისტური იმპერიისთვის დადებითი იმიჯის შესაქმნელად, ზოგჯერ კი განსაკუთრებით საიდუმლო დოკუმენტებსაც კი აწვდიდნენ "კრემლს".

## "ამხანაგი მილიარდერი" კა-გე-ბეს აგენტი იყო

არმანდ ჰამერი 1898 წელს ამერიკაში, რუსი ებრაელის ოჯახში დაიბადა. 1921 წელს დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯი. არმანდის მამას, იულიუსს ჰამერს, რამდენიმე ფარმაცევტული ფირმა ქონდა და ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას სამოქალაქო ომის დროს წამლებით ამარაგებდა. ბოლშევიკებმა მიღებული მედიკამენტების ღირებულება არ გადაიხადეს და სწორედ ვალის (იმ დროისათვის ასტრონომიური თანხის – 150 ათასი დოლარის) დასაბრუნებლად ჩავიდა ახალგაზრდა არმანდი 1921 წელს მოსკოვში. ლენინთან შეხვედრის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ვალის დაბრუნებაზე უარი მიიღო, ჰამერი კმაყოფილი იყო. მათ ერთმანეთს, როგორც ორმა ბიზნესმენმა, ისე კარგად გაუგეს.

ლენინმა ამერიკელს, ვალის სანაცვლოდ, ძალზე ხელსაყრელი ვარიანტები შესთავაზა. რუსეთიდან ოქროს, ხე-ტყის, ხიზილალის და ბეწვეულის შეუფერხებელი ექსპორტი ჰამერისთვის მართლაც ციდან მოვლენილი საჩუქარივით იყო. თუმცა უფრო მნიშვნელოვანი რუსეთის უკანასკნელი მეფის, ნიკოლოზ II-ის ოჯახის და რომანოვების დინასტიის ნახატებისა და ხელოვნების ნიმუშების კოლექციის ჩალის ფასად ხელში ჩაგდება აღმოჩნდა. ამ გზით 1921-1930 და 1961-1987 წლებში ჰამერმა მოახერხა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექციის შექმნა, რომელიც დრო და დრო გამოიფენებოდა სხვადასხვა ქვეყნებში (სხვათა შორის 1980-იანი წლების შუა პერიოდში ისინი თბილისშიც იყო წარმოდგენილი).

1924 წელს ჰამერის მონაწილეობით აშშ-ში შეიქმნა "ამტორგი" – ერთობლივი ამერიკული სავაჭრო ორგანიზაცია. საბჭოთა კავშირში ბიზნესის წარმოებაში მას დიდ დახმარებას უწევდა "ჩეკას" თავმჯდომარე ფელიქს ძერჟინსკი. საფიქრებელია, რომ სწორედ მაშინ დაიწყო ჰამერის ოპერატიული დამუშავება. სარწმუნო ვერსიით ახალგაზრდა ამერიკელს "ჩეკამ" ბოშური სიმღერების შემსრულებელი, ულამაზესი ქალბატონი ოლგა ვადინა მიუგზავნა. 1927 წელს ისინი დაქორწინდნენ. ამერიკაში დაბრუნების შემდეგაც მრავალი წელი ჰამერი მეუღლის აშკარა გავლენის ქვეშ იყო.

იმ პერიოდში აშშ არ ცნობდა საბჭოთა კავშირს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამიტომ, "ამტორგს" უნდა შეესრულებინა როგორც სავაჭრო, ასევე დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციები. ამავე დროს ეს ორგანიზაცია იყო ამერიკაში საბჭოთა დაზვერვის ერთადერთი ლეგალური "სახურავი", სადაც, საელჩოს გახსნამდე, თავს აფარებდნენ საბჭოთა მზვერავები და ოპერატიულ-აგენტურულ ოპერაციებს გეგმავდნენ.

თავის მხრივ არმანდ ჰამერი მოსვენებას არ აძლევდა აშშ-ის ახლად არჩეულ პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტს და საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას სთხოვდა. მართლაც 1933 წელს აშშ-მა საბჭოთა კავშირი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა აღიარა.

ჰამერს ურთიერთობა ვერ აეწყო "დიდ ბელადთან" – სტალინთან, რის გამო თითქმის ოცდაათი წელი ის მოსკოვში არ ჩასულა. სამაგიეროდ, შორიდან არ აკლებდა ქება-დიდებას საბჭოთა იმპერიას. ხრუშჩოვის ე.წ. "დათბობის" წლებში არმანდ ჰამერს "მეორე სუნთქვა" გაეხსნა და ახალი ენერგიით შეუდგა "კრემლის" ლობირებას მთელ მსოფლიოში და არც საკუთარი მილიონების "კეთებას" ივიწყებდა. ბრეჟნევის პერიოდში მოსკოვი ცდილობდა ჰამერის შესაძლებლობები ახალი საბჭოთა ინიციატივის "განაიარაღების პროგრამის" შესასრულებლად, კრედიტების მისაღებად და აშშ-ში საბჭოთა ექსპორტის გასაფართოებლად გამოეყენებინა. 1978 წელს "ამხანაგი მილიარდერი", ასე ეძახდნენ ჰამერს პარტიული ბოსები, დიდი ზარ-ზეიმით დააჯილდოვეს "ხალხთა მეგობრობის" ორდენით. შემდგომ წლებშიც, განსაკუთრებით კი გორბაჩოვის დროს, ჰამერი დაუღალავად ასრულებდა "მთავარი საბჭოთა ლობისტის" ფუნქციებს. ის 1990 წლის 10 დეკემბერს, ოთხმოცდათორმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. მემკვიდრეები მოუთმენლად ელოდნენ ანდერძის გახსნას. მათდა გასაკვირად ჰამერის ვალები ბევრად აჭარბებდნენ მის ქონებას. იმედგაცრუებული უახლოესი ნათესავები დაკრძალვის პროცესაც კი არ დასწრებიან.

## ლონდონი ოდითგან შპიონთა ქალაქია

ლონდონი დიდი ხანია მსოფლიოს საფინანსო ცენტრია, თანაც უკანასკნელ წლებში მილიარდერ პოლიტემიგრანტთა "თაყვანისმცემლობაც" იქცა - ბერეზოვსკი, აბრამოვიჩი, პატარკაციშვილი. ალბათ ამიტომაცაა საინტერესო დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურისთვის.

დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვა (მი-5) აქტიურად მუშაობს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების აქტიურობის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ხშირად მარცხდება (თუნდაც ლიტვინენკოს მკვლელობის ფაქტი გავიხსენოთ).

ყველაზე დიდი მარცხი მი-5-მა გასული საუკუნის 30-იან წლებში განიცადა, რაც დღესაც მწარედ ახსოვთ.

1930-იანი წლების დასაწყისში ლონდონის კემბრიჯის უნივერსიტეტი და მისი თრინითი კოლეჯი, ისევე როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტი საბჭოთა აგენტების "სამჭედლო" გახდა. ეს უმაღლესი სასწავლებლები შეშთხვევით არ იყო შერჩეული – იქ განათლებას იღებდა დიდი ბრიტანეთის მომავალი პოლიტელიტა და მილიარდერები, დიპლომატიური კორპუსი და სპეცსამსახურების "ჯეიმს ბონდები". ინგლისში არსებული საკადრო პოლიტიკის ღრმა ანალიზის შედეგად საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მომავალი აგენტურის მოსამებნად კემბრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტები საუკეთესო ვარიანტი იყო.

1934 წლის თებერვალში საბჭოთა დაზვერვის გამოცდილი თანამშრომელი 30 წლის არნოლდ დეიჩი (კა-გე-ბეს კადრების სამმართველოში ალრიცხული იყო, როგორც სტეფან ლანგი, ავსტრიელი ებრაელი, ოპერატიული ფსევდონიმი "ოტო", "სტეფანი") საიდუმლო სადაზვერვო დავალებით ლონდონში ჩავიდა. მის წინაშე მეტად რთული ოპერატიული ამოცანა იდგა – დიდი ბრიტანეთის არისტოკრატთა, მეცნიერთა და ბანკირთა ფენებში უნდა შეერჩია გადმობირების კანდიდატები და ძალზე ფრთხილი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, მოეხდინა მათი გადმობირება "კომუნისტური ინტერნაციონალის" საფარქვეშ აგენტურული მუშაობისათვის. ერთი შეხედვით არისტოკრატიულ და კონსერვატორულ ინგლისში ამ ამოცანის შესრულება აბსურდულად ჩანდა, მაგრამ დეიჩმა ინგლისის ინტელიგენციასთან მუშაობის დიდი ნიჭი და ალღო გამოავლინა და წარმატებასაც მიაღწია.

სამეცნიერო და სტუდენტური სფეროს უკეთ შესწავლის მიზნით, პირველ ეტაპზე საბჭოთა აგენტი ლონდონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მსმენელად ჩაირიცხა, ხოლო 1936 წელს უკვე ფსიქოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა, რის შემდეგ კი უკვე თავად კითხულობდა ლექციებს. სულ ორ-სამ წელიწადში დეიჩმა გადმოიბირა 20-ზე მეტი აგენტი (მათ შორის საბჭოთა დაზვერვის "მარგალიტები" – კემბრიჯის "შესანიშნავი ხუთეული": ბერჯესი, მაკკინლი, ბლანტი, ფილბი და კერნქროსი). გარდა ამისა, მან, ინგლისში საბჭოთა დაზვერვის არალეგალურ რეზიდენტ თეოდორ მალისთან ერთად "ნაყოფიერად იმუშავა" დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების მეორე ცენტრში –ოქსფორდში, სადაც მათ ლექტორებისა და სტუდენტებისაგან შექმნეს საბჭოთა აგენტების ("თხუნელების") იმდენად ღრმად კონსპირაციული ქსელი, რომ მათი ვინაობა დღესაც უცნობია.

უმაღლესი განათლების წრეში მუდმივი ტრიალი საბჭოთა აგენტებს საშუალებას აძლევდა ახლოს გაეცნო სტუდენტები და ლექტორები, დაეფიქსირებნა მათი სისუსტეები და მავნე ჩვევები (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი და ა.შ.), რაც ძალზე ძლიერი იარაღი იყო მათი დაშანტაჟებისა და გადმობირებისათვის. საბჭოთა დაზვერვის ინტერესს, პირველ რიგში, იწვევდნენ ყველაზე ნიჭიერი და გამორჩეული სტუდენტები და

ლექტორები, რომლებიც მომავალში შესაძლებელია ქვეყნის ხელისუფლებაში მოსულიყვნენ.

"კემბრიჯის ხუთეულმა" 4-5 წელიწადში უმნიშვნელოვანესი საკვანძო პოსტები დაიკავა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში – საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებში, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებში. მათ კარიერულ წინსვლას გეგმავდა და მაქსიმალურად ხელს უწყობდა საბჭოთა დაზვერვა. ამიტომაც ამ აგენტებმა შეძლეს აქტიურად ემუშავათ და "კრემლისთვის" მიეწოდებინათ 25 ათასზე მეტი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. სპეცსამსახურების ისტორიკოსთა მტკიცებით ამ ხუთეულის გარდა კრემლის "გავლენის აგენტი" იყო როტშილდების უმდიდრესი გვარის შთამომავალი ვიქტორ როტშილდი, რომელიც მფარველობდა და გარკვეულწილად აფინანსებდა კიდეც "კემბრიჯის ხუთეულს".

## ვიქტორ როტშილდი კრემლის სამსახურში

ვის არ სმენია როტშილდების საბანკო სახლის შესახებ, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეში გამდიდრდნენ ომების დაფინანსებითა და სუეცის არხის აქციების სპეკულაციით? სწორედ როტშილდთა საბანკო სახლის ინგლისური შტოს შთამომავალი იყო ლორდი ნათანიელ მეიერ ვიქტორ როტშილდი (1910-1990წწ.). ის 1930 წლიდან სწავლობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში, 1932 წელს გახდა კომპარტიის ფარული წევრი.

1934 წელს ახალგაზრდა ვიქტორი საბჭოთა დაზვერვამ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით გადაიბირა. ის მეგობრობდა უინსტონ ჩერჩილთან, რაც საშუალებას აძლევდა ყოფილიყო დიდი ბრიტანეთის ბევრი საიდუმლო დოკუმენტის თვითმხილველი. ამავე დროს ვიქტორი აქტიურად მონაწილეობდა სიონისტურ მოძრაობაში და უწევდა დიდ ფინანსურ დახმარებას პალესტინაში მცხოვრებ ებრაელებს.

მეორე მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე როტშილდი ჩაირიცხა ინგლისის კონტრდაზვერვაში, კურირებდა ეკონომიკურ კონტრშპიონაჟს. 1940 წელს დაინიშნა საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსად და ხელი მიუწვდებოდა დიდი ბრიტანეთის ყველაზე საიდუმლო სამეცნიერო-კვლევით სამუშაობზე, მ.შ. ატომურ კვლევებზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში.

1951 წელს, როდესაც საბჭოთა აგენტები მაქკინლი და ბერჯესი მოსკოვში გაიქცნენ, ლორდი როტშილდი მი-5-ის ეჭვის ქვეშ მოხვდა, თუმცა არ დაუკითხავთ. 1963 წელს კიმ ფილბი, მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი და საბჭოთა აგენტი გაიქცა მოსკოვში, თუმცა ლორდი კვლავ მშრალი ამოვიდა წყლიდან. შემდგომ წლებში ეკავა ძალზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტები, პარალელურად ხელმძღვანელობდა როტშილდთა საგვარეულო ბანკს.

იყო თუ არა, მილიარდერი ლორდი საბჭოთა აგენტი? ეს დღესაც საიდუმლო თემაა, რადგანაც რუსეთის სპეცსამსახურების არქივები კვლავ დუმან.

## ვისი აგენტი იყო მილიარდერი მედიამაგნატი?

კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა, ძალზე სკანდალურად დაიღუპა. ჭეშმარიტებაა, რომ სიკვდილშიც კი გამართლება უნდა ადამიანს. ბრიტანელი მედიამაგნატი რობერტ მაქსველი საკუთარი იახტა "ლედი გისლენზე" იმყოფებოდა და მის ირგვლივ შექმნილი, ძალზე რთული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნას ცდილობდა. მაქსველი 1991 წლის 5 ნოემბერს კანარის კუნძულებთან იახტიდან გაუჩინარდა. თოთხმეტსაათიანი ძებნის შემდეგ მისი გვამი შუა ზღვაში, უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი, შიშველი იპოვეს. ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები არ ეტყობოდა. პირველი დიაგნოზი უკვე ძალზე ნაცნობი და ტრაფარეტული – გულის შეტევით გარდაცვალება იყო. თუმცა მაქსველის პირადი ექიმი ამტკიცებდა, რომ ოლიგარქს კაჟივით გული და ჯანმრთელობა ჰქონდა.

ის იერუსალიმში დაკრძალეს. სამგლოვიარო პროცესიაზე ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იცხაკ შამირმა ორაზროვნად განაცხადა: "მან ისრაელისთვის იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე დღეს ამის თქმა შეიძლებაო".

## ვინ იყო რობერტ მაქსველი?

აბრაჰამ ჰოხი დაიბადა 1923 წლის 10 ივლისს ჩეხოსლოვაკიაში, ღარიბი ებრაელი ხელოსნის ოჯახში. მეორე მსოფლიო ომის დროს ახალგაზრდა აბრაჰამი – უკვე იან ჰოხი გახდა. ის იბრძოდა საფრანგეთის პარტიზანულ რაზმებში, შემდეგ კი გერმანული ენის კარგად ცოდნის გამო დიდი ბრიტანეთის არმიის ერთ-ერთი დანაყოფის დაზვერვის ოფიცერი გახდა. მაშინ ლესლი ჯონსად იცნობდნენ. ომის შემდეგ უკვე შოტლანდიურ ყაიდაზე შეიცვალა გვარი და "რობერტ მაქსველად" იქცა და კაპიტნის ჩინით ინგლისის კონტრდაზვერვაში ჩაირიცხა. თუმცა 1940-იანი წლების ბოლოს საგამომცემლო ბიზნესი დაიწყო და ბრიტანეთის სპეცსამსახურებთან ოფიციალურად ყველა კონტაქტი გაწყვიტა. მაქსველმა 1961 წელს შეიძინა საკმაოდ სერიოზული საგამომცემლო სახლი "პერგამონ-პრესი". მისი მედიაიმპერია განსაკუთრებით 1980-იანი წლების დასაწყისში გაძლიერდა, როდესაც შეიძინა ექვსი ბრიტანული გაზეთი, მ.შ. სკანდალური და დიდ ტირაჟიანი "დეილი მირორი", "სანდი მირორი". ასევე მისი საკუთრება იყო ნიუ-იორკის "დეილი ნიუსი". 1990 წელს დაარსა საერთოევროპული გაზეთი "ეუროპიენ". ფლობდა საფრანგეთის ტელეარხ "ტფ-1", ესპანეთის "კანალ-10", ბრიტანეთში – "ცენტრალ ტელევიზიონს". აშშ-ში კონტროლს უწევდა გამომცემლობა "მაქმილანს".

ბიზნესკონკურენტების შეუბრალებელი მეთოდებით განადგურების გამო ზურგსუკან "მედია ზვიგენი" შეარქვეს. უყვარდა რუსული არაყი და კარგ კამპანიაში ღიტრამდე სასმელს მშვენივრად იტანდა.

კარიერის სხვადასხვა ეტაპზე თანამშრომლობდა იტალიელ მედიამაგნატ სილვიო ბერლუსკონისთან და ავსტრალიელ რუპერტ მერდოკთან.

ფლობდა გაზეთებს უნგრეთში, "პერესტროიკის" დროს ცდილობდა უკრაინული გაზეთების შეძენასაც, თუმცა ვეღარ მოასწრო.

პარალელურად მაქსველი პოლიტიკაშიც აქტიურობდა – ექვსი წლის მანძილზე იყო ინგლისის პარლამენტის დეპუტატი ლეიბორისტული პარტიიდან. ფლობდა ათ ენას. დედოფალმა ელისაბედ II მას ლორდის ტიტული მიანიჭა.

საერთო ჯამში 400-მდე კომპანიის მფლობელი უკანასკნელ წლებში დიდ ვალებში ჩავარდა. განსაკუთრებით დაიძაბა ორი მედიამაგნატის მაქსველისა და მერდოკის ურთიერთობა. მერდოკმა დემპინგური ფასების საშუალებით შეძლო საკუთარ მედია-იმპერიაში შემავალი გაზეთების (უპირველესად "სანდი თაიმსის") ტირაჟის გაზრდა და მაქსველის შევიწროვება. მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს სწორედ ის რუპერტ მერდოკია, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორი და ტელეკომპანია "იმედის" მფლობელი თუ თანამფლობელი იყო.

მაქსველის მცდელობამ, შეეღწია დიდ პოლიტიკაში, შედეგი გამოიღო. ბევრ ქვეყანაში მას უმაღლეს სამთავრობო დონეზე დიდი პატივისცემით იღებდნენ პრეზიდენტები, მეფეები და გენერალური მდივნები. მათ შორის: ბრეჟნევი, მაო ძე-დუნი, ჩეუშესკუ და ა.შ.

მასზე ლეგენდაც კი შეთხზეს - თავის გამომცემლობა "პერგამონ-პრესში" საბჭოთა ლიდერის ლეონიდ ბრეჟნევის "გენიალური" ტრილოგიის: "მცირე მიწა", "აღორძინება" და "ყამირი", თარგმნა და ასეული ათასი ტირაჟით გამოცემა სულ რაღაც ათ დღეში მოახერხაო. ფაქტი კია, რომ 1978 წელს ბრეჟნევმა პირადად მიიღო და სამთავრობო ჯილდო გადასცა. მაქსველი გულს არც სხვა საბჭოთა "ბელადებს" წყვეტდა და ანდროპოვის, სუსლოვის, ჩერნენკოს და გორბაჩოვის "ნაშრომებსაც" დიდი ტირაჟით ბეჭდავდა.

## მან ძალზე ბევრი იცოდა

ოფიციალური ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელებთან ზოგჯერ არაფორმალურ კონტაქტებში გადაიზრდებოდა ხოლმე, რის შედეგადაც მაქსველს ბევრ საიდუმლო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი. როგორ იყენებდა ის ამ ინფორმაციას? სპეცსამსახურების ზოგიერთი ისტორიკოსი და ექსპერტი ამტკიცებს, რომ მაქსველი ერთდროულად ოთხი ქვეყნის სპეცსამსახურის: დიდი ბრიტანეთის მი-6, ისრაელის "მოსადის", საბჭოთა კავშირის "კა-გე-ბეს" და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს "გავლენის აგენტი" იყო.

მაქსველის ახლო კავშირი საბჭოთა პოლიტბიუროს წევრებთან და დაზვერვასთან დოკუმენტურად დადასტურებულია. არსებული ინფორმაციით 1968 წლის 3 ივნისს მაქსველი კა-გე-ბეს ახალმა შეფმა იური ანდროპოვმა საიდუმლოდ მიიღო და დიდხანსაც ესაუბრა. ამის შედეგად 1968 წლის აგვისტოში ინგლისის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას მედიამაგნატმა საჯაროდ დაუჭირა მხარი საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში შეჭრას.

მაქსველს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელებთან ვლადიმერ კრიუჩკოვთან და ლეონიდ შებარშინთან. არსებული ინფორმაციით მასთან ოპერატიული კონტაქტები სხვადასხვა წლებში ჰქონდათ კა-გე-ბეს პოლკოვნიკებს: ვლადიმერ გოლოვინს, ვიქტორ ბერდიხინს და ვადიმ ბირიუკოვს. აშშ-ში ის ასევე ხვდებოდა საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტ გენერალ დიმიტრი იაკუშკინს.

დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებში ერთ დროს, სულ რამდენიმე წლით მაქსველი ოფიციალურად ირიცხებოდა. რაც შეეხება იმ ვერსიას, რომ ის "მოსადის" აგენტი იყო (ოპერატიული ფსევდონიმი "პატარა ჩეხი") ესეც სიმართლესთან ახლოსაა, რადგანაც ებრაელი ეროვნების ოლიგარქსა და მედიამაგნატს ისრაელის სპეცსამსახურები უყურადღებოდ არ დატოვებდნენ და მის გამოყენებას შეეცდებოდნენ.

საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის "ოპერატიულ თამაშებში" არც მაქსველი დარჩებოდა წაგებული, რადგანაც სხვადასხვა ქვეყნის დაზვერვისგან მიღებული მონაცემები მისი მედიაიმპერიის გაძლიერების აუცილებელი წინაპირობა იყო.

## ვინ მოკლა მედიამაგნატი?

ერთ-ერთი ინფორმაციით მაქსველი საბჭოთა დაზვერვამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადაიბირა ბერლინში და მომდევნო წლებში კა-გე-ბე ფარულად ეხმარებოდა ბიზნესის აწყობაში. თავად მედიამაგნატი კი საბჭოთა დაზვერვის უმნიშვნელოვანესი "გავლენის აგენტი" იყო. მისი გამომცემლობა "პერგამონ პრესი" კა-გე-ბეს მიერ დასავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიებისთვის ფულის ფარული გადაცემის არხად გამოიყენებოდა.

საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის თანაშემწე ანატოლი ჩერნიაევი თავის მემუარებში იხსენებს, რომ 1991 წლის 26 ივნისს მოსკოვში მყოფი მაქსველი გორბაჩოვმა მიიღო. ჩერნიაევი არ მალავს, რომ მაგნატი იმდენად სკანდალური ფიგურა იყო, რომ მან "პერესტროიკის მამას" ურჩია არ შეხვედროდა მაქსველს. გორბაჩოვი ჯერ დაეთანხმა, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ კი თავის თანაშემწეს უკვე

მაქსველის მილების საათი დაანიშნინა. ვინ შეაცვლევინა საბჭოთა პრეზიდენტს გადაწყვეტილება?

ეს პიროვნება კა-გე-ბეს შეფი ვლადიმერ კრიუჩკოვი იყო. ჩერნიაევის სიტყვებით მაქსველს და კრიუჩკოვს ერთობლივი ბიზნესი ჰქონდათო (!). როცა მაქსველი საბჭოთა კავშირში ჩამოდიოდა მას ყოველთვის უმაღლეს დონეზე შეხვედრას უხერხებდნენ. ამას კი კა-გე-ბეს მეტი ვერავინ შეძლებდა.

არსებობს ვერსია, რომ მაქსველი აქტიურად მონაწილეობდა 1991 წლის პუტჩამდე ცოტა ხნით ადრე საბჭოთა კომპარტიის უზარმაზარი ფინანსური რესურსების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გადარიცხვისა და სხვადასხვა საბანკო ანგარიშებზე გადამალვის პროცესში.

მეორე ვერსიით მაქსველი ისრაელის დაზვერვამ მოიცილა თავიდან, რადგანაც, იყო რა წლების მანძილზე ისრაელის დაზვერვის აგენტი, საკუთარი ფინანსური პრობლემების მოგვარებას ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ შამირის და "მოსადის" დაშანტაჟების გზით შეეცადა. ამიტომაც ისრაელის სპეცსამსახურების მებრძოლებმა მაქსველს იახტაზე სასიკვდილო ინექცია გაუკეთეს და შემდეგ ზღვაში გადააგდეს, ვითომდა გემბანზე გული გაუხდა ცუდად და წყალში გადავარდა.

ამ ვერსიის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია "მოსადის" ყოფილი თანამშრომელი, შემდეგ კი ისრაელის დაზვერვის კრიტიკოსი ვიქტორ ოსტროვსკი.

<u>მცირე დოსიე:</u> ვიქტორ ოსტროვსკი დაიბადა 1949 წელს კანადაში, შემდეგ ისტორიულ სამშობლოს – ისრაელს დაუბრუნდა. 1982 წელს მრავალთვიანი, ურთულესი ტესტირებების შემდეგ ჩაირიცხა "მოსადში". ოთხი წლის შემდეგ სკანდალურად დატოვა ისრაელის დაზვერვა და კანადაში გაიქცა. ამის შემდეგ ოსტროვსკიმ ისრაელის სპეცსამსახურების შესახებ რამდენიმე დოკუმენტური წიგნი გამოსცა, სადაც "მოსადის" მიერ ჩატარებულ მრავალ საიდუმლო სპეცოპერაციას ახადა ფარდა.

2003 წელს რუპერტ მერდოკის ინგლისურმა გამოცემა "სანდი ექსპრესმა" დიდი მასალა მიუძღვნა მაქსველს და ის "მოსადის" მნიშვნელოვან აგენტად დაასახელა. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ მან ისრაელის დაზვერვას 400 მლნ ფუნტი სტერლინგი მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის ცნობილი საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებით დაიმუქრა. გაზეთის მტკიცებით ამის გამო "მოსადმა" ჩაატარა სპეცოპერაცია და მაქსველი თავიდან მოიცილა.

მაქსველი ხშირად იმეორებდა: "რაც უფრო ბევრ საიდუმლოებას წაიღებს კაცი სამარეში, მით უფრო ბევრი გაუკეთებია სიცოცხლეშიო"

თავადაც ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ბევრი კითხვა მისი გარდაცვალების შესახებ (მკვლელობა, თვითმკვლელობა თუ უბედური შემთხვევა?) დღესაც პასუხგაუცემელია. ასევე კვლავ საიდუმლოა თუ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებზე მუშაობდა ოლიგარქი.

ისე კი, ბევრი საიდუმლოს ცოდნა ჩახმახზე შეყენებული დამიზნებული იარაღივითაა – ადრე თუ გვიან უნდა "გაისროლოს". თუმცა ამას პოლიტიკაში

მოსული მედიამაგნატები, ოლიგარქები და ბანკირები რატომღაც არ ითვალისწინებენ.

## ბორის ბერეზოვსკის საბედისწერო აურა

არ დავიმალოთ, რომ ამ საკითხით ჩვენი დაინტერესება, ბორის ბერეზოვსკის, ძალზე ოდიოზური პიროვნების ბოლოდროინდელი გააქტიურების და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩარევის სურვილის გამო მოხდა. ეს პიროვნება რუსეთში და უცხოეთში მომხდარი ყველაზე გახმაურებული პოლიტიკური მკვლელობების ეპიცენტრში იყო და არის. მის ირგვლივ კილერების მიერ ჩაცხრილული თუ საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილთა ცხედრები რჩება. მისი "თანამებრძოლები" საეჭვო ვითარებაში იღუპებიან, ის კი "უკვდავი კოშჩეისავით" კვლავ ლონდონიდან ხლართავს პოლიტიკურ ინტრიგებს უკრაინასა და საქართველოში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ის მეტად მდიდარი და ამიტომ გავლენიანი ოლიგარქია, მაშინ კიდევ უფრო გასაგები გახდება, რომ საზოგადოებას მაქსიმალური და სანდო ინფორმაცია უნდო ჰქონდეს ამ პიროვნების შესახებ.

### ბერეზოვსკისთან მეგობრობა სახიფათოა თქვენი სიცოცხლისათვის!

იშვიათია ადამიანი, რომლის შესახებაც იმდენი ტყუილ-მართალი დაწერილა და თქმულა, რამდენიც ბორის ბერეზოვსკიზე. ბიზნესმენი და თაღლითი, პოლიტიკური შუალერი, დამნაშავე და ქველმოქმედი, "რუსეთის დემოკრატის მამა" და რუსეთის (აშშ-ის, ისრაელის, დიდი ბრიტანეთის და ა.შ.) სპეცსამსახურების აგენტი – ამ ურთიერთგამომრიცხავი ეპითეტების გაგრძელება კიდევ შეიძლება. ჩვენთვის მთავარი კი ის არის, რომ მხოლოდ ფაქტების და რეალურად მომხდარი მოვლენების ანალიზის შედეგად შევეცადოთ ბერეზოვსკის საქართველოთი დაინტერესების ღია და ფარული მიზნების გარკვევას.

ძებნილი ოლიგარქის მცირე დოსიე ასეთია:

ბორის აბრამის ძე ბერეზოვსკი (იგივე პლატონ აბრამის ძე ელენინი) დაიბადა 1946 წლის 23 იანვარს მოსკოვში. ჩანს, რომ მომავალი მაგნატი სამეცნიერო კარიერაზე სერიოზულად ფიქრობდა. ჯერ მოსკოვის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, ხოლო შემდეგ 1968 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მართლაც რომ ურთულესი - მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ამ პერიოდიდან 1989 წლამდე ბერეზოვსკი სხვადასხვა სამეცნიერო-

კვლევით ინსტიტუტებში მუშაობდა. საბჭოთა კავშირში მაშინ გამეფებული ფარული ანტისემიტიზმის მიუხედავად ბერეზოვსკიმ შესძლო ახალგაზრდულ ასაკში საკმაოდ დიდი წარმატებებისთვის მიეღწია – 37 წლის ასაკში უკვე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, ხოლო 45 წლისა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

ბერეზოვსკის მეცნიერული კვლევის ძირითადი თემატიკა – მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა და გადაწყვეტილების მიღების ოპტიმიზაცია გარკვეულწილად გახდა მისი დიდ ბიზნესში აქტიურად ჩართვის მიზეზი. მომავალი ოლიგარქი, როგორც მეცნიერი 1973 წლიდან თანამშრომლობდა საბჭოთა ავტოწარმოების ფლაგმან "ავტოვაზთან" და კარგი ურთიერთობა ჰქონდა მის გენერალურ დირექტორ კადანიკოვთან. ამიტომაც 1989 წელს ჩეჩენი ეროვნების სამატ ჟაბოევთან ერთად სააქციო საზოგადოება "ლოგოვაზის" შექმნა კარგად გათვლილი გადაწყვეტილება იყო. ამით ბერეზოვსკიმ ხელში ჩაიგდო საბჭოთა კავშირში ყველაზე დეფიციტური პროდუქციის – ახალი "ჟიგულების" რეალიზაცია. ოთხ წელში ამ ფირმის სავაჭრო ბრუნვა 250 მილიონ დოლარს აღემატებოდა.

საინტერესოა, რომ ორი მომავალი მეგობარი და პარტნიორი – ბერეზოვსკი და პატარკაციშვილი "ჟიგულების" ბიზნესმა შეახვედრა და დაახლოვა ერთმანეთს. 1990 წლის მაისიდან ბადრი "ლოგოვაზის" კავკასიის რეგიონალური ფილიალის დირექტორი იყო.

თუმცა დავუბრუნდეთ ბერზოვსკის, რომელიც ადრევე მიხვდა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთში, სახელმწიფო ქონების გაროშებად ხელში ჩაგდების და ათასგვარი ავანტურული ოპერაციის ჩატარების უნიკალური შანსი იყო. მან და მისმა პარტნიორებმა ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერის დიდი ოსტატობა გამოავლინეს და სულ რაღაც სამ-ოთხ წელში მულტიმილიონერები გახდნენ.

აქ უნდა გავიხსენოთ 1994 წლის 30 მაისს მათ მიერ შექმნილი "სრულიად რუსეთის საავტომობილი ალიანსი", რომელსაც საფუძვლად "სახალხო ავტომობილის" წარმოების პროექტი დაედო. ოსტაპ ბენდერის სტილში დატრიალებულმა კომბინაციამ მის ავტორებს ასეულ მილიონობით დოლარი მოუტანა, ხოლო ასევე მილიონობით ადამიანი, ვინაც საკუთარი დანაზოგი ჩადო ამ არარეალურ პროექტში, ხახამშრალი დარჩა და მათმა ფულმა "ჩაილურის წყალი" დალია.

კაპიტალის დაგროვების კვალობაზე ბერეზოვსკის მადა ეხსნებოდა. მისმა ჯგუფმა თანდათან ჩაიგდო ხელში რუსეთის ყველაზე მომგებიანი საწარმოები – "აეროფლოტი", "სიბნეფტი", ალუმინისა და ნიკელის წარმოება. ბერეზოვსკი და მისი მეგობრები ადრევე მიხვდნენ, რომ მათ ბიზნესს პოლიტიკური და იდეოლოგიური დაცვა სჭირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა, არანაკლებ დიდი და ყველაფერზე წამსვლელი "ზვიგენების"- გუსინსკი-ლუჟკოვის,

კორჟაკოვ-ბარსუკოვის და ჩუბაის-პოტანინის დაჯგუფებები დაუნდობლად გაგლეჯდნენ.

ბერეზოვსკიმ ფსონი ბორის ელცინზე დადო და პოლიტიკურ "სახურავად" რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის ოჯახი და ახლობლები (ტატიანა დიაჩენკო, ვალენტინ იუმაშევი და სხვ.) "გაშანსა". ხოლო პიარისთვის და "იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის" ბერეზოვსკის ჯგუფმა ხელში ჩაიგდო და წლების მანძილზე აკონტროლებდა: რუსეთის ტელევიზიის არხებს ("ორტ"-ს, ტვ-6), ასევე გავლენიან გაზეთებს "კომერსანტსა" და "ნეზავისიმაია გაზეტას". ისინი ცდილობდნენ ემართათ რუსეთის პრეზიდენტი და ერთი პერიოდი წარმატებითაც ახერხებდნენ ამას.

ამავე დროს მათ პოლიტტექნოლოგიების სახელმძღვანელოებიც კარგად შეისწავლეს და საკუთარი მდგომარეობის გასამყარებლად ყველა ხერხის გამოყენებაც წარმატებით აითვისეს.

## რეალური თუ მოგონილი თავდასხმები ბერეზოვსკიზე

1994 წლის 7 ივნისს "ლოგოვაზის" ოფისიდან ბერეზოვსკის გამოსვლის დროს იქვე მდგომი მანქანა აფეთქდა. დაიღუპა ოლიგარქის მძღოლი. თავად მან და ერთმა მცველმა სხეულის დაზიანებები მიიღეს. რუსეთის პროკურატურის ვერსიით აფეთქება ორგანიზებული იყო "ორეხოვოს" დამნაშავეთა დაჯგუფების ლიდერის სერგეი ტიმოფეევის (იგივე "სილვესტრი") მიერ, რომელიც ორი თვის შემდეგ თავად დაიღუპა მანქანის აფეთქების შედეგად.

ბერეზოვსკიზე თავდასხმის შემდეგი ისტორია ნამდვილ სენსაციად იქცა და შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის ჯგუფსა და მათ მიერ დაწინაურებულ, მაშინ უკვე რუსეთის ეფ-ეს-ბეს დირექტორ ვლადიმერ პუტინს შორის "შავმა კატამ" სწორედ 1998 წლის შემოდგომაზე გაირბინა.

იმ პერიოდში ალექსანდრე ლიტვინენკოს სახელი რუსულ და მსოფლიო მასმედიაში სრულიად უცნობი იყო. საბჭოთა კა-გე-ბეს სამხედრო კონტრდაზვერვის და შემდეგ რუსეთის ფე-ეს-ბეს ოპერატიული თანამშრომელი, პოდპოლკოვნიკი ლიტვინენკო ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, როდესაც 1998 წლის 20 მარტს ბიზნესისა და პოლიტიკის "ბოროტ გენიად" შერაცხულ ბორის ბერეზოვსკისთან მივიდა და განუცხადა, რომ ფე-ეს-ბეს ხელმძღვანელობამ მას და კიდევ რამდენიმე თანამშრომელს ბერეზოვსკის ლიკვიდაცია დაავალა. ამ ინფორმაციამ, რომელსაც რამდენიმე თვის შემდეგ ხმაურიანი პრესკონფერენცია მოჰყვა, გრიგალ "კატრინასავით" გადაუარა რუსულ და უცხოურ მასმედიას. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო – რუსეთის სპეცსამსახური გეგმავდა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის, ყოფილი რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის, შემდეგ კი დსთ-ს აღმასრულებელი მდივნის ლიკვიდაციას.

ლიტვინენკოს ამ პირდაპირი ბრალდების შემდეგ რუსეთის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე კი აღძრა, მაგრამ ცხრა თვის მანძილზე ხელი არ გაუნძრევია. სწორედ ამის შემდეგ, 1998 წლის 13 ნოემბერს ბერეზოვსკიმ გაზეთ "კომერსანტში" ძალზე კრიტიკული წერილით მიმართა ფე-ეს-ბეს შეფს – ვლადიმერ პუტინს.

ამის საპასუხოდ პუტინმა ნადირობა დაიწყო ჯერ ლიტვინენკოზე, შემდეგ კი თავად ბერეზოვსკიზე.

1999 წლის 8 აგვისტოს "ლოგოვაზის" ოფისს ყუმბარმტყორცნი ესროლეს. მიუხედავად იმისა, რომ არავინ დაზარალებულა, ეს ფაქტი ბერეზოვსკისთვის პირდაპირი გაფრთხილება იყო. რუსეთის ახალი პრემიერ-მინისტრი პუტინი არ აპირებდა ბერეზოვსკის და პატარკაციშვილის "შპარგალკებით" ქვეყნის მართვას.

პარალელურად პუტინმა დაიწყო ოლიგარქის "ბიზნეს იმპერიის" შეღწევება. "სიბნეფტი", "აეროფლოტი", "ავტოვაზი", საგამომცემლო სახლი "კომერსანტი", "ნეზავისიმაია გაზეტა" – მოულოდნელი საფინანსო შემოწმებების ობიექტები გახდნენ. ბერეზოვსკი ყველაზე მძიმედ "პიარ-იარაღის" ტელარხების წართმევას განიცდიდა. ჯერ "ო-ერ-ტე" აართვეს, შემდეგ "ტე-6".

ბერეზოვსკი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი იყო, როცა უარი თქვა დუმის წევრობაზე და დატოვა რუსეთი. ოლიგარქმა თავი ლონდონს შეაფარა. თუმცა მისი სტატუსი გაურკვეველი იყო, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება არ ჩქარობდა ბერეზოვსკისთვის პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭებას. ამასთან დაკავშირებით ამ ქვეყანას საკმაოდ მკაცრი კანონები აქვს და პოლიტიკურ თავშესაფარს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იძლევა.

ამ დროს კი რუსეთის პროკურატურამ გაქცეულ ოლიგარქზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა და ბრიტანეთს მისი გადმოცემა მოსთხოვა.

2003 წლის 24 მარტს ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილებით ის რამდენიმე საათით დააკავეს და მხოლოდ 200 000 დოლარის ოდენობის გირაოს გადახდის შემდეგ გაანთავისუფლეს.

ბერეზოვსკი ცაიტნოტში იყო, სასწრაფოდ საჭირო იყო რაღაც ისეთი მოვლენა, რაც მთელ მსოფლიოს დაუმტკიცებდა, რომ ის პოლიტიკური შეხედულებების გამო იდევნება რუსეთის ხელისუფლებისგან და, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

"ბედად" 2003 წლის აგვისტოში ინგლისურმა გაზეთმა "სანდი თაიმსმა" ოლიგარქზე რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული თავდასხმის შესახებ სენსაციური მასალების ბეჭდვა დაიწყო. ყურადღება მიაქციეთ, ეს სწორედ ის გაზეთია, რომელმაც 2007 წლის დეკემბერში ბადრი პატარკაციშვილზე საქართველოს სპეცსამსახურების მიერ შესაძლო თავდასხმის შესახებ ოლიგარქთან ინტერვიუ დაბეჭდა. საინტერესოა, რომ ეს გამოცემა

ყველასათვის ცნობილ "ნიუს კორპის" მფლობელს, ბერეზოვსკის და პატარკაციშვილის მეგობარ, თუ ბიზნეს-პარტნიორ რუპერტ მერდოკს ეკუთვნის.

ამ გამოცემის მტკიცებით ბერეზოვსკი მოსკოვიდან სპეციალურად მიელენილ აგენტს უნდა მოეკლა. მკვლელობის იარაღად კი "შხამიანი ავტოკალამი" იყო დასახელებული. დამეთანხმებით, რომ ფრიად საინტერესო პარალელია მოფიქრებული: ადრე თუ მართლაც მოწამლული ქოლგით კლავდა კა-გე-ბე. ეხლა ხომ შეიძლება კილერებმა მოწამლული საწერი კალამი გამოიყენონ?

სამწუხაროდ ბადრი პატარკაციშვილიც აღმოჩნდა ბერეზოვსკის ბიზნეს და პოლიტავანტიურების ეპიცენტრში. ბერეზოვსკი სტრატეგიას სახავდა, პატარკაციშვილი კი ხორცს ასხამდა. ისინი ერთმანეთს ავსებდნენ. ეს სუბიექტური აზრი არაა. ამაზე ფაქტები მეტყველებენ. თუ ვინმეს ამ ფაქტებზე თვალის დახუჭვა სურს, ეს მისი ნებაა. თუმცა ალბათ უმჯობესია საზოგადოებამ სრული სიმართლე იცოდეს და დასკვნა თავად გააკეთოს.

## ბერეზოვსკის მცირე ფსიქოლოგიური პორტრეტი

ბოლო დროს ბერეზოვსკი "რატომღაც" ღიად ალაპარაკდა საქართველოს მიმართ ათწლეულების მანძილზე არსებულ სიყვარულზე, რომელსაც თურმე მუდმივად გულით ატარებდა. თუმცა ამის მსგავსი რამ არასდროს შეგვიმჩნევია. ის კი, თურმე ყოველთვის ზრუნავდა საქართველოზე და ქართველ ხალხზე, დღედაღამ ფიქრობდა აფხაზეთის დაბრუნებაზე, ამჟამადაც ძალზე წუხს საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე და ა.შ.

ეს, პრაგმატიზმით გამორჩეული ოლიგარქისგან, მართლაც, რომ გასაკვირია.

მაინც ვინ არის ეს პიროვნება, რომელიც ასე ემოციურად იბრალებს საქართველოს სიყვარულს?

ერთ-ერთი ძველი მეგობარი ასე ახასიათებს ბერეზოვსკის: "ის, როგორც მენეჯერი სუსტია, ხოლო შემსრულებელი უფრო სუსტი. მას არ ძალუძს რუტინული სამუშაოს შესრულება. სამაგიეროდ ბორია უძლიერესი სტრატეგი და იდეების გენერატორია. რაც მთავარია ყველა საშუალებას გამოიყენებს თავისი მიზნის მისაღწევად. ის აზარტული მოთამაშეა და ყველა სიტუაციაში უსწრაფესი ორიენტირების უნარი აქვს".

არ ეწევა. ამბობენ, რომ უარს არ ამბობს სასმელზე (არაყი და იშვიათად კონიაკია მისი არჩევანი) და "მშვენიერ სქესზე". ამჟამად მესამე ოფიციალური ცოლი ჰყავს – ელენე გორბუნოვა, რომელიც 25 წლით უმცროსია ბერეზოვსკიზე. ელენე ადრე ცნობილი რუსი დრამატურგის მიხეილ შატროვის მეუღლე იყო. ოლიგარქი მრავალშვილიანი მამაც არის – მას ოთხი ქალიშვილი და ორო ვაჟიშვილი ჰყავს.

ბორისი საკმაოდ მოძრავი პიროვნებაა, როგორც ამბობენ ერთ ადგილზე ვერ ჩერდება. ფსიქოლოგიურად საკმაოდ გაუწონასწორებელია. ის უფრო სპრინტერია, ვიდრე სტაიერი. თუ მიზანს პირველივე ჯერზე ვერ მიაღწია, მერე "სიგიჟეები მოსდის". ცინიკოსია, უყვარს მელოდრამატული ეფექტების გამოყენება.

ბერეზოვსკი ძალზე სუსტი საჯარო პოლიტიკოსია. სამაგიეროდ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის დამახასიათებელი შტრიხია კულუარებიდან მართვის ნიჭი. ფინანსური პირამიდების აშენების დიდოსტატი მალევე "დაავადდა" პოლიტიკური ინტრიგების ხლართვის უკურნებელი სენით.

ბერეზოვსკი ყოველთვის ცდილობდა მაქსიმალურად ჩრდილში ყოფილიყო და რუსეთის (შემდეგ - უკრაინის და საქართველოს) "რუხი კარდინალი" – უზარმაზარი რეალური ძალაუფლებით და მინიმალური პირადი პასუხისმგებლობით, გამხდარიყო.

ბერეზოვსკის ნამდვილი მეგობრები არც ჰყოლია და არც ჰყავს. ადამიანებთან ურთიერთობაში მას მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებს.

ერთ დროს რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის დაცვის სამსახურის უფროსი, მაშინ ყოველისშემძლე ალექსანდრე კორჟაკოვი ბიზნესკონკურენტების - გუსინსკის და ჩუბაისის წინააღმდეგ გამოიყენა, შემდეგ კი უკვე ჩუბაისის დახმარებით კორჟაკოვი-ბარსუკოვის ჯგუფი მოიცილა. ასევთიე "ილეთი ჩაუტარა" გენერალ ალექსანდრე ლებედსაც.

ერთ დროს დიდად პოპულარული "სალდაფონური" გამოსვლებით ცნობილი გენერალი ლებედი (რომელიც უკვე პუტინის პრეზიდენტობისას კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორი იყო და ძალზე საეჭვო ავიაკატასტროფაში დაილუპა) ბერეზოვსკიმ გადაიბირა ელცინის ბანაკში. სანაცვლოდ რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად დაანიშნინა უკვე ცოცხალ-მკვდარ ელცინს. თავად კი, "მორიდებულად" ლებედის მოადგილე გახდა. სამი თვის შემდეგ კი ურჩი გენერალი, გაცილებით დამთმობი, "ჯიბის პოლიტიკოსი" ივანე რიბკინით შეაცვლევინა ელცინის ოჯახს.

გამოიყენე და გადააგდე – აი ამ პრინციპებით ცხოვრობს ეს ოლიგარქი. თუმცა ბერეზოვსკის ჯგუფის "ბექგრაუნდი" შეიძლება გაცილებით უფრო სახიფათოც იყო.

## რა კავშირი აქვს ბორის ბერეზოვსკის ლისტევის მკვლელობასთან?

ტელეკომპანია "იმედის" ირგვლივ ატეხილმა საკანდალმა ძალაუნებურად რუსეთში ამ 14-15 წლის წინ განვითარებული მსგავსი მოვლენები გაგვახსენა, რომელთაც ცნობილი რუსი ტელეჟურნალისტი ვლად ლისტევი შეეწირა. ტელევიზია, გარდა იმისა, რომ უმძაფრესი პიარიარაღია,

ძალზე მომგებიანი ბიზნესიცაა. სარეკლამო დრო, განსაკუთრებით "პრაიმტაიმში" უზარმაზარი თანხა ღირს. ამ ორიოდე წლის წინ ამერიკაში კალათბურთის ფინალური თამაშის ტელერეპორტაჟის დროს ერთი წუთი რეკლამა მილიონ დოლარზე მეტი ღირდა. რუსეთის ტელევიზიები ამ ნიშნულს უკვე უახლოვდებიან. 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი ტელეარხისთვის სისხლიანი ბრძოლა გაიმართა, მიზანი ფული, პოლიტიკა და ძალაუფლების მოპოვება ერთდროულად იყო. იმ წლებში "ო-ერ-ტე" (იგივე "პირველი არხი") რუსეთის მთავარი ნაციონალური ტელეარხი და იდეოლოგიური იარაღი იყო.

1994 წლის ნოემბრის ბოლოს ბერეზოვსკის ჯგუფმა შეძლო "ო-ერ-ტეს" ხელში ჩაგდება. ფორმალურად აქციათა პაკეტის მხოლოდ 49% ჰქონდათ ბერეზოვსკის და პატარკაციშვილს, რეალურად კი მაინც ისინი აკონტროლებდენ პირველ არხს.

ბერეზოვსკიმ რუსეთის მაშინდელი პირველი ლედის ნაინა ელცინას მოთხოვნით ამ ტელეარხის გენერალური დირექტორის პოსტზე ჟურნალისტი ვლადისლავ ლისტევი დანიშნა. მის მოადგილედ და არხის ფინანსურ დირექტორად კი ბერეზოვსკის მარჯვენა ხელი ბადრი პატარკაციშვილი დაინიშნა. ბადრიმ სწრაფადვე შეძლო მთელი ფინანსური რესურსების საკუთარ ხელში მოქცევა და ისეთი მენეჯერული სისტემა ააწყო, რომ გენერალური დირექტორი ფაქტიურად უფუნქციოდ დარჩა. არ ვიცით "იმედზე", როგორ იყო მაგრამ რუსეთის "პირველი არხის" შენობაში პატარკაციშვილის გამოჩენა თურმე შიშის ზარს სცემდა ტელეჟურნალისტებს. ისინი სწორედ პატარკაციშვილს მიაწერენ ერთ ძალზე საინტერესო ფრაზას: "ჩვენა ამხელა ფულს იმაში კი არ გიხდით, რომ ჩვენთვის რაიმე კარგი გააკეთოთ, არა, ფულს იმიტომ გიხდით რომ არაფერი გვიხიმანდროთო".

ლისტევს იმდენი გამოცდილება არ ჰქონდა ტელეარხის ხელმძღვანელობის წვრილმანებსა და ფინანსურ ნიუანსებში გარკვეულიყო. თანაც მას ეგონა, რომ ელცინის ოჯახთან ახლობლობა მას დაიცავდა და იქ ჩაყო ცხვირი, სადაც ორი ოლიგარქის ლოგიკით – არაფერი ესაქმებოდა.

ლისტევმა ყველაზე მსუყე ლუკმის ტელესარეკლამო დროის ერთპიროვნული განკარგვა და საკუთარი სარეკლამო ფირმა "ინტერვიდის" "გაქაჩვა" მოინდომა. 1995 წლის 20 თებერვალს ლისტევმა სხვა სარეკლამო ფირმებს უცერემონიოდ შეუწყვიტა კონტრაქტი. 27 თებერვალს ამის თაობაზე ლისტევსა და ბერეზოვსკის შორის "ლოგოვაზის" ოფისში დაძაბული საუბარი გაიმართა. ოლიგარქს და მის ჯგუფს სარეკლამო დროის განაწილებაში ლისტევის ჩარევა ძალზე ბევრ "შავ ფულს" აკარგვინებდა.

უბრალო დამთხვევა იყო თუ სხვა რამ, მეორე დღეს ბერეზოვსკი რუსეთიდან გაემგზავრა, ხოლო მესამე დღეს, 1995 წლის 1 მარტს, ლისტევი საკუთარი სახლის სადარბაზოში მოკლეს. კილერმა ჟურნალისტს რამდენიმე ტყვია ესროლა და მიიმალა.

ფულს სუნია არ აქვსო. დიდ ფულს მით უფრო. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ლისტევი ბიზნესმბიციებს შეეწირა. გამოძიება მკვლელობის შემკვეთს ეძებდა.

ეჭვი ბერეზოვსკიზე და ლისტევის მთავარ კონკურენტ, ცნობილი სარეკლამო ფირმა "პრემიერ ეს-ვე"-ს მფლობელ სერგეი ლისოვსკიზე მიიტანეს. მოსკოვის მილიციამ "ლოგოვაზის" ოფისში ჩხრეკის ჩატარება მოინდომა, მაგრამ, როგორც ერთი კარგად ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი იტყვის ხოლმე - "ნურას უკაცრავად!".

ბერეზოვსკიმ რუსეთის მთელი ხელისუფლება ჩარია და მილიცია ოფისში არ შეუშვა. ლისოვსკის ოფისში ჩატარებულმა ჩხრეკამაც არანაირი პირდაპირი სამხილი არ მისცა გამოძიებას. იმავე დღეებში რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ბადრი პატარკაციშვილი რამდენიმე საათით დააკავა, თუმცა დაკითხვის შემდეგ გაანთავისუფლა.

საინტერესოა, რომ რუსეთში მოქმედმა "კანონიერმა ქურდებმა" და "ავტორიტეტებმა" ლისტევის მკვლელობიდან თავი შორს დაიჭირეს. მართლაც გაჩინოვნიკებული ჟურნალისტის ლიკვიდაცია მხოლოდ მის "ბიზნეს პარტნიორებს" აძლევდათ ხელს. გამოძიება მალევე ჩიხში შევიდა – შემკვეთები ვერ დააპატიმრეს, შემსრულებლებმა კი, როგორც შემდეგ დადგინდა, მკვლელობის მეორე დღესვე დატოვეს რუსეთი. ერთ-ერთი მათგანი, ყოფილი სპეცრაზმელი ალექსანდრე აგეიკინი ისრაელში მიიმალა და მალევე გარდაიცვალა საეჭვო ვითარებაში. გასაგებია – ბევრი საიდუმლო იცოდა და ცოცხალს ვინ დატოვებდა? ასეთია კილერების ბედი.

რუსეთის წამყვან ტელეარხზე კი ბერეზოვსკ-პატარკაციშვილის გადაწყვეტილებით სარეკლამო დროის ერთადერთ განმკარგავად ახლად შექმნილი საშუამავლო ფირმა "ო-ერ-ტე რეკლამა" მოგვევლინა. მონოპოლისტის შემოსვლა სწრაფადვე აისახა ფასებზე - ერთი წუთი სარეკლამო დროის მინიმალური ფასი 1500 დოლარი, ხოლო მაქსიმალური 30 000 დოლარი გახდა. ოლიგარქების დუეტმა ამ ფირმის ხელმძღვანელად, რატომრაც სწორედ ლისტევის დაუძინებელი მტერი სერგეი ლისოვსკი დანიშნა. თუმცა "პარადი" კვლავ ბადრის მიჰყავდა. მალე ლისოვსკიც "ტექნიკურად" აიძულეს არხიდან წასულიყო. ამ ტელეარხის მაშინდელი თანამშრომლები არ მალაენ, რომ "პირველ არხზე" ერთადერთი რეალური ძალა ბადრი იყო.

ეს ბიზნესია, რაც შეეხება პოლიტიკას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ექს-პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ერთ-ერთ ინტერვიუში ნახსენები ფაქტი: "1996 წელს საქართველოზე რაღაც ცუდი გადაცემა მზადდებოდა რუსეთის "პირველ არხზე" და ბადრიმ არ გააშვებინაო".

თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, მაშინ სამწუხაროდ ერთადერთი ფაქტი და გამონაკლისი შემთხვევა ყოფილა. რეალობა კი ისაა, რომ 1995-2000

წლებში, როდესაც ამ ტელეარხს ბერეზოვსკ-პატარკაციშვილის დუეტი ერთპიროვნულად აკონტროლებდა, რუსეთის "პირველი არხი" იყო იმ ფარული თუ ღია იმპერიული პოლიტიკის და იდეოლოგიის მთავარი რუპორი, რასაც რუსი "ურაპატრიოტები" ქადაგებდნენ. ანტიქართული გადაცემები ამ ტელეარხის საეთერო ბარათი იყო. რუსეთის სპეცსამსახურები კარგად იყენებდნენ ამ არხის შესაძლებლობებს საქართველოს წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომისთვის და ყოველდღიური დეზინფორმაცია სწორედ იქიდან მოდიოდა. გავიხსენოთ თუნდაც 1998 წლის გაზაფხულზე გალის მოვლენების ცალმხრივი და ანტიქართულად გაშუქების ფაქტი.

არ გაინტერესებთ ვინ ხელმძღვანელობდა ოპერატიულ-აგენტურულ და დეზინფორმაციულ ოპერაციებს საქართველოს წინააღმდეგ 1998-1999 წლებში? შეიძლება გამოიცანით კიდეც – ეს პიროვნება იყო ეფ-ეს-ბეს მაშინდელი დირექტორი, ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილის მიერ რუსულ პოლიტიკაში მოყვანილი, საქართველოს დიდი "მოსიყვარულე" ვლადიმერ პუტინი!

ავტო, ნავთობ, და ტელემაგნატი ბერეზოვსკი აქტიურად ჩაერთო "დიდ პოლიტიკაში". ცნობილია, რომ 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ელცინმა მხოლოდ ოლიგარქების ფულით და ამერიკელი პოლიტტექნოლოგების დახმარებით შეძლო კომუნისტების ლიდერის გენადი ზიუგანოვის დამარცხება. "პროექტი ელცინი" ბერეზოვსკის პირველი უმაღლესი დონის ტესტი იყო. სამი წლის შემდეგ ამას მოჰყვა "პროექტი პუტინი", რის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ.

## <u>როცა ტერაქტი არ არის . . . უნდა მოიგონო?</u>

პოლიტტექნოლოგიებში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, რომ პიარი, "შაეი" იქნება თუ "თეთრი", პოლიტიკოსისთვის ისევე აუცილებელია, როგორც ხინკალზე პილპილი.

არჩევნების წინ ხმების მისაღებად ან რაიმე სხვა პოლიტიკური მიზნის მისაღწევად მოსახლეობის ნდობისა და პატივისცემის მოპოვების (თუ მოტყუების?) მრავალი ხერხიდან დღეს ერთ-ერთზე გვექნება საუბარი და რამდენადაა ზნეობრივი ეს მეთოდი, მკითხველმა თვითონ განსაჯოს.

მიმნდობ მოქალაქეებს მათი რჩეული პოლიტიკოსის ვაჟკაცობა უჩქროლებთ განსაკუთრებით გულს, კიდევ უფრო კარგია თუ მათ უსამართლოდ "ჩაგრავს" ან მის ლიკვიდაციას გეგმავს ვინმე (ხელისუფლება, სპეცსამსახურები, კონკურენტები და ა.შ.).

ქართულ პოლიტიკაში უკვე გვყავს "სუპერმენები", რომლებიც უკვე ათას კილერს "დაუძვრნენ" ხელიდან და შხამ-საწამლავსაც ოლიგარქებზე უკეთ იტანენ. მოკლედ არც ტყვია ეკარებათ და არც ბანგი.

ბუნებრივია "თეთრი" პიარაქციები უფრო სასარგებლოა ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად. აქ კი ეფექტური სატელევიზიო კადრი ბევრს ნიშნავს.

თუნდაც ასეთი – პატარა ჯორჯლანდიის მხცოვანი, ჭაღარა პრეზიდენტი (სახელად იყოს თუნდაც "ედუარდ აუფეთქებელი") მაისურის ამარა ზის ტელეკამერების წინ, სახეზე და ხელებზე ნაკაწრები ეტყობა. ირგვლივ ოჯახის წევრები და "კარის ვაზირები" ახვევია. პრეზიდენტი "ბრძნულ" და ამიტომაც ისტორიულ ფრაზას ამბობს: "აფეთქებაც კი არ იციან ამ საცოდავებმა".

სატელევიზიო სპექტაკლის ფარდა იხურება. თუმცა სპექტაკლის მოქმედება კულისებში გრძელდება. ჯორჯლანდიის სპეცსამსახურები "კარგად დაგეგმილი ტერაქტის" გახსნას თამაშ-თამაშ ახერხებენ. "შემსრულებლებით" ივსება საპატიმროების კამერები. ამას რადიკალური საკადრო ცვლილებები მოჰყვება და ჯორჯლანდიის ჩრდილოელი მეზობელი პოზიციას კიდევ უფრო იმყარებს, ხოლო "ერისთვის თავშეწირული" "აუფეთქებელი" მორიგ საპრეზიდენტო ვადას ინაღდებს.

სამი წლის შემდეგ ანალოგიური "ტერაქტი-გაფრთხილება" მეორდება, რომელსაც სამწუხაროდ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურიის ორი ახალგაზრდა თანამშრომლის სიცოცხლე ემსხვერპლა. "აუფეთქებელი" ამჯერად ყოველგვარი ნაკაწრის გარეშე (რას ვიზამთ, წინა შემთხვევის შემდეგ ასაკი მოემატა და დამატებით კასკადიორულ ეფექტებს და სტრესულ სიტუაციებს ალბათ ამიტომაც აარიდა თავი) გამოძვრა (?) იმ გაუბედურებული "მერსედესიდან".

ამ სპექტაკლების სცენარის ავტორი რუსეთი, აშშ თუ თავად შევარდნაძე იყო, მალე გაირკვევა. ერთი კი უკვე ცნობილია – სპეცსამსახურებმა ვინმეს ლიკვიდაცია თუ დაგეგმეს უცილობლად შეასრულებენ.

მაგრამ თუ არავინ ცდილობს პოლიტიკოსს თუ მედიამაგნატს კილერი მიუგზავნოს, მაშინ როგორ უნდა მოახერხონ მათ სენსაციების ცენტრში ყოფნა? როცა კილერი არ ჩანს უნდა მოიყვანო?

ბერეზოვსკი ლონდონში 2000 წლიდან ცხოვრობდა, არც ფული დაიშურა და უმძლავრესი ებრაული ლობიც ჩართო, თუმცა ორი წლის მანძილზე პოლიტიკური თავშესაფარი ვერაფრით მიიღო. ამ დროს კი რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. 2003 წლის შემოდგომაზე, როდესაც მიმნდობი დასავლეთი პრეზიდენტ პუტინში ჯერ კიდევ დემოკრატს ხედავდა, ბერეზოვსკის რუსეთში ექსტრადიციის საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო. იმ წლის სექტემბერში ლონდონის სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა. დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროც ამ აზრს ეთანხმებოდა. რაღაც არორდინალური და სკანდალურ-სენსაციური უნდა მომხდარიყო, რომ მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილიყო და ბერეზოვსკის პოლიტიკური თავშესაფარი მიეღო.

2003 წლის 22 სექტემბერს ბორის ბერეზოვსკის და ბადრი პატარკაციშვილის მეგობრის რუპერტ მერდოკის კუთვნილმა ინგლისურმა გაზეთმა "სანდი თაიმსმა" მორიგი სენსაცია ამცნო მსოფლიოს. ჟურნალისტი დევიდ ლეპარდი (მკითხველს ვთხოვ ეს გვარი დაიმახსოვროს) ამტკიცებდა – რუსეთის სპეცსამსახურები ცდილობდნენ ბერეზოვსკის მოკვლას, კილერების გვარები ცნობილია – ისინი თავად გამოცხადდნენ "სქოთლანდ იარდშიო".

## გულჩვილი "კილერები"

პოტენციური მსხვერპლის განცხადებით თავდასხმა ჯერ კიდევ 2003 წლის 11 სექტემბერს უნდა განხორციელებულიყო რუსი მზვერავების მიერ, რომლებიც "კრემლმა" სპეციალურად ამ მისიით მიავლინა ლონდონში. ინგლისელი ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვის ორმა აგენტმა არალეგალურად ჩაიტანა ძლიერმოქმედი შხამი ლონდონში, რომელიც სანთებელაში იყო მოთავსებული. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ კილერს სასამართლო პროცესის დროს, რომელიც ბერეზოვსკის ექსტრადიციის საკითხს ეხებოდა, რატომღაც შხამი ჯერ სანთებელათი უნდა შეეტანა, ხოლო შენობაში კი ავტოკალამში უნდა გადაესხა. შემდეგ უნდა მიახლოებოდა და შეუმჩნეველად (?) გაეკაწრა ოლიგარქი. მაგრამ თურმე "კილერს" ნერვებმა უმტყუნა, ოლიგარქთან მივიდა და ყველაფერი უამბო.

გაუგებარია ამდენი ხელოვნურად მოგონილი სირთულეები რაში სჭირდებოდათ, როცა შეიძლებოდა "შხამიანი ავტოკალამი" წინასწარ გაემზადებინათ? ან პირადი მცველებით გარშემორტყმულ ოლიგარქთან ახლოს ვინ მიუშვებდა?

## "ფლირტი" რუსეთის სპეცსამსახურებთან?

ბრიტანეთის კონტრდაზვერვამ (მი-5) ამ სენსაციურ პუბლიკაციასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი რატომღაც არ გააკეთა. ერთ-ერთმა თანამშრომელმა, საკუთარი ვინაობის გაუჟღავნებლად, მხოლოდ აღნიშნა, რომ ოლიგარქზე თავდასხმის მომზადების და ჩატარების შესახებ მათთან შესულია ერთი რუსი ეროვნების პიროვნების განცხადება, რომელიც მოწმდება პოლიციის მიერ.

ეს პიროვნება ბერეზოვსკიზე თავდასხმის მომზადებას აღიარებდა და თან თავად პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვდა. ეს იყო და ეს. არც ნივთმტკიცების ამოღების, არც დაპირისპირებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედების შესახებ არაფერი თქმულა.

აუდიო ჩანაწერი, სადაც უცნობი პიროვნება ამტკიცებდა, რომ ის რუსეთის დაზვერვის აგენტია და ლონდონში ბერეზოვსკის მოსაკლავადაა გაგზავნილი, სასწრაფოდ იმ სასამართლოში წარადგინეს, რომელიც ოლიგარქის

რუსეთის გენპროკურატურისთვის გადაცემის საკითხს განიხილავდა. ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით ამ საქმით უშუალოდ ბერეზოვსკის მარჯვენა ხელი ლიტვინენკო_იყო დაკავებული.

ექსტრადიციის სასამართლო პროცესის წინ "კრემლის კილერების" სკანდალი მხსნელად მოევლინა არა მარტო ბერეზოვსკის, არამედ პატარკაციშვილს, ლიტვინენკოს, ზაკაევს, დუბოვს და რუსეთიდან სხვა გაქცეულებს.

ბევრი ფიქრობს, რომ ეს იყო ბერეზოვსკის სცენარით დადგმული სპექტაკლი, რომლის წყალობითაც მან პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.

ლიტვინენკოს გარდაცვალების შემდეგ, 2007 წლის აპრილს "კილერი", რომელიც კვლავ თავისუფლად ცხოვრობს ლონდონში, რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხზე გამოვიდა დაფარული კადრით და ამტკიცებდა, რომ ლიტვინენკო ჯერ კიდევ 2002-2003 წლებში არწმუნებდა მას, რომ განეცხადებინა დიდი ბრიტანეთის შსს-ში, თითქოს ის რუსეთის ეფ-ეს-ბემ გამოგზავნა ბერეზოვსკის, ლიტვინენკოს და დუბოვის მოსკლავად. მისი განცხადებით ოლიგარქის გარემოცვა ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა მასზე, თან დიდ თანხას სთავაზობდა. ხოლო, როცა მან უარი განაცხადა, მაშინ ყავაში ფსიქოტროპული ნივთიერება ჩაუყარეს და ასე ჩაიწერეს მისი "აღიარება". ამ აურზაურში ყველაზე აქტიური მონაწილე ლიტვინენკო ყოფილა.

ბერეზოვსკის ლონდონურმა გამოხმაურებამ არ დააყოვნა. მისი განცხადებით ეს ანონიმი, ვინმე ვიქტორ ტეპლიუკი იყო, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობს და რუსეთის სპეცსამსახურების აგენტია. საინტერესოა, რომ ოლიგარქი არ უარყოფს, რომ მისი ხალხი მრავალჯერ შეხვედრია ტეპლიუკს. თუ იცოდნენ, რომ ის რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი იყო, მაშინ რატომ ხვდებოდნენ მისი წარმომადგენლები სისტემატურად ტეპლიუკს? რა საერთო გეგმებს ადგენდნენ?

"მართვადი ქაოსი" ბერეზოვსკის ყველაზე საყვარელი მდგომარეობაა.

რუსეთის სპეცსამსახურების ოპერატიულ კომბინაციებში ბერეზოვსკი შეგნებულად მონაწილეობს, თუ მისდა უნებურად ასრულებს სატყუარას (მეთევზეები "ნაჟივკას" რომ ეძახიან) ფუნქციებს, ეს შედეგებს დიდად არ ცვლის. ფაქტია, რომ "რუსეთის დემოკრატიის მამამ" სადაც კი "ჩაიარა" ირგვლივ მეგობართა და პარტნიორთა ცხედრები ასვენია. საბედისწერო კანონზომიერება ჩამოყალიბდა - ინტრიგების დიდოსტატი ბერეზოვსკი, რომელსაც ვითომდა რუსეთის ხელისუფლება დაუნდობლად დევნის, ყოველთვის ჯანმრთელადაა და უფრო მდიდრდება, სხვები კი (თუნდაც ლიტვინენკო და პატარკაციშვილი) საეჭვო ვითარებაში იღუპებიან.

უკანასკნელ წლებში მისი განცხადებები და მოქმედებები ყოველთვის პუტინის ხელისუფლების წისქვილზე ასხამდა წყალს.

რუსეთის სპეცსამსახურებს ისედაც იმდენი ცოდვაა აქვთ ჩადენილი, რომ ჩვენგან ახლის დამატება ნამდვილად არ სჭირდებათ. "შხამიანი ავტოკალმით" თავდასხმის მცდელობა არარეალურ დეტექტიურ ისტორიას წააგავს, რომლის მთავარი მიზანი ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიღება იყო.

ბერეზოვსკის ყოველთვის უყვარდა დანის პირზე სიარული და სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან "ფლირტი". სამწუხაროდ ეს ყველა ოლიგარქისთვის დამახასიათებელი თვისებაა.

ოლიგარქებს ხშირად ჰგონიათ, რომ ყველაზე ეშმაკები და ჭკვიანები არიან, ყველას გააცურებენ. ამიტომაც იმდენად რთულ კომბინაციებს "ახუჭუჭებენ" და ისეთ ლაბირინთ-კონსტრუქციებს "ალაგებენ", რომ შემდეგ თავადვე იბნევიან ხოლმე.

## იგეგმებოდა თუ არა თავდასხმა პატარკაციშვილზე?

ლიკვიდაციის რეალური თუ მოგონილი მეორე ისტორიის მთავარი გმირი აწ გარდაცვლილი, ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი იყო. 2007 წლის ბოლოს ლონდონში და თბილისში მოვლენების უსწრაფესი განვითარების გამო, ეს ისტორია ნაკლებად გახდა შესწავლისა და ანალიზის საგანი. თავიდან კი ყველაფერი კვლავ "სანდი თაიმსიდან" და კვლავ დეივიდ ლეპარდის მორიგი სენსაციური სტატიით დაიწყო.

2007 წლის 23 დეკემბერს გამოქვეყნდა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატ ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციის გეგმის გახსნის შესახებ. გაზეთის საიტზე 45 წუთიანი აუდიო ჩანაწერიც განათავსეს, სადაც ორი უცნობი რუსულ ენაზე მედიამაგნატის მოკვლის ოპერაციას გეგმავს. ოლიგარქებზე "მომზადებული" თავდასხმების გახსნაზე "დახელოვნებული" ჟურნალისტი პირდაპირ მიანიშნებს, რომ ერთი მოსაუბრე სისასტიკით ცნობილი ჩეჩენი "ბოევიკი" უვაის ახმადოვი, ხოლო მეორე საქართველოს შსს-ს თანამშრომელია. საუბარი ისე ოსტატურადაა "დალაგებული", რომ მკვლელობის მთავარ შემკვეთად საქართველოს ხელისუფლება, ხოლო "უცოდველ კრავად" რუსეთი გამოჩნდეს. ლეპარდის მტკიცებით "ქართველი" რამდენჯერმე უმეორებს "ჩეჩენს", მკვლელობა ისე უნდა მოეწყოს, რომ ეჭვი რუსეთის სპეცსამსახურებზე აიღონო. საინტერესოა, რომ პატარკაციშვილი-კოდუას საბედისწერო საუბარი, რომელიც რატომღაც ზუსტად "სანდი თაიმსში" სტატიის დაბეჭდვის დღეს შედგა ლონდონში, სწორედ ამ თემით იწყება. მედიამაგნატი არწმუნებდა კოდუას, რომ მისი ლიკვიდაცია "მასტერამ" შეუკვეთა ახმადოვს და რომ "დღეს მთელი მსოფლიო ამაზე საუბრობს". რუსეთთან დაპირისპირებული ჩეჩენი ლიდერები ამ საუბრის ჩაწერის ორგანიზატორად ასევე ლონდონში თავშეფარებულ, ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის გუნდის წევრ აჰმედ ზაკაევს ასახელებენ.

ლეპარდის მტკიცებით პატარკაციშვილის ლიკვიდაციის შესახებ საუბარი ვითომ 2006 წლის ივნისში, სტამბოლის აეროპორტში შედგა და ივი ფარულად თავად ახმადოვმა ჩაიწერა. აუდიოჩანაწერის გარდა ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვა მტკიცებულება წარმოდეგენილი არ იყო. თავად სტატიის გამოქვეყნება მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ასევე "მთავარი მოქმედი პირების" ოდიოზურობა და "მკვლელობის გეგმის" სხვა დილეტანტური დეტალები, სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ ეს იყო ნაჩქარევად მოფიქრებული და შესრულებული პიარაქცია.

# VII. სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები

## საფრანგეთის სპეცსამსახურები

დღეისთვის საფრანგეთის სპეცსამსახურების საერთო შემადგენლობა (ბუნებრივია მხოლოდ შტატის თანამშრომლები) 13 ათასზე მეტია. ისინი სამ სხვადასხვა სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებიან.

I. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედებს სამი დამოუკიდებელი სპეცსამსახური.

ა. "საგარეო უშიშროების გენერალური დირექცია" – შეიქმნა 1982 წელს, როდესაც საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა პირადი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით თავდაცვის მინისტრად 1981 წელს, მისი მეგობარი და თანამოაზრე ჩარლზ ერნუ დანიშნა.

1990-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპის პრესაში გამოქვეყნდა დოკუმენტური მასალები ჩარლზ ერნუს შესახებ. ირკვევა, რომ ერნუ დიდი ხნის მანძილზე იყო კა-გე-ბეს აგენტი და საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა მოსკოვს.

ამჟამად ამ სპეცსამსახურში 5 ათასამდე თანამშრომელია, მ.შ. 3300 სამოქალაქო, ხოლო 1700 სამხედრო პირია. "საიდუმლო ფრანგული იარაღია" ის, რომ თანამშრომელთა 25 % ქალია.

ეს სპეცსამსახური ფორმალურად თავდაცვის მინისტრს, რეალურად კი საფრანგეთის პრეზიდენტს ექვემდებარება. 2002 წლიდან მას ხელმძღვანელობს კადრის დიპლომატი პიერ ბროშანი.

ბ. 1992 წელს შეიქმნა "სამხედრო დაზვერვის სამსახური". ის შემადგელობაში 2000 თანამშრომელია.

ამ სტრუქტურის ძირითადი ამოცანებია:

1. სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო სამეცნიერო–ტექნიკური ინფორმაციის მოპოვება;

2. ინფორმაციის პირველადი დამუშავება და ანალიზი;

3. კონკრეტული რეკომენდაციების მომზადება ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობისათვის;

4. საბრძოლო ოპერაციების წინ ტაქტიკური და სტრატეგიული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და მისი გამოყენება საბრძოლო გეგმაში;

5. მოწინააღმდეგის ზურგში დივერსიების ჩატარება.

გ. "სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახური" – შეიქმნა 1981 წელს, შტატით 1600 თანამშრომელია.

II. ამჟამად საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება სამი სპეცსამსახური, რომელთა ძირითადი ფუნქცია ქვეყნის შიგნით უშიშროების უზრუნველყოფაა. ესენია:

ა. "კონტრდაზვერვის სამსახური" – 1500 საშტატო ერთეულით;

ბ. "გენერალური დაზვერვის სამსახური"- 3200 საშტატო ერთეულით;

გ. "ტერორიზმთან ბრძოლის კოორდინაციის ცენტრი" (შეიქმნა 1984 წელს, შტატი – 30 თანამშრომელი). ამ "ცენტრის" ფუნქციებია: ტერორისტულ საფრთხეებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და რისკების პროგნოზირება.

სამივე სპეცსამსახური ნაციონალური პოლიციის გენერალურ დირექციაშია გაერთიანებული, რომლის ხელმძღვანელადაც სარკოზიმ ერთ-ერთი ყველაზე ერთგული კაცი – პეშენარი დანიშნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სპეცსამსახურების გაკონტროლებით ნიკოლა სარკოზი ცდილობს "პოლიტიკური პოლიცია" პირველ რიგში პოლიტიკური ოპონენტების (გამორიცხული არაა ამ სიაში მისი დღევანდელი მომხრეებიც მოხვდნენ) წინააღმდეგ გამოიყენოს და პრეზიდენტობის ვადა გაიხანგრძლივოს.

III. საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსებთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია "საფინანსო დაზვერვის" სამსახური 650 საშტატო ერთეულით.

IV. "პრეზიდენტის უსაფრთხოების ჯგუფი" –შეიქმნა 1983 წელს პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის გადაწყვეტილებით. პირველი შეფი პოლკოვნიკი ლე კარო იყო. პირადი შემადგენლობა 100 თანამშრომელს შეადგენდა. მთავარი ფუნქცია საფრანგეთის პრეზიდენტის დაცვაა. 1995 წელს, როდესაც ჟაკ შირაკი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა მან მნიშვნელოვნად შეცვალა ამ "ჯგუფის" სტრუქტურა. პირადი შემადგენლობა 52 თანამშრომლამდე შემცირდა, საიდანაც 26 თავდაცვის სამინისტროს ჟანდარმერიის, ხოლო 26 შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერია. ქვეყნის პირველი პირის პირადი დაცვის საშუალო ასაკი 32-35 წელია.

საფრანგეთის სპეცსამსახურები ბოლო დრომდე ურთიერთქიშპობაში კლავდნენ დროს. ალბათ ყველას გახსოვთ ცნობილი ფრანგული კომედია "მაღალი ქერათმიანი მამაკაცის" შესახებ, სადაც მთავარ როლს ფრანგი მსახიობი პიერ რიშარი ასრულებს. რთული ორგანიზაციული სტრუქტურის, ოპერატიულ მუშაობაში მოუქნელობისა და ბიუროკრატიის გამო ამ ფილმში საფრანგეთის სპეცსამსახურებს მწარედ დასცინიან, თუმცა ასეა სინამდვილეშიც.

## საფრანგეთის სპეცსამსახურების დაფინანსება

საფრანგეთის სპეცსამსახურები ძირითადად ბიუჯეტიდან ფინანსდება, თუმცა დაფინანსების მოცულობა საგრძნობლად ჩამოუვარდება აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და რუსეთის სპეცსამსახურებისთვის გამოყოფილ თანხებს.

საბიუჯეტო დაფინანსების პარალელურად საფრანგეთის სპეცსამსახურები სპეციალური საიდუმლო სახელმწიფო ფონდებიდანაც ფინანსდება. უნდა ითქვას, რომ სპეცსამსახურების დასაფინანსებლად და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასამტკიცებლად სპეციალური არასაბიუჯეტო ფონდების გამოყენება მსოფლიოში მიღებული და საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა.

საფრანგეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტიდან გარკვეული თანხა პრემიერ-მინისტრის სპეციალურ ფულად ფონდში ირიცხება. ამ ფონდის მთავარი განმკარგულებელი და თანხების ხარჯვის მიზნობრიობაზე პასუხისმგებელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრია. ფულადი ფონდის მთავარი დანიშნულებაა ფრიად "დელიკატური" სპეციალური ღონისძიებების, მათ შორის სპეცსამსახურების განსაკუთრებით სასწრაფო და საიდუმლო ოპერაციების დაფინანსება. ფონდის მოცულობა ბიუჯეტის მოცულობაზეა დამოკიდებული.

სპეცსამსახურის ხელმძღვანელები მარტო საქართველოში არ უჩივიან დაფინანსების ნაკლებობას, ასეა საფრანგეთშიც. ისინი პრემიერ-მინისტრის სპეცფონდიდან გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვან გაზრდას მოითხოვენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი ჟურნალისტების ანალოგიურად საფრანგეთის მასმედიაც ამ ფონდის საქმიანობის მაქსიმალურ გამჭვირვალეობას მოითხოვს.

ჩვენი აზრით, სპეცსამსახურების ოპერატიული საქმიანობისათვის ასეთი ფონდების არსებობა მართალაც აუცილებელი და მიზანშეწონილია. ხუთი წლის წინ ჩვენს ქვეყანაშიც შეიქმნა „ქართული არმიის განვითარების ფონდი" პოზიტიურმა შედეგმაც არ დააყოვნა – აღარ იყო სირბილი და ხვეწნა ფინანსთა სამინისტროსა და ხაზინაში "თქვენი ჭირიმე სპეცოპერაცია გვივარდება, აგენტურისთვის სასწრაფოდ ფული გვჭირდება, საწვავი გვაკლდება, მივლინებებზე ფული არ გვყოფნის, თანამშრომელს სასწრაფო მკურნალობა სჭირდება და ა.შ."

თუმცა ერთი წლის შემდეგ, 2005 წლის გაზაფხულზე, მავანი ქართველი მაღალჩინოსნების მცდელობითა და შეგნებული მოქმედებებით, ამ ფონდის სრული დისკრედიტირება მოხდა. ჭორი და მართალი ერთმანეთში აირია, რასაც იაფფასიან სენსაციებს გამოკიდებულმა ჟურნალისტებმაც შეუწყეს ხელი. გადაუმოწმებელი ინფორმაციის ბურუსში ჩინოვნიკები და ერთ-ერთი უძველესი პროფესიის წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, საქმე კი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ქართველი ბიზნესმენების

მიერ ნებაყოფლობით თანხების ჩარიცხვა, საგრძნობლად შეფერხდა. წინანდელი საყოველთაო კორუფციის შემდეგ ბევრს ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ რიგით ქართველს მაღალი ხელფასის პირობებში პატიოსნად მუშაობა შეუძლია.

ერთი წლის მანძილზე ამგვარი სპეცფონდების არსებობამ გვიჩვენა რომ, მაქსიმალური კანონიერებისა და გამჭვირვალობის პირობებში ისინი მობილურობასა და ოპერატიულობას სძენენ ჩვენს სპეცსამსახურებს. საზოგადოების მხრიდან კონტროლს კი მხოლოდ უნდა მიესალმონ ჩვენი "ძალოვანი" მინისტრები, რადგანაც ეს მათ ინტერესშიც უნდა იყოს.

## ჩინეთის სპეცსამსახურები

ამ ოცი წლის წინ ჩინეთი მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ათეულშიც კი არ შედიოდა. 2008 წელს ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლით მსოფლიოს მესამე ქვეყანა იყო – აშშ-სა და იაპონიის შემდეგ. ეკონომიკის ექსპერტების აზრით 2050 წლისთვის ჩინეთი ამ მაჩვენებლის მიხედვით უკვე მეორე ქვეყანა იქნება, ხოლო საუკუნის ბოლოს – პირველი.

რაღა შორს წავიდეთ - საქართველოშიც ბოლო 2-3 წელია სოკობიით მომრავლდნენ ჩინური მაღაზიები და ჩინელი ბიზნესმენები. ისინი ჯერ-ჯერობით მცირე (ძირითადად საეჭრო) ბიზნესს ეწვიან მაგრამ მათ შეუპოვარ შრომას, მოკრძალებულ ყოფას და ჩინეთის სახელმწიფოს მხრიდან რეალურ დახმარებას თუ გავითვალისწინებთ, სულ რამდენიმე წელში არაა გამორიცხული, რომ უკვე საქართველოს სტრატეგიულ დარგებშიც დამკვიდრდნენ.

ჩინეთის წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფარული იარაღი მისი სპეცსამსახურებია. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ამ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და ა.შ. მოვლენებში. ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ მათ ჩინეთის საგარეო პოლიტიკაშიც.

## სტალინი ჩინეთის დაზვერვის სათაყვანებლად

საბჭოთა დაზვერვის ისტორიკოსთა შორის გავრცელებულია ვერსია, რომ 1949 წელს სტალინმა მეგობრობის და მოკავშირეობის დასადასტურებლად ჩინეთის ლიდერ მაო ძე დუნს ჩინეთში მოქმედი საბჭოთა აგენტურის სია გადასცა. საინტერესოა რა მიიღო სანაცვლოდ? უპირველესად ჩინეთის ხელისუფლების უსაზღვრო ნდობა.

ამიტომაც ჩინეთის ბელადმა თავისი ქვეყნის სპეცსამსახურების ორგანიზება მოსკოვს მიანდო და 1949 წელს შექმნილი სპეცსამსახურის სტრუქტურა საბჭოთა კა-გე-ბეს ანალოგიური იყო. მოსკოვიდან სპეციალური მისიით მიაელინეს საგარეო და სამხედრო დაზვერვის ექსპერტები, რომლებიც კოორდინაციას უწევდნენ ჩინეთის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სტრუქტურების შექმნას.

## ჩინეთის სპეცსამსახურების სტრუქტურა

ამჟამად ჩინეთის სპეცსამსახურები ძირითადად კვლავ საბჭოთა ყაიდაზე არიან ფორმირებული და სამხედრო დაზვერვისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსგან შედგებიან.

1. სამხედრო დაზვერვის სტრუქტურა ჩინეთის სახალხო განმანთავისუფლებელი არმიის შემადგენლობაშია, სადაც ცალკე ფუნქციონირებს:

აგენტურული დაზვერვა, რეზიდენტურის კოორდინაცია და რადიო-ელექტრონული დაზვერვა.

2. ჩინეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო (ექვემდებარება ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს) ამგვარია:

პირველი ბიურო – ჩინეთის ტერიტორიაზე აგენტურული დაზვერვა;

მეორე ბიურო ოპერაციები საზღვარგარეთ;

მესამე ბიურო ოპერაციები ჰონკონგში, ტაივანზე, მაკაოზე;

მეოთხე ბიურო ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

მეხუთე ბიურო სუს-ს რეგიონული დანაყოფების კოორდინაცია;

მეექვსე ბიურო – კონტრდაზვერვა;

მეშვიდე ბიურო – მოპოვებული სადაზვერვო მასალის ანალიზი;

მერვე ბიურო თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი;

მეცხრე ბიურო – პირადი უშიშროება, არმიის სამხედრო ნაწილებში მოქმედი სპეციალური განყოფილებების (სამხედრო კონტრდაზვერვა) კოორდინაცია;

მეათე ბიურო – სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მოპოვება;

მეთერთმეტე ბიურო – რადიოელექტრონული დაზვერვა და კომპიუტერული უშიშროება;

საგარეო საქმეთა ბიურო – უცხოურ სპეცსამსახურებთან ოფიციალური კონტაქტები;

სინხუა – საინფორმაციო სააგენტო, რომლის საფარქვეშაც ხშირად მოქმედებენ ჩინელი მზვერავები.

## კიბერშეტევები და რადიოელექტრონული დაზვერვა

ჩინეთის ეკონომიკური წინსვლა უპირველესად სპეცსამსახურებისა და შეიარაღებული ძალების ტექნიკურ აღჭურვასა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას დაეტყო.

ჩინეთის სახალხო-განმანთავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად აღიარა, რომ ჩვეულებრივი იარაღის სახეობებით ჩინეთის არმიას არ ძალუძს აშშ-სთან კონკურენცია, ამიტომ 2000 წლის დასაწყისში არმიის მთავარმა შტაბმა შეიმუშავა საინფორმაციო ომის წარმოების სპეცპროგრამა.

კიბერომის პირველი "საცდელი კურდღელი" ტაივანი გახდა. ტაივანელებმა მხოლოდ ახლახან აღიარეს რომ, 1999 წლის აგვისტოდან ჩინელმა ჰაკერებმა ტაივანის სახელმწიფო სტრუქტურების ქსელი 165-ჯერ გატეხეს. ჰაკერების მიზანი იყო შეიარაღებული ძალების, იუსტიციის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს და ნაციონალური ასამბლეის ქსელებში შეღწევა. ამავე დროს ჩინელი ჰაკერების თავდასხმის ობიექტი იაპონური კომპიუტერეული ქსელებიც გახდნენ.

ჩინეთის სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო რადიოელექტრონული დაზვერვაა. 1999 წლის მაისში ჩინეთის და კუბის უშიშროების მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას "თავისუფლების კუნძულზე" ჩინური რადიოდამჭერის და ამერიკულ თანამგზავრებზე თვალთვალის ცენტრის აგების თაობაზე.

საინტერესოა რომ მანამდე კუბაზე ასეთი ცენტრი უკვე იყო – ლურდესში, რომელსაც ექსპლუატაციას უწევდნენ რუსული სპეცსამსახურები.

1999 წელს ჩინეთმა გაუშვა 6 "მზვერავი თანამგზავრი" (ოთხი ფოტოგადამღები და ორი რადიოდამჭერი) აზიის თავზე.

სულ ახლახან კი გაირკვა, რომ ჯერ კიდევ 1994 წელს ჩინეთმა იქირავა სამი კუნძული ბირმისაგან მათზე რადიოელექტრონული დაზვერვის ცენტრების ასაგებად. ისინი ფარავენ ინდოეთის ოკეანეს, ბენგალიის ყურეს და მალაკის სრუტეს.

1995 წელს ამერიკის დაზვერვამ დაადგინა, რომ აზიაში მდებარე ძველ ჩინურ რადიოსალოკაციო ცენტრებს გაუკეთდათ მოდერნიზაცია, გარდა ამისა აღდგენილ იქნა სოპ-ზაუსის ცენტრი ლაოსის მახლობლად, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებდა 60-70-იან წლებში ვიეტნამის ომის დროს.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ჩინეთის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს უახლესი სადაზვერვო ტექნოლოგიების დანერგვას, ვინაიდან ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა თანამგზავრი-შპიონის შესაძენად უფრო იოლია, ვიდრე აგენტის გადაბირება და სახიფათო აგენტურული სადაზვერვო მუშაობის წარმოება.

## სპეცოპერაციების დაგეგმვის ჩინური სპეციფიკა

აშშ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კონტრდაზვერვის ყოფილმა შეფმა პოლ რედმონმა ერთხელ ამერიკაში მორიგი ჩინელი ჯაშუშის დაკავების შემდეგ განაცხადა: "კულტურული დონის გათვალისწინებით, ისინი (იგულისხმებოდა ჩინელები, ბ.ა.) ცხოვრობენ სრულიად სხვა გარემოში და სხვა დროის ჩარჩოებში. ჩინელები აზროვნებენ არა საათების, დღეების და კვირების, არამედ ათწლეულების კატეგორიით. ისინი ძველ ცივილიზაციას წარმოადგენენ და მათ შეუძლიათ დაეგეგმონ მრავალი წლით ადრე". მართლაც ჩინელ აგენტებს შეუძლიათ აუღელვებლად ელოდნენ წლები და ათწლეულები, მანამ სანამ არ დადგება მოქმედებისთვის საუკეთესო დრო და ვითარება.

ამგვარი აზროვნების შედეგად, ოდესღაც აზიის ერთ-ერთმა ყველაზე ჩამორჩენილმა ქვეყანამ მოახერხა ატომური იარაღის შექმნა.

მაო ძე დუნის რეჟიმთან თანამშრომლობის ყველაზე კარგ წლებშიც კი (მით უფრო სტალინის გარდაცვალების შემდეგ), ჩინელები საბჭოთა სამხედროებს დახურული ობიექტების ნახვის ნებას არ აძლევდნენ, ხოლო ჩინური დაზვერვა, აღმოსავლეთევროპელი კოლეგებისაგან განსხვავებით, ცდილობდა ბოლომდე არ დაქვემდებარებოდა საბჭოთა კა-გე-ბეს.

ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფებანი (ცნობილი "ტრიადები") ჩინეთის უშიშროების სამინისტროს "ზედამხედველობის" და მფარველობის ქვეშ არიან.

## საიმედო კონტრდაზვერვა — ჩინეთის საფირმო ნიშანი

ჩინეთის სპეცსამსახურების შესაძლებლობები ყველაზე კარგად კონტრდაზვერვითი ოპერაციების დროს ჩანს. ჩინეთში სადაზვერვო ოპერაციების ჩატარება ყველა ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის ურთულესი ამოცანაა. რადგანაც ჯერ კიდევ კულტურული რევოლუციის დროს ჩინეთის სპეცსამსახურებმა აღადგინეს დასმენის უძველესი სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ ჩინელმა იმპერატორებმა მოიგონეს. მას ეწოდება "უ ში ბაი" ანუ "ხუთეული, ათეული, ასეული". ეს სისტემა გულისხმობს შემდეგ პროცესს: ხუთეულის მეთაური ასმენს თავისი ოჯახის წევრებს, ათეულისა – თავის თანამშრომლებს ან მეზობლებს და ა.შ. ასეთ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია ჩაატარო აგენტურული მუშაობა ჩინეთის შიგნით, რადგან "ინიციატორთა" უზარმაზარი არმია უთვალთვალებს თქვენს ყველა ნაბიჯს.

იქ არ შეიძლება ბავშვების ნდობაც, რადგან ამგვარი "ბრიგადების" მუშაობაში ჩართულნი არიან მოზარდებიც. უფრო იოლია ჩინეთის საზღვრებს გარეთ (რუსეთში, ევროპაში ან აშშ-ში) სასწავლებლად მყოფი ჩინელი

სტუდენტების გადაბირება, თუმცა არავის აქვს იმის გარანტია, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ის თანამშრომლობას გააგრძელებს. ჩინელების უცხოელებისადმი დამოკიდებულება კი ისტორიულად ძალზე ფრთხილია. ისინი მათ არ ენდობიან და უცხოელის ყველა გადაადგილება ქვეყნის ტერიტორიაზე მკაცრ კონტროლზეა აყვანილი.

## ეკონომიკური დაზვერვა – ჩინეთის ყველაზე საიდუმლო იარაღი

1980 წლებში, როდესაც ჩინეთის ლიდერმა დენ სიაო პინმა აირჩია რეფორმების სტრატეგია, მას საფუძვლად დაუდო ფინანსური რესურსებისა და მოწინავე ტექნოლოგიების მოპოვების გლობალური პროგრამა. ეს პროგრამა ითვალისწინებდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრიორიტეტულ დაფინანსებასა და ტექნიკურ გაძლიერებას. ამ გადაწყვეტილების შედეგები დღესაც იგრძნობა.

მაგალითად, დღეს ბევრი თელის, რომ ტუნ ჩენხუა, რომელიც 1996 წელს იყო არჩეული ჰონკონგის სანაოსნო ფირმის "ორიენტ ოვერსიზ ინტერნეიშენლის" ადმინისტრაციის მეთაურად, ჩინეთის სპეცსამსახურის თანამშრომელია და ამ ფირმის "ჭერქვეშ" ჩინური დაზვერვა წარმატებით მოქმედებს 1970-იანი წლებიდან. იმ წლებში სწორედ ჩინეთის დაზვერვამ გადაარჩინა ბანკროტობისაგან შანხაის მკვიდრი ტუნი, მან იზრუნა მისთვის 120 მლნ დოლარის შეღავათიანი კრედიტის მიცემაზე. ამის შედეგად ჰონკონგის ჩინეთის იურისდიქციაში დაბრუნება უფრო გაიოლდა.

ასეთივე საინტერესო ფიგურაა ჰონკონგელი ბიზნესმენი ლი კა შინი. მის საქმიანობას ეძღვნება აშშ-ის დაზვერვის მრავალი ანგარიში. პირველად ლი კა შინმა ამერიკელები 1998 წელს "შეაშინა", როცა ცნობილი გახდა, რომ მას მიზნად აქვს არც მეტი არც ნაკლები პანამის არხზე კონტროლის მოპოვება. 1996 წელს მისმა კომპანიამ "ჰატჩინსონ უამპომ", რომელსაც დღეს "პანამა პორტს კო." ჰქვია, პანამის მთავრობისგან 50 წლიანი არენდით პანამის არხის მთავარი პორტები მიიღო. აშშ-ს ადმინისტრაციამ მაშინვე გამოაცხადა ეს შეთანხმება "უკანონოდ" და "კორუმპირებულ გარიგებად".

რატომ მუშაობს მილიარდელი ლი კა შინი ჩინურ დაზვერვაზე? შეუწყო თუ არა ხელი ჩინეთის ხელმძღვანელებთან პირადმა ნაცნობობამ და მათთან ურთიერთობებმა მის გამდიდრებას? ეს კითხვები ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია.

2000 წელს მეტად საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა. მარტის თვეში ლი კა შინის ვაჟმა, რიჩარდ ლიმ შეიძინა ჰონკონგის სატელეფონო ოპერატორი 38 მლრდ დოლარად. ყველასათვის ცნობილია რომ ასეთი შეთანხმების მიღწევა ჩინეთის მთავრობის თანხმობის გარეშე შეუძლებელია. ამერიკელ

ანალიტიკოსთა შეფასებით, ლი კა შინი და მისი ვაჟი აკონტროლებენ ჰონკონგის საფონდო ბირჟის აქციების 1/3. დასაშვებია, ისიც რომ ლი კა შინის ახლო ურთიერთობები ჩინეთის მთავრობასთან, შეიძლება აიხსნას, ისევე როგორც ტუნ ჩჟიხუას შემთხვევაში - ჩინეთის სპეცსამსახურების მიმართ ვალში ყოფნით.

ექსპერტების აზრით 2020 წლისთვის ეკონომიკური შპიონაჟის მსოფლიო ლიდერი ჩინეთი იქნება, სადაც ეს საქმიანობა "ხელოვნების დონეზა" აყვანილი. ცსს-ს ინფორმაციით ჩინეთში გახსნილია სპეციალური კოლეჯი, სადაც მომავალ "სამრეწველო შპიონებს" ამზადებენ. სტუდენტებს ასწავლიან ეკონომიკური შპიონაჟის თეორიას და შემდეგ სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით აშშ-ში, ინგლისში, იაპონიასა და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში აგზავნიან "პრაქტიკის გასავლელად". ისინიც თავს არ ირცხვენენ. 1990-იანი წლების ბოლოს საყოველთაოდ ცნობილი გახდა ფაქტი, როდესაც ერთ-ერთ ფრანგულ ფოტოფირების მწარმოებელ ფირმაში ექსკურსიისას, ჩინელი სტუდენტები, ჰალსტუხის წვერს ქიმიურ რეაქტივებში ვითომდა შემთხვევით ასველებდნენ, რათა შემდეგ მისი ქიმიური შემადგენლობა დაედგინათ.

## რა იქნება ხვალ ?

ჩინეთის მოსახლეობის ზრდის გამო მრავალი მილიონი ჩინელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობს და, როგორც წესი კონტაქტს აგრძელებს სამშობლოსთან. დღეისათვის ჩინელთა დიასპორის რაოდენობა ამერიკაში 1,5 მლნ ადამიანს აჭარბებს. რუსეთში კი, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში 1 მლნ-ს მიაღწია, ჩინელები აქტიურად სახლდებიან ევროპაშიც.

დიასპორის შიგნით აგენტურის მუშაობა ჩინეთის დაზვერვის ერთ-ერთი დიდი უპირტესობაა. შესაძლებელია ვინმეს ეგონოს, რომ საქართველო ჯერ შორსაა ამ პრობლემებისგან, მაგრამ ამგვარი მიდგომა ნამდვილად მცდარია.

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის "თბილისი შპიონთა ქალაქია", სადაც მრავალი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების გადაკვეთა, მათი სპეცსამსახურების ინტენსიურ საქმიანობაში გამოიხატება, რაც ხშირად საზოგადოებისათვის ფარულად, მძიმე და დაუნდობელ ოპერატიულ დაპირისპირებაში მიმდინარეობს.

დიდი მსტოვრობა ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეებიდანვე დაიწყო- იხსნებოდა სხვადასხვა ქვეყნების საელჩოები, საკონსულოები, ფირმების საავჭრო წარმომადგენლობები ანუ ლეგალური შპიონაჟის ე.წ. "სახურავები". ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურად მოქმედებენ აშშ-ის, რუსეთის, ჩინეთის, ევროპის წამყვანი ქვეყნების, თურქეთის, ისრაელის, აზერბაიჯანის, ირანის და ბევრი სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები.

მათი დაინტერესების ობიექტებია, როგორც საქართველოს, ასევე ერთმანეთის სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალურ-კულტურული და ა.შ. საკითხები.

ამიტომაც ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურებს განსაკუთრებული ყურადღება და სიფხიზლე მართებთ.

## ჩინური ფაქტორი რეალური საფრთხე

ძნელია არ დაეთანხმო პოლიტოლოგების აზრს, რომ თუ XIX საუკუნე დიდი ბრიტანეთის იმპერიის ბატონობის ხანა იყო, XX საუკუნე – ამერიკის შეერთებული შტატების. XXI საუკუნე ჩინეთის ბატონობის პერიოდი იქნება. საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლებით უკვე 2050 წლისთვის ჩინეთი შესძლებს მსოფლიოს ლიდერობის მოპოვებას მთელი რიგი სტრატეგიული მიმართულებებით. ყველას თავისი სატკივარი აქვს, მათ შორის ჩვენც.

საქართველო სტუმართმოყვარე ქვეყანა რომ არის ეს კარგა ხანია ცნობილია. ქართველებს უცხოელებზე გადაყოლა, რომ გვჩვევია ესეც ფაქტია. რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩინეთის მოქალაქეებმა ქართული რეალობა პირველად "დააგემოვნეს". ჩანს მოეწონათ, რადგანაც დროის მცირე მონაკვეთში უამრავი ჩინური მაღაზია და რესტორანი გაიხსნა. უცხოური ინვესტიციების, მათ შორის ჩინურის, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ეს პროცესი ხომ უნდა კონტროლდებოდეს ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მიერ?

ჩინეთს შუა აზიასა და კავკასიაში სერიოზული გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს და აღმოსავლური პედანტურობით და ეშმაკობით ცდილობს მათ განხორციელებას. ჩინეთის სპეცსამსახურებს ამ გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ამ ტენდენციებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩინეთის სპეცსამსახურების გააქტიურების ფაქტებიც ადასტურებს.

ჩინეთის საიდუმლო სამსახურები განსაკუთრებით გულმოდგინედ იმ ქვეყნებში ცდილობენ ოპერატიულ-აგენტურულ შეღწევას და დამკვიდრებას, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებია.

რამდენიმე ხნის წინ ყირგიზეთის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ცნობით მათ დააკავეს ყირგიზეთის პარლამენტის პრეს-სამსახურის თანამშრომელი ქალი ვინმე ჟიპარკულ არიკოვა და ჩინეთის მოქალაქე. გავრცელებული ინფორმაციით ეს ქალბატონი რამდენიმე წლის წინ "შოპ-ტურით" ყოფილა ჩინეთში და ვარაუდობენ რომ იქ "დააverბოვკეს". ჩვენზე

გაჭირვებულ ყირგიზეთში სამასიოდე დოლარი ნამდვილად არ აწყენდა მარტოხელა ქალბატონს, რომელიც ხუთი წლის ბავშვს ზრდის.

ერთი შეხედვით რა საიდუმლო ინფორმაცია უნდა იყოს დაფარული ამ ქვეყანაში, რომელიც "ფერადი" რევოლუციის შემდეგ ზომაზე მეტადაც "გაიხსნა"?

თუმცა არ უნდა ავჩქარდეთ. ყირგიზეთში განლაგებულია ამერიკელების სამხედრო ბაზა "განსი", რომლის დახურვაზე და ამ რეგიონიდან ამერიკელების საბოლოოდ გაძევებაზე რუსეთის და ჩინეთის სპეცსამსახურები დიდი მონდომებით მუშაობენ.

უზბეკეთში სამხედრო ბაზის დახურვის შემდეგ ყირგიზეთია ამერიკელების ერთადერთი დასაყრდენი ავღანეთის მისადგომებთან. ამიტომ აშშ-ის დაზვერვაც მაქსიმალურად ცდილობს კონტროპერაციების განხორციელებას. სავსებით შესაძლებელია "ჩინეთის აგენტი" ქალბატონის დაკავებაც ამ გეგმის ნაწილი იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ "შანხაის ორგანიზაციის" წევრი ქვეყნები, უპირველესად კი რუსეთი და ჩინეთი, დიდად მონდომებულნი არიან, რომ ეს სამხედრო ბაზა დაიხუროს.

რა დასამალია, რომ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, საქართველოც მკვიდრად ზის ჩინეთის სპეცსამსახურების გეგმებში. თანაც ჩვენს ქვეყანაში მრავლად არიან სხვა ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური წარმომადგენლები. ეს კატეგორია კი ყოველთვის იყო სპეცსამსახურების "მსუყე ლუკმა".

იმ რამდენიმე ათას ჩინელს შორის, რომლებიც ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდნენ და ძირითადად წვრილი ვაჭრობით არიან დაკავებული, შესაძლებელია ჩინეთის სპეცსამსახურების აგენტურაც მრავლად არის. მათი ნამდვილი მიზნების გამოვლენა და შესაძლო კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების აღკვეთა ჩვენი სპეცსამსახურების პირდაპირი მოვალეობაა. როგორ ართმევენ თავს ამ ამოცანას უცნობია, რადგანაც კონკრეტული და სარწმუნო ფაქტები ჯერ-ჯერობით არ არსებობს. იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები უკვე დაინტერესებულნი არიან ამ რეალური საფრთხით და შესაბამის ღონისძიებებსაც ატარებენ.

P.S. ჩინური საფრთხის ერთ-ერთი ნიშანი უკვე გამოჩნდა თბილისის ქუჩებში, სადაც ადგილობრივ "ღამის ტურფებთან" ერთად უკვე ჩინელი მეძავებიც ეძებენ კლიენტებს. ეს კი, მრავალ დაავადებასთან ერთად, ვიწროთვალებიანი ქართველების მომრავლებასაც გამოიწვევს.

## სომხეთის სპეცსამსახურების შექმნის ისტორია

სომხეთის უშიშროების სისტემის განვითარების ისტორია იცვლებოდა მთლიანად ქვეყნის განვითარების ეტაპების პარალელურად. ადრეულ შუა საუკუნეებში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, ამ ქვეყანაში უშიშროების უზრუნველყოფა მინდობილი ჰქონდათ, როგორც ცალკეულ სახელმწიფო მოხელეებს და მათ ქვეშემრდომებს, ასევე მთელ ფეოდალურ საოჯახოებს.

შემდგომ საუკუნეებში, რუსეთის იმპერიაში შესვლამდე, სომხეთი ოსმალეთისა და სპარსეთის მიერ იყო გადანაწილებული და ბუნებრივია დამოუკიდებელი სპეცსამსახური არ გააჩნდა.

სომხეთმა 1918 წლის 28 მაისს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რომელიც მცირე ხნით გაგრძელდა. იმ წლებში ძირითადად სომხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო დაზვერვის განყოფილება აქტიურობდა, რომელიც მოქმედებდა სამხედრო სამინისტროს მთავარი შტაბის სტრუქტურაში.

არქივების თანახმად, ჯერ კიდევ 1918 წლის 13 აგვისტოს სომხეთის მინისტრთა საბჭომ ოცი ათასი ოქროს მანეთი გამოყო სამხედრო დაზვერვის და კონტრდაზვერვითი ოპერაციების ჩასატარებლად. დამოუკიდებელი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მიმართულებებით მუშაობის დაწყების თარიღად კი სომხეთში 8 აგვისტო ითვლება, როდესაც თანამდებობებზე ამ ორგანოების ხელმძღვანელები დაინიშნენ.

სომხეთის სამხედრო კონტრდაზვერვის პირველი ხელმძღვანელი პორუჩიკი არტემ არკადის ძე ოვანესიანი, ხოლო დაზვერვის - პოლკოვნიკი ალექსანდრ კონსტანტინეს ძე შნეური იყვნენ.

1919 წლის სექტემბრიდან 1920 წლის აპრილამდე დაზვერვის განყოფილებას მეთაურობდა კაპიტანი ვაანგ მურადიანი, რომელიც შემდეგში შეცვალა კაპიტანმა ტიგრან დევოიანმა. ეს განყოფილება იმ პერიოდში სომხეთის ძირითადი სპეცსამსახური და სამართალდამცავი სტრუქტურა იყო - მის ფუნქციებს შეადგენდა: დაზვერვა, კონტრდაზვერვა, დანაშაულთან ბრძოლა, გარე თვალთვალი, აგენტურასთან მუშაობა და ა.შ. ეს განყოფილება ცდილობდა საზღვარგარეთ სადაზვერვო მუშაობის წამოწყებას. გეოგრაფიული არეალი უმთავრესად მოიცავდა ამიერკავკასიას, და ჩრდილოეთ კავკასიას. სომხები დაზვერვითი ოპერაციების შესანილბად საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გამოიყენებას ცდილობდნენ. ამისთვის იყო ცდები თბილისსა და ბაქოში სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების საფარქვეშ მზვერავების გაგზავნისა, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო ეს მიზნები მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. სამხედრო სამინისტროს მთავარი შტაბის

სადაზვერვო განყოფილება ეწეოდა საგარეო სადაზვერვო მუშაობას თურქეთსა და ირანში.

სომხეთის სპეცსამსახურების ისტორიის შემდგომი ეტაპი სომხეთში საბჭოთა მმართველობის დამყარების პერიოდიდან იწყება. მას შემდეგ, რაც 1920 წლის 2 დეკემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ამ ქვეყნის უშიშროების სტრუქტურა ჯერ ამიერკავკასიის, შემდეგ კი სსრკ-ს სპეცსამსახურების ნაწილი გახდა.

1920 წლის 6 დეკემბერს სომხეთში რევოლუციური კომიტეტის დეკრეტით იქმნება სომხეთის სსრ-ის საგანგები კომისია ("ჩე-კა"). ამავე დეკრეტის თანახმად, სომხეთის წითელ არმიაში შეიქმნა კონტრევოლუციასთან ბრძოლის სპეციალური განყოფილება. სომხეთის სსრ-ს "ჩე-კა"-ს პირველ ხელმძღვანელად ინიშნება ნიკოლოზ აივაზოვი (აივაზიანი).

1921 წლის 8 იანვარიდან 1924 წლის ბოლომდე მას ხელმძღვანელობს ცნობილი ბოლშევიკი შავარშ ამირხანიანი. 1925 წლის მარტიდან 1930 წლის ოქტომბრამდე სომხეთის სსრ-ს მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში ხელმძღვანელები ხშირად იცვლებოდნენ.

ერთიმეორის მიყოლებით ეს პოსტი ეკავათ: სედრაქ მარქარიანს, აიკ პეტროსიანსა და სედრაქ ოტიანს. ყველა მათგანი 1937-1938 წ.წ. რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ.

დიდი სამამულო ომის დროს სომხეთის უშიშროების სისტემაში მოხდა ზოგიერთი ცვლილება. 1941 წლის თებერვალში სომხეთის სსრ-ს ნკვდ-დან ცალკე გამოიყო უშიშროების სახალხო კომისარიატი, მაგრამ 1941 წლის ივლისში ეს სტრუქტურები ისევ ერთიანდებიან ნკვდ-ში. თუმცა 1943 წლის აპრილს ისინი ისევ გაიყვნენ.

დიდი სამამულო ომის პერიოდში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი გიორგი მარტიროსოვი. 1952 წლის აგვისტოდან 1954 წლის აპრილამდე მარტიროსოვს მეორედ ნიშნავენ ამ თანამდებობაზე.

1945-1947 წლებში ამ თანამდებობას იკავებდა ნიკიტა ხრიმიანი, ხოლო 1947-1952 წ.წ. სერგეი კორხმაზიანი. 1954-72 წწ. სომხეთის კგბ-ს მეთაურობდა გიორგი ბადამიანცი. 1972-1977 წწ. კი. არკადი როგოზინი.

ამ პერიოდს უკავშირდება საბჭოთა კა-გე-ბეს მიერ ამერიკის სამხედრო დაზვერვის წინააღმდეგ ერევანში ჩატარებული წარმატებული ოპერაცია, რომელშიც სომეხი "ჩეკისტებიც" აქტიურად მონაწილეობდნენ.

## ამერიკის სამხედრო დაზვერვის მარცხი ერევანში

ამ ოპერაციის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ამერიკის სამხედრო დაზვერვამ კი არ გადაიბირა ორი სომეხი ეროვნების მოქალაქე, არამედ თავად გაება საბჭოთა კონტრდაზვერვის მიერ ოსტატურად დაგებულ მახეში.

1970-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვამ ერევანში ერთობლივად ჩაატარეს ოპერაცია და სომხეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მე-7 განყოფილების (გარე თვალთვალი) ოფიცერი გრიგორიანი და "აეროფლოტის" ერევანის განყოფილების თანამშრომელი ვინმე კაპოიანი "გადაიბირეს" და თავის გუნებაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედ მცირერიცხოვან აგენტურას მიათვალეს. თუმცა სულ მალე ეს "წარმატებული" ოპერაცია სრული კრახით დასრულდა.

ველაფერი კი ასე დაიწყო. ამერიკელებს, კერძოდ კი სამხედრო ატაშე პრიჩარდს, კაპოიანმა პირადად გადასცა წერილი, სადაც თანამშრომლობას სთავაზობდა. 1973 წელს ახალი აგენტების გადმოსაბირებლად ერევანში სამხედრო მზვერავი ჯონ უაითჰედი მიავლინეს. ამის შემდეგ "აგენტებთან" კონტაქტი მხოლოდ სამალავების მეშვეობით ხდებოდა. 1975 წელს სამალავიდან ინფორმაციის ამოღების დროს დააკავეს ამერიკელი სამხედრო მზვერავი ედმუნდ კელი. ფაქტია, რომ საბჭოთა კონტრდაზვერვამ თავად დაგეგმა ეს ოპერაცია და ბოლომდე სრულად აკონტროლებდა.

ამის შედეგად გამოაელინეს და ქვეყნიდან გააძევეს მოსკოვში დიპლომატიური საფარის ქვეშ მოქმედი ამერიკელი მზვერავები. დაადგინეს ამერიკის დაზვერვის ინტერესთა სფერო, მათი ოპერატიული მუშაობის მეთოდები და ა.შ. მაშინ სახელმწიფო ჯილდოები და რივგარეშე სამხედრო წოდებები სომეხმა "ჩეკისტებმაც" მიიღეს.

სომხეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს 1977-1978 წლებში მცირე ხნით გრაირ მიხაელიანი ხელმძღვანელობდა.

1978-88 წლებში კი თავმჯდომარის პოსტი მარიუს იუზბაშიანს, ხოლო 1988-1991 წწ. კი ვალერი ბადამიანცს ეკავათ. 1993 წელს იუზბაშიანის საიდუმლოებით მოცული მკვლელობის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

სომხეთის უშიშროების ორგანოების ისტორიის მესამე ეტაპის დასაწყისი 1991 წლის 21 სექტემბერია. მთავრობის შემადგენლობისა და სტრუქტურის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, კგბ-ს სახელი შეუცვალეს და დაარქვეს „ეროვნული უშიშროების სახელმწიფო სამმართველო", რომლის უფროსად დაინიშნა უსიკ არუთუნიანი. (1991 წლიდან 1992 წლის თებერვლამდე). ამ თანამდებობაზე იგი შეცვალეს გენერალ-მაიორმა ვალერი პოგოსიანმა (1992-1993 წწ.) და გენერალ-მაიორ ედუარდ სიმონიანცმა (1993-1994 წწ.).

1995 წელს ამ ორგანოს სახელი შეუცვალეს და ეროვნული უშიშროების სამინისტრო დაარქვეს. მინისტრად დაინიშნა სერჟ აზატის ძე სარქისიანი (სარგსიანი).

მცირე დოსიე: სერჟ სარქისიანი დაიბადა მთიან ყარაბღში 1954 წლის 30 ივნისს. 1971-1976 წწ. სწავლობდა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1975-1979 წწ. მუშაობდა ერევნის ელექტროტექნიკურ ქარხანაში ხარატად.

1979-1988 წწ. მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში კომკავშირულ და პარტიულ პოსტებზეა.

1989-1993 წწ. მთიანი ყარაბაღის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეა.

1993-1995 წწ. სომხეთის თავდაცვის მინისტრია. 1995-1996 წლებში სომხეთის ეროვნული უშიშროების მინისტრია, ხოლო 1996-1999 წლებში სომხეთის შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების მინისტრი. 1999-2000 წლებში სომხეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანია. 2000-2007 წლის აპრილამდე ერთდროულად ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და თავდაცვის მინისტრია. სერჟ სარქისიანს ხშირად უწოდებდნენ სომხეთის "რუხ კარდინალს", რომლის გარეშეც არც ერთი გადაწყვეტილება არ მიიღებოდა.

2007 წლის 4 აპრილიდან 2008 წლის დასაწყისამდე სომხეთის პრემიერ-მინისტრი იყო. 2008 წლის 19 თებერვალს გაიმარჯვა სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებში.

1999 წლის 13 ნოემბერს უშიშროების მინისტრად დაინიშნა კარლოს პეტროსიანი. 2002 წლის 17 დეკემბერს, პრეზიდენტის ბრძანებით ამ სპეცსამსახურს სახელი შეუცვალეს და დაარქვეს ეროვნული უშიშროების სამსახური. ამ ორგანოს 2004 წლის 5 ნოემბრამდე ისევ პეტროსიანი ხელმძღვანელობდა.

მას არასოდეს ჰქონდა შეხება სახელმწიფო უშიშროებასთან. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, ხოლო შემდეგ სომხეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო გამყოფილების უფროსის თანამდებობაზე. სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პეტროსიანი საგამოძიებო განყოფილების უფროსი გახდა, ხოლო როდესაც მილიცია შეაერთეს სახელმწიფო უშიშროებასთან პეტროსიანმა მიიღო ეროვნული უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო განყოფილების უფროსის თანამდებობა.

## სომხეთის სპეცსამსახურების დღევანდელი სტრუქტურა

ამ ქვეყნის სპეცსამსახურების მთავარი თავისებურება ისაა, რომ როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აქაც პიროვნებები სახელმწიფო სტრუქტურებზე მაღლა დგანან. კერძოდ, სომხეთის ძალოვან სტრუქურებს დღეს რეალურად ერთი პიროვნება – პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი აკონტროლებს. ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს ყოფილ პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანს. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ორივე მათგანი სამხრეთ კავკასიაში ყველაზე პრორუსული პოლიტიკოსები არიან და სპეცსამსახურიც კა-გე-ბეს სტრუქტურის მსგავსად მოაწყვეს. ეროვნული უშიშროების სამსახურში შედის: დაზვერვა,

კონტრდაზვერვა, სასაზღვრო ჯარები, პრეზიდენტის პირადი დაცვა, სამთავრობო სპეცკავშირი და მშიფრაციების დანაყოფი.

2004 წლის 8 ნოემბერს ეროვნული უშიშროების სამსახურის დირექტორად გორიკ აკოპიანი დაინიშნა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ამ პოსტს.

მცირე დოსიე: გორიკ გურგენის ძე აკოფიანი.

დაიბადა 1946 წელს, გიუმრიში. დაამთავრა ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგ კი სსრკ-ს კა-გე-ბე-ს უმაღლესი კურსები. 1969 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების სისტემაში, ეკავა სხვადასხვა თანამდებობები თავდაპირველად სომხეთის სსრ-ს კა-გე-ბე-ში, შემდეგ სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო სამმართველოში. 1997-1998 წწ. იყო ეროვნული უშიშროების და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

1999-2002 წწ ეროვნული უშიშროების მინისტრის მოადგილე, ხოლო 2002-2004 წლებში ეროვნული უშიშროების სამსახურის დირექტორის მოადგილეა. სამხედრო წოდება გენერალ-ლეიტენანტი.

## პოლიტიკური ტერორის წლები სომხეთში

ქართველებს გვჩვევია თავზე ქვეშის წაყრა. ამავე დროს ყველა უბედურებისა თუ ცოდვის საკუთარ თავზე დაბრალების დიდი ნიჭიც გვაქვს. საკამათოა არაა ის არეულობა და განუკითხაობა, რაც 1991 წლიდან საქართველოში ხდებოდა, განსაკუთრებით პოლიტიკური მკვლელობების მთელი სერია, რომელთაგან ბევრი ჯერაც ბოლომდე გამოუძიებელია, ნამდვილად დიდი ტრაგედია იყო.

ალბათ ჩვენთან ბევრმა არ იცის, რომ იმავე პერიოდში მსგავსი პოლიტიკური მკვლელობებისა და ტერორის ტალღამ მოიცვა რუსეთი, უკრაინა, სომხეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიც. ამ პროცესებს ერთი მსგავსება ჰქონდათ – მსხვერპლის პიროვნება და თავდასხმის მომზადება-ჩატარება, რომლის შემდეგაც სამხილები არ რჩებოდა, გვაფიქრებინებს, რომ ეს ძალზე ძლიერი სპეცსამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პოლიტიკური მკვლელობები იყო. პოლიტიკოსების, ბიზნესმენების, სპეცსამსახურების მაღალჩინოსნების ლიკვიდაციის მიზანი უფრო გეოპოლიტიკური იყო, ვიდრე უბრალო კრიმინალური გარჩევები. რუსეთი, აშშ, ირანი და თურქეთი გავლენის სფეროების გადანაწილებას ყოველნაირი მეთოდებით ცდილობდნენ.

1993-2002 წლებში სომხეთში მომხდარი ყველაზე გახმაურებული მკვლელობების მოკლე ჩამონათვალიც მართლაც, რომ შთამბეჭდავია.

1993 წლის 21 იელისს დილას ერევნის ერთ-ერთ პარკში გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, ყოფილი საბჭოთა მზვერავი და სომხეთის სუკ-ის ყოფილი შეფი მარიუს იუზბაშიანი ძაღლს ასეირნებდა.

მკვლელობის დროს: მარიუს იუზბაშიანი (1924-1993წწ.) გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა ბათუმში. 1941 წელს საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, სადაც დაამთავრა შინსახკომის სასწავლო დაწესებულება.

1944-1945 წწ. მონაწილეობდა პარტიზანულ ბრძოლებში.

1945-1988 წწ. მსახურობდა სსრკ უშიშროების ორგანოებში. სადაც გაიარა გზა უმცროსი ლეიტენანტიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) უფროსის მოადგილემდე.

1960-1967 წწ. იყო სსრკ სუკ-ის არალეგალური დაზვერვის თანამშრომელი, ხოლო 1967-1970 ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.

1970-1978 წწ. მუშაობდა სხვადასხვა ქვეყნებში.

1978-1988 წწ. იყო სომხეთის სსრ სუკ-ის თავმჯდომარე.

1988 წლიდან პენსიაზე იყო და მოსკოვში ცხოვრობდა.

წყნარად მოსეირნე იუზბაშიანს მოულოდნელად სპორტულ კოსტიუმში ჩაცმული ახალგაზრდა მიუახლოვდა და მაყუჩიანი პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლით მოკლა.

სომეხ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ მკვლელობების უკან "ყარაბაღის კლანი" და პარტია დაშნაკცუტუნი იდგნენ. მათი მტკიცებით იუზბაშიანმა სომხეთის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ამხილა საბჭოთა კა-გე-ბესთან თანამშრომლობაში. საბჭოთა უშიშროების გენერალს ჰქონდა ინფორმაცია სომხეთის პოლიტიკური ძალების მჭიდრო კავშირზე საბჭოთა სპეცსამსახურებთან, რის შესახებაც მან 1992 წელს სომხეთის ერთ-ერთ გაზეთშიც დაწერა.

ამ დოკუმენტების პუბლიკაციაში აქტიურად მონაწილეობდა ერევნის მერი ამბარცუმ გალსტიანი, რომელიც მალევე ასევე კილერის ტყვიის მსხვერპლი გახდა.

საინტერესოა, რომ სიკვდილამდე ორი წლით ადრე, უკვე საკმაოდ ასაკოვან გამოცდილ საბჭოთა მზვერავ იუზბაშიანს მოსკოვში სწორედ გალსტიანმა გადასცა პრეზიდენტ ტერ-პეტროსიანის თხოვნა, შემდეგ ჩამოიყვანა ერევანში და მერიაში მრჩევლის თანამდებობა გამოუძებნა.

ამავე წლებში მოკლეს:

სომხეთის რკინიგზის გენერალური დირექტორი ამბარცუმ კანდილიანი;

სომხეთის გენერალური პროკურორი ენრიკ ხაჩესიანი;

სომხეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი ვარამ ხორხორუნი;

სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გენერალ-მაიორი არცრუნ მასგიანი;

სომხეთის სახელმწიფო ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე ტიგრან ნაგდალიანი.

ამ მკვლელობების უმეტესობა ჯერ კიდევ გაუხსნელია. თუმცა ყველაზე დიდი გამოცანა მაინც 1999 წლის 27 ოქტომბრის ტერაქტი იყო, რომელიც თავისი სისასტიკისა და მოულოდნელი საგამოძიებო შედეგების გამო, დღესაც ბევრ კითხვას ბადებს.

## 1999 წლის 27 ოქტომბრის ტერაქტი

სომხეთის სპეცსამსახურების დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებში მონაწილების დამადასტურებელი გახდა 1999 წლის 27 ოქტომბრის მოვლენები. ამ დღეს შეიარაღებულ ტერორისტთა ჯგუფმა მოახერხა დაუბრკოლებლივ შესვლა რესპუბლიკის ეროვნული კრების შენობაში და მოკლა 8 ადამიანი. მათ შორის სომხეთის პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი, პარლამენტის სპიკერი კარენ დემირჩიანი და ვიცე-სპიკერები რუბენ მიროიანი და იური ბახშიანი.

უცნაურობები დაიწყო ჯერ კიდევ ტერორისტებთან მოლაპარაკების დროს. ტერორისტების დასაჭერად რატომღაც გამოიძახეს ჯგუფი "ალფა" მოსკოვიდან და როდესაც ტერორისტების მეთაური ნაირი უნანიანი დათანხმდა ჩაბარებულიყო პოლიციას, პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანის გადაწყვეტილებით მას ნება დართეს დაეტოვებინა თავისი პისტოლეტი (ამავე დროს ბანდიტს მიღებული ჰქონდა პირადი ხელშეუხებლობის გარანტიები თავად პრეზიდენტისაგან). მალევე დასახელდა ვერსია, რომ უნანიანი უშიშროების აგენტი იყო. სომხეთის შსს-ს კოლონიების განყოფილების ყოფილმა უფროსის უშეგ საგატელიანის განაცხადებით უნანიანი მართლაც იყო დაქირავებული აგენტი და მეტსახელიც კი ჰქონდა. უშიშროების სამინისტრომ ჯერ გაჩუმება არჩია, მერე კი განაცხადეს რომ ისინი მართლაც მუშაობდნენ უნანიანთან, მაგრამ ძირითადათ ადგენდნენ მის თურქულ კონტაქტებს. თვითონ უნანიანი იძლეოდა საწინააღმდეგო ჩვენებებს და ტერაქტის დამკვეთად ასახელებდა ხან პრეზიდენტ ქოჩარიანს და ხან გარდაცვლილ სპიკერს კარენ დემირჩიანს.

თვით ტერაქტიცა და მისი გამოძიებაც სომხეთში და მის გარეთ შეაფასეს, როგორც ამ ქვეყნის სპეცსამსახურების სრული უძლურების გამოხატულება. თუმცა სხვანაირად ფიქრობდა ქვეყნის ხელისუფლება ეროვნული უშიშროების სამინისტროს ტერორიზმის განყოფილების უფროსი ორდენით დაჯილდოვეს. თვით მინისტრმა პეტროსიანმა გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიიღო.

ამ ტერაქტის შემდეგ სომხეთის საგარეო-პოლიტიკური კურსი მხოლოდ რუსეთისკენ მიმართული გახდა.

## სომხეთის სპეცსამსახურების სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი მუშაობა

საიდუმლო არ არის რომ საგარეო პოლოტიკაში სომხეთის მთავარი მოწინააღმდეგეე აზერბაიჯანი და თურქეთია (თუმცა ბოლო დროს ზოგიერთი "ჭკვიანი" სომეხი პოლიტიკისი ამ ქვეყნებს, რატომღაც საქართველოსაც უმატებს). ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დრო და დრო, ხან აზერბაიჯანი, ხანაც სომხეთი აცხადებს მტრის "შპიონის" დაკავებას. ბაქოში მაგალითად საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სომხეთის "შპიონად" მონათლეს აზერბაიჯანის პირველი პრეზიდენტი აიაზ მუთალიბოვი.

2001 წლის ბოლოს აზერბაიჯანის სპეცსამსახურებმა განაცხადეს, რომ გახსნეს შეთქმულება პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის შვილის, ილხამ ალიევის წინააღმდეგ. ამასთანავე მთავარმა ბრალდებულმა აზერბაიჯანელმა სამხედრო პირმა მაგომედ ოჯაგვერდოვმა, რომელიც რამდენიმე წელი სომხეთში ტყვეობაში იმყოფებოდა, სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა რომ სომხეთის სპეცსამსახურებმა აიძულეს იგი ტერაქტში მიეღო მონაწილეობა. ამის საპასუხოდ სომხეთის სპეცსამსახურებმა უარყვეს ეს ბრალდება.

დიდი რეზონანსი გამოიწვია 2002 წლის 26 იანვარს სომხეთის უშიშროების სამინისტროს განცხადებამ იმის შესახებ, რომ მათ დააკავეს სომხეთის მოქალაქე, რომელიც თურქეთის სპეცსამსახურებზე მუშაობდა - აგროვებდა და გადასცემდა სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ ინფორმაციას.

დაკავებული აღმოჩნდა სომხეთში საკმაოდ ცნობილი პიროვნება თარჯიმანი და თურქოლოგი მურად ბოჯოლიანი. 1990-იან წლებში ის მუშაობდა სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც გარკვეული პერიოდის მანძილზე ხელმძღვანელობდა თურქეთის განყოფილებას, სომხურ გაზეთებში აქვეყნებდა თურქული პრესის მიმოხილვას და ხელმძღვანელობდა სომხეთის ნაციონალურ რადიოში თურქულ ენაზე გადაცემების რედაქციას. რაც ყველაზე მეტად საინტერესოა – ბოჯოლიანი რამდენიმე წელი მუშაობდა პრეზიდენტის აპარატში და პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანს პირადი თარჯიმანი იყო.

მისი დაკავება განახორციელა სომხურმა სპეცნაზმა "ალფამ", როგორც ჩანს ბოჯოლიანი ავტობუსით საქართველოში მოემგზავრებოდა. მისი დაკავება მოხდა სასაზღვრო პოსტ ბაგრატაშენში, რის შედეგადაც ბოჯოლიანი სწრაფადვე გადაიყვანეს ერევანში, საგამოძიებო იზოლატორში.

აზერბაიჯანთან და თურქეთთან მრავალწლიანი დაპირისპირების დროს სომხეთის სპეცსამსახურები რუსეთის სპეცსამსახურებთან მჭიდრო კავშირში მოქმედებენ. სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებულია რუსეთის რადიოელექტრონული დაზვერვის დანაყოფები, რომლის მეშვეობითაც რუსეთი მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციას იღებს. 1999 წლიდან დაიწყო სომხეთ-რუსეთის ავიაციის და ჰაერსაწინააღმდეგო ძალების ერთობლივი საბრძოლო წვრთნები.

დღესდღეობით რუსეთის ხელმძღვანელობა ძალზე კმაყოფილია თავიანთი სომეხი კოლეგებით. რატომაც არა? როგორც ირკვევა სომხეთმა თავის თავზე აიღო სომხეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის სასაზღვრო ძალების დაფინანსების თითქმის 60%.

ამ ორი ქვეყნის სპეცსამსახურების ხელმძღვანელების შეხვედრა რეგულარულ ხასიათს ატარებს, და განსაკუთრებით ქოჩარიანის პრეზიდენტობის პერიოდში გაფართოვდა.

სომხეთში ხშირად სტუმრობდნენ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ვლადიმერ რუშაილო, თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, ეფ-ეს-ბეს დირექტორი ნიკოლაი პატრუშევი და სხვანი.

სომხეთი აქტიურად მონაწილეობს დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრის მუშაობაში. ამ ცენტრის ერთობლივი წვრთნები სისტემატურად იმართება სომხეთში, მიმართულია კონკრეტული სადაზვერვო-დივერსიული დავალებების შესასრულებლად და მიზნად ისახავს სომხეთისა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას.

ერთობლივი სწავლების შედეგებით, რომელიც 2006 წლის 26-29 სექტემბერს ჩატარდა სომხეთში (სადაც მონაწილეობას იღებდნენ დსთ-ს ქვეყნების სპეცსამსახურების და უშიშროების ორგანოების დელეგაციები) ძალზე კმაყოფილი იყო დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელი ბორის მილნიკოვი. მან მაღალი შეფასება მისცა ერთობლივი სპეციალური დანიშნულების დანაყოფების ოსტატობას მეცამორის ატომური სადგურზე ტერორისტების განიარაღების და ატომური საფრთხის ნეიტრალიზაციის პროცესში.

2007 წლის ივლისის ბოლოს სევანის ტბის ახლოს მდებარე სასტუმრო "ჰარსნაკერში" გაიმართა სომხეთის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობისა და რუსეთის ეფ-ეს-ბეს დელეგაციას შორის შეხვედრა. რუსეთის 16 კაციან დელეგაციას თავად ამ სპეცსამსახურის დირექტორი პატრუშევი ხელმძღვანელობდა. ორივე მხარე, როგორც ყოველთვის ახლაც შედეგებით კმაყოფილი დარჩა. რუსი გენერლების ამ განწყობას ალბათ სომხური კონიაკიც დიდად შეუწყობდა ხელს.

ერთი კი საკითხავია ამ "ერთობლივ ოსტატობას" როგორ გამოიყენებენ სომხეთის მეზობელი ქვეყნების მიმართ?

რუსეთის სპეცსამსახურები აქტიურად ეხმარებიან სომხეთის ახალ პრეზიდენტ სერჟ სარქისიანის ხელისუფლებას რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ოპოზიციის დისკრედიტირებასა და დაკავებაში. მოსკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში ფინანსური მაქინაციის ბრალდებით დააკავეს სომხეთის ამჟამინდელი ხელისუფლების მრავალი მოწინააღმდეგე (საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ა. არზუმანიანი, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ვ. შიხნიანი და სხვ.) რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ მაღალი თანამდებობები ეკავათ პრეზიდენტ ქოჩარიანის "კარზე".

## სომხეთის სპეცსამსახურების გააქტიურება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს

სომხეთში პოლიტიკური დაძაბულობამ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიაღწია პიკს. ამ პროცესებში სომხეთის სპეცსამსახურები, როგორც ჩანს ძალზე აქტიურად მონაწილეობდნენ.

მაშინ ერევანში გახმაურდა სკანდალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერის ექს-სპიკერ არტურ ბაღდასარიანის საუბარი მაღალჩინოსან ბრიტანელ დიპლომატთან სომხეთის სპეცსამსახურებმა ფარულად ჩაიწერეს. სომხეთში ბრიტანეთის საელჩომ 2007 წლის 26 აპრილს გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია რომ ბრიტანეთის საელჩო ერევანში შეწუხებულია საელჩოს წარმომადგენლისა და ოპოზიციური პარტიის ლიდერს შორის საუბრის მოსმენის და აგრეთვე ამ მოსმენის აუდიოჩანაწერის ფრაგმენტების პუბლიკაციის ფაქტით. ასე, რომ ფარული მოსმენების და ჩანაწერების მეთოდებს სომხეთშიც კარგად იყენებენ.

2007 წლის 21 სექტემბერს, ათი წლის დუმილის შემდეგ სომხეთის პირველი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი ძალზე აქტიურად, ყველასთვის მოულოდნელად პირდაპირ კომპრომატებით ჩაერთო წინასაპრეზიდენტო ბრძოლაში. მან პირველი დარტყმა სერჟ სარქისიანზე განახორციელა, როცა საკმაოდ ორაზროვნად განაცხადა: "1993 წელს სერჟი ქვეყნის თავდაცვის მინისტრად რომ დავნიშნე, ყარაბაბში კი არ იბრძოდა, მოსკოვში იყო გაქცეული და იქ "გულაობდაო". ამით მან მეორე "ყოფილ ყარაბაღელს" რობერტ ქოჩარიანს მიანიშნა,არ დაგავიწყდეს შენც მე ჩამოგიყვანე და გიპატრონეო.

ყოფილი პრეზიდენტის ამ განცხადებამ სომხეთის დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერთა აღშფოთება გამოიწვია – "სერჟი მოსკოვში საგულაოდ კი არ იყო წასული, არამედ იარაღი ჩამოჰქონდაო". ასე დადასტურდა კიდევ ერთხელ რუსეთის პირდაპირი მონაწილეობა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში. 1996 წლიდან დაიწყო ფარული დაპირისპირება უფრო დაბალანსებული საგარო პოლიტიკური კურსის მომხრე მაშინდელ პრეზიდენტ

ტერ-პეტროსიანსა და მნიშვნელოვნად მოძლიერებულ, მკვეთრად "პრორუსულ" ე.წ. "მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის" პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანს (რომელსაც მხარს ძირითადად "ყარაბაღის კლანი" და პარტია დაშნაკცუტუნი უჭერდა) შორის. ტერ-პეტროსიანი მაშინაც და ახლაც სომხეთის უფრო გაწონასწორებული საგარეო პოლიტიკური კურსის და ყარაბაღის პრობლემის უფრო სამართლიანი მოგვარების მომხრეა, ვიდრე მისი ოპონენტი.

ამ ინფორმაციას გულმოდგინედ აანალიზებენ თურქეთის და აზერბაიჯანის სპეცსამსახურები. ისე კი არც საქართველოს სპეცსამსახურებს აწყენდათ ამ ინფორმაციის ანალიზი – რუსული იარაღი, საწვავი და საბრძოლო დანაყოფები მაშინ ხომ საქართველოს ტერიტორიის გავლით ხვდებოდა სომხეთში. თუ რა ძალები ახორციელებდნენ რუსეთის პოლიტიკას საქართველოში ცნობილია, მაგრამ ბოლომდე არ არიან შესწავლილი და გამოვლენილი მათი მემკვიდრეები.

## თურქეთის სპეცსამსახურები

ამ ორიოდე წლის წინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში რამდენიმე თურქ ბიზნესმენთან მომიხდა შეხვედრა. მეგობრულ ვახშამზე, სადაც თურქი ბიზნესმენებიც თამამად და გემრიელად მიირთმევდნენ ცერიან მწვადს და ქართულ ღვინოს, ძალდაუტანებელი საუბარი გაიმართა. ვიღაცამ საბჭოთა კა-გე-ბეს ყოვლისშემძლეობა გაიხსენა. ჩვენი მეზობლები და საქმიანი პარტნიორები აქტიურად ჩაებნენ საუბარში.

მაინტერესებდა რა რეაქცია ექნებოდათ თურქ ბიზნესმენებს და თემა კა-გე-ბეს თურქულ ანალოგზე, არანაკლებ ლეგენდარულ მიტ-ზე გადავიტანე.

უნდა გენახათ თურქების რეაქცია – ფერი დაკარგეს, ენა ჩაუვარდათ და ერთმანეთს შიშით გადახედეს. სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა.

გამართლდა ჩემი ვარაუდი. თურქეთის ერთ-ერთი ძირითადი სპეცსამსახური - "ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაცია" (Milli Istihbarat Teskilati, შემოკლებით – მიტ) ისევე შიშის ზარს სცემს ყველას, როგორც ავადსახსენებელი კა-გე-ბე.

### თურქეთის სპეცსამსახურების შექმნის ისტორია

თურქ-სელჯუკთა სამთავროებში მსტოვრობა და ჯაშუშობა ოდითგან იყო განვითარებული. შუა საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიის შექმნის შემდეგ, განსაკუთრებით სულთან ბეი ქასიმის და დიდი ვეზირის მეპმედ ქიფრელიუს მმართველობის პერიოდში, სამხედრო და საგარეო დაზვერვის, ასევე საშინაო

საიდუმლო პოლიციის ფორმირებას დიდი ყურადღება ექცეოდა. იმპერიების არსებობა და გადარჩენა ძირითადად ხომ სპეცსამსახურებზე, უპირველესად კი საშინაო პოლიტიკური დაზვერვის და კონტრდაზვერვის მუშაობაზეა დამოკიდებული. ასევე იყო ოსმალეთის იმპერიაშიც – ვინც აკონტროლებდა საიდუმლო პოლიციას ის იყო სახელმწიფოს სათავეში. XX-ე საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის უკანასკნელი სულთანის აბდულ ჰამიდ II-ის მმართველობაც იმის გამო დაემხო, რომ მან ხელიდან გაუშვა სპეცსამსახურების მართვის ბერკეტები. 1908 წელს ახალგაზრდა თურქმა სამხედროებმა სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა იმიტომ შეძლეს, რომ სულთანი მათ ფარულ გეგმებს და მოქმედებებს ვერ აკონტროლებდა.

ამ რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო ახალგაზრდა ოფიცერი, თურქეთის სამხედრო დაზვერვის მომავალი ხელმძღვანელი ენვერ ფაშა, რომელმაც ბერლინში სამხედრო ატაშეს პოსტზე ხუთი წლის მოღვაწეობის შემდეგ – 1913 წლის იანვარში ახალი სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო, რის შედეგადაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მოკლეს და ქვეყნის მართვის სადაველები საბოლოოდ ახალგაზრდა ოფიცრებმა ჩაიგდეს ხელში. ენვერ ფაშა სამხედრო მინისტრი და იმავდროულად სამხედრო დაზვერვის შეფი გახდა. მისი თაოსნობით 1914 წლის 5 აგვისტოს შექმნილმა ახალმა სპეცსამსახურმა გააერთიანა სამხედრო და საგარეო დაზვერვა. საიდუმლო პოლიციას ანუ კონტრდაზვერვას შინაგან საქმეთა მინისტრი მეჰმეთ თალათ-ფაშა ხელმძღვანელობდა. მაგრამ მათი ზეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1918 წელს ორივე მინისტრს ქვეყნიდან გაქცევა მოუწიათ. ენვერ ფაშამ ჯერ გერმანიას შეაფარა თავი, შემდეგ კი საბჭოთა რუსეთს მიაშურა და "ბოლშევიკებს" მიეკედლა. რამდენჯერმე შეხვდა ლენინს და რუსეთის ტერიტორიაზე ერთიანი "ბოლშევიკურ-ისლამური კავშირის" სახელმწიფოს შექმნა შესთავაზა. ლენინმა, რომლის ძარღვებში ისლამური სისხლიც ნამდვილად ერია, შეუქო ინიციატივა და კონკრეტული შედეგებისთვის ენვერ ფაშა ბუხარაში, საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად გაგზავნა. თუ რა მოხდა შემდეგ, დღესაც ბურუსითაა მოცული.

ოფიციალური საბჭოთა და რუსული წყაროების ცნობით 1921 წელს ენვერ ფაშა "ბასმაჩების" მხარეზე გადავიდა და წითელარმიელებმა მოკლეს. სხვა ცნობებით კი "პანთურქული იდეის" ერთ-ერთი ავტორი და "ნაცრისფერი მგლების" ორგანიზაციის ხელმძღვანელი „ჩეკას" აგენტებმა, ძერჟინსკის დავალებით მოიცილეს თავიდან.

თურქეთის საიდუმლო პოლიციის ყოფილი შეფის მეჰმეთ თალათ-ფაშას სიცოცხლეც ანალოგიურად დასრულდა, 1921 წელს ბერლინში ის სომეხმა ტერორისტმა ტერელიანმა მოკლა.

თურქეთის სათავეში მუსტაფა ქემალის, იგივე ათა-თურქის მოსვლის შემდეგ ეს ქვეყანა, მაჰმადიანურ სამყაროში ყველაზე განსხვავებულ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზას დაადგა. საერო ხელისუფლება ისლამურ კანონებს მაქსიმალურად გაემიჯნა და ორიენტაცია ევროპასა და

აშშ-ზე აილო. ამ ურთულეს პროცესში გადამწყვეტი სიტყვა შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბსა და სპეცსამსახურებს ეკუთვნოდათ.

მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთის ხელმძღვანელობამ გერმანიას დაუჭირა მხარი, რაც ამ ქვეყნების სადაზვერვო თანამშრომლობაზეც აისახა. თურქეთის ტერიტორიაზე მრავალი საიდუმლო სასწავლო ბაზა მოქმედებდა, სადაც გერმანელი და თურქი ინსტრუქტორები ამზადებდნენ აგენტებს სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების ჩასატარებლად საბჭოთა კავშირის ზურგში, პირველ რიგში კი აზერბაიჯანში, საქართველოში, ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ პროგრამებს თურქი გენერალი ჰუსეინ ერკილეთი ხელმძღვანელობდა.

1941 წლის დასაწყისში ყირიმში ფარულად შეაგზავნეს ორი აგენტი – მიუსტეჰიბ ფაგილი და ედიღე ქემელი. მათი ამოცანა იყო მოეძებნათ და გადაებირებინათ ანტისაბჭოთა და პანთურქული იდეების მიმდევარი საბჭოთა მოქალაქეები, რომლებსაც ომის დაწყების შემდეგ უნდა ჩაეტარებინათ სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციები. სადაზვერვო სფეროში თურქეთ-გერმანიის თანამშრომლობაზე პასუხისმგებლები იყვნენ გენერალი მიუსელ ბაკუ-ფაშა და გერმანიის ელჩი თურქეთში ფონ პაპენი.

თურქეთის დაზვერვის აგენტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია საბჭოთა შეიარაღებული ძალების და სამხედრო საწარმოების შესახებ, მომენტალურად გადაეცემოდა გერმანიის "ვერმახტს". ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობა კონტრდაზვერვის სფეროსაც მოიცავდა.

თურქეთის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მრავალი ოფიცერი მიელინებული იყო ბერლინში, ჰამბურგსა და ვენაში, სადაც გაეცნენ "გესტაპოს" მუშაობის მეთოდებს. ამავე დროს გერმანიის თურქი ეროვნების აგენტები თურქეთის პოლიციის და კონტრდაზვერვის ორგანოებში წამყვან თანამდებობებზე ინიშნებოდნენ. ფონ პაპენმა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, სადაც განლაგებული იყო სხვა ქვეყნების საელჩოები და საკონსულოები, მძლავრი სადაზვერვო ჯგუფი შექმნა, რომელშიც 200-ზე მეტი აგენტი ირიცხებოდა. ისინი ახორციელებდნენ უცხოელი დიპლომატების თვალთვალს, დიპლომატიური ფოსტის მოტაცებას, საიდუმლო სეიფების გახსნას და ა.შ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, "ცივი ომის" პერიოდში თურქეთის, როგორც საბჭოთა კავშირის მეზობლად მდებარე ქვეყნის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა. ამიტომაც გახდა ყოველგვარი სირთულეების გარეშე თურქეთი (საბერძნეთთან ერთად) ნატო-ს წევრი. ამ პერიოდში თურქეთის დაზვერვას ხელმძღვანელობდა ტეფიკ-ბეი. 1949 წელს აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ (ცსს) სტამბულში თავის წარმომადგენლობა გახსნა. ეს იყო ღია მინიშნება თურქეთის ხელისუფლების და სპეცსამსახურების მომავალ სტრატეგიულ კურსზე. თურქეთის, დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის მთავარი სამიზნე საბჭოთა კავშირის სამხრეთი საზღვრები, ყირიმი და შუა

აზიის რესპუბლიკები გახდა. აგენტურულ ოპერაციებში ფართოდ იყვნენ ჩართული აზერბაიჯანული, სომხური და ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები, ასევე ყირიმელი თათრები.

ბევრ მათგანს მიაჩნდა, რომ ამ გზით მტერს (ანუ საბჭოთა კავშირს) მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა და თავის ქვეყნას იმპერიის მარწუხებიდან დაიხსნიდა. თუმცა სტალინის მიერ საბჭოთა კავშირის გარშემო ჩამოშვებული "რკინის ფარდა" ადვილი შესაღწევი არ იყო.

ამერიკულ-თურქული სადაზვერვო ოპერაციები უმეტეს შემთხვევაში მარცხით მთავრდებოდა. 1955 წლის მაისში კა-გე-ბემ თურქეთის დაზვერვის აგენტები: ისმაილოვი, ზეინალოვი და ასლანოვი დააპატიმრა, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით მალევე დახვრიტეს.

## თურქეთის სპეცსამსახურების ფორმირების პროცესი

მას შემდეგ, რაც თურქეთი ნატო-ს წევრი გახდა, განხორციელდა ამ ქვეყნის სპეცსამსახურების დეცენტრალიზაცია. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დაქვემდებარებაში შეიქმნა სამხედრო დაზვერვის სტრუქტურა, საგარეო დაზვერვაზე პასუხისმგებელი გახდა მიტ-ი, ხოლო ეროვნულ ჟანდარმერიას გადაეცა კონტრდაზვერვის, საზღვრის დაცვის და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ფუნქციები. თურქეთის სპეცსამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ევალება. უკანასკნელი 40-50 წელია თურქეთის სპეცსამსახურებს მთავარი ამოცანების (ისლამური რადიკალიზმის, ქურთული სეპარატიზმის, საერთაშორისო ტერორიზმის და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლა) გადაწყვეტა აერთიანებს. საგარეო და სამხედრო დაზვერვა, ჟანდარმერიასთან ერთად ერთობლივად გეგმავს და ახორციელებს სპეცოპერაციებს. თურქეთის სამივე სპეცსამსახურს საკუთარი სპეცრაზმები ჰყავს. საგარეო დაზვერვას (მიტ-ს) – "ყავისფერი ბერეტები", ჟანდარმერიას კი "კომანდოსები". ყველაზე "მდიდარი" მაინც თურქეთის სამხედრო დაზვერვაა, რომელსაც ექვემდებარება: სწრაფი რეაგირების კორპუსი, "სამთო კომანდოსების" ჯგუფები და მებრძოლ-მცურავთა ჯგუფი "დელფინი".

ამ სამეულში "პირველი ვიოლინო" რომ მიტ-ია, არავისთვის არის საიდუმლო, ის განსაკუთრებით ფარული ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციებით გამოირჩევა.

## მიტ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა

ოფიციალურად მიტ-ი 1965 წლის 22 ივლისს შეიქმნა. ამ დღეს თურქეთის პარლამენტმა მიიღო № 644 დადგენილება, რის საფუძველზე ჩამოყალიბდა ეროვნული დაზვერვის ორგანიზაცია, სადაც გაერთიანდა მანამდე არსებული თურქეთის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურები. მიტ-ი იმყოფება ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პირდაპირ დაქვემდებარებაში, ხოლო მის უშუალო ხელმძღვანელობას ეროვნული დაზვერვის ორგანიზაციის მრჩეველი ახორციელებს (ასე ჰქვია ამ სამსახურის ხელმძღვანელის პოსტს), რომელიც იმავდროულად თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრიცაა. მას პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს ქვეყნის პრეზიდენტი.

მიტ-ის სტრუქტურა ძალზე წააგავს საბჭოთა კა-გე-ბეს სტრუქტურას. ისიც ფუნქციონალური და ტერიტორიული ნიშნით აგებული დანაყოფებისგან შედგება. ცენტრალურ აპარატში შედის:

1. საგარეო დაზვერვის მთავარი სამმართველო;
2. საშინაო დაზვერვის მთავარი სამმართველო;
3. ოპერატიული მუშაობისა და ინფორმაციის მოპოვების სამმართველო;
4. ფსიქოლოგიური თავდაცვის მთავარი სამმართველო;
5. ელექტრონული და ტექნიკური დაზვერვის სამმართველო;
6. ინსპექციისა და კონტროლის სამმართველო;
7. ადმინისტრაციული სამმართველო;
8. იურიდიულ მრჩეველთა ჯგუფი;
9. საავიაციო ურუნველყოფის ჯგუფი;
10. შიფრებისა და კავშირგაბმულობის განყოფილება.

მიტ-ის დაქვემდებარებაშია ტერიტორიული სამმართველოები თურქეთის დიდ ქალაქებში (ანკარა, სტამბული, იზმირი, ადანა, დიარბაქირი, ერზრუმი, სივასი, ქონია და სამსუნი) და განყოფილებები შედარებით პატარა ქალაქებში.

ტერიტორიული სამმართველოები ახორციელებენ ერთდროულად რამდენიმე ვილაიეთის (ოლქის) ოპერატიულ მომსახურებას და მათ ცენტრალური აპარატის ანალოგიური ორგანიზაციული სტრუქტურა აქვთ.

მიტ-ის საგარეო დაზვერვის მთავარ სამმართველოს შემდეგი დანაყოფები აქვს: საზღვარგარეთ უცხოეთის სპეცსამსახურებთან ბრძოლის განყოფილება; სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის მოპოვების განყოფილებები; საზღვარგარეთ თურქეთის დიპლომატიური კორპუსის და სხვა წარმომადგენლობების უსაფრთხოების განყოფილება; საგამოძიებო განყოფილება; სასწავლო განყოფილება, ადმინისტრაციული განყოფილება და სადაზვერვო ოპერაციების დაგეგმვის განყოფილება.

საშინაო დაზვერვის (კონტრდაზვერვის) მთავარი სამმართველოს სტრუქტურა ამგვარია:

- სამმართველო "A" – თურქეთის ტერიტორიიდან ახორციელებს სადაზვერვო ოპერაციებს. მისი ძირითადი ფუნქციებია პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ა.შ. ინფორმაციის მოპოვება;

- სამმართველო "B" – ასრულებს კოტრდაზვერვის ფუნქციებს ქვეყნის შიგნით (უცხოეთის აგენტურის გამოვლენა, სტრატეგიული სახელმწიფო ობიექტების დაცვა და სხვ.). მას აგრეთვე ექვემდებარება სპეცოპერაციების განყოფილება;

განყოფილება "C" – ახორციელებს სამხედრო კოტრდაზვერვის ფუნქციებს;

- ქურთთა ეროვნული მოძრაობის შესწავლისა და ოპერატიული დამუშავების განყოფილება – ახორციელებს ქურთთა ორგანიზაციებში აგენტურული შეღწევის ოპერაციებს;

- სახელმწიფო საზღვრის დარღვევებთან ბრძოლის განყოფილება;

- ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილება;

- გარე თვალთვალის განყოფილება.

მრჩეველის კანდიდატურას, რომელსაც პრემიერ-მინისტრი წარადგენს, ჯერ განიხილავს ეროვნული უშიშროების საბჭო და შემდეგ დასამტკიცებლად წარუდგენს ქვეყნის პრეზიდენტს. მიტ-ის ხელმძღვანელს, მის თანაშემწეს (მოადგილეს) და სამმართველოების უფროსებს პირადად თურქეთის პრეზიდენტი ამტკიცებს. ხოლო დანარჩენ საკადრო დანიშვნებს თავად "მრჩეველი" წყვეტავს. მიტ-ის თანამშრომლები სარგებლობენ საკმაოდ დიდი უფლებებით: მათ შეუძლიათ საფარად გამოიყენონ თურქეთის სახელმწიფო სტრუქტურების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კომერციული ფირმების "სახურავები". ქვეყნის შიგნით ისინი, როგორც წესი, მოქმედებენ პოლიციის, ჟანდარმერიის ან არმიის ოფიცრის საფარქვეშ.

1972 წლის მაისიდან მოქმედებს თურქეთის პრემიერ-მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია №00159, რომელიც თურქეთის ყველა მოქალაქეს, რომლებიც საზღვარგარეთ სამუშაოდ არიან მივლინებულნი, ავალდებულებს ითანამშრომლონ თურქეთის დაზვერვასთან.

1984 წლის ნოემბერში თურქეთის პარლამენტმა მიიღო №2937 კანონი, რომლის თანახმადაც საბოლოოდ განისაზღვრა მიტ-ის ძირითადი ფუნქციები. კერძოდ: სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ოპერაციების ჩატარება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ; ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და უსაფრთხოების დაცვა; ქვეყნის სხვა სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინირება; მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისთვის შეჯამებული მოხსენების წარდგენა და სხვ.

საინტერესოა, რომ ოფიციალურად მიტ-ს ეკრძალება დაშანტაჟების გზით აგენტურის გადაბირება. ეს ოპერაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ მორალურ-ფსიქოლოგიური (იდეოლოგიური) და მატერიალური დაინტერესების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს თურქეთის დაზვერვა აგენტურას "აეერბოკებდა" ძირითადად აზერბაიჯანის, ყირიმის, ჩრდილოეთ კავკასიის, ასევე საქართველოს და რუსეთის მუსულმანურ მოსახლეობაში. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა თურქეთის გავლენა კავკასიის და შუა აზიის რესპუბლიკებზე, აგრეთვე რუსეთის მუსულმანურ რეგიონებზე.

## პარტნიორები და მოწინააღმდეგენი

მიტ-ის მთავარი პარტნიორები ამერიკისა და ნატო-ს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები არიან. თანამშრომლობა ბოლო წლებში განსაკუთრებით გაფართოვდა. ვაშინგტონმა ავღანეთის ოპერაციებში თურქეთს განსაკუთრებული როლი მიუჩინა. ჯერ კიდევ 2001 წლის ოქტომბერში 90 თურქი მებრძოლი ავღანეთში გაიგზავნა, სადაც "თალიბების" წინააღმდეგ სპეციოპერაციებში მონაწილეობდნენ. დღეისთვის თურქეთის სპეცსამსახურები აქტიურად არიან ჩაბმულნი ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციებში.

მიტ-ის ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციები მიმართული იყო ავღანეთის საველე მეთაურების "დასამუშავებლად". 1997 წელს ანკარაში თავშესაფარი მიიღო უზბეკური წარმოშობის საველე მეთაურმა აბდულ რაშიდ დუსტუმმა, მას, თურქეთის გარდა, მხარს უჭერდნენ აშშ და უზბეკეთი. ხოლო ირანი, რუსეთი და ინდოეთი სხვა საველე მეთაურების - ბარხანუდინ რაბანის, ახმად-შახ მასუდის და მუსამედ ფახიმას კანდიდატურებს ემხრობოდნენ.

რამდენიმე წლის წინ თურქეთის ხელისუფლებამ საკმაოდ მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა, როდესაც თურქეთის პრეზიდენტმა ნეჯეტ სეზერმა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თეირანში, ირანის ლიდერ მუჰამედ ხატამთან ერთად ხელი მოაწერა სამხედრო სფეროში სპეცსამსახურების არხებით ორმხრივი ურთიერთობის განვითარების მემორანდუმს. ერთ დღის შემდეგ კი, თურქეთის არმიის გენშტაბის უფროსმა ჰუსეინ კივრიკოღლუმ, სირიელ კოლეგა ჰასან თურქმანთან ერთად ხელი მოაწერა ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებას. საკმაოდ კურიოზული სიტუაცია შეიქმნა - რეგიონში აშშ-ის და ისრაელის მთავარმა მოკავშირე თურქეთმა, ხელი მოაწერა სტრატეგიული ხასიათის ორ ხელშეკრულებას – საკუთარი მოკავშირეების მთავარ მოწინააღმდეგეებთან – ირანსა და სირიასთან.

თუმცა ირანის სათავეში ახალი პრეზიდენტის ახმადი ნეჯადის მოსვლის შემდეგ, რომელიც აშშ-ის დაუღალავი ოპონენტია, ეს ხელშეკრულება მხოლოდ

ქაღალდზე დარჩა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თურქეთის გენერალიტეტი, აქედან გამომდინარე მიტ-იც, ტრადიციულად ყოველთვის ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგად გამოდის და მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს ისრაელთან და აშშ-სთან.

ამიტომ თურქეთის სპეცსამსახურების თანამშრომლობა ირანელ და სირიელ კოლეგებთან დიპლომატიურ ეტიკეტს არ გასცილებია.

აბდულა ოჯალანის ადგილსამყოფელის დადგენის და კენიაში მისი დაკავების ოპერაციაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო და ისრაელის "მოსადი".

ჯერ კიდევ 1958 წელს, თურქეთის მიტ-ს, ისრაელის "მოსადსა" და ირანის "სავაკს" შორის დაიდო საიდუმლო შეთანხმება სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლისა და რეგულარი კონსულტაციების შესახებ. ირანში ისლამური რევოლუციის შემდეგ, თურქეთ-ირანის ურთიერთობა საკმაოდ დაიძაბა და მათმა სპეცსამსახურებმა ერთმანეთის წინააღმდეგ მუშაობა გააჩაღეს.

1982 წელს თურქეთისა და ისრაელის სადაზვერვო ორგანიზაციებს შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება – "მოსადი" კისრულობდა თურქეთში საბჭოთა აგენტურის გამოვლენაში დახმარებას, ხოლო სანაცვლოდ მიტ-ი არაბულ ქვეყნებში ისრაელის წინააღმდეგ დაგეგმილი სპეცოპერაციების შესახებ ინფორმაციას გადასცემდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთს და აზერბაიჯანს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობები აქვთ. ამიტომაც მიტ-ის მთავარი პარტნიორი ყოფილ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებს შორის აზერბაიჯანის სამხედრო და პოლიტიკური დაზვერვაა.

1998 წელს თურქეთის ინიციატივით შეიქმნა თურქულენოვანი სახელმწიფოების სპეცსამსახურების საკოორდინაციო ორგანიზაცია. სადაც მონაწილეობენ აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის და თურქეთის დელეგაციები. ხოლო რუსეთის და უკრაინის სპეცსამსახურების წარმომადგენლები ამ შეხვედრებში რამდენჯერმე დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდნენ.

## მიტ-ის სადაზვერვო ოპერაციები ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე

ამჟამად თურქეთის სპეცსამსახურები ჩართულნი არიან ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებში თურქული ფირმების მიერ ინვესტიციების განხორციელების, ბუნებრივი რესურსების და სატრანსპორტო დერეფნების ათვისების - ასევე დიდ საამშენებლო პროექტებში. ამ პროცესების წარმატებით წარმართვისათვის, გავრცელებული შეხედულებით, მიტ-ი ინფორმაციის მოპოვებისა და საპრივატიზაციო კონკურსებში გამარჯვებისათვის ხშირად იყენებს ადგილობრივი

ჩინოვნიკების "მატერიალური დაინტერესების" (უფრო მარტივად – ქრთამის მიცემის) მეთოდს.

მიტ-ის წარმომადგენლები საკმაოდ თავისუფლად მოქმედებენ საქართველოსა და აზერბაიჯანში. მათი ოპერატიული დაინტერესების ობიექტები ისტორიული მოწინააღმდეგეები: რუსეთი, სომხეთი და ირანი არიან. თურქეთის დაზვერვა ცდილობს ასევე მხედველობიდან არ გამორჩეს საქართველოში მცხოვრები ქურთების მოქმედებები და მათი კავშირები.

ამასთან ერთად მიტ-ი აქტიურად აკვირდება და კრებს ინფორმაციას საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში (უპირველესად აფხაზეთში) მიმდინარე პროცესებზე.

შუა აზიის ქვეყნების ტერიტორიაზე თურქეთის დაზვერვის ძირითადი ოპერატიული ამოცანებია: თურქული იდეოლოგიის დანერგვა და ამ ქვეყნების ეკონომიკის სტრატეგიულ დარგებში (ნავთობის, გაზის, ოქროს და სხვ. მოპოვება და ტრანსპორტირება) ინვესტიციების ჩადება.

თურქეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთ ძირითად მოწინააღმდეგედ რუსეთი რჩება. ორი აგრესიული იმპერიის ისტორიული ქიშპობა, "ცივი ომის" დროს მოწინააღმდეგე და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ ბანაკებში ყოფნამ, კიდევ უფრო გააღრმავა.

## მიტ-ი დღეს

მიტ-ის შეფი პირადად ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ემორჩილება. მიტ–ის შტაბ-ბინა ანკარაშია. გაზეთ "მილიეტის" მონაცემებით 1999წ მიტ–ის ბიუჯეტმა შეადგინა 78.5 ტრილიონი ლირა (278 მლნ. დოლ.). რაც წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით 61%-ით ( 48.7 ტრილიონი ლირა ანუ 171 მილ. დოლ.) იყო. მიტ-ს 2007 წლის დასაწყისისთვის ხელმძღვანელობდა გამოცდილი მზვერავი შენკალ ატასაგუნი, რომელიც მანამდე მიტ–ის წარმომადგენელი იყო ლონდონში.

## აბდულა ოჯალანის შეპყრობის ოპერაცია

ბოლო წლებში მიტ-ის ყველაზე წარმატებულ ოპერაციად შეიძლება მივიჩნიოთ ქურთების გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის – აბდულა ოჯალანის შეპყრობა, რომელზეც თურქეთის სპეცსამსახურები 15 წელი ნადირობდნენ.

1984 წლიდან აბდულ ოჯალანი იმყოფებოდა დამასკოში, საიდანაც ხელმძღვანელობდა საბრძოლო მოქმედებებს თურქეთში. შემდგომ წლებში ის

დაუბრკოლებლივ იცვლიდა ქვეყნებსა და ქალაქებს. ხშირად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში. ხოლო საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ რუსეთში, სომხეთში და ბელორუსში.

1998 წლის სექტემბერში თურქეთმა მოსთხოვა სირიას ოჯალანისა და მისი მომხრეების განდევნა საკუთარი ტერიტორიიდან. 9 ოქტომბერს ოჯალანი გაფრინდა დამასკოდან მოსკოვში. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ ოჯალანი ესტუმრა ჩვენს მეზობელ სომხეთს, სადაც ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო. შემდეგ კი დაბრუნდა რუსეთში და მოსკოვთან ახლოს, ოდინცოვოში დასახლდა. რუსეთი ყოველთვის იტყუებოდა და უარყოფდა ოჯალანის იქ ყოფნას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისრაელის სპეცსამსახურებმა დააფიქსირეს ოჯალანის საუბრები თანამგზავრის საშუალებით, თურქეთმა რუსეთს ოჯალანის გაძევება მოსთხოვა. ქურთმა ლიდერმა რუსეთს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. 1998 წლის 12 ნოემბერს ოჯალანი მოსკოვიდან რომში გაემგზავრა. აეროპორტში ის იტალიის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს. სანამ წყდებოდა ქურთი ლიდერის დარჩენა-არდარჩენის საკითხი, ოჯალანი რომთან ახლოს ვილაში ცხოვრობდა. იტალიამ თურქეთთან ურთიერთობების გამწვავების თავიდან არიდების მიზნით ოჯალანს ქვეყნის დატოვება მოსთხოვა, იმ მომენტამდე, სანამ სასამართლო გადაწყვეტდა ოჯალანისთვის პოლიტ-ემიგრანტის სტატუსის მინიჭებას. 1999 წლის 16 იანვარს ოჯალანი გაფრინდა მოსკოვში. ქურთი ლიდერის შემდგომი გადაადგილებები უცნობია. არსებობს ინფორმაცია, რომ იანვრის მიწურულს ოჯალანი მთიან ყარაბაღს ესტუმრა (თუმცა ქურთული და სომხური წყაროები ამას უარყოფენ), შემდეგ კი იყო საბერძნეთში. 29 იანვარს ოჯალანის თვითმფრინავი უნდა დაშვებულიყო როტერდამის აეროპორტში, მაგრამ ჰოლანდიის მთავრობამ დაშვების ნება არ მისცა.

1 თებერვალს ოჯალანის თვითმფრინავი ბელგიის საჰაერო სივრცეში შევიდა, მაგრამ ბელგიურმა ფ-16-მა ის გამოდევნეს. 2 თებერვალს ოჯალანი ათენიდან გაემგზავრა კენიაში, სადაც საბერძნეთის ელჩის სპეციალური მიწვევით იმყოფებოდა და მის რეზიდენციაში 12 დღე დაჰყო. 15 თებერვლის ღამით, კენიის დედაქალაქ ნაირობში ბერძენი ელჩის რეზიდენციაში შეიჭრნენ რამდენიმე ათეული მიტ-ის "ყავისფერი ბერეტები". მათ შეიპყრეს ოჯალანი და წაიყვანეს თურქეთში.

ამის შესახებ მეორე დღეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცოდა. თურქეთის ტელევიზიამ შეწყვიტა ყველა გადაცემა და ეთერში გაუშვა პრემიერ-მინისტრ ბიულენტ ეჯევიტის მიმართვა, რომელმაც აღნიშნა, რომ თურქი მოსახლეობისთვის მიცემული მისი დაპირება შესრულებულია და "დილის 3 საათიდან სეპარარატისტი ოჯალანი ქვეყანაში იმყოფება". შემდეგ პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა "შეიარაღებულ ძალებსა და მიტ-ს წარმატებულად ჩატარებული ოპერაციისთვის.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ოჯალანის შეპყრობა რამდენიმე კვირის განმავლობაში იგეგმებოდა და მის შესახებ მხოლოდ შეიარაღებული ძალების რამდენიმე ოფიცერმა და მიტ-ს ხელმძღვანელობამ იცოდა. შემდგომში ცნობილი გახდა, რომ ეს იყო თურქეთის, აშშ-ის და ისრაელის ერთობლივი ოპერაცია.

დაკითხვის პროცესში ოჯალანმა აღიარა, რომ საბერძნეთი ქურთების მუშათა პარტიას უწევდა ფინანსურ დახმარებას, ხოლო რუსეთის სახელმწიფო სატათბიროს კომიტეტი ეხმარებოდა მას რუსეთში ყოფნის დროს. ოჯალანი გაასამართლეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ამჟამად ის იმყოფება ციხეში, იმრალის კუნძულზე მარმარილოს ზღვაში.

## რუსეთი და თურქეთი – რა მსგავსებაა მათ შორის?

რუსეთის და თურქეთის სპეცსამსახურების დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს და შუა საუკუნეებიდან იწყება. უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე ამ სახელმწიფოებს შორის ბალკანეთზე, კავკასიასა და შავი ზღვის ტერიტორიებზე ბატონობის მოსაპოვებლად ექვსჯერ (1806-1812 წ., 1828-1829 წ., 1853-1856 წ., 1877-1878 წ. და 1914-1918წ.,) გაიმართა სისხლისმღვრელი ომი. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ამ ქვეყნების სპეცსამსახურებიც დაუნდობლად ებრძვიან ურთიერთს.

XX-ე საუკუნის დასაწყისში თურქეთის დაზვერვას მნიშვნელოვანი დასაყრდენი ჰყავდა რუსეთში მცხოვრებ მუსულმანებს შორის. არალეგალური პროთურქული ორგანიზაციები მოქმედებდნენ პეტერბურგში, ყაზანში, უფაში, ირკუტსკში, ტომსკში, ბაქოსა და რუსეთის სხვა ქალაქებში.

რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელების აზრით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული თურქეთი ხარჯავს ძალიან დიდ სახსრებს რუსეთის ტერიტორიაზე თურქული სკოლების და კულტურული ცენტრების მშენებლობაზე.

საინტერესოა, რომ რუსეთის კონტრდაზვერვის (ფე-ეს-ბეს) ინფორმაციით მოსკოვში თურქეთის საელჩოში ტექნიკური პერსონალის ადგილზე სამუშაოდ იღებდნენ ძირითადად აზერბაიჯანელებს, რომლებიც რუსეთის მოქალაქენი იყვნენ. რუსეთში მიტ-ს და სამხედრო დაზვერვას დამოუკიდებელი რეზიდენტურები აქვთ.

ამ რამდენიმე წლის წინ როსტოვში შეჩერებული იყო თურქული კულტურის ცენტრის საქმიანობა. რუსეთის კონტრდაზვერვის მტკიცებით იქ ასწავლიდნენ რადიკალური ისლამური ორგანიზაციის "ნურჯულარის" იდეებს, რომლის მიზანია "დიდი ტურანის" სახელმწიფოს შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც უნდა შევიდეს სამხრეთ რუსეთის რამდენიმე რეგიონი. რუსეთიდან გააძევეს ამ ცენტრის ხელმძღვანელი თურქი ეროვნების ალდირმაზ

ნეჯათი, რომლიც ფე-ეს-ბეს მონაცემებით აგროვებდა ინფორმაციას თურქეთის სპეცსამსახურებისთვის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთის კონტრდაზვერვის განსაკუთრებული აქტიურობა თურქეთის სპეცსამსახურების წინააღმდეგ 1998 წლიდან იწყება, როდესაც "ფსბ"-ს დირექტორად პუტინი დაინიშნა. ამ პერიოდიდან კარდინალურად შეიცვალა სამხრეთ კავკასიაში ფე-ეს-ბეს საქმიანობის პრიორიტეტები და მთავარი ძალები ირანის ისლამური რესპუბლიკის სპეცსამსახურებიდან, "ნატოს" აქტიური წევრი ქვეყნის თურქეთის წინააღმდეგ იქნა მიმართული.

## "ქურთული ფაქტორი"

ადრე საბჭოთა, ამჟამად კი რუსეთის სპეცსამსახურები თურქეთის წინააღმდეგ სისტემატურად იყენებდნენ "ქურთულ ფაქტორს". ჯერ კიდევ 1947 წელს ქურთების შეიარაღებულმა რაზმმა მუსტაფა ბარზანის მეთაურობით ბრძოლებით გაარღვია სსრკ-ირანის საზღვარი და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადმოვიდა.

მცირე დოსიე: მუსტაფა ბარზანი (1903-1979წწ.), გენერალ-მაიორი. დაიბადა ერაყის ჩრდილოეთში, სოფელ ბარზანში. ეკუთვნოდა ქურთთა ტომ " ზიბარის". 1943 წლიდან ერაყელი ქურთების შეიარაღებული მოძრაობის ხელმძღვანელია. 1947-1958 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში. ერაყში დაბრუნების შემდეგ მალევე დაუპირისპირდა პრეზიდენტ აბდელ-ქერიმ კასემს და 1961 წელს საბჭოთა კავშირის დახმარებით ქურთთა სამხედრო აჯანყება დაიწყო, რომელიც 14 წელი გაგრძელდა. ერაყში სადამ ჰუსეინის პროსაბჭოთა რეჟიმის მოსვლის შემდეგ მუსტაფა ბარზანიმ აშშ-ისკენ აიღო ორიენტაცია და 1975 წელს ვაშინგტონში გაემგზავრა, სადაც 1979 წელს გარდაიცვალა.

ბარზანისთან მოსალაპარაკებლად სასწრაფოდ გაფრინდა საბჭოთა დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალ-ლეიტენანტი პავლე სუდოპლატოვი. საბჭოთა სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების ხელმძღვანელი, რომ არ გაშიფრულიყო, ბარზანის, როგორც საკდესის ("ტასს"-ის) გენერალური დირექტორის მოადგილე "მიხეევი" ისე წარუდგა. მუსტაფა ბარზანიმ აღმოსავლური ეშმაკობა გამოიყენა და სტალინის ემისარს კომპლიმენტები არ დააკლო: "უკანასკნელი ასი წელია ქურთებმა 80-ზე მეტი აჯანყება მოვაწყვეთ ირანისა და თურქეთის, ერაყისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. დიდი რუსეთი ყოველთვის დახმარების ხელს გვიწვდიდა და ეხლაც უნდა დაგვეხმაროთო".

სტალინის გადაწყვეტილებით ქურთები უზბეკეთში, ტაშკენტთან ახლოს ერთ-ერთ კოლმეურნეობაში დაასახლეს. ბარზანის მებრძოლებს საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორები ამზადებდნენ და დივერსიებისა და ტერაქტების

მოწყობას ასწავლიდნენ. თავად მუსტაფა ბარზანი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის აკადემიაში ჩარიცხეს და სამ წელში გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიანიჭეს.

სტალინი ქურთების გამოყენებას ახლო აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის წინააღმდეგ აპირებდა და სათანადო პოლიტიკურ ვითარების დადგომას ელოდა. საბჭოთა კავშირის მთავარი მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში იყვნენ განლაგებული, ნავთობით ძირითადად ერაყიდან მარაგდებოდნენ. სტალინი გეგმავდა ქურთი პარტიზანების გამოყენებას, როგორც ერაყის პროდასავლური რეჟიმის დასამხობად და ნავთობსადენებზე დივერსიების განხორციელებაში, ასევე საჭიროების შემთხვევაში თურქეთსა და ირანში "ქურთული ფაქტორის" ამოქმედებაში.

ხუთი წელი ელოდა მუსტაფა ბარზანი აქტიური მოქმედებების დაწყებას და ქურთისტანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შესაქმნელად ბრძოლაში საბჭოთა სამხედრო დახმარების მიღებას. ბოლოს კი პირდაპირ სტალინს მიმართა. 1952 წელს ბარზანი კვლავ სუდოპლატოვმა მოინახულა და კონკრეტული გეგმა გააცნო.

ახლო აღმოსავლეთში საბრძოლო და დივერსიული ოპერაციების ჩასატარებლად ქურთი მებრძოლებისგან სპეციალური ბრიგადა უნდა შექმნილიყო, რომელსაც ფართომასშტაბიანი დივერსიები უნდა ჩაეტარებინა ერაყის, ირანისა და თურქეთის ტერიტორიებზე.

თუმცა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ (1958 წელს) მოახერხეს საბჭოთა სპეცსამსახურებმა ერაყის პროდასავლური პრეზიდენტის ნური საიდის ჩამოგდება და მათთვის სასურველი კასემის რეჟიმის სათავეში მოყვანა. ერთი წლის შემდეგ მუსტაფა ბარზანი და მისი მებრძოლები ერაყში გაისტუმრეს, მაგრამ ქურთებს ახალ ხელისუფლებასთანაც მალევე მოუხდათ შეიარაღებული კონფლიქტი. საბჭოთა კავშირმა კვლავ სეპარატისტების მხარე დაიჭირა. 1961 წელს საბჭოთა კავშირის პოლიტბიურომ საიდუმლო დადგენილება მიიღო "ქურთთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის"-სთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ" საბჭოთა სპეცსამსახურებს (კა-გე-ბეს და გე-ერ-უს) დაევალათ იარაღის და საბრძოლო მასალების ქურთებისთვის გადაცემის ფარული ოპერაციის მომზადება და ჩატარება. საზღვაო გზით იარაღის გადატანას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. კა-გე-ბედან ამ ოპერაციას ახლაგაზრდა კაპიტანი ალექსანდრე კისილიოვი ხელმძღვანელობდა, რომელიც პირადად იცნობდა მუსტაფა ბარზანის. ერაყში სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი დაიწყო, რომელიც თოთხმეტ წელს გაგრძელდა. ბარზანის გარდაცვალების შემდეგ ქურთთა ეროვნულ მოძრაობას სათაურში მისი ვაჟი მასუდი ჩაუდგა, რომელიც ქურთთა პრობლემის პოლიტიკური გზით გადაწყვეტის მომხრე იყო.

საბჭოთა კავშირს მოვლენების მშვიდობიანი განვითარება ხელს არ აძლევდა, ამიტომ 1980-იანი წლების დასაწყისიდან ქურთთა მოძრაობის ეპიცენტრის თურქეთში გადატანას შეუწყო ხელი. ქურთთა ახალი ლიდერი აბდულა ოჯალანი, რომელიც უკიდურესი რადიკალური მეთოდების მომხრე იყო, 1984 წლიდან ხელმძღვანელობდა ქურთთა სამხედრო-პოლიტიკურ გამოსვლებს.

ნახევარი საუკუნეზე მეტი გავიდა მაგრამ რუსეთის პოლიტიკაში "ქურთების საკითხის" მიმართ, თითქმის არაფერი შეცვლილა, ის წარმატებით იყენებს იმ გარემოებას, რომ ამჟამად ქურთების მთავარი მტერი არა ირანი და ერაყი, არამედ თურქეთია.

## თურქეთის და რუსეთის სპეცსამსახურების დაპირისპირების მოკლე ქრონოლოგია

რუსეთი, რომ მხარს უჭერს ქურთი სეპარატისტების მოქმედებებს თურქეთში, საყოველთაოდ ცნობილია. საპასუხოდ, თურქეთის სპეცსამსახურები ფარულად მხარს უჭერდნენ ჩეჩენ სეპარატისტებს როგორც პირველი, ისე მეორე ჩეჩნეთის ომის დროს.

2000 წლის თებერვალში გროზნოსთან დაკავებული იყო თურქი მოქალაქე ალი იემანი, რომელიც რუსეთის ეფ-ეს-ბეს მტკიცებით თურქეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი იყო.

2001 წლის 6 აპრილს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სტავროპოლის მხარის სამმართველოს წარმომადგენელმა ორი თურქი მზვერავის დაკავების შესახებ განაცხადა. შპიონები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ, თითოეულს თავისი ამოცანები და მიზნები ჰქონდათ. ერთ-ერთი დაკავებული – ჰალი მუთლოდაგანი – სტავროპოლში ბულგარეთიდან ჩასულა. ფე-ეს-ბეს მტკიცებით, თავისი ნამდვილი მიზნების დაფარვის მიზნით, მან ტრაპზონში გახსნა ფირმა, სადაც თარჯიმნებად თურქული ენის მცოდნე ყირიმელი თათრები მუშაობდნენ. თვეში ერთხელ მუთლოდაგანი რუსეთს თითქოსდა კომერციული საქმეების მიზნით სტუმრობდა, სინამდვილეში კი თავის აგენტებთან ოპერატიულ კონტაქტს ამყარებდა. მეორე დაკავებულმა – ნესრინ უსლუმ –ანკარის უნივერსიტეტის სლავური ფაკულტეტი, შემდეგ კი სადაზვერვო სკოლა ფრიადებზე დაამთავრა. სტავროპოლში ის 1995 წ. გამოჩნდა, ფირმა "იდილიის" თარჯიმნის სტატუსით.

2001 წლის 19 აპრილს ფე-ეს-ბემ ოფიციალურად გაავრცელა განაცხადება, რომ თურქეთის სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ 1996 წლის იანვარში ტერორისტების მიერ ბორანი "ავრასიის" მგზავრების შეპყრობაში და 2001 წლის მარტში საუდის არაბეთში თვითმფრინავი ტუ-154-ის გატაცებაში.

მათი მტკიცებით ტრაპზონში ბორანის და სტამბულში ავიალაინერის გატაცების ოპერაციები, შესრულების მიხედვით ერთმანეთის მსგავსია. მათი აზრით "ავარსიის" ოპერაციას მიტ-ი ხელმძღვანელობდა. სწორედ მათ უზრუნველყვეს ტერორისტების იარაღით მომარაგება. რუსეთის ამ სპეცსამსახურის მტკიცებით "ავარსიაზე" მიტ-ის რამდენიმე თანამშრომელი იმყოფებოდა. მათ შორის იყო თურქეთის მოქალაქე ერტან ჯუშკუნი, რომელიც დაკავშირებულია თურქეთის დაზვერვასთან. შემდგომში, ჯუშკუნი ამოიცნეს სტამბულში ტუ-154-ის ბორტზე მყოფ ტყვეებს შორისაც.

2001 წლის 3 მაისს, რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის განცხადებით, ჩელიაბინსკიდან გააძევეს თურქეთის მოქალაქეები, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ თურქეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში. მათგან ყველაზე ცნობილმა – ჰამიდ იუკსელმა გაიარა სამსახური მიტ-ის სპეცრაზმის ქვეგანყოფილებაში, იყო ტერორისტული ორგანიზაცია "ნაცრისფერი მგლების" ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ჩელიაბინსკში ოფიციალურად კომერციულ საქმიანობას მისდევდა, ხოლო ფე-უს-ბეს მონაცემებით არალეგალურად ცდილობდა შეეღწია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სტრუქტურებში. "ნაცრისფერი მგელი" ასევე შემჩნეული იყო ჩელიაბინსკის კრიმინალურ დაჯგუფებებთან კონტაქტის დამყარების მცდელობაში.

მათი მონაცემებით ჩელიაბინსკის რეგიონში მოქმედებს რამდენიმე თურქული ფირმა, რომელიც თითქოსდა განათლების ან კულტურულ სფეროში მოღვაწეობს, სინამდვილეში კი ისლამური ექსტრემიზმის იდეებს ავრცელებს.

თავის მხრივ თურქეთის სპეცსამსახურებიც ცდილობენ დააფიქსირონ რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების და ქურთთა ეროვნული მოძრაობის წევრების მჭიდრო კავშირები. 1999 წლის ნოემბერში თურქეთის საინფორმაციო სააგენტო "ანატოლიამ" განაცხადა, რომ თურქეთის სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს ქურთების მუშათა პარტიის "ბოევიკების" ერთ-ერთი მეთაური კემილ ბაიიკი. მას ბრალი დასდეს იმაში, რომ ის რუსეთში და ბელორუსში ცდილობდა თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღის შესყიდვას.

იმ პერიოდში რუსი ჟურნალისტების მიერ იაროსლავლის რეგიონში აღმოჩენილი ქურთი მებრძოლების მომზადების ბანაკების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ სერიოზულად დაძაბა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა.

ამ ორი ქვეყნის სპეცსამსახურების დაპირისპირება, გვინდა თუ არა, საქართველოს საგარეო და საშინაო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზეც ახდენს მნიშვნელოვან გავლენას. ისინი აქტიურად მონაწილებდნენ აფხაზეთსა და პანკისის ხეობაში სულ ცოტა ხნის წინ მიმდინარე მოვლენებში. აფხაზეთის ომის დროს მიტ-ის აგენტურა ბევრჯერ იყო ჩართული საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებში. ერთ-ერთი მათგანის, შამილ ბასაევის თანამებრძოლის, აფხაზი ეროვნების მოჰამედ ტოკჯანის (იგივე ტუჟბას) შესახებ ქვემოთ მოგითხრობთ.

## თურქეთის სპეცსამსახურების ორმაგი თამაში

სამხრეთ კავკასიაში თურქეთის პოლიტიკა ოდითგან ორმაგ სტანდარტებზე იყო და ახლაც არის აგებული. აფხაზეთის ომში თურქეთი ერთი შეხედვით ნეიტრალურ პოზიციაზე იდგა – ის ყოველთვის აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. თუმცა თურქეთის ხელისუფლება მუდმივად თვალს ხუჭავდა თურქეთში მცხოვრებ აფხაზთა დიასპორის აქტიურ მონაწილეობაზე საქართველოს წინააღმდეგ ომში. თურქეთის გემები ამჟამადაც რეგულარულად შედიან აფხაზეთის პორტებში, ხოლო თურქი ბიზნესმენები (უპირველესად აფხაზური წარმოშობის), საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან ყოველგვარი ნებართვების და ლიცენზიების გარეშე, აქტიურად მონაწილეობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე სეპარატისტების მიერ ორგანიზებულ ბიზნეს-პროექტებში. საკამათო არ უნდა იყოს, რომ ეს ყველაფერი აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას ფინანსურად და მორალურად სერიოზულად აძლიერებს.

საინტერესოა, რომ ჩვენთან ხელისუფლება და მასმედია უფრო ხშირად აფიქსირებენ და აკრიტიკებენ რუსეთის ბიზნესმენების და კომპანიების მონაწილეობას სეპარატისტების ბიზნეს-პროექტებში, ხოლო თურქეთის მხარის ანალოგიური მოქმედებები უპასუხოდ რჩება. ამ დროს კი, თურქეთი, როგორც მეზობელი ქვეყანა და ნატო-ს მნიშვნელოვანი წევრი, აღიარებულია საქართველოს ერთ-ერთ სტრატეგიულ პარტნიორად (რაც ნამდვილად ასეა) და მასთან მჭიდრო სამხედრო-ეკონომიკური და პოლიტიკური კონტაქტების გამო საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონში აშკარად დაუბალანსებელია - სახეზეა ურთიერთობების გაუარესება სომხეთთან, ქურთებთან და ნაწილობრივ საბერძნეთთან.

ამიტომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ვალდებულია თურქეთის მხარისგან აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ უფრო აქტიური პოლიტიკური, დიპლომატიური და ეკონომიკური ღონისძიებების გატარება მოითხოვოს. მეგობრობა ხომ ორმხრივი მოძრაობის "ქუჩაა".

თურქეთის სპეცსამსახურები ყოველთვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ ამ ქვეყნის გეოპოლიტიკურ გეგმებში. საგარეო პოლიტიკაში "აღმოსავლური ეშმაკობის" გამოყენების ერთ-ერთი ფუძემდებლები და მიმდევრები, დღესაც ცდილობენ რთული და შორსგამიზნული პოლიტიკური თამაშები დაგეგმონ და განახორციელონ.

თურქები ყოველთვის უარყოფდნენ ჩეჩენი "ბოევიკების" კავშირს მათ სპეცსამსახურებთან, თუმცა 1990-იან წლების მეორე ნახევარში მომხდარი ფაქტები უფრო საწინააღმდეგოზე მეტყველებენ.

1996 წლის 16 იანვარს თურქეთის საზღვაო პორტ ტრაბზონში ცხრა კაციანმა ტერორისტულმა ჯგუფმა, სადაც აფხაზი ეროვნების ბოევიკები ჭარბობდნენ, ვინმე მუჰამედ ტოკჯანის მეთაურობით მძევლად აიყვანა ბორან "ავრასიის" 221 მგზავრი (საიდანაც 88 რუსეთის მოქალაქე იყო) და ეკიპაჟის წევრები.

<u>მცირე დოსიე</u>: მოჰამედ ტოკჯანი (იგივე ტუჟბა, იგივე გაბლია) ეროვნებით აფხაზი, თურქეთის მოქალაქე. სამხედრო სპეციალური მომზადება, როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, თურქეთში გაიარა. ის არის "შეიხ შამილის შვილიშვილების" ბოევიკების ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი. შამილ ბასაევის მხარდამხარ იბრძოდა საქართველოს წინააღმდეგ.

აფხაზეთის ომის დასრულების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ჩეჩნეთის ომებში. რუსეთის სპეცსამსახურების მტკიცებით თურქეთიდან ჩეჩნეთში იარაღის შეტანა ძირითადად მის მიერ ხორციელდებოდა. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

"ავრასია", პანამის დროშით მცურავი ბორანი, დაქირავებული იყო რუსეთის ერთ-ერთი ფირმის მიერ და რუსეთ-თურქეთს შორის ასრულებდა რეგულარულ რეისებს - გადაჰყავდა ტურისტები და გადაჰქონდა ტვირთი.

თურქეთის სამხედრო ძალების ვეტმფრენებისა და საზღვაო ხომალდების "ესკორტის" თანხლებით დატყვევებული ბორანი სტამბოლში ჩაიყვანეს. გზაში კი ტერორისტებმა ჟურნალისტებს უამრავი ინტერვიუ "ჩამოურიგეს". ცოტა გასაკვირი იყო ტერორისტთა ამგვარი თავისუფალი ქცევა. ტერორისტების ძირითადი მოთხოვნა ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების შეწყვეტა და რუსეთის ქალაქ პერვომაისკში ალყაში მოქცეული ჩეჩენი საველე მეთაურის სალმან რადუევის და მისი "ბოევიკების" უპირობო გაშვება იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ბორანის აფეთქებით იმუქრებოდნენ. სამდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ "უცნაური ტერორისტები" თურქეთის ხელისუფლებას ჩაბარდნენ.

იმ დღეებში მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრში "ავრასიაზე" მიმდინარე მოვლენები იყო. ტერორისტებმა რამდენჯერმე ჩაატარეს მძევალთა საჩვენებელი "დახვრეტა", თუმცა ეს უფრო დიდი სპექტაკლის ერთ მიზანსცენას ჰგავდა. ბორანზე კაციც კი არ უცემიათ. დასაჭვებელი იყო თვითონ "ავრასიაზე" დაუბრკოლებლად იარაღით შეჭრის ფაქტიც. ცნობილია, რომ თურქეთში მიტ-ის ნებართვის გარეშე "ჩიტიც კი ვერ დაფრინავს" და ტერორისტთა ასეთი თავისუფალი მოქმედებები თავიდანვე დიდ ეჭვს იწვევდა, რაც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო დაადასტურა. დაკავებული ცხრა ტერორისტიდან შვიდი თურქეთის მოქალაქე აღმოჩნდა (მათგან მინიმუმ ოთხი ეროვნებით აფხაზი იყო), ხოლო ორი კი რუსეთის მოქალაქე, ეროვნებით ჩეჩენი.

1997 წლის მარტში სტამბოლის სასამართლომ ტოკჯანს ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, დანარჩენებს კი 7-8 წელი აკმარეს, მათ შორის იყო ერტან ჯუშკუნიც, თურქეთის მოქალაქე, ეთნიკური აფხაზი. მის შესახებ ბევრი არაა ცნობილი.

<u>მცირე დოსიე</u>: ერტან ჯუშკუნი დაიბადა 1960 წელს. აფხაზური გვარი – აცუკბა. აფხაზეთის ომის ვეტერანი. შამილ ბასაევის რაზმის აქტიური წევრი. გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

1997 წლის ოქტომბერში ტოკჯანი, სამ სხვა ტერორისტთან ერთად, თურქეთის ყველაზე საიმედოდ დაცული "იმრალის" ციხიდან გაიქცა. საინტერესოა, რომ კუნძულზე მდებარე ამ საპყრობილეში, რომელიც 11 კმ-ითაა დაშორებული მატერიკს, მოთავსებულია აბდულა ოჯალანიც, თუმცა საეჭვოა, რომ ის ოდესმე იქიდან გაიქცეს.

განგაში ტოკჯანის გაქცევიდან მხოლოდ 10 სთ-ის შემდეგ გამოცხადდა, მაშინ როცა ის უკვე მიუწვდომელი იყო. დღემდე უცნობია თუ ვისი დახმარებით და როგორ მოახერხეს ტერორისტებმა გაქცევა. დანარჩენი ხუთი ტერორისტიც მალევე შეიწყალეს – მათმა მოქმედებებმა თურქეთს არანაირი ზიანი არ მიაყენაო.

1999 წლის აპრილში ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში დააკავეს მუჰამედ ტოკჯანი, რომელიც კოსოვოში ალბანეთის მხარეზე საბრძოლველად გამგზავრებას აპირებდა. თურქეთში იძულებით დაბრუნებული ტოკჯანი, სტამბოლის ციხეში დიდხანს არ ყოფილა. 2000 წლის დეკემბერში ამნისტიის საფუძველზე ის გაათავისუფლეს.

2001 წლის 15 მარტს სამი ჩეჩენი ტერორისტი შეიჭრა სტამბოლი-მოსკოვის რეისის ტუ-154 თვითმფრინავში და მგზავრები მძევლად აიყვანა. ისინი თვითმფრინავის აფეთქებით იმუქრებოდნენ, თუ რუსეთი არ შეწყვეტდა სამხედრო ოპერაციებს და არ გამოიყვანდა ჯარს ჩეჩნეთიდან. ტერორისტების მოთხოვნით ეკიპაჟმა კურსი საუდის არაბეთის ქალაქ მედინასკენ აიღო. ადგილობრივი სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად რუსი ბორტგამცილებელი იულია ფომინა და ერთი ტერორისტი დაიღუპნენ. მგზავრები სწრაფადვე დააბრუნეს სტამბოლში, როგორც შემდგომ გაირკვა მათ შორის იმყოფებოდა ერტან ჯუშკუნიც, რომელიც ფარულად ხელმძღვანელობდა ტერორისტებს. საინტერესოა, რომ მისი გვარი მგზავრებს შორის ოფიციალურად არ იყო დაფიქსირებული.

ერთი თვის შემდეგ, 2001 წლის 23 აპრილს, უკვე მოჰამედ ტოკჯანმა "გამოიჩინა" თავი. მისი მეთაურობით ათამდე შეიარაღებული ტერორისტი შეიჭრა სტამბოლის ხუთვარსკვლავიან ოტელ "სვისოტელში" და ტურისტები, ძირითადად ეროვნებით რუსები, მძევლად აიყვანა.

მოთხოვნები აქაც ანალოგიური იყო – ჩეჩნეთიდან რუსეთის ფედერალური ჯარების გამოყვანა. მეორე დღეს ტერორისტები თურქეთის

ხელისუფლებას ჩაბარდნენ. ერთი თვის შემდეგ გამართულ სასამართლო პროცესზე ტოკჯანმა განაცხადა, რომ მძევლები ჰყავდა რათა თავი დაეღწია რუსეთის სპეცსამსახურების აგენტების დევნისგან. ტერორისტებს ძალზე მცირე სასჯელები არგუნეს და მალევე ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს.

პუტინის პრეზიდენტად გახდომის შემდეგ თურქეთის სპეცსამსახურების მოქმედება რუსეთში ფე-ეს-ის განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი და ამის გამო მნიშვნელოვნად შესუსტდა. თვითმფრინავის გატაცების შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურებმა მტკივნეული დარტყმები მიაყენეს თურქეთის დაზვერვას. რუსეთიდან გაძევებული იყო თურქეთის 30-მდე მოქალაქე, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ თურქეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში.

## "შინ გამოზრდილი" ტერორისტები

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ეროხელ შიში დაძლია და რუსეთს პირდაპირ მიახალა – რასაც აფხაზეთში აკეთებთ, როცა სეპარატისტებს ეხმარებით, თქვენვე დაგიბრუნდებათ ჩრდილო კავკასიაშიო. ორმაგი სტანდარტები დამახასიათებელია, როგორც თურქეთის ასევე, რუსეთის სპეცსამსახურებისთვისაც.

რუსეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებული ჟურნალისტის, ამჟამად კი რუსეთის სათათბიროს დეპუტატის ალექსანდრე ჰინშტეინის მტკიცებით ტოკჯანს, ჯუშკუნს და სხვებს თურქეთის მიტ-ი აფინანსებდა და ეხმარებოდა. მისი ინფორმაციით, რომელიც ხშირად ფე-ეს-ეს კაბინეტებში შექმნილის შთაბეჭდილებას ტოვებს, ჩეჩნეთის ომების დროს თურქეთში მომზადება გაიარა და საქართველოს გავლით ჩეჩნეთში ჩავიდა 3-5 ათასი "ბოევიკი".

გარდა ამისა "სამხრეებიანი ჟურნალისტი" ამტკიცებს, რომ მიტ-ის ძირითადი დასაყრდენი ტერორისტული ორგანიზაცია "რუხი მგლებია", განსაკუთრებით ტერაქტების მოწყობისა და ლიკვიდაციის ოპერაციების ჩატარების დროსო.

2001 წლის 19 აპრილს რუსეთის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ "ავარსიის" ოპერაციას ხელმძღვანელობდა თურქეთის მიტ-ის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, სპეცნაზის მომზადების ცენტრი "სილივრის" ხელმძღვანელი ერგიუნ კილიჩასანი. სწორედ მან უზრუნველყო ტერორისტების მიერ გემის იარაღით მომარაგება. "ავარსიაზე" მიტ-ის სხვა თანამშრომელიც, სახელად შიუკრიუ იმყოფებოდა. ფე-ეს-ეს მონაცემებით "ავარსიის" შეჭრის მომენტში გემზე თურქეთის მოქალაქე ერტან ჯუშკუნი იმყოფებოდა, რომელიც დაკავშირებულია თურქეთის დაზვერვასთან. შემდგომში, ჯუშკუნი ამოიცნეს სტამბულში ტუ-154-ის ბორტზე მყოფ ტყვეებს შორის.

შამილ ბასაევმა, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურების "გამოზრდილი" იყო, შემდეგ გარკვეული პრობლემები შეუქმნა თავის "პატრონებს", იგივე

მოხდა სალმან რადუევისა და სხვა ჩეჩენი საველე მეთაურების შემთხვევაშიც. რუსეთის სპეცსამსახურებმა ისინი გამოიყენეს, შემდეგ კი თავადვე მოიცილეს. ფაქტია, რომ ამ კატეგორიის სპეცკონტიგენტი, რაღაც ეტაპზე გამოდის საერთო გეგმიდან და კონტროლს აღარ ექვემდებარება.

ანალოგიურად მოქმედებენ თურქეთის სპეცსამსახურებიც. ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციების დასასუსტებლად ისინი უარს არ ამბობდნენ სეპარატისტების დახმარებაზე, მათ შორის ჩეჩენი და აფხაზი "ბოევიკების" მომზადებასა და იარაღით მომარაგებაზე. ეს "ბოევიკები" ჯერ აფხაზეთში იბრძოდნენ, შემდეგ ჩეჩნეთში, ბოლოს კი ევროპისკენაც დაიძრნენ.

დასასრულს კი ჩვენ მხოლოდ ფაქტების კონსტატირებას მოვახდენთ, დასკვნები კი თავად მკითხველმა გააკეთოს:

1. დადასტურებული ფაქტია, რომ ტოკჯანი, ჯუშკუნი, გიცბა და სხვები აფხაზეთის ომში რუსეთის საქმეს აკეთებდნენ. ისინი შამილ ბასაევის "ჩეჩნური რაზმის" ყველაზე სასტიკი წევრები იყვნენ. ისიც უდავოა, რომ "კავკასიის ხალხთა კონფედერაციის" და ბასაევის უკან რუსეთის სპეცსამსახურები, კერძოდ კი გე-რე-უ იდგა;

2. აფხაზეთის ომის შემდეგ იგივე პიროვნებები, უკვე თურქეთის სპეცსამსახურების "დროშის" ქვეშ აღმოჩნდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერალური ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში.

აქ ერთი გარემოებაა განსაკუთრებით საინტერესო, ისინი 1992-1993 წლებშივე იყვნენ გადაბირებული მიტ-ის მიერ, თუ შემდეგ მოხდა მათი "დავერბოვკება"?

საკარაუდოა, რომ აფხაზეთის ომის შემდეგ ტოკჯანმა და ჯუშკუნმა რამდენჯერმე გადაკვეთეს საქართველოს საზღვარი, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი სპეცსამსახურების უძლურებას უნდა მივაწეროთ, ის რომ ისინი მაშინ დაუსჯელნი დარჩნენ.

## მკვლელობა გუდაუთაში

2007 წლის 17 აგვისტოს გუდაუთაში ავტომატის ჯერით დაცხრილეს ჰამზათ გიცბა, იგივე "როკი", აფხაზეთის მუსულმანთა ლიდერი. "ჩეჩნური ბატალიონის" წევრი, ბორან "ავრასიაზე" "თავდასხმის" ერთ-ერთი მონაწილე.

გიცბა ის-ის იყო სახლიდან გამოვიდა, რომ მის წინ "კრაისლერის" მარკის ავტომობილი გაჩერდა და ვიღაც ნიღბიანმა ავტომატით ცეცხლი გაუხსნა. "როკი" ადგილზევე გარდაიცვალა. ერთის საათის შემდეგ გუდაუთასთან

ახლოს იპოვეს ნახევრად დამწვარი "კრაისლერი". გიცბა აფხაზეთის ვაჰაბისტთა ლიდერი იყო. მისი ბიძაშვილი შამილ ბასაევის ერთ-ერთი ცოლი იყო. გავრცელებული ვერსიით გიცბა ვაჰაბისტური იდეების გამო მოიცილეს რუსეთის სპეცსამსახურებმა. თუმცა სავარაუდოა მიზეზი ისიც იყო, რომ ბოლო წლებში "როკი" რამდენჯერმე ფარულად იმყოფებოდა თურქეთში, სადაც მიტ-ს შესაძლოა მისი გადაბირების მცდელობა ჰქონდა, რის გამოც "გე-რე-უმ" მის ერთგულებაში ეჭვი შეიტანა და თავიდან მოიცილა.

# IX. სპეცსამსახურების მოზაიკა

## "პარალელური" სპეცსამსახურები

პარალელიზმი და დუბლირება ყოველთვის არასასურველ მოვლენად აღიქმებოდა. თუმცა ეს საყოველთაო ჭეშმარიტება ნაკლებად ეხება სპეცსამსახურების საქმიანობას, რადგანაც დადასტურებულია, რომ ინფორმაციის მოპოვების მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პარალელური წყაროა მაღალხარისხოვანი საბოლოო ანალიზის და მოქმედების გეგმის შედგენის გარანტია.

განვლილი პერიოდი გვიჩვენებს, რომ კერძო სტრუქტურები (სპეცსამსახურების ვეტერანთა კავშირები და ფონდები, დეტექტიური ფირმები და ა.შ.) გაცილებით ოპერატიული და მოქნილი არიან, ვიდრე სახელმწიფოს ოფიციალური სპეცსამსახურები. თანაც, მათი სადაზვერვო მოქმედების გამჟღავნების შემთხვევაში, სკანდალი სახელმწიფო სტრუქტურას კი არა, მხოლოდ კერძო სამართლის სუბიექტს შეეხება და თავიდან იქნება აცილებული საერთაშორისო გართულებები.

## სრულიად საიდუმლო ინსტრუქცია

რუსეთის პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ოთარ კვანტრიშვილის, ივანე კიველიდის, ვლად ლისტევის, დიმა ხოლოდოვის, ანა პოლიტკოვსკაიას, ალექსანდრე ლიტვინენკოს და კიდევ მრავალი პოლიტიკოსის თუ ჟურნალისტის მკვლელობა სწორედ "პარალელური სპეცსამსახურების" ორგანიზებული იყო. ცნობილი რუსი ჟურნალისტი და ლიბერალი პოლიტიკოსი იური შჩეკოჩიხინი წლების მანძილზე იკვლევდა ამ საკითხებს, როცა მოულოდნელად 2003 წლის 3 ივლისს მოსკოვში საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. ყველა ეს დანაშაული დღესაც გაუხსნელია, რაც სპეცსამსახურების ხელწერაზე აშკარად მიგვანიშნებს.

რუსეთის პრესაში 2002 წელს გამოქვეყნდა ძალზე საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ფარდას ხდის წინა წლებში მომხდარი ბევრი პოლიტიკური მკვლელობის ორგანიზაციულ მხარეს. რუსი ჟურნალისტების აზრით, ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ფედერაციის მთავრობის ვიცე-პრემიერმა იური სკოკოვმა, რომელიც ძალოვან სტრუქტურებს კურირებდა, სპეცსამსახურების პარალელური, ფარულად მოქმედი საბრძოლო-ოპერატიული დანაყოფების შექმნის განკარგულება გასცა. სრულიად საიდუმლო სამთავრობო გადაწყვეტილების შემდეგ შემუშავდა ასევე საიდუმლო ინსტრუქცია, რომლის ზოგიერთ ნაწილს ქვემოთ წარმოგიდგენთ.

ამ დოკუმენტში ყველაზე საინტერესო ის ფაქტია, რომ ფარული სადაზვერვო და ოპერატიულ-საბრძოლო დანაყოფების შექმნა დასაბუთებული იყო "კეთილშობილური მიზნებით", კერძოდ კი, რუსეთში მოქმედი კრიმინალური ბანდების, "ჩრდილოვანი ეკონომიკის" და კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის აუცილებლობით. ამ მიზნებისთვის სახელმწიფო და კომერციულ სტრუქტურებში (სბაჟო და სგადასახადო ორგანოებში, ბანკებში, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში და ა.შ.) უნდა შეეგზავნათ და "ჩაენერგვათ" სპეცსამსახურების ფარული თანამშრომლები – "ღრმა დაშინჯვრის ოფიცრები", რომლებიც ამ ორგანიზაციებში შექმნიდნენ ფართო აგენტურულ ქსელს. ამავე დროს, ამ ფარულ სტრუქტურებს უფლება ჰქონდათ ფიზიკურად გაენადგურებინათ ბანდფორმირებების ლიდერები და რუსეთის ფედერალური ხელისუფლების ყველა მოწინააღმდეგე, მათ შორის უცხო ქვეყნების სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფები. ამგვარი "პარალელური" სპეცსამსახურები უნდა შექმნილიყო რუსეთის რეგიონებში და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. რუსი ექსპერტების ინფორმაციით ამჟამად რუსეთის ტერიტორიაზე 10-ზე მეტი ამგვარი ორგანიზაცია მოქმედებს. ამდენივეა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ეს ფარულად მოქმედი სტრუქტურები, როგორც წესი ათასნაირ უწყინარ სახელს არიან ამოფარებულნი. ყველაზე ხშირად ისინი ოფიციალურ საფარად იყენებენ კერძო დეტექტიური და დაცვის ფირმებს, ვეტერანთა ასოციაციებსა და სოციალურ-კულტურულ ფონდებს. თუმცა რუსეთის სპეცსამსახურების ოფიციალურ სტრუქტურებს შეფარებული "სიკვდილის ბრიგადები" განსაკუთრებით საშიშნი არიან.

## „შურისმაძიებელთა" დანაყოფები რუსეთის სპეცსამსახურებში

ჯერ კიდევ 13-14 წლის წინ რუსეთის ეფ-ეს-ბეს სტრუქტურაში შეიქმნა "დანაშაულებრივი ორგანიზაციების დამუშავების სამმართველო" (შემოკლებით – "დოდს"), რომლის უფროსად დაინიშნა გენერალი ევგენი ხოხოლკოვი.

*მცირე დოსიე: გენერალ-მაიორი ევგენი გრიგორის ძე ხოხოლკოვი დაიბადა 1950 წელს. 1978 წლიდან უზბეკეთის უშიშროების ორგანოებში მსახურობდა. 1983-1989 წლებში ხელმძღვანელობდა ცნობილი "უზბეკური საქმის" საგამოძიებო-ოპერატიულ ჯგუფს. 1991 წელს უზბეკეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, პროტესტის ნიშნად გადავიდა მოსკოვში ეფ-ეს-ბეში სამუშაოდ. მონაწილეობდა ჩეჩნეთის ომებში. 1996 წლის ზაფხულში ახლად შექმნილი "დოდს"-ის უფროსად დაინიშნა. 1998 წლის ივლისში "ლიტვინენკოს*

*სკანდალის" შემდეგ ეს სამმართველო ვითომ გაუქმდა, სინამდვილეში ეფ-ეს-ბეს ახალი დირექტორის ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილებით ახალი დასახელებით და ძველი მიზნებით შენარჩუნდა.*

*შემდეგ წლებში ხოხოლკოვი მუშაობდა რუსეთის საბაჟო და საგადასახადო სისტემებში – "მოქმედი რეზერვის ოფიცრის" საფარქვეშ.*

"დოდს"-ის შტატში 150 ოფიცერი იყო. ეს სამმართველო ერთგვარი "მინისპეცსამსახური" იყო – საკუთარი თვალთვალისა და ფარული მოსმენების, დადგენისა და დაკავების ჯგუფებით, სპეცრაზმით, რადიოელექტრონული დაზვერვის დანაყოფით და ა.შ. დადგენილია, რომ სწორედ ეს სამმართველო ახდენდა რუსეთის ხელისუფლებისთვის (ან მისი რომელიმე კლანისთვის) მიუღებელი ბიზნესმენის, პოლიტიკოსის და ჟურნალისტის ფიზიკური ლიკვიდაციის დაგეგმვას. მკვლელობას თავად ასრულებდნენ ან კილერს უკვეთავდნენ.

წლების მანძილზე ამ სამმართველოში მუშაობდა პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ლიტვინენკო, რომელმაც 1998 წლის შემოდგომაზე ხუთ კოლეგასთან ერთად სენსაციური პრესკონფერენცია მოაწყო მოსკოვში და ყოველივე ამის შესახებ ღიად ისაუბრა.

ამის შემდეგ მასზე რუსეთის სპეცსამსახურებმა "ნადირობის სეზონი" გახსნილად გამოაცხადეს.

## ლიტვინენკო "ვეტერანების" მსხვერპლი გახდა?

ცნობილია, რომ ალექსანდრე ლიტვინენკო რადიოაქტიური ნივთიერება "პოლონიუმ-210"-ით მოწამლეს 2006 წლის 1 ნოემბერს ლონდონში, რის შედეგად 23 ნოემბერს გარდაიცვალა. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ დიდი ბრიტანეთის სამართალდამცავმა სტრუქტურებმა ეჭვი თავიდანვე რუსეთში რეგისტრირებული და საკმაოდ აქტიურად მოქმედი სპეცსამსახურების ვეტერანთა ორგანიზაცია – "პატიოსნება და ღირსება"-ზე მიიტანეს, რომელსაც კა-გე-ბეს გადამდგარი(?) პოლკოვნიკი ვალენტინ ველიჩკო ხელმძღვანელობს. ლიტვინენკოს მოწამვლის პერიოდში ლონდონში იმყოფებოდა ერთ-ერთი "ვეტერანი", 46 წლის იგორ ვლასოვი, რომელიც მუდმივად იტალიაში ცხოვრობს და ბევრ საეჭვო საქმეში იყო მანამდეც შემჩნეული.

2003 წლის 16 აპრილს შეიქმნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სპეცსამსახურების ვეტერანების არაკომერციული საქველმოქმედო ფონდი "პატიოსნება და ღირსება", რომლის პრეზიდენტად ზემოდხსენებული ვალენტინ ველიჩკო, რომელიც მანამდე "საგარეო დაზვერვის ვეტერანთა" ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, აირჩიეს, უფრო სწორედ კი დანიშნეს.

საინტერესოა, რომ საბჭოთა საგარეო დაზვერვის ოფიცერი ვალენტინ ველიჩკო საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა შპიონაჟის სამყაროში. ის 1980-იანი წლების შუა პერიოდში ვლადიმერ პუტინთან ერთად "შპიონობდა" გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. შემდეგ კი ჰოლანდიაში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტის მოადგილე იყო, საიდანაც 1989 წელს გამოაძევეს. ცნობისათვის საბჭოთა ელჩად ჰოლანდიაში იმ წლებში ალექსანდრე ჩიკვაძე, დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი, მსახურობდა.

უცხოეთის მასმედიის ინფორმაციით (მაგ. ბრიტანული "დეილი ტელეგრაფი", "ნიუს ოფ დი უორლდ", გერმანული "ტაგესცაიტუნგი" და სხვ.) ამ ორგანიზაციის მიერ შედგენილია "რუსი ხალხის მტრების" სია, რომლებიც ლიკვიდირებულნი უნდა იქნენ. მათ შორის იყვნენ ლიტვინენკო და ანა პოლიტკოვსკაიაც.

რუსეთის სპეცსამსახურების ოფიციალურ სტრუქტურებს შეფარებული "სიკვდილის ბრიგადები", "ვეტერანები", "პატრიოტები" მონაწილეობდნენ სამაჩაბლოს, აფხაზეთისა და დნეპრისპირეთის ბრძოლებში, ბუნებრივია სეპარატისტების მხარეზე. მათ ერთი აქვთ საერთო: ისინი ყოფილი სპეცნაზელები და სპეცსამსახურების ყოფილი ან მოქმედი თანამშრომლები არიან, რომლებმაც "ზომბირება" ვერ კიდევ საბჭოთა სპეცსამსახურებში გაიარეს.

## "პარალელური სპეცსამსახურები" რუსეთში

რუსეთში "პარალელური სპეცსამსახურები" მთელი ძალით 1990-იანი წლების დასაწყისიდან ამოქმედდნენ. დიდ ქალაქებში და რეგიონებში იქმნებოდა ფარული სტრუქტურები, რომლებიც მოქმედი ან თადარიგში გასული ოფიცრებისა და სპეცრაზმების ყოფილი მებრძოლებისგან კომპლექტდებოდა.

ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული "პარალელური სპეცსამსახური", "ძმები ლარიონოვების ბანდის" სახელწოდებით ვლადივოსტოკში მოქმედებდა. მათ მოახდინეს მთელი რიგი "კანონიერი ქურდების" და "ავტორიტეტების" ლიკვიდაცია. რუსეთის გენპროკურატურა გამოძიების პროცესში მართლაც საოცარ ფაქტებს წააწყდა – ამ ბანდის წევრები ყოფილი მედესანტეები და სპეცრაზმელები იყვნენ, რომელთაც უმკაცრესი სამხედრო დისციპლინა და წესრიგი ჰქონდათ დამყარებული. უახლესი კავშირგაბმულობის ტექნიკა, მოსასმენი აპარატურა, კონსპირაციული ბინები (ე.წ. "იაკები") და აგენტურის ფართო ქსელი ამ ბანდას მობილურ სპეცსამსახურად აქცევდა, ხოლო მაღალი ანაზღაურება ბრძოლებში გამოცდილი ოფიცრების გადაბირების საშუალებას იძლეოდა. ამ ბანდაში მუშაობდა გე-ერ-უს ორი პოლკოვნიკი. – წყნარი ოკეანის ფლოტის დაზვერვის აგენტურული

სამმართველოს უფროსი ზუბოვი და ოპერატიულ-ანალიტიკური ცენტრის ყოფილი უფროსი პოლუბოიარინოვი.

ამ ბანდის მსხვერპლი ძირითადად რუსეთის რეგიონებში მოქმედი სხვადასხვა ეროვნების "კანონიერი ქურდები" და ავტორიტეტები იყვნენ. "ლარიონოვის ბანდა" ანადგურებდა იმ ბიზნესმენებსაც ვინც დამნაშავეთა სამყაროსთან თანამშრომლობდა. ეს ბანდა უსმენდა შსს-ს და პროკურატურის მაღალჩინოსნების ტელეფონებსაც და აფერხებდა გამოძიებას. ამ ფაქტების გახმაურების შემდეგ თავად ძმები ლარიონოვები ციხეში გაურკვეველ ვითარებაში დახოცეს. პოლუბოიარინოვი და მისი ვაჟი ავტომობილში დაახრჩვეს.

სულ ახლახან გამჟღავნდა რამდენიმე საიდუმლო ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებში და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში შექმნილია და ფარულად მოქმედებს ე.წ. "პარალელური სტრუქტურები", რომლებიც ოფიციალური ორგანოების შეკვეთით და დავალებით პოლიტიკურ მკვლელობებს და სხვა "ბინძურ" ოპერაციებს ახორციელებენ. ხშირად ისინი ამოფარებულნი იყვნენ და არიან საზოგადოებრივი და არასახელმწიფო დაწესებულებების შირმას – ვეტერანთა კავშირებს, საქველმოქმედო ფონდებს, სპეცსამსახურების ისტორიის შემსწავლელ ორგანიზაციებს და ა.შ.

რუსეთის "პარალელურ" სპეცსამსახურებში "მოღვაწეობენ" კა-გე-ბეს და გე-ერ-უს თადარიგში გასული ოფიცრები, ვეტერანები და ბიზნესის "სახურავს" შეფარებული მოქმედი რეზერვის ოფიცრები (ე.წ. "ოდეერები").

ამიტომაც "პარალელური სპეცსამსახურები", რომელთაც ფორმალურად არანაირი კავშირი არ აქვთ სახელმწიფო ორგანოებთან, პოლიტიკური მკვლელობების მთავარ შემსრულებლებად იქცნენ.

## ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობა

ამ პიროვნებამ 1990-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში და მთლიანად რუსეთში უნიკალური წონა და ავტორიტეტი მოიპოვა. მასთან მეგობრობდნენ, როგორც ხელისუფლების, ასევე კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები. ერთ-ერთ ინტერვიუში ოთარ კვანტრიშვილმა ძალზე თამამი განცხადებაც კი გააკეთა – გვარი, რომ არ მიშლიდეს ხელს მოსკოვის მერი ხვალევე გავხდებოდიო. მის მიერ შექმნილი "ლევ იაშინის ფონდისა" და "ასოციაცია XXI საუკუნის" დიდი ფინანსური რესურსები ზოგიერთი რუსი ჟურნალისტის მიერ ბიზნესისთვის "შეწერილ" ბანდიტურ ბეგარად აღიქმებოდა. ოთარის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი, ცნობილი მომღერალი იოსებ კობზონი კი ყოველთვის აცხადებდა, რომ ფულს თავად ბიზნესმენები ნებაყოფლობით რიცხავდნენ სპორტის ვეტერანების დასახმარებლადო.

მიუხედავად შეხედულებათა ასეთი პოლარული განსხვავებისა, ყველა ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ კვანტრიშვილი თითქმის ყოვლისშემძლე პიროვნება გახდა. ის უკვე "დიდ პოლიტიკაში" შესვლისთვის ემზადებოდა. 1994 წელს შექმნა პოლიტიკური პარტია "რუსეთის სპორტსმენები", რომელსაც საპარლამენტო არჩევნებში უნდა მიეღო მონაწილეობა. ეს კი რუსეთის "პატრიოტების" გაღიაზიანებას იწვევდა, განსაკუთრებით ოთარის ეროვნება. ამიტომ ის კილერებს "შეუკვეთეს". 1994 წლის 5 აპრილს კრასნოპრესნიის ელიტური საუნიდან გამოსულ კვანტრიშვილს მოპირდაპირე შენობის სხვენზე დამალულმა სნაიპერმა სამჯერ ესროლა. ოთარი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

2008 წლის 7 მარტს რუსეთის გენპროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელის განცხადებით 14 წლის შემდეგ დამნაშავეები დაკავებულნი არიან და საქმე დახურულია. მათი მტკიცებით კვანტრიშვილის და ცნობილი რუსი "ავტორიტეტის" სერგეი ტიმოფეევის ("სილვესტრი") ბიზნესინტერესები გადაიკვეთა და სწორედ მან შეუკვეთა ოთარის მკვლელობა რუსეთის შინაგანი ჯარების უფროს ლეიტენენტ ვინმე კუზმინს, მეტსახელად "ლიობა-ჯარისკაცს". ბუნებრივია რუსეთის ხელისუფლება შეგნებულად უვლის გვერდს მკვლელობის რეალურ მოტივს. თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ ოთარი რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით მოკლეს. "სილვესტრი" უკვე მოკლულია, უშუალო შემსრულებელი კი დიდი ხანია თავადაც მკვდარია, სიმართლესაც ვინ იტყვის?

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, უკვე მიზანში ამოღებულმა კვანტრიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა – "არ დააყენწყდეს რუშაილოს, რომ მასაც ჰყავს შვილებიო". იმ დროს ვლადიმერ რუშაილო (მომავალი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი) მოსკოვის სისხლის სამართლის სამმებროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი იყო და მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის გუნდში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

## რატომ მოკლეს დიმა ხოლოდოვი?

1994 წლის 17 ოქტომბერს მოსკოვში მოკლეს "მოსკოვსკი კომსომოლეცის" ჟურნალისტი დიმა ხოლოდოვი. მისი სტატიები რუსეთის ძალოვანი სამინისტროების და უწყებების კრიტიკით გამოირჩეოდა. მან არერთხელ ამხილა რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და სპეცსამსახურებში გაბატონებული კორუფცია. მკვლელობის დღეს ხოლოდოვს უცნობმა დაურეკა და ხელჩანთა გადასცა, სადაც რუსი მაღალჩინოსნების მამხილებელი დოკუმენტები უნდა ყოფილიყო. რედაქციაში დაბრუნებულმა ჟურნალისტმა გახსნა ჩანთა და აფეთქების გამაყრუებელი ხმაც გაისმა. ეს მაღალი დონის პროფესიონალი მენაღმის მიერ იყო გაკეთებული.

ამ რეზონანსული მკვლელობის გამოძიებისას რუსეთის გენპროკურატურა შსს-ს და გე-რე-უს კვალზე გავიდა. გაირკვა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 45-ე პოლკში მოქმედებდა სპეციალური დანაყოფი, რომელიც კილერებით იყო დაკომპლექტებული. ბრალი წაუყენეს ექვს პიროვნებას, ყველა მათგანი რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების დაზვერვის ოფიცრები იყვნენ. "საფარი დოკუმენტები" მათ გე-ერ-უსგან მიიღეს. ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე კერძო დეტექტიური ფირმა "როსს"-ის ხელმძღვანელები – ყოფილი სპეცრაზმელი კაპუნცოვი და ბარკოვსკი.

თუმცა 2004 წლის ივნისში სასამართლომ ყველა ეს პიროვნება სრულად გაამართლა.

## ვინ იყო ლეხ ვალენსა: დისიდენტი თუ აგენტი?

ლეხ ვალენსას, "სოლიდარობის" ლიდერს, პოლონეთის ექს-პრეზიდენტს და მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატს ხშირად ყველაზე ცნობილ ცოცხალ პოლონელსაც კი უწოდებენ. გარდა ამისა, ის მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმულ დისიდენტად იყო მიჩნეული. გავრცელებული შეხედულებით სწორედ მან დაიწყო პროფკავშირული გაერთიანება "სოლიდარობის" საშუალებით "კომუნისტური ბასტიონის" ნგრევა. თუმცა ბოლო დროს პოლონეთში განვითარებულმა სკანდალურმა მოვლენებმა შესაძლებელია ეს უკანასკნელი შეფასება ეჭვ ქვეშ დააყენოს.

მცირე დოსიე: ლეხ ვალენსა დაიბადა 1943 წლის 29 სექტემბერს ვარშავასთან ახლოს მდებარე სოფელში. 1967 წელს ელექტრიკოსად დაიწყო მყშაობა გდანსკის გემთსაშენ ქარხანაში. იმ პერიოდიდან მონაწილეობდა არალეგალური პროფკავშირების მუშაობაში. 1970 და 1976 წლებში პოლონეთში სურსათზე ფასების გაზრდის გამო ორი გრანდიოზული გაფიცვა მოეწყო, ერთ-ერთი ორგანიზატორი სწორედ ვალენსა იყო. ეკონომიკური მოთხოვნების პარალელურად თანდათანობით ვალენსა პოლიტიკაშიც ჩაერთო და დისიდენტურ ჯგუფებში შევიდა. ამ პერიოდში ის მცირე ხნით რამდენჯერმე დააპატიმრეს.

1981 წლის გაზაფხულზე ვალენსა "სოლიდარობის" თავმჯდომარედ აირჩიეს. 1981 წლის 13 დეკემბერს პოლონეთში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა, საბჭოთა კავშირის, გერმანიის და ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილები (სულ 5 არმია) პოლონეთში შესაჭრელად ემზადებოდნენ, თუმცა გენერალმა ვოიცეხ იარუზელსკიმ, პოლონეთის ახალმა ლიდერმა შესძლო ოკუპაციის და სისხლისღვრის თავიდან აცილება და დაარწმუნა "სოციალისტური ბანაკის" ლიდერები, რომ თავად შესძლებდა სიტუაციის განმუხტვას. მისი ბრძანებით "სოლიდარობა" კანონგარეშედ გამოცხადდა, ხოლო ვალენსა დააპატიმრეს.

1983 წელს ლეხ ვალენსას მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭა. 1990-1995 წლებში იყო პოლონეთის პრეზიდენტი.

პოლონელმა ისტორიკოსებმა და "ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტის" თანამშრომლებმა სლავომირ ცანკევიჩმა და პეტრე გონტარციკმა პოლონეთის უშიშროების ორგანოების საარქივო დოკუმენტების საფუძველზე გამოსცეს წიგნი: "უშიშროების სამსახური და ლეხ ვალენსა – ბიოგრაფიის დამატება". სადაც ამტკიცებენ, რომ ვალენსა 1970 წელს "დაავერბოვკეს" პოლონეთის სპეცსამსახურებმა და ექვსი წლის მანძილზე მათი აგენტი იყო ოპერატიული ფსევდონიმით "ბოლეკი".

ამ წიგნს ყველაზე დიდი რეკლამა პოლონეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა და ლეხ ვალენსას მთავარმა ოპონენტმა გაუწია. ლეხ კაჩინსკიმ 2008 წლის 5 ივნისს, მაშინ როცა წიგნი ჯერ დაბეჭდილიც არ იყო, ერთ-ერთ ტელეინტერვიუში პირდაპირ განაცხადა, რომ ვალენსა სპეცსამსახურების აგენტი იყო, "ბოლეკის" ოპერატიული ფსევდონიმით მოქმედებდაო და საბუთად სწორედ ეს წიგნი დაასახელა.

ამის შემდეგ 23 ივნისს, ოთხი ათასიანი ტირაჟით გამოსული წიგნი, რომელიც საკმაოდ ძვირი – დაახლოებით 45 ლარი ღირს, იმავე დღეს სრულად გაიყიდა. წიგნის ავტორების აზრით ვალენსას აგენტობა საარქივო დოკუმენტებით დასტურდება. ისინი აქვეყნებენ პოლონეთის სპეცსამსახურების თანამშრომლების სამსახურებრივ მოხსენებებს. სადაც აღნიშნულია, რომ ექვსი წლის მანძილზე ვალენსა-"ბოლეკმა" ანაზრაურების სახით საერთო ჯამში მიიღო 13 100 ზლოტი.

ამ ბრალდებამ პოლონეთის საზოგადოება ორ ნაწილად გაყო – ერთნი მიიჩნევენ, რომ ლეხ ვალენსას პოლიტიკურმა ოპონენტებმა მოგონეს მისი აგენტობა, მეორენი კი არ გამორიცხავენ, რომ "ბოლეკი" – ვალენსა იყო.

პოლონეთში ლუსტრაციის პროცესს საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს.

## ლუსტრაცია პოლონეთში

2001 წლის გაზაფხულზე პოლონეთის "ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტის" და მისი ფილიალების (რომელსაც კანონის მიხედვით გადაეცათ პოლონეთის სპეცსამსახურების არქივები) წინ დიდი რიგები შეინიშნებოდა. ვის არ ნახავდით მომლოდინე ადამიანთა შორის მეცნიერებათა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს, პარლამენტის წევრებსა და მინისტრებს. ყველა მოთმინებით ელოდა იმ წუთს, როცა მათზე შედგენილი დოსიეების გაცნობის საშუალება მიეცემოდათ. მიუხედავად იმისა, რომ 1989 წელს პოლონეთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ შეძლო არქივების ნაწილის განადგურება,

ინფორმაციის დიდი მოცულობა მაინც გადარჩა. საზოგადოებაში დაპირისპირების და პირადი ანგარიშსწორების თავიდან ასაცილებლად დოსიეებში წაშლილი იყო სპეცსამსახურის აგენტებისა და ინფორმატორების გვარები და ოპერატიული ფსევდონიმები. საიდუმლოდ დარჩა ასევე იმ აგენტების ვინაობაც, რომლებიც კვლავ პოლონეთის სპეცსამსახურებზე აგრძელებენ მუშაობას.

ჯერ კიდევ 2000 წელს აგენტობის ბრალდება ვალენსას ვარშავის სასამართლომ მოუხსნა, თუმცა მან აღიარა, რომ ერთ-ერთი დაპატიმრების დროს, პოლონეთის უშიშროების სამსახურში რაღაც ქაღალდებზე მოაწერინეს ხელი. თუმცა გავრცელებული ინფორმაციით პოლონეთის სპეცსამსახურების არქივებში ვალენსას აგენტობის დოკუმენტები არ შემონახულა, რადგანაც ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს მან მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები გაანადგურა.

## საყურადღებო გაკვეთილი ჩვენთვის

ალბათ გახსოვთ მსგავსი ინფორმაცია ვრცელდებოდა საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზეც. მის კა-გე-ბეს აგენტობაში დარწმუნებული ჯაბა იოსელიანი მემუარულ ნაწარმოებში "სამი განზომილება" იხსენებს, რომ ერთხელ პირდაპირ უკითხავს ედუარდ შევარდნაძისთვის – ზვიდი ხომ თქვენზე მუშაობდაო. მაშინდელ სახელმწიფოს მეთაურს კი უპასუხია: არა, ის პირდაპირ კავშირზე მოსკოვში იყო, კა-გე-ბეს ერთ-ერთ ხელმძღვანელთანო.

ამჟამად ძალზე ძნელია ჭეშმარიტების დადგენა, რადგანაც სარწმუნო საარქივო დოკუმენტები ხელთ არ გვაქვს. სწორედ ესაა ლუსტრაციის პროცესის მთავარი პრობლემა და საფრთხე.

სანდო დოკუმენტების გარეშე, მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობით არ შეიძლება ამ სოციალურ-პოლიტიკურად და ზნეობრივად ურთულესი საკითხის გადაჭრა. სავსებით მოსალოდნელია რომ ლუსტრაციის პროცესის ნაჩქარევად დაწყება კარგად გამოიყენონ ჩვენმა მტრებმა.

## კიბერტერორიზმი – XXI საუკუნის რეალური საფრთხე

1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან სულ უფრო და უფრო ხშირად იხმარება ტერმინები: კიბერთავდასხმა, ჰაკერი, კიბერშპიონაჟი, კიბერომები, კიბერტერორიზმი და ა.შ.

დღეისათვის მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა იყენებს ინტერნეტის საინფორმაციო სივრცეს შპიონაჟისთვის. 2007 წელს პირველად მოხდა, რომ სხვადასხვა ქვეყნებმა მინიშნებით კი არ დაადანაშაულეს ერთმანეთი კიბერშპიონაჟში, არამედ პირდაპირ დაასახელეს თუ რომელი ქვეყნების სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ მათი სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების საიტებზე ჰაკერულ თავდასხმებში.

ფაქტია, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა კიბერშპიონაჟის შემთხვევები და სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ ინფორმაციულ სივრცეზე კიბერშეტევების რაოდენობა. შეტევების მთავარი მიზანი, როგორც წესი, არის სახელმწიფო სტრუქტურების (უპირველესად კი სამხედრო და სპეცსამსახურების) საინფორმაციო კომპიუტერული სისტემები.

2007 წლის ივლისში აშშ-ის თავდაცვის უწყების კომპიუტერები ჰაკერების შეტევების ობიექტი გახდა. პენტაგონში ამტკიცებენ, რომ ამ პროცესების უკან ჩინეთის სამხედრო დაზვერვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები (ანუ "სამხრეებიანი ჰაკერები") იდგნენ. ამის შემდეგ, მიმდინარე წლის სექტემბერში, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში გეგმავს სპეციალური სამმართველოს შექმნას, რომელიც მხოლოდ კიბერსივრცეში ომების დაგეგმვით იქნება დაკავებული.

2007 წელს უმთავრესად სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული კიბერშეტევები განხორციელდა გერმანიის ფინანსთა სამინისტროს, ავსტრიის, ახალი ზელანდიის და ინდოეთის სამხედრო უწყებების კომპიუტერულ სისტემებზე. თუმცა 2007 წლის კიბერშეტევების მთავარი სამიზნე პატარა ესტონეთი იყო.

2008 წლის "აგვისტოს ომის" დროს კი კიბერშეტევა განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების და უწყებების, ასევე საინფორმაციო სააგენტოების კომპიუტერებზე.

ზოგადად ჰაკერების მცირე "ხულიგნობა" უკვე ჩვეული მოვლენაა. გასულ წლებში მათ შეძლეს სხვადასხვა ქვეყნების თავდაცვის სამინისტროების, სპეცსამსახურების, საიდუმლო კვლევითი ცენტრების და სამეცნიერო ლაბორატორიების საიტებში მრავალგზის შეღწევა. უფრო ხშირია კომერციული ბანკების საიტების "გატეხვა" და პატარა ფინანსური აფიორის დატრიალება. ისრაელიც სისტემატურად განიცდის პალესტინელი ჰაკერების თავდასხმებს. რამდენიმე წლის წინ, როდესაც დანიის ერთ-ერთმა გაზეთმა მუჰამედზე კარიკატურები დაბეჭდა, ეს ქვეყანაც გახდა ისლამისტი კიბერტერორისტების შეტევის ობიექტი.

თუმცა მიმდინარე წლის აპრილამდე არასოდეს ყოფილა, რომ ერთი ქვეყნის ელექტრონული სივრცის წინააღმდეგ გამოეყენებინა ვინმეს უზარმაზარი ფინანსური და ტექნიკური რესურსები.

ზოგიერთი უცხოელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ მსოფლიოში პირველი სერიოზული კიბერომი ერთი სახელმწიფოს (კერძოდ ესტონეთის) წინააღმდეგ,

ორგანიზებული იყო 2007 წლის აპრილ-მაისში რუსეთის სპეცსამსახურების მიერ და მათი "საერთო რეჟისურით" მიმდინარეობდა.

ინტერნეტის ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე ამ პროცესში შემდგომ აქტიურად ჩაერთნენ სხვადასხვა ქვეყნების რუსი ეროვნების მოქალაქეები. კიბერტერორისტების მიერ შექმნილი და ინტერნეტით გავრცელებული სპეციალური პროგრამების საშუალებით კომპიუტერები უბრალო "ზომბირებულ ყუთებად" იქცნენ და მფლობელებისგან დამოუკიდებლად ჰაკარების დავალებებს "უსიტყვოდ" ასრულებდნენ.

კიბერშეტევების უკანასკნელი ტალღა 2007 წლის 18 მაისს დაფიქსირდა. ამის შემდეგ ესტონეთის ხელისუფლებამ დანაკარგების შეჯამება დაიწყო. აღმოჩნდა, რომ თითქმის ერთი თვის მანძილზე დიდი შეფერხებებით მუშაობდა ქვეყნის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის, სამინისტროების, ბანკებისა და წამყვანი გაზეთების საიტები.

ესტონეთის უდიდესი ბანკი – "ჰანსაბანკი", იძულებული გახდა რამდენიმეკვირ მრავალი საათით შეეჩერებინა კლიენტთა საბანკო ოპერაციების ინტერნეტით მომსახურება. ამ პერიოდში მისმა ზარალმა რამდენიმე მილიონ დოლარს გადააჭარბა. ესტონეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები თითქმის ერთი კვირის მანძილზე ელექტრონული ფოსტის გარეშე დარჩნენ.

მდგომარეობის სერიოზულობიდან გამომდინარე ესტონეთის ხელისუფლებამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობასთან დააყენა საკითხი, რომ კიბერტერორიზმი და ჰაკერების ორგანიზებული შეტევები გაუთანაბრდეს ნატო-ს წევრი ქვეყნის მიმართ სამხედრო აგრესიას. ეს მართლაც ძალზე რთული საკითხია, რომელიც მრავალმხრივ შესწავლა მოითხოვა.

საერთაშორისო ექსპერტებმა რუსეთის ხელისუფლების შეკვეთების შემსრულებლად დაასახელეს ჰაკერული ჯგუფი "ძელატინ" ("ჟელატინი"), ხოლო რუს ჰაკერ ვინმე "ალექსეიზე" საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

საინტერესოა, რომ ესტონეთის წინააღმდეგ კიბერშეტევებში აქტიურად მონაწილეობდნენ სეპარატისტულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჰაკერებიც. ერთ-ერთმა მათგანმა, არ აღიარებული "დნეპრისპირეთის რესპუბლიკის" მკვიდრმა, ვინმე კონსტანტინ გოლოსკოკოვმა ეს დანაშაული კი არ დამალა, პირიქით ამაყად აღიარა კიდეც. ევროკავშირის კანონმდებლობით ჰაკერების დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემაა გათვალისწინებული. მაგრამ ვინ დააპატიმრებს დნეპრისპირეთში, აფხაზეთში ან ცხინვალში მცხოვრებ ჰაკერს, რომელიც მოსკოვის დავალებას ასრულებს?

## სპეცსამსახურები კიბერსივრცეში

უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებამ, რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, უფრო გააიოლა და გაამარტივა სპეცსამსახურების საქმიანობა. დღეს მსოფლიო ელექტრონული საინფორმაციო ქსელი უკვე გახდა უდიდესი პოტენციური საფრთხის მატარებელი ნებისმიერი ქვეყნისთვის. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც სპეცსამსახურები ინტერნეტს მხოლოდ ღია ინფორმაციის მოსაპოვებლად და დეზინფორმაციის გასავრცელებლად იყენებდნენ. ამჟამად კიბერსივრცე სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ფარული დაპირისპირების და ბრძოლის არენადაა ქცეული.

ცნობილია, რომ "კიბერიარაღი" და კიბერსივრცეში ომების წარმოების სცენარები უკვე დამუშავებული აქვთ: აშშ-ს, რუსეთს და ჩინეთს. ბუნებრივია ეს სია არასრულია, რადგანაც ბევრი სახელმწიფო ცდილობს მაქსიმალურად გაასაიდუმლოს კონკრეტული მიღწევები ამ სფეროში და დროზე ადრე არ გაამჟღავნოს საკუთარი პოტენციალი.

დღეს ინტერნეტის გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო ჩვეულებრივი მოქალაქეების ცხოვრება (საქმიანი მიმოწერა, გადასახადების გადახდა, ბანკთან ანგარიშსწორება და აშ.), არამედ სახელმწიფო აპარატის ნორმალური ფუნქციონირება. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში პარლამენტის და მთავრობის სხდომები ინტერნეტით პირდაპირ რეჟიმში გადაიცემა.

ამავე დროს, ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ქსელის გარეშე შეუძლებელია სატრანსპორტო, თავდაცვის, კავშირგაბმულობის, საბანკო-საფინანსო და ა.შ. უწყებების ნორმალური მუშაობა. სწორედ ინტერნეტის შეუცვლელობამ აქცია კიბერსივრცე სპეცსამსახურებისა და ტერორისტების მთავარ სამიზნედ.

თუ ადრე "ჰაკერები" ილად გამდიდრების მსურველი ავანტურისტები ან სათვალიანი ახალგაზრდა გენიოსები იყვნენ, დღეს "კომპიუტერული ომები" და მისგან თავდაცვა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების აუცილებელი კომპონენტია.

## როგორ იქცა ესტონეთი კიბერშეტევების პოლიგონად

პატარა და ამაყი ესტონეთის და გიგანტი რუსეთის პოლიტიკური დაპირისპირება დავითისა და გოლიათის ბრძოლას წაგვას. ფაქტია, რომ ეს ბრძოლა ესტონეთმა მოიგო, მაგრამ ამ მოვლენებში მთავარი მაინც სულ სხვა რამ იყო.

2007 წლის აპრილის ბოლოს და 8-9 მაისს ესტონეთი მასიური კიბერშეტევების ობიექტი გახდა. ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა იაკ აავიქსომ ეს, ქვეყნის სატრანსპორტი არტერიების სრულ ბლოკადას შეადარა.

ამ პერიოდში ესტონეთის საინფორმაციო ელექტრონულმა ქსელმა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მილიონამდე კომპიუტერიდან ათი უმძლავრესი "დაბომბვა" მიიღო და გაითიშა. სპეციალისტების განცხადებით ათი საათის მანძილზე წამში 90 მგბ მოცულობის "ნაღმებმა" ანუ "იდიოტურმა" შეკითხვებმა და ინფორმაციამ ესტონეთის პრეზიდენტის აპარატის, პარლამენტის, პოლიტიკური პარტიების და ბანკების საფოსტო ყუთები გადაავსო და სერვერები გათიშა.

კიბერტერორისტების მიერ შექმნილი და ინტერნეტით გავრცელებული სპეციალური პროგრამების საშუალებით კომპიუტერები უბრალო "ზომბირებულ ყუთებად" იქცნენ და მფლობელებისგან დამოუკიდებლად ჰაკარების დავალებებს "უსიტყვოდ" ასრულებდნენ.

თითქმის ერთი თვის მანძილზე ესტონეთის საინფორმაციო სივრცეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კომპიუტერებიდან უტევდნენ. 2007 წლის აპრილის ბოლოსვე გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ კიბერშეტევები დაკავშირებული იყო ტალინში საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლის დემონტაჟთან და აქედან გამომდინარე რუსეთთან. გავიხსენოთ, თუ რა გაშმაგებით და ისტერიით შეხვდა რუსეთის ოფიციოზი ესტონეთის ამ გადაწყვეტილებას. ესტონეთმა, როგორც ევროკავშირის და ნატო-ს წევრმა ქვეყანამ ამ ორგანიზაციებს დახმარებისთვის მიმართა. ტალინში ჩავიდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების და ცალკეული ქვეყნების კომპიუტერული უსაფრთხოების ექსპერტები.

ესტონეთის ზარალი გაცილებით დიდი იქნებოდა, რომ ამ ქვეყანაში უკვე არ არსებულიყო "სწრაფი რეაგირების კომპიუტერული ჯგუფი", სადაც გაერთიანებული არიან, როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციული და არასამთავრობო სტრუქტურების კომპიუტერული უსაფრთხოების ექსპერტები. ესტონეთის ხელისუფლება ამ საქმეს ძალზე სერიოზულად მიუდგა.

2007 წლის ნოემბერში ესტონეთის მთავრობამ მოიწონა თავდაცვის მინისტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი: "ესტონეთის კიბერუსაფრთხოების სტრატეგია 2008-2013 წლებში".

ამ დოკუმენტის უმთავრესი მიზანია მოამზადოს ქვეყანა კიბერთავდასხმების თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტრატეგია თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა, გათვალისწინებულია სხვა სახელმწიფო დაწესებულებების (საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, ეკონომიკის, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროების) და კომერციული სტრუქტურების აქტიური მონაწილეობა ქვეყნის კიბერსივრცის დაცვის უზრუნველყოფაში.

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე მომავალში გათვალისწინებულია კიბერთავდაცვის ნატო-ს საერთაშორისო ცენტრის შექმნა, რომელშიც მონაწილების სურვილი უკვე გამოთქვეს გერმანიამ, ესპანეთმა, იტალიამ,

ბულგარეთმა, აშშ-მ, პოლონეთმა და ლიტვამ. ამ ქვეყნების ექსპერტები ერთობლივად იმუშავებენ კიბერშეტევების მოგერიებაზე.

სახელმწიფო დაფინანსებით "კიბერუსაფრთხოების ჯგუფები" შექმნილია ისრაელში და კიდევ ბევრ ქვეყანაში. ჩვენს ქვეყანაში კი, სამწუხაროდ ეს ჯერ კიდევ შორეულია პერსპექტივაა.

## კომპიუტერია თუ ხაფანგი?

ალბათ უფრო ხაფანგი და ამაში თავად დარწმუნდებით. სპეცსამსახურები რომ ადრევე იყენებდნენ კომპიუტერულ "ტროას პროგრამებს", ცნობილი ფაქტი იყო. მიზანი და შესრულების ტექნიკა კი შემდეგში მდგომარეობდა: რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურების "კომპიუტერული მგლები" ამუშავებენ სპეციალურ პროგრამას, რომელიც დაშიფრული და "ჩასაფრებულია" ჩვეულებრივ ელექტრონულ წერილში. ადრესატმა მიღებული წერილი უცილობლად რომ გახსნას, მას რომელიმე სახელმწიფო უწყების (საგადასახადო სამსახური, ჯანდაცვის სამინისტრო და ა.შ) სახელით უგზავნიან. ჰოდა, გახსნით ჩემო ბატონო ამ ელექტრონულ შეტყობინება - "ტროას ცხენს" და სანამ ბოლომდე ჩაიკითხავთ თქვენს კომპიუტერში გველივით შემოსრიალდება სპეცპროგრამა, რომლის დახმარებითაც სპეცსამსახურებს საშუალება ექნებათ თქვენს მუშაობასაც ადევნონ თვალი და ძველ ფაილებს მშვიდად გაეცნონ.

ამგვარ საქმიანობაში ბევრი ქვეყნის სპეცსამსახური იყო შემჩნეული მაგრამ მხოლოდ გერმანიაში გადაწყვიტეს ამ, რბილად რომ ვთქვათ დემოკრატიული ნორმების შემლახველი მოქმედებების "გაპრავება". ამ ქვეყნის მთავრობა უკვე იხილავს კანონპროექტს, რომელიც ამგვარი ოპერაციების ჩატარებას მხოლოდ სასამართლოს სანქციის შემდეგ და განსაკუთრებულ შემთხვევებში დაუშვებს.

კიბერსივრცის გამოყენებას ბრიტანეთის სპეცსამსახურები კი სხვა გზით ცდილობენ. საოცარია მაგრამ ფაქტია, რომ ტრადიციების მიმდევარი ბრიტანეთის სპეცსამსახურები ხან ისეთ "პირუტყვებს" აკეთებენ ნადვილად გაგიკვირდებათ. ამჟამად გადაწყვიტეს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სტრუქტურებისთვის ახალი თანამშრომლები ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში კი არ ეძებონ, არამედ სიგარეტის კვამლით გაბოლილ კომპიუტერული თამაშების სალონებში შეარჩიონ.

ბრიტანეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელობა სპეციალური გამოკვლევების შემდეგ დარწმუნებულა, რომ შაიონური კომპიუტერული თამაშების მოყვარული "თინეიჯერები" კარგად ერკვევიან უახლეს ტექნოლოგიებში, არიან ძალზე მოხერხებულნი და სპეცაგენტის საქმიანობაზეც უკვე აქვთ წარმოდგენა.

ამ იდეის ავტორმა ბრიტანეთის სამთავრობო კაშირის სამსახურმა, რომელიც ფარული მოსმენებითა და კიბერშპიონაჟითაა დაკავებული, გადაწყვიტა, რომ ამ გზით გაულვივოს ახალგაზრდა ბრიტანელებს სპეცაგენტობის სურვილი.

მომავალი "ჯეიმს ბონდების" გამოყენება თავდაპირველად სახელმწიფო კომპიტერული სისტემების კიბერშეტევებისგან თავდაცავად და ფარული მოსმენებისთვის იგეგეშება, შემდეგ კი შესაძლებელია უფრო რთული დავალებების შესრულებაც მოუხდეთ.

## ფრთხილად ინტერნეტში თაღლითები მომრავლდნენ!

აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (გფბ) შარშან გამოქვეყნა 2006 წელს ინტერნეტ-თაღლითებთან ბრძოლის ანგარიში. გფბ-ს სტრუქტურაში უკვე კარგა ხანია მოქმედებს სპეციალური განყოფილება, რომელიც ჰაკერებს და ინტერნეტ-დანაშაულებებს ებრძვის. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება ამგვარი დანაშაულების რიცხვი. გფბ-ს ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2006 წელს ამ განყოფილებამ აშშ-ის 207500-ზე მეტი მოტყუებული მოქალაქის განცხადება მიიღო, სადაც ისინი დახმარებას ითხოვდნენ. ინტერნეტ-თაღლითების მიერ მიყენებულმა ზარალმა გასულ წელს 200 მლნ დოლარს გადააჭარბა, მაშინ როცა 2004 წელს – 68,1 ხოლო 2005 წელს 183 მლნ დოლარი იყო.

თაღლითობის ყველაზე ბევრი შემთხვევა (44%) ინტერნეტ-აუქციონებზე მოდის. ამ დროს თაღლითობის მექანიზმი ძალზე მარტივია – მყიდველი უკვეთავს რაიმე ნივთს, იხდის ფულს და ვერ იღებს ნაყიდს.

ინტერნეტში ძალზე გავრცელებულია თაღლითობის უფრო დახვეწილი ფორმაც – ე.წ. "ნიგერიული წერილები", რომელმაც ამგვარი ეგზოტიკური სახელწოდება იმის გამო მიიღო, რომ პირველად ამ ოცი წლის წინ ნიგერიელმა შარლატანებმა გამოიყენეს.

ისინი ინტერნეტით უკავშირდებოდნენ ევროპის ან აშშ-ის მოქალაქეებს და ერთი შეხედვით ძალზე ხელსაყრელ ბიზნეს-წინადადებას სთავაზობდნენ. გაყალბებული დოკუმენტებით ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მიამიტი უცხოელები, რომ ნიგერიაში (ქვეყნის დასახელება ხშირად იცვლებოდა, მთავარი იყო, რომ ეს, აფრიკის ან აზიის ჩამორჩენილი ქვეყანა ხანგრძლივ სახელისუფლებო კრიზისში ან სამოქალაქო ომის ალში ყოფილიყო გახვეული) არსებობდა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები ან უძრავი ქონება, რომლის ქვეყნიდან გატანა მხოლოდ უცხოეთის მოქალაქეს შეეძლო, შემდეგ კი თანხა

თანაბრად გაიყოფოდა. მეტი დამაჯერებლობისათვის თაღლითები ინტერნეტით გაგზავნილ წერილებს თან ურთავდნენ ვითომ არსებული ქონების ფოტოებს და ფიქტიურ საფინანსო დოკუმენტებს. ყველაზე მთავარი წერილის ბოლოში იყო – თაღლითები ამ მაცდუნებელი "ბიზნეს-გეგმის" განხორციელებისათვის ნიგერიის (სუდანის, კენიის, ალჟირის და ა.შ.) ბანკში სხვადასხვა დოკუმენტების გასაფორმებლად სულ რაღაც 100-150 დოლარის გადარიცხვას ითხოვდნენ. საინტერესოა, რომ თანხა არასდროს იყო დიდი.

ცნობილია, რომ რაც უფრო მარტივია აფიორა, მით უფრო დიდია მიამიტი ადამიანების მოტყუების შანსი. ბერი, იოლ გამდიდრებას დახარბებული რიცხავდა მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხას, რის შემდეგაც თაღლითების კვალი სამუდამოდ იკარგებოდა. გფბ-ის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ ინტერნეტ-თაღლითების მსხვერპლნი ყველაზე ხშირად 30-55 წლის მამაკაცები ხდებიან, ქალები კი უფრო ფრთხილნი არიან და შედარებით იშვიათად ებმებიან "ბადეში". 2006 წელს აშშ-ში ელექტრონული ფოსტით გავრცელებული სხვადასხვა აფიორების შედეგად მამაკაცებმა საშუალოდ 920 დოლარი, ხოლო ქალებმა – 544 დოლარი დაკარგეს. მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნის მოქალაქეებს ძირითადად ისევ ამერიკელი შარლატანები "ფცქვნიან", თუმცა ბრიტანელი, კანადელი, ნიგერიელი, რუმინელი, იტალიელი და რუსი თაღლითებიც არ აკლებენ ხელს.

## "კომუნიზმში" ჩარჩენილები

უკვე 20-25 წელია მსოფლიოში განგაშია ატეხილი სხვადასხვა რჯულის ჰაკერების დასასჯელად და ინტერნეტ-დანაშაულებების აღსაკვეთად. ყველა "ნორმალური" ქვეყნის კანონმდებლობა მკაცრად არეგულირებს ამ საკითხებს, ხოლო სახელისუფლებო სტრუქტურებში შექმნილია სპეციალური დანაყოფები, რომლებიც "ხულიგანი ჰაკერების" წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, სხვა სახელმწიფოების მხრიდან ელექტრონულ საინფორმაციო სივრცეზე მოსალოდნელი კიბერშეტევების თავიდან აცილებას და კონტრზომების განხორციელებასაც გეგმავენ. საინტერესოა რა მდგომარეობა ამ მხრივ საქართველოში? ჯერ საკანონმდებლო უზრუნველყოფის საკითხებით დავიწყოთ.

ამჟამად მოქმედ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში" ფორმალურად სამი – 284-ე, 285-ე და 286-ე მუხლი ეხება მსგავს დანაშაულს. თუმცა ჩანს, რომ "კოდექსის" ეს ნაწილი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, კომპიუტერული ტექნიკის განვითარების გარიჟრაჟზეა დაწერილი. აბა როდის უწოდებდნენ კომპიუტერს "ელექტრონულ გამომთვლელი მანქანას"? ეს მუხლები ეხება ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებას, ბლოკირებას, მოპოვებას, "ეგმ"-ის ვირუსის შექმნას და გავრცელებას. იმ დროს, როცა მსოფლიო

სავაჭრო ოპერაციებში ელექტრონული (ე.ი ინტერნეტით განხორციელებული) ვაჭრობის ხვედრი წილი 25-30%-ია და მუდმივად იზრდება, საქართველოს კანონმდებლობა XX-ე საუკუნის 70-იან წლებშია ჩარჩენილი და არ არეგულირებს ინტერნეტ-თაღლითობის, "ფული გათეთრების", ინდივიდუალური და სახელმწიფო კიბერტერორიზმის და სხვა ინტერნეტ-სივრცესთან დაკავშირებულ დანაშაულებების აღკვეთის საკითხებს.

"საღათას ძილით" სძინავს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასაც, სადაც ჯერ კიდევ არაა შექმნილი რაიმე მობილური სტრუქტურა, რომელიც ჯერ შეიმუშავებდა ერთიან სახელმწიფო საინფორმაციო სტრატეგიას, ხოლო შემდეგ კი კოორდინირებას გაუწევდა შესაბამისი პოლიტიკის გატარებას.

## იჩქარე ნელა

ამ სამი წლის წინ აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველი ჟურნალისტი დააკავეს და თითქმის ორი კვირა გამოგონილი ბრალდებებით სოხუმის ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა ფიცხად განცხადა – თუ საჭირო გახდა სოხუმში სპეცოპერაციას ჩავატარებთ და ჟურნალისტს ისე გავანთავისუფლებთო.

ამ ემოციური პოლიტიკური განცხადების გამგონე მსოფლიო მასმედიამ "ყურები ცქვიტა" და მოვლენების განვითარებას უფრო დიდი ყურადღებით აშუქებდა. ისინი ალბათ ისრაელის საგარეო დაზვერვის "მოსადის" სტილში განხორციელებულ სპეცოპერაციას ელოდნენ, როდესაც გამთენიისას საქართველოს სპეცსამსახურების სპეციალური რაზმების კოორდინირებული მოქმედება ჰაერიდან, ზღვიდან და ხმელეთიდან, დაბნეულ სეპარატისტებს ფარხმალს დააყრევინებდა.

საბედნიეროდ ძალისმიერი ღონისძიებების ჩატარება საჭირო აღარ გახდა და სეპარატისტებმა დაკავებული ჟურნალისტი თავად გაანთავისუფლეს. ამ მოვლენებმა სპეცსამსახურების ისტორიიდან ორი ფაქტი გაგვახსენა.

## ჩაფლავებული "მოსადი"

ეს ამბავი ჩვეულებრივ დაიწყო მაგრამ დიდი ტრაგედიით და სკანდალით დასრულდა. 1973 წლის ივლისის დასაწყისი იყო და საკმაოდ ცხელოდა, მაგრამ ნორვეგიის ცნობილ ზამთრის კურორტს და ოლიმპიურ ქალაქ ლილეჰამერს სტუმრები არ აკლდა. ამიტომ ევროპის სხვადასხვა ქალაქებიდან კიდევ ათამდე ტურისტის ჩამოსვლა არავის გაკვირვებია. ამ სხვადასხვა

ასაკის ქალსა და მამაკაცს საერთო ის ჰქონდათ, რომ რეალურად ეს "ტურისტები" ისრაელის დაზვერვის ("მოსადის") ოპერატიული თანამშრომლები იყვნენ. ფუნქციები საკმაოდ მკაცრად იყო განაწილებული – ზოგს სასტუმროში ნომრის ალება და ავტომობილის დაქირავება ევალებოდა, ზოგს გარე თვალთვალი, ხოლო ზოგი ტერაქტების ოსტატი იყო. "ტურისტების" ამ ჯგუფს ხემძღვანელობდა "მოსადის" გამოცდილი აგენტი მაიკ ხარარე, რომელსაც "აქტიური ოპერაციების" (ანუ ლიკვიდაციის) ჩატარების სანქცია თავის დროზე პირადად ისრაელის პრემიერ-მინისტრ გოლდა მეირისგან ჰქონდა მიღებული. ლიკვიდაციის ობიექტი ცნობილი არაბი ტერორისტი, პალესტინური ტერორისტული ორგანიზაცია "შავი სექტემბერის" ერთ-ერთი ლიდერი ალი ჰასან სალამეჰი იყო. ისრაელის სპეცსამსახურების ინფორმაციით ალი სალამეჰი პირადად ხელმძღვანელობდა 1972 წლის 5 სექტემბერს მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების დროს 11 ებრაელი სპორტსმენის მძევლად აყვანას და შემდგომ მათ დახოცვას.

ამ მოტივით სალამეჰს და კიდევ 34 პალესტინელს, რომელთა სია ისრაელში მოქმედმა სრულიად საიდუმლო "კომიტეტმა X" შეადგინა, ხოლო შემდეგ პრემიერ-მინისტრმა დაამტკიცა, სასიკვდილო განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი.

"მოსადის" ინფორმაციით ალი სალამეჰი ლილეჰამერში იმალებოდა და სკანდინავიელ ლამაზმანებში ატარებდა დროს. ორკვირიანი მჭიდრო მეთვალყურეობის შემდეგ მაიკ ხარარეს ჯგუფმა დაადგინა, რომ ქალაქის ქუჩებში ქერათმიან ლამაზმანთან უშიშრად მოსეირნე არაბი, მართლა ცნობილი ტერორისტი და „პლეიბოი" სალამეჰი იყო. ლიკვიდაციის წინასწარ დაგეგმილ ოპერაციაში გადაუდებელი ოპერატიული აუცილებლობიდან გამომდინარე რამდენიმე ცვლილება შეიტანეს და 1973 წლის 21 ივლისის საღამოს სალამეჰი პირდაპირ ქუჩაში, თანმხლები ახალგაზრდა ქალის თვალწინ ტყვიებით დაცხრილეს.

ინსტრუქციიდან გამომდინარე უშუალო შემსრულებლებმა ნორვეგია იმავე ღამეს დატოვეს, ხოლო დანარჩენები კონსპირაციულ ბინებზე განაწილდნენ და ებრაელი ხალხის კიდევ ერთი მტრის ლიკვიდაციის ოპერაციის წარატებით დასრულების აღნიშვნას დიდი მონდომებით შეუდგნენ. . . მაგრამ დილითვე მათი სიხარული სასოწარკვეთამ შეცვალა, როცა ტელევიზიით გაიგეს, რომ მსხვერპლი სულ სხვა, სრულიად უდანაშაულო ადამიანი მაროკოელი ოფიციანტი აჰმედ ბუჩიკი იყო. ამ საცოდავს მხოლოდ ის მსგავსება ჰქონდა ალი სალაამეჰთან, რომ ისიც შავტუხა იყო და ულვაშებით თავს აწონებდა თავის ნორვეგიელ ქერა ცოლს.

ამ ტრაგიკული შემთხვევის შესახებ ალბათ ვერავინ გაიგებდა (რამდენი ადამიანი ილუპება საქმის გარჩევების დროს!), რომ არა შემდგომ განვითარებული მოვლენები და "მოსადის" აგენტთა გასაოცარი დოყლაპიობა. ნორვეგიის

პოლიციას არ გასჭირვებია თვითმხილველთა ჩვენებებით იმ ავტომობილების ნომრების დადგენა, რომლებითაც ებრაელი აგენტები "სალამეჰს" დასდევდნენ. ერთ საათში პოლიციამ აეროპორტშივე დააკავა ორი აგენტი.

აღმოჩნდა, რომ მათ ავტომობილები საკუთარი გვარით დააიქირავეს და სასტუმროშიაც ასევე. ყოველგვარი ლეგენდის გარეშე ცხოვრობდნენ. აგენტებმა "დაფქვეს", რომ ისინი ისრაელის სპეცსამსახურის თანამშრომლები არიან და დაასახელეს კონსპირაციული ბინის მისამართი. მათი ჩვენებების საფუძველზე ნორვეგიის პოლიციამ კიდევ სამი ბედოვლათი აგენტი დააკავა. მაიკ ხარარემ გაქცევა მოასწრო. დაკავებულმა "მოსადის" აგენტებმა "გუდა მოხსნეს" და პარიზსა და რომში არსებული "იაკების" (აგენტთა შესვედრის ბინების) მისამართებიც კი დაასახელეს. ნორვეგიის სასამართლომ მათ 2-დან 5 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ორ წელში შეიწყალა და გაანთავისუფლა.

ამ ფაქტის შემდეგ მრავალი წელი გავიდა, თუმცა ლილეჰამერში ნაჩქარევად დაგეგმილი და ჩაფლავებული "სპეცოპერაციის" გამო გამოწვეული დიდი საერთაშორისო სკანდალი "მოსადის" ხელმძღვანელებს დღესაც მწარედ ახსოვთ. სწორედ გაუმართლებელმა სიჩქარემ გამოიწვია ისრაელის დაზვერვის მიერ დაგეგმილი მეორე სპეცოპერაციის სრული ფიასკოც.

## საბიფათო "კოკა-კოლა"

1997 წლის 30 ივლისს განსაკუთრებული ხალხმრაველობა იყო იერუსალიმის ბაზარში. ძალზე ცხელოდა მაგრამ მყიდველი არ აკლდა დახლებს. მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა ერთმანეთში ირეოდა. ორი, ჩადრში გახვეული ქალი სხვადასხვა შესასვლელებიდან შევიდნენ ბაზარში და ცენტრალური ნაწილისკენ გაემართნენ. ისინი კარგად დაპროგრამებული რობოტებივით სინქრონულად მოქმედებდნენ. უცბად ორივე შედგა, რაღაც ჩაილაპარაკეს, აღგზნებული თვალები ვაჭრობით გართულ ხალხს მიმოავლეს და ჩადრის შიგნით, ტანზე მიმაგრებული ჩამრთველი გადაატრიალეს. გამაყრუებელი ორი აფეთქების ხმა ერთდროულად გაისმა.

პალესტინის ერთ-ერთი ტერორისტული დაჯგუფების "ჰამასის" წევრებმა თავი "შაჰიდის ქამრით" აიფეთქეს. მათ გარდა კიდევ 16 ადამიანი დაიღუპა და ათეულობით მძიმედ დაიჭრა. რამდენიმე საათის შემდეგ ისრაელის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნათანიაჰუმ სპეცსამსახურების ხელმძღვანელები შეკრიბა. თათბირი დიდხანს გაგრძელდა. პრემიერ-მინისტრმა, რომელსაც თავადაც ბევრ ანტიტერორისტულ ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა, ტერაქტის ორგანიზატორების სასწრაფო ლიკვიდაცია მოითხოვა.

ტერორისტებზე შურისძიება ისრაელში სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. უნდა ვებრძოლოთ თუ არა ტერორისტებს მათივე მეთოდებით

და რა საბოლოო შედეგებამდე მიგვიყვანს ეს გზა, ძალზე საკამათო საკითხია და ამჟამად მასზე არ შევჩერდებით.

პრემიერ-მინისტრმა ძალზე მკაცრი ბრძანება გასცა - "ჰამასის" რომელიმე ლიდერმა საკუთარი სიცოცხლით უნდა აგოს პასუხი ამ ტერაქტზე, რაც სხვებისთვის გაკვეთილი უნდა იყოსო. თან დაამატა – "ოპერაცია უნდა ჩატარდეს მაქსიმალურად უხმაუროდ, აფეთქებებისა და სროლების გარეშე. სიკვდილი იმდენად ბუნებრივი უნდა იყოს, რომ არავინ იეჭვოს ჩვენი მონაწილეობა".

მეორე დღეს "მოსადის" ხელმძღვანელობამ პრემიერ-მინისტრს "ჰამასის" ოთხი ლიდერის სია წარუდგინა. განხილვის შემდეგ "ლიკვიდაციის ობიექტად" შეარჩიეს ამ ორგანიზაციის პოლიტბიუროს ხელმძღვანელი ჰალედ მაშალი. ოპერაციის დაგეგმვა და ჩატარება დაევალა "მოსადის" ერთ-ერთი სპეცჯგუფის "კეისარიას" უფროსს მიხეილ ბენ-დავიდს. მას ჯგუფში ბევრი გამოცდილი სანიპერი და ამფეთქებელი ჰყავდა, მაგრამ რადგანაც ნაბრძანები იყო მაშალის ლიკვიდაცია "არატრადიციული მეთოდებით", ბენ-დავიდს თავსატეხი გაუჩნდა.

დახმარებისთვის მან "მოსადის" ბიოქიმიური ლაბორატორიის თანამშრომლებს მიმართა და არ შემცდარა. "სიკვდილის ჯადოქრებმა" გაუმხილეს, რომ ლაბორატორიას შეუძლია დაამზადოს განსაკუთრებული შხამი, რომლის ერთი წვეთის კანზე მოხვედრაც საკმარისია, რომ ადამიანმა გონება დაკარგოს, კომაში ჩავარდეს და მოკვდეს. თანაც მალევე ამ საწამლავის კვალიც არ რჩება მსხვერპლის სისხლში.

ლიკვიდაციის სპეცოპერაცია შემდეგ სცენარს ითვალისწინებდა. იორდანიის დედაქალაქ ამანში, სადაც იმ პერიოდში ჰალედ მაშალი ცხოვრობდა, უნდა ჩასულიყო "მოსადის" ორი ლიკვიდატორი კანადელი ტურისტების პასპორტებით. ქუჩაში ისინი მიუახლოვდებოდნენ ჰალედს და ერთი მათგანი, "კოკა-კოლას" ქილის გახსნისას, ვითომ შემთხვევით გაწუწავდა პალესტინელს. ამ დროს მეორე აგენტს რამდენიმე წვეთის შხამი უნდა მიეს‌ხურებინა ჰალედისთვის კისერზე. ამის შემდეგ ისინი ბოდიშს მოუხდიდნენ "მსუბუქად დაზრალებულს" და ქუჩის მეორე მხარეს მდგარი მანქანით სასწრაფოდ დატოვებდნენ შემთხვევის ადგილს. შხამი შესაძლოა თავად აგენტებსაც მისხურებოდათ, ამიტომ "მოსადის" ბიოქიმიკოსებმა თავის დაზღვევის მიზნით აგენტებს სპეციალური ანტიდოტი მისცეს, რომელიც მომენტალურად ანეიტრალებდა შხამის მოქმედებას.

1997 წლის 21 სექტემბერს "კეისარიის" ექვსი წევრი ამანში ჩავიდა. უკვე ოთხი დღის შემდეგ ოპერაცია განხორციელდა. 25 სექტემბერს დილით, როდესაც "მოსადის" ორი აგენტი ოფისში მიმავალ ჰალედ მაშალს "შემთხვევით" უკან აედევნა, ეს "ჰამასის" ლიდერის მძღოლმა შეამჩნია და თავის შეფს დაუძახა. მოტრიალებულ და გაოცებულ ჰალედს ერთმა სახეში "კოკა-კოლა" შეასხა, ხოლო მეორემ ყურში რაღაც სითხე შეასხურა. ჰალედის

ყვირილზე დაცვის ერთმა წევრმა მოირბინა და ორ გაქცეულს უკან დაედევნა. ხელჩართულმა ჩხუბმა გამველელების ყურადღება მიიპყრო — აბა როგორი ამბავია ორი ევროპულად ჩაცმული "ვერზილა" ერთ არაბს სცემს და დახრჩობას უპირებს? ამიტომაც პოლიციის მოსვლამდე "მოსადის" აგენტებმა მიმალვა ვეღარ მოასწრეს. თუმცა პოლიციის განყოფილებაში კანადური პასპორტები ამაყად და უშიშრად წარადგინეს. დოკუმენტების სიყალბის დადგენის მათ არ ეშინოდათ, რადგანაც "მოსადს" ხომ უმაღლესი დონის გამყალბებლები ჰყავს შტატში!

ასეც მოხდა. პასპორტების ისე ირწმუნეს იორდანელმა პოლიციელებმა, რომ მაშინვე კანადის კონსული გამოიძახეს. აი მაშინ კი დაიწყო "მოსადის" შერცხვენა. "კანადელებმა" არ იცოდნენ რომელ ქალაქში ცხოვრობდნენ, რომელი სკოლა დაამთავრეს და სხა უმარტივეს კითხვებზეც ვერ გასცეს პასუხი. ამ დროს ჰალედ მაშალზე თავდასხმის დეტალებიც გაირკვა და იორდანელებისთვის უკვე ბევრი რამ გახდა ნათელი.

იორდანიის მეფე ჰუსეინისთვის "ჰამასის" ერთ-ერთ ლიდერზე დღისით-მზისით, მისი სამეფოს დედაქალაქში მოწყობილი თავდასხმა უდიდესი პიროვნული შეურაცხოფა და საერთაშორისო სკანდალი იყო. ამანის ერთ-ერთ საავადმყოფოში ჰალედ მაშალი უკვე სიკვდილს ებრძოდა, გონდაკარგული ხელოვნურ სუნთქვაზე იყო, ხოლო იორდანიელი ექიმები ავადმყოფობის მიზეზს ვერ ადგენდნენ. მაშალის სიკვდილის შემთხვევაში "მოსადის" ორივე აგენტს სიკვდილით დასჯა გარანტირებული ჰქონდათ. ამ ყველაფერს კი ისრაელ-იორდანიის ოდნავ დამთბარი ურთიერთობების საბოლოო გაცივება მოჰყვებოდა.

იორდანიაში სასწრაფოდ ჩაფრინდნენ ისრელის პრემიერ-მინისტრი ნათანიაჰუ, ინფრასტრუქტურის მინისტრი და მეფე ჰუსეინის ძველი პარტნიორი არიელ შარონი და "მოსადის" დირექტორი ეფრაიმ ჰალევი.

"პარადი" მეფე ჰუსეინს მიჰყავდა. მისი მოთხოვნით ორი აგენტის სანაცვლოდ ისრაელის ციხეებიდან გაანთავისუფლეს ათეულობით პალესტინელი "ბოევიკი", მათ შორის შეიხი აჰმედ იასინი. ხოლო ჰალედ მაშალის გადასარჩენად საავადმყოფოში ანტიდოტი თავად მიხეილ ბენ-დავიდმა მიარბენინა. მეორე დილას მაშალი გონზე მოვიდა და სასიცოცხლო ფუნქციები აღუდგა.

ასე სამარცხვინოდ დასრულდა "მოსადის" ორი ოპერაცია.

ამ დროს დაშვებული უამრავი ოპერატიული შეცდომის უმთავარი მიზეზი გაუმართლებელი სიჩქარე იყო. ამგვარი სპეცოპერაციების დაგეგმვასა და ჩატარებას, როგორც წესი, სულ მცირე ცხრა-ათი თვე მაინც სჭირდება, რათა დაიგეგმოს ყველა დეტალი და გამოირიცხოს ნებისმიერი შემთხვევითობა.

ყოველივის ასე მოხდება, როდესაც ქვეყნის პირველი პირი ნაჩქარევ გადაწყვეტილებას მიიღებს სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ, ხოლო

ხელქვეითები და სპეციალისტები სათანადო ოპერატიულ-აგენტურული მომზადების გარეშე შეეცდებიან ამ ბრძანების შესრულებას.

## "ღვინო, დუდუკი, ქალები"

### როგორ სწავლობდნენ ებრაელი მზვერავები სმას

მზვერავისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ბევრი სმის შემდეგ ფხიზელი გონების შენარჩუნების უნარი ჰქონდეს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპეცსამსახური, ისრაელის საგარეო დაზვერვა ("მოსადი"), საკმაოდ რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. უცხოეთში არალეგალურად გაგზავნილმა ებრაელმა მზვერავებმა არ იცოდნენ ალკოჰოლის სმა.

ისინი სწრაფად თერებოდნენ და პირველსავე შემხვედრს გულს უხსნიდნენ ან საიდუმლო დოკუმენტებს კარგავდნენ. ისრაელის დაზვერვის სუსტი წერტილი მალევე შეიტყო მტერ-მოყვარემ და იყო ერთი შეუკიბრი საბჭოთა და ამერიკის მზვერავებს შორის - პირველი ვინ დაათრობდა "დავითის შთამომავლებს."

"მოსადის" ხელმძღვანელობამ ამ პრობლემის გადაწყვეტის საინტერესო გზას მიაგნო. მათ 18 თვიანი მოსამზადებელი კურსები გახსნეს, სადაც ახალგაზრდა მზვერავებს ასწავლიდნენ სასმელის დეგუსტირებას, სასმელის შესაბამისი ისეთი კერძის შერჩევას, რომელიც სპირტის ზემოქმედებას გაანეიტრალებდა. სასწავლო კურსების დამთავრების შემდეგ სპეციალური ბანკეტი-გამოცდა ეწყობოდა, სადაც ახალგაზრდა მზვერავების სმისა და ზარხოშის პროცესს ხელმძღვანელობა დიდი გულისყურით აკვირდებოდა.

### დათრობის საწინააღმდეგო ქიმიური პრეპარატები

სპეციალური ოპერაციის ჩატარებისას, როგორც წესი, ყველა წვრილმანი უნდა იყოს გათვალისწინებული. მეორე დილას კი აგენტთან შეხვედრის ანგარიშია სასწრაფოდ დასაწერი, არ გინდა ამის გაკეთება ნაბახუსევზე, როდესაც თავი გისკდება?

სპეცსამსახურის თანამშრომლისთვის მთავარია, რომ სხვა დაათროს, თვითონ კი ფხიზელი დარჩეს. მაგრამ აქ ტრივიალური ფანდები – სასმელის ჭიქაში დატოვება ან "ბორჯომით" გაზავება არ გამოდგება. ამიტომაც "ჯეიმს ბონდები" და "შტირლიცები" იძულებულნი არიან, არ დაეჭვონ

ოპერატიული დამუშავების ობიექტი და თავადაც არ ჩამორჩნენ სმაში. ამ დროს კი ფხიზელი მდგომარეობის და ნათელი გონების შენარჩუნება ყოველთვის პრობლემატურია.

როგორ უნდა გაანეიტრალო ალკოჰოლის მოქმედება ისე, რომ დალიო მაგრამ არ დათვრე ან მეორე დილას ნაბახუსევზე "სიცოცხლისუნარიანობა" შეინარჩუნო?

გამოსავლის ძიება ამგვარი "ჭრელო პეპელას" მდგომარეობიდან, იმ დროიდან დაიწყო, რა დროიდანაც შპიონაჟის ისტორია იწყება.

არსებობს წინაპრების მიერ გამოცდილი ბახუსთან ბრძოლის მრავალი მეთოდი, თუმცა მათ ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. გაცილებით საინტერესოა დათრობის საწინააღმდეგო ქიმიური პრეპარატები, რომლებსაც სპეცსამსახურები იყენებენ.

ანეკდოტურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 1970-იან წლებში, როცა კა-გე-ბეს გენერალი, შორეული აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი, დიპლომატის საფარქვეშ სპეციალურად ჩავიდა ბირმაში იქ მცხოვრები, მის მიერ ადრე გადმობირებული ჩინელი ეროვნების აგენტის შესამოწმებლად. სადილისას მოსკოველმა სტუმარმა აგენტს შეუმჩნეველად ჩაის ფინჯანში "სიმართლის ფხვნილი" ჩაუყარა, რათა მას თვითკონტროლი დაეკარგა და რაც იცოდა, თუ არ იცოდა ყველაფერზე ელაპარაკა. მაგრამ "სიმართლის" დასადგენი ოპერაცია ჩაიშალა– ალბათ კა-გე-ბეს ქიმიური ლაბორატორიის "შამანებს" დოზა ძლიერი მოუვიდათ და ექიმებმა აგენტი ძლივს გამოსტაცეს სიკვდილს. საერთაშორისო სკანდალის თავიდან ასაცილებლად საბჭოთა "დიპლომატი" თავქუდმოგლეჯილი გაიქცა აეროპორტში და ბირმა სასწრაფოდ დატოვა.

## კა-გე-ბეს ტაბლეტები – მითი თუ სინამდვილე?

ლეგენდა კა-გე-ბეს საიდუმლო სპეცლაბორატორიებში დამზადებულ ჯადოსნურ პრეპარატზე, რომელთაც ბახუსის ძლევა შეეძლოთ, მრავალი ათეული წელია რაც არსებობს. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გავრცელებული შეხედულებით ყველა საბჭოთა მზვერავი "აღჭურვილი" იყო განსაკუთრებული "იარაღით" – დათრობის წინააღმდეგ სპეციალური ტაბლეტებით, რომლის მიღების შემდეგ თვითონ ფხიზელნი რჩებოდნენ, თავიანთ თანამეინახეს კი ისე ათრობდნენ, რომ ყველა საიდუმლოებას ალაპარაკებდნენ.

ეს მედიკამენტი, საოცარი საშუალებაა, იგი ორგანიზმში იმ ფერმენტის გამომუშავებას წყვეტს, რომელიც ალკოჰოლს აცეტალდეჰიდად გარდაქმნის, ეს უკანასკნელი კი მომწამვლელი ნივთიერებაა და იგი ადამიანის დათრობას იწვევს.

კა-გე-ბეს ვეტერანებიდან ზოგს საერთოდ არ სმენია ამ პრეპარატის შესახებ, ზოგი კი პირიქით ირწმუნება, რომ ეს ტაბლეტები ნამდვილად გამოიყენებოდა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ.

ზოგი ვეტერანი, რომელიც სზაღვარგარეთ მუშაობდა და უკვე დიდი ხანია პენსიაზეა, გაკვირვებით იჩეჩავს მხრებს. მათ შორისაა ყველასთვის კარგად ნაცნობი იური კობალაძე, საბჭოთა და რუსეთის დაზვერვის გენერალ-მაიორი. მისი მტკიცებით ამგვარი ტაბლეტები არ არსებობს და მას ისინი პრაქტიკაში არ გამოუყენებია. ხოლო დათრობის საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტურ საშუალებად ჩვეულებრივ კარაქიან ბუტერბროდს, მეორე დილისთვის კი პრეპარატ ალკოზელცერს ან "ხალხურ საშუალებებს" კეფირის და მწნილის წვენის მიღებას გვთავაზობს.

საბჭოთა დაზვერვის მეორე ვეტერანი გრიგორი სამარინი კი ამტკიცებს, რომ მსგავსი პრეპარატი ნამდვილად არსებობდა. მისი სიტყვებით ის თავად შეესწრო ასეთ ფაქტს 1953 წელს. კა-გე-ბეს კონტრდაზვერვის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ორი ოპერატიული თანამშრომლისთვის, რომელთაც რომელიღაც საზეიმო ვახშამზე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე უნდა გადაებირებინათ, სპეციალური ტაბლეტები გადაუცია. თან დაუყოლებია – ყოველი 100 გრამი არაყის დალევის შემდეგ ეცადეთ შეუმჩნეველად ერთი ტაბლეტი მიაყოლოთო, ამერიკელი გაითიშება, თქვენ კი ფხიზლები დარჩებითო.

## ქართველები აქაც მაგრები ვართ?

"ციცი ომის" დროს გაასაიდუმლოებული პრეპარატი RU-21 რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული და ექსპერიმენტალური ბიოქიმიის მეცნიერებმა 1999 წლიდან კომერციულ პროდუქტად აქციეს. რომლის რეალიზაციის ექსკლუზიური უფლება ამერიკულ კომპანია "Spirit Sciences" აქვს.

დღეს პრეპარატი RU-21, რომელიც კა-გე-ბემ შექმნა იმისათვის რომ საბჭოთა აგენტები ფხიზლად დარჩენილიყვნენ. ინტერნეტში სრულიად თავისუფლად იყიდება, როგორც ბახუსის საწინააღმდეგო უბარი საშუალება.

"კა-გე-ბეს ტაბლეტებზე" დიდი მოთხოვნაა მთელ მსოფლიოში. სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების თანამშრომლები და აგენტები, ჰოლივუდის ვარსკვლავები და "ტოპ-მოდელები" ფულს არ იშურებენ ამ ტაბლეტების შესაძენად (იმხიარულე მთელი ღამე, დილით კი გამოცხადდი გადასაღებ მოედანზე ან პოდიუმზე თავის ტკივილისა და გაწითლებული თვალების გარეშე – ეს ხომ მათი ოცნებაა), რომელსაც ლოს-ანჯელესში მდებარე პატარა ფარმაცევტული ფირმა "Spirit Sciences" ჰყიდის. პრეპარატს კვირაში საშუალოდ 10 000 დოლარი შემოაქვს. ერთი შეკვრა (20 ტაბლეტი)

9,95 დოლარი ღირს. ეტიკეტზე აწერია "მიიღეთ ალკოჰოლთან ერთად". მწარმოებლები გვპირდებიან რომ პრეპარატი ამცირებს ალკოჰოლის ტოქსიკურ მოქმედებას და ბაბუსიც შეგვიძლია დავივიწყოთ. ამისათვის კი საკმარისია დავლიოთ 1-2 ტაბლეტი ყოველ 100 გრამ მაგარ სასმელთან.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სმისა და ქეიფის მოყვარულმა ქართველებმა ნაბახუსევის წინააღმდეგ "ბრძოლაშიც" ლოგიკურად გამოვიჩინეთ თავი. საქმე იმაშია, რომ ამერიკულ კომპანიას ჩვენი თანამემამულე, ამჟამად კალიფორნიაში მოღვაწე ბიზნესმენი მილ ჩჰიაბერი (იგივე ემილ ჭიაბერი) ხელმძღვანელობს. მის შესახებ ვიცით, რომ ცხოვრობს ლოს-ანჯელესში, მხატვრობისა და ჯაზის დიდი მოყვარულია. თავადაც ხშირად უკრავს ლოს-ანჯელესის სხვადასხვა კლუბებში.

ეს ალბათ ჰობი უფროა, რადგანაც კა-გე-ბეს საიდუმლო პრეპარატ RU-21 რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი უზრუნველი ცხოვრების საშუალებას ნამდვილად იძლევა.

## სპეცსამსახურები და საერთაშორისო ინვესტიციები

შესაძლებელია საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის სპეცსამსახურების და საერთაშორისო ინვესტიციების ურთიერთდაკავშირება ცოტა მოულოდნელი იყოს. თუმცა ადამიანის ცხოვრების სფერო აღარ დარჩა, სადაც სპეცსამსახურებმა "ცხვირი არ შეყონ" და ეკონომიკა გამონაკლისი რატომღა იქნებოდა?

ალბათ ერთადერთი ქვეყანა საქართველოა, სადაც სახელმწიფო ქონება ისე იყიდება უცხოელებზე, რომ კაცი არ ინტერესდება სინამდვილეში რა უდევთ გულში და რა გეგმები აქვთ მათ. ყველას ახსოვს კახა ბენდუქიძის "ფრთიანი ფრაზა" – ყველაფერი უნდა გავყიდოთ სინდისის გარდაო, მაგრამ ვინ იცის იქნებ ქვეყნის ეროვნული ინტერესები ეწირება სახელმწიფო ბიუჯეტის "გადაჭარბებით შესრულების" ამოცანას?

ამ ორიოდე წლის წინ აშშ-ის კონგრესმა ნება არ დართო ალმასრულებელ ხელისუფლებას, ქვეყნის ექვსი საზღვაო პორტი ათი წლის მართვის უფლებით უცხოელი ინვესტორისთვის, კერძოდ კი აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის საუდის არაბეთის ერთ-ერთი ფირმისთვის გადაეცა. ევროკავშირი კი უფრო და უფრო ამკაცრებს საინვესტიციო პოლიტიკას, რათა უცხოეთის (უპირველესად კი რუსეთის) ენერგეტიკულმა მონოპოლისტმა კომპანიებმა, რომელთა უკან ყოველთვის სახელმწიფო ინტერესები იმალება, ხელში არ ჩაიგდონ ევროპის ბაზრები.

ახლაბან აშშ-ში მიიღეს კანონი "უცხოური ინვესტიციების შესახებ" და შექმნეს სპეციალური საბჭო უცხოური ინვესტიციების კონტროლისთვის.

ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, რომ ამ საბჭოს შემადგენლობაში ქვეყნის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორები არიან შეყვანილნი.

ჩვენთან კი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები თვითდინებაზეა მიშვებული და ეს პრობლემები სულ მალე თაეში საცემი გაგვიხდება.

## ნუ დახოცავთ ჟურნალისტებს!

ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობა არ იყო რიგითი დანაშაული თვით რუსეთისთვისაც კი, სადაც შეკვეთილი მკვლელობები უკვე კარგა ხანია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. საყოველთაო აღიარებით პოლიტკოვსკაია რუსეთში გაქრობის პირას მყოფი დემოკრატიის ერთ-ერთი ბოლო "ბარომეტრი" და ყველაზე ობიექტური ჟურნალისტი გახლდათ. პუტინის "მართვადი დემოკრატიის" რეჟიმში, როდესაც რუსეთის საინფორმაციო სივრცის თითქმის ყველა არხს, სპეცსამსახურები აკონტროლებენ, პოლიტკოვსკაია და ყოველკვირეული "ნოვაია გაზეტა" სიმართლის უკანასკნელი ციტადელი იყვნენ. ეს განსაკუთრებით კრემლის მიერ გაჩაღებული ანტიქართული ისტერიის დროს გამოჩნდა, როცა რუსეთში ყოველივე ქართული იდევნებოდა თითოროლა ჟურნალისტმა და მხოლოდ ამ გაზეთმა გაბედა სიმართლის თქმა. წლების მანძილზე პოლიტკოვსკაია თამამად ამხელდა რუსეთის ხელისუფლების სისასტიკეს ჩეჩნეთში, იძიებდა ბესლანისა და "ნორდ-ოსტის" ტრაგედიის ნამდვილ მიზეზებს და კილერის ტყვიამაც არ დააყოვნა. პოლიტკოვსკაიას მკვლელობა მსოფლიოსთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა.

ყველა ქვეყნის ლიდერი, ვინც რაიმეთი არ არის დავალდებული რუსეთის ხელისუფლებისგან, მოითხოვს ამ დანაშაულის სასწრაფო გახსნას. რუსეთის პროკურატურამ ამ ცოტა ხნის წინ საზეიმოდ გამოაცხადა მკვლელობის გახსნის შესახებ და "ჩეჩნური კვალზე" პირდაპირ მიანიშნა. ამიტომაც ცხრა დაკავებულიდან უმრავლესობა ჩეჩენი ეროვნების (მათ შორის სამი ძმა) იყო.

მეტი დამაჯერებლობისთვის ეჭვმიტანილებში ერთი ფე-ეს-ბეს ყოფილი ოფიცერი და ერთიც მილიციის რიგითი თანმშრომელი "აღმოჩნდნენ". საქმე იმდენად არაპროფესიონალურად იყო "შეკერილი", რომ ყველა ეჭვმიტანილი უკვე გაანთავისუფლეს.

პოლიტკოვსკაიას მკვლელობა არ იყო რუსეთში ჟურნალისტის შეკვეთილი მკვლელობის ან საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების არც პირველი და არც უკანასკნელი შემთხვევა. 2000 წლიდან მოყოლებული დაიღუპნენ "სოვერშენო სეკრეტნო"-ს მთავარი რედაქტორი არტემ ბოროვიკი, რუსეთის

სათათბიროს დეპუტატი, ცნობილი ჟურნალისტი იური შჩეკოჩიხინი (რომელიც გაურკვეველი ვირუსმა ერთ კვირაში გამოასალმა სიცოცხლეს), ორი წლის წინ კი – 2007 წლის 2 მარტს, დღისით-მზისით საკუთარი სახლის სადარბაზოს ფანჯრიდან "გადმოვარდა" და დაიღუპა გაზეთ "კომერსანტის" სამხედრო მიმომხილველი ივანე საფრონოვი. საინტერესოა, რომ რამდენიმე დღით ადრე ამ სამხედრო ჟურნალისტს ხელში ჩაუვარდა სუპერსენსაციური მასალა იმის შესახებ, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარულად, რუსეთი ბელორუსიის გავლით თანამედროვე იარაღს აწვდის ირანსა და სირიას. ჟურნალისტი ამ მასალის გამოქვეყნებას უახლოეს ნომერში გეგმავდა, რის შესახებაც ტელეფონით მეგობარს ესაუბრა. ამ ფაქტების გამოქვეყნება სერიოზულ ზიანს მიაყენებდა რუსეთის "მშვიდობის მტრედის" იმიჯს და ამიტომაც მეორე დღეს საფრონოვი "შემთხვევით" გადმოვარდა ფანჯრიდან.

საბჭოთა ფორმულა: "არ არის ადამიანი, პრობლემაც აღარ არის" – ამ შემთხვევაშიც გამართლდა. მით უმეტეს, რომ ის სენსაციური მასალებიც გაქრა.

რუსეთის პროლურატურამ საფრონოვის დაღუპვა თვითმკვლელობის მოტივით "დაასაბუთა" და საქმე დახურა. ჟურნალისტების განადგურების ამ შემზარავი ფაქტების შემდეგ ერთი კითხვა ტრიალებს თავში: რუსეთში სიმართლის მთქმელი დარჩა ვინმე?

## საბჭოთა "ჩაშვების ინსტიტუტი" 77 წლის გახდა

2009 წლის 3 სექტემბერს 77 წელი შესრულდა საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი ფენომენის "ოჯახური ჩაშვების" დღიდან. 1932 წლის ზაფხულში საბჭოთა პიონერმა პავლიკ მოროზოვმა (14.11. 1918 – 03. 09. 1932) ჯერ საკუთარი ოჯახის წევრები – მამა, ბიძები და პაპა დააბეზღა სტალინის საიდუმლო პოლიციაში (ОГПУ), ხოლო შემდეგ კი მეზობლებზეც გადავიდა. იმ პერიოდში კულაკობის ბრალდება სიკვდილის ტოლფასი იყო. დაპატიმრებულებს მთავარ ბრალდებად ანტისაბჭოთა მოქმედები და კულაკობა წაუყენეს და მათ მიერვე გათხრილ საფლავებში დახვრიტეს.

ამის შემდეგ პავლიკ მოროზოვი და მისი ცხრა წლის ძმა – ფედია, ტყეში მოკლულები იპოვეს. თითქოს ამ ტრაგედიას ელოდნენო და "ჩეკისტებმა" სოფლის ათეულობით მცხოვრები მკვლელობის ბრალდებით დახვრიტეს, ხოლო დანარჩენებს კოლმეურნეობაში შესვლა აიძულეს.

ციმბირის მიყრუებულ სოფელ გერასიმოვკაში დატრიალებული ტრაგედია საბჭოთა იდეოლოგიის "დროშა" გახდა "კულაკებთან" და "კონტრრევოლუციასთან" ბრძოლაში. საბჭოთა დიქტატორის მოთხოვნით "პატარა გმირს" ნაწარმოებები მიუძღვნეს მაქსიმ გორკიმ, ისაკ ბაბელმა, სერგეი

მიხალკოვმა. გენიალურმა რეჟისორმა სერგეი ეიზენშტეინმა მხატვრული ფილმის გადაღებაც სცადა, მაგრამ სტალინმა დაიწუნა – იდეოლოგიურად სრულყოფილი არ არისო.

პატარა პიონის გმირობის შესახებ უამრავი ლექსი, პოემა და ნახატი შეიქმნა. 1940-იანი წლების ბოლოს მას მოსკოვში ძეგლიც კი დაუდგეს "გმირობისათვის". სტალინის გადაწყვეტილებით პავლიკა "სოციალიზმის პატარა სიმბოლოდ" იქცა. უფრო მეტიც, პავლიკ მოროზოვით დაიწყო დაბეზღების საბჭოთა იდეოლოგიის რანგში აყვანა.

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას, ქალაქს და სოფელს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა საკუთარი "პავლიკ მოროზოვი", რომელიც მშობლებს, მეგობრებს და მეზობლებს დააბეზღებდა და ტყუილ-მართალს სპეცსამსახურებს მიაწვდიდა. გეგმაც კი ჰქონდათ:

რამდენი "პავლიკა" გყავთ? ცოტაა! ვერ მუშაობთ კარგად!
რა, კონტრევოლუციას უწყობთ ხელს? და ბახ! ტყვია კეფაში.

ხშირი იყო ამგვარი საქმის გარჩევები "ჩეკაში".

"ჩაშვების ინსტიტუტი" საბჭოთა კავშირში ადრევე არსებობდა, თუმცა ამგვარი ამაზრზენი ფორმები არ ჰქონდა. ათწლეულების მანძილზე შავ ზღვაზე მდებარე პიონერთა ბანაკ "არტეკში" ათასობით "პავლიკ მოროზოვს" აგროვებდნენ და ინსტრუქტაჟს უტარებდნენ. 1945 წლის შემდეგ ე.წ. სოციალისტური ბანაკის შექმნის პარალელურად "პავლიკას ეფექტი" შავი ჭირივით მოედო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსაც. გერმანელი, ბულგარელი, პოლონელი და ა.შ. ბავშვები იძულებულნი იყვნენ მისი "გმირობის" ისტორია დაწვრილებით შეესწავლათ და მისთვის მიებაძათ.

სტალინი კმაყოფილი იყო. მთელი სისტემა "რკინის ფარდაში" მოაქცია, შიგნით კი დიდ-პატარა "პავლიკ მოროზოვების" ზეობა იყო. იცოდა ბელადმა, რომ ისე არაფერი უყვარს ადამიანს, როგორც სხვისი განქიქება და დაბეზღება. მასვე ეკუთვნის "ჩაშვების ინსტიტუტის" მეორე მძლავრი ინსტრუმენტის ე.წ. კომუნალური ბინების აშენების იდეაც.

აბა წარმოიდგინეთ, ორი, სამი, ოთხი და ზოგჯერ ხუთი ოჯახიც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს, ყველამ ყველაზე ყველაფერი იცის და დიდი სიამოვნებით დარბიან "ჩეკაში" ერთმანეთის დასაბეზღებლად. დაუზარელად უთვალთვალებენ მეზობლებს, განსაკუთრებით საერთო სამზარეულოში, სულ ზეპირად იციან ვინ რა სადილს ამზადებს და რისგან. დაბეზღება ცხოვრების წესად იქცა და ამ დროს ვინ გაბედავდა კონტრევოლუციის ან სტალინის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას?

მხოლოდ ათწლეულების შემდეგ გაირკვა პავლიკ მოროზოვის ნამდვილი ისტორია და დადგინდა მკვლელთა ვინაობა. ცნობილმა რუსმა პროზაიკოსმა, ამჟამად კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა იური დრუჟნიკოვმა დიდი ძალა და დრო შეალია "პატარა გმირის" ბიოგრაფიის საიდუმლო ფაქტების კვლევას. უპირველესად ის არანაირი "მოწინავე პიონერი" არ

ყოფილა, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ჩუმად გაუფორმებიათ სოფლის პიონერული ორგანიზაციის წევრად. მამის დაბეზღების ნამდვილი მიზეზიც სინამდვილეში ოჯახური კონფლიქტი ყოფილა – პავლიკას მამას ოჯახი მოუტოვებია და სხვა ქალთან წასულა. სამაგიეროს გადახდის დიდმა სურვილმა პავლიკა "ჩეკისტებთან" მიიყვანა და მამაზე, ბიძებზე და პაპაზე სულ ტყუილები ალაპარაკა: "ხორბალი თავზე საყრელი გვაქვს, ცოტა რძეც, ხანდახან კი კარაქიც, ამ დროს კი მსოფლიო პროლეტარიატი შიმშილობს, ამიტომ ჩემმა კულაკების ოჯახმაც უნდა იშიმშილოსო".

"ჩეკაშიც" მეტი რა უნდოდა? კულაკები (სინამდვილეში მშრომელი გლეხები) უნდა გაენადგურებინათ, როგორც კლასი. მათთვის წართმეული ქონებით კი კოლმეურნეობები უნდა შეექმნათ. ამგვარი იყო ბელადის მიერ გაცემული დირექტივა. რაც ყველაზე მთავარია, იური დრუჟნიკოვის მიერ მიკვლეული არქივებიდან გაირკვა, რომ პავლიკ მოროზოვის და მისი ძმის მკვლელები "ჩეკისტები" კორტაშოვი და პოტუპნიკი ყოფილან. ეს საზარელი დანაშაული საბჭოთა საიდუმლო პოლიციაში დაგეგმილი სპეცოპერაციის ნაწილი აღმოჩნდა.

ათწლეულები გავიდა, თუმცა პავლიკ მოროზოვი დღესაც ბევრისთვის გმირად რჩება. რუსეთის და ბელორუსიის ხელისუფლება თვალისჩინივით უფრთხილდება ამ ლეგენდას. ამ ქვეყნებში ბევრი სკოლა, ბიბლიოთეკა, ქუჩა და თქვენ წარმოიდგინეთ გემიც, მის სახელს ატარებს.

რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება კვლავ 1932 წელს "ჩეკაში" შექმნილ ისტორიას იმეორებს. 1999 წელს რუსეთის უზენაესმა სასამართლომ, მიუხედავად უამრავი ახალი მტკიცებულებისა, პავლიკ მოროზოვის მკვლელობაში უდანაშაულოდ დასჯილი რუსი გლეხების რეაბილიტაციაზე უარი განაცხადა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ 1930-იანი წლებში შექმნილი "დაბეზღების ფსიქოზი" დღესაც სჭირდებათ.

## ორეულები პოლიტიკასა და სპეცსამსახურებში

1980-იანი წლების ბოლოა. საბჭოთა კავშირში გაგანია "პერესტროიკაა". მოსკოვში,არბატის ქუჩაზე მივაბიჯებ. ყურადღება ხალხის ჯგუფმა მიიპყრო, რომლებიც რკალად შემორტყმოდნენ ლენინს, სტალინს, პეტრე I და კიდევ სხვა ისტორიულ პერსონაჟს. ეს ორეულები ლუკმაპურს გარეგნული მსგავსებით შოულობდნენ. მაშინ საბჭოთა კავშირში ეს უცხო ხილი იყო, დღეს კი ბევრი სატელევიზიო შოუ სწორედ "ორეულების ეფექტზეა" აგებული. განსაკუთრებით რუსეთში განვითარდა ეს ბიზნესი. ინტერნეტში შეიძლება ამგვარ განცხადებასაც წააწყდეთ: "გსურთ გენერალ ძმას დაბადების

დღეზე სიურპრიზი მოუწყოთ? მაშინ შეგიძლიათ ინტერნეტით გამოიწეროთ ცოცხალი პრეზიდენტი პუტინი". ბუნებრივია ეს პუტინის ორეული იქნება.

ორეულები ოდითგან იყენებენ ხელმწიფეთა და დიქტატორთა სამსახურში. რაც უფრო ტირანი და შეუბრალებელი იყო ხელისუფალი, მით უფრო დიდი იყო შურისძიების შიში და ამიტომაც უფრო მეტი ორეული ჰყავდა მას. დიქტატორისთვის განკუთვნილ საწამლავს, ხანჯალსა თუ ტყვიას ბევრჯერ უმსხვერპლია მისი ორეული.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურებშიც მიხვდნენ ორეულების გამოყენების დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს საიდუმლო ოპერაციების ჩატარების დროს. დღეს კი, როცა სახელმწიფოს მეთაურებს სულ უფრო ხშირად უხდებათ "ხალხში გასვლა" და მრავალრიცხოვან შეკრებებში მონაწილეობა, ორეულების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. თუმცა ხელისუფლების უმაღლეს პირთა ორეულების არსებობის ფაქტი ისევე გასაიდუმლოებულია, როგორც ქალის ასაკი.

## ბრიტანელი ფელდმარშლის ორეული

მეორე მსოფლიო ომის დროს, ანტიჰიტლერული კოალიციის მიერ 1944 წელს საფრანგეთის სანაპიროზე დესანტის გადმოსხმის შესანიღბად "ორეულის ოპერაცია" ჩაატარეს. დიდი ბრიტანეთის მი-6-ის ერთ-ერთი აგენტი, რომელიც გარეგნულად ძალზე წააგავდა მოკავშირეების ჩრდილოეთ აფრიკაში განლაგებული სამხედრო დაჯგუფების სარდალს ფელდმარშალ მონტგომერის, გამოაწყეს ფელდმარშლის მუნდირში და ორი თვითმფრინავით და დიდი ამალით გაგზავნეს ვითომდა საინსპექციო შემოწმებაზე გიბრალტარსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

გერმანიის დაზვერვამ ეს ინფორმაცია სასწრაფოდ ბერლინს შეატყობინა, სადაც კიდევ უფრო განუმტკიცდათ აზრი, რომ მოკავშირეები მეორე ფრონტის გახსნას იტალიაში ან ბალკანეთზე აპირებდნენ და მთელი ძალები იქითკენ მიმართეს. მოკავშირეებმა კი ევროპის კონტინენტზე შეჭრის ოპერაცია წარმატებით ჩაატარეს.

## ჰყავდა თუ არა ჰიტლერს ორეულები?

ეს კითხვა 1945 წლის 30 აპრილის შემდეგ გახდა აქტუალური. ოფიციალური ვერსიით ამ დღეს ადოლფ ჰიტლერმა და ევა ბრაუნმა თავი მოიკლეს. მათი ნახევრად დამწვარი ცხედრები საბჭოთა კავშირის არმიის სპეციალურმა ნაწილებმა აღმოაჩინეს. სტალინს ეჭვი ღრნიდა - "კიდევ ხომ

არ გამაცურა ამ არაკაცმა?", ამ ფიქრებით დამძიმებული ბოლთას სცემდა და ჩამქრალ ჩიბუხს აწვალებდა. სიცოცხლის ბოლომდე "დიდ დიქტატორს" სჯეროდა, რომ გარდაცვლილი, ფიურერის ორეული იყო, ხოლო თავად ჰიტლერი სამხრეთ ამერიკაში იმალებოდა. სტალინს დაეჭვების მიზეზი ნამდვილად ჰქონდა, რადგანაც ომის დასრულების შემდეგ მრავალი ამგვარი ვერსია გავრცელდა.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად 1941 წელს "გესტაპოს" შეფ მიულერს მოახსენეს, რომ გერმანიის ერთ-ერთ ქალაქ ბრესლაუში, პოლიგრაფიულ ფაბრიკაში მუშაობს ერთი ინჟინერი გუსტავ ველერი, რომელიც საოცრად ჰგავს ჰიტლერს. საიდუმლო პოლიციის დიდი მცდელობის შემდეგ ეს პიროვნება გარეგნულად, სიარულით, ჟესტიკულაციით და მეტყველებით ფიურერის ნამდვილი "ქსეროასლი" გახდა. ის რამდენჯერმე გამოვიდა მრავალათასიან მიტინგზე და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. მაგრამ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო.

1945 წლის 30 აპრილს ორეულს (ველერს) ჰიტლერის მუნდირი ჩააცვეს, შემდეგ "ვალტერის" პისტოლეტით მოკლეს, ხალიჩაში გაახვიეს და ევა ბრაუნის ცხედართან ერთად ნახევრად დაწვეს. შემდეგ კი ორივე ისე დამარხეს, რომ ადვილად ეპოვათ. თავად ფიურერმა კი ბერლინში მიმალვა მოახერხა, შემდეგ კი ლათინური ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანას შეაფარა თავი.

## სტალინის ორეულები

საბჭოთა დიქტატორის გულის მოგება ძნელი საქმე იყო და არც ორეულებს უმართლებდათ. სტალინი თავად აფასებდა მსგავსებას და საბოლოო გადაწყვეტილებასაც თვითონ იღებდა. სხვადასხვა ვერსიით მას რამდენიმე ორეული ჰყავდა. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით საიდუმლო გადაწყვეტილება "სტალინის ორეულების შესახებ" 1935 წელს, სერგეი კიროვის მკვლელობის შემდეგ იქნა მიღებული.

ერთ-ერთი, ვინიცელი ბუღალტერი ევსეი ლუბიცკი წითელ მოედანზე საზეიმო აღლუმებს ესალმებოდა სტალინის მაგივრად. იღებდა უცხოეთის დელეგაციებს და საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციების დროს "სათადარიგო ბელადის" ფუნქციას ასრულებდა. ამ ვერსიის თანახმად ლუბიცკი გადაურჩა სისხლიან რეპრესიებს და ღრმად მოხუცებული მოსკოვში 1981 წელს გარდაიცვალა.

სტალინის ორეულად ასახელებენ აგრეთვე შუა აზიის (ზოგიერთი ინფორმაციით ჩრდილოეთ კავკასიის) ერთ-ერთი რესპუბლიკის მკვიდრს, სახელად "რაშიდს", რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინის ფარავკაში გამოწყობილი მოულოდნელად ეწვეოდა ხოლმე ფრონტზე საბჭოთა

ჯარისკაცებს, ხან კი მოსკოვის ქუჩებში გამოჩნდებოდა მოსახლეობის გასამხნევებლად.

## ერაყელი დიქტატორის ორეულები

სადამ ჰუსეინი ეშმაკი პოლიტიკოსი და დაუნდობელი ტირანი იყო. ცდილობდა წინასწარ გაეთვალა ყველა სვლა და ისე ეთამაშა "პოლიტიკური ჭადრაკის დაფაზე". როცა ჭირდებოდა ხან ამერიკელების მეგობარი, ხან კი საბჭოთა კაშირის და რუსეთის მთავარი დასაყრდენი იყო არაბულ სამყაროში. რეალურად კი არავის ენდობოდა და განსაკუთრებულ ყურადღებას საკუთარი უსაფრთხოების დაცვას უთმობდა. ამიტომაც ორეულების შერჩევას ძალზე სერიოზულად ეკიდებოდა. გერმანელი ექსპერტის დიტერ ბიუშანის შეფასებით, რომელმაც სადამ ჰუსეინის უკანასკნელი 15 წლის მანძილზე გადაღებული რამდენიმე ათასი ფოტო და ვიდეოგამოსახულება შეისწავლა, ერაყელ ტირანს სულ მცირე ოთხი ორეული ჰყავდა. ერთ-ერთი ფუაზ ალ-ამარი იყო, რომელიც საოცრად წააგავდა სადამ ჰუსეინს.

ამ ორეულმა ყველაზე მნიშვნელოვანი დავალება 1992 წლის 26 ივლისს მიიღო, მას სადამის მაგივრად მდინარე ტიგროსი უნდა გადაცურა. ამ ფაქტმა, რომელიც უმალ აიტაცა მსოფლიოს მასმედიამ, ყველას უჩვენა თუ რა ჯანმრთელი და კარგ სპორტულ ფორმაში იყო "სადამ ჰუსეინი". ისტორიკოსების მტკიცებით სადამზე განხორციელებული შვიდი თავდასხმიდან ექვს შემთხვევაში მისი ორეული იყო რისკის ქვეშ. კურიოზული შემთხვევა მოხდა 1988 წელს შემოდგომაზე, როდესაც პრეზიდენტის სასახლის სარდაფში მოწყობილ სასროლ ტირში ჩასულ სადამის ორეულს მისი ვაჟის, უდეის ორეული შეეფეთა.

## უდეი ჰუსეინის ორეულები

1994 წელს გამოიცა ავსტრიელი ჟურნალისტის კარლ ვენდლის წიგნი "მე ვიყავი სადამის შვილი", რომელიც სულ მალე იქცა ბესტსელერად. ავტორი უდეი ჰუსეინის ერთ-ერთი ორეულის ლატიფ იაჰია სალახის ცხოვრებას აღწერს. ირკვევა, რომ ახალგაზრდა იურისტი 1987 წელს მოულოდნელად პრეზიდენტის სასახლეში გამოიძახეს, სადაც იგი სადამ ჰუსეინის უფროსმა ვაჟმა უდეიმ მიიღო და მისი ორეულის ფუნქციის შესრულება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ლატიფს სიკვდილი

გარანტირებული ჰქონდა. ორეულად ქცევაში ლატიფს თავდაპირველად მცირე კოსმეტიკური ოპერაცია დასჭირდა. შემდეგ დაიწყო მისი ფსიქოლოგიურად მომზადების ხანგრძლივი პროცესი, მას უდეის საუბრის სტილი, მანერები, სიარული და ა.შ. ვიდეოფილმებით შეასწავლეს. ორეულის დებიუტი 1988 წელს ბაღდადში შედგა, როდესაც ორეული უდეის მაგივრად საფეხბურთო მატჩს დაესწრო და გამარჯვებულს ჯილდოც კი გადასცა. მომდევნო ოთხი წლის მანძილზე ორეული სადამის ვაჟის ფუნქციებს "ასრულებდა" სხვადასხვა ღონისძიებებზე. უდეი ევროპაში ღამის ბარებში "გულაობდა", მისი ორეული კი ბაღდადში მოსაწყენ ღონისძიებებს ესწრებოდა. უდეის მამაზე არანაკლები მტერი ჰყავადა, ამიტომაც ლატიფი, იმის შიშით სხვისი ცოდვების გამო არ მომკლანო, 1991 წელს ერაყიდან გაიქცა. ექვსი წელი ავსტრიაში იმალებოდა, მაგრამ ერაყის სპეცსამსახურებმა მაინც გაიგეს მისი მისამართი. მაშინ უდეის ორეულმა დიდ ბრიტანეთს შეაფარა თავი, შეიცვალა გარეგნობა და გვარი. ამჟამად ის მანჩესტერში ცხოვრობს ცოლ-შვილთან ერთად.

## როდის გარდაიცვალა ბორის ელცინი?

შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს საკითხის ამგვარად დაყენება. ყველასთვის ცნობილია, რომ რუსეთის პირველი პრეზიდენტი 2007 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა. თუმცა ნუ იჩქარებთ და ბოლომდე ჩაიკითხეთ ეს მასალა, რომელიც ცნობილი ამერიკელი დიპლომატის სტეფან სესტანოვიჩის მოგონებებს ეყრდნობა.

1998 წლის აგვისტოში მოსკოვში აშშ-ის პრეზიდენტი ბილ ქლინტონი უნდა ჩასულიყო ოფიციალური ვიზიტით. მაგრამ გამგზავრებამდე სამი დღით ადრე ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ მოსკოვიდან მიიღო საიდუმლო ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი მოულოდნელად გარდაიცვალა. უნდა ითქვას, რომ ამერიკის მხარეს ეს ინფორმაცია არ გაჰკვირვებია, რადგანაც მათ კარგად იცოდნენ, რომ განუკურნებელი ალკოჰოლიკი ელცინი მძიმედ იყო ავად. ამ ფაქტის დროებითი დამალვა კი კრემლში პრეზიდენტის პოსტისთვის დაწყებული ბრძოლით ახსნეს. რუსეთის მხარე კატეგორიულად უარყოფდა ელცინის გარდაცვალების ფაქტს და ამერიკელებს რუსი ექიმების სამედიცინო დასკვნას, ელცინ-ქლინთონის პირდაპირ სატელეფონო საუბარს ან სულაც ელცინის რუსეთის ტელევიზიით გამოსვლის ვიდეოკადრებს სთავაზობდა. ამერიკელები კი მოითხოვდნენ: 24 საათში მოსკოვში მყოფი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტროუბ ტელბოტი შეახვედრეთ ელცინს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქლინთონის ვიზიტი არ შედგებაო. მეორე დღეს ელცინი მართლაც შეხვდა

ტელბოტს და აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტიც აღარ ჩაიშალა. ამ რეალურ ფაქტში ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ამერიკელებს ეჭვი ჰქონდათ ელცინის მაგივრად მისი ორეული არ "შემოგვაპარონო". ამის საფუძველი მართლაც არსებობდა, რადგანაც რუსი პოლიტოლოგები და ექსპერტები ჯერ კიდევ 1996 წელს ამტკიცებდნენ, რომ ელცინი გარდაიცვალა და რუსეთს მისი ორეული მართავსო. ამიტომ ამერიკელებისთვის აუცილებელი იყო ელცინის პირადად ნახვა და მისი შეფასება, რაც სტროუბ ტელბოტს დაევალა, რომელიც კარგად იცნობდა ბორის ელცინს.

## ჰყავს თუ არა ორეულები პრეზიდენტ პუტინს?

რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი პუტინი მოსკოვის ქუჩაში დაცვის გარეშე, რომ გამოვიდეს და ხალხში გაერიოს შეიძლება უცბად ვერც იცნონ. ტიპიური რუსი "მუჟიკია". ამგვარი კურიოზები მართლაც მომხდარა ამ ხუთი-ექვსი წლის წინ, როდესაც რუსეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის მიხეილ კასიანოვის პირადი დაცვის წევრს რუსეთის ერთ-ერთ ქალაქის "ფინურ საუნაში" ორთქლში მონებივრე შიშველი "პუტინი" დაუნახავს. ენაწართმეული "ლიჩნიკი" კარგა ხანს ვერაფრით ვერ იჯერებდა, რომ ეს პიროვნება ადგილობრივი რადიოს თანამშრომელი იყო, რომელიც საოცრად წააგავდა რუსეთის პრეზიდენტს. პუტინის „ოფიციალური" ორეულების შესახებ კი, რომელიც უეჭველად ეყოლება ყოფილ კა-გე-ბეს პოდპოლკოვნიკს, იმედია მალე შევიტყობთ.

## საიდუმლო, გვირაბის ბოლოს

იდუმალება შპიონაჟის აუცილებელი შარშია. თავის მხრივ კი რა საიდუმლო არსებობს ფარულად გათხრილი გვირაბის გარეშე. საიდანაც შეპარული მსტოვარ-ჯაშუშნი ყველა სახელმწიფო საიდუმლოებას იგებდნენ? ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული გვირაბი ბევრი რეალური, თუ მოგონილი ავანტიურისა და სათავგადასავლო რომანის "მთავარი პერსონაჟი" იყო. XX საუკუნეში კი მის გარეშე ვერ ძლებდნენ ვერც საბჭოთა კავშირის და ვერც აშშ-ის სპეცსამსახურები.

"ცივი ომის" დასაწყისი ყველაზე ტრაგიკულად ბერლინზე აისახა. 1949 წელს გერმანიის ყოფილი დედაქალაქი ორად გაიყო - მისი ერთი ნაწილი საბჭოთა კავშირის სატელიტის - გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქად გამოცხადდა. მეორე ნაწილი კი, სადაც აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ერთობლივი საოკუპაციო ზონა იყო, დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი ტერიტორიული ერთეული გახდა. ორად გაყოფილ ბერლინში საზღვარი პირდაპირ ქალაქის ქუჩებში გადიოდა, ბევრი სახლის ერთი ნაწილი აღმოსავლეთ, ხოლო მეორე ნაწილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრებში მოხვდა.

ამ გარემოებით არ შეიძლება არ დაინტერესებულიყვნენ მოწინააღმდეგე მხარეების სპეცსამსახურები. თუ საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ორად გაყოფილ ბერლინს კაპიტალისტურ ქვეყნებში აგენტების გასაგზავნად იყენებდნენ, აშშ-ის და ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურებმა ამ ტერიტორიული ფაქტორის უფრო ორიგინალური მიზნით გამოყენება გადაწყვიტეს. ეს იყო "ცივი ომის" ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძვირადღირებული სპეცოპერაცია, რომელმაც ყველასთვის მოულოდნელი შედეგები მოიტანა.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მაშინდელი დირექტორის ალენ დალესის გადაწყვეტილებით დაიგეგმა და განხორციელდა განსაკუთრებით საიდუმლო ოპერაცია კოდური სახელწოდებით "ოქრო".

ყველაფერი კი ძალზე პროზაულად დაიწყო. ახლად ჩამოყალიბებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაზვერვის შეფმა რეინჰარდ გელენმა, რომელიც ბერლინს საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა და ამერიკელებთან თავის გამოჩენა ძალზე სურდა, 1953 წელს დალესს აღმოსავლეთ ბერლინის სატელეფონო კომუნიკაციების ნახაზები წარუდგინა. აღმოჩნდა, რომ დასავლეთ ბერლინის საზღვრიდან დაახლოებით ხუთას მეტრში გადიოდა ის სატელეფონო სადენები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელები იყენებდნენ. ეს სადენები მიწაში 1.8 მეტრის სიღრმეზე იყო ჩადებული. ამერიკელებმა დიდი ბრიტანეთის დაზვერვის წარმომადგენლებს გააცნეს ეს ინფორმაცია და გადაწყვიტეს ერთობლივი ძალებით გაეყვანათ გვირაბი და სატელეფონო სადენებზე ინფორმაციის "მოსახსნელი" აპარატურა დაემონტაჟებინათ.

1953 წლის დეკემბერში გვირაბის გაყვანის სამუშაოები დაიწყო. საინჟინრო სამუშაოების შესანიღბად გვირაბის გათხრა დასავლეთ ბერლინში მდებარე აშშ-ის ერთ-ერთი სამხედრო საწყობიდან დაიწყეს, მიწაც შეუმჩნეველად იქიდანვე გაჰქონდათ. სამხედრო ინჟინრებმა ერთ წელზე მეტი დახარჯეს 90 მეტრიანი გვირაბის გასაყვანად, რომელიც მიწის ზედაპირიდან 4,5 მეტრის სიღრმეში იყო და სიმაღლე ორ მეტრამდე ჰქონდა. ამ გზით სპეცსამსახურებმა

შეძლეს მიწისქვეშა სატელეფონო კვანძზე მიეერთებინათ სპეციალური ჩამწერი აპარატურა და ერთი წლის მანძილზე მოესმინათ ბერლინში მდებარე საბჭოთა სამხედრო კომენდატურის საუბრები მოსკოვთან. საიდუმლო მასალა ისეთი მოცულობის იყო, რომ ვაშინგტონში მთარგმნელები და ანალიტიკოსები დღედაღამ მუშაობდნენ.

თითქოს ყველაფერი ბრწყინვალედ მიდიოდა, როდესაც ამერიკელებისთვის სრულიად მოულოდნელად 1956 წლის 21 აპრილს საბჭოთა ჯარისკაცები აღმოსავლეთ ბერლინში მდებარე გვირაბის დასაწყისში შევიდნენ, გაოცებულმა ამერიკელმა ოპერატორებმა ძლივს მოაწრეს გაქცევა. საბჭოთა "პროპაგანდისტულმა მანქანამ" ეს ფაქტი მშვენივრად გამოიყენა საერთაშორისო სკანდალის გასაბერად.

მხოლოდ 1961 წელს გაირკვა, რომ კა-გე-ბეს გვირაბის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ მის გაყვანამდე ჰქონდა და რამდენიმე წელი მოწინააღმდეგეებს დეზინფორმაციით კვებავდა. რაოდენ დიდი იყო ამერიკელების და ბრიტანელების გაოცება, როცა მათ შეიტყვეს, რომ ოპერაცია "ოქრო" თავიდანვე "გაყიდული" იყო ინგლისის დაზვერვაში მოკალათებული რუსების აგენტის ჯორჯ ბლეიკის მიერ, რომელიც თავად იყო ამ ოპერაციის ერთ-ერთი შემსრულებელი. კა-გე-ბემ ჩვეულ სტილში გათვალა – მოწინააღმდეგეს გვირაბის გაყვანა აცალა, ბლომად ფული დაახარჯვინა, დეზინფორმაცია გაასაღა და ბოლოს "იმპერიალისტებიც" მაგრად გააშავა.

## ამერიკელების საპასუხო სვლა

მოსკოვში, ჯერ კიდევ ივანე მრისხანის დაკალებით გაყვანილი გვირაბები, დღესაც არსებობს, რითაც კარგად ისარგებლა ამერიკის დაზვერვამ, რომელმაც კრემლის კაბინეტების ქვეშ ძველად გაყვანილი საიდუმლო გვირაბი აღმოაჩინა და სამთავრობო სატელეფონო სადენებზე დაამონტაჟა მოსასმენი მოწყობილობა. ორი წლის მანძილზე ამერიკელები ფარულად უსმენდნენ საბჭოთა კავშირის პირველ პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს, "პრეზიდენტის საბჭოს" წევრებს, მრავალრიცხოვან მრჩეველებსა და ექსპერტებს.

ამერიკელებს მოსკოვში რუსი ეროვნების აგენტი მაიორი პეტრე ლეონოვი ჰყავდათ, რომელიც კა-გე-ბეს მე-16 – ელექტრონული დაზვერვის სამმართველოში მსახურობდა. ამერიკელი მზვერავების მოგონებებიდან შეგვიძლია ამ ოპერაციის მიმდინარეობის რეკონსტრუქცია მოვახდინოთ.

## გვირაბი კრემლის ქვეშ

1989 წლის გაზაფხულის ერთ-ერთ საღამოს კრემლის დიდ საკონცერტო დარბაზში საბალეტო სპექტაკლს მოსკოვში აშშ-ის საელჩოს რამდენიმე თანამშრომელიც ესრებოდა მეუღლეებითურთ. მათ შორის იყო საელჩოს თანამშრომელი ტონი მენდესიც, რომელიც სინამდვილეში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცერი იყო. დარბაზში იმყოფებოდა აგრეთვე პეტრე ლეონოვი, მეულლესთან ერთად, რომელიც ასევე ამერიკელების აგენტი იყო.

იმავე საღამოს მოსკოვის ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაზე საინტერესო ფაქტი მოხდა, რომელიც თითო-ოროლა გამვლელმა თუ შეამჩია სპეცკომბინიზონებში გამოწყობილი რამდენიმე სპორტული აღნაგობის მამაკაცი მძიმე ზურგჩანთებით ხელში საკანალიზაციო ჭაში ჩაძერა და თავსახურიც აკურატულად დახურა. ისინი რუქებით, თანამგზავრული კავშირის საშუალებებით, კომპიუტერული სისტემებით და სასუნთქი აპარატურით იყვნენ აღჭურვილნი. "სანტექნიკოსები" ცენტრალური კოლექტორით მოსკოვის მეტროპოლიტენის გვირაბში გავიდნენ, იქიდან კი ლაბირინთების მსგავსი გვირაბებით კრემლის ქვეშ აღმოჩნდნენ. ვერავინ იფიქრებდა, რომ საკანალიზაციო ჭების სიბინძურეში "მოსეირნე" ხალხი ამერიკის დაზვერვაზე მუშაობდა. ეს იყო ამ ოპერაციის მეორე ნაწილი, რომელიც პირველის პარალელურად მიმდინარეობდა.

დავუბრუნდეთ კრემლის დიდ საკონცერტო დარბაზს, სადაც ეს-ეს არის ანტრაქტი გამოცხადდა. ლეონოვები სწრაფად გაემართნენ ტუალეტებისკენ და იქიდან საკონცერტო დარბაზის თანამშრომლების ტანსაცმლში გადაცმულები დაბრუნდნენ. დარბაზში მათი ადგილი ასევე ამერიკის დაზვერვის ორმა რუსმა აგენტმა დაიკავა. ლეონოვები თეატრის სამსახურებრივი ლიფტით გვირაბში ჩავიდნენ, სადაც მათ "სანტექნიკოსები" ელოდნენ. პეტრე ორლოვმა მათ კრემლის სატელეფონო სისტემის ის სადენები აჩვენა, რომლებზეც საბჭოთა კავშირის ხელისუფლების პირველი პირების ტელეფონები იყო ჩართული. ამერიკელებმა დაამონტაჟეს მოსასმენი აპარატურა და გვირაბი სწრაფად დატოვეს. რამდენიმე დღის შემდეგ ლეონოვები საბჭოთა კავშირიდან გაიქცნენ.

ამერიკის დაზვერვის თანამშრომლების მტკიცებით ამ მოსასმენი აპარატურის დახმარებით მათ ადრევე შეიტყვეს 1991 წლის 19 აგვისტოს პუტჩის მზადების შესახებ და რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი გააფრთხილეს.

1970-იანი წლების ბოლოს ამერიკის მთავარ კონტრსადაზვერვო უწყებაში გამოძიების ფედერალურ ბიუროში ერთი შეხედვით გენიალური იდეა დაიბადა. მათ გადაწყვიტეს ვაშინგტონში მდებარე საბჭოთა კავშირის საელჩოს ქვეშ გვირაბი გაეთხარათ და მოსასმენი აპარატურა დაემონტაჟებინათ. ეს პროექტი, რომლის განხორციელება და შემდგომ წლებში გვირაბის ექსპლუატაცია 100 მილიონ დოლარამდე დაჯდა, ამერიკის სპეცსამსახურების ერთ-ერთი ყველაზე დიდი საიდუმლო იყო, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ.

გვირაბის გათხრა დაიწყეს საბჭოთა საელჩოსთან ახლოს მდებარე სახლიდან. ყველაზე დიდი პრობლემა მიწის შეუმჩნეველად გატანა აღმოჩნდა, რადგანაც საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები გულდასმით აკვირდებოდნენ საელჩოს ტერიტორიის ახლოს მიმდინარე ყველა მშენებლობასა და სხვა ცვლილებებს.

მხოლოდ 1995 წელს მიხვდნენ ამერიკელები, რომ ფარულად ჩაწერილი და გაშიფრული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი დეზინფორმაცია იყო.

ამჟამად ირკვევა, რომ ამ გვირაბმა მხოლოდ პირველი 5-6 წელი მისცა ამერიკის სპეცსამსახურებს მართლაც საიდუმლო ინფორმაცია, ხოლო 1985 წლიდან ისინი ამ სატელეფონო სადენებიდან მხოლოდ საბჭოთა დეზინფორმაციის იღებდნენ. ამის მიზეზი კი აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მაღალჩინოსანი რობერტ ჰანსენი იყო, რომელიც 15 წელი მუშაობდა ჯერ საბჭოთა, ხოლო შემდეგ კი რუსეთის დაზვერვაზე.

ამერიკელებმა "თხუნელა" ჰანსენის გამოვლენა და დაკავება მხოლოდ 2001 წელს მოახერხეს. მან 27 წელი იმუშავა გფბ-ში და ფაქტიურად ყველა საიდუმლო ოპერაცია იცოდა. მოსკოვისთვის გადაცემული საიდუმლო ინფორმაციის რამდენიმე ათას ფურცელს შორის "ვაშინგტონის გვირაბის" შესახებაც დაწვრილებით იყო მოთხრობილი. ასე გაატანეს ქარს ამერიკელებმა ასი მილიონი დოლარი.

## "მტრედები, ციყვები, დელფინები – ნაბიჯით იარ!"

ცხოველების გამოყენება შპიონაჟის მიზნით დიდი ხანია რაც ცნობილია. ჯერ კიდევ პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს ინფორმაციის გადაცემისთვის იყენებდნენ სპეციალურად გაწვრთნილ საფოსტო მტრედებს და ძაღლებს. 1991 წლის დასაწყისში ერაყ-ქუვეითის ომის დროს აშშ-ის ჯარები ატმოსფეროს ქიმიური იარაღით მოწამვლის დასადგენად იყენებდნენ წიწილებს.

სადაზვერვო მისიით ციყვების გამოყენების პირველი შემთხვევა კი ირანელებმა დააფიქსირეს. 2007 წლის ივლისში ირანის პოლიციის უფროსმა ისმაილ აჰმადი-მუქდამმა სენსაციური და კურიოზული განცხადება გააკეთა. მისი ინფორმაციით ირანის პოლიციამ ერაყის საზღვართან ახლოს დააკავა.

14 შპიონი-ციყვი, რომლებიც თურმე აღჭურვილნი იყვნენ რთული მოსასმენი აპარატურით. ძნელი სათქმელია რა კონკრეტული სადაზვერვო, მით უფრო ფარული მიყურადების, დავალება უნდა შეასრულოს ციყვმა, რომელიც ადამიანის ან სხვა საფრთხის შემჩნევისთანავე ხეზე არბის?

## მტრედები დაზვერვის სამსახურში

მტრედები, რომ ომების დროს შეუცვლელი სამხედრო ფოსტალიონები არიან, ოდითგანვე ცნობილია. მაგრამ თუ ისინი დაზვერვაშიც ასევე კარგად "მსახურობდნენ", მხოლოდ რამოდენიმე წლის წინ კანადელი მზვერავის მაიკლ ფროსტის მოგონებებიდან გახდა ცნობილი. მისი მტკიცებით აშშ-ის ყველაზე გასაიდუმლოებული სადაზვერვო უწყება – ეროვნული უშიშროების სააგენტო, ვაშინგტონში, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის საელჩოების თანამშრომელთა საუბრების მოსასმენად დიდი ხნის მანძილზე წარმატებით იყენებდა მტრედებს. ამ საელჩოების ბალკონებზე და ფანჯრის რაფებზე მუდმივად "მოდარაჯე" ფრინველებს სპეცსამსახურის თანამშრომლები ჩუმად იჭერდნენ, ბუმბულების ქვეშ მინიატურულ ანტენას, მიკროფონს და გადამცემს უმონტაჟებდნენ და უშვებდნენ. ოპერატიული მუშაობის ეს ორნიტოლოგიური მეთოდი განსაკუთრებით ამართლებდა ზაფხულის თვეებში, როცა სიცხით შეწუხებული დიპლომატები ფართოდ აღებდნენ ფანჯრებს.

## "ამერიკელი დელფინების" სპეცრაზმი

ასევე ხშირი იყო დელფინების და სელაპების გამოყენება წყალქვეშა ნაღმების აღმოსაჩენად და მოწინააღმდეგის საბრძოლო გემების და წყალქვეშა ნავების ასაფეთქებლად.

<u>მცირე დოსიე</u>: დელფინი ზღვის ძუძუმწოვარია, იწონის 500 კგ-მდე, ცოცხლობს 75 წლამდე, აქვს 88 საკმაოდ ბასრი კბილი და საკვებად დღეში 30 კგ თევზი სჭირდება. მისი ბიოლოგიური მონაცემები – სმენა, ხედვა და განსაკუთრებით ბუნებრივი აკუსტიკური ლოკატორი, ნებისმიერ სკანერზე უკეთესად აფიქსირებენ საგნებს დიდ მანძილზე.

გავრცელებულია ვერსია, რომ ჯერ კიდევ ნაპოლეონს სურდა დელფინების გამოყენება ლა-მანშის სრუტის ფორსირების დროს. ხოლო პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკელმა ფიზიკოსმა რობერტ ვუდმა აშშ-ის სამხედრო უწყებას შესთავაზა დელფინების და ვეშაპების გამოყენება გერმანელების წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად. თუმცა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელებმა მხოლოდ 1930-იანი წლების ბოლოს დაიწყეს დელფინების გაწვრთნა დივერსიული და სადაზვერვო მიზნით.

ვიეტნამის ომის დროს ამერიკელებმა დელფინები და ზღვის ლომები ვიეტნამელ პარტიზანებზე "დაგეშეს". მანამდე კი ვიეტნამელი მყვინთავები შეუმჩნევლად ეპარებოდნენ ამერიკის სამხედრო გემებს, მაგნიტურ ნაღმებს ამაგრებდნენ და აფეთქებდნენ. თავდაპირველად დივერსანტების წინააღმდეგ ამერიკელები სპეციალური ბადისა და სხვა ხაფანგების გამოყენებას ცდილობდნენ, მაგრამ უშედეგოდ. გამწარებულმა მხოლოდ ამის შემდეგ გაწვრთნეს და საბრძოლო მორიგეობაზე გაიყვანეს 6 დელფინი და 4 ზღვის ლომი.

დელფინები, რომლებიც ზღვის ლომებზე გაცილებით მშვიდობისმოყვარენი არიან, ადამიანს თავს კი არ ესხმოდნენ, არამედ ეთამაშებოდნენ. ისინი ისე იყვნენ გაწვრთნილი, რომ 300-400 მეტრის რადიუსში აღმოაჩენდნენ რა ვიეტნამელ მყვინთავ-დივერსანტებს "თამაშ-თამაშ" სასუნთქ აპარატს უზიანებდნენ, ზღვის ზედაპირზე აგდებდნენ ან ცხვირზე დამაგრებული სპეციალური გრძელი დანით აზიანებდნენ.

ზღვის ლომები გაცილებით აგრესიულები არიან, მათ ამდენი "ცერემონიალი" არ უყვართ – ისინი პირდაპირ გლეჯდნენ საცოდავ ვიტნამელ დივერსანტებს. საბჭოთა სამხედრო დაზვერვის მონაცემებით ერთი წლის მანძილზე ამ საბრძოლო მეთოდებით ამერიკელებმა 50-ზე მეტი მყვინთავის განადგურება მოახერხეს, რის შემდეგაც ვიეტნამელთა დივერსიები სრულიად შეწყდა. არსებობს ინფორმაცია, რომ დაღუპულებში ორი საბჭოთა მყვინთავ-დივერსანტიც იყო.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცსს) სპეციალისტები ზღვის ცხოველების საბრძოლო-დივერსიული და სადაზვერვო მომზადებას ორ – ჰავაის კუნძულებზე და ფლორიდის სანაპირობზე განლაგებულ საიდუმლო საწვრთნელ ბაზებზე ახორციელებდნენ. პროგრამა ითვალისწინებდა, როგორც ადამიანებზე მონადირე, ასევე "კამიკაძე" ზღვის ცხოველების მომზადებას, რომლებსაც პირდაპირი დაჯახებით უნდა აეფეთქებინათ მოწინააღმდეგის მცურავი საშუალება.

1984 წელს ნიკარაგუას პორტებში რამდენიმე ათეული გემი აფეთქდა, აქედან 14 სავაჭრო ტანკერი იყო. მხოლოდ ამ სკანდალური ფაქტების გამჟღავნების შემდეგ აღიარა აშშ-ის ადმინისტრაციამ, რომ ნაღმები ამერიკული წარმოების იყო, ხოლო დელფინების გამოყენება კატეგორიულად იუარა და ყველაფერი ნიკარაგუელ პარტიზანებს ("კონტრას") გადააბრალა.

1987-1988 წლებში ირან-ერაყის ომის დროს "ამერიკელი დელფინები" იცავდნენ აშშ-ის სამხედრო გემებს, წყალქვეშა ნავებს და სავაჭრო-სატრანსპორტო ტანკერებს.

1991 წელს ოპერაცია "უდაბნოს ქარიშხალის" დროს ამერიკელებს დიდი სამსახური გაუწია სპეციალურად გაწვრთნილი ზღვის ლომების რაზმმა. კუვეიტის სანაპიროები ერაყელებმა წინდაწინ გულმოდგინედ დანაღმეს, ამერიკელ გამნაღმველებს კი ერაყელი მყვინთავები ცეცხლს უხსნიდნენ და არ აძლევდნენ განაღმვითი სამუშაობის ჩატარების საშუალებას. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა რამდენიმე მებრძოლი ზღვის ლომი ჩამოიყვანეს და ერაყელებს მიუსიეს. დელფინების საშუალებით კი ნაღმების ადგილმდებარეობას ადგენდნენ და შემდეგ უკვე ამერიკელი გამნაღმელები მოქმედებდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით 1998 წელს ნატო-ს წვრთნების დროს ბალტიის ზღვაში კლაიპედის სანაპიროებთან ამერიკელების მიერ სპეციალურად ჩამოყვანილი ხუთი მებრძოლი დელფინიც მონაწილეობდა, რომელთა ამოცანა მინების აღმოჩენა იყო.

2003 წელს ერაყში ომის დაწყების დროს 9 "ამერიკელი" დელფინი სპარსეთის ყურის განაღმვით ოპერაციებში მონაწილეობდა და მათი დახმარებით 100-ზე მეტი მინა იქნა აღმოჩენილი. დადგენილია, რომ 2007 წლის ბოლოს ამერიკელებს 7 სპეციალურ სამხედრო-საზღვაო ბაზაზე 250-მდე მებრძოლი დელფინი ჰყავდათ. აშშ-ის "დელფინების სპეცრაზმში" ორი "ოფიცერი": "თაკომა" და "მაკაი" გამოირჩევიან, რომლებიც თითქმის ორი ათეული წელია ერთგულად ემსახურებიან თავის ქვეყანას.

## ადმირალი გორშკოვი საბჭოთა მებრძოლი დელფინების "მამობილი" იყო

რუსეთის ისტორიულ წყაროებში გავრცელებულია ვერსია, რომ ზღვის ძუძუმწოვრების სადაზვერვო-დივერსიული მიზნით გაწვრთნა მსოფლიოში პირველად ჯერ კიდევ 1915 წელს დაიწყო რუსეთში. მათი მტკიცებით ცნობილი ცხოველების მწვრთნელი ვლადიმერ დუროვი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების გენშტაბში გამოცხადებულა და წყალქვეშა ნაღმების აღმოჩენისთვის სელაპების გაწვრთნა შეუთავაზებია. რამდენიმე თვეში 20 სელაპი უკვე საცდელ დავალებებს ასრულებდა. თუმცა საბრძოლო ვითარებაში მათი გამოყენება არ მოხერხებულა, რადგანაც ერთ ღამეს ყველა ცხოველი მოწამულა და მომკვდარა. რუსეთის სამხედრო კონტრდაზვერვას ეჭვი გერმანიის აგენტურაზე ჰქონია, მაგრამ სულ მალე მომხდარი რევოლუციის გამო სელაპების სიკვდილის მიზეზის გამოძიება შეჩერებულა.

რამდენად სანდოა ეს ვერსია ძნელი სათქმელია, რადგანაც ცნობილია თუ როგორ უყვართ რუსეთში ყველა მეცნიერული აღმოჩენის პირველობის დაბრალება.

ჩვენი აზრით ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს მეორე ვერსიაა, რომლის მიხედვითაც ამერიკელების მიერ ზღვის ცხოველების სადაზვერვო-დივერსიული მიზნებით გამოყენების შესახებ საბჭოთა სპეცსამსახურებმა ოპერატიულ-აგენტურული გზებით 1960-იანი წლების დასაწყისში შეიტყვეს და ადექვატური ზომების მისაღებად შესაბამისი მოხსენება საბჭოთა პოლიტბიუროში წარადგინეს. ამ მიზნებით პირველი საბჭოთა ოკეანერიუმი სევასტოპოლთან ახლოს აშენდა და მას "სამხედრო ნაწილი 13132" –ის საიდუმლო გრიფი მისცეს. ამ ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მხედართმთავარი, ადმირალი სერგეი გორშკოვი. პარალელურად ზღვის ძუძუმწოვრების ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებების წვრთნის პროცესში გამოყენების საკითხებზე 50-მდე საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მუშაობდა.

ამის შემდეგ საბრძოლო დელფინების მოსამზადებელი ბაზები შეიქმნა კოლის ნახევარკუნძულზე და შორეულ აღმოსავლეთში. საინტერესოა, რომ ამ მიზნით იყენებდნენ "სამოქალაქო" დელფინარიუმებსაც, მათ შორის ჩვენთან ბათუმში მდებარე, ერთ დროს დიდი წარმატებით მოქმედ დელფინარიუმს. საბრძოლო დელფინების მომზადების ერთიანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მინსკში მდებარეობდა.

საბჭოთა სამხედრო დაზვერვა ცდილობდა დელფინები გამოეყენებინა, როგორც საზღვაო პორტების და სანაოსნო საშუალებების დასაცავად და ნაღმების აღმოსაჩენად, ასევე მოწინააღმდეგის სამხედრო-სადაზვერვო გემებზე იერიშის მისატანად. დელფინებს ასწავლიდნენ აგრეთვე სპეციალური წყალქვეშა პისტოლეტიდან სროლასაც.

გე-ერ-უს ერთ-ერთმა დანაყოფმა 1975 წელს შავ ზღვაში საინტერესო ექსპერიმენტი განახორციელა - დელფინი ვერტმფრენიდან პარაშუტით ზღვაში ჩამოაგდეს. შემდეგ გეგმაში ჰქონდათ "მებრძოლი დელფინის" თვითმფრინავიდან დესანტირება, თუმცა რატომღაც ეს ოპერაცია ჩაიშალა. ისე კი, ამით რისი მიღწევა უნდოდა საბჭოთა სამხედრო დაზვერვას, საიდუმლოდ დარჩა.

იმავე წელს სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო ბაზის დასაცავად საბრძოლო დელფინების სპეცრაზმმა დაიწყო სადღეღამისო მორიგეობა. დელფინებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მოწინააღმდეგის მყვინთავ-დივერსანტების აღმოჩენასა და განეიტრალებაში. ამ წვრთნებში მათი შედეგი 80-90 % აღწევდა, რაც ბევრად აღემატებოდა სპეციალური ტექნიკური მოწყობილობების შედეგებს.

1992 წელს ეს საიდუმლო საწვრთნელი ბაზა უკრაინას გადეცა. ამჟამად ის ორმაგ – უკრაინის თავდაცვის სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაშია. ამ ბაზის ხელმძღვანელობის მტკიცებით ისინი

არ წერთნიან დივერსანტ დელფინებს და სადაზვერვო-დივერსიული მიზნებით მათ მომზადებას არ ახორციელებენ. 2000 წელს ფინანსური პრობლემების გამო უკრაინამ 4 საბრძოლო დელფინი ირანს მიჰყიდა. უკრაინის სამხედრო უწყების მტკიცება, რომ დელფინების გამოყენებას ირანი მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის აპირებს ძნელი დასაჯერებელია. მით უმეტეს, რომ არსებული ინფორმაციით ამჟამად საბრძოლო დელფინების მომზადებას დაჩქარებულ ტემპებში ინდოეთი, ისრაელი და ირანი ცდილობენ.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

I. საქართველოს მძიმე დღეები

საქართველოს პოლიტიკური სისტემის ორი საიდუმლო

მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალება – შემთხვევითობა თუ პოლიტიკური მკვლელობა?

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება - უბედური შემთხვევა თუ სპეცსამსახურების ხელწერა?

ეჰ ჯულიეტა, ჯულიეტა, ისევ ძველ ხელობას მიუბრუნდი ხომ?

II. რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო ოპერაციები

პუტინის ბიოგრაფიის ყველაზე საიდუმლო პერიოდი

როგორ გახდა მედვედევი რუსეთის პრეზიდენტი?

დემოკრატიის და დემოკრატების განადგურების ქრონიკა რუსეთში .

რუსეთის დეზინფორმაციული ომი გრძელდება

რუსეთის სპეცსამსახურების მოსალოდნელი ოპერაციები საქართველოში

ნატო კვლავ რუსეთის სპეცსამსახურების სამიზნეა

"აკადემიკოსები" თუ შპიონები?

რუსეთში ისევ 1937 წელი დგას

დაიცავით ახალგაზრდა პოლიტიკოსები და მეცნიერები რუსეთის დაზვერვისგან!

III. აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პირველი შეცდომები 93

შეძლებს კი ბარაკ ობამა აშშ-ის სპეცსამსახურების "გაცოცხლებას". 93

ამერიკის ახალი პრეზიდენტის პირველი შეცდომა — აშშ-ის სპეცსამსახურებში "თეთრი ხელთათმანიანი" დილეტანტები მოდიან 96

IV. საფრანგეთი — იმედი და იმედგაცრუება .98

ნიკოლა სარკოზი სპეცსამსახურების მთავარი სამიზნე ხდება? 98

ხომ არ იმოქმედა კომპრომატებით შეტევამ სარკოზიზე? 106

V. ამერიკელი მზვერავის მკვლელობის საიდუმლო. 108

ვინ მოკლა ამერიკელი მზვერავი, რომელსაც საქართველო უყვარდა? .108

ვინ დაგეგმა ვუდროფის მკვლელობა? 142

"მესაფლავე", რომელმაც ყველაფერი იცოდა 151

VI. პრეზიდენტები და სპეცსამსახურები 157

ეშმაკი "ბაბუ" 157

როგორ იცავენ პრეზიდენტებს 171

VII. ფული, პოლიტიკა და სპეცსამსახურები 196

რას ეძებენ მილიარდერები პოლიტიკაში? .196

ვისი აგენტი იყო მილიარდერი მედიამაგნატი? .204

ბორის ბერეზოვსკის საბედისწერო აურა. 208

როცა ტერაქტი არ არის უნდა მოიგონო? 216

VIII. სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები 222

საფრანგეთის სპეცსამსახურები 222

ჩინეთის სპეცსამსახურები 226

სომხეთის სპეცსამსახურები .233

თურქეთის სპეცსამსახურები .243

IX. სპეცსამსახურების მოზაიკა 264

"პარალელური" სპეცსამსახურები 264

ვინ იყო ლეხ ვალენსა: დისიდენტი თუ აგენტი? 270

კიბერტერორიზმი – XXI საუკუნის რეალური საფრთხე 277

კომპიუტერია თუ ხაფანგი? 278

ფრთხილად ინტერნეტში თაღლითები მომრავლდნენ! 278

იჩქარე ნელა 280

"ღვინო, დუდუკი, ქალები" 285

სპეცსამსახურები და საერთაშორისო ინვესტიციები 288

ნუ დახოცავთ ჟურნალისტებს! 289

საბჭოთა "ჩაშვების ინსტიტუტი" 77 წლის გახდა 290

ორეულები პოლიტიკასა და სპეცსამსახურებში .292

საიდუმლო, გვირაბის ბოლოს .297

"მტრედები, ციყვები, დელფინები – ნაბიჯით იარ!" .302